ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

VI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

VI

გამომცემლობა „მერიდიანი“
Meridian Publishers
თბილისი
Tbilisi
2012

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

Editors:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili

სარედაქციო კოლეგია:
მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
გიორგი ჟუჟუნაშვილი
შალვა გლოველი
ქეთევან მირზიკაშვილი
აკაკი ჩიქობავა
ეკა კვირკველია

Editorial Board:
Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Giorgi Zhuzhunashvili
Shalva Gloveli
Ketevan Mirzikashvili
Akaki Chikobava
Eka Kvirkvelia

http://geohistory.humanities.tsu.ge
E-mail: geohistory@tsu.ge
geohistory@live.com

რედაქტორები, სარედაქციო კოლეგია და ავტორები მადლობას უხდიან ჟურნალ „ისტორიანის“ რედაქციას და მთავარ რედაქტორს, ჯაბა სამუშიას ნომრის გამოსაცემად გაწეული ფინანსური დახმარებისთვის.

© ტექსტი – ავტორები, 2012
© შედგენა – თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, 2012

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

მარიამ ლორთქიფანიძე – 90 9

თედო დუნდუა
აღმოსავლურქართული შუა ბრინჯაოს ხანის (თრიალეთური) კულტურა და არიული *receptio* 29

Tedo Dundua
Middle Bronze Age (Trialeti) Culture in Eastern Georgia and the Aryan *receptio* (Summary) 34

როლანდ თოფჩიშვილი
ეთნოგენეზის პროცესისა და ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ 35

Roland Topchishvili
About Process of Ethnogenesis and Ethnogenesis of the Georgians (Summary) 61

ნათია ფიფია, მართა ქარდავა
მალარია თუ A ჰეპატიტი - კოლხების შესახებ ჰიპოკრატეს ცნობების ინტერპრეტირებისთვის 63

Natia Phiphia, Marta Kardava
Malaria or Hepatitis A – on the Interpretation of Hippocrates' Information About the Colchians (Summary) 69

თემურ თოდუა
რომაული მუზარადი აღმოსავლეთ საქართველოდან 71

Temur Todua
Roman Helmet from Eastern Georgia (Summary) 75

ნინო სილაგაძე
არქიტექტურული და რელიეფური ფრაგმენტები სოფ. ლიპიდან 77

Nino Silagadze
Architectural Fragments and Relieves from Village Lipi (Lower Kartli) (Summary) 99

ელდარ მამისთვალიშვილი
იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენის ისტორიისათვის 100

Eldar Mamistvalishvili
About Restoration of the Cross Monastery in Jerusalem (Summary) 133

ნესტან სულავა
ქართული წარწერების სახისმეტყველება (ჯავახეთის ეპიგრაფიკის მიხედვით) 134

Nestan Sulava
Imagery Thinking of Georgian Inscriptions (On the Example of Javakheti Epigraphy) (Summary) 145

მზია სურგულაძე
მეფე, კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი 146

Mzia Surguladze
King, Cathalikos, Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi (Summary) 167

მამუკა წურწუმია
ყივჩაღთა საკითხისათვის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში 169

Mamuka Tsurtsumia
Towards the Qipchaq (Cuman) Question in Georgian Policy of the Early 12th C. (Summary) 188

მაია შაორშაძე
XV-XVII საუკუნეების სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი 189

Maia Shaorshadze
Towards Making of Chronological List of the 15th-17th cc. Bishops of Samtavisi (Summary) 204

ხათუნა ბაინდურაშვილი
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ერთი მუსლიმური კატეხიზმოს [P-387] შესახებ 205

Khatuna Baindurashvili
Reference to the Muslim Katechismo Stored at the National Center of Manuscripts [P-387] (Summary) 216

აკაკი ჩიქობავა
ოდიშ-აფხაზეთის ტოპონიმიკა XVI-XVII საუკუნეებში 217

Akaki Chikobava
Toponyms of Odish-Abkhazeti in the 16th-17th cc. (Summary)..... 229

გურამ კუტალაძე
სამცხის ერთი მონასტრის სწორი სახელწოდებისათვის 230

Guram Kutaladze
About the Correct Name of the Monastery in Samtskhe Region (Summary) 239

აპოლონ თაბუაშვილი
XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ისტორიის საკითხები 240

Apolon Tabuashvili
Issues from History of Foreign Policy of Kartl-Kakheti Kingdom in the Beginning of 1790s (Summary) 250

ნიკო ჯავახიშვილი
საქართველო და სხვა ქვეყნები რუსეთის იმპერატორთა ტიტულატურაში და მათი ჰერალდიკური სიმბოლიკა იმპერიის სახელმწიფო გერბში 251

Niko Javakhishvili
Georgia and Other Countries in the Titulature of the Russian Emperors and Their Heraldic Symbols in the State Coat of Arms of the Empire (Summary) 259

გიორგი ჟუჟუნაშვილი
„კავკასიის დაპყრობა“ – გამოყენებული მეთოდები და საშუალებები (თანამედროვეთა შეფასებები) 260

Giorgi Zhuzhunashvili
"Conquest of the Caucasus" – Employed Methods and Means (Assessments of Contemporaries) (Summary) 279

ესმა მანია
უკანასკნელი წერილები ათონის ქართველთა სავანიდან 281

Esma Mania
Last Letters from Mount Athos (Summary) 291

თენგიზ სიმაშვილი
უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (ილიას მკვლელობიდან გასული 105 წელი) 292

Tengiz Simashvili
The New Documents and Murder of Ilia Chavchavadze (105 Years after Ilia's Murder) (Summary) 319

ჯაბა სამუშია
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახური 321

Jaba Samushia
Diplomatic Service of Democratic Republic of Georgia (Summary) 330

მერაბ კალანდაძე
ივანე ჯავახიშვილის ისტორიის კვლევის მეთოდები 331

Merab Kalandadze
Ivane Javakhishvili and the Methods of Historical Research (Summary) 350

გვანცა აბდალაძე
ქართული სახელმწიფო – ტრანზიციის პროცესის პრობლემები 351

Gvantsa Abdaladze
Georgian State – Problems of Transition (Summary) 356

როზეტა გუჯეჯიანი
მინდიეთის თემი (ზედა მაჭახელი, თურქეთის რესპუბლიკა) 357

Rozeta Gujejiani
Mindieti Community (Zeda (Upper) Machakheli, the Republic of Turkey) (Summary) 369

გიორგი ავთანდილაშვილი
მთის რაჭიდან დანახული დვალეთი: დვალთა ვინაობისა და მეტყველების შესახებ 372

Giorgi Avtandilashvili
Dvaleti as Seen from Highland Racha: on Identity and Speech of Dvaleti Population (Summary) 382

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Аполлон Табуашвили
Совместная борьба царства Картли-Кахети и Карабахского ханства с войсками Ага-Магомед Хана в июне 1795 года 384

Tedo Dundua
Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Greeks in Colchis 387

რეცენზია

დიმიტრი შველიძე
დაგვიანებული გამოხმაურება ნაადრევი დისერტაციის
შესახებ 409

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

მარიამ ლორთქიფანიძე – 90

1922 წლის 28 აგვისტოს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების, მარიამობის დღეს დავით ლორთქიფანიძისა და ნინო მიქელაძის ოჯახში დაიბადა ქალიშვილი, რომელსაც ღვითისმშობლის სახელის მიხედვით მარიამი დაარქვეს.

ქალაქ ბათუმში დაბადებული მომავალი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ქვეყნის დედაქალაქში, თბილისში, აღიზარდა, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლაც, ხოლო სკოლის ფრიადოსნის ატესტატზე დასრულების შემდეგ, 1939 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. აქედან მოყოლებული მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ახალგაზრდა მარიკას, როგორც მას უწოდებდნენ ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები, სტუდენტური წლები მძიმე აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომმა (1939-1945 წწ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაზეც მოახდინა გავლენა. 1943 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ დაჩქარებული ტემპით დაასრულა სწავლა, რაც განპირობებული იყო მეორე მსოფლიო ომით. იმავე წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში აბარებს.

ჯერ კიდევ პირველკურსელი სტუდენტისთვის ყურადღება მიუქცევია ივანე ჯავახიშვილის ცნობილ მოწაფეს, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას, რომელიც მარიამ ლორთქიფანიძის ასპირანტურაში ჩარიცხვის პირველივე წელს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ხდება. სიმონ ჯანაშიამ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა ისტორიკოსის მეცნიერად ჩამოყალიბებაზე.

1947 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ერთი წლის თავზე კი დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც თბილისის საამიროს შეეხებოდა. დისერ-

ტაციაში ქართული, სომხური და არაბული წყაროების საფუძველზე, ასევე სხვა საისტორიო მასალაზე დაყრდნობით განხილული იყო თბილისის საამიროს ისტორია VIII-XI საუკუნეებში. ამავე დროს დაიწყო ლექციების კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორად, რასაც დღემდე წარმატებით ეწევა.

უკვე 1963 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება". ამავე წლიდან მარიამ ლორთქიფანიძე მუშაობს იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტად, შემდეგ პროფესორად.

1972 წელს გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე პროფ. შოთა მესხია. დადგა საკითხი ახალი გამგის არჩევის შესახებ. არჩევანი, როგორც ამას ოთარ ჯაფარიძე იხსენებს, უყოყმანოდ მარიკაზე შეჩერდა. საქართველოს ისტორიის კათედრას მარიამ ლორთქიფანიძე მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. 1979 წლიდან დღემდე არის ქართულ-გერმანული კავკასოლოგიურ-ქართველოლოგიური ჟურნალის „გეორგიკის" რედაქტორი საქართველოდან. 1983 წელს, იმავე საქართველოს ისტორიის კათედრასთან მისი გამგის, მარიამ ლორთქიფანიძის თაოსნობით დაარსდა სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია. იმავე წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად, ხოლო 1993 წელს კი, აკადემიკოსად. დიდი ხნის განმავლობაში იყო თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო ორგანოს რედაქტორი, ასევე საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მარიამ ლორთქიფანიძე 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის კათედრას. იგი არის 10-ზე მეტი მონოგრაფიისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო თუ პუბლიცისტური წერილის ავტორი. მის კალამს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომები, როგორებიცაა: „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში", „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება", „ნარკვევები საქართველოს გლეხობის ისტორიიდან" (თანაავტორებთან ერთად), „საქართველო XI-XII საუკუნეებში", „რა არის ქართლის ცხოვრება", „მეფე ბაგრატ მესამე", „აფხაზები და აფხაზეთი" და მრავალი სხვა. ასევე, რუსულ ენაზე თარგმნა XI საუკუნის

ქართული საისტორიო ძეგლები: უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძის „ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა“.

აკად. მარიამ ლორთქიფანიძე გახლავთ მრავალი საპატიო ჯილდოსა თუ პრემიის მფლობელი. 1975 წელს გახდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1976 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის, 1980 წელს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის, ხოლო 1982 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემიები. 1988 წელს მას მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, ხოლო 1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, იმავე წელს აირჩიეს „წლის ადამიანად“. 2000 წელს ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა (ABI) მიანიჭა „მეოცე ათასწლეულის მედალი“, ხოლო კემბრიჯის საერთაშორისო ორგანიზაციამ მეოცე საუკუნის გამოჩენილ ქალად აღიარა. მარიამ ლორთქიფანიძის შესახებ ინფორმაცია შეტანილია აშშ-ს ბიოგრაფიულ ლექსიკონში „ვინ არის ვინ?“ (Who's Who?). დასახელებულია 2001 წლის გამოჩენილ ქალად. 2010 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მარიამ ლორთქიფანიძეს ქართული ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი გადასცა. „ქალბატონი მარიამი გამორჩეულია მეცნიერთა შორის თავისი თავდადებული მოღვაწეობით და ისტორიის საკითხების ღრმა ანალიზით“ ბრძანა უწმინდესმა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს გამორჩეული ღვაწლისთვის „საქართველოს დედა“ უწოდა. 2012 წელს მარიამ ლორთქიფანიძე აირჩიეს ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის დიდების დარბაზის (Hall of Fame) წევრად.

დასასრულ, ვიტყვი იმის შესახებაც, რომ მარიამ ლორთქიფანიძეს, როგორც მეცნიერსა და პედაგოგს, აღზრდილი ჰყავს ისტორიკოსებისა და მკვლევრების არაერთი თაობა, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება დასწრებოდნენ, მოესმინათ და ცოდნა მიეღოთ მარიამ ლორთქიფანიძის ლექციებიდან. ალბათ, სიმბოლურია ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებისას მე და ჩემს კურსელებს, ისტორიის ფაკულტეტის ახალბედებს, პირველი ლექცია 2001 წელს სწორედ ჩვენთვის ყველასთვის საყვარელმა ლექტორმა მარიამ ლორთქიფანიძემ წაგვიკითხა.

ლერი თავაძე

ბიბლიოგრაფია

1. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 29. თბ. 1951.
2. თბილისის საამიროს ისტორიიდან. „მიმომხილველი“. II. თბ. 1951.
3. ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (სოღდებილი). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის. ნაკვ. 30. თბ. 1954.
4. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30. თბ. 1954.
5. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII – XI სს). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 31. თბ. 1954.
6. ფეოდალური საქართველოს კარის მოხელენი (ვაზირი). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32. თბ. 1955.
7. თბილისის ციხე. თბ. 1955.
8. აწყურის ციხე. თბ. 1955.
9. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“. ტ. I. თბ. 1955.
10. დისკუსია საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“. ტ. I. 1955 (თანაავტორი ზ. ანჩაბაძე).
11. სომეხი და ქართველი ხალხის ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“. ტ. IV. ნაკვ. I. თბ. 1958.
12. ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“. ტ. IV. ნაკვ. 2. თბ. 1952.
13. ბოლშევიკური პრესა 1905-07 წწ. რევოლუციის შესახებ საქართველოში. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“. ტ. III. თბ. 1959.
14. ათას ხუთასი წლის ისტორია (რეცენზია). ჟურნალი „კომუნისტი“. № 11. თბ. 1959.
15. ძირითადი საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა IX-Xსს. საქართველოში. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“. № 2. თბ. 1960.

16. Абхазия в эпоху раннего феодализма. წიგნში: Очерки истории Абхазской АССР. Т. I. Сухуми. 1960.
17. მიწათმფლობელობის ფორმების საკითხისათვის IX-X სს. საქართველოში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 34. თბ. 1962.
18. არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 35. თბ. 1963.
19. რეცენზია ა. ბოგვერაძის ნაშრომზე „ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან". სსსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე". № 2. თბ. 1963.
20. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ. 1963.
21. რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთაველიანას" და „რუსთველიანას ეპილოგის" გამო. „მაცნე" (სერია: ისტორია...). № 6. თბ. 1964.
22. Грузия в эпоху феодализма. წიგნში: Страницы из истории Грузии. Тб. 1965.
23. ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. თბ. 1966.
24. Эпоха Руставели. Тб. 1966.
25. საქართველო რუსთაველის ეპოქაში. თბ. 1966.
26. Грузия (Краткий исторический очерк). Тб. 1966 (თანაავტორები: ნ. ლომოური, ზ. ანჩაბაძე, ა. ბენდიანიშვილი, მ. ნათმელაძე).
27. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს-ის საქართველოში. კრებული: საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966.
28. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. კრებული: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966.
29. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1967 (თანაავტორები: გ. აკოფაშვილი, დ. მეგრელიძე, ო. სოსელია).
30. К вопросу о надписях храма Джвари в Мцхета. „მაცნე". № 4. თბ. 1968.
31. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან. კრებული: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ „შრომები". № 126. თბ. 1968.
32. ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან XII ს-ის საქართველოში. კრებული: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. I. თბ. 1970.
33. დიდგორის ბრძოლა. „მაცნე". № 3. თბ. 1972.

34. Из истории грузино-византийских взаимоотношений (70-ые годы X в.). კრებული: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის ნარკვევები. II. თბ. 1972.
35. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თავი VI (გარდა § 3-ისა). თბ. 1973.
36. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თავი მე-7. თბ. 1973.
37. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თავი მე-8. თბ. 1973.
38. История Грузии, XI – нач. XIII в. Тбилиси. 1974.
39. Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв. **Actes** du **XIVe congrès international des études Byzantines**. II. Editura Academiei Republicii Socialiste **România**, 1975.
40. ივანე ჯავახიშვილი. თბ. 1976.
41. Матиане Картлиса (Русский перевод, вступительная статья, примечания М. Д. Лордкипанидзе). Тб. 1976.
42. И. А. Джавахишвили. журн. История СССР. Москва. 1977.
43. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სოციალური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თსუ „შრომები". № 194. თბ. 1977 (თანაავტორი გ. მამულია).
44. Сумбат Давитис-дзе. История царского рода Багратиони (Русский перевод, вступительная статья, примечания М. Д. Лордкипанидзе). Тбилиси. 1978.
45. მიხეილ თამარაშვილის დაბრუნება. ჟურნალი: ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში. 1978. №4.
46. Из истории византийско-грузинских взаимоотношений (70-ые годы XI в.). Византийский временник. № 40. Москва. 1979.
47. ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში. თბ. 1979.
48. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თავი მეორე, თბ. 1979.
49. საქართველო XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თავი მე-3. თბ. 1979.

50. საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თავი მე-4. თბ. 1979.
51. ისევ ქართული წყაროების რუსულად თარგმნის შესახებ. „მაცნე" (სერია: ისტორია...). 1979. №4.
52. Zur Geschichte und Historiographie Georgiens. Jurnali "Georgica". Jena. 1980.
53. К вопросу об использовании античных и византийских историков в грузинской средневековой историографии. კრებული: Историко-филологические разыскания. Т. I. Тбилиси. 1980.
54. IX-XII საუკუნეების საქ. ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მაცნე. №1. თბ. 1981.
55. О византийско-грузинских культурных взаимоотношениях в VII-XIII вв. Византийские очерки. Москва. 1982.
56. Zur periodisierung des buzantinisch-georgiasch Kulturellen – Wechselbeziehungen. Jurnali: "Georgica". Jena. 1982.
57. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების ისტორიული ფონი. ჟურნალი: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. №1. თბ. 1983.
58. К истории Нагорной Картли в V-XVIII вв. კრებული: საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში (თანაავტორები: მ. დუმბაძე, ბ. ლომინაძე). თბ. 1983.
59. Histoire de la Georgie (თანაავტორი ი. კაჭარავა). 1975.
60. A Glimps of Georgian History (თანაავტორი ი. კაჭარავა). 1983.
61. „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი" გიორგი მთაწმიდელის და „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელის" გიორგი მცირესი, როგორც საისტორიო წყარო. თსუ შრომები. ტ. 246. თბ. 1984.
62. "Das Leben des Jowane und des Eptvime" von Georgi Mtazmindeli und "Das Leben des Giorgi Mtazmindeli" von Georgi Mzire als Geschichtsquellen. ჟურნალი: "Georgica". Jena. 1984.
63. Der Politik Davit des Erbauers und siene "Reuegesange". ჟურნალი: "Georgica". Jena. 1986.
64. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. წიგნში: ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში. თბ. 1986.
65. Georgia in the 11th-12th centuries. Tbilisi. 1987.

66. საქართველოს ისტორია. VIII-IX კლასების სახელმძღვანელო. თბ. 1988 (თანაავტორი ნ. ასათიანი). მეორე შესწორებული გამოცემა. თბ. 1990.
67. საქართველოს ისტორია. VIII კლასის სახელმძღვანელო. მესამე შესწორებული გამოცემა (თანაავტორი ნ. ასათიანი). თბ. 1993.
68. Изменения в социальной и экономической жизни в IX-X вв. Очерки истории Грузии. Т. II. Гл. V (кроме § 3). Тб. 1988.
69. Возникновение новых феодальных государств. в книге. Очерки истории Грузии. Т. II. Гл. VI. Тб. 1988.
70. Образование грузинской феодальной монархии. в книге. Очерки истории Грузии. Т. II. Гл. VI. Тб. 1988.
71. რა არის „ქართლის ცხოვრება". თბ. 1989.
72. თბილისისათვის ბრძოლის ისტორიიდან. კრებული: დავით აღმაშენებელი. თბ. 1990.
73. ქალაქ თბილისის წარმოშობა და პოლიტიკური განვითარება X საუკუნის ბოლომდე. თავი II წიგნში: თბილისის ისტორია. I. 1990.
74. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. თავი III. წიგნში: თბილისის ისტორია. I. თბ. 1990.
75. აფხაზები და აფხაზეთი (ქართულად, რუსულად, ინგლისურად). თბ. 1990.
76. Introduction – wignSi: The Georgian chronicle. Translated by Katharine Vivian. Amsterdam. 1991.
77. Тбилиси. Исторический очерк (IV- нач. XII в.). Tbilisi. 1991.
78. Bagrationi Vakhushti. Georgian Anonym Historian of David. წიგნში: Great Historians from Antiquity to 1800. An International Dictionary. New York. Westport. Connecticut. London. 1992.
79. Heidentum in christlichen Georgia. ჟურნალი "Georgica". 1993 (თანაავტორი ნათელა ვაჩნაძე).
80. Anfange der georgischen Geschichtsschreibung. krebuli: "Brücken". Festgabe für Gert Hummel. Tbilisi. 1993.
81. Essays on Georgian History. Tbilisi. 1994.
82. ვახტანგ გორგასლის დიპლომატიური მოღვაწეობის ისტორიიდან. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. №1. თბ. 1994.
83. ქუთაისი. უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე (თანაავტორები: ო. ლანჩავა, ო. ლორთქიფანიძე). თბ. 1994.

84. ქართული ჰაგიოგრაფიული ჟანრის თავისებურებანი (თანაავტორი ნათელა ვაჩნაძე). ინგლისურ ენაზე. თბ. 1994.
85. Mokcewaj Kartlisaj. Nawrocenie Kartlii. Ze starogruzinnskiego przétożut i przupisami opatizut Dawid Kolbaja. Wst. ep. Mariam Lordkipanidze. Warszawa. 1995.
86. ქუთაისის აღორძინება დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად (VII-VIII სს). ქუთაისის უნივერსიტეტის „მოამბე". №4. ქუთაისი. 1995.
87. Абхазия – неотъемлемая часть Грузии. კრებული: Распятая Грузия, Санкт-Петербург. 1995.
88. The History of Georgia. შესავალი წერილი წიგნისათვის: Georgian Architecture. აახენის უნივერსიტეტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის გამოცემა. 1995.
89. საეკლესიო რეფორმა აფხაზთა სამეფოში. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა". №1. თბ. 1995.
90. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პოლიტიკური მნიშვნელობა. ქართული დიპლომატია, წელიწდეული. №3. თბ. 1996.
91. История Грузии. Учебник VIII класса для русских школ. соавтор Н. Асатиани. Тбилиси. 1996.
92. შიდა ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა". №1. თბ. 1997.
93. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა V ს. II ნახევარში. ვახტანგ გორგასლის დიპლომატია. წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბ. 1998.
94. არაბთა სახალიფოს გავლენის დამყარება ქართლში. ქართულ-არაბული ურთიერთობები VII-VIII სს-ში. წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბ. 1998.
95. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობაში. საშინაო დიპლომატია (IX ს. – Xს-ის I ნახევარი). წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბ. 1998 (თანაავტორი ზ. პაპასქირი).
96. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა (თანაავტორი ზ. პაპასქირი). წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბ. 1998.

97. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში (თანაავტორი ზ. პაპასქირი). წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბ. 1998.
98. Образование грузинского феодального государства. Caucasica. # 1. 1998.
99. К вопросу кавказского единства. Caucasica. # 2. 1998.
100. პოლიტიკური თეორია სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის შესახებ. ქართული დიპლომატია (წელიწდეული). № 6. თბ. 1999.
101. History. წიგნში: Georgian Culture. Tbilisi. 1999.
102. ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (ისევ სოღდებილის შესახებ). კრ. ენათმეცნიერების საკითხებ. 4. თბ. 1999.
103. „აფხაზთა მეფეთა დივანის" და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის შრომაში აფხაზთა მეფეების შესახებ არსებულ ცნობათა შედარებისათვის. თსუ „შრომები". № 328. 1999.
104. Абхазское царство. წიგნში: Разыскания по истории Абхазии (Грузия). Тб. 1999.
105. ქართული სახელმწიფოს არსებობის უწყვეტი ხაზი. კრებული: ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან. თბ. 2001.
106. საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო X კლასისათვის (თანაავტორები: რ. მეტრეველი, ნ. ასათიანი). თბ. 2001.
107. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. კრ. „ანამკი". ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ. 2002.
108. საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგია მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო. პარლამენტის უწყებანი. 2. 2002.
109. რატომ ვჩქარობთ? პარლამენტის უწყებანი. 10. 2002.
110. ბაგრატიონები – საქართველოს სახელმწიფოს გარანტი. წიგნში: ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ. 2002.
111. ადრე შუა საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობის ზოგი საკითხი. კრებული: ვალერიან გაბაშვილი. თბ. 2003.
112. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის. გელათის აკადემიის „შრომები". № 10. 2003.
113. კავკასიის ხალხთა შორის ერთიანობის ტრადიციის არსებობის შესახებ. აკად. კ. წერეთლის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 2003.

114. სასჯელი და გზა. წიგნში: ნათელი ქრისტესი. საქართველო. თბ. 2003.
115. „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის. კრებული: „ოჩხარი“. ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიურ-ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი. თბ. 2003.
116. ქართული დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან XX ს-ის ბოლომდე (თანაავტორი). 2003.
117. ქრისტიანობის როლი საქართველოს ისტორიაში. კრ. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. თბ. 2004.
118. თანამოსაყდრეობის საკითხისათვის საქართველოში. კრებული: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. IV. 2005.
119. მარი ბროსე და „ქართლის ცხოვრების“ ზოგი საკითხი. მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. თბ. 2005.
120. აფხაზეთის სტატუსის შესახებ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. „ანალები“. IV. 2005.
121. რამ გადაგვარჩინა? ჟურნალი „მნათობი“. №3. 2006.
122. საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის). მთავარი რედაქტორი. თანაავტორი. თბ. 2006.
123. იყო თუ არა ხუთჯერიანი დროშა შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო. კრებული: შოთა მესხია 90. თბ. 2006.
124. სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი. ჟურნ. „ხიდი“. 2006. №4.
125. აუცილებელი რეფორმა. ჟურნალი „გზა“. 2006. 29/VI-5/VII.
126. ქართველთა ერთიანობისათვის. ალმანახი „ეროვნული ღირსებისათვის“. თბ. 2006.
127. საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები. კრ. Pro et Contra. თბ. 2006
128. სახელმწიფოებრიობის საკითხისათვის საქართველოში. მწიგნობარი. თბ. 2006.
129. ქართული ეროვნული თვითშეგნების საკითხისათვის. კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები. თბ. 2007.
130. პატრიარქი და მორწმუნენი. კრ. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს. თბ. 2007.
131. საქართველოს მეფეები. რედ. მარიამ ლორთქიფანიძე. თბ. 2007 (თანაავტორებთან).

132. Towards the Origin and Continuety of Statehood of Georgia. Bulletin of National Georgian Academy of Sciences. საქართველოს ეროვნული აკადემიის მოამბე. 2007. I (175).
133. Осетины в Грузии (თანაავტორი გ. ოთხმეზური). Кавказ и глобализация. том I (а). 2007. Швеция (ინგლისური ვარიანტი: The Caucasus and Globalization. 2007. Швеция).
134. ჩემი გზა. თბ. 2007.
135. უდროოდ გარდაცვლილი კოლეგის ნათელ ხსოვნას. კრებული: მშვენიერება მოსილი სევდით. თამარ გამსახურდია 70. თბ. 2007.
136. მარიამ ლორთქიფანიძე 85. თბ. 2007 (კრებული მიძღვნილი მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85-ე წლისთავს).
137. საქართველოს ისტორია: ორ ტომად. სახელმძღვანელო თსუ სტუდენტებისთვის. მთ. რედ. თბ. 2008 (თანაავტორებთან ერთად).
138. Единственный приоритет – незыблемость, целостность государства. По поводу мнения г-на Давида Бердзенишвили. – წგნ.: და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2009 (თანაავტორი: ზურაბ პაპასქირი).
139. გივი ჯამბურია – დაბადებიდან 85 წლის იუბილის აღსანიშნავად. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბ. 2011.
140. რამდენიმე მოგონება ივანე ჯავახიშვილზე. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011.
141. ცოტა რამ შოთა მესხიას ცხოვრებისა და აკადემიური მოღვაწეობის შესახებ. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. III. თბ. 2011.
142. აფხაზები და აფხაზეთი. მეორე შევსებული გამოცემა. თბ. 2012.
143. საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად). მთ. რედ. II ტომის თანაავტორი. თბ. 2012.
144. საქართველოს ისტორია. მე-9 კლასის სახელმძღვანელო. თბ. 2012 (თანაავტორებთან ერთად).

საგაზეთო სტატიები

1. თბილისი V-XII სს-ში. „კომუნისტი“. 1958, № 136.
2. თბილისი XIII-XVIII სს-ში. „კომუნისტი“. 1958, № 150.

3. მრუდე სარკეში (თანაავტორი შ. მესხია). „კომუნისტი“. 1969, № 10.
4. ქართული ჰაგიოგრაფია დიდი ლიტერატურაა. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1968. 4. VII.
5. Неизгладимый след (к 80-летию С. Н. Джанашиа), “Заря Востока”. 1980, 15. X.
6. სახელოვანი მეცნიერი, მამულიშვილი (ს. ჯანაშიას 80 წ.) „სახალხო განათლება“. 1980. 21. X.
7. თაობათა მასწავლებელი (გიორგი ჩიტაია 90 წლისაა). გაზ. „უნივერსიტეტი“. 1980. 19. XII.
8. ღვაწლმოსილი მეცნიერი (ნ. ბერძენიშვილი). „სამშობლო“. 1985. 1. I.
9. ჩემი ახალგაზრდობის ერთი სიხარული (ანა კალანდაძე). „კომუნისტი“. 1985. 1. III.
10. დიდი ვარძიის ეპოქა. „ლიტერატურული საქართველო“. 1986. 3. X.
11. დაბლა ვხრი თავს (აკაკი შანიძის გარდაცვალების გამო). „თბილისის უნივერსიტეტი“. 1987. 3. IV.
12. ბატონო ლერი (პასუხი კინორეჟისორ ლერი სიხარულიძეს). „ქართული ფილმი“. 1988, 29. VI.
13. История, время, гражданский долг. «Вечерний Тбилиси». 1988, 27. X.
14. Некомпетентность – в ранг истины. «Заря Востока». 1989, 23. VII.
15. Распространение христианства в Грузии. «Вечерний Тбилиси». 1989. 15. VIII.
16. Время Вахтанга Горгасали. «Вечерний Тбилиси». 1989. 6. IX, 7. X.
17. Арабы в Грузии. «Вечерний Тбилиси». 1989. 13. X, 14. X.
18. Объединение Грузии. «Вечерний Тбилиси»”. 1989. 13. X, 14. X.
19. Грузия в XI веке. «Вечерний Тбилиси». 10. I - 11. I. 1990.
20. „იწყო აღმოცისკრობად მზემან ყოველთა მეფობათაგან“. „ლიტერატურული საქართველო“. 1989, 10. XI.
21. ისტორია მომავალ თაობებს სჭირდება. „თბილისი“. 1989, 24. II.
22. ბრძოლა თბილისისათვის. „თბილისი“. 1989, 7 II.
23. ლონდონი – „ქართველოლოგიის დღე“. „ლიტერატურული საქართველო“. 1990, 1. VI.
24. „არ უწყიან თუ“. „ლიტერატურული საქართველო“. 1990, 16. II.
25. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. გაზ. „მედიცინა“. 1996.
26. როდიდან მოვდივართ, საიდან მოვდივართ. „საქართველოს რესპუბლიკა“ (თანაავტორები: რ. მეტრეველი, ო. ჯაფარიძე). 1997, 26. IX.

27. ქართველი მეცნიერების მონაწილეობის საკითხისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1997, 28. V.
28. დიდი ქართველი (თანაავტორი რ. მეტრეველი). „ლიტერატურული საქართველო“. 1997, 24-31.X.
29. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ (თანაავტორები: პ. ზაქარაია, რ. მეტრეველი, ნ. შოშიაშვილი, გ. ჯამბურია, ო. ჯაფარიძე). „საქართველოს რესპუბლიკა“. 1998, 10. III.
30. ჯავახეთი (თანაავტორი ნ. შოშიაშვილი). „საქართველოს რესპუბლიკა“. 1998, 18-19. X.
31. იოანე მარუშის-ძე „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 29. XI.
32. კვლავაც გაამდიდრებს ქართულ მეცნიერებას. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1999, 7. XII.
33. სახელმწიფოებრიობის საკითხისათვის საქართველოში, „საქართველოს რესპუბლიკა“. 1999, 26-27. XII.
34. ქართველმა ხალხმა არ უნდა დაუშვას ეროვნული ტრადიციების ხელყოფა. „ქართული უნივერსიტეტი“. 29. IX, 5. X. 2004.
35. ზოგი რამ განათლების სისტემასთან დაკავშირებით „თბილისის უნივერსიტეტი“. 2004. 1. X.
36. ყოველი ქართველი წირვა-ლოცვას მუდამ ქართულად ისმენდა, ახლა კი მეგრულად და სვანურადაც ვილოცოთ? ქართველმა აკადემიკოსებმა ერთხელ უკვე გადაარჩინეს ამისგან საქართველო – ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ. „ქართული გაზეთი“. 13-14 ოქტომბერი. 2005, 13-14, X.
37. რა დაბრუნებაზეა ლაპარაკი, როცა აფხაზებს ჩვენი დანახვაც არ უნდათ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2005, 21. VII.
38. ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს (გვარების გამოცვლის გამო), 29 ხელმოწერა. „რეზონანსი“. 2005, 16. VI.
39. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები აქციებით იმუქრებიან. „ახალი თაობა“. 2005, 29. IX.
40. უნივერსიტეტს ფაქტიურად აუქმებენ. „ახალი თაობა“. 2005, 18-24 IX.
41. ჩემ თვალწინ უნივერსიტეტს მარხავენ. „მთელი კვირა. საქართველოს ამბები“. 2005, 4. VII.
42. ახალი რუბრიკა. „თბილისის უნივერსიტეტი“. 2005, 21. IV.

43. საქართველოში ანტისომხური განწყობა არ არის, ნურც სხვები დათესენ. „ჯორჯიან თაიმსი“. 2005, 14-21 XII.
44. ისტორიული აფხაზეთი უძველესი დროიდან ქართული მხარე იყო (ბ-ნ ანზორ შონიას სტატიის გამო). „საქართველოს რესპუბლიკა“. 2005, 2-3 VI.
45. გავუფრთხილდეთ საკუთარ ისტორიას. „ახალი 7 დღე“. 2005, 20-26. X.
46. კონფლიქტების მოგვარების საქმეში საზოგადოებაც უნდა აქტიურობდეს. „ახალი თაობა“. 2005. 21. VII.
47. უნივერსიტეტს თავისი უფლებები უნდა აღუდგეს. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2006. 4. VII.
48. ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს ვ. პუტინს. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2006, 7 XI.
49. Дезинформация идет от недоброжелателей (письмо Путину). 11 ноября, 2006.
50. ამერიკაში მიხვდნენ, რომ 65 წელი მეცნიერისათვის საპენსიო ასაკი არ არის. „ახალი თაობა“. 2006. 12-18 III.
51. სამარისებური სიჩუმე და ნაკუწებადქცეული წერილი. „თბილისის უნივერსიტეტი“. 2006, 20 XII.
52. აუცილებელი რეფორმა – უკომპრომისო ხელისუფლება და მწვავე კითხვა – ქუჩა სჯობს თუ საუნივერსიტეტო მერხი. „გზა“. 2006, 29. V-5. VII.
53. დავით გარეჯის ხელყოფა სარწმუნოების ხელყოფაა. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2007, 29, III.
54. დავით გარეჯი სამონასტრო რესპუბლიკად უნდა გამოვაცხადოთ. „ახალი თაობა“, 2007, 11, IV.
55. რექტორის დაუწერელი კონცეფცია, უხუცესთა მოსმენა. „თბილისის უნივერსიტეტი“. 2007, 15, I.
56. მისთვის სამშობლო „ივერია“ საქართველო იყო – გიორგი შარვაშიძე, 160. აფხაზეთის მთავრობის სპეციალური გამოშვება. 2007, 14 მაისი.
57. Открытое письмо мэру Москвы господину Лужкову Ю. М. Газ. "Свободная Грузия". 11 декабря, 2007.
58. „ბრძანება ზემოდან“ უნივესიტეტში ვერ გატარდა. „თბილისის უნივერსიტეტი“. 2007.

59. ისტორიული რეალობა. „ერთობა“. 2008, 4 IX.
60. ისტორიული რეალობა. „ერთობა“. 2008. 5 X.
61. ნეტავ იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს!. „თბილისის უნივერსიტეტი“. 2008, 10 III.
62. ხვალ რუსეთი თვითმფრინავებით და ტანკებით ჩვენზე რომ წამოვიდეს, მე ამას არ გამოვრიცხავ! „კვირის ქრონიკა“. 2009, 4-10 V.
63. რა გვექნა?! სხვა გზა არ გვქონდა! მინიშნებით ველაპარაკებოდით სტუდენტებს, პირდაპირ ხომ არ ვეტყოდით?! „ჯორჯიან თაიმსი“. 2010, 7-14 X.
64. ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა განათლების დარგში წლის ქალბატონად დაასახელა. „თბილისის უნივერსიტეტი“. 2008, 6 VI.
65. ლექსები. „რეზონანსი“. გალაკტიონი. 2010, 18 VII.
66. ლექსები. „რეზონანსი“. გალაკტიონი. 2010, 19 IX.
67. როგორ საქართველოზე ოცნებობენ ნიკო ლორთქიფანიძის შვილები. „ყველა სიახლე“. 2010, 22-28 IV.
68. შეიძლება ქართველები გავზარდოთ რუსების სიძულვილით? კი ბატონო, მაშინ ბავშვები უნდა გავზარდოთ თურქების, სპარსელების, არაბების სიძულვილით... რა უნდა ასწავლონ ქართველ ბავშვებს რუსეთის ოკუპაციის შესახებ? „ალია“. 2010, 8-12 ივლისი.
69. ვალმოხდილი. შოთა ლომსაძის 85 წლისთავის აღსანიშნავად. „მწერლის გაზეთი“. 2010, 1-15 ივნისი.
70. რას ვერჩით თბილისს, დააშავა რამე? „ყველა სიახლე“. 2011, 12-18 V.
71. ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ ასეთი ბრძოლა ჩვენს ხალხს არ ახსოვს. „ყველა სიახლე“. 2011, 26 ოქტომბერი - 1 ნოემბერი.

საენციკლოპედიო სტატიები

დიდი საბჭოთა ენციკლოპედია
II გამოცემა
(БСЭ)

1. Багратионы.
2. Картли.
3. Кахети.

4. Летописи Закавказья

საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედია

1. Вахтанг VI.
2. Вахтанга законы.
3. Вахушти Багратиони.
4. Вахтанг I Горгасали.
5. Давид III (Куропалат).
6. Георгий Мерчуле.
7. Давид Строитель.
8. Джавахишвили И. А.
9. Джанашиа С.Н.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე)

1. არაბობა საქართველოში
2. აბულ კასიმის ლაშქრობა საქართველოში.
3. აბუსერიძე ტბელი.
4. აფხაზთა სამეფო.
5. გიორგი I.
6. გობრონი.
7. დავით II ქართველთა მეფე.
8. დავით III დიდი.
9. „დაცვის სიგელი“.
10. დემეტრე უფლისწული (დემნა).
11. თამარი.
12. თბილელი ბერები.
13. თბილისის საამირო.
14. „მატიანე ქართლისა“.

15. ორბელთა ავჯანყება 1177-1178.
16. ჯანაშია სიმონ.
17. ჯაფარ ალის ძე.
18. ჯაფარიანები.
19. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დამატებითი ტომი. საქ. სსრ, თბ. 1981.
    ა) ქართულად: საქართველო IV-X სს.
    ბ) რუსულად: Грузия в IV-X вв.

ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. I. თბ. 1997

1. აბულ კასიმის ლაშქრობა საქართველოში.
2. აბუსერიძე ტბელი.
3. ამირა.
4. ანისი.
5. არაბობა საქართველოში.
6. აფხაზთა სამეფო

ლექსიკონი „ივანე ჯავახიშვილი“. თბ. 2002

1. აბაშიძე დავით.
2. აბულ-კასიმი.
3. ალი შუაბის ძე.
4. ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“.
5. აღმწერელი ჰამბავისა.
6. აღრიცხვა.
7. ახალგაყრილი.
8. ახო.
9. ბაგრატიონები.
10. ბასილი ეზოსმოძღვარი.
11. გამოსაღები.
12. გარსევანიშვილი ტეტია.
13. დავით პეტრიწონელი.
14. დაზგა.
15. ვახტანგ I გორგასალი.
16. ზოდეხი.

17. ზრო.
18. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი.
19. ივერიის თემი-საკატაპანო.
20. ისტორიოგრაფია.
21. ივკინტონის წიგნი.
22. კაი კვამლი.
23. კვეცენი.
24. კვირტი.
25. კიკორაძე.
26. კოსტანტაძე.
27. კრებულნი.
28. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“.
29. მარკვარტი.
30. „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“.
31. მასუდი.
32. „მატიანე ქართლისა“.
33. მეგოდრე.
34. მეკოშრე.
35. მირზაშვილი.
36. „მოქცევა ქართლისა“.
37. მოხელე.
38. მუავია.
39. მუშელი.
40. ნასყიდი.
41. ორბელიანი რევაზ.
42. ორთაღი.
43. საგოდებელი.
44. სადიასპანო ცხენი.
45. საკუთრება სამეფო.
46. საპირფარეშოს იარაღი.
47. სარკინოზი.
48. საური.
49. „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“.
50. „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები“.

51. „საქართველოს სამოთხე“.
52. საშობაო.
53. სესხი.
54. სუმბატ დავითის ძე.
55. ალ-ტაბარი.
56. ტბელები.
57. უსტაბაში.
58. უშენი.
59. ფადლა II.
60. ფადლონ I.
61. ფადლონი.
62. ფადლუნი.
63. ქავთარ ბარამის ძე.
64. ქალდეველნი.
65. „ქართლის ცხოვრება“.
66. ქერელი.
67. ქერქმაგარი და ქერქრბილნი.
68. ქუბა.
69. ქუზიხანა.
70. ღერო.
71. შეშთაობა.
72. შიო.
73. შურტა.
74. „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“.
75. „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.
76. „წელიწადი განსუენებისა“.
77. წყაროთმცოდნეობა.
78. ჭალაშვილი ერაჯ.
79. ხაზინა. ხოჯა აზიზი.
80. ჯუანშერი.
81. ჯუანშერი.
82. ჰაბიბ იბნ მასლამა.
83. ჰერეთი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

თედო დუნდუა

აღმოსავლურქართული შუა ბრინჯაოს ხანის (თრიალეთური) კულტურა და არიული *receptio*

არის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სადღაც ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანებისთვის აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მომცველი ეკონომიკური სისტემა *receptio*-ს პრინციპს დაექვემდებარა – სამხრეთისკენ დაძრული არიული კლანების ნაწილი აქ დარჩა, ის შეერწყა ადგილობრივ მმართველ ფენას და ასიმილირდა. მმართველი ფენა კი დანამატს, ალბათ, ნამდვილად საჭიროებდა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ხანა სწორედ რომ ეკონომიკური სისტემის გენეზისის ხანაა, საძმოთა შორის დაპირისპირების ხანაა; ეკონომიკური ინტეგრაციის შორეული პერსპექტივა კი საყოველთაო სოციალური კონტრაქტი უნდა ყოფილიყო. არქეოლოგიური მასალა არიელების შემოჭრის შესახებ მხოლოდ ფრთხილი ჰიპოთეზის კონსტრუქციის საშუალებას იძლევა. ლექსიკური მონაცემები უფრო კატეგორიულია. აშკარაა, რომ მართვასთან დაკავშირებული ტერმინები არიული ღმერთის, მითრას სახელს უკავშირდება.[1] შესაძლებელია თუ არა, ლექსიკურ ფონზე დაყრდნობით, კიდევ უფრო შორს წასვლა?!

ეკონომიკური სისტემისადმი კუთვნილების, ანუ ეთნიკურობის, შესაბამისი ტერმინის მაწარმოებელი სუფიქსები ინდოევროპულ ენებში ჩვენი კვლევის საგანია.

---

[1] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმინსმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 194-198; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. საქართველოს ისტორია: თემატური თუ ქრონოლოგიური პრინციპი? თბ. 2000, გვ. 37; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ΜΙΘΡΑΣ საქართველოში. თბ. 2010, გვ. 6-16.

English, Irish, Danish, Swedish, Finish, Polish, Spanish – სუფიქსი ***iš***.

Chinese – სუფიქსი ***iz***.

Norwegian, Hungarian, Bulgarian, Serbian, Georgian, Armenian, Iranian – სუფიქსი ***ian***.

American – სუფიქსი ***an***.

Slavonic (?) – სუფიქსი ***iḳ***.

ე.ი. ინგლისურ ენაში კონკრეტული კუთხით საინტერესო სუფიქსების სისტემა ასეთია: ***iš, iz, ian/an,ḳi*** .[2] დამატებით, ეს სუფიქსები ზედსართავ სახელს აწარმოებს.

რუსულში ***iḳ***-ს ენაცვლება ***sḳ*** (русский), ან ***iaḳ*** (поляк), ***ian/an***-ს ***anin/in*** (англичанин, грузин), ***iz***-ს ***ec*** (голландец), ეს უკანასკნელი ენაცვლება აგრეთვე ***iš***-ს, და, ალბათ, ***iḳ*** -საც.[3] ეს სუფიქსებიც აწარმოებს ზედსართავ სახელს.

Φασιανός, Βοσποριανός, Βακτριανός, Ἕλλην – იშვიათად, ბერძნულში ეთნიკურობის მაწარმოებელი სუფიქსებია ***ian, en***. ეს სუფიქსები არ აწარმოებს ზედსართავ სახელს. თუმცა არის მოსაზრება, რომ ყოველივე წინაბერძნულიდან არის შეთვისებული.[4]

i, aiiana, ā/ăna, iia – პატრონიმების მაწარმოებელი ავესტასეული სუფიქსებია.[5]

ean/uni სომხურში გვარის მაწარმოებელია, ხშირ შემთხვევაში, ტოპონიმიდან. მაგ., არწრუნი, გნუნი. ზედსართავს ისინი არ აწარმოებს (ზმნიდან ზედსართავს აწარმოებს ***un***, ვიღებთ მიმღეობას. იხ. ი. შილაკაძე. ძველი სომხური ენის გრამატიკა. თბ. 1975, გვ. 186-187).

Anglais, Français, Japonais, Portugais – ეთნიკურობის შესაბამისი ტერმინის მაწარმოებელი სუფიქსი ფრანგულში ადრე იკითხებოდა, როგორც ***es***.

Georgien, Iranien, Italien – სუფიქსი ***ien*** (ადრე ასევე გამოითქმებოდა).

---

[2] Webster's Third New International Dictionary of the English Language Unabridged. Springfield, Massachusetts. USA. 1981.

[3] П. Я. Черных. Историческая грамматика русского языка. Краткий очерк. М. 1952, გვ. 126-130; Русская грамматика. Т. I. М. 1980, გვ. 471.

[4] რ. გორდეზიანი. მედიტერანულ-ქართველური მიმართებები. II. წინაბერძნული. თბ. 2007, გვ. 29-37.

[5] Personal Names, Iranian II. Avestan Names. Encyclopaedia Iranica. 2012. www.iranicaonline.org/articles/personal-names-iranian-ii-avestan.

ე.ი. ფრანგულ ენაში ეთნიკურობის შესაბამისი ტერმინის მაწარმოებელი სუფიქსებია – ***es/e, ien***.[6] ეს სუფიქსები ზედსართავ სახელს არ აწარმოებს.

ე.ი. ეთნიკურობის, ხანდახან გვარის, შესაბამისი ტერმინის მაწარმოებელი ინდოევროპული სუფიქსებია:

ინგლისური	**iš**	**iz**	**ian/an**	**iḳ**
რუსული	**ec**	**ec**	**anin/in**	**sḳ iaḳ ec**
ბერძნული			**ian, en**	
სპარსული			***i, aiiana, ā/ăna, iia***	
სომხური			**ean/uni**	
ფრანგული	**es, e**		**ien**	

ქართულ ენაში ***ian*** გვარის მაწარმოებელია (მაგ. ფარნავაზიანი),[7] აგრეთვე – ზედსართავისაც. ***is*** ტოპონიმის მაწარმოებელია; იშვიათად – ქვეყნის სახელისაც (მაგ. ინგლისი). ნუთუ ეს შემთხვევითობაა?! ალბათ, არა. რა არის სოციალური კონტრაქტის საფუძველი? დიდი გვარი, კლანი. ვის მიერ არის შემოტანილი ჩვენში პოლიტიკური ტერმინოლოგია? არიული კლანების (?). განა, რა არის შეუძლებელი იმაში, რომ გვარის ***ian*** მაწარმოებელიც არიული ლინგვისტური პლასტი ყოფილიყო?! ***is*** კი ტრანსფორმირდა ტოპონიმის და, იშვიათად, ქვეყნის სახელის მაწარმოებლად.[8]

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ბევრი შეკითხვის დასმაა შესაძლებელი; თუნდაც ასეთის – არის კი ***ian/an, anin/in, ian, en, i, aiiana, ā/ăna, iia, ean/uni, ien***, კონკრეტული სემანტიკური შესაბამისობით, ინდოევროპული სუფიქსი?! მაგ. ***Iunan*** თურქულადაც და არაბულადაც იონიელი, ანუ, ამ შემთხვევაში, ბერძენია. თუმცა, შესაძლებელია, მათ ეს ტერმინი (სუფიქსიანად) სპარსელებიდან გადაიღეს.

ამრიგად, ეკონომიკური სისტემის **მართვისთვის** შეკრული აღმოსავლურქართული კლანები არიული სუფიქსაციით აწარმოებენ ნომინალს, მათი

---

[6] A. J. Graimas. Dictionnaire de L'Ancien Français jusqu'au Milieu du XIV Siècle. Paris. 1969.

[7] ს. ჯუმბურიძე. დედაენა ქართული. თბ. 1987, გვ. 296.

[8] განსხვავებული მოსაზრებისთვის იხ. დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი. ქართული მართლწერის წესები და საკარჯიშოები. თბ. 2008, გვ. 63.

განსახლების პუნქტის სახელი კი, რიგ შემთხვევაში, ***is*** სუფიქსს ირთავს.

ეს სუფიქსები არც დასავლეთ საქართველოსთვის არის უცხო. შესაძლოა, არიული სუპერსტრატები აქაც ყოფილიყო. ამის მაჩვენებელია თითქოს ***მედეა – მაგი; მ-არგ-ალ-ი*** = ***regi*** და სხვ. ან კი, ყოველივე აღმოსავლურ-ქართული ლინგვისტური „იმპორტია". ქვემოთ მოყვანილი არქეოლოგიური ექსკურსი ამ მხრივ სიმპტომატურია: შუა ბრინჯაოს ხანაში კონტაქტები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის სუსტია, დასავლეთ საქართველოს კულტურული ევოლუცია თითქმის იზოლაციის პირობებში მიმდინარეობს. ძვ. წ. II ათასწლ. I ნახევრით თარიღდება ლითონის იარაღის განძები – ბიჭვინთის, გაგრის, ლიხნის კომპლექსები შეიცავს ცულებს, რომლებიც გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური ცულების პროტოტიპად არის მიჩნეული. მეტად საინტერესოა საცხოვრისი ბორცვები ცენტრალური კოლხეთიდან – დიხაგუძუბა I და II, ნაოხვამუ. სხვა ვითარებაა უფრო აღმოსავლეთით – ბრილის სამაროვნიდან მომდინარე მასალა შიდა ქართლის ძეგლებთან პოულობს სიახლოვეს. ძვ. წ. II ათასწლ. II ნახევარში დასავლეთ საქართველოში მეტად თავისებური კულტურა ჩამოყალიბდა, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში კოლხურს უწოდებენ. მასში გამოიყოფა განვითარების ორი ეტაპი: გვიანი ბრინჯაოს (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახევარი) და ადრერკინის, რომელიც ძვ. წ. VII ს. მიწურულისთვის მთავრდება. კულტურის გავრცელების არეალი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ტერიტორია: ორდუ, ართვინი, ყარსი. ძვ. წ. II ათასწლ. მიწურულიდან ეს კულტურა სვანეთში ვრცელდება, თუმცა მალე თავისებურ ხასიათს იღებს. განახლდა კონტაქტები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის და ამ მიმართებებში ამჯერად წამყვან როლს კოლხური კულტურის მატარებელი ხალხი ასრულებდა. დასავლეთის კულტურული გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო შიდა ქართლში, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში (ცხინვალის რ-ნი) – აქ ერთმანეთს ხვდებოდა დასავლურ და აღმოსავლურქართული კულტურები. ძვ. წ. II ათასწლ. მიწურულიდან შიდა ქართლზე ალაზან-ივრის აუზის კულტურული რადიაცია იგრძნობა, აქედან კი ის იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმზე ვრცელდება.[9]

ამრიგად, პირველადი სოციალური კონტრაქტის, და პროტოფეოდალური საუფლო სახლის ნომინალური გენერაციული სუფიქსი – ***ian,*** აგ-

[9] თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. საქართველოს ისტორია: თემატური თუ ქრონოლოგიური პრინციპი? თბ. 2000, გვ. 39-40.

რეთვე სოციალური კონტრაქტის სოციალური ქმედების და ადეკვატური ფიზიკურ-გეოგრაფიული კორპუსკულის სინთეზის ვერბალური მაწარმოებელი ბოლოსართი – ***is***, არაავტონტონურია. ეს ინდოევროპული ლინგვისტური პლასტები არიული სოციალური სუპერსტრატის ლოკალური ფუნქციონირების მაჩვენებელი უნდა იყოს.

Tedo Dundua

MIDDLE BRONZE AGE (TRIALETI) CULTURE IN EASTERN GEORGIA AND THE ARYAN *RECEPTIO*

Summary

The story about the Aryan clans passing the Great Caucasian range, moving towards Mesopotamia and leaving some of their men in what is now Eastern and Southern Georgia has been already told. Their involvement into integratory processes being active there about the 15th c. B.C. was so deep, that, even losing completely their identity, still they managed to establish all local lexical terms linked up with newly founded political semantics according to their own pattern. Name of Aryan god (devi) of the sun and social contract, Mithra, became phonetical prototype for the Georgian words like "martva" (rule), "samartali" (law) etc.

If suffix-system of the Georgian language observed thoroughly, one can notice the Aryan influence even there.

In the remoted times, the Georgian surnames were derived with the help of suffux ***ian*** (ex. Pharnavaz-**ian**-i) and the places where those big clans dwelt sometimes had name derived with suffix ***is***.

Both of them are the common suffixes for Indo-European languages, mostly for ethnonyms, partly for the surnames (like in Persian and Armenian languages).

We are inclined to consider the Aryans to implement their suffixes for the Georgian surnames and toponyms.

From Eastern Georgia these suffixes moved to Western Georgia. Indeed, in the highlands we have still the surnames with ***ian*** suffix.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

როლანდ თოფჩიშვილი

ეთნოგენეზის პროცესისა და ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ

ყველა თანამედროვე ხალხის ისტორიას, ჩვეულებრივ, მისი წარმოშობით – ეთნოგენეზით იწყებენ, ეთნოგენეზი კი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, რთული და მნიშვნელოვანი პრობლემაა. ეს სირთულე ძირითადად ძველ, ისტორიის სიღრმეში წარმოქმნილი ხალხების ეთნოგენეზს ეხება, რადგან პროცესის ამსახველი საისტორიო წყაროები მეცნიერებს, ფაქტობრივად, არ აქვთ. თუ შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ეთნიკური პროცესების შესასწავლად პრიორიტეტი საისტორიო და ეთნოლოგიურ მონაცემებს ენიჭება, უფრო ადრეული პერიოდებისათვის პრიორიტეტული ლინგვისტური, არქეოლოგიური და პალეოანთროპოლოგიური მონაცემებია.[1] წყაროების სიმცირე მკვლევართ სხვა, დამხმარე მონაცემების მოძიებისაკენ უბიძგებს. ძველი, ასაკოვანი ეთნოსების ეთნოგენეზის შესასწავლად კი საჭიროა ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების (ეთნოლინგვისტიკის), ფიზიკური ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის მონაცემთა ურთიერთშეჯერება; თუმცა ბევრი ეთნოსის ფორმირების შესახებ ამ მონაცემთა კომპლექსური შესწავლა მაინც ძალზე რთული პროცესია და ხშირად ზემოაღნიშნულ სამეცნიერო დისციპლინათა წარმომადგენლები ერთმანეთისაგან შეუთანხმებელ და ურიერთსაწინააღმდეგო დებულებებს ავითარებენ. ჩამოთვლილი დარგებიდან ეთნოლოგიას ერთგვარი „პრიორიტეტი“ აქვს, რადგან ეთნოგენეზის თეორია ამ მეცნიერების წიაღშია შექმნილი. რაც შეეხება ახალგაზრდა ეთნოსებს, რომელთა ეთნოგენეზი ადრე შუა საუკუნეებსა და შემდგომ პერიოდს უკავშირდება, მის შესასწავლად საისტორიო მეცნიერების ძა-

[1] А. Ю. Милитарев, И. И. Пейрос, В. А. Шнирельман. Методические проблемы лингвоархеологичеких реконструкций этногенеза. Советская этнография. №4.1988, გვ. 24.

ლისხმევაც საკმარისია.

ეთნოგენეზის პროცესის შესახებ დღეისათვის ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებაა მიღებული: ა) ეთნოგენეზი სოციალური პროცესია, ბ) ეთნოგენეზი ბუნებრივ-გეოგრაფიული მოვლენაა. უპრიანი კი იქნებოდა ეთნოგენეზის პროცესისათვის სოციობუნებრივი/სოციოგეოგრაფიული პროცესი გვეწოდებინა. ცნობილია, რომ ბიოლოგიური და კულტურული ისტორიის მოვლენები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ არსებობს – ისინი ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია; საზოგადოება და მისი გარემომცველი ბუნება ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ.[2] სხვათა შორის, სხვადასხვა ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პროცესებს თუ თვალს გავადევნებთ, აღმოვაჩენთ, რომ წამყვანი ხან სოციალურ-პოლიტიკური და ხანაც ბიოსფეროს ფაქტორია. ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელი ფაქტორის გამორიცხვა, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი ერთადერთ ფაქტორად მიიჩნევდა,[3] წარმოუდგენელია.

ლ. გუმილიოვის კონცეფციით, ეთნოგენეზი მუდმივი პროცესია, რომელიც ეთნოგენეზის პროცესად განიხილავს არა მხოლოდ ეთნოსის წარმოქმნას, არამედ განვითარებას და გაქრობასაც. უფრო ადრე ანალოგიური შეხედულება სხვა მკვლევართაც ჰქონდათ გამოთქმული.[4] თუმცა ეთნოგენეზის პროცესის უწყვეტ პროცესად მიჩნევა წარმოუდგენელია. ის იქ მთავრდება მაშინ, როდესაც მოცემული ეთნიკური ერთობა წარმოიქმნება; ეთნოსის წარმოქმნის შემდგომი მთელი პერიოდი კი ეთნიკური ისტორიაა,[5] რომელსაც აქვს აღმავლობისა და დაღმასვლის ეტაპები. მეცნიერთა უმრავლესობა სწო-

---

[2] Клайд Кей Мейбен Клакхон. Зеркало для человека. Введение в антропологию. Перевод с английского. СПб. 1998, გვ. 101; Ф. Дескола. По ту сторону природы и культурыю Перевод с французского. М. 2012, გვ. 110. ფრანგი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხალხების შემსწავლელი მეცნიერება – ეთნოლოგია ეყრდნობა ოპოზიციას: „ბუნება“ / „კულტურა“ და, ამასთანავე, ხალხებს აღწერს და სწავლობს, რომელთა უმეტესობისათვისაც ამგვარი დუალიზმი იდუმალებითაა მოცული (გვ. 121).

[3] Л. Н. Гумилев. Этногенез и биосфера Земли. М. 2004.

[4] С. А. Токарев. К постановке проблем этногенеза. Советская этнография. №3. 1949, გვ. 17.

[5] Н. Г. Волкова. Этническая история. Содержание и понятия. Советская этнография. №3. 1985, გვ. 22; Л. В. Хомич. Соотношение понятий «этногенез» и «этническая история» (на примере формирования ненецкой народности). Краткое содержание докладов годичной научной сессии института этнографии АН СССР 1972-1973. Л. 1974, გვ. 61-65.

რედ ამ მეორე შეხედულებას უჭერს მხარს. მუდმივი და იმავდროულად დინამიკურია ეთნიკური პროცესი, რომელიც ორ მოვლენას მოიცავს: ეთნოგენეზსა და ეთნიკურ ისტორიას. ამდენად, ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია სრულიად განსხვავებული მოვლენებია. თუ ეთნოგენეზის დროს ახალი ეთნოსის ფორმირება ხდება ახალი ენითა და ეთნიკური კულტურით, ეთნიკური ისტორიის დროს, მართალია, ეთნიკური პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ ამ დროს მხოლოდ დინამიკური ცვლილება ხდება, შერევები აქაც მიმდინარეობს, მაგრამ ის ენისა და კულტურის (ტრადიციების, წეს-ჩვეულებების) ცვლილებას არ იწვევს.

ეთნოგენეზის პროცესებს თან ახლავს მიგრაციები, ხშირად ერთი ხალხის მეორეზე ბატონობა; ის მიმდინარეობს გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე (ხშირად ორი ლანდშაფტის საზღვარზე), გარკვეული დროის მონაკვეთში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი და რელიგიური ზემოქმედების ბერკეტები. არსებითი მნიშვნელობა აქვს საქორწინო ტრადიციებს — ენდოგამიური ეთნოსები მეტ-ნაკლებად დაცულია ასიმილაციური პროცესებისაგან. სწორედ ამ ფაქტორითაა განპირობებული დაღესტანში ენობრივ-ეთნიკური სიჭრელე — ასეთ პირობებში სამეტყველო კოდების შერევა, ფაქტობრივად, არ ხდებოდა.[6] ანატოლიაში შუა აზიიდან მიგრირებულ თურქულ ტომებს ადგილობრივი ხალხების ასიმილაციაში (და თანამედროვე თურქული ეთნოსის ეთნოგენეზში) ხელი ეგზოგამიურობამაც შეუწყო. მიიჩნევენ, რომ თურქთა ეთნოგენეზი ძირითადად XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეებში განხორციელდა, ხოლო მთელი შემდგომი პერიოდი, რომელიც ასევე ინტენსიური ეთნიკური პროცესებით ხასიათდებოდა, მხოლოდ ეთნიკურ ისტორიად განიხილება; ამ დროს მიმდინარეობდა ადგილობრივი და მოსული ეთნიკური ერთეულების ინტენსიური გათურქების პროცესი, ოღონდ არა საერთო ენდოეთნონიმით „თურქი". „თურქს" თავისთავს მხოლოდ თურქი გლეხები უწოდებდნენ. ოსმალეთის იმპერიაში ეთნიკურ ცნობიერებაზე მაღლა კონფესიური ცნობიერება იდგა. ეს განსაკუთრებით არათურქული წარმომავლობის ჯგუფების შესახებ შეიძლება ითქვას, რომლებიც რაოდენობრივად ბევრად აღემატებოდნენ ეთნიკურ თურქებს და რომელთა რაოდენობაც წლი-

[6] რ. თოფჩიშვილი ეთნიკური სიჭრელისა და მრავალენიანობის მისეზების შესახებ დაღესტანში. წიგნში: რ. თოფჩიშვილი. ეთნოისტორიული ეტიუდები. წ. I. თბ. 2005, გვ. 190-203.

დან წლამდე ძალიან იზრდებოდა.[7]

აღიარებულია, რომ ეთნოგენეზის პროცესისათვის დამახასიათებელია გზა სიმრავლიდან მთლიანობისაკენ/ერთობისაკენ, მცირე ეთნიკურ ერთობათა ენათა და კულტურათა სიმრავლიდან უფრო დიდი ეთნიკური ერთობებისაკენ, ე. ი. ენათა და კულტურათა რაოდენობის შემცირებისაკენ. ეთნოგენეზის პროცესის დროს ხდება ორი ან რამდენიმე ეთნიკური ერთობის შერევა, რის შემდეგაც ახალი ეთნიკური ერთობა წარმოიქმნება (სხვათა შორის, ახალ გეოგრაფიულ გარემოში ეთნოსის ქცევის სტერეოტიპის შეცვლას ლ. გუმილიოვი ახალი ეთნოსის შექმნად განიხილავდა. ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებლად მიგვაჩნია). ახალი ეთნოსის წარმოქმნას ერთი ეთნოსიდან მისი ნაწილის გამოყოფაც იწვევდა, თუმცა ასეთ შემთხვევაში დივერგენციის გზით წარმოქმნილი ხალხებიც სხვადასხვა სუპერსტრატულ დანაშრევებს ირთავენ. ნებისმიერი ეთნოგენეტიკური პროცესი ყოველთვის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედების შედეგია: ესენია ეთნიკური ინტეგრაცია და ეთნიკური დიფერენციაცია (გამონაკლისია მხოლოდ ისლანდიელთა ეთნოგენეზი). აღიარებულია, რომ ეთნოსები ახალი ეთნოსების წარმოქმნის წყაროს წარმოადგენენ იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ეგზოგამიური ეთნოსი ერთმანეთის მეზობლად მკვიდრობდა ან იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მეორეს განსახლების არეალში ჩაუსახლდებოდა. ახალი ისტორიიდან, ჩასახლების გზით ეგზოგამიური ეთნოსების შერევით, ეთნოგენეზის ნათელ მაგალითად შეიძლება თურქთა ეთნოგენეზი დავასახელოთ. ბიზანტიელთა განსახლების არეალში თურქული ტომების დასახლებამ ახალი ეთნოსის – თანამედროვე თურქული ეთნოსის – წარმოქმნა გამოიწვია, თუმცა რაოდენობრივად ადგილობრივი ეთნოსები ბევრად სჭარბობდნენ მოსულთ; ადგილობრივი ხალხები თურქებზე კულტურული თვალსაზრისითაც ბევრად განვითარებულნი იყვნენ: ეს იყო ნახევრად მომთაბარე თურქული ტომებისა და ადგილობრივი ხანგრძლივი ბინადრობის მქონე, ძირითადად მიწათმოქმედი ეთნოსების ურთიერთშერევა. მოსულ მცირერიცხოვან თურქულ ტომებს ბერძენთა, სომეხთა, ქურთთა, ქართველთა და სხვათა ასიმილაციაში და, ფაქტობრივად, ახალი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბებაში/ეთნოგენეზში ისლამური რელიგია და სახელმწიფოებრივი ბერკეტები დაეხმარა; მაგრამ ისლამური რელიგია და სახელმწიფოს (ოსმალეთის იმპერიის) მიერ განხორციელებული ღონისძიებები ისეთი ეფექტური ვერ იქნე-

[7] Д. Е. Еремеев. Этногенез турок (происхождение и основные этапы этнической истории). М. 1971, გვ. 111-112, 158.

ბოდა, ოსმალები ენდოგამიურნი რომ ყოფილიყვნენ. ბუნებრივია, მოხდა ახალი ეთნიკური ერთობის კულტურის ფორმირებაც. კულტურული ცვლილება კი მოსულმა ეთნიკურმა ერთობამ განიცადა, რომელმაც ადგილობრივი კულტურული ტრადიციები მნიშვნელოვნად გაითავისა.

რა პროცესია ეთნოგენეზი? როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთნოგენეზის პროცესის დროს ხდება ორი და მეტი ეთნოსის ურთიერთშერევა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს ერთი წინაპრისაგან წარმოქმნილი ეთნოსი.[8] მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ ეთნოგენეზი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორის – დიფერენციაციისა და ინტეგრაციის – ურთიერთქმედებით მიმდინარეობდა. ეთნოგენეზის პროცესი ორი და რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის ურთიერთქმედებისას ერთი ან ორი ეთნოსის დანაწევრების, დაშლისა და გაქრობის პროცესსაც გულისხმობდა.

ხალხთა წარმომავლობის პრობლემით ოდითგანვე იყვნენ დაინტერესებულნი. სხვადასხვა დროის ავტორები ეთნოგენეზის საკვლევად სამ ძირითად „მეთოდს“ იყენებდნენ: ა) გენეალოგიურ პრინციპს, ბ) „წინაპრების“ ძებნას, გ) „წინარესამშობლოს“ იდეას.

პირველი „მეთოდი“ პრიმიტიული და არამეცნიერულია, რომელიც ცალკეული ხალხების წარმოშობას ლეგენდარულ წინაპარს/მამამთავარს უკავშირებდა. ამ „მეთოდს“ მიმართავდნენ ანტიკური ხანის ავტორები, ადრე შუა საუკუნეების მწერლები, რომელთა ეთნოგენეტიკური მონათხრობები ბიბლიური წარმოდგენებით იყო გამსჭვალული. შორს რომ არ წავიდეთ, ასეთი მიამიტური, გულუბრყვილო შეხედულება ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ ავტორს *ლეონტი მროველს,* რომელიც ქართველთა მამამთავრად მითურ პიროვნებას – *ქართლოსს მიიჩნევდა*. ანალოგიური გახლდათ სომხური წყაროების კონცეფციაც – სომეხთა წინაპრებად ისინი *ჰაიკსა* და *არმენს* ასახელებენ.

შედარებით მეცნიერულია ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობა რომელიმე ძველი ხალხისაგან, სხვანაირად რომ ვთქვათ, „წინაპართა“ ძიება. მაგალითად, XVI-XVII საუკუნეებში სლავებს ხან სარმატების, ხან ვანდალებისა და ხანაც გუთების, თრაკიელების, ილირიელების შთამომავლებად მიიჩნევდნენ. ვიმეორებთ, „წინაპრების“ თეორია, ანუ რომელიმე ხალხის ძველი ხალხისგან წარმომავლობა თანამედროვე ეთნოგენეტურ კვლევებში წარმატებით გადაწყდა. მაგალითად, კავკასიელი ოსები ანტიკურ, არაბულ, სომხურ და სხვა წყა-

[8] Л. Н. Гумилев. Хунны в Азии и Европе. Вопросы истории. №6. 1989, გვ. 67.

როებში მოხსენიებული კავკასიის ჩრდილოეთით მომთაბარე ალანების შთამომავალნი არიან, აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ეთნიკური ერთობები – ანტიკური პერიოდის აზოვისპირეთში მოხსენიებული მეოტებისა. ამრიგად, ამა თუ იმ წინაპრისაგან ახალი ეთნოსების წარმომავლობას ზოგჯერ სერიოზული საფუძველი აქვს. მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ თანამედროვე ჩუვაშები ძველ თურქულენოვან ბულგარელთა შთამომავალნი არიან, გვიანდელი სლავები – ვენედებისა. თუმცა ვენედებისაგან სლავების გამოყოფის ეთნოგენეტური პროცესი საბოლოო არ ყოფილა და მალევე ამ ეთნიკურმა ერთობამ სხვადასხვა ეთნოსთან შერევის შედეგად ახალ ეთნოსებს ჩაუყარა საფუძველი. **წარმომავლობის დადასტურება, პირდაპირი ისტორიული კავშირი იგივეობას სრულიადაც არ ნიშნავს, რადგან უშუალოდ მხოლოდ ერთი „წინაპრის“ მემკვიდრე ეთნოსი ბუნებაში არ არსებობს, ყველა მათგანი რამდენიმე ეთნოსის შერევის შედეგადაა ჩამოყალიბებული.** შერევა ყოველთვის ინტენსიური ეთნოსთაშორისი კონტაქტის შედეგად ხდებოდა. ამასთანავე, საწყისი/დასაბამითი ეთნოსები (სუბსტრატები) ქრებოდა, მათ ადგილას კი მათგან განსხვავებული ახალი ეთნოსები წარმოიქმნებოდა, რომლებიც თავიანთ თავს განასხვავებდნენ როგორც სუბსტრატისაგან, ისე მეზობელი ეთნოსებისაგან. ახლად წარმოქმნილ ეთნოსს არა მხოლოდ ახალი ენა და კულტურა ჰქონდა, არამედ მას სხვა, ახალი მახასიათებლებიც ჰქონდა: ეთნოცენტრიზმი, ქცევის ახალი სტერეოტიპი, ახალი ეთნოსოციალური სტრუქტურა, ახალი ეთნოფსიქოლოგია, მენტალობა, თავისი ეთნოსფერა, ეკოლოგიური ნიშა, ახალი ეთნონიმი...[9]

ეთნოგენეტური კონცეფციის მესამე „მეთოდი“ „წინარესამშობლოს“ ძიებას ითვალისწინებდა. „წინარესამშობლოს“ ძიებით განსაკუთრებით ადრე შუა საუკუნეების ავტორები გამოირჩეოდნენ; მაგალითად უნგრული ქრონიკა შეიძლება დავასახელოთ, რომელიც წინაპრების აღმოსავლეთიდან – ურალისპირეთიდან მოსვლის შესახებ მიუთითებს. წინარესამშოლოს ძიება თავისთავად მიგრაციას გულისხმობს. თუმცა ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიგრაცია მხოლოდ საფუძველია ეთნოგენეტური პროცესისა, რაც ახალი ბინადრობის ადგილას მიმდინარეობს. უნგრელთა ეთნოგენეზიც მხოლოდ ადრინდელი საცხოვრებლიდან ახალ საცხოვრისში მადიარების გადასახლების შედეგი არ ყოფილა; ისინი აქ უფრო ადრე მიგრირებული ჰუნების ნარჩენებს, ავა-

[9] В. В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-годов XIX века. СПб. 2007, გვ. 190.

რებს, ბულგარელებსა და სლავებს შეერწყნენ. უნგრელთა ეთნოგენეზი ამითაც არ დასრულებულა. ახალ ეთნოსს აღმოსავლეთიდან (პაჭანიკები, ოღუზები, ყივჩაღ-კუმანები, იასები) და დასავლეთიდან (გერმანელები, ფრანგები, ვალონები, იტალიელები, ვლახები) მიგრირებული ეთნიკური ერთეულებიც ერწყმოდნენ.[10] ახალი ევროპული ეთნოსის ეთნოგენეზი თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უნგრელ ერში პოპულაციურად არამადიარული კომპონენტი უფრო მეტია, ვიდრე მადიარული. სხვადასხვა ეთნიკური ერთეული გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე უნგრულ ენას იღებდა; კულტურა კი ადგილობრივი ლანდშაფტით განპირობებული ჩამოყალიბდა, ნახევრად მომთაბარე კულტურის მქონე მადიარები ბინადარი კულტურის მატარებლებად იქცნიენ.

ცნება „წინარესამშობლოს" მეცნიერებაში გამოყენება, ისევე როგორც „მიგრაციისა", სრულიად მისაღებია. თუმცა „მიგრაციის" თეორია გარკვეულ პერიოდში იმდენად პოპულარული გახდა, რომ მეცნიერები ცდილობდნენ ყველა ეთნოსისათვის „წინარესამშობლო" მოეძებნათ, ქართველთათვისაც გამოიძებნა „წინარესამშობლო" და ისინი სამხრეთიდან მოსულებად გამოცხადდნენ. შემდეგ ეს შეხედულება გადაისინჯა. გამორიცხული არაა ქართველთა მონათესავე ეთნიკური ერთეულების სამხრეთით მკვიდრობა, მაგრამ დასადგენია, ეს ქართველების მიგრაცია იყო თუ პროტოქართველებისა. **მიგვაჩნია, რომ ქართველთა ეთნოგენეზი თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა პროტოქართული და სხვა ეთნიკური ერთეულების შერევის შედეგად.** მიგრაციების („ხალხთა დიდი გადასახლებების") შედეგად ჩამოყალიბდნენ ადრე შუა საუკუნეებში თანამედროვე ევროპელი ხალხები. უნდა მივუთითოთ კიდევ ერთი გარემოების შესახებ: მიგრაცია ყოველთვის არ იწვევს ეთნოგენეტურ პროცესს. მიგრაციული კონცეფციის საყოველთაობამ მეორე უკიდურესობას მისცა დასაბამი. ეს მეორე უკიდურესობა კი ყველა ხალხის ავტოქტონური წარმომავლობის მტკიცებაა. თუ ეთნიკურ ერთობას ახალ საცხოვრებელ გარემოში თან მიაქვს ეთნოსისის ძირითადი მახასიათებლები (ენა, ეთნიკური ცნობიერება), მაშინ ის ისეთივე რჩება, როგორიც იყო. ახალ ლანდშაფტში კი მხოლოდ კულტურის შეცვლას ეთნოგენეზურ მოვლენად ვერ განვიხილავთ. ახალ გეოგრაფიულ გარემოში შესაძლებელია სხვა ეთნი-

[10] რ. თოფჩიშვილი. ევროპის ეთნოლოგია: ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. 2009, გვ. 280-281.

კურ ერთეულებთან შერევებიც, მაგრამ თუ ის ახალი ეთნოსის წარმოქმნას არ იწვევს, მაშინ აღნიშნულ ეთნოსთან დაკავშირებული მოვლენები მხოლოდ ეთნიკური ისტორიის ფაქტებად შეიძლება განვიხილოთ. მაგალითად შეიძლება ირანულენოვანი ალან-ოსები დავსახელოთ. ამ ხალხის ეთნოგენეზი შუა აზიაში – არალისპირეთში მოხდა. ხანგრძლივი და რამდენიმე გზის მიგრაციის შედეგად, მიუხედევად იმისა, რომ სხვადასხვა ეთნიკური კომპონენტი ერეოდა, ალან-ოსებმა ეთნიკური თავისთავადობა და მისი ძირითადი მახასიათებლები – ენა, ეთნიკური ცნობიერება შეინარჩუნეს და ისინი, ფაქტობრივად, ისეთები დარჩნენ, როგორებიც იყვნენ. ბუნებრივია, ტრადიციული კულტურის ბევრი ელემენტი ალან-ოსებმა შეიცვალეს, განსაკუთრებით კი მატერიალური კულტურა და მეურნეობის ფორმები. მომთაბარენი ჯერ ნახევრად მომთაბარეებად იქცნენ, შემდეგ – ბინადრებად, ბოლოს კი სტეპების მკვიდრნი მთიელები გახდნენ. გეოგრაფიული გარემო მხოლოდ ტრადიციული კულტურის შეცვლას იწვევდა, ეთნიკური ცნობიერება კი იგივე რჩებოდა. თუმცა ალან-ოსებმა ტრადიციული კულტურის ბევრი ელემენტი, განსაკუთრებით სულიერი კულტურის სფეროში (მაგალითად, ნართების ეპოსი) შეინარჩუნეს.[11]

მეცნიერთა შორის საკამათო გახლდათ ეთნოგენეზის ხანგრძლივობის საკითხი. გამოთქმულია ორი უკიდურესად განსხვავებული მოსაზრება: ა) ეთნოგენეზი ერთჯერადი ფაქტია, დროის მოკლე მონაკვეთში განხორციელებული; ბ) ეთნოგენეზი ხანგრძლივი პროცესია. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ, ბუნებრივ, ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორთა ერთობლიობაზე. ამრიგად, არც ერთი ხალხის ეთნოგენეტური პროცესი ერთმანეთის ანალოგიური არ არის. იქ, სადაც ეთნოგენეზი ნელი და ხანგრძლივი პროცესი იყო, მკვეთრი და ძირეული გარდაქმნა დროის გარკვეულ მონაკვეთში, მოკლე პერიოდში ხდებოდა; დროის ეს მოკლე მონაკვეთი კი ერთი-ორ თაობას მოიცავს, როდესაც სრულიად ახალი ხალხი ყალიბდება. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში დროის აღნიშნულ მოკლე მონაკვეთს „ეთნიკური კრიზისის" პერიოდს უწოდებენ.[12] „ეთნიკური კრიზისის" პერიოდში წარმოიქმნება ახალი ხალხი და ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ეთნიკური შეჯვარება თამაშობს. ეთნიკური შეჯვარება კი თავისთავად ძალიან ხშირ შემთხვევაში პირიქით პროცესსაც –

[11] Р. А. Топчишвили. Об этногенезе осетин. В кн.: Р. А. Топчишвили. Кавказоведческие исследования. Тб. 2011, გვ. 213-238.

[12] С. А. Токарев. К постановке проблем этногенеза. Советская этнография. №3. გვ. 17.

ეთნიკურ განცალკევებასაც გულისხმობს. ეს კი იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ეთნოგენეტურ პროცესში ერთი ეთნიკური ერთობის გარკვეული ნაწილი მონაწილეობს.

ეთნოგენეზის პროცესის შესახებ მსჯელობისას მეცნიერები გვერდს ვერ უვლიან ისეთ ენობრივ მოვლენას, როგორიცაა ხალხთა სახელწოდებები (ეთნონიმები). მეცნიერები ხშირად შეცდომაში შეჰყავს საისტორიო წყაროებში ნახსენებ ეთნონიმებს, რომლებიც უმრავლეს შემთხვევებში მხოლოდ და მხოლოდ ალოეთნონიმები/ეგზოეთნონიმებია; ასეთი ტიპის ეთნონიმები (გარესახელწოდებები) კი რეალურ ისტორიულ პროცესზე როდი მიუთითებს. ხალხთა სახელწოდებების მიმსგავსებამ და დამთხვევამ ფრიად სარისკო დასკვნები შეიძლება გამოატანინოს მეცნიერს. ხშირად ძველ წყაროებში დაშორებულ გეოგრაფიულ არეალებში სრულიად სხვადასხვა ენობრივ-ეთნიკური წარმომავლობის ხალხი ერთნაირი სახელწოდებით არის მოხსენიებულნი. მაგრამ არსებითი ამ შემთხვევაში არა გარესახელწოდება, არამედ თვითსახელწოდებაა. ადრეული საუკუნეების ავტორებთან მოხსენიებულმა ანალოგიურმა, მიმსგავსებულმა ეთნონიმებმა შემდეგი პერიოდის ავტორებს ზღაპრული დასკვნები გამოატანინა ამა თუ იმ ეთნოსთა საერთო წარმომავლობის შესახებ. ეთნონიმებთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოების შესახებ უნდა აღინიშნოს: სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ეთნოგენეზის პროცესის დასასრულის მაჩვენებელი, ეთნიკურ ცნობიერებასთან ერთად, საერთო ეთნონიმიცაა (ავტოეთნონიმი/ენდოეთნონიმი), რომ ხალხად/ეთნოსად შეიძლება იწოდოს ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელსაც თვითშეგნებასთან ერთად საერთო სახელი აქვს.[13] ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ენობრივ-ეთნიკური ერთობები/ეთნოსები ყველგან დიდი ხნის ჩამოყალიბებული იყო და მათ საერთო, გამაერთიანებელი სახელწოდებები/ეთნონიმები არ ჰქონდათ. ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენლებს თავდაპირველად მხოლოდ ლოკალური, ტერიტორიული სახელწოდებები ჰქონდათ. საერთო, გამაერთიანებელი სახელწოდება ყველა ეთნოსს მხოლოდ ძალიან გვიან, საერთო პოლიტიკური თანაცხოვრების შედეგად გაუჩნდა.[14] შორს რომ არ წავიდეთ, საამისოდ ეთნონიმ „ქართველის“

---

[13] В. П. Алексеев. О самом раннем этапе расообразования и этногенеза. – Этнос в доклассовом и раннеклассовом обществе. М. 1982, გვ. 37.

[14] რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი. თეორიული ეთნოლოგია. 2010, გვ. 235-244. რ. თოფჩიშვილი. ეთნოისტორიული ეტიუდები. წ. I, გვ. 56-68.

ისტორიის გახსენებაც საკმარისია, როდესაც პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ საქართველოს ცენტრალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მკვიდრთა სახელწოდება ყველა დანარჩენ ქართველზეც გავრცელდა.[15] ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე დაღესტის მონაცემები. არცთუ ისე დიდი ხნის წინ ხუნძებით დასახლებულ ტერიტორიას ავარიას და ამ ტერიტორიაზე მოსახლეთ ავარიელებს არავინ უწოდებდა. ხუნძეთის (ავარიის) ყოველ საზოგადოებას საკუთარი სახელწოდება ჰქონდა.[16] აღნიშნულის დამადასტურებელია აზერბაიჯანული ეთნოსის მაგალითიც. ამ ახალგაზრდა ეთნოსს, რომელიც თურქული, ალბანური და ირანული ეთნიკური ერთობების შერევის შედეგად განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა, საერთო, გამაერთიანებელი სახელწოდება – აზერბაიჯანელი – მხოლოდ XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს გაუჩნდა. თანამედროვე აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობა თავიანთი ტომობრივი სახელწოდებებით იწოდებოდა: *ელი, მუსლიმი, თათარი, ყარაფაფახი, ყიზილბაში, ყაჯარი, თარაქამა, თურქი* და სხვ.[17] ამდენად, ზოგიერთი მეცნიერის მიერ **ქართველთა თავდაპირველი თვითსახელწოდების ძიება მხოლოდ დროის ფუჭად ხარჯვაა.** მაგალითად, ქართველთა უძველეს ზოგად სახელწოდებად *უსლარს **მოსოხი*** მიაჩნდა, რასაც *ივანე ჯავახიშვილიც* იზიარებდა: „ლეკები ქართველ თუშებს მოსოხს უწოდებენ. უსლარს სამართლიანად ჰქონდა აღნიშნული, რომ ეს გარემოება იმ შორეული წარსულის ნაშთი უნდა იყოს, როდესაც **მოსოხი** ქართველთა ზოგადი სახელი იყო (Древнейшие сказания о Кавказе: Сборник свед. О кавказских. Горцах, გვ. 312)".[18]

რაც შეეხება ეთნოგენეზის შესასწავლ წყაროებს, ზემოთ აღვნიშნეთ და კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ეთნოგენეზის შესასწავლად ძირითა-

---

[15] დ. მუსხელიშვილი. ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ. 1993.

[16] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ეთნოლოგია. თბ. 2012, გვ. 113.

[17] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ეთნოლოგია, გვ. 250-251.

[18] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წ. I. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ. 1950, გვ. 51. უსლარის მითითებით ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის აღსანიშნავად სახელწოდება „მოსოხი" კლასიკოსს ჰქონია დადასტურებული. საყურადღებოა, რომ XIX–XX საუკუნეების ეთნოგრაფიულ ეთოფაში აღნიშნული სახელწოდება არც ერთ მეცნიერს არა აქვს დაფიქსირებული.

დი წყარო საისტორიო წყაროებია. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მეცნიერთათვის ასეთი წყაროები დეფიციტია. ეთნოგენეზის შემსწავლელი მეცნიერები იძულებულნი არიან დამხმარე წყაროებს მიმართონ. ასეთი დამხმარე წყაროები კი ჰქონდათ არქეოლოგებს, ლინგვისტებს, ფიზიკურ ანთროპოლოგებს, ეთნოლოგებს, ფოლკლორისტებს. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მეცნიერთა მონაცემების კომპლექსური შესწავლაც კი ხშირად სათანადო შედეგს არ იძლევა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ეთნოსს მონათესავე ენობრივი/ეთნიკური ერთეული არ ჰყავს. შევეხოთ რამდენიმე მათგანს.

ეთნოგენეტური პროცესების შესასწავლად მნიშვნელოვანი დამხმარე მასალაა არქეოლოგიური წყაროები. არქეოლოგიური მასალა ძირითად წყაროდ, ფაქტობრივად, არ გამოიყენება. კულტურის მკვდარი ძეგლებით ეთნიკური მიკუთვნებულობის გარკვევა სათუოა. ეთნოლოგებისათვის არაერთი ფაქტია ცნობილი, როდესაც ერთი და იგივე ან ძალიან მსგავსი მატერიალური კულტურა დამახასიათებელია ისეთი ხალხებისათვის, რომლებიც ენობრივად/ეთნიკურად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მსგავსი მატერიალური კულტურა ხშირად მეზობელ, სხვადასხვა წარმოშობის ეთნოსებს ახასიათებთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამ ხალხების განსახლების არეალი გეოგრაფიულად ერთნაირია. ხშირია პირუკუ შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იმავე ხალხის სხვადასხვა ტერიტორიულ, ლოკალურ ერთეულებს განსხვავებული მატერიალური კულტურა აქვთ. ამ შემთხვევაშიც მატერიალური კულტურის მრავალფეროვნებას ლანდშაფტი განაპირობებდა. ხშირად, როდესაც მეცნიერები ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურის ეთნიკურ იდენტიფიკაციას ახდენენ, ანგარიშს არ უწევენ იმ პერიოდში ეთნოსთა განსახლების არეალების მოცულობას. მაგალითად, გამორიცხულია, რომ III ათასწლეულში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ერთი ეთნოსი ყოფილიყო. მტკვარ-არაქსის კულტურა არა მხოლოდ კავკასიაში მოიცავდა დიდ ტერიტორიას, არამედ მის ფარგლებს გარეთ – სამხრეთითაც ვრცელდებოდა. ასეთი დიდი გეოგრაფიული არეალები კი იმ დროს მხოლოდ ერთი ხალხის საცხოვრისი არ იყო. შესაბამისად, ერთი მატერიალური კულტურის მატარებელი ორი და მეტი ეთნიკური ერთობა იყო. კულტურის ელემენტები ხომ მიგრაციის გარეშეც თავისუფლად ვრცელდებოდა ერთი ეთნოსიდან მეორეში. ამდენად, მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემებით, არქეოლოგიური მატერიალური კულტურით ეთნოგენეზური პროცესების კვლევა ფრიად სარისკოა. ასეთ რისკზე XX საუკუნეში უფრო საბჭოთა არქეოლოგები მიდიოდნენ,

რომლებიც ძალიან ხშირად არქეოლოგიურ კულტურას რომელიმე ეთნოსს მიაკუთვნებდნენ და ამა თუ იმ ეთნოარქეოლოგიური ერთობის საზღვრების ენობრივთან თანხვედრას უყოყმანოდ ადასტურებდნენ.[19] მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც არქეოლოგიური მასალები წერილობითი და სხვა წყაროების მონაცემებითაც მაგრდება, ეთნოგენეტური პროცესის შესწავლა უფრო დამაჯერებელია. სხვათა შორის, ზოგიერთი მეცნიერი ხაზგასმით მიუთითებს ეთნოგენეტურ კვლევებში არქეოლოგიურ მონაცემთა გამოყენების მეთოდების არასრულყოფილების შესახებ. აღნიშნავენ, რომ დროა უარი ვთქვათ არქეოლოგიაში *კონინიზმზე,* ე.ი. არქეოლოგიური კულტურების ეთნიკურ ერთობებთან ერთმნიშვნელოვან, ცალსახა გაიგივებაზე.[20]

საფრთხილოა დამოუკიდებლად მხოლოდ ფიზიკური ანთროპოლოგიური მონაცემების გამოყენებაც, რადგან ერთი და იგივე ანთროპოლოგიური ელემენტები დამახასიათებელიფ ყველაზე განსხვავებული ხალხებისათვისაც, რომლებიც ენითა და კულტურით შორს დგანან ერთმანეთისაგან. ერთი და იგივე ანთროპოლოგიური ტიპი შეიძლება ძალიან დიდ ტერიტორიაზე იყოს გავრცელებული, მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მიუხედავად. გარკვეული სრულყოფილი შედეგების მისაღებად კი აუცილებელია ანთროპო-

[19] Л. С. Клейн. Стратегия синтеза в исследованиях по этногенезу (интеграция наук и синтез источников в решении проблем этногенеза). Советская этнография. №4. 1988, გვ. 17.

[20] В. А. Шнирельман. Этногенез и идентичность: националистичекие мифологии в современной России. Этнографическое обозрение, №4. 2003, გვ. 12. ვ. შნირელმანს მაგალითად ჩრდილოეთ კავკასიელი ავტორები მოჰყავს, რომლებიც მითოლოგემებს ქმნიან, როდესაც რამდენიმე ეთნოსი (ადიღეელები, ბალყარელები, ყარაჩაელები) ადრე ბრინჯაოს ხანის მაიკოპის კულტურის მემკვიდრედ აცხადებს თავს. განსაკუთრებით კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ოს ავტორებს, რომლებიც ოსებს ყობანური კულტურის მემკვიდრეებად მიიჩნევენ და რომ გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ყობანური კულტურა თურმე ირანულენოვანი ეთნოსის შექმნილია. აღნიშნულს კი ახალი მითი მოსდევს: ჩრდილოეთ კავკასიაში მოსული ირანულენოვანი მომთაბარეები (სკვითები, სარმატები, ალანები) უცხო დამპყრობლები კი არ იყვნენ, არამედ – სასურველი სტუმრები, ადგილობრივ მკვიდრთა თანამემამულენი. ამ ფანდის საშუალებით, – ირონიულად შენიშნავს ვ. შნირელმანი, – ოსები ინარჩუნებენ ავტოქტონის სტატუსს და ამავე დროს არც მეომარი მომთაბარეების დიდებაზე ამბობენ უარს (გვ. 8). ეს ავტორი ასევე სკეპტიკურია საისტორიო წყაროდ, განსაკუთრებით, ეთნოგენეზის პრობლემების კელეეაში ფოლკლორის გამოყენების შესახებ.

ლოგიური მონაცემების ლინგვისტურ და ეთნოგრაფიულ მონაცემებთან შეჯერება. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ფიზიკური ანთროპოლოგი ეთნოგენეტურ კვლევებში ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებს განუსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდა და მიღებულ დასკვნებს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად მიიჩნევდა, ხოლო ყველა დანარჩენი მეცნიერების (ისტორია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორი) მონაცემებს მხოლოდ ფიზიკური ანთროპოლოგიისა და გეოგრაფიის დამხმარე დისციპლინად აცხადებდა.[21] ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ანთროპოლოგ ვ. ალექსეევის კამათი ლინგვისტ ვ. აბაევთან ოსთა ეთნოგენეზის საკითხებზე. ვ. ალექსეევი ოსებს ადგილობრივ კავკასიელთა შთამომავლებად მიიჩნევდა, რომლებმაც კავკასიაში მოსულ, მიგრირებულ ირანელთა ენა გაითავისეს.[22] მაგრამ როგორ, რატომ? ეს მოსაზრება საისტორიო, ეთნოლოგიური, ფოლკლორული, არქეოლოგიური მონაცემებით შემაგრებული არაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ მოსაზრების აბსურდულობას ოსთა ნართეების ეპოსიც გამორიცხავს. ადგილობრივმა კავკასიელებმა ოსურ ენასთან ერთად ნართების ეპოსიც შეითვისეს? ასევე რადიკალური გახლდათ ვ. აბაევიც – ის განუსაზღვრელ მნიშვნელობას მხოლოდ ენობრივ მონაცემებს ანიჭებდა.

ეთნოგენეზის კვლევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ენათმეცნიერული მონაცემებია, რადგან ენა ერთ-ერთი ეთნიკური ნიშანია, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, არა ერთადერთი.[23] იშვიათი არაა შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა ხალხი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობს. მაგალითებად შეიძლება შოტლანდიელთა, ირლანდიელთა უმრავლესობა მოვიყვანოთ. ისინი ინგლისურად მეტყველებენ, მაგრამ ინგლისელები არ არიან. ისტრო-რუმინელთა მცირე ეთნიკურ ერთობას შენარჩუნებული აქვს თავისი ენა, მაგრამ თავს ხორვატებად მიიჩნევენ. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთი ეთნოსის სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა ენაზე მეტყველებს. ერთმანეთის არ ესმით სელკუპებს; სამხრეთელი/ნარიმელი სელკუპების შვიდ ენდოგამიურ ჯგუფს რუსულ ენაზე აქვს ურთიერთობა ერთმანეთთან. ანალოგიური მდგომარეობაა ხანტებს შორის. ამ ეთნოსის სამ ენდოგამიურ ჯგუფს ერთმანეთის მეტყვე-

[21] В. П. Алексеев. Этногенез. М. 1986, გვ. 11-22.

[22] Происхождение осетинского народа. Орджоникидзе. 1967.

[23] Д. Е. Еремеев. Язык как этногенетический источник (из опыта лексического анализа турецкого языка). Советская этнография. №4. 1967; Свод этнографических понятий и терминов: этнические и этносоциальные категории. М. 1996, გვ. 86-87.

ლება არ ესმის (ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ სამ ხანტურ მეტყველებას ლინგვისტები დიალექტებად მიიჩნევენ. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ მათი „დიალექტები" შეიძლება ცალკეულ ენებადაც ეცნოთ, მაგრამ ამის ხელის შემშლელ გარემოებად იმ ფაქტორს ასახელებენ, რომ სელკუპებიც და ხანტებიც ერთ ეთნოსად გაიცნობიერებენ თავს).[24] სამწუხაროდ, არაერთ შემთხვევას შეიძლება წავაწყდეთ ლინგვისტურ კვლევებში, როდესაც მკვლევრები ეთნოგენეზისა და გლოტოგენეზის პრობლემებს ერთმანეთში ურევენ.[25] **გლოტოგენეზისა და ეთნოგენეზის პროცესები სულაც არ არის ერთი და იგივე. ეთნოგენეზს XIX საუკუნეში მხოლოდ ლინგვისტები სწავლობდნენ – ეთნოგენეზი განიხილებოდა როგორც გლოტოგენეზის ასპექტი. თუმცა ეთნოგენეტური პროცესებისადმი ენათმეცნიერთა კერძო მიდგომის რეციდივები XX საუკუნეშიც გვხვდებოდა.**[26] XX საუკუნის დასაწყისიდან *გ. კოსინის* ძალისხმევით პრობლემის სიმძიმემ არქეოლოგიასა და ფიზიკურ ანთროპოლოგიაზე გადაინაცვლა.[27] პირველ რიგში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენის განვითარება თავისი სპეციფიკური კანონებით მიმდინარეობს, რომლებიც განსხვავდება ეთნოსის ფორმირებისა და ცვლის კანონებისაგან, მეორე – **ეთნოგენეზი გლოტოგენეზზე უფრო ფართო მოვლენაა:** მის სფეროში, მოცემული ხალხის ენის ისტორიის გარდა, შედის ამ ხალხის ისტორია, განსაკუთრებით მისი ეთნიკური კულტურა.[28] მაგრამ დადასტურებული ფაქტია, რომ ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური ისტორიის ძირითადი ეტაპები აისახება ენაზე, რომლებიც ფონეტიკური სტრუქტურის, გრამატიკული სისტემისა და, რაც მთავარია, ლექსიკის ცვლილებას იწვევს. ეს განსაკუთრებით ეთნიკურ ასიმილაციას ეხება, რომლის საფუძველსაც ენობრივი ასიმილაცია წარმოადგენს. ასიმილირებულ ეთნოსებს გარკვეული წვლილი შეაქვთ ახალჩამოყალიბებულ ეთნოსში. უპირველეს ყოვლისა, ეს თვალნათლივ ენაში აისახება

[24] В. Ф. Генинг. Этнический процесс в первобытности (опыт исследования закономерности зарождения и раннего развития этноса). Свердловск. 1970, გვ. 30.

[25] С. А. Токарев. К постановке проблем этногенеза, გვ. 23; Д. Е. Еремеев. Язык как этногенетический источник, გვ. 62.

[26] О. Н. Трубачев. Языкознание и этногенез славян. Вопросы языкознания. №4, 5. 1985.

[27] L. S. Klejn. Kossinna in Abstand von vierzig Jahren. Jahresschrift fur mitteldeutsche Vorgeschichte (Halle). Jg. 58. 1974, გვ. 7-55; Л. С. Клейн. Стратегия синтеза в исследованиях по этногенезу, გვ. 13.

[28] Д. Е. Еремеев. Язык как этногенетический источник, გვ. 62.

(სუბსტრატი). ამ თვალსაზრისით ენათმეცნიერები წყაროდ განსაკუთრებით აქტიურად ტოპონიმებს იყენებენ. ცნობილია, რომ ეს მონაცემები ფართოდაა გამოყენებული სლავების, კელტების, ფინელების, ირანელების ეთნოგენეზის შესწავლაში. მაგრამ ხშირად ტოპონიმების გამოყენება ბევრ კამათს იწვევს. ადგილის სახელები ყოველთვის სუბსტრატული არაა; ტოპონიმი შეიძლება სუპერსტრატული ან ადსტრატული იყოს. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად ისევ ქართული მეცნიერება უნდა მოვიყვანოთ. რამდენიმე ტოპონიმის მაგალითზე ამტკიცებდნენ, რომ ქართველები თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის თავდაპირველი ბინადარნი არ იყვნენ, რომ ქართველთა ეთნოგენეზი სადღაც სამხრეთით მოხდა და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოდესღაც სხვა, ჩრდილოეთ კავკასიური მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. არავის გაურკვევია, ეს რამდენიმე ტოპონიმი რა წარმოშობისა იყო – იქნებ ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან გარკვეული ჯგუფების გადმოსახლების შედეგად იყო წარმოქმნილი. ამის დამადასტურებელი ცნობა კი „ქართლის ცხოვრებაში" მართლაც დაცულია, როდესაც მეფე საურმაგმა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებზე დურძუკები დაასახლა. ტერიტორიის საკითხი კი ეთნოგენეზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან ყველა ხალხი გარკვეული ენით გარკვეული ტერიტორიულ არეალში ჩამოყალიბდა. ტოპონიმების გარდა, ეთნოგენეზურ კვლევებში ფართოდ იყენებენ აგრეთვე ეთნონიმებსა და ანთროპონიმებს. როგორც სამართლიანად შენიშნავენ (*პ. კუშნერი*), ანტიკურ ავტორებთან მოხსენიებული ეთნონიმებისა და ანთროპონიმების გამოყენება ფრიად სარისკოა, რადგან ისინი ხშირად ურევენ ერთმანეთში ტოპონიმებსა და ეთნონიმებს, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ამავე დროს უცხოელ ავტორებთან მოხსენიებული ეთნონიმები ეგზოეთნონიმებია და არა ენდოეთნონიმები; ერთი და იმავე ალოეთნონიმით ხშირად ორ სრულიად სხვადასხვა წარმომავლობის ეთნიკურ ერთობებს მოიხსენიებენ. რაც შეეხება ანთროპონიმებს, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ძველ დროს პიროვნული სახელები ფართოდ ვრცელდებოდა ერთი ხალხიდან მეორე ხალხში, რასაც მეზობელ ეთნოსებთან ეთნოკულტურული კავშირები და პოლიტიკური ბატონობაც განაპირობებდა. ცნობილი ლინგვისტი *ანტუან მეიეც* წუხდა იმის შესახებ, რომ ენათმეცნიერები, რომლებიც უპირატესად საკუთარი სახელების ეტიმოლოგიით ინტერესდებიან, ხშირად ლინგვისტიკიდან გამომდინარე ავანტურისტებად ყალიბდებიან და

მხოლოდ ზოგიერთი მათგანი იცავს ენათმეცნიერებაში შედარებით მეთოდს.[29] არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ონომასტიკური მონაცემების დაუფიქრებელი გამოყენების არაერთი მაგალითი გვაქვს ქართულ მეცნიერებაშიც. მაგალითად, კახეთში, თანამედროვე ახმეტის რაიონში, არსებულმა ტოპონიმმა „ალვანი" ზოგიერთ მეცნიერს აფიქრებინა, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც ალბანელი ხალხის განსახლების არეალი იყო და დასკვნაც შესატყვისი ჰქონდათ მიღებული: ქართული ეთნოსი აქ ექსპანსიის შედეგად გაჩნდა. ზუსტად ასეთივე ტოპონიმი – „ალვანი-ყალე" (მთა) კლარჯეთშიც, ართვინის მიდამოებშიც არსებობდა.[30] ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ალბანელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც ცხოვრობდნენ? საერთოდ კი ტოპონიმის ეთნონიმიდან მიღების ეს გზა გამორიცხულია, რადგან აღნიშნული ხალხის ავტოეთნონიმი „ალბანელი" არასოდეს ყოფილა; უფრო მეტიც: ალბანელებს ქართველები ამ ეთნონიმით არასდროს მოიხსენიებდნენ. ტოპონიმი „ალვანი" სინამდვილეში ბოტანიკური წარმოშობის უნდა იყოს და ალვის ხეს უნდა უკავშირდებოდეს.

ეთნოგენეზის პრობლემის კვლევაში მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული მონაცემებიც, რადგან ყველა ეთნოსი მისთვის დამახასიათებელ ეთნიკურ კულტურას ქმნიდა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მატერიალური კულტურის ეთნოგენეტიკურ კვლევებში გამოყენება საფრთხილოა, რასაც ვერ ვიტყვით სულიერი კულტურის სფეროზე. ხალხთა მატერიალურ კულტურას და სამეურნეო ყოფას ლანდშაფტი განაპირობებდა. ერთი ეთნოსის განსახლების არეალი შეიძლება განსხვავებული ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური ზონები იყოს ან, პირიქით, ორი და რამდენიმე ეთნოსი შეიძლება ერთნაირ ლანდშაფტს ფლობდეს. ასეთ შემთხვევაში კი სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა მათ მსგავსი ექნებათ. სულიერი კულტურა მეტი მდგრადობით გამოირჩევა, ის საუკუნეებს უძლებს, თუმცა არც ისაა უცვლელი. ყველაზე კონსერვატულად და გამძლედ, სრულიად სამართლიანად, დაკრძალვასა და დაკრძალვის წეს-ჩვეულებებს მიიჩნევენ.[31] კულტურა, რა თქმა უნდა, ენა-

[29] А. Мейе. Сравнительный метод в историческом языкознании. М. 1954, გვ. 10.

[30] Кавказ: географические названия и объекты: Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края. По книге Д. Д. Пагирев (1913); Сост. Ю. Л. Меницкий, Т. Н. Попова. Нальчик. 2007, გვ. 45.

[31] Р. Ф. Итс. Этногенетические исследования (О значении различных источников в рамках комплексного подхода). Расы и народы. Т. 17. 1987, გვ. 25.

საც გულისხმობს და მთელ იმ ისტორიულ ტრადიციებსაც, რომლითაც ერთი ხალხი მეორისაგან განსხვავდება, რაც მათ საყოველთაო ინდივიდუალობას ანიჭებს. ეთნოგენეზის პრობლემის კვლევა ეთნოსის კულტურული იერსახის და მისი ელემენტების წარმოშობის გარკვევასაც ითვალისწინებს, სად და როგორ წარმოიქმნა მისი ისტორიული ფესვები; ეს ელემენტები ერთ მთლიან ერთეულად რა პირობებში ჩამოყალიბდა, როგორ ზემოქმედებდნენ ისინი ხალხის განვითარების ხანგრძლივ პროცესში.

ეთნოგენეზური პროცესების კვლევებში, ტრადიციული კულტურის ანალიზის გარდა, არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ლეგენდებს – გადმოცემებს საკუთარი წარმომავლობის შესახებ და ხალხთა გვარტომობრივ შემადგენლობას, აგრეთვე ეთნოსის ტერიტორიულ ერთეულებს. ასეთ გადმოცემებსა და ლოკალურ ერთეულებს კი ეთნოლოგები აფიქსირებენ. ეთნოსის წარმომავლობის ამსახველი ბევრი ლეგენდა, თქმულება თავის დროზე მემატიანეებმა წყაროებში შეიტანეს და ბევრმა მათგანმა ასე მოაღწია ჩვენამდე. მაგალითად ქართველი ხალხის წარმომავლობის ლეონტი მროველისეული კონცეფციის დასახელებაც საკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში ასეთი გადმოცემები რეალური ვითარების ამსახველი არაა, მეცნიერები ეთნოგენეზური პროცესების კვლევისას ასეთ გადმოცემებს მაინც გვერდს ვერ უვლიან. მიიჩნევენ, რომ ლეგენდა-თქმულებებში სიმართლის რაღაც მარცვალი მაინც არის. ბევრი საყურადღებო თქმულება აქვთ ანტიკურ ავტორებს დაფიქსირებული სხვადასხვა ხალხის წარმომავლობის შესახებ. რაც ყველაზე საყურადღებოა, ბევრი ხალხი თავის წარმომავლობას ბიბლიურ პერსონაჟებს უკავშირებდა. ზემოთ უნგრელები ვახსენეთ, რომლებიც სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ერთეულად იყოფა. ამ ეთნოსის ერთ ნაწილს – *სეკებს*, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ტრანსილვანიაში (რუმინეთში) მკვიდრობს, აქვს გადმოცემა ჰუნებისაგან წარმომავლობის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ გადმოცემის სანდოობის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში პოლემიკა მიმდინარეობდა; მათ პაჭანიკების შთამომალებადაც მიიჩნევდნენ. მიგვაჩნია, რომ ეს გადმოცემა რეალური ვითარების ამსახველი უნდა იყოს, რადგანაც ცნობილია, რომ თანამედროვე უნგრეთის ტერიტორია ევროპაში ჰუნთა განსახლების ერთ-ერთი ძირითადი არეალი იყო. მეცნიერები დღემდე კამათობენ დაღესტნელი ყუბაჩელების ევროპული წარმომავლობის შესახებ. ასეთი თქმულება თვით ყუბაჩელთა შორისაა დაფიქსირებული. მკვლევრები შუა აზიის ეთნოსებში გამოყოფენ მთელ რიგ გვარებსა და ტომებს, რომელთა თურქუ-

ლი, მონღოლური, თუ ირანული წარმომავლობის შესახებ მიუთითებენ. თითოეულ ამ ტომს მართლაც აქვს გადმოცემა თურქული, მონღოლური და ირანული წარმომავლობის შესახებ. რაც მთავარია, ამ დანაყოფთა წარმომავლობაზე მათი სახელწოდებებიც მიუთითებენ; ეს კი წმინდა ლინგვისტური ანალიზის სფეროს განეკუთვნება.

ეთნოგენეზისა და ეთნოკულტურული კავშირურთიერთობის კვლევებში საისტორიო წყაროდ ფოლკლორის გამოყენების აუცილობლობაზეც მიუთითებენ.[32] ეს განსაკუთრებით უდამწერლობო ხალხების შესახებ ითქმის, რადგან ცნობილია, რომ ასეთი კულტურის მქონე ხალხებში ზეპირ ხალხურ შემოქმედებას დოკუმენტის ძალა ჰქონდა. ნართების მთქმელი ოსი, ადიღეელი, აფხაზი მოხუცები სამართლიანად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გოლიათი ნართები მათი უშუალო წინაპრები იყვნენ, რომელთა მოქმედების ასპარეზი სტეპები იყო, სადაც დიდი მდინერეები მიედინება, რაც პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ დასახელებულ ეთნოსთა თავდაპირველი განსახლების არეალი მათი თანამედროვე ეთნოსფერო არ იყო. ეთნიკურ ისტორიაში მკვლევრები წარმატებით იყენებენ აგრეთვე სიმღერებს. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება რაჭის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში საყოველთაოდ გავრცელებული ლექსი-სიმღერა „მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი" გავიხსენოთ, რომლითაც კარგად ჩანს, თუ როგორ დაეუფლნენ ქართველი მთიელი დვალების განსახლების არეალს აქ მიგრირებული ოსები.[33] შუა აზიის ხალხების – უზბეკებისა და სხვათა შემადგენლობაში წინააზიური კომპონენტის არსებობას ადასტურებს უზბეკურ *შეჟირეში* უზბეკთა წინაპრებად მატიენების („მოტიანები") დასახელება.[34] მატიანეები ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ურმიის ტბის ირგვლივ მართლაც მკვიდრობდნენ ძვ. წ. VI საუკუნესა და ახ. წ.-ის I საუკუნეში. ფოლკლორი ხშირად ერთი ხალხიდან მეორეში ხალხის ან მისი ნაწილის ასიმილაციის დროს გადადიოდა.

ამრიგად, ცალკეული ხალხების ეთნოგენეზის კვლევა უაღრესად რთული პრობლემაა. მისი გადაწყვეტა ყველა მონაცემის გათვალისწინების გარეშე

---

[32] Л. С. Толстова. Использование фольклора при изучении этногенеза и этнокультурных связей народов (На среднеазиатском материале). Фольклор и историческая этнография. М. 1983, გვ. 6-23.

[33] რ. თოფჩიშვილი. ზეპირი საისტორიო წყაროები. წიგნში: რ. თოფჩიშვილი. ეთნოისტორიული ეტიუდები. წ. I, გვ. 257-270.

[34] Л. С. Толстова. Использование фольклора при изучении этногенеза и этнокультурных связей народов, გვ. 11.

წარმოუდგენელია. სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა არ ხდება და მეცნიერებს აქცენტი ერთ რომელიმე წყაროზე/ მონაცემზე გადააქვთ. ვიღებთ პრობლემის ლინგვისტურ, ანთროპოლოგიურ, არქეოლოგიურ ხედვებს. ეს კი მხოლოდ პრობლემის ცალმხრივი გადაწყვეტაა.

ბოლო დროს ქართული ენათმეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ რამდენიმე ენის ერთ ენათა ოჯახისადმი მიკუთვნებულობა ეთნოგენეზის პრობლემის გადაწყვეტას ნიშნავს (უფრო მეტიც: ასეთ იდეებს სტუდენტებსაც ახვევენ თავს). უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, **ქართული ენის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრობა თურმე ქართველთა ეთნოგენეზის საბოლოოდ გადაწყვეტის დამადასტურებელია;** რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში კატეგორიული მსჯელობა მიუღებელია (უხერხულია იმაზე მსჯელობა, რომ მეცნიერების ამ სფეროში რაიმე საბოლოოდ დადგენილი და გადაწყვეტილია), ამ მოსაზრებას მეცნიერული საფუძველი არ აქვს და ის ეთნოგენეზის თეორიის ჩარჩოებში არ ჯდება. ქართული ენის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს ენები მონათესავე ენებია და რომ ისინი ერთი ფუძეენიდან მომდინარეობენ. ვიმეორებთ, ამ შემთხვევაში ეთნოგენეზი არაფერ შუაშია. ეთნოგენეზური პროცესები ამ ენათა ოჯახში შემავალ პოპულაციებში მხოლოდ ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდეგ დაიწყო. **ენათა მონათესაეობა ეთნიკურ მონათესაეობას არ ნიშნავს. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა გაზიარებული მოსაზრება, რომ ენის ერთობა, ენათა მონათესაეობა და ზოგიერთი კულტურული ტრადიციის მსგავსება პოპულაციური ნათესაობის დამადასტურებელი არაა არა მხოლოდ ერთი ენათა ოჯახის ფარგლებში, არამედ ერთი ენათა ოჯახის ერთი ჯგუფის ფარგლებშიც.**[35] მაგალითისათვის ინდოევროპულ და ალთაურ ენებზე მეტყველი ეთნოსების ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია შეიძლება დავასახელოთ. თანამედროვე ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ეთნოგენეზი ძირითადად ადრე შუა საუკუნეებში განხორციელდა (ფრანგები, ინგლისელები, ბულგარელები, იტალიელები, ესპანელები...), ხოლო საერთო ინდოევროპული ენის დიფერენციაცია ძალიან ადრე სულ სხვა გეოგრაფიულ არეალში დაიწყო (*თ. გამყრელიძისა* და *ვიაჩ. ივანოვის* კონცეფციით არა უგვიანეს ძვ. წ.-ის IV ათასწლეულისა).

---

[35] А. И. Бочкарев. Фундаментальные основы этногенеза: учебное пособие. М. 2008, გვ. 217.

როდესაც საერთოკავკასიური ენობრივ-ეთნიკური ერთობიდან ქართული ენისა და ქართული ეთნიკური ერთობის გამოყოფის შესახებ საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ ეს ეთნოგენეზი იყო, შეცდომა იქვეა დაშვებული. ვინ დაადასტურა, რომ გამოყოფა უკვე ეთნოგენეზის პროცესი იყო? გამოყოფის შემდეგ რა დაემართა ამ და სხვა გამოყოფილ ეთნიკურ ერთობებს? აღარავისთან ჰქონდათ შეხების წერტილი, შერევა? სად მკვიდრობდა ეს წინარეკავკასიური ეთნიკური/ენობრივი ერთობა? მთლიანად კავკასიის რეგიონში? მის სამხრეთსა თუ ჩრდილოეთში, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში? სად და რა მიმართულებით განსახლდნენ ეს გამოყოფილი ახალი ეთნიკური ერთობები? რამ გამოიწვია წინარეკავკასიური ენობრივი/ეთნიკური ერთობის დაშლა? იქნებ ეს კავკასიური პრაეთნიკური ერთობა საერთოდ არც იყო კავკასიის მკვიდრი და აქ სხვა გეოგრაფიული რეგიონიდან მიგრირდა? რომელი არქეოლოგიური კულტურა იყო ამ წინარეკავკასიური ენობრივი/ეთნიკური ერთობის საკუთრება? როდის წარმოიქმნა თვით ეს წინარეკავკასიური ეთნიკური ერთობა? რამდენ ხანს იარსება და როდის დაიწყო დივერგენციის პროცესი? დივერგენცია გეოგრაფიული ფაქტორით იყო განპირობებული თუ მიგრაციით? ვინ დაადასტურა, რომ დივერგენცია ეთნოგენეზის პროცესია? სინამდვილეში ის მხოლოდ მისი საწყისი ფაზაა და გამოყოფილი ერთობა შეიძლება ისეთივე დარჩეს, როგორიც იყო ან სხვა ეთნიკურ ერთობებთან შევიდეს კონტაქტში და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს დასაბამი ეთნოგენეზის პროცესს. ესაა არასრული ჩამონათვალი კითხვებისა, რომელთა პასუხის გაცემის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ეთნოგენეზის პროცესზე.

სხვათა შორის, თუ საერთოკავკასიურ ეთნიკურ ერთობას გამოეყვნენ ქართველთა წინაპრები, ჩვენ ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ პროტოქართული ეთნიკური ერთობის გამოყოფის შესახებ ვისაუბროთ და არა ქართული ერთობისა. ცნობილია, რომ ქართველთა ეთნოგენეზში სხვა ეთნიკურმა ერთობებმაც მიიღეს მონაწილეობა და ეს პირველ რიგში ინდოევროპული ერთობა (შესაძლოა ერთობები) იყო.[36] (საერთოდ, წარსულში კავკა-

[36] გ. მელიქიშვილი. ქართველები და მათი წარმომაელობის საკითხი. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970, გვ. 346-352; ნ. სილაგაძე. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხისათვის. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I. თბ. 2011, გვ. 9-38. გასაზიარებლად მიგვაჩნია ნ. სილაგაძის მოსაზრება: „არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის გენეტიკური ნათესაობა რომც არსებულიყო, მას იმდენად

სიური სამყაროს ინდოევროპულ სამყაროსთან კავშირები არავითარ ეჭვს არ იწვევს. მათი კონტაქტები ხდებოდა ინდოევროპელების მასობრივი, ნელი მიგრაციის პროცესში. ჩვეულებრივ, მიიჩნევდნენ, რომ ინდოევროპელები მიიწევდნენ საერთო მიმართულებით ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ევროპიდან შუა აღმოსავლეთისა და აზიისაკენ. *თ. გამყრელიძისა* და *ვიაჩ. ივანოვის* კონცეფციით ინდოევროპელთა განსახლების თავდაპირველი არეალი მცირე აზია იყო, საიდანაც ისინი დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით განსახლდნენ. ფრანგმა მეცნიერმა *გიორგი შარაშიძემ* კი საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენა, რომლის მიხედვითაც ინდოევროპელებმა დატოვეს მცირე აზია, შემოუარეს ვანისა და ურმიის ტბებს და ზოგიერთი დასავლეთის მიმართულებით გაემართა, ზოგიერთი – ჩრდილოეთისა, ზოგიერთი აღმოსავლეთისა და ზოგიერთიც – სამხრეთ-აღმოსავლეთისა. ამ ნელი მიგრაციის დროს ხანგრძლივად თანაარსებობდნენ კავკასიელები და ინდოევროპელები. ქრონოლოგიურად ეს იყო II ათასწლეულზე ადრე, IV-III ათასწლეულების მიჯნა).[37] **ქართველთა ეთნოგენეზზე სწორედ მაშინ შეიძლება ვისაუბროთ, თუ გავარკვევთ, რომელ ინდოევროპულ ერთობას შეერივნენ ისინი,** რა დოზით

შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი, რომ ქართველთა ეთნოგენესსე საუბრისას იგი გადამწყვეტი მნიშვნელობის ვერ იქნება. ვფიქრობთ, ამ კუთხით (ე. ი. ქართველთა ეთნოგენეზსე საუბრისას) გაცილებით მნიშვნელოვანია ქართველური და ინდოევროპული ენობრივი შეხვედრების განხილვა“ (გვ. 15). ქართველთა ეთნოგენესში ენდოევროპული ეთნიკური ერთობის მონაწილეობის შესახებ სრულიად არგუმენტირებულია წინამდებარე კრებულში განთავსებული ნაშრომი: თ. დუნდუა. აღმოსავლურქართული შუა ბრინჯაოს ხანის (თრიალეთური) კულტურა და არიული resptio (გვ. 29-34), სადაც ეკითხულობთ: „არქეოლოგიური მასალა არიელების შემოჭრის შესახებ მხოლოდ ფრთხილი ჰიპოთეზის კონსტრუქციის საშუალებას იძლევა. ლექსიკური მონაცემები უფრო კატეგორიულია. აშკარაა, რომ მართვასთან დაკავშირებული ტერმინები არიული ღმერთის, მითრას სახელს უკავშირდება“ (გვ. 29); „პირველადი სოციალური კონტრაქტის, და პროტოფეოდალური საუფლო სახლის ნომინალური გენერაციული სუფიქსი -ian, აგრეთვე სოციალური კონტრაქტის სოციალური ქმედების და ადეკვატური ფიზიკურ-გეოგრაფიული კორპუსკულის სინთეზის ვერბალური მაწარმოებელი ბოლოსართი -is, არააეტოქტონურია. ეს ინდოევროპული ლინგვისტური პლასტები არიული სოციალური სუპერსტრატის ლოკალური ფუნქციონირების მაჩვენებელი უნდა იყოს“ (გვ. 33).

[37] G. Charachidzé. Gamq' relidzé/Ivanov. Les Indo-européens et le Caucase. R.E.G.C. #2. 1986, გვ. 211-222; R.E.G.C. #3. 1987, გვ. 159; G. Charachidzé. La mémoire indo-européenne du Caucase. Hachette. 1987.

და სად? უფრო მართებულია არა ქართული და ინდოევროპული, არამედ წინარექართული და წინარეინდოევროპული ერთობების შერევის შესახებ ვისაუბროთ. გასარკვევია, სად და როდის მოხდა ეს ეთნიკური კონტაქტი? რა მიმართებაშია ქართული ეთნიკური ერთობა შუმერულთან (ლექსიკური პარალელები შუმერულთან მათს ნათესავეობასა ან ეთნიკურ კონტაქტებზე მიუთითებს პროტოქართველებთან. საკვლევია წინარექართველებისა და შუმერების ენობრივ-ეთნიკური კონტაქტების გეოგრაფიული არეალიც).[38] გასარკვევია, რომელი არქეოლოგიური კულტურა/კულტურები იყო პროტოქართველების/ქართველების? ამ მხრივ საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული,[39] რომლებიც შემდგომ კვლევა-ძიებასა და დაზუსტებას მოითხოვს. შესაბამისად, გასარკვევია, რომელი ენობრივ-ეთნიკური ერთობები შეირიეს იმ ეთნიკურმა ერთობებმა, რომელთაც ქართველები გამოეყვნენ? რა ენობრივ-ეთნიკური ერთობები იყვნენ ისინი და რა პოპულაციურ დონეზე მოხდა ეს შერევები (ეთნოგენეზი)? აფხაზურ-ადიღეურისა და ქართულის მონათესავეობის შესახებ მსჯელობისას, ჩვენი სკეფსისის მიუხედავად, გასარკვევია, რა ეთნიკური კომპონენტების შერევის შედეგად მოხდა ჯერ პრაადიღების და შემდეგ ადიღების წარმოქმნა? აშკარაა, რომ პრაადიღებისა და შემდეგ ადიღების ეთნიკური ერთობის წარმოქმნაში დიდი როლი ირანულენოვანმა ერთობებმა (სკვითებმა, სარმატებმა) შეასრულეს.[40] ამას

[38] M. R. Tseretheli. Eine kleine Bemerkung zur Frage der Vorfahren der Georgier. Revue Karthvelologie. #23. Paris. 1957, გვ. 12; ჯ. შარაშენიძე, კ. თოფურია. შუმერები და მათი კულტურა. ცისკარი. 1973.

[39] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის: არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბ. 1976; ო. ჯაფარიძე. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის სათაეებთან. თბ. 2003; ნ. სილაგაძე. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხისათვის, გვ. 9-38.

[40] უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებით აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობის, უფრო სწორედ, პროტოადიღეელების თავდაპირველი განსახლების არეალი იყო სტეპების ზონა – მდინარე ყუბანის ჩრდილოეთით ტერიტორია – ასოვისპირეთი და მიმდებარე შავი ზღვის ჩრდილოეთი. პროტოადიღეელებად მიიჩნევიან აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული მეოტები და სინდები, რომელთა წინაპრებმაც სამხრეთით შედარებით გვიან წამოიწიეს (В. В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-годов XIX века). პროტოადიღეელებს ჯერ ინდოევროპელები (სკვითები, სარმატები) შეერივნენ, შემდეგ – პროტოქართველები. მიგვაჩნია, რომ სამხრეთით გადმოსახლების შემდეგ უნდა მომხდარიყო პროტოადიღეელების პროტოქართულ ენობრივ-ეთნიკურ ერთობასთან კონტაქტი. აქ საკმა-

ნართების ეპოსიც ადასტურებს. რა პოპულაციური დოზით იყო ეს შერევები? იქნებ კავკასიაში მოსულმა ირანულენოვანმა ეთნიკურმა ჯგუფებმა უფრო მცირერიცხოვანი ადგილობრივი მოსახლეობის ენა მიიღეს, შეიძლება ამ შემთხვევაში ეთნიკურ მონათესავეობაზე ვილაპარაკოთ? ისევე როგორც მეცნიერები ველარ საუბრობენ თანამედროვე თურქების პოპულაციურ მონათესავეობაზე ენობრივად თავიანთ მონათესავე ეთნოსებთან (მაგალითად, უზბეკებთან, ყირგიზებთან, იაკუტებთან, გაგაუზებთან...).

საერთოკავკასიური ენიდან ქართულის (უფრო სწორად, პრაქართულის) გამოყოფა ქართველთა ეთნოგენეზს რომ არ ნიშნავს, ამის დასადასტურებლად შეიძლება ანალოგიას მივმართოთ. თანამედროვე ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ეთნოგენეზი ადრე შუა საუკუნეებში მოხდა; ზოგის – ცოტა ადრე, ზოგის – ცოტა გვიან. სლავურ ენებზე მოსაუბრე ბულგარელები, რუსები, პოლონელები, ჩეხები, სერბები, ხორვატები, რომანულენოვანი ფრანგები, იტალიელები, ესპანელები, რუმინელები (რუმინელთა პოპულაციაში საერთოდ უმნიშვნელოა რომაელთა წილი), გერმანულენოვანი თანამედროვე გერმანელები, ინგლისელები, შვედები, ფლამანდიელ-ჰოლანდიელები, ბალტიურენოვანი ლიტველები და ლატვიელები ადრე შუა საუკუნეების ეპოქის პროდუქტნი არიან. უფრო ადრე – ძვ. წ.-ის I ათასწლეულში მოხდა ირანულენოვანი ეთნოსების, ბერძნების, სომხების ჩამოყალიბება. ადრე ფორმირებულმა ბევრმა ინდოევროპულმა ეთნოსმა ადრე შუა საუკუნეებში არსებობა შეწყვიტა; მათ სხვა ახალ ეთნოსებს მისცეს დასაბამი. ენათმეცნიერთა გამოკვლევებში კი ნათლადაა დადასტურებული, რომ საერთოინდოევროპული ენის დანაწევრება დაიწყო ძვ. წ.-ის არა უგვიანეს V-IV ათასწლეულებში.[41] ამის შემდეგ ინდოევროპელთა დანაწევრებისა და სხვებთან შერწყმის კიდევ რამდენი ეტაპი იქნა განვლილი, ამას ზუსტად ვერც განვსაზღვრავთ. ეს იყო ენებისა და ეთნიკური განვითარების ხანგრძლივი პროცესი. ინდოევროპულ

რისია ჯერ მაიკოპის კულტურის (ძვ. წ. III ათასწლეული) მონათესავეობა გავიხსენოთ მტკვარ-არაქსის კულტურასთან (ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 193-251) და შემდეგ კი ყობანური კულტურა, რომელიც, ფაქტობრივად, კოლხური კულტურის ნაირსახეობას წარმოაგენდა. პროტოადიღეველების ენობრივ-ეთნიკური კონტაქტი ქართულ ენობრივ-ეთნიკურ ერთობასთან, ე. ი. ყობანური კულტურის მქონე ერთობასთან, ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ჩამოწევის შედეგად მოხდა.

[41] Т. В. Гамкрелидзе. В. В. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы. Кн. II. Тб. 1984, გვ. 865.

ენათა ოჯახის თანამედროვე ეთნოსთა ეთნოგენეზი სრულიად განსხვავებული ეთნიკური კომპონენტების შერევის შედეგად მოხდა. ინდოევროპული პრაენის დანაწევრების შემდეგ ამ ენათა ოჯახში შემავალმა ხალხებმა განვითარების – ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის სრულიად განსხვავებული გზა გაიარეს. **ენობრივი მონათესავეობა ეთნიკურ მონათესავეობას არ ნიშნავს და ამით არც ეთნოგენეზის პრობლემა წყდება.** *ინგლისური* და *ქურთული, იტალიური* და *ფარსი, რუსული* და *ჰინდი, ნორვეგიული* და *პანჯაბური* ერთ – ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის, მაგრამ მათი მატარებლები მონათესავე ეთნოსები არ არიან, რადგანაც ინგლისელებისა და ქურთების, იტალიელებისა და სპარსელების, რუსებისა და ჰინდოსტანელების, ნორვეგიელებისა და პენჯაბელების ეთნოგენეზი სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა, სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დაშორებულ გეოგრაფიულ რეგიონებში. იგივე შეიძლება ითქვას ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ენებზე და ამ ენებზე მოსაუბრე ეთნოსებზე. ამ ჯგუფში შედიან, ერთი მხრივ, თურქები თავიანთი თურქული ენით და, მეორე მხრივ, უიღურები თავიანთი უიღურული ენით. მაგრამ ეს ეთნოსები მონათესავენი არ არიან, რადგან მათი ეთნოგენეზი მიმდინარეობდა სხვადასხვა კომპონენტის შერევის შედეგად, რაც ანთროპოლოგიური ტიპითაც დასტურდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი აქვს გასმული: «...многие элементы культуры являются весьма подвижными, легко заимствуемыми другими народами, так что общность языка и некоторых культурных традиций вовсе не свидетельствует об обязательном родстве соответствующих народов (например, тюркских)».[42]

მართალია, ჩვენს თემას არ ეხება, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და როგორც დილეტანტმა კითხვა უნდა დავსვა: თუ ქართული ენა ე. წ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის (და, ენათმეცნიერთა თვალსაზრისით, ეს ეთნიკური მონათესავეობის დამადასტურებელიცაა), რატომ გვაქვს ერთ ენათა ოჯახში შემავალ ენათა ფონემათა რაოდენობაში ასეთი დიდი სხვაობა? აფხაზურ-ადიღეურ და ზოგიერთ დაღესტნურ ენაში ბგერათა რაოდენობა 80-ის ფარგლებშია (მაგალითად, უბიხურ ენაში მხოლოდ თანხმოვნების რაოდენობა 80-85 იყო), ქართულში კი 33-ის (იყო 37). რით უნდა ავხსნათ ეს მოვლენა? თუ ბგერათა რაოდენობის მატება ან კლება სხვადასხვა ხალხებთან შერევითაა გამოწვეული, ე. ი. ეთნოგენეტური პროცესებით, მაშინ შეიძლება თუ არა ე. წ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალ ენათა მონათესავეობა-

[42] А. И. Бочкарев. Фундаментальные основы этногенеза, გვ. 217.

ზე და, შესაბამისად, ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების მონათესავეობაზე ვისაუბროთ?

ზემოთ აღინიშნა, რომ ეთნოგენეზის შემდეგ დგება ეთნიკური ისტორიის ხანგრძლივი პერიოდი. როგორც პირველი, ასევე მეორე ეთნიკური პროცესია. ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ ეთნიკური ისტორიის პროცესის შესახებაც ვისაუბროთ. ეთნიკური ისტორიის რაობის შესახებ სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული. მეცნიერები ეთნიკური ისტორიის სხვადასხვა ასპექტს ეხებიან. ზოგადად ესაა ეთნოსის განვითარების დინამიკის შესწავლა მისი განვიარების ყველა ეტაპზე – ადრეული პერიოდიდან დღემდე, რომლის დროსაც ხდება მისი მთელი რიგი მახასიათებლების შესწავლა.[43] კონკრეტულად ეთნიკური ისტორია იკვლევს ეთნონიმებს (ალოეთნონიმებს/გარესახელწოდებებს და ავტოეთნონიმებს/თვითსახელწოდებებს), ეთნიკურ ტერიტორიას (ისტორიულ ეპოქებში ეთნოსის განსახლების არეალის გაფართოვება ან შემცირება), ეთნოსის ისტორიულ, დემოგრაფიულ განვითარებას, ხალხის ეთნოკულტურულ კონტაქტებს, კონსოლიდაციის, ასიმილაციის, ინტეგრაციის, დეზინტეგრაციის/დეეთნიზაციის საკითხებს, ეთნოსის ენის ეთნოლოგიური ასპექტებს, ბილინგვიზმის, ენისა და დიალექტის როლს ეთნიკურ ისტორიაში, ეთნიკური იდენტობისა და ცნობიერების პრობლემას, ეთნოსის შიგნით სხვადასხვა რელიგიისა და კონფესიის გავრცელებასა და მის ზემოქმედებას ეთნიკური შეკავშირებულობაზე (ეთნოსის რელიგიურ-კონფესიური ჯგუფების ერთმანეთისაგან გაუცხოვება), ეთნოსის დანაყოფებს, ანუ ეთნოგრაფიულ-ლოკალურ ჯგუფებს და ამ ერთობათა ადგილს საერთო ეთნიკურ სტრუქტურაში, მიგრაციებს (შიდა და გარე მიგრაციულ პროცესებს; ეთნოსის განსახლების არეალში, ანუ კუთვნილ ტერიტორიაზე სხვა ეთნოსების შემოსახლებას), ეთნოკულტურულ კონტაქტებს მეზობელ ხალხებთან (მაგალითად, ეთნოსთაშორისი ქორწინებები), შიდაკულტურულ და სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებსა და ამ კავშირების როლს ეთნოსის ისტორიაში, სახელმწიფოს როლს ეთნოსის ისტორიაში და ერის/ნაციის წარმოქმნაში, საგარეო ფაქტორის როლს ეთნიკურ განვითარებაში. ეთნიკური ისტორიის კვლევის სფეროს განეკუთვნება აგრეთვე ეთნოსის განვითარების, გადარჩენისა და გაქრობის საკითხები,

[43] Н. Г. Волкова. Этническая история. содержание и понятия. Советская этнография. №3. 1985, გვ. 16-24; Л. В. Хомич. Соотношение понятий «этногенез» и «этническая история», გვ. 61-65; З. В. Анчабадзе. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми. 1976, გვ. 3-6.

ეთნოსის განვითარების ეტაპები და სხვ.[44] ერთ-ერთი ავტორი მოსწრებულად აღნიშნავს, რომ ეთნიკური ისტორია ესაა ჭიპი, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ეთნოლოგიასა და ნარატიულ ისტორიას, რომლის წიაღიდანაც ის ოდესღაც გამოვიდა.[45]

ამრიგად, **ეთნოგენეზის პროცესი უაღრესად რთული პროცესია და რთულია მისი მეცნიერული შესწავლაც (რა თქმა უნდა, იმ დროს, როდესაც პროცესის შესასწავლი აშკარად ხელშესახები საისტორიო წყაროები არ გაგვაჩნია). მხოლოდ ენობრივი, მხოლოდ არქეოლოგიური, მხოლოდ ანთროპოლოგიური, მხოლოდ ეთნოლოგიური და მხოლოდ ფოლკლორული მონაცემებით ეს საკითხი არ წყდება. ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემა, მიუხედავად სხვადასხვა სამეცნიერო შეხედულების არსებობისა, კვლავაც გადასაწყვეტია (ჯერჯერობით ყველაზე საგულისხმო გამოკვლევა ამ სფეროში *გ. მელიქიშვილს* ეკუთვნის,[46] რომელსაც საისტორიო განათლებასთან ერთად ფართო ლინგვისტური ცოდნაც ჰქონდა) და ამ პრობლემის გადაწყვეტაში ენათმეცნიერებამ (ეთნოლინგვისტიკამ) სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. სამწუხაროა, რომ ქართველ ლინგვისტთა ნაწილი ამ სფეროში XIX საუკუნის მეცნიერების დონეზეა. ჯერ კიდევ როდის შეაქციეს ზურგი უნივერსალური ჭეშმარიტების ძიებას *გერდერმა, ფიხტემ, ალექსანდრ ფონ ჰუმბოლტმა* და *ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტმა?* მართალია, მეცნიერება სიუხეშეს ვერ იტანს, მაგრამ აქ ეს პრინციპი ერთგვარად უნდა დავარღვიო და ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ესაა შედეგი „დაუკრეფავში გადასვლისა“. ვერც ერთი ზემოთ დასახელებული მეცნიერება ცალკე აღებული, დამოუკიდებლად აღნიშნულ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. პრობლემას გადაწყვეტს ის მეცნიერი, რომელიც მეტ-ნაკლებად თანაბრად გათვითცნობიერებული იქნება ზემოთ დასახელებულ მეცნიერებებში და რომელსაც სხვადასხვა წყაროს სინთეზის უნარი/შესაძლებლობა ექნება.**

---

[44] რ. თოფჩიშვილი ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები. თბ. 2008.

[45] Белков П. Л. Этнос и мифология. Элементарные структуры этнографии. СПб. 2009, გვ. 182.

[46] გ. მელიქიშვილი. ქართველები და მათი წარმოშობის საკითხი, გვ. 312-357.

Roland Topchishvili

ABOUT PROCESS OF ETHNOGENESIS AND ETHNOGENESIS OF THE GEORGIANS

Summary

One of the most interesting, complicated and important problems of the humanitarian sciences is to study ethnogenesis of the peoples. This complexity concerns mostly research of ethnogenesis of the old peoples, formed in the depth of history. In order to study ethnogenesis of old, aged ethnic groups, one has to connect together the data of history, archaeology, linguistics (ethno-linguistics), physical anthropology, ethnology, folklore. Among the sciences listed above ethnology possesses some "priority", because the theory of ethno-genesis is formed in the depth of this science. As for study of young ethnic groups, the ethnogenesis of which took place in early Middle Ages and after that period, the efforts of historical science is quite sufficient.

Two contradictory opinions exist by now in regard to the process of ethnogenesis: a) ethnogenesis is a social process; b) ethnogenesis is natural-geographic phenomenon. It could have been far better to name the process of ethnogenesis the socio-natural/socio-geographical process. By the conception of Lev Gumilev, ethnogenesis is a permanent process, which considers that not only formation of ethnos is the process of ethnogenesis, but also its development and disappearance. However, it is impossible to consider the process of ethnogenesis to be a continuous process. It ends when the given ethnic union is formed. The ethnic process is permanent and, at the same time, dynamic, which involves two phenomena: ethnogenesis and ethnic history. The processes of ethnogenesis are accompanied by migrations, often – by rule of one people over another; they go on within certain territory (often, on the border of two landscapes), within particular period of time. From this viewpoint, the levers of statehood and religious impact are of great importance. The wedding traditions are of essential importance – the endogamous ethnic groups are more or less protected from the processes of assimilation.

During the process of ethnogenesis, mixture of two or several ethnic units takes place, in result of which a new ethnic unity is being formed (by the way,

change of stereotype in behavior of ethnos in new geographical environment was considered by Lev Gumilev as formation of a new ethnos. But we consider impossible to share this consideration). Formation of a new ethnos was also caused by separation of its part from one ethnos, though in such cases the peoples add different linguistic and ethnic superstrata layers (exception is only Icelandic ethnogenesis).

Some representatives of Georgian linguistics consider now that belonging of several languages to one language family means settlement of the problem of ethnogenesis. To say more concretely, belonging of the Georgian language to the family of Iberian-Caucasian languages is as if to witness final solution of the ethnogenesis of the Georgians. This consideration has no scientific basis and it does not suit the frames of the theory of ethnogenesis. Belonging of the Georgian language to the family of Ibero-Caucasian languages means only that these languages are cognate languages and that they derive from one proto-language. We repeat that in this case ethnogenesis has nothing to do. The processes of ethnogenesis start after differentiation of the proto-language. Cognate relationship of the languages does not mean ethnic relationship. The consideration is unanimously shared in the scientific literature that unity of the language, cognate relationship of languages and similarity of some cultural traditions does not witness population kinship not only within one language family, but also within one group of one language family. We can name as an example of this ethnogenesis and ethnic history of ethnic groups speaking the Indo-European and Altaic languages. The ethnogenesis of peoples speaking modern Indo-European languages took place mostly in early Middle Ages (the French, English, Bulgarian, Italian, Spanish ... people), and differentiation of common Indo-European language started very early in quite another geographical area (by the conception of Tamaz Gamkrelidze and Viacheslav Ivanov, not later than the 4th millennium B.C.).

Consequently, the problem of ethnogenesis of Georgians, despite different scientific opinions, is still to be determined (most important research in this field still belongs to Giorgi Melikishvili) and in settlement of the present problem the complex research should play an important role.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

ნათია ფიფია, მართა ქარდავა

მალარია თუ A ჰეპატიტი – კოლხების შესახებ ჰიპოკრატეს ცნობების ინტერპრეტირებისთვის

ანტიკური ხანის ცნობილი ექიმი ჰიპოკრატე თავის თხზულებაში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ გვაწვდის ინფორმაციას კოლხების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ზოგადად, ძველი ბერძენი ავტორების ცნობები საქართველოს შესახებ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი, თუმცა რაც შეეხება ჰიპოკრატეს ცნობას, მისი შესწავლა სამედიცინო თვალსაზრისით ჯერჯერობით არ მომხდარა. ეს, რა თქმა უნდა, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამ ტიპის კვლევის ჩატარება მოითხოვს ორივე დარგში გარკვეული მეცნიერის მუშაობას ან ორი დარგის – ისტორიისა და მედიცინის სპეციალისტების, ერთობლივ მუშაობას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია ეს საკითხი.

ჰიპოკრატეს მიერ აღწერილი დაავადება, ჩვეულებრივ, ისტორიოგრაფიაში მალარიად განიხილება. საკითხის შესწავლის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს არა მალარიასთან, არამედ A ჰეპატიტთან.

თავდაპირველად შეგახსენებთ ჰიპოკრატეს ტექსტს, რომელიც ფაზისელებს ეხება სრულად და შემდეგ უკვე მოგახსენებთ ჩვენს დასკვნებს: „ხოლო ვინც ფაზისში ცხოვრობს, მათ შესახებ [შემდეგი მაქვს სათქმელი]: ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და [მათი] ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისაგან დამპალს და წვიმებისგან ადიდებულს. თვითონ ფაზისი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მიედინება. ნაყოფი, რომელიც იქ წარმოიშვება, ყველა ზრდა დაუსრუ-

ლებელია, სუსტი და უვარგისი, წყლის სიუხვის გამო. ამიტომ [აქ ნაყოფი] არ მწიფდება. წყლებისგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას. ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ: ტანად დიდები არიან, სისქით მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა სახსარი და არც ძარღვი; კანი კი ყვითელი აქვთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, [რადგან] სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ ნოტიოთი და ნესტიანით; ხოლო იმისათვის, რომ სხეულს ჯაფა მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან."[1]

შესაბამისად, ჰიპოკრატეს მიხედვით, ჩვენ გვაქვს შემდეგი სიმპტომები: 1) ჭარბი წონა, 2) სიყვითლე, 3) შეშუპება, 4) კუნთოვანი ჰიპოტონია (მოდუნება). ასევე ვიცით, თუ რა პირობებში ცხოვრობდნენ კოლხები: 1) ცხოვრობენ ჭაობების მახლობლად, 2) სვამდნენ დამდგარ, გაფუჭებულ, თბილ წყალს, 3) ჭამდნენ დამპალ, ნესტისგან უმწიფარ, შესაძლოა, გაურეცხავ პროდუქტებს.

ამ სიმპტომების, და გარემო პირობების თანახმად, ერთი შეხედვით, ორი დიაგნოზი შეიძლება დაისვას – მალარია და A ჰეპატიტი. პირველ რიგში განვიხილავთ მალარიის ალბათობას.

მალარია არის პროტოზოული დაავადება, რომელიც გადადის კოღო ანოფელესის კბენის შედეგად. ადამიანებში ყველა მალარიულ ინფექციას იწვევს 4 ტიპის პლაზმოდიუმი: P. falciparum, P. malariae, P. vivax, P. ovale. მალარიის კლინიკური ნიშნებია: 1) ცხელება, 2) სიყვითლე, 3) თავბრუსხვევა და ღებინება, 4) ართალგია,[2] 5) მიალგია,[3] 6) დიარეა, 7) ანორექსია (მძიმე შემთხვევებში), 8) ჰეპატოსპლენომეგალია,[4] 9) ანემია,[5] ლეიკოპენია, ნეიტროპენია,[6] ლიმფო და მონოციტოზი.[7] ამ სიმპტომებიდან მხოლოდ ორი

[1] თ. ყაუხჩიშვილი. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1965, გვ. 45; Hippocrates Collected Works I. Hippocrates. W. H. S. Jones. Cambridge. Harvard University Press. 1868, გვ. 115-116. ხელმისაწვდომია: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.01.0251%3Atext%3DAer.%3Asection%3D15.

[2] სახსრების ტკივილი.

[3] კუნთების ტკივილი.

[4] ღვიძლის და ელენთის გადიდება.

[5] სისხლნაკლებობა.

[6] ლეიკოციტების და ნეიტროფილების შემცირება.

[7] ლიმფოციტების და მონოციტების რაოდენობის მომატება.

ეთანხმება დაავადების ჰიპოკრატესეულ აღწერილობას – სიყვითლე და კუნთოვანი ჰიპოტონია. სიყვითლე მალარიას ახასიათებს არა მთელი ინკუბაციური პერიოდის განმავლობაში, არამედ მხოლოდ გამოვლინების პერიოდში. მალარიის ინფექცია შეიძლება გრძელდებოდეს 1-დან 3 წლამდე. ანუ, იმ შემთხვევაში თუკი კოლხებს მალარიის საწინააღმდეგო საშუალებები არ გააჩნდათ, რაც სავსებით შესაძლებელია, სიყვითლე მალარიის ხანგრძლივმოქმედი სიმპტომი შეიძლება ყოფილიყო. სხვა სიმპტომებს რაც შეეხება – ჭარბი წონა ეწინააღმდეგება ამ დიაგნოზს. რადგან მალარიას ახასიათებს ანორექსია, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში, და ჩვენ ვიცით, რომ კოლხების შემთხვევაში სწორედ მძიმე ფორმებთან გვაქვს საქმე, მათ არ შეიძლებოდა ჰქონოდათ ერთდროულად მალარია და ამასთან ჭარბი წონა. მალარია იწვევს დიარეას, გულისრევას და ღებინებას და პაციენტი დაინფიცირების შემდეგ მალე კარგავს წონას. მალარიის ეს გამოვლინება აშკარად გამორიცხავს ჭარბ წონას. რაც შეეხება საცხოვრებელ პირობებს – ჭაობებში ცხოვრება, რა თქმა უნდა, შეიძლება ამტკიცებდეს იმას, რომ კოლხებში გავრცელებული დაავადება არის მალარია. ასეთ პირობებში მალარიის ეპიდემიური გავრცელება სავსებით შესაძლებელია. რეალურად ეს არის ერთადერთი არგუმენტი, რომელიც მხოლოდ მალარიის სასარგებლოდ საუბრობს. თუ ყურადღებით დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ ცხოვრების სხვა პირობები, პირიქით, A ჰეპატიტს თუ გამოიწვევდნენ.

A ჰეპატიტი ღვიძლის მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია A ჰეპატიტის ვირუსით. ეს არის გასტროენტერალური დაავადება. რადგან ის გამოწვეული სიბინძურის შედეგად, მას ხშირად უწოდებენ „ჭუჭყიანი ხელების დაავადებას“.[8] A ჰეპატიტის სიმპტომებია: 1) ცხელება, 2) თავბრუსხვევა, 3) სიყვითლე, 4) ჰეპატომეგალია (ზოგჯერ სპლენომეგალიაც), 5) მუცლის ტკივილი. რადგანაც ეს არის ენტერივირუსული დაავადება, შესაბამისად, ის გადადის ალიმენტური გზით. იშვიათ შემთხვევებში შეიძლება გადავიდეს პარენტერული (სისხლის გადასხმით)[9] გზით. თუმცა, რა თქმა უნდა, ანტიკურ ხანაში ეს შეუძლებელი ჩანს, შესაბამისად, ამ გზით გავრცელების საკითხს ჩვენ არც შევეხებით. რადგანაც A ჰეპატიტი ვრცელ-

[8] Hygiene Effort Against Hepatitis. New York Times. November 15. 1988. ხელმისაწვდომია: http://www.nytimes.com/1988/11/15/science/hygiene-effort-against-hepatitis.html?src=pm.

[9] სისხლის გადასხმით.

დება დაბინძურებულ გარემოში და რადგანაც ის ენტეროვირუსული დაავადებაა და ჩვენ ვიცით, რომ კოლხები სიბინძურეში ცხოვრობდნენ და იკვებებოდნენ, ჰიპოკრატეს თანახმად, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს იყოს A ჰეპატიტი. საინტერესოა, რომ სტრაბონის მიერ აღწერილია ფთეიროფაგების კოლხური ტომი, რომელიც იმავე პირობებში ცხოვრობდა. ეს ტომი სწორედ A ჰეპატიტით იყო დაავადებული, როგორც ჩანს, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ამრიგად, A ჰეპატიტის ორი სიმპტომი – სიყვითლე და შეშუპება, ემთხვევა ჰიპოკრატეს აღწერილობას და სხვა სიმპტომები – ჭარბი წონა, კუნთოვანი ჰიპოტონია არ ეწინააღმდეგება ამ დიაგნოზს. ასევე კოლხების საცხოვრებელი პირობები – დამდგარი წყლის სმა და ჭუჭყიანი ან უმწიფარი დამპალი საკვების მიღება, ადასტურებს ამ დიაგნოზს და სხვა პირობები – ჭაობებში ცხოვრება არ ეწინააღმდგება ჩვენს დასკვნას.

კიდევ ერთი არგუმენტი, თუ რატომ არის ეს დაავადება A ჰეპატიტი და არა მალარია, არის ის, რომ კოლხებს ჰქონდათ A ჰეპატიტის სამკურნალო საშუალება, რაც წყაროებში ირიბად არის დადასტურებული. ხალხურ მედიცინაში A ჰეპატიტის სამკურნალოდ გამოიყენება ცოცხალი ტილების ჭამა. ექიმები ამ მეთოდს ოფიციალურად არ იყენებენ, მაგრამ არც მის ეფექტურობას უარყოფენ. თუმცა ეს ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, მთავარია ის, რომ მკურნალობის ეს მეთოდი გვაქვს დადატურებული წყაროებში. სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემაიოსი, არიანე და V საუკუნის ანონიმი იხსენიებენ ფთეიროფაგების (ტილისმჭამელების) ტომებს. ზოგი თარგმანით ეს გირჩის მჭამელები უნდა იყოს, მაგრამ ტილისმჭამელები უფრო ზუსტი ჩანს, რადგან სტრაბონი ამბობს, რომ მათ ტილისმჭამელები ეწოდათ ცხოვრების ბინძური წესის გამოო.[10] ტერიტორიულად სტრაბონი მათ ჰენიოხებისა და ზიგების მეზობლად,[11] მთებში („მათ ზემოთ“) იხსენიებს.[12] სამივეჯერ იხსენიებს ამ ტომებს და სამივეჯერ ისეთ კონტექტში, რომ ისინი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სწორედ დასავლურქართული ტომების გარემოცვაში

[10] Strab. 11.2.19. Strabo. ed. H. L. Jones. The Geography of Strabo. Cambridge. Mass.: Harvard University Press; London: William Heinemann. Ltd. 1924. ხელმისაწვდომია: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.01.0198%3Abook%3D11%3Achapter%3D2%3Asection%3D19.

[11] Strab. 11.2.1. Strabo. ed. H. L. Jones., The Geography of Strabo. Cambridge. Mass.: Harvard University Press; London: William Heinemann. Ltd. 1924.

[12] Strab. 11.2.14. Strabo. ed. H. L. Jones. The Geography of Strabo. Cambridge. Mass.: Harvard University Press; London: William Heinemann. Ltd. 1924.

არიან. პლინიუსი ფთეიროფაგებს მდინარე ქარიენტთან ათავსებს და „სალიებს უწოდებს, რომელნიც სუანთა მეზობლად ცხოვრობენ“.[13] მართალია ესენი უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობენ, მაგრამ სამაგიეროდ, ჰიპოკრატეს მიერ აღწერილი ფაზისელების ახლომახლო არიან სწორედ. პტოლემაიოსთან მათი ადგილმდებარეობა ცოტა გაუგებარია – ის მათ იხსენიებს სარმატიაში, მაგრამ იქვე იხსენიებს მდინარე რას, რომელიც რიონის სახელწოდება რისს მოგვაგონებს. ამ შემთხვევაში სარმატია შეიძლება ფართო გაგებით იყო გამოყენებული პტოლემაიოსის მიერ. არიანე და V საუკუნის ანონიმი ფთეიროფაგებს ისევ სტრაბონისეულ ლოკალიზებას ახდენს – ბიჭვინთასა და გაგრას შორის (პიტიუნტი-ნიტიკე).[14] ამრიგად, ფთეიროფაგები, როგორც ჩანს, კოლხური ტომია, რომელშიც გავრცელებული იყო ჰეპატიტი. როგორც ჩანს, პირველად სტრაბონმა შეამჩნია მათი თვისება – სამკურნალოდ ტილების ჭამა, მაგრამ როგორც გეოგრაფი და არა ექიმი, არც დაინტერესებულა ამის მიზეზით და ეს ჩვევა მათ სიბინძურეს მიაწერა. ამასთან ის ფაქტიც, რომ სწორედ მათ მოიხსენიებს სტრაბონი ბინძურებად კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს მოსაზრებს. როგორც აღვნიშნეთ A ჰეპატიტს „ჭუჭყიანი ხელების დაავადებასაც“ უწოდებენ. გამოდის, რომ თავისთავად სახელწოდება ფთეიროფაგები ეთნონიმი არც არის – უფრო შეიძლება მედიკონომი ეწოდოს – სახელი, შერქმეული მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

თუმცა, შეიძლება არსებობდეს ერთი კონტრარგუმენტიც – მალარიული ჰეპატიტის შესაძლებლობა. მალარიული ჰეპატიტი მედიცინის ისტორიაში დაფიქსირებულია მხოლოდ ერთხელ, ინდოეთში, 1988-1991 წწ.[15] მაგრამ რადგანაც მათ ჰქონდათ მალარია B და C,[16] და არა A ჰეპატიტით, და შესა-

[13] Plin. Nat. 6.4. The Natural History. Pliny the Elder. John Bostock. M.D. F.R.S. H.T. Riley. Esq. B.A. London. Taylor and Francis. Red Lion Court, Fleet Street. 1855. ხელმისაწვდომია: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1-999.02.0137%3Abook%3D6%3Achapter%3D4.

[14] Arrian. Arr. Peripl. pos=76. Arriani Nicomediensis Scripta Minora. Arrian. Rudolf Hercher. Alfred Eberhard. in aedibus B. G. Teubneri. Leipzig. 1885. ხელმისაწვდომია: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.05-33%3Asection%3Dpos%3D76.

[15] Anand AC. Ramji C. Narula AS. Singh W. Malarial Hepatitis: a Heterogeneous Symdrome? The National Medical Journal of India. 1992. March-April. გვ. 59-62. ხელმისაწვდომია: http://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/1304265.

[16] Kochar DK. Singh P. Agarwal P. Kochar SK. Pokharna R. Sareen PK. Malarial Hepatitis. The Journal of the Association of Physicians of India. 2003 November; 51. გვ. 1069-1072. ხელმისაწვდომია: http://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/15260391.

ბამისად, მალარია A ჰეპატიტით პრაქტიკულად აღრიცხული არ არის ისტორიაში, ჩვენი აზრით, ჰიპოკრატეს მიერ აღწერილი დაავადება არ შეიძლება იყოს მალარიული ჰეპატიტი. მისი გავრცელების იშვიათი ხასიათიც ამასვე გვაფიქრებინებს.

ამრიგად, ჰიპოკრატეს მიერ აღწერილი კოლხების სიმპტომებისა და საცხოვრებელი პირობების მიხედვით და ასევე სხვა ანტიკური ავტორების ცნობებზე დაყდნობით თუ ვიმჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოლხებს აწუხებდათ არა მალარია, არამედ A ჰეპატიტი. ასევე კვლევისას კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა გამოვიტანეთ – რომ ბერძნები ბარბაროსებს სახელს ყოველთვის მათი ეთნიკური კუთვნილების მიხედვით არ არქმევდნენ – სახელი შერქმევის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაც.

Natia Phiphia, Marta Kardava

MALARIA OR HEPATITIS A – ON THE INTERPRETATION OF HIPPOCRATES' INFORMATION ABOUT THE COLCHIANS

Summary

Famous physician of Antiquity Hippocrates in his work "*On Airs, Waters, and Places*" tells about the medical state of the Colchians. The illness, casual for the Colchians, which is described by Hippocrates, generally is interpreted as malaria. However, when we researched this issue deeply, we discovered that it should not have been malaria and this paper argues that this is hepatitis A. According to these symptoms and conditions at a glance, two options are possible – malaria and hepatitis A. Since malaria is characterized by anorexia, patient cannot have malaria, especially in heavy cases and have an overweight simultaneously and since malaria causes diarrhea, nausea and vomiting, soon after infection the patient looses weight. This symptom is contradictory to the overweight. Therefore the disease described by Hippocrates cannot be malaria. Hepatitis A is an acute infectious disease of the liver caused by the hepatitis A virus. It is gastrointestinal illness. Since it is caused by pollution, sometimes is called "dirty hands spread disease". Since hepatitis A is spread in dirty conditions, this is an enteroviral illness, and we know that the Colchians lived in pollution according to Hippocrates, in our opinion, it is quite possible that this disease is hepatitis A. The other argument why this disease is hepatitis A and not malaria is that part of the Colchians seemed to use a cure against hepatitis A. The information about this cure is given indirectly in ancient sources. In folk medicine Hepatitis A is cured with the use of living lice in Georgia. The lice are given to patient orally – they actually eat living lice. Physicians neither officially use this method, nor deny its efficiency. But this is less interesting for us. Much important is that this method is still used by people in Georgia in purpose to cure the hepatitis A. Strabo, Pliny and Ptolemy mention the tribe of the Phtheirophagi (lice-eaters). To sum up, based on the symptoms and living conditions of the Colchians, which were encountered by

Hippocrates and according to the information given us about other ancient sources indirectly, we can conclude, that the illness, which the Colchians were suffering from was not Malaria, as it was thought earlier, but was hepatitis A. Also, during our research we encountered that the Greeks were giving name to barbarian tribes not only according to their ethnical identity but also, according to their health condition, which is very rare in ancient historiography.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

თემურ თოდუა

რომაული მუზარადი აღმოსავლეთ საქართველოდან

დასავლეთ საქართველოსაგან (კოლხეთი) განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში (იბერია) რომაული არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევები საგრძნობლად ნაკლებია. როგორც ცნობილია, კოლხეთში რომაული სამხედრო შენაერთების დისლოკაციის ადგილები დამაჯერებლად არის დადასტურებული. რაც შეეხება იბერიას, სამეცნიერო ლიტერატურაში რომაული სამხედრო შენაერთების ყოფნის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში რომაული გარნიზონი არ იდგა.[1] არის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც რომაული სამხედრო შენაერთები განლაგებულნი იყვნენ მცხეთაში.[2] ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ, უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ რომაელები იდგნენ არა მარტო მცხეთაში, არამედ ძალისაში, იბერია-ალბანეთის საზღვრებთან და დარიალის ხეობაში. ამ მოსაზრების დამადასტურებელ ერთ-ერთ ფაქტად შეიძლება დასახელდეს ამ უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი რომაული მუზარადი, რომელიც 1986 წელს კახეთში, სოფ. ზემო ქედში, შემთხვევით აღმოჩნდა. იგი ამჟამად დაცულია დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (საინვენტარო №3145). ბრინჯაოს მუზარადი დაზიანებულია. მას ნახევარსფეროს ფორმა აქვს, სიმტკიცისათვის შუბლთან დამატებით ბრინჯაოსავე სარტყელია მირჩილული, ხოლო კისრის დამცავ ფირფიტაზე – სამი ჰორიზონტალური სარტყელი. ფირფიტაზე შემორჩენილია ექვსი სამანჭვლე ნახვრეტი, სადაც დამაგრებული უნდა ყოფილიყო ორნამენტები, ისევე, როგორც ეს კოლჩესტერში აღმოჩენილ მუზარადზეა.[3] აღწერილი მუზარადი

[1] Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. 1959, გვ. 71.
[2] Т. Моммзен. История Рима. V. М-Л. 1949, გვ. 358; О. Кудрявцев. Рим, Армения и Парфия во второй половине правления Нерона. ВДИ. 3. 1949, გვ. 69.
[3] G. Webster. The Roman Imperial Army. London, 1985, გვ. 125, სურ. 19.

ლეგიონერების მუზარადთა კატეგორიას განეკუთვნება. მსგავსი მუზარადები დადასტურებულია გერმანიაში,[4] ბრიტანეთსა[5] და ახ. წ-ის I საუკუნით თარიღდება.

ძნელია ახლა გადაჭრით ითქვას იმის შესახებ, თუ რა გზითაა აღნიშნული მუზარადი ზემო ქედში მოხვედრილი, მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა შესაძლებელია. მუზარადის აღმოჩენის ტოპოგრაფიიდან გამომდინარე, შესაძლოა, რომ რომაელებს სოფ. ზემო ქედის მიდამოებში, ანუ იბერია – ალბანეთის საზღვრის სიახლოვეს სადარაჯო-საკონტროლო პუნქტი ჰქონდათ განლაგებული. ისიც არაა გამორიცხული, რომ ეს მუზარადი ადრიანეს მიერ იბერიაში „საჩუქრად" გამოგზავნილ სამხედრო შენაერთს უკავშირდებოდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, აღნიშნული არქეოლოგიური მონაპოვარი იბერია-რომის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კავშირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმობაა, რაც გარკვეულწილად სხვა ხასიათის არტეფაქტებშიც აისახა; კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მცხეთაში, ბორში, ზღუდერში, ნასტაკისში დადასტურებულია ახ. წ. I-II საუკუნეებით დათარიღებული რომაული ნაწარმი: ბრინჯაოსა და ვერცხლის ფიალები, თასები, პატერები, ენოხოები, ბატილუმები, სარკეები და სხვ.[6] ამ ნივთების გარკვეული ნაწილი, შესაძლოა იბერიელი დიდებულებისათვის რომაელ ხელისუფალთა მიერ ბოძებულ ძღვენებსა და ჯილდოებს წარმოადგენდა, მათი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კომპანიებში მონაწილეობისათვის. ამავე თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია დედოფლისგორის ნამოსახლარის ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენაში აღმოჩენილი რომაული ტიპის ჯავშნები, ე.წ. „ლორიკები".[7]

ამრიგად, სოფ. ზემო ქედში აღმოჩენილი რომაული მუზარადი მრავალმხრივ საინტერესო მონაპოვარია; მუზარადი ჯერჯერობით ერთადერთი და უნიკალურია არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის არქეოლოგიური სინამდვილისათვის; იგი აძლიერებს ჩვენეულ თეზას იბერიაში რომაული საჯარისო შენაერთების ყოფნის შესახებ; როგორც ჩანს, მათი ნაწილი ლეგიონერებით იყო დაკომპლექტებული; მუზარადი, თანაც ლეგიონერის, მიანიშ-

[4] P. Connolly. Greece and Rome at War. London. 1988, გვ. 228.

[5] G. Webster. The Roman Imperial army, გვ. 125.

[6] ოთ. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია). თბ. 1968, გვ. 78-80, 86, 99.

[7] იულ. გაგოშიძე. I ს-ის იბერიელი მხედარი. აკკძ. 13-14. 2004, გვ. 128-132.

ნებს იბერიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე რომის იმპერიის სივრცეში; დაბოლოს, ის ერთგვარი მატერიალური მოწმობაა იმისა, რომ იმპერია იბერიის მხრიდანაც აკონტროლებდა ალბანეთს, რათა რომის სახელმწიფოს საზღვრების უსაფრთხოება უზრუნველეყო.

შემოკლებათა ლექსიკონი განმარტება:

აკცძ – არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძიებანი.

ВДИ – Вестник древней истории.

1

2

Temur Todua

ROMAN HELMET FROM EASTERN GEORGIA

Summary

The Roman helmet was accidentally unearthed in 1986 in Kakheti, in the village Zemo Kedi. Today it is in the funds of Dedoplistskaro Regional Historiscal Museum (inventory number 3145). The bronze helmet is damaged, it has a half-circled shape, for making it more solid, it has a bronze girdle attached to the forehead, and on the security plate of a neck it has three horizontal girdles. There are six holes made by a large nail on the plate where ornaments were supposed to be attached, probably in a way as it was on the helmet discovered in Colchester. Helmet was, perhaps, equipped with plates securing the cheeks which are not preserved. Described helmet belongs to the helmets of legionaries. Helmets of this kind were found in Germany, Britain and they are dated by 1st c. A.D. It is difficult to say how this helmet found its way to Zemo Kedi, but several assumptions can be put forward. Deriving from the topography of the helmet discovery, it is probable that the Romans might have maintained lookout checkpoint near the Ibero-Albanian border in the vicinity of Zemo Kedi. Maybe this helmet was linked with the military formation dispatched to Iberia by Emperor Hadrian as a "gift".

In any case, one thing is clear: the above mentioned archaeological find is one of the important evidences of the close Ibero-Roman military and political interaction, that is also supported by other artefacts of different type. On the territory of Eastern Georgia – in Mtskheta, Zguderi, Nastakisi – there are finds of commodities proved to be of Roman manufacture: bronze and silver bowls, cups, pateras, batiliums, mirrors and others. Certain part of these items might have been donations and awards of Roman Emperors to the nobles of Iberia for their pro-Roman orientation and their participation in the Roman military campaigns. It should be noted that in the cultural layer of Dedoplisgori ancient settlement, dating to 1st c. B.C. - 1st c. A.D., armors of Roman type, so called "loriks", were unearthed too.

Therefore, Roman helmet excavated in the village of Zemo Kedi is interesting find from many points of view; the helmet up to nowadays remains

unique item not only for Georgia, but also for the whole Caucasus; it supports idea that the Roman military presence in Iberia indeed took place; and from Iberia the Empire controlled Albania to ensure that the borders of the Roman power were secure.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

ნინო სილაგაძე

არქიტექტურული და რელიეფური ფრაგმენტები სოფ. ლიპიდან

წარმოდგენილ სტატიაში შევეხებით ნაკლებად შესწავლილ ძეგლს – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ლიპის მახლობლად განლაგებული ეკლესიის ნაშთებს. ძეგლი მდებარეობს სოფლიდან ორიოდე კმ-ში, ლიპსა და სოფ. დმანისს შორის ოდესღაც არსებული გზის მახლობლად (სურ. 1).

ხსენებულ ძეგლს ერთადერთი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება – თ. ბარნაველის მცირე სტატია.[1] სტატიაში ავტორი მიუთითებს, რომ 1961-66 წლებში რ. შმერლინგთან ერთად იკვლევდა თეთრიწყაროს რაიონის ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და ტოპონიმიკას. ამ პერიოდში მან ყურადღება მიაქცია ხსენებულ არქიტექტურულ ფრაგმენტებს. ადგილობრივ მოსახლეობას ეკლესიის სახელი არ ახსოვს და მას კასარეთის ეკლესიას უწოდებს. სოფ. ლიპის მოსახლეობა აქ გორის რაიონიდან, სოფ. კასარეთიდან ყოფილა გადმოსახლებული და, ამდენად, როგორც ჩანს, ეკლესიას ეს სახელი მოგვიანებით შეარქვეს. თ. ბარნაველი თქმით, მოხუცების გადმოცემით, დღესასწაული 15 ივლისს, ანუ კვირიკესა და ივლიტას დღეს იმართებოდა.[2] დღეს სოფ. ლიპი პრაქტიკულად დაცლილია, ოფიციალურად აქ 15 მცხოვრები ირიცხება. სოფელში ადრე მცხოვრები ოსები წასულები არიან და ახალმა მოსახლეობამ არაფერი იცის ეკლესიის შესახებ.

თ. ბარნაველის სტატიაში არაა მოცემული ნაგებობის ანაზომი, სქემები ან მისი რეკონსტრუქციის რაიმე ცდა. ასევე არაფერს ამბობს ავტორი ეკლესიის თარიღის შესახებ, მხოლოდ მცირე რუსულ ანოტაციაში ასახელებს მისი აგების სავარაუდო თარიღად X-XI სს-ს, თუმცა ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე. ამრიგად, ჩვენი აზრით, ხსენებული ძეგლი უფრო დეტალურ

[1] თ. ბარნაველი. სოფ. ლიპის ეკლესიის ერთი არქიტექტურული დეტალი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 56. 1969, გვ. 756-760.
[2] თ. ბარნაველი. სოფ. ლიპის ეკლესიის ერთი არქიტექტურული დეტალი, გვ. 756.

შესწავლას საჭიროებს.

სოფ. ლიპის მახლობლად განლაგებული, ამჟამად ნანგრევებად ქცეული ეკლესია დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენს სამხრეთის მინაშენით დარბაზის მთელ სიგრძეზე (სურ. 2, 3, 4, 5). მინაშენის გარეშე დარბაზის ზომებია 6,43 მ×3,1 მ. თავად მინაშენი საერთოდ დანგრეულია და ზედაპირული დათვალიერების შედეგად მხოლოდ დაახლოებით შეიძლება ითქვას, რომ მისი სიგანე 1,5 მ-ია. თავად დარბაზიც პრაქტიკულად ნანგრევებადაა ქცეული და თითქმის არ ექვემდებარება რეკონსტრუქციას. ეკლესია აგებულია საკმაოდ დიდი, მოუხეშავად დამუშავებული რუხი ქვის კვადრებით (გამოყენებულია ე.წ. ალგეთის ქვა). უფრო საგულდაგულოდ დამუშავებული ქვები გამოყენებულია დარბაზის სამხრეთ მხარეს განლაგებული შესასვლელის თავზე, მინაშენის სავარაუდო შესასვლელის ადგილას და აფსიდის ტრიუმფალური თაღის პილასტრის შემორჩენილ ფრაგმენტზე. დარბაზის შესასვლელის თავზე ორი რკალისებურად გათლილი ქვა თაღს ქმნის, თუმცა ძნელია თქმა, ტიმპანი იყო აქ თუ ლუნეტი (უფრო სავარაუდოა ღია ლუნეტის არსებობა). ძალზე საინტერესოა სამხრეთ მხარეს განლაგებული აფსიდისპირა პილასტრის ფორმა – მასზე ამოკვეთილია რელიეფური ჯვარი საფეხურისებრ კვარცხლბეკზე (გოლგოთას ჯვარი) (სურ. 6). მის მოპირდაპირედ, ჩრდილოეთის კედელთან გდია ანალოგიური, ორად გადატეხილი ბლოკი ასეთივე ჯვრის გამოსახულებით (როგორც ჩანს, მეორე აფსიდისპირა პილასტრი) (სურ. 7). აფსიდში დგას ტრაპეზი (ქვევითკენ შევიწროებული სვეტისებრი რუხი ქვა რელიეფური ჯვრით) და განირჩევა ხარისხი – საფეხურისებრი შემაღლება საკურთხევლისთვის (სურ. 8).

რაც შეეხება თავად დარბაზს, მისი სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლები ძალზე ფრაგმენტულადაა შემონახული (კონქის მაქსიმალური სიმაღლეა 2 მ., დასავლეთის კედლისა – 1,47 მ.), ხოლო სარკმლები საერთოდ არ შემორჩა. ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები თითქმის მთლიანად ჩაშლილია და ქვები იქვე ყრია (სურ. 9, 10).

დარბაზის სამხრეთ კედელში არსებული კარი ზუსტად მინაშენის შესასვლელის ღერძზეა. მინაშენი თითქმის დაშლილია, ქვები გარეთაც ყრია და ამ ქვებში რელიეფური სტელების ფრაგმენტები დავაფიქსირეთ, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. დანგრეულ მინაშენში არის კიდევ ორი საინტერესო რელიეფული ფილა, რომლებიც, სავარაუდოდ, ეკლესიას ეკუთვნოდა. მიმდებარე ტერიტორიაზე მიმობნეულ ქვებში მრავალი საყურადღებო არქიტექტურული

დეტალია, მათ შორის: მორკალული ქვა – სავარაუდოდ მინაშენის შესასვლელის ტიმპანის თუ ლუნეტის თაღის ფრაგმენტი; სვეტის ბაზა (ზომები 50×45×30 სმ, სვეტის დიამეტრი – 40 სმ.); ორი მართკუთხა ბლოკი – სავარაუდოდ, კარნიზის ფრაგმენტები; რამდენიმე ღრმულიანი ქვა – სავარაუდოდ, ქვაჯვარის ბაზები (სურ. 13, 14, 15, 16).

ეკლესია, როგორც ჩანს, გალავნით იყო გარშემორტყმული, მისი ნაშთები ცხადად განირჩევა (სურ. 11, 12).

ეკლესიის კედლის წყობა შედგება ძალიან მსხვილი, ტლანქად დამუშავებული ბლოკებისგან. ზოგი ძალიან დიდია, მაგ., შესასვლელის თაღის საყრდენი ქვის სიგანე 70 სმ-ია. გამოყენებულია შემაერთებელი დულაბი. კიდევ უფრო მასიური ქვები გამოყენებულია გალავნისათვის.

რაც შეეხება რელიეფურ ფრაგმენტებს, რომლებიც სავარაუდოდ თავად ნაგებობას ეკუთვნის, პირველ რიგში, გვინდა შევჩერდეთ ძალზე საინტერესო ფილაზე, რომელიც ამჟამად დანგრეულ მინაშენში გდია (სურ. 21). თ. ბარნაველს მოცემული აქვს მისი გრაფიკული სქემა. მისი აზრით, ეს შესასვლელის ტიმპანია, რომელზეც ამოკვეთილია რაღაც ნაგებობის გეგმა თუ სქემა.[3] მართალია, ასეთი შემთხვევები ქართულ სინამდვილეში არსებობს (მაგ., ქოროღოს ეკლესიის საქტიტოტრო რელიეფი (სურ. 22)), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაგებობა დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს მინაშენით სამხრეთიდან, რომელიც მთელ სიგრძეზე მიუყვება შენობას, აღნიშნული კომპოზიცია ნაკლებად სავარაუდოა, მისი გეგმა იყოს. ყოველ შემთხვევაში, განირჩევა კვარცხლბეკზე მდგომი ორი ჯვარი კომპოზიციის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე და სამ სექციად დაყოფილი ცენტრალური არე „სოკოსებრი“ გამოსახულებებით. რთულია იმის თქმა, რას წარმოადგენს აღნიშნული კომპოზიცია, რადგან ჩვენთვის ქართულ სინამდვილეში რაიმე მსგავსი გამოსახულება უცნობია. ერთადერთ ოდნავ მიმსგავსებულ დეკორატიულ დეტალად შესაძლებელია მივიჩნიოთ ადრექრისტიანული ხანის ქართულ რელიეფურ სტელებზე გავრცელებული „კამარების“ მოტივი, რომლებიც ხშირად ამკობს სტელების კაპიტელებს (მაგ., ხანდისის სტელა (VI ს.), დიდი გომარეთის სტელების ფრაგმენტები (VI-VII სს.),[4] ბოლნისის რ-ნში აღმოჩენილი

[3] თ. ბარნაველი. სოფ. ლიპის ეკლესიის ერთი არქიტექტურული დეტალი, გვ. 758-759.

[4] კ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები. თბ. 2008, ტაბ. 13, 53.

სტელის კაპიტელი (VII ს.), ლამაზი გორას სტელის ფრაგმენტი (VI-VII სს.), ბაღჩალარის სტელა (VI-VII სს.), ზემო სკრას სტელა (V-VI სს.) და მრავალი სხვ.[5]).

საინტერესოა, აგრეთვე, საცხენისის სტელის ფრაგმენტი (VI ს.), რომლის მარცხენა წახნაგზე გამოსახულია შობისა და ხარების სცენები. ხარების ორფიგურიანი კომპოზიციის თავზე განირჩევა თაღედი. ეს არქიტექტურული დეტალი სიმბოლურად ქალაქ ნაზარეთს განასახიერებს, როგორც ეს მიღებულია ხარების სცენის იკონოგრაფიაში. მაგრამ ადრექრისტიანულ რელეფებში ასეთი არქიტეტურული კულისების გამოყენება საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. ამასთან, რამდენიმე ადრეულ ძეგლზე (მაგ., მილანის სპილოსძვლის ხატი ტრივულციოს კოლექციიდან ხარების გამოსახულებით (VI ს.) ან მაქსიმიანეს ტახტის რელეიფი იერუსალიმად შესვლის სცენით (VI ს.)) ანტიკური სტილის არქიტრავული ნაგებობი, პორტიკებია წარმოდგენილი და არა თაღედი.[6]

როგორც ნ. ჩუბინაშვილი წერს, ნალისებრი თაღების თუ კამარების და პილასტრების აღნიშნული მოტივი იმდენად გავრცელებულია ადრექრისტიანული ქართული სტელების დეკორში, რომ საფიქრებელია, იგი სიმბოლურ მოტივს წარმოადგენდეს. მეცნიერის ვარაუდით, ეს იერუსალიმის უფლის საფლავის ეკლესიის სიმბოლური განსახიერებაა.[7] ამრიგად, ფრთხილი ჰიპოთეზის სახით შეგვიძლია დავუშვათ რაიმე მსგავსი სიმბოლიკის არსებობა ლიპის ეკლესიის უჩვეულო რელიეფურ გამოსახულებაზეც, რადგან ის მართლაც შესაძლებელია მივამსგავსოთ რაიმე არქიტექტურული ნაგებობის თუ მისი ფასადის სქემას. ერთადერთი, რისი თქმაც მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით შეიძლება, ისაა, რომ თუ რელიეფი სქემატურად რაიმე ნაგებობას წარმოგვიდგენს, სავარაუდოა, რომ ეს ნაგებობა წმინდა მიწაზე არსებობს ან არსებობდა.

1969 წელს თ. ბარნაველი წერდა, რომ ეს რელიეფი უნიკალურია, მას არ აქვს ანალოგია ქართულ სინამდვილეში და სასწრაფოდ საჭიროებს გადატანას მუზეუმში. სამწუხაროდ, როგორც ამ ფრაგმენტის, ისე ლიპის ეკლესიის სხვა ნაშთების მდგომარეობა კვლავ სავალალო რჩება.

---

[5] გ. ჯავახიშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები. თბ. 1998, გვ. 11, 12, 31, 39.

[6] კ. მაჩაბელი. სტელის ფრაგმენტი სოფელ საცხენისიდან. ARS Georgica. თბ. 1991, გვ. 51-65.

[7] Н. Чубинашвили. Хандиси. Тб. 1972, გვ. 13.

კიდევ ერთი რელიეფური ფრაგმენტი – ვერტიკალურად მდგომი სწორკუთხა ბლოკი, შესაძლებელია, შენობის ელემენტი, მდებარეობს ეკლესიის დანგრეული სამხრეთის მინაშენის გარე კედელთან (სურ. 23, 24). იქვე, მოპირდაპირე მხარეს, ასეთივე დიდი მართკუთხა, მაგრამ ურელიეფო ბლოკია. როგორც ჩანს, აქ შესასვლელი იყო განლაგებული. რელიეფის ცენტრში ორნამეტული ჯვარია, არე დაფარულია ჯვრიანი მედალიონებისგან შემდგარი მჭიდრო ორნამენტით. ჩარჩოს მოიუყვება ასეთივე მედალიონების მწკრივი, ხოლო ცენტრალური არე შედგება ერთმანეთზე გადასული წრეების და ჯვრების მოტივებისაგან. მსგავს ორნამენტს ვხედავთ გრიგოლ მამასახლისის სტელაზე (VI-VII სს.),[8] ასევე ბოლნისის სიონის სტოას კაპიტელებზე და სვეტიცხოვლის სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯის ქვეშ V საუკუნის ბაზილიკიდან შემორჩენილ სვეტის ბაზაზე. ამგვარად, მსგავსი ორნამენტი საკმაოდ გავრცელებულია V-VII სს-ში.

ხსენებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება საუბარი ლიპის მახლობლად მდებარე ეკლესიის სავარაუდო თარიღის პრობლემაზე, რომელსაც ძალზე ართულებს ძეგლის სავალალო მდგომარეობა. მხოლოდ რამდენიმე ფაქტს შეგვიძლია დავეყრდნოთ, მათ შორის – კედლის წყობისა და ქვის დამუშავების ხასიათს. შემაერთებელი დუღაბის გამოყენება, მსხვილი ქვის კვადრები, მათი არაერთგვაროვანი ზომა, ოდნავ უხეში დამუშავება არ ეწინააღმდეგება ძეგლის დათარიღებას VI-VII სს-ით. გასათვალისწინებელია ასევე, რომ თეთრიწყაროს და მის მიმდებარე ბოლნისისა და დმანისის რაიონებში ამ პერიოდის და ამ ტიპის (ერთ მხარეს სტოას ტიპის მინაშენის მქონე) დარბაზული ეკლესიები მრავლადაა.

ლიპის ეკლესიის მახლობლად დაფიქსირებული სვეტის ბაზა და მორკალული ქვა იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ სამხრეთის მინაშენის შესასვლელს შეიძლება სვეტზე გადასული ორმალიანი თაღის სახე ჰქონდა, ანუ მინაშენი სტოას წარმოადგენდა. მსგავსი სტრუქტურა აქვს მაგ., თრიალეთი-ოლთისის და აიაზმა-თეთრიწყაროს ეკლესიებს (VI ს-ის შუახანები)[9] (სურ. 17, 18, 20). იმავე ტიპისაა ჯავახეთის და ქვემო ქართლის რამდენიმე სხვა ძეგლიც: მაგ., ტამალა (VI ს-ის I ნახ.),[10] სარო (VII-VIII სს.)[11] და

[8] გ. ჯაფარიძე. ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, გვ. 36-37.
[9] Н. Чубинашвили, Р. Шмерлинг. Древние храмы в селениях Триалети-Олтиси и Тетрицкаро. ARS Georgica. 4. Тб. 1958, გვ. 47-65.
[10] Н. Чубинашвили. Шашианис Самеба. Тб. 1988, გვ. 77-78.

ყიზილ-დერესის ეკლესია (V-VI სს.). ყველა ამ ნაგებობას ეკვდერი-მინაშენი გახსნილი აქვს ერთ სვეტზე გადასული ორი თაღით. ყველა შემთხვევაში გამოყენებულია მასიური პროპორციების, მძლავრი, დაბალი სვეტი ასევე მასიური ტრაპეციის მაგვარი კაპიტელით და კუბური ბაზისით. დაახლოებით ასეთია ლიპის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ბაზისიც.

ამავე ტიპის ძეგლებს შეიძლება დავუკავშიროთ აკვანებას ეკლესიაც, სადაც, მართალია, მინაშენი დანგრეულია, მაგრამ აქაც იგი სამხრეთის მხარესაა განლაგებული და შესაძლებელია, ისიც გახსნილი იყო ორმაგი თაღით (სურ. 19). თუმცა აქ მინაშენი ორ ნაწილადაა გაყოფილი – ერთმანეთისგან გამოყოფილია მთავარი დარბაზის აფსიდის მიმდებარე მცირე კვადრატული აფსიდიანი სათავსი და მოგრძო შესასვლელი.[12]

დავუბრუნდეთ რელიეფურ ფრაგმენტებს, რომლებიც ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დავაფიქსირეთ.

პირველი ფრაგმენტი, სავრაუდოდ სტელა, წარმოადგენს კვარცხლბეკზე მდგომ სწორკუთხა ბლოკს (60×40×30 სმ). მასზე მოცემულია ბოლოებში გაგანიერებული და კუწუბებით დამუშავებული რელიეფური ჯვარი, რომლის ქვევით მოჩანს ზოროასტრული წასაკვრავის ბოლოები (სურ. 25, 26). ბაფთის ბოლოები დამუშავებულია პარალელური ხაზებით. კომპოზიციის ზედა ნაწილში, ჯვრის აქეთ-იქით ორი მედალიონია: ერთს ბორჯღალის სახე აქვს, მეორე წარმოადგენს რადიალური შტრიხებით დამუშავებულ კონცენტრული წრეებს (მზე და მთვარე). ფილის ზედა კიდეზე ოდნავ შვერილი კარნიზია, ბოლოებში გაგანიერებული ჯვრების მწკრივით. თავად დიდი ჯვრის ფორმა თითქმის მთლიანად ემთხვევა აკაურთას ეკლესიის ინტერიერში არსებულ გამოსახულებებს (სურ. 27, 28), ასევე კუმურდოს ეკლესიის შესასვლელთან მდებარე რელიეფურ ფილაზე მოცემულ ჯვარს. მთლიანი კომპოზიციის თითქმის ზუსტ ანალოგიას ვხედავთ ბრდაძორის სტელის (VI ს-ის II ნახ.) დასავლეთ წახნაგის ქვედა ნაწილში, მხოლოდ აქ მედალიონები ვარდულის ფორმისაა (სურ. 34).[13]

ზოროასტრული წმინდა წასაკრავი ქართულ რელიეფებზე იშვიათობა

[11] Н. Чубинашвили. Шашианис Самеба, გვ. 98-99

[12] ლ. რჩეულიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი. ARS Georgica 2. თბ. 1958, გვ. 27-47.

[13] კ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, გვ. 117, ტაბ. 17.

არაა და გვხვდება V-VII სს-ში (მაგ., წილკნის ეკლესიის ტრიუმფალურ თაღზე მოთავსებულ ჯვართან კომბინაციაში (V ს.) (სურ. 33), აკვანების ეკლესიის რელიეფზე (V-VI სს.) (სურ. 31), ბოლნისის სიონის ფასადზე (V ს.) (სურ. 32), გიულბაგის რელიეფზე (VI ს.) (სურ. 29), ასევე ქვასვეტის ფრაგმენტზე ზემო თმოგვიდან (VII ს.) (სურ. 30), სადაც ჯვრიანი შტანდარტის ბუნზე აქეთ-იქით მობმულია მორკალვით ზეაღმართული ბაფთის ბოლოები.[14] ასეთივე წასაკრავი ამკობს ჯვრიან მედალიონს უკანაგორის სტელის ბაზაზე. უკანასკნელ ფრაგმენტს აქვს ასომთავრული წარწერაც, რის მიხედვითაც ვ. ჯაფარიძე მას VI ს-ით ათარიღებს,[15] ხოლო ნ. შოშიაშვილი – VII ს-ით.[16]) ლიპის სტელაზე მოცემული ჯვრის მიახლოებული ფორმისაა აგრეთვე სკულპტურული ჯვრები დმანისიდან (V-VI სს.)[17] (სურ. 35).

მზისა და მთვარის (დეკორატიული მედალიონების) მოტივი ასევე ძალიან გავრცელებულია V-VII სს-ის. ქართულ ხელოვნებაში (ხანდისის სტელა (VI ს), ქვემო ბოლნისის რელიეფი (VII ს.), აკაურთას ეკლესიის შესასვლელის რელიეფი, სტელის ფრაგმენტი წვეროდაბლის ეკლესიიდან ჭერემში (VI ს.) და მრავალი სხვ.). ლიპის რელიეფის მარჯვენა მედალიონი მოგვაგონებს ქვემო ბოლნისის მაცხოვრის ამაღლების კომპოზიციის მზეს (კონცენტული წრეები და რადიალური ხაზები). ასეთივე მედალიონი შემორჩენილია თეთრიწყაროს ეკლესიის სვეტისთავზე (VI ს.-VII ს-ის დასაწყისი).

ორი ფილა-სტელა თითქმის ანალოგიური გამოსახულებებით შემორჩენილია ლიპის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხრეთ მხარეს, გალავნის შიგნით. ერთი მიწაზე გდია და შუაზეა გადატეხილი. აქვე დევს მისი ბაზაც. გატეხილ სტელაზე გამოსახულია ზემოთ განხილული ქვასვეტის ანალოგიური ჯვარი ზოროასტრული ლენტებით, მხოლოდ მზისა და მთვარის მაგიერ მცირე ჯვრებია ამოკვეთილი (სურ. 37). მისი ზომებია 70×43×18 სმ.

მეორე ფილა იქვე ახლოს მიყუდებულია ხეზე. მასზე იგივე კომპოზიციაა მოცემული, მხოლოდ ფილის ფორმა ოდნავ განსხვავებულია – ზევით-

[14] გ. ჯაფახიშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, გვ 41.
[15] ვ. ჯაფარიძე. ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან. თბ. 1981, გვ. 75.
[16] ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 99.
[17] კ. მანაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, ტაბ. 62, 64.

კენ გაგანიერებული (ზომები 75×30×15 სმ, სიგანე აღებულია განიერ მხარეს) (სურ. 36).

კიდევ ერთი ფილა-სტელა თითქმის ჩაფლულია მიწაში და სიგრძეზეა გატეხილი. მასზე წარმოდგენილია წაგრძელებული ჯვარი ბოლოებში დეკორატიული მედალიონებით (სურ. 38). ჯვარი ფორმით ანალოგიას პოულობს ბეჩურაშენის სტელის ბაზაზე ამოკვეთილ ჯვართან (სურ. 39) (ბეჩურაშენის ფრაგმენტს თან ახლავს ბერძნული წარწერა, რომლის მიხედვითაც იგი V-VI სს-ით თარიღდება[18]). ჩვენი აზრით, ლიპის ფრაგმენტი ძალზე ახლოს უნდა იყოს ამ საინტერესო ძეგლთან. ამავე დროს, გატეხილ ფილაზე განირჩევა ზოროასტრული წასაკრავის ბოლოც, რაც ძალზე ტიპურია V-VII სს-ის. ძეგლებისათვის.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, სტელების ფრაგმენტების დათარიღება საკმაოდ დიდი ალბათობით შესაძლებელია VI-VII სს-ით (თ. ბარნაველი, რომელიც მთლიანად ეკლესიას X-XI სს-ით ათარიღებს, არაფერს არ ამბობს კონკრეტულად რელიეფური დეტალების თარიღის შესახებ). გამორიცხული არაა, რომ თავად ნაგებობაც ამავე ეპოქას – VI-VII სს. – განეკუთვნება.

დამატებით არგუმენტებს ასეთი დათარიღებისათვის პალეოგრაფიული მონაცემებიც გვაძლევს. თ. ყაუხჩიშვილს გამოქვეყნებული აქვს ბერძნული წარწერის ფრაგმენტი სოფ. ლიპიდან („ ... და თეოპისტე"), რომელიც, მისი სიტყვებით, ჩამოვარდნილი იყო ამ სოფლის მახლობლად მდებარე ერთნავიანი ეკლესიიდან. წარწერა ადრებიზანტიური ხანით, VI-VII სს-ით თარიღდება.[19] რა თქმა უნდა, არაა აუცილებელი, ეკლესია და სტელები თანადროული იყოს, მაგრამ ეს გამორიცხულიც არ არის. ადრექრისტიანულ ხანაში ასეთი შემთხვევები ცნობილია (მაგ., ხევის სიონი, გიორგიწმინდას ეკლესია ზემო ვარძიასთან (ორივე – VI-VII სს. და სხვ.[20]).

---

[18] თ. ყაუხჩიშვილი. კასრეთის ბერძნული წარწერა. სსმ მოამბე. XXVII. თბ. 1967, გვ. 152-156; ვ. ჯაფარიძე. ქართული ხელოვნების და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი ძეგლები ქვემო ქართლიდან. „ძეგლის მეგობარი". 1970, გვ. 52-62.

[19] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ. 2009, გვ. 254.

[20] Н. Чубинашвили. Хандиси, გვ. 10.


Jigrasheni
Didi Iraga
Tetri Tsqaro
Chivchavi
Ipnari
Lipi
Zemo Akhalsheni
Samghereti
Shikhilo
Kvemo Akhalsheni
Google earth

სურ. 1

სურ. 2. ლიპის ეკლესია. ხედი სამხრეთიდან

სურ. 3. ლიპის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთზე

სურ. 4. ლიპის ეკლესია. ხედი ჩრდილოეთიდან

სურ. 5. ლიპის ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთზე

სურ. 6. ლიპის ეკლესიის სამხრეთი აფსიდისპირა პილასტრი

სურ. 7. ლიპის ეკლესიის ჩრდილოეთი აფსიდისპირა პილასტრი

სურ. 8. ლიპის ეკლესია. ხედი საკურთხეველზე

სურ. 9. ლიპის ეკლესია. ხედი დასავლეთიდან

სურ. 10. ლიპის ეკლესია. ხედი ჩრდილოეთიდან

სურ. 11, 12. გალავნის ნაშთები ლიპის ეკლესიის გარშემო

სურ. 13. სვეტის ბაზისი

სურ. 14. თაღის ფრაგმენტი

სურ. 15. კარნიზის დეტალი

სურ. 16. ქვაჯვარის ბაზა



სურ. 17. თეთრიწყაროს (აიაზმას) ეკლესია. VI-VII სს. გეგმა. ნ. ჩუბინაშვილის და რ. შმერლინგის მიხედვით



სურ. 18. თრიალეთი-ოლთისის ეკლესია. VI-VII სს. გეგმა. ნ. ჩუბინაშვილის და რ. შმერლინგის მიხედვით



სურ. 19. აკვანებას ეკლესია. V-VI სს. გეგმა. ლ. რჩეულიშვილის მიხედვით



სურ. 20. თრიალეთი-ოლთისის ეკლესია. სამხრეთის ფასადი და ჭრილი საკურთხეველზე. ნ. ჩუბინაშვილის და რ. შმერლინგის მიხედვით

სურ. 21. რელიეფური ფრაგმენტი ლიპის ეკლესიის მინაშენიდან

სურ. 22. ქოროღოს ეკლესიის საქტიტორო რელიეფი. X ს.

სურ. 23, 24. რელიეფური ფრაგმენტი ლიპის ეკლესიის მინაშენიდან

სურ. 25, 26. ქვაჯვარი ლიპის ეკლესიის მახლობლად

სურ. 27, 28. რელიეფური ჯვრები აკაურთას ეკლესიის ინტერიერში. VI-VII სს.

სურ. 29. რელიეფი სოფ. გიულბაგიდან. VI ს.

სურ. 30 უკანაგორის სტელა. VI-VII სს.

სურ. 31. აკვანებას ეკლესიის რელიეფი. V-VI სს.

სურ. 32. ბოლნისის სიონის რელიეფი. V ს.

სურ. 33. წილკნის ეკლესიის რელიეფები. V ს.

სურ. 34. ბრდაძორის სტელა. VI ს-ის II ნახ.

სურ. 35. რელიეფური ჯვარი დმანისიდან. V-VI სს.

სურ. 36, 37. ფილა-სტელები ლიპის ეკლესიის მახლობლად

სურ. 38. ქვაჯვარის ფრაგმენტი ლიპის ეკლესიის მახლობლად

სურ. 39. ბეჩურაშენის სტელა. V-VI ს.

Nino Silagadze

ARCHITECTURAL FRAGMENTS AND RELIEVES FROM VILLAGE LIPI (LOWER KARTLI)

Summary

The church remnants are traced near village Lipi in Tetritskaro Municipality. This one-nave building has stoa from the south. The walls have been built with big rude stones. Relief details inside are of great interest – they are effigies of Cross potent on the both sides of altar. In stoa we have two more relieves. One is ornamental stone placed at the entrance, next – unidentified relief on the massive stone, presumably, the scheme of a building. If it is really a scheme, it should be a symbolic expression of world-celebrated Christian monument, like any church from the Holy Land. Nothing has been found like before in Georgia.

Four stelae with Zoroastrian elements are fixed for the first time in the neighborhood. According to stylistic data, church and stelae are to be dated by Early Christian Epoch (6th -7th cc.).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

ელდარ მამისთვალიშვილი

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალდგენის ისტორიისათვის

1. ჯვრის მონასტრის ალდგენის ისტორიული წანამძღვრები

სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ სპარსელების მიერ პალესტინის დაპყრობისას, 614 წელს, იერუსალიმმა და მისმა მიდამოებმა საშინელი აკლება-განადგურება განიცადა. თუ ეს მართლაც მოხდა, მაშინ სრულიად გასაგებია, რომ ქალაქის სიახლოვეს მდებარე ჯვრის მონასტერი საერთო ხვედრს ვერ აიცილებდა. და რომ ასე მოხდა, ამას აღნიშნავს ჯვრის მონასტერში არქეოლოგიური შესწავლის ხელმძღვანელი ა. ეკონომოპულოსიც. იგი ჩატარებული სამუშაოს შედეგების ანგარიშში აღნიშნავს, რომ სპარსელების მიერ პალესტინის განადგურების დროს ჯვრის მონასტერი დაინგრა. იგი წერს: „თავდაპირველად ეკლესიას ჰქონდა სამნავიანი ბაზილიკის სახე, გარედან სწორკუთხა მოხაზულობის შვერილი აბსიდითა და კვადრატული პასტოფორიუმებით მის ორივე მხარეს. ეს ბაზილიკა დანგრეულა 614 წელს სპარსთა შემოსევისას. პირველი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ ეკლესია ხელახლა აიგო ბიზანტიური ერის დასასრულსა და არაბთა დაპყრობების დასაწყისში“.[1]

საგულისხმოა, რომ ჯვრის მონასტრის თანადროულად დაინგრა სხვა ქართული მონასტრებიც, რომელთა შესახებ წერილობითი ცნობები არ გაგვაჩნია და მათი არსებობა მხოლოდ არქეოლოგიური კვლევის შედეგად გახდა

[1] A. Economopulos. Fresh Date Resulting from the Excavation in the Church of the Monastery of the Holy Cross of Jerusalem. Actes du Xe Congrès International d'Archéologie Chrétienne (Thessalonique). 1984; ს. სხირტლაძე. ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი: ტაძრის ისტორიის ადრეული ეტაპი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. თსუ შრომები. 326 (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია). თბ. 1999, გვ. 278-279.

ცნობილი.[2] თუ სპარსელებმა ეკლესია-მონასტრები გაანადგურეს, ბუნებრივია, მათი პალესტინიდან განდევნის შემდეგ, გადაუდებელ საზრუნავად გადაიქცეოდა წმინდა ადგილების, მათ შორის ჯვრის მონასტრის, აღდგენა. 629 წელს ჰერაკლე კეისარმა ბრძანა სპარსელების მიერ დანგრეული იერუსალიმის ეკლესია-მონასტრები ხაზინის ხარჯზე აღედგინათ. ეს ზოგადი ხასიათის ცნობა ზოგიერთ მკვლევარს აძლევს იმის თქმის საფუძველს, თითქოს „ეჭვგარეშეა, რომ ეს გეგმა წმინდა ჯვრის მონასტრის განახლებასაც მოიცავდა". ამგვარ მოსაზრებას გვთავაზობს ბერძენი არქიეპისკოპოსი და ისტორიკოსი ვ. ცაფერისი. ერთი შეხედვით, ვ. ცაფერისის მტკიცებას თითქოს ის გარემოებაც ამაგრებს, რომ ჰერაკლეს ლაშქრობა სპარსელების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ხასიათს ატარებდა (ჰერაკლემ იერუსალიმში დააბრუნა სპარსელების მიერ გატაცებული ქრისტეს ჯვარცმის ჯვარი) და ამიტომ „მონასტრის რესტავრაცია შეიძლება აღვიქვათ წმინდა ჯვრისადმი იმპერატორის მადლობის ნიშნად სპარსელების წინააღმდეგ ომის წარმატებით დასრულებისათვის".[3] ვ. ცაფერისს იმის თქმა უნდა, რომ დასახელებული მონასტერი ბიზანტიელებს ეკუთვნოდათ და კეისარმა ამიტომ მოახდინა მონასტრის რესტავრაცია. ამგვარი დასკვნის გამოტანა, რბილად რომ ვთქვათ, ნაჩქარევია, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც სპარსელებისა და არაბების მიერ ქრისტიანებისა და მათი ტაძრების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებებზე ითქვა, ეჭვქვეშ დააყენა უახლესმა გამოკვლევებმა.

* * *

სპარსელების მიერ პალესტინის დაპყრობისა და მისი შედეგების გადაფასება და სრულიად ახლებური მიდგომა მოცემულია გიდეონ ავნის (ისრალის სიძველეთა გათხრებისა და გამოკვლევის დეპარტამენტის დირექტორი)

---

[2] ე. მამისთვალიშვილი. კიდევ ერთხელ ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ. "Bulletin of the AGIBAS" (American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies (ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი). №8. თბ. 2010-2011, გვ. 88-91.

[3] The Monastery of The Holy Cross in Jerusalem by Vassilios Tzaferis, Ph. D. Archeologist-Byzantinologist Curator of The Museum of The Greek Orthodoxs Patriarchate of Jerusalem. Jerusalem. 1987, გვ. 9; თარგმანი – ვ. ცაფერისი. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. ჟურნ. რელიგია. 1993. ივნის-ივლისი. №№6-7, გვ. 101.

2003 წელს გამოქვეყებულ სტატიაში, რომელიც დღეისათვის ცნობილი მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტის რადიკალურად განსხვავებული გააზრების საშუალებას იძლევა.

საყოველთაოდ ცნობილია ის ისტორიული და ლიტერატურული წერილობითი წყაროები, რომლებიც ასახავს სპარსელების მიერ 614 წელს იერუსალიმის დაპყრობისას ჩადენილ საშინელებებს, მათ მიერ წმ. ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობის, სამღვდელოებისა და ეკლესია-მონასტრების განადგურებას. წერილობითმა წყაროებმა, რიგორც გ. ავნი აღნიშნავს, გავლენა მოახდინა არქეოლოგებზე და ისინი შესასწავლი მასალის მონაცემების არასწორ ინტერპრეტაციამდე მიიყვანა. გაკეთდა ისეთი სერიოზული დასკვნები, რომლებზე დაყრდნობითაც ჩამოყალიბდა ის ცნობილი მოსაზრება, რომლის მიხედვით სპარსელების ლაშქრობამ პალესტინაში დიდი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის შემდგომ განვითარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ პალესტინა სპარსელებს დაპყრობილი ჰქონდათ მხოლოდ 14 წელი – 614-628 წლებში და თითქოს ეს გახდა ოცი წლის შემდეგ არაბების მიერ მისი სწრაფად დაპყრობის მიზეზი.

გ. ავნი მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით მიაპყრობს საბაწმინდის მონასტრის ბერის ანტიოქიუს სტრატიგიუსის თხზულებას,[4] რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი დამპყრობლების მიერ ჩადენილი სიმხეცე. ავტორს გადმოცემული აქვს, სპარსელებმა როგორ მოსპეს ქრისტიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ასახელებს 35 მასობრივი დაკრძალვის ადგილს იერუსალიმის შიგნით, ზოგიერთი ასეთი ადგილი მითითებულია, აგრეთვე, იერუსალიმის კედლის გარშემო.

არქეოლოგები, ტრადიციულად, უკრიტიკოდ იღებდნენ ისტორიული წერილობითი წყაროების მონაცემებს ძალადობისა და ნგრევის შესახებ, მაშინ როდესაც, გ. ავნის თქმით, იერუსალიმის არქეოლოგიური მონაპოვრის საგულდაგულო ანალიზი არ იძლევა უპირობო მტკიცებულობებს, რომლებიც შეიძლება დავუკავშიროთ სპარსელთა დაპყრობებს.

შესაბამისი მასალის სკრუპულოზურმა ანალიზმა იერუსალიმის შემოგარენში წარმოაჩინა ორი ტიპის არქეოლოგიური მონაპოვარი: ერთის მხრივ არის მასობრივი სამარხები, მეორეს მხრივ, არ შეიმჩნევა რაიმე კვალი ეკლესიებისა და მონასტრების ნგრევის ან დაზიანებისა ქალაქში ან მის მიდა-

[4] Антиох Стратиг. Пленение Иерусалима персами в 614 г. Изд. Н. Марр. СПб. 1909.

მოებში.[5]

იერუსალიმში გათხრილი ყველა ადგილი იმას უჩვენებს, რომ პალესტინაში სპარსელების 614 წლის ლაშქრობისას და არაბების მიერ 636 წელს მისი დაპყრობისას, ქალაქსა და მის შემოგარენში ნგრევა არ ყოფილა.

ადრეული კვლევების შედეგებისაგან განსხვავებით, ნათელი ხდება, რომ იერუსალიმს ტაძრის მთის სამხრეთით და „დავითის ქალაქს" ზარალი არ განუცდია, ქუჩები და სახლები ბიზანტიურ და ადრეულ ისლამურ პერიოდებში განუწყვეტლივ ექსპლოატაციაში იყო. მათ არსებობა შეწყვიტეს შუა საუკუნეებში. ქალაქის ზოგიერთ რაინში, მაგ., იროდის ჭიშკარის აღმოსავლეთით გათხრებმა აჩვენა, რომ იქ საცხოვრებელი სახლები არსებობდა უწყვეტლივ V-XI საუკუნეებში.

გ. ავნის მიხედვით, იერუსალიმის არქეოლოგიური გათხრები ნათელყოფს, რომ სპარსელების მიერ დაპყრობისას არ მომხდარა ეკლესიებისა და მონასტრების განადგურება. არც ერთ ეკლესიასა და მონასტერში არ აღმოჩნდა დამაჯერებელი არქეოლოგიური მტკიცებულება, რომ VII საუკუნის დასაწყისში მოხდა საყოველთაო ნგრევა. იმ ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა, რომლების შესახებაც მოღწეულია წერილობითი ცნობა მათი განადგურების შესახებ, სინამდვილეში არსებობდნენ ადრეულ ისლამურ პერიოდშიც. ეს განსაკუთრებით დადასტურდა ბიზანტიური პერიოდის იერუსალიმის გარშემო არსებული უძველესი სამონასტრო კომპლექსების ბოლო დროინდელი კვლევის შედეგად. ნათელი გახდა, რომ მეშვიდე საუკუნის დასაწყისში არავითარი ნგრევა და დაზიანება არ ყოფილა. ისინი არსებობას განუწყვეტლივ განაგრძობდნენ VII-IX საუკუნეებში.

თავისი ნაშრომის დასკვნაში გ. ავნი აცხადებს, რომ „ჩვენთვის ცნობილი დრამატული ისტორიული აღწერებისაგან განსხვავებით, არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, რომ სპარსელთა მიერ დაპყრობის დროს იერუსალიმში არ მომხდარა ქრისტიანული მოსახლეობის ამოწყვეტა, კიდევ უფრო დაუჯერებელია ქრისტიანული ეკლესიებისა და მონასტრების მიერ განცდილი განსაკუთრებული ზარალი, რაზეცლიტერატურული წყარო გადმოგვცემს. არქეო-

[5] იერუსალიმის აღების შემდეგ ხალიფა ომარს მცხოვრებლებისათვის პირობა მიუცია, რომ ეკლესიები, ჯვრები და სხვა, ქრისტიანებისათვის ძვირფასი სიწმინდეები ხელუხლებელი დარჩებოდა. M. J. De Goeje. Mémoire sur la conquéte de la Syrie. 1900, გვ. 153; Н. А. Медников. Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам. СПб. 1902, გვ. 531.

ლოგიური მონაცემები გვიჩვენებს რამდენიმე მასობრივ სამარხს მთელ ქალაქში, მაგრამ არ ჩანს დიდი მასშტაბით საცხოვრებელი რაიონების და ეკლესიების განადგურების მტკიცებულება. ქალაქმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მხოლოდ ტაძრის მთაზე ისლამის პერიოდში, იმ დროს, როდესაც ქალაქის სხვა რაიონებში ყვაოდა ქრისტიანული კვარტალები.

სპარსელების მიერ იერუსალიმის დაპყრობა იყო მხოლოდ ერთი სამხედრო ეპიზოდი იმ ხანგრძლივი ისტორული პროცესისა, რომელიც დასრულდა ჯვაროსნების მიერ პალესტინის დაპყრობით. ამგვარად სპარსელების მიერ იერუსალიმის დაპყრობა განხილული უნდა იქნას როგორც ერთი ეპიზოდი, რომელსაც უმნიშვნელო როლი ჰქონდა ამ რეგიონის ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში".[6]

ბოლო დროს რადიკალურად განსხვავებული მიდგომა და შეფასება შეიმჩნევა ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ისტორიული ურთიერთობის ისეთი უსიამოვნო მაგალითის გაშუქებისას, როგორიცაა ეგვიპტის ფატიმიდი სულთნის ალ-ჰაქიმის მიერ უპირველესი ქრისტიანული სიწმინდის, ქრისტეს საფლავის ტაძრის დანგრევა 1009 წელს (ზოგიერთი ცნობით 1010 წელი).

ამ ტაძრის აღდგენა მიმდინარეობდა 1010-1048 წლებში. როგორც მოგზაური პაულ გლაბერი აღნიშნავდა, ქრისტიანული სამყაროს ყოველი მხრიდან, მოედინებოდა შესაწირავები და მოისწრაფოდნენ მომლოცველები. შემწირველებს სათავეში ედგნენ იმპერატორები: რომან არგირი, მიხეილ პაფლაგონელი, განსაკუთრებით კი კონსტანტინე IX მონომახოსი. სავარაუდოა, ტაძრის მშენებლებს ეხმარებოდნენ ქართველი მეფეები გიორგი I (1014-1027), ბაგრატ IV (1027-1072), მისი დედა დედოფალი მარიამი, რომლებმაც 1056 წელს ძვირფასი შესაწირით იერუსალიმში გაგზავნეს გიორგი მთაწმინდელი, ხოლო წმ. საფლავთან 1049 წელს უკვე არსებობდა ქართველთა ძმობა.[7]

თურმე არსებობს ალ-ჰაქიმის მიერ ქრისტეს საფლავის ტაძრის დანგრევის უარმყოფელი დოკუმენტები, რომელთა გაცნობის საშუალება არ მქონდა. ისინი თითქოს ნათელს ხდიან, რომ ალ-ჰაქიმის დროს მსგავსი არაფერი მომხდარა. მოხდა ის, რომ უმთავრეს ქრისტიანულ კონფესიებს ჩამოერთვათ ქრისტეს საფლავის ტაძრის ტრადიციული მართვის უფლება და გადაეცათ

[6] The Persian Conquest of Jerusalem (614 CE) – An Archeological Assessment. By Gideon Avni Director. Excavations and Surveys Department Israel Antiquities Authority. 2003. http://www.bibleinterp.com/articles/pers357904.shtml.

[7] А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, გვ. 43-44.

ნესტორიანელებსა და იაკობიტელებს. ტაძარს მიადგა ზოგიერთი მატერიალური ზარალიც, რაც ალ-ჰაქიმის ბრძანებით განახორციელა რამალას ემირმა. ამ ღონისძიების მიზანი იყო ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი იერუსალიმის ქრისტიანული თემის დასუსტება. ევროპაში კი ხმა გავრცელდა მუსლიმანების მიერ უფლის საფლავის ტაძრის დანგრევის შესახებ, რასაც ბუნებრივია დიდი რეზონანსი ჰქონდა და იგი გახდა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბაბი.[8]

* * *

იერუსალიმში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ახლებურად და, ჩემი აზრით, ობიექტურად შეფასებას თუ გავითვალიწინებთ, რომელიც სპარსელთა მიერ ეკლესია-მონასტრების შეგნებულად და მასობრივად ნგრევას გამორიცხავს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჯვრის მონასტერიც გადარჩა და იგი საომარი მოქმედების ან სადამსჯელო ღონისძიებების შედეგად არ დაზიანდა. მაშინ დგება კითხვა: როგორ უნდა მოეხდინა დაუზიანებელი მონასტრის რესტავრაცია ჰერაკლე კეისარს, რასაც ვ. ცაფერისი მხოლოდ ლოგიკურად, ვარაუდის დონეზე აღნიშნავს. მას სურს, ჯვრის მონასტერი ბიზანტიელთა მონასტრების წრეში მოაქციოს, მაგრამ მას ამის სამტკიცებლად საბუთი არ გააჩნია.

ქართულ მხარეს კი შეუძლია დასმულ კითხვას პასუხი გასცეს: დავუშვათ, კეისარმა ჯვრის მონასტრის მიმართ ყურადღება მართლაც გამოიჩინა და მისი მიმდინარე რემონტისათვის ხარჯები გაიღო, თუ ეს მართლაც მოხდა, ჩემი აზრით, კეისრის მოქმედება განპირობებული უნდა ყოფილიყო ქართველებისადმი იმ განსაკუთრებული დამოკიდებულებით, რის შესახებაც გადმოგვცემს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი თავის წიგნში – „იმპერიის მართვის შესახებ“. იმპერატორის ცნობები, ვფიქრობ, საკმაოდ სწორ და ობიექტურ წარმოდგენას გვიქმნის ქართველთა მდგომარეობასა და გავლენაზე წმინდა ქალაქში ადრინდელი ქრისტიანობის ხანგრძლივ პერიოდში – IV-X საუკუნეებში.

იმპერატორი ჯერ ლაპარაკობს იბერთა იერუსალიმური წარმომავლობისა და, აქედან გამომდინარე, წმინდა ქალაქისადმი მათი მუდმივი ინტერესის შესახებ. ამის შემდეგ იგი გადმოგვცემს: „როდესაც ირაკლი მეფემ გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ, ისინი (იბერები-ე. მ.) მას შეუერთდნენ და მასთან

[8] http://ru.wikipedia.org.

ერთად ილაშქრეს, მას აქეთ მათ დაიმორჩილეს სპარსელთა საკმაო ქალაქები და ქვეყნები...".[9] კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ ნათქვამთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ, რომ ირანის წინააღმდეგ ომის დროს ჰერაკლე კეისარს მართლაც ეხმარებოდნენ ქართველები — იბერიელიები, ეგრისელები და აფხაზები. ქართველთა ის ნაწილი, რომელიც ადარნასეს ხელმძღვანელობით კეისარს დაუდგა მხარში დიოფიზიტები იყვნენ, მონოფიზიტებს კი პროირანული პოზიცია ეკავათ და, სავარაუდოა, ისინი იყვნენ ქართლის სამეფოში ბიზანტიელთა სასტიკი მოწინააღმდეგენი.[10] ქართველ მონოფიზიტებს ეცოდინებოდათ როგორ გაუსწორდა იმპერიის ხელისუფლება მათ თანამოაზრეებს სირია-პალესტინაში. ამიტომ სრულიად ლოგიკური იყო მათი უნდობლობა ბიზანტიის კეისრისადმი. ჰერაკლე სასტიკად მოეპყრო ყველა მონოფიზიტს ანუ ანტიქალკედონიკს, ქართლის სამეფოს უდიდეს ქალაქებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" გადმოგვცემს: „ამან ერაკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჟარმოს განავლინა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ მონათვლაჲ არა ინდომეს, ზაკუვით თანა აღერივნეს, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარმართთა მეფემან იკადა მახჯლი. და ეკლესიათა შინა მდინარენი დიოდეს. და განწმიდა ერაკლე მეფემან სჯული ქრისტესი და წარვიდა".[11]

ჰერაკლე კეისარის მიერ ამოწყვეტილ ურწმუნოებში, აღმოსავლეთ საქართვერლოში სპარსელების მიერ მაზდიანობაზე გადაყვანილი და იმავე სპარსელების მიერ მხარდაჭერილი ქართველი მონოფიზეტები უნდა იგულისხმებოდნენ.

---

[9] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1952, გვ. 255-260.

[10] იორდანიის კრონ-პრინცი ალ-ჰასან იბნ ტალალი აღნიშნავს, რომ „სპარსელი დამპყრობლები, სადაც არ უნდა შეჭრილიყვნენ, სარგებლობდნენ ადგილობრივი მონოფიზიტი მოსახლეობის მხარდაჭერით (უკიდურეს შემთხვევაში წინააღმდეგობას მაინც არ ხვდებოდნენ)". ალ-ჰასან იბნ ტალალი. ქრისტიანობა არაბულ სამყაროში. ქართულად თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო მედეა აბაშიძემ. თბ. 2009, გვ. 54.

[11] „მოქცევაჲ ქართლისაჲ", ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I (V-X სს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963, გვ. 96. ქრისტიანულ ლიტერატურაში, ზოგჯერ, განსხვავებული კონფესიის ადამიანებს ან ხალხებს, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსაც კი „წარმართებს" უწოდებდნენ. შეიძლებოდა დიოფიზიტს მონოფიზიტი, ან პირიქით, მოეხსენიებინა წარმართობით.

კონსტანტინე პორფიროგენეტი იმის ახსნასაც იძლევა, რატომ არიან ქართველლები წმ. ქალაქთან მტკიცედ დაკავშირებულნი: „რადგან ისინი, როგორც თვითონ ამბობენ, იერუსალიმიდან შთამომავლობენ და რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი და ჩვენი უფლის ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს...“.[12]

კონსტანტინე პორფიროგენეტი X საუკუნის (912-959 წწ.) იმპერატორი და ის მოღვაწეა, რომელიც კარგად ერკვეოდა, როგორც თანამედროვე, ისე ადრინდელი პალესტინის და წმ. ქალაქის წარსულში და თავისი წინამორბედი კეისრების საქმიანობაზეც გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა. ის ამბობს, რომ ჰერაკლეს კარგი ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქონდა ქართველებთან, რაც საგულისხმოს ხდის იმის ვარაუდს, რომ კეისარს შეიძლებოდა წმ. მიწაზე არსებული ქართული სიწმინდეებისადმი ყურადღება გამოეჩინა და ქართველ ბერებს ჯვრის მონასტრის შეკეთებაში დახმარებოდა, თუკი მას ამგვარი რამ ჭირდებოდა. პორფიროგენეტი ნათელს ხდის, აგრეთვე, ქართველების საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობას წმ. მიწასთან VII-X საუკუნეებში. საქართველოდან იერუსალიმში „უხვად“ ფულის გაგზავნა, რაზეც იგი გადმოგვცემს, გულისხმობს ინტენსიურ მომლოცველობას. იმ დროს იერუსალიმში ფულის წაღება არ იყო მხოლოდ რელიგიური და ჰუმანიური აქტი, ქართველებს პირადი ინტერესებიც ჰქონდათ – დახმარება გაეწიათ იქ მოღვაწე თანამოძმეებისა მათი სამყოფელი სიწმინდეებისათვის.

კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებიდან ამონარიდთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა იერუსალიმიდან შემოვიდა და მისი გამარჯვება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაც იერუსალიმიდან მოსულ წმინდა ნინოს სახელს დაუკავშირდა. აქედან მოყოლებული ქართველთა დამოკიდებულება წმ. ქალაქისადმი სრულიად გამორჩეული იყო. ამ გარემოებამ განაპირობა ქართული ეკლესიის იერუსალიმური ეკლესიის მიბაძვით მოწყობაც, რაც ადრე შუა საუკუნეებში წმ. ქალაქთან მუდმივი კონტაქტის მაუწყებელი არის.[13] „ქართული ეკლესიის პა-

[12] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV. ნაკვ. II, გვ. 260.

[13] ე. მამისთვალიშვილი. ქართველები და ბიბლიური სამყარო. გორი. 1998, გვ. 7-68; თ. მგალობლიშვილი. მცხეთა – ქართველთა ახალი იერუსალიმი. გორის უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული. №2. თბ. 2011, გვ. 83-97.

ლესტინურთან ასე მჭიდრო ურთიერთობით აიხსნება ის, რომ საქართველოში საეკლესიო და საღვთისმსახურო წესები X საუკუნემდე სირიულ-პალესტინური იყო და არა ბიზანტიური".[14]

პალესტინაში არაბთა ბატონობამ თანდათან მოშალა სამონასტრო ცხოვრება და მრავალი ეკლესია-მონასტერი, თუნდაც ისინი არაბებს არ დაენგრიათ, მაინც დაქვეითების გზას დაადგებოდა. როგორც სხვა ქრისტიანების, ასევე ქართველი ბერ-მონაზვნების რაოდენობა უაღრესად შემცირდა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებმა ყოველგვარი ინტერესი დაკარგეს იმ მიწისადმი, სადაც ბიზანტიურ პერიოდში სერიოზული წარმატებები ჰქონდათ.

არაბების მიერ პალესტინის დაპყრობის შემდეგ, რომ იქ ქართველები, სხვა ქვეყნების ქრისტიანებთან შედარებით, თავიანთი რიცხვობნობითა და გავლენით ანგარიშგასაწევი იყვნენ, გამოჩდა 637 წელს ხალიფა ომარ იბნ ალ-ჰატაბის ედიქტში, რომლითაც ქართველებსა და ეთიოპებს ეკლესიური ავტოკეფალია მიანიჭა, ყველა დანარჩენი ქრისტიანები კი, იერუსალიმის პატრიარქს დაუქვემდებარა.[15]

2. საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობა – ჯვრის მონასტრის აღდგენის წინაპირობა

არაბთა ბატონობის დაკნინებამ საქართველოსა და პალესტინაში, დღის წესრიგში დააყენა იერუსალიმში საქართველოს შესუსტებული პოზიციების აღდგენა, რაც უპირველეს ყოვლისა, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რეკონსტრუქციას გულისხმობდა. მაგრამ ამის მიღწევა პალესტინის მაშინდელი მფლობელი ეგვიპტის ფატიმიანი ხალიფას ნებართვის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. საჭირო იყო ისეთი ხელსაყრელი მომენტის დადგომა, როდესაც საქართველოს და ეგვიპტის ინტერესები ერთმანეთს მიესადაგებოდა. ასეთი მომენტი დადგა XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ორივე სახელმწიფოს ბიზანტიის იმპერიის სახით, ერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

საქართველოს ეგვიპტესთან პირველი დიპლომატიური კონტაქტი განპი-

[14] მ. თარხნიშვილი. წერილები. თბ. 1994, გვ. 34.

[15] Ю. М. Кобищанов. Грузины в Египте и Эфиопии (V-XVII вв.). Африка глазами наших соотечественников. М. 1974, გვ. 84.

რობებული იყო ბიზანტიასთან დაპირისპირებით, ე. წ. დავით კურაპალატის მემკვიდრეობის გამო. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ამ ეპიზოდის შესახებ საინტერესო ცნობა შემოგვინახა XI საუკუნის ქრისტიანმა არაბმა ისტორიკოსმა იაჰია ანტიოქიელმა. როგორც ცნობილია, დავით კურაპალატი ბასილ კეისრის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრო. 989 წელს ფოკა მოულოდნელად გრდაიცვალა. კეისრის რისხვის თავიდან აცილების მიზნით, როგორც იაჰია ანტიოქიელი გადმოგვცემს, „დავით ქართველთა მეფემ პატიება და შეწყალება ითხოვა, ბასილს მორჩილება განუცხადა და აღუთქვა, ვინაიდან თვითონ ძალიან მოხუცი იყო, ხოლო ვაჟი და სხვა მემკვიდრე არ გააჩნდა, – გარდაცვალების შემდეგ თავისი სამფლობელო მის სახელმწიფოს შეერთებოდა“.[16] გიორგი I-მა (1014-1027) ბასილ II-ის ბულგარელებთან ომის დროს (1014-1018), ისარგებლა ბიზანტიელების გაჭირვებით და სამხრეთ ტაოში შეიჭრა. იაჰია ანტიოქიელი შემდეგ გადმოგვცემს: „აბხაზთა მეფე გიორგიმ განიზრახა ზიანი მიეყენებინა მისი სამფლობელოს განაპირა ოლქებისათვის და დაუფლებოდა იმ სიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც ბიძამისმა დავით კუროპალატმა ბასილ მეფეს დაუთმო. როდესაც მეფემ ბულგარეთი დაიპყრო, მიზანს მიაღწია და კონსტანტინოპოლს დაბრუნდა, აფხაზთა ამ მეფემ – გიორგიმ საჭიროდ არ სცნო თავისი შეცდომის გამოსწორება, თავი შეეკავებინა (მის წინააღმდეგ) მოქმედებაზე და აღეთქვა ერთგულება, როგორც ამას აკეთებდა მისი მამა და ბიძა. იგი ყოყოჩობდა. ჯიუტად იდგა თავის მცდარ პოზიციაზე და მიმოწერას აწარმოებდა ალ-ჰაქიმთან იმის შესახებ, რომ გაერთიანებულიყვნენ ბასილის წინააღმდეგ საომრად და თითოეულ მათგანს განეხორციელებინა დარტყმა საკუთარი ქვეყნიდან“.[17] კეისარმა გიორგი მეფეს ულტიმატუმი წაუყენა.

იაჰია ანტიოქიელის გადმოცემა მაფიქრებინებს, რომ, გიორგი I-მა გაითვალისწინა ბიზანტიასთან ომის სირთულე და შეეცადა მოკავშირე მოეძებნა.

[16] ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედისა და XI ს-ის პირველ მეოთხედში. ქართული წყაროთმცოდნეობა. VI. თბ. 1985, გვ. 115. იაჰია ანტიოქიელის თხზულებიდან ამონარიდების თარგმანი მცირეოდენი განსხვავებით იხ. გ. ბუაჩიძე. საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში). ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 4. თბ. 1997, გვ. 39.

[17] ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედისა და XI ს-ის პირველ მეოთხედში, გვ. 116.

როგორც ითქვა, მან ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ დაიგულა ეგვიპტის ფატიმიანთა სახალიფო, რომელიც დიდად დაინტერესებული იყო ბიზანტიის დასუსტებით. ზუსტად არ არის ცნობილი როდის ან როგორ მიიღეს ქაიროში საქართველოს მეფის წინადადება. ქართველი ელჩი ქაიროში უნდა ჩასულიყო ბასილ კეისრის მიერ ბულგარელების დამარცხების შემდეგ, 1019 ან 1020 წელს, მაშინ „როცა ჰალაბისათვის მეტოქეობამ ფატიმიანები და ბიზანტია ომის ზღვარზე დააყენა".[18] როდესაც ქართველი მეფის მიერ გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯის შესახებ „ამბავმა ბასილ მეფემდე მიაღწია. იგი რისხვით აღივსო გიორგის მიმართ, მაგრამ თავის გულში ნადები არავისთვის გაუმხელია. მან სირიაში სალაშქროდ მომზადება ბრძანა და კონსტანტინოპოლიდან ფილიმილს გაემგზავრა... ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იგი ნამდვილად სირიას დაესხმოდა თავს. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მეფე ფილიმილში იმყოფებოდა, მოხდა ალ-ჰაქიმის გაუჩინარება[19] და იგი მაშინვე აფხაზეთთან საომრად დაიძრა".[20]

ფატიმიანთა ხალიფასთვის, რომელიც საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ბიზანტიასთან, გიორგი I-ს წინადადება მისაღები იქნებოდა. „ბასილ II-ის მძაფრი რეაქცია, რის შესახებაც წერს იაჰია, იმაზე მიუთითებს, რომ ფატიმიანთა სახალიფოსა და საქართველოს სამხედრო კავშირს რეალური საფუძველი ჰქონდა".[21]

---

[18] გ. ბუაჩიძე. საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში), გვ. 50. განსხვავებული მოსაზრება იხ. ე. გაბაშვილი. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1968, გვ. 66; ბ. სილაგაძე. არაბთა ბატონობა საქართველოში. თბ. 1991, გვ. 192.

[19] თავისი მმართველობის ბოლო წლებში ჰაკიმი სულ უფრო ასკეტიზმისაკენ იხრებოდა და მედიტაციისათვის ხშირად დამით განმარტოვდებოდა ხოლმე. 1021 წლის 12-13 თებერვლის ღამეს, 36 წლის ასაკში, ხაკიმი კაიროს მახლობლად მუკატამის ბორცვზე ავიდა და აღარ დაბრუნდა. ძებნისას იპოვეს მხოლოდ მისი სახედარი და სისხლიანი ტანსაცმელი. მისი გაქრობა გამოცანად რჩება.

[20] ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედისა და XI ს-ის პირველ მეოთხედში, გვ 116; გ. ბუაჩიძე. საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში), გვ. 39.

[21] გ. ბუაჩიძე. საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში), გვ. 51.

მართალია, არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია, მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ ალ-ჰაქიმის მიერ 1020 წლის შემოდგომაზე ქრისტიანების მიმართ პოლიტიკის შეცვლა, როცა მან განდევნილ-გაქცეულ ქრისტიანებს ნება მისცა უკან დაბრუნებულიყვნენ, ძალით გამუსლიმანებულებს შეეძლოთ კვლავ ქრისტიანობა ეღიარებინათ, **აღედგინათ დანგრეული ეკლესია-მონასტრები და ხელისუფლებას დაებრუნებინა ჩამორთმეული ქონება,**[22] **ვფიქრობ, ქართველ ქრისტიან მეფესთან მოლაპარაკების შედეგი იყო.**

ალ-ჰაქიმის და სხვა ხალიფებისთვისაც, საერთოდ, დამახასიათებელი იყო ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მოწესრიგებისათვის დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს ქრისტიანების საკითხის წინ წამოწევა და მათი მდგომარეობის დროებით შემსუბუქება მაინც. ასე მოხდა 1001 წელს ბასილ II-სა და ალ-ჰაქიმს შორის ზავის დადების შემდეგაც. ქრისტიანებმა სახალიფოში მიიღეს რელიგიური თავისუფლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენის უფლება.[23] იგივე განმეორდა ალ-ჰაქიმის სიკვდილის შემდეგ (1021 წ.). ხალიფად გამოცხადდა მისი ვაჟი აზ-ზაქირი, მაგრამ მთელი ძალაუფლება მისი მამიდის სით ალ-მულქის ხელში აღმოჩნდა. ახალმა ხალიფამ და მისმა რეგენტმა ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარება განიზრახეს. ამისათვის მათ უცხოეთში გადახვეწილ ქრისტიანებს ეგვიპტეში დაბრუნების ნება მისცეს და ამის შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი ნიკიფორე საზავო მოლაპარაკებისათვის კონსტანტინოპოლში მიავლინეს. მოლაპარაკება მიმდინარეობდა 1023-1024 წლებში. სახალიფო კეისარს სთავაზობდა, „რომ დააბრუნებდა ყველა კონფისკირებულ ეკლესიას, განაახლებდა აღდგომის ეკლესიას იერუსალიმში და ყველა სხვა ეკლესიას ეგვიპტესა და სირიაში, დაუბრუნებდა მათ თავიანთ ქონებას, სამართლიანად მოეპყრობოდა ქრისტიანებს და იზრუნებდა მათზე. სით ალ-მულქი ბასილს სთხოვდა, თავისუფლება მიეცა ბიზანტიასა და ფატიმიანებს შორის ვაჭრობისათვის და დაეწყოთ ამ საკითხის მოგვარება და შერიგება“. მოლაპარაკება შეწყდა სით ალ-მულქის სიკვდილის გამო. პატრიარქი ნიკიფორე უკან დაბრუნდა.[24]

---

[22] Н. А. Медников. Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам. СПб. 1902, გვ. 856.

[23] История Византии. М. 1967, გვ. 224-225.

[24] გ. ბუაჩიძე. საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში), გვ. 56-57; გ. ჯაფარიძე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. IV 2005, გვ. 140.

ქრისტიანების საკითხი დღის წესრიგში იდგა ბიზანტია – ფატიმიანთა სახალიფოს საზავო მოლაპარაკებების დროს 1027-1028, 1031-1032 წლებში.

1036 წლის ივნის-სექტემბერში ბიზანტიასა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვით, ბიზანტიელებმა 5 ათასი მუსლიმი ტყვე გაანთავისუფლეს, სამაგიეროდ აღდგომის ეკლესიის აღდგენის და იერუსალიმის პატრიარქის დანიშვნის უფლება მიიღეს.[25]

ზავის დადების შემდეგ იერუსალიმის ქრისტიანულმა თემებმა მრავალი ეკლესია აღადგინეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღდგომის ეკლესიის აღდგენას, რაშიც მონაწილეობდა თითქმის ყველა ქრისტიანული ქვეყანა. ქართველებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და ეკლესია დასრულებული იქნა 1048 წელს. ალბათ, დიდი დამსახურების გამო იყო, რომ ქართველებმა გოლგოთაზე გარკვეული უფლებები მოიპოვეს და ადგილიც დაიმკვიდრეს. ამას ამტკიცებს 1049 წელს გადაწერილი ივლის-აგვისტოს „თვენი“ და ისიც, რომ ანდერძ-მინაწერში ხელნაწერის „მომგებელი“ (სასყიდლის მომცემი) იოვანე „გოლგოთელად“ მოიხსენიება.[26] დაახლოებით 1050 წელს ბაგრატ კურაპალატმა ბიზანტიის კეისრისაგან გოლგოთის თხემის ნახევარი მიიღო, სადაც ქართველი ეპისკოპოსიც დაინიშნა,[27] ეს კი იერუსალიმში ქართული თემის სიმრავლესა და გავლენაზე მიუთითებს.

პალესტინაში შეცვლილი პოლიტიკური კლიმატი, ქართული სახელმწიფოს მესვეურთა ნება და იერუსალიმელი ქართველების წარმატებული მდგომარეობა სრულ შესაძლებლობას ქმნიდა, რომ მათ ეზრუნათ თავიანთი ტაძრების აღდგენაზე. ბუნებრივია, რომ ქართველებმა უპირველესყოვლისა იერუსალიმის გარეთ არსებული, ქართველთა უმთავრესი მონასტრის, ეპოქის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით, აღდგენა-გადაკეთება გადაწყვიტეს. წერილობითი წყაროები მხოლოდ ამ ერთი, წმ. ჯვრის სახელით ცნობილი მონასტრის აღდგენაზე გვაცნობებენ. როგორც გ. ჯაფარიძე ფიქრობს ჯვრის მონასტრის მშენებლობის დაწყების უფლების მოპოვება ქართველებს უნდა გაადვილებოდათ ეგვიპტესა და ბიზანტიას შორის 1036 წელს დადებული საზა-

[25] გ. ჯაფარიძე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე, გვ. 141.

[26] ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკელვეა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ. 1956, გვ. 0173.

[27] რ. ჟანენი. ქართველები იერუსალიმში. რელიგია. №10. 1992, გვ. 8.

ვო ხელშეკრულების შემდეგ.[28] მაგრამ, მხედველობაშია მისაღები, რომ რადგან საქართველო და ფატიმიანების ეგვიპტე ბიზანტიის იმპერიის სახით მუდმივ მტერს, ხოლო ერთმანეთში კი ბიზანტიის წინააღმდეგ პოტენციურ მოკავშირეს ხედავდნენ, **შეიძლება დაუშვათ, რომ ეგვიპტის მბრძანებლები საქართველოს ხელისუფლების თხოვნა-სურვილებს ანგარიშს უწევდნენ. ვფიქრობ, ქართველებს უფლება ეჭნებოდათ ბიზანტიელებზე ადრე თუ არა, ქრისტეს საფლავის ტაძრის აღდგენის პარალელურად მაინც, ჯვრის მონასტრის შეკეთება-გადაკეთება მოეხდინათ.**

როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, საქართველო-ეგვიპტის კონტაქტები გრძელდებოდა. XI ს. 40-იან წლებში მათ შორის ურთიერთობა ახალ იმპულსს იძენს ბიზანტიის საქართველოს წინააღმდეგ გააქტიურების გამო. საქართველოს ეგვიპტესთან საკმაოდ მჭიდრო კავშირზე მიგვანიშნებს 1047 წელს, ნილოსზე არხების გახსნის დღესასწაულში ქართველი უფლისწულების მონაწილეობა, რასაც არაბი ისტორიკოსი ნასირ-ი ხოსროუ გვამცნობს: დღესასწაულზე იმყოფებოდნენ „მელიქზადეები და ფადიშაჰზადეები, რომელნიც ქვეყნიერების ყოველი მხრიდან იყვნენ მოსულნი. ისინი არ ითვლებოდნენ ლაშქრისა და მხედრობის რიცხვში. იქ იყვნენ მაღრიბის, იემენის, რუმის, სლავთა ქვეყნის, ნუბიის, აბისინიის დიდებულთა შვილები. მოსული იყვნენ აგრეთვე ხოსრო დეჰლევის შვილები დედის თანხლებით. ქართველ მეფეთა ვაჟიშვილები, დეილემელი უფლისწულები და თურქესტანის ხაყანის ძენი“.[29]

ვ. გაბაშვილი ნასირ-ი ხოსროუს გადმოცემის გამო აღნიშნავდა, რომ „ქართველი მეფეების ვაჟიშვილებიდან“ ერთი უნდა ყოფილიყო კახეთის მეფისა. ამ დროს კახეთი დამოუკიდებელი სამეფო იყო. მეორე კი – გაერთიანებული საქართველოს მეფისა.[30]

საქართველოს ეგვიპტესთან ჰქონდა ეკონომიკური ურთიერთობა, მაგრამ ამ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი იყო რელიგიურ-იდეოლოგიური ფაქტო-

---

[28] გ. ჯაფარიძე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე, გვ. 141.

[29] ვ. გაბაშვილი. საქართველო ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.). XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1968, გვ. 69-70.

[30] ვ. გაბაშვილი. საქართველო ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.), გვ. 70.

რიც.[31] ამ უკანასკნელზე მსჯელობის უფლებას გვაძლევს თვით ნასირ-ი ხოსროუს ბიოგრაფია. ფატიმიანმა ხალიფამ ის ხორასნისა და საქართველოს ჰუჯად დანიშნა. „ჰუჯა“ ანუ „ჰუჯათ“ ეწოდებოდა მთავარ „დაის“, რომლის მოღვაწეობა განსაზღვრული იყო გარკვეული ტერეტორიით. მას ემორჩილებოდა მცირე „დაიები“. ნასირ-ი ხოსროუს, როგორც საქართველოს „ჰუჯას“, მეთვალყურეობა უნდა გაეწია თბილისის საამიროში მოღვაწე „დაიებისათვის“.[32] მცირე „დაის“ მოვალეობა იყო ისმაილიტური პროპაგანდა და ახალ მოქცეულთა რიცხვის გაზრდა. ისმაილიტები ყველგან იყვნენ და ყველგან მოქმედებდნენ. ისინი „დროებით იმამად“ აღიარებდნენ ფატიმიან ხალიფას. ისმაილიტების აზრით, მას უნდა დამორჩილებოდნენ მუსლიმები და ქრისტიანებიც.[33]

საქართველოს მეფეებს მფარველობა უნდა გაეწიათ თბილისის საამიროში ისმაილიტებისათვის. XIII-XIV საუკუნეების ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ისმაილიტებს „მულიდი“ ეწოდებათ. ჟამთააღმწერელის განმარტებით, „კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან“.[34]

XI საუკუნეში, როცა თბილისის საამირო ჯერ ისევ არსებობდა და ბიზანტიის შემოტევა საქართველოზე სულ უფრო ძლიერდებოდა, „საქართველოში არ უნდა გამოეჩინათ მტრული დამოკიდებულება ისმაილიტების მიმართ. ამას თავისთავად გამორიცხავდა ეგვიპტესთან ურთიერთობა. პირიქით... ადვილი შესაძლებელია სწორედ თბილისის საამიროს ქალაქებში მცხოვრები ისმაილიტების საშუალებით დაემყარებინა საქართველოს მეფეს კავშირი ეგვიპტესთან“.[35]

ზემოაღნიშნულ სხვადასხვა პოლიტიკური ხასიათის მომენტებთან ერთად, რომლებიც განაპირობებდა საქართველოს ურთიერთობას ეგვიპტესთან, მნიშვნელოვანი იყო ახლო აღმოსავლეთში არსებული სიწმინდეების საკითხიც. მხოლოდ ეგვიპტის სულთნებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ მათი მფარველე-

[31] ვ. გაბაშვილი. საქართველო ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.), გვ. 71.

[32] ვ. გაბაშვილი. საქართველო ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.), გვ. 73.

[33] ვ. გაბაშვილი. საქართველო ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.), გვ. 73

[34] ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 208.

[35] ვ. გაბაშვილი. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.), გვ. 76.

ბი და მხოლოდ მათი ნებართვით შეეძლოთ ქართველებს კავშირი ჰქონოდათ ქართულ ან არაქართულ სიწმინდეებთან.

ჯვაროსნულ ომებამდე საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ მისი გათვალისწინება ნათელს გახდის ამ ორი ქვეყნის, საყოველთაოდ აღიარებული კარგი ურთიერთობის აღდგენა-გაგრძელებას ჯვაროსნობის შემდგომი პერიდში.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენით იწყება ქართველების წმინდა მიწაზე მოღვაწეობის ახალი ეტაპი, რომელიც განპირობებული იყო XI საუკუნის პირველ მესამედში მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი სერიოზული პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებით, აუცილებელი იყო იმ ძალების მხარდაჭერა, რომლებიც პირველხარისხოვან როლს თამაშობდნენ წმინდა მიწაზე.[36]

3. ლეგენდების მნიშვნელობა ჯვრის მონასტრის აღდგენისათვის

არ ვიცით, როგორი იყო მონასტრის არსებობის ერთი, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი – VII-XI ს. პირველ მეოთხედის ჩათვლით. ამ დროის განმავლობაში, როგორც ჩანს, მართალია, იგი ფიზიკურად არსებობდა, მაგრამ რეგიონში სერიოზულად შეცვლილი პოლიტიკურ-რელიგიური ვითარებისა და სამონასტრო ცხოვრების გაგრძელებისათვის აუცილებელი ფინანსების ნაკლებობის შედეგად, იქ შემცირდა ბერ-მონაზვნების რაოდენობა და მოძველებული ნაგებობაც აუცილებელ აღდგენას მოითხოვდა. მაგრამ ეს არ მიიღწეოდა შეცვლილი გარემოს მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. მონასტრის ოდინდელი დიდების აღდგენის სურვილი ქართველებში იმდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რომ მისი დაარსების ისტორიული ლეგენდისათვის, რომელიც ჯვართან იყო დაკავშირებული,[37] საჭირო იყო ახალი, კიდევ უფრო მეტი

[36] ვ. გაბაშვილი. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.), გვ. 55-81; ო. ცქიტიშვილი. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია. 4. 1968, გვ. 115-133; გ. ბუაჩიძე. საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში), გვ. 39-57; გ. ჯაფარიძე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსაელეთის დიპლომატიის შუქზე, გვ. 139-142.

[37] ე. მამისთვალიშვილი. კიდევ ერთხელ ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ, გვ. 99-101.

თეორიული საფუძვლის შექმნა და ცხოველი ინტერესის გამომწვევი ლეგენდით გამდიდრება. სავარაუდოა, ქართველების მიერ იმის მტკიცება, რომ მონასტრის ნაგებობა მათ ეკუთვნოდათ და ჯვრის სახელს ატარებდა, მუსლიმი ხელისუფლებისათვის ბევრი არაფრის მთქმელი იყო. ამიტომ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იქმნებოდა და იხვეწებოდა ისეთი ლეგენდა, რომელიც მონასტრის ადგილსა და განადგურებამდე მისულ ნაგებობას უფრო განადიდებდა და შთაბეჭდილებას მოახდენდა ეთნიკურად და რელიგიურად შეცვლილი პალესტინის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით მუსლიმებზე. ეს იყო ლეგენდა, „შეწყნარწებული მამათა მიერ ეკკლესიისა და წმ. იოანე დამასკელის მიერ და სხვათა გალობის მთხვზელთა ქრისტიანობრივის ეკკლესიისა, შეიქმნა საფუძვლად აღშენებისა ამ ადგილზედ სავანისა და სახელწოდებისა მისისა მონასტრად პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა“.[38]

მონასტრის აღდგენით დაინტერესებულმა ქართველებმა ერთმანეთთან დააკავშირეს უძველესი დროიდან არსებული ბიბლიური ლოტის ლეგენდა და ჯვრის ხის ლეგენდა. მართალია, XI საუკუნემდე ჯვრის სახელის მატარებელი მონასტერი დღეისათვის ცნობილ წერილობით წყაროებში არ მოიხსენიება (არ მოიხსენიება ის ქართული ტაძრებიც, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად იერუსალიმსა და მის მახლობლად გამოვლინდა), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ყველა ქართული ტაძარი იმ უძველეს პერიოდში ცნობილი იყო ქართული ტომობრივი სახელებით: ქართველთა, იბერთა და ლაზთა. სხვადასხვა მიზეზის გამო, მათი სახელები ვერ აისახა შემდგომი პერიოდის უცხოურ წერილობით ძეგლებში. სამაგიეროდ, მათი სახელები შემოგვინახა პეტრე იბერზე არსებულმა ლიტერატურამ და ქართველთა მეხსიერებამ, თუნდაც იმავე ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული ლეგენდის სახით, რამაც, გარკვეული გაგებით, გააადვილა მონასტრის აღდგენის შესაძლებლობა XI საუკუნეში.[39]

ჯვრის მონასტრის დაძველება-დასუსტების კვალდაკვალ, დიდი ხნის განმავლობაში, ჯერ ლეგენდა უნდა ჩასახულიყო, შემდეგ მას იერუსალიმის როგორც ქართველ, ისე არაქართველ ქრისტიან მორწმუნეებში, ძალა მოეკ-

[38] პ. კონჭოშვილი. მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ. თბ. 1901, გვ. 79.

[39] წმ. ჯვრის ხისა და წმ. ლოტთან დაკავშირებული ლეგენდის შესახებ საინტერესო მოსაზრება იხ. თ. მგალობლიშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. ლეგენდები და სინამდვილე. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. თბ.. 2004, გვ. 179-182.

რიბა, დამაჯერებლობა და აღიარება მოეპოვებინა დაბოლოს, მოენიშნა ის ადგილი, სადაც, გადმოცემის მიხედვით, იხარა ლოტის მიერ დარგულმა ხემ, რომლის მონაკვეთი ძირი ჯვრის მონასტერში „ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა დღესამომდე ჩანს“.[40]

ლოტის ლეგენდას დამხმარე როლი უნდა ეთამაშა განახლებული ჯვრის მონასტრის ავტორიტეტისა და მნიშვნელობის ამაღლების საქმეში.

ლეგენდასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრე იბერის, მახლობელ აღმოსავლეთის ქრისტიანებს შორის სახელგანთქმული სასულიერო მოღვაწის, ხსოვნას, რაც ასევე დაკავშირებული იყო ჯვრის მონასტერის დაარსებასთან. წინათი, როდესაც პეტრე იბერის დაკრძალვის საკითხს ვეხებოდი, გამოვთქვი ვარაუდი, რომ პეტრე იბერი თავდაპირველად დაუკრძალავთ მაიუმში, შემდეგ კი, გადაუსვენებიათ მის მიერ აგებულ ჯვრის მონასტერში, რომელიც ცნობილი იყო ქართველთა მონასტრის სახელით.[41]

4. ჯვრის მონასტრის აღმდგენელთა ვინაობისათვის

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში მიღებულია და ევროპელმა მკვლევრებმაც გაიზიარეს, რომ ჯვრის მონასტერი XI საუკუნეში ***დაარსა*** შავშეთელმა საეკლესიო მოღვაწემ **გიორგი-პროხორემ.** მე კი, იმავე საყოველთაოდ ცნობილ მასალაზე დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჯვრის მონასტერი XI საუკუნის დასაწყისში ისევ არსებობდა, შეიძლება, ძლიერ დაკნინებული და საჭიროებდა გადაუდებელ რესტავრაცია-რეკონსტრუქციას. ძველი მონასტრის მოძღვარი და, შეიძლება, მისი განახლების დამწყები იყო **გიორგი ჯვარელი,** რომლის დიდი და ხანგრძლივი საქმე გააგრძელა და ბრწყინვალედ დაასრულა მის შემდგომმა წინამძღვარმა პრხორემ.[42]

ვ. ცაფერისმა, ა. ცაგარელის და თ. ვირსალაძის ნაშრომებზე[43] დამყა-

---

[40] ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა, გვ. 77. შდრ. თ. მგალობლიშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. ლეგენდები და სინამდვილე, გვ. 181-182.

[41] ე. მამისთვალიშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია. გორი. 2003, გვ. 13-15, 55.

[42] ჩემს ადრეულ ნაშრომებში (ქართველები და ბიბლიური სამყარო, გვ. 79-82) და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, გვ. 15-18, 34, 67, 69, 74-75, 81) ვიმეორებდი, რომ გიორგი-პროხორე ერთი პიროვნება იყო და ვამტკიცებდი, რომ მან პეტრე იბერის მიერ დაარსებული მონასტერი კი არ დაარსა, არამედ აღადგინა.

[43] А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае; Т. Б. Вирсаладзе. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели. Тб. 1973.

რებით, პროხორე (არა გიორგი-პროხორე!) მონასტრის აღმდგენლად გამოაცხადა, რაც სრულიად მისაღებია ბერძნული კონცეფციისათვის, რომლის მიხედვით, ქართველებმა ბერძნების მიერ მიცემული მონასტერი რომ აღადგინეს, ჩემთვის კი ნაწილობრივ (ერთხელ კიდევ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ მონასტერი აღნიშნულ პერიოდში აღდგენილი იქნა და არა დაარსებული) მისაღებია. მაგრამ მიუღებელია მონასტრის ბიზანტიელების მიერ დაარსებულად გამოცხადება. ვ. ცაფერისი წერს: „დანგრეული ჯვრის მონასტერი აღადგინა პროხორემ, იბერიელმა ბერმა ათონის მთიდან, **იერუსალიმის საპატრიარქოს თანხმობითა**[44] და იბერიის მეფე ბაგრატ III-ის (980-1044 წწ.) ფინანსური დახმარებით“.[45] ბერძენი მკვლევარი რაიმე საბუთის გარეშე ამბობს, რომ პროხორემ მონასტრის აღდგენა იერუსალიმის საპატრიარქოს თანხმობით დაიწყო. მისი მიზანია მკითხველი კიდევ ერთხელ დაარწმუნოს ბერძენთა ისტორიულ უფლებაში ჯვრის მონასტერზე. მაგრამ ეს მონასტერი თუ ბერძნული იყო და მათვე ეკუთვნოდათ, მაშინ ქართველებს რატომ უნდა აღედგინათ, ან ბერძნები რატომ დაუთმობდნენ ქართველებს ასეთი დიდი მნიშვნელობის სიწმინდეს. გრძნობდნენ რა ამ უხერხულობას, ბერძნული ორთოდოქსული საპატრიარქოს ისტორიკოსებმა XIX საუკუნეში განიზრახეს ამ კითხვისათვის თავიანთვის სასარგებლო პასუხი გაეცათ. როგორ ახერხებდნენ ისინი ამას, ქვემოთ დავინახავთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს XIX საუკუნის ბერძენი საეკლესიო მოღვაწის, და ისტორიკოსის, ნეოფიტე კვიპროსელის, შრომა, რომელშიც ქართველთა მთელი მოღვაწეობა წმინდა მიწაზე ისტორიული ფაქტების უგულებელყოფითა და უაღრესად ტენდენციურადაა გაშუქებული (მათ მთლიანობაში სხვა დროს განვიხილავ). ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ერთ მომენტზე.

ნეოფიტე კვიპროსელის აღნიშნავს, რომ ქართველები პალესტინაში პირველად გამოჩნდნენ 1200 წლის შემდგომ, როდესაც ეგვიპტის სულთნებმა პალესტინა დაიპყრეს. მაშინ დაიწყო ქართველების ძლიერი მიგრაცია იერუსალიმში. ისინი სიხარულით მიიღეს პატრიარქმა და სხვა მართლმადიდებლებმა. ნეოფიტე ჩამოთვლის იმ ქართულ მონასტრებს, რომლებიც ვითომდაც

[44] მონიშვნა ჩემია.

[45] V. Tzaferis. The Monastery of the Holy Cross, p. 11; ვ. ცაფერისი. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, გვ. 102. ბაგრატ III-ის (975-1014) ნაცვლად უნდა იყოს ბაგრატ IV (1027-1072).

XVII ს. 80-იანი წლებიდან საპატრიარქოს „სამართლიან“ მფლობელობაში დაუბრუნდა. მის მიხედვით, XIII საუკუნეში ბერძნებს ქართველი ბერ-მონაზვნებისათვის საცხოვრებლად გადაუციათ წმ. ნიკოლოზის მონასტერი, რომელიც უცხო ქრისტიანთა შემწყნარებელი სადგური იყო.[46] მათ გადაეცათ,

[46] ის მონასტერი, რომელიც ნეოფიტე კეიპრელის თქმით, ეითომ ბერძნებს ქართველებისათვის გადაუციათ, მდებარეობდა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აღდგომის ეკლესიის მახლობლად (А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, с. 116). ჯვრის მონასტრის აღაპითაც ეს მონასტერი ქრისტეს საფლავთან (ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ. 1962, გვ. 88, №99) ანუ აღდგომის ეკლესიასთან მდებარეობდა. ქართული წყაროებით იგი აშენებული ყოფილა „ეახთა დედოფლის ელენე-ყოფილის ელისაბედისაგან, რამეთუ თვით წმიდა ნიკოლოზ მუნ მჯდარა, სენაკი მისი ყოფილა“ (ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა, გვ. 81. შდრ. იქვე, გვ. 122). ეს წარწერა მოთავსებული მონასტრის აღმოსავლეთ ფასადზე გაანადგურეს 2002 წლის მარტში. ის ამჟამად უკვე აღდგენილია (თ. მგალობლიშვილი. ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია წმინდა მიწაზე. ACADEMIA. I. ტ. 5. თბ. 2005, გვ. 3-5). ჯვრის მონასტრის 1643 წლის ერთი აღაპით (ე. მეტრეველი. იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღრების ცდა. წიგნში: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ნაკვეთი I. თბ. 2007, გვ. 196) მონასტრის ამშენებელი ქაიხოსრო წულუკიძე იყო. გ. ფერაძე კი, კატეგორიულად, წყაროსე მითითების გარეშე წერდა, ეს მონასტერი 1187 წელს სალადინმა ქართველებს მისცაო (გრ. ფერაძე. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. თბ. 1995, გვ. 110). ე. მეტრეველმა იეარაუდა, რომ წმ. ნიკოლოზის მონასტერი უნდა აეშენებინათ XVI საუკუნეში მაინც თუ უფრო ადრე არა. იგი ქართლის მეფე ერეკლე I-ის დედამ, „ეახთ დედოფალმა“ განაახლა (ე. მეტრეველი. იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღრების ცდა, გვ. 196).

ეფიქრობ, გ. ფერაძე ტ. ტობლერის ნაშრომზე (Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen. Zweites Buch. Berlin. 1854 S. 726 http://books.google.ge/books?id=7D8AAAAAYAAJ&q=Kirche&hl=ru&source=gbs_word_cloud_r&cad=5#v=snippet&q=Kirche&f=false. დაერდნობით ვარაუდობდა, რომ ნიკოლოზის მონასტერი იყო ჯვრის მონასტერი (გ. ფერაძე. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გვ. 110). მე კი მგონია, რომ ეს უნდა ყოფილიყო ჯვრის მონასტრის მეტოქი, რომლის შესახებაც გვამცნობს არქიმანდრიტი ლეონიდე 1584 წელს (Архимандрит Леонид. Иерусалим, Палестина и Афон по русским паломникам XIV-XVI веков. Чтения общества истории и древностей России. Январь-март. №7. М. 1871).

ნაზარეთის არქიეპისკოპოზის გაბრიელის მიხედვით, წმ. ნიკოლოზის

აგრეთვე, დანგრეული წმ. დიმიტრის მონასტერი.[47] **„რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ქართველი ბერების რიცხვი გაიზარდა, პატრიარქებმა მათ მისცეს იერუსალიმის გარეთ, დასავლეთით დაბლობში, ანუ გოდების ადგილას მდებარე, წმ. ჯვრის მონასტერი, რომელიც ასევე განადგურებული იყო სარაცინების მიერ. მიიღეს რა ის, მათ აღადგინეს მისი დაქცეული კედლები, შემდეგ კი, დროის განმავლობაში კედლების შიგნითაც აღადგინეს იმდროინდელი ქართველი მეფეების და მომლოცველების მოწყალებით".[48]**

როგორც ითქვა, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ჯვრის მონასტერი დააარსა შავშეთელმა საეკლესიო მოღაწემ გიორგი პროხორემ. წერილობითი წყაროების შესწავლამ დამარწმუნა, რომ პიროვნება, რომელსაც ორმაგი სახელი – გიორგი-პროხორე ერქვა, არ არსებობდა. XI ს. პირველ ნახევარში მონასტერში მოღვაწეობდნენ გიორგი და პროხორე. ისინი თანმიმდევრობით იყვნენ ჯვრის მამები – ჯერ გიორგი, შემდეგ პროხორე.[49]

საკითხის გასარკვევად გვაქვს წერილობითი ცნობები. ეს არის: 1038 წ. საბას ლავრაში გადაწერილი იოანეს და მათეს სახარებების, 1039-40 წლებში ჯვრის მონასტერში გადაწერილი ბასილი დიდის „სწავლანის" და 1055 წ. „მამათა ცხოვრებანის" ხელნაწერების მინაწერ-ანდერძები. წინასწარ უნდა ითქვას, მინაწერები სხვადასხვა დროს სხვადასხვა მკვლევარმა გამოაქ-

---

მონასტერში ქართველი ბერები ცხოვრობდნენ 1651 წელს (Повесть о святых и богопроходных местах святого града Иерусалима, приписываемая Гаврилу, Назаретскому архиепископу. Под ред. С. О. Долгова. ППС. 52. 1900, გვ. 9).

იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს II-ის მიხედვითაც, XVII ს. ბოლოს ნიკოლოზის მონასტერი ქართული ძმობის მიერ მიტოვებული და ვალებში ნაფლული იყო. ქართლის მეფე გიორგი XI-მ და ლევან ბატონიშვილმა მონასტერი თავიანთი ფულით გამოისყიდეს და ფორმალურად ქართველებს დაუბრუნდა. მაგრამ იმავე საუკუნის 80-იან წლებში, ორთოდოქსალურმა საპატრიარქომ ქართველთა ფულით აღდგენილი ეს მონასტერი სამუდამოდ დაისაკუთრა (ე. მამისთვალიშვილი. ქართველები და ბიბლიური სამყარო, გვ. 146, 152-153; მისივე, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 191, 198, 200-201, 210-შენ. 2, გვ. 214, 215, 227).

[47] იხ. ე. მამისთვალიშვილი. ქართველები და ბიბლიური სამყარო, გვ. 146.

[48] Рассказ Неофита Кипрского о находяшихся в Иерусалиме христианских вероисповедованиях и ссорах их между собой по поводу мест поклонения. Материалы для истории Иерусалимской Патриархии XVI-XIX века. Т. 1. СПб. 1901, გვ. 8-9. მონიშვნა ჩემია.

[49] ერცლად იხ. ე. მამისთვალიშვილი. გიორგი-პროხორე თუ გიორგი და პროხორე (იერუსალიმის ჯერის მონასტრის ისტორიიდან). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. VIII. თბ. 2008, გვ. 88-95.

ვეყნა და, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ჯვრის მიონასტრის ამშენებლის სახელის სხვადასხვაგვარ წაკითხვასთან. ეს კი გამოწვეული უნდა იყოს გადამწერების მიერ დაზიანებული ხელნაწერის აღდგენა-შევსებასთან.[50]

დიდი ხნის განმავლობაში, ა. ცაგარელის გავლენით მიაჩნდათ, რომ პროხორემ წმ. ჯვრის მონასტრის მშენებლობა დაიწყო ექვთიმე ათონელის ბრძანებითა და მხარდაჭერით.[51] ა. ცაგარელის ამ მოსაზრებაში პირველად ეჭვი შეიტანა ლ. მენაბდემ და აღნიშნა, რომ 1055 წლის ხელნაწერში ექვთიმე ათონელზე კი არ არის საუბარი, არამედ პროხორეს მოძღვარზე, ეფთვიმე გრძელ წყაროსთვალელზე.[52] ე. მეტრეველმა გამოიკვლია, რომ ხელნაწერის ანდერძის შინაარსი ა. ცაგარელმა სასვენი ნიშნების არასწორად დასმის შედეგად, არასწორად გაიგო. დადგინდა, რომ კურთხეული მამა ეფთვიმე ჯვრის მონასატრის მშენებლის პროხორეს მოწაფე და ამავე მონასტერში

---

[50] ხელნაწერის განმარტების დასასრულს, ბოლო გვერდზე ყოფილა ასეთი მინაწერი: „ღირს ვიქმენ მე ურბნელი მთავარ ეპისკოპოზი ვლასი შეკაზმად წ~ისა ამის წიგნისა იოანეს სახარების თარგმანისა; რამეთუ ჟამთა სიგრძისაგან გარეუენილ და უჴმარ ქმნილიყო და ჩვენ ახლად ბრძანებითა და ჯერჩინებითა მამისა ჩვენისასა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა ბარნაბასითა და შეკაზმეთ შეწევნითა პატიოსნისა ჯუარისათა სალოცველად...“ (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. უორდანიას მიერ. I. ტფ. 1892, გვ. 178). ა. ცაგარელი იძლევა ხელნაწერის ხელახლა „შეკაზმეის“ თარიღსაც ქ~ესა სნ@ (258=1570 г. спустя 532 г. после написания) (А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, გვ. 187; ქრონიკები. I, გვ. 178-179). ბარნაბას იერუსალიმიდან ხელნაწერი წიგნებიც წამოუღია. ერთ-ერთი ასეთი წიგნზე იკითხებოდა: „სახელითა ღვთისათა... მე ცოდვილმან ტფილელ მთავარეპისკოპოსმან ბარნაბა (შეეწირე ?) ნიქოსს საყდარსა ხატისა ღვთაებისასა სამკჳდრებელსა სამარხოსა მამათა ჩვენთასა, რომელი ესე მიბოძაჲ უფალმან ეპიჳან ეპისკოპოსმან პატიოსნისა ცხოველმყოფელისა ჯუარისამან იერუსალიმელისამან“ (ქრონიკები. I, გვ. 123-124).

მინაწერების ამოკითხვის სირთულეზე აღნიშნავდა ვ. იმნაიშვილი: „განსაკუთრებით გაძნელდა მხედრული მინაწერების ამოკითხვა, რადგან ასოები მოჩუქურთმებულია და ერთმანეთსე უჩვეულოდ გადაბმული. ამასთან მხედრული მინაწერები ძალზე მკრთალი მელნითაა შესრულებული, რაც აძნელებს მათს წაკითხვას. ასეთი ბუნდოვანი და გაუშიფრავი ადგილები მრავალწერტილით შეეცვალეთ“ (ვ. იმნაიშვილი „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI ს.). თბ. 1975, გვ. 321).

[51] А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, გვ. 173-174.

[52] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. II. თბ. 1980, გვ. 84.

მოღვაწე ყოფილა. 1055 წელს სამონასტრო ბიბლიოთეკის გამდიდრების მიზნით, პროხორეს ბრძანებითა და სახსრით დაიწერა და შეიმოსა ეფთვიმეს თარგმნილი ბასილი დიდის „სწავლანი". ხელნაწერის ანდერძში მოხსენებული ეფთვიმე არ ყოფილა გიორგი-პროხორეს მოძღვარი, პირიქით, გიორგი პროხორე ყოფილა ეფთვიმეს მოძღვარ-მასწავლებელი. ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა და განსრულდა ბასილი დიდის „სწავლანის" წიგნი პროხორეს მიერ აშენებულ ჯვრის მონასტერში ბრძანებითა და მოღვაწეობითა კურთხეულისა კაცისა, მამისა ეფთვიმესითა, ულირსისა ბერისა იოანე დვალისა და მისი შვილის კურთხეულის მიქაელის ხელით". ამ ანდერძის საფუძველზე ე. მეტრეველმა დაასკვნა: „1. ... ანდერძში მოხსენიებული ეფთვიმე არ ყოფილა გიორგი-პროხორეს მოძღვარი, პირიქით, გიორგი-პროხორე ყოფილა ეფთვიმეს მოძღვარ-მასწავლებელი. 2. ანდერძის ეფთვიმე არ შეიძლება მივიჩნიოთ ჯვრის მონასტრის აშენების ინიციატორად...".[53]

ბუნებრივია, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მინაწერის ექვთიმე და ექვთიმე ათონელი. ეს უკანასკნელი დახატული იყო ჯვრის მონასტრის ტაძრის კედელზე, როგორც მონასტრის აღდგენაში დიდი დამსახურების მქონე პიროვნება.

რაც შეეხება გიორგი მთაწმინდელს, წმ. ჯვრის მონასტერთან მიმართებით, მის შესახებ თითქოს ყველაფერი გარკვეულია: რადგან მარიამ დედოფალმა პირადად ვერ შეძლო იერუსალიმს წასვლა წმინდა ადგილების მოსალოცად, გიორგი მთაწმინდელს უბრძანა, „გარნა რათა საფასე იგი, რომელი საგზლად აღეკაზმა, წარიღოს იგი იერუსალემდ და გლახაკთა მათ და დავრდომილთა განუყოს წმიდისა ქალაქისათა და მონასტერთა მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარემოის მისა".[54]

დედოფლის დავალების შესრულებაში გიორგის ხელს უშლიდა ერთი გარემოება, „ვინათგან წმიდათა წიგნთა თარგმნისაგან დაეხრწეოდა", ე.ი. წიგნების თარგმნას მოწყდებოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, დედოფლის ბრძანების წინააღმდეგ ვერ წავიდოდა. მისი მომლოცველობა იერუსალიმში შედგა 1039 წელს.

როგორც ციტატის ბოლოს ნათქვამიდან ("მონასტერთა მათ წმიდათა,

[53] ე. მეტრეველი. Ier. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. №4. თბ. 1984, გვ. 84.

[54] გიორგი მცირე. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ქართული მწერლობა. II. თბ. 1987, გვ. 97.

რომელნი შენ არიან გარემოის მისა") ვიგებთ, საქართველოს სამეფო კარი საქმის კურსში იყო იმ დიდებული მშენებლობის შესახებ, რომელსაც ამ დროს სათავეში ედგა პროხორე შავშელი. იერუსალიმის „გარემოის" ქართველები მხოლოდ წმ. ჯვრის მონასტერს აშენებდნენ და მარიამ დედოფალს მშენებლობის შესაწევარი მისთვის მიჰქონდა. გიორგიმ თან წაიყვანა ერთი მოწაფე, მშვიდობით მივიდა წმინდა ქალაქში და წმინდა ადგილები მოილოცა. „და ნეტარი მამაი პროხორე მაშინ ოდენ ჯვარის მონასტერსა აშენებდა, ესე იხილა და საფასითა ფრიად შეეწია".[55]

რა თქმა უნდა, ტაძრის მშენებლობას შეჭიდებული კაცისათვის, პროხორესათვის, ის დიდი დახმარება, რაც მეფე ბაგრატ მეოთხემ თავისი დედის ხელით ტაძრის მშენებლებს გაუგზავნა, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ პროხორე არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ შემოქმედებით პროდუქციას, რომელსაც გიორგი მთაწმინდელი ქმნიდა. ამიტომ სთხოვა პროხორემ გიორგის, რომ „პირველი ნაყოფი წმიდათა წიგნთა მისთაჲ ცხოველსმყოფელსა ჯვარსა მიანიჭოს, რომელი-იგი დაღაცათუ მაშინ ვერ იქმნა, ხოლო უკანაჲსკნელ, შემდგომად პროხორეს მიცვალებისა, მოწაფეთა მისთა ნებაჲ მისი აღასრულეს და სათვეონი და მარხვანი წმიდასა მას მონასტერს დასხნეს"[56].

გიორგი მცირეს მიერ გიორგი მთაწმინდელზე გადმოცემულის შემდეგ სრულიად ნორმალურად ჩანს ამ უკანასკნელის პორტრეტის დახატვა ჯვრის მონასტრის დასავლეთის კედელზე. მაგრამ ის მარტო არ არის დახატული, მასთან ერთად არის ექვთიმე მთაწმინდელი, რაც საგულისხმოს ხდის, რომ **მათი ერთობლივი პორტრეტი დახატეს როგორც სახელგანთქმული ქართველი წმინდანებისა და, იმიტომაც, რომ ექვთიმესაც ჯვრის მონასტრის აღდგენის, თუნდაც ინიციატორის რეპუტაცია ჰქონდა. ამგვარი ვარაუდი ექვთიმეს ჯვრის მონასტრის აღდგენის საქმეში წვლილის შესახებ, უფრო სარწმუნო გახდება, თუ მშენებლობის დაწყების დროდ XI ს. 20-იან წლებს ვალიარებთ. თავის მხრივ, ექვთიმეს სახელის ამ საქმესთან დაკავშირება აღნიშნულ თარიღს საფუძველს უმაგრებს თუნდაც იმიტომ, რომ ექვთიმე ათონელი 1028 წელს გარდაიცვალა.**

ექვთიმეს ინიციატივაზე ყურადღების გამახვილების შემდეგ, შეიძლება ორი ვარაუდის გამოთქმა: 1. მონასტრის მშენებლობა დაიწყეს ექვთიმეს სი-

[55] გიორგი მცირე. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ქართული მწერლობა. II. თბ. 1987, გვ. 97-98.

ცოცხლეში – 1028 წლამდე, ან 2. ექვთიმეს ინიციატივა და შთაგონება კი იყო, მაგრამ მონასტრის მშენებლობა დაიწყო მისი გარდაცვალების შემდეგ. ჩემი აზრით, მისაღებია ორივე ვარაუდი. მათ ამაგრებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა, რომლითაც მადლიერმა მონასტრის აღმდგენლებმა არ დაივიწყეს ექვთიმეს თუნდაც მხოლოდ მორალური წვლილი და მისი სახე მონასტრის კედელზე უკვდავყვეს.

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ და, ალბათ, ეს ასეც უნდა იყოს, მაშინ გასაგებია, ჯვრის მონასტრის დასავლეთის კედელზე დახატულ ყველა ისტორიული პირის დამსახურება. ესენი იყვნენ: მონასტრის აღდგენის ინიციატორი ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი – მონასტრის კრებულის არა მხოლოდ სულიერად დამხმარე, ბაგრატ IV – მონასტრის მშენებლობის დამფინანსებელი, პროხორე – აღდგენითი სამუშაოების ზედამხედველი, მონასტრის წინამძღვარი და მოამაგე.[56]

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დამაარსებელი რომ გიორგი-პროხორე იყო, ამის დასაბუთების ცდა მოცემულია ლ. მენაბდის ნაშრომში.[57] ის მრავალ წერილობით წყაროს იმოწმებს, მაგრამ ყველგან ჯვრის მონასტრის დამაარსებლად დასახელებულია პროხორე და არა გიორგი-პროხორე. მიუხედავად ამისა, მკვლევარი დაასკვნის: „ამრიგად, ყველა წყარო, რომელიც საგანგებოდ დავიმოწმეთ („პროხორეს ცხოვრება", „გიორგი ათონელის ცხოვრება", ჯვრის მონასტრის ანდერძ-მინაწერები და სხვ.), ჯვრის მონასტრის მშენებლად გიორგი-პროხორეს მიიჩნევს და ჩვენ არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია იმისათვის, რომ ამ წყაროთა ჩვენებაში ეჭვი შევიტანოთ. ასე რომ, სავსებით მართალი არიან ის მკვლევარნი, რომელნიც ჯვრის სავანის დამაარსებლად XI საუკუნის მოღვაწეს გიორგი-პროხორეს აღიარებენ".[58] ვიმეორებ, ლ. მენაბდის მიერ დამოწმებულ წყაროებში დასახელებულია მხოლოდ პროხორე და არა გიორგი-პროხორე. გიორგი-პროხორეა გაზიარებული მეცნიერულ და პოპულარულ პუბლიკაციებში. ჯვრის მონასტერი რომ გიორგი-პროხორემ დაარსა, ამ პოზიციას იცავს თ. მგალობლიშვილი. იგი წერს: „ამრიგად, ქართული და უცხოურ წყაროთა კვლევის საფუძველზე დღეისათვის,

[56] შდრ. Т. Б. Вирсаладзе. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, გვ. 40, 47.

[57] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. II, გვ. 82, 281, 424.

[58] თ. მგალობლიშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. ლეგენდები და სინამდვილე. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. თბ. 2004, გვ. 184.

ვფიქრობ, სავსებით თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ წმ. ჯვრის მონასტერი, ამ სახელით აშენებულია XI ს-ის პირველ ნახევარში, გიორგი-პროხორე შავშელის მიერ, რასაც იგი თავად ადასტურებს თავის არა მარტო 1038 წლის ანდერძ-მინაწერში, არამედ შედარებით მოგვიანო ხანის მინაწერებშიაც. ამ ფაქტს ასევე ადასტურებს მისი და ათონელთა „ცხოვრების" ტექსტებიც"[58].

ჯვრის მონასტრის აღდგენის პრობლემის გასარკვევად გვაქვს რამდენიმე წერილობითი წყარო. ესენია: უკვე დასახელებული, 1038 წელს საბას ლავრაში გადაწერილი იოანეს და მათეს სახარების, 1039-1040 წლებში ჯვრის მონასტერში გადაწერილი ბასილი დიდის „სწავლანის" და 1055 წლის „მამათა ცხოვრებანის" ხელნაწერების მინაწერები. წინასწარ უნდა ითქვას, რომ მინაწერები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მკვლევარმა გამოაქვეყნა. მაგრამ საქმე გვაქვს ჯვრის მონასტრის ამშენებლის სახელის სხვადასხვაგვარ წაკითხვასთან. ეს სირთულე გამოწვეული უნდა იყოს გადამწერების მიერ დაზიანებული ხელნაწერის აღდგენა-შევსებით.

მინაწერი, როგორც ჩანს, მკვლევრებმა სხვადასხვანაირად წაიკითხეს. ერთი შეხედვით, გარკვეულ გაუგებრობას შეიცავს: ა. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებულ იოანე ოქროპირის იოანეს სახარების განმარტების (დაწერილია პალიმფსესტზე, დამთავრებულია 1038 წ.) ანდერძ-მინაწერი დაწერილია ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი ხელით. მასში დასახელებულია ორი გიორგი: ერთი ჯვარელი, ე.ი. ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, და მეორე — გიორგი პროხორე — ჯვრის მონასტრის აღმდგენელი. ვფიქრობ, ანდერძ-მინაწერი შესრულებულ-დასრულებულია სხვადასხვა დროს. მაშასადამე, იგი ქრონოლოგიურად და შინაარსობრივადაც უნდა გაიყოს ორ ნაწილად:

პირველი მინაწერის პირველი ნაწილის ულამაზო ხელი, ეკუთვნის მიხეილ ჩიხუარელს და გვამცნობს „შავშემოსილისა წმ. მამისა და მოძღვრისა ჩ̄სა" გიორგი ჯვარელის იმ დამსახურებაზე, რაც მას მიუძღოდა იოანე ოქროპირის ნაშრომის თარგმნის საქმეში. მაგრამ, განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ გიორგი მოიხსენიება ჯვარელად, რაც მიგვანიშნებს, რომ ჯვარის სახელის მატარებელი ქართველთა სიწმინდე, საუკუნეების განმავლობაში, მუსლიმანთა ბატონობის ხანაში, დანგრევის პირას მისული კვლავ მოქმედებდა. მაგრამ იგი იმდენად დასუსტებული იყო, რომ მის კედლებში ლიტერატურული საქმიანობა ვერ ხერხდებოდა. ჯვრის მონასტრისათვის განკუთვნილი იოანე ოქროპირის თხზულება ამიტომ ითარგმნა საბაწმინდაში ქართველი

ბერების მიერ.

მეორე მინაწერში ნათქვამია, რომ თხზულება ითარგმნა გიორგი ჯვარელის ინიციატივით ორი მნიშვნელოვანი ისტორიული პირის – ბიზანტიის კეისრის მიხაელ პაფლაგონიელის (1034-1041) და საქართველოს მეფე ბაგრატ IV კურაპალატის (1027-1072) ზეობის პერიოდში, რაც შესაძლებელს ხდის გიორგის ჯვარელობის პერიოდის მიახლოებითი განსაზღვრა. რადგან ხელნაწერი დასრულდა 1038 წელს, ბუნებრივია, გიორგი ჯვარელის ანდერძი მაშინვე დაიწერებოდა. მაშასადამე, აღნიშნულ წელს გიორგი ჯვარელია, მაგრამ არ ჩანს, როდიდან. ზუსტად არც ის ვიცით, როდის დაიწყეს ჯვრის მონასტრის აღდგენა. უხეშად რომ ვიანგარიშოთ, გიორგის ჯვარელად ყოფნა თავსდება ბაგრატ IV-ს მეფობის დასაწყისიდან მიხაელ III-ს მეფობის პერიოდში.

ა. ცაგარელის მიხედვით, მინაწერის მეორე ნაწილი, შესრულებული ლამაზი ნუსხა ხუცურით, ეკუთვნის გიორგი-პროხორეს და განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ იგი ჯვარის მონასტერს აშენებს. მინაწერის ბოლოს დასმული თარიღი (1038 წ.), ვფიქრობ, აღნიშნავს იოანე ოქროპირის თხზულების თარგმანისა და გადაწერის დასრულებას („ოდენ დაიწერა და განსრულდა“ იყო 1038 წელი). ჩემი აზრით, პროხორეს საქმიანობის აღმნიშვნელი მინაწერი, გიორგი ჯვარელის მინაწერისგან განსხვავევიბით, სხვა დროს არის გაკეთებული. წარწერა არ ასახავს პროხორეს დამოკიდებულებას გიორგი ჯვარელის ინიციატივით თარგმნილი წიგნისადმი. პროხორე გადმოგვცემს თავის დამსახურებას ჯვრის მონასტრის მშენებლობაში და, ზოგადად კი „და... თანა წმიდათა მათ წიგნთა თარგმანთა... სახარებისათა იოვანნეს თავისა და მათთესა სრულებით“. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ პროხორეს წინამძღვარი ყოფილა „სულ-დიდებული“ არსენი, მაშინ, როდესაც გიორგი ჯვარელი, მიქელ ჩიხუარელის თქმით, იყო სხვების მოძღვარი. ისიც საინტერესოა, რომ ქვემოთ დამოწმებულ მასალებში, იქ სადაც გიორგი ჯვარელზეა ლაპარაკი, არ მოიხსენიება პროხორე და პირიქით – პროხორესთან ერთად არასოდეს ახსენებენ გიორგი ჯვარელს.[59]

XI საუკუნეში განახლებული ჯვრის მონასტერი, რომ ძველი, V საუკუნის ნაგებობის საფუძველზე დგას, ეჭვს არ იწვევს. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები გვეუბნება, რომ 1038 წლისათვის მონასტერი ფუნქციონიერებდა.

[59] ე. მამისთვალიშვილი, გიორგი-პროხორე თუ გიორგი და პროხორე (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან), გვ. 89-90.

იგივე მინაწერები უფლებას გვაძლევს ჯვრის მონასტრის მშენებლობა გავყოთ ორ პერიოდად: მამა გიორგისა და მამა პროხორეს პერიოდებად.[60] განსაკუთრებით საყურადღებოა ანდერძ-მინაწერის ის ადგილი სადაც გიორგი პროტოიერი (ჯვარელი) ამბობს, რომ უძლურებისა და სიგლახაკის მიუხედავად შეძლო „აღშენებად (მონასტრისა - ე. მ.) წ̄ა̄სა ამას და **ცხოველს მყოფელსა ჯვარისა ადგილსა“**. ანდერძის ამ ფრაზის ორგვარი გაგება შემოგვთავაზა ა. ცაგარელმა: „ეს სიტყვები მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც გაიზარდა ჯვრის ხე ან სადაც იყო მონასტერი, ან ერთსაც და მეორესაც“.[61] ვფიქრობ, იგი უნდა გავიგოთ მეორე მნიშვნელობით, რომ გიორგი ჯვარელმა დაიწყო ძველი, პეტრე იბერის მიერ დაარსებული ჯვრის მონასტრის აღდგენა.[62]

გიორგი ჯვარელზე, როგორც მშენებელზე, პირდაპირ მიუთითებს შავი იოვანე. იოვანეს თქმით, გიორგიმ შეკრიბა ქართველთა ძმობა და დიდი შრომით „აღაშენა“ ის ნაგებობა, რომელსაც ის არ ასახელებს, მაგრამ უეჭველია, რომ „ყოველთა სულთა შესავედრებლად“ აგებულში,[63] ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძარი უნდა იგულისხმებოდეს. პროხორეს „ცხოვრებამ“ კი წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენა-აშენება მთლიანად პროხორეს მიაწერა, როგორც მთავარ აღშენებელს და მონასტრად ჩამომყალიბებელს.

ძნელია იმ მიზეზებზე საუბარი, თუ რამ გამოიწვია მონასტრის საძმოს მიერ პროხორეს წინამორბედი ჯვრის მამის, გიორგის, სახელისა და დამსახურების მივიწყება-მიჩქმალვა. სავარაუდოა, მონასტრის მშენებლობის გარკვეულ ეტაპზე, საძმოს შიგნით არსებობდა დაპირისპირება, რომლის მიზეზსა თუ მიზეზებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ დაპირისპირება ყოველ ეკლესიაში შეიძლებოდა მომხდარიყო. გავიხსენოთ საზღვარგარეთ არსებული სხვა ქართული მონასტრის — ივერონის ისტორიის ერთ-ერთი მომენტი, როდესაც თორნიკეს გარდაცვალების შემდეგ, მონასტრის შიგნით არსებულმა უთანხმოებამ მონასტრის ერთ-ერთ დამაარსებელს იოვანეს განაზრახვინა, ეპანეთში

[60] ე. მამისთვალიშვილი, გიორგი-პროხორე თუ გიორგი და პროხორე (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან), გვ. 88-95.

[61] А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, გვ. 92-93.

[62] ე. მამისთვალისეილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი). თბ. 2002, გვ. 5-17.

[63] ე. იმნაიშეილი. „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI ს.), გვ. 322-323, 56 v.

გადახვეწილიყო. ამ ამბავს გადმოგვცემს იოვანე მთაწმინდელის „ცხორების“ აღმწერელი გიორგი მთაწმინდელი: „შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამან ჩუენმან იოვანე, რაჲთა აღიღოს ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად — რამეთუ პირველითგანვე უძნდა შუღლიანობა და შფოთი, გარნა თავს ედვა მუნ ჟამამდე თორნიკის აშენებისათჳს და რაჲთა შეიძინოს სული მისი, — რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრნ არიან მუნ, და ამის პირისათჳს წარვიდა ავიდოსამდე...“.[64]

ძმობის შიგნით დაპირისპირების ნიშნები ჩანს წმ. ჯვრის მონასტერში ნიკიფორე ირბახის წინამძღვრობის და შემდგომ პერიოდში.[65]

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ჯვრის მონასტრის მშენებლობის დროს არსებობდა ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი დასი. გაიმარჯვა პროხორეს დასმა, რომელმაც შემდეგში იზრუნა თავისი ლიდერის სახელის უკვდავყოფაზე და მას მიაწერა, სრულიად დამსახურებულად, ყველა ის წარმატება, რომელმაც ამ მონასტერს სახელი გაუთქვა.

5. ჯვრის მონასტრის აღდგენის ქრონოლოგიური ჩარჩო

ცნობილი არ არის ჯვრის მონასტრის აღდგენა-მშენებლობის ზუსტი დრო. თ. ჟორდანიამ მონასტრის აღდგენის დაწყების ზუსტი თარიღი არ იცოდა, მაგრამ დამთავრებას კი 1059 წელს ვარაუდობდა.[66]

კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ „მონასტრის შენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმინდელის ბრძანებით, მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს მაინც“.[67] იგი არაფერს ამბობდა მონასტრის დასრულების სავარაუდო თარიღის შესახებ. ლ. მენაბდე იმოწმებს კ. კეკელიძის ნაშრომიდან ამ ამონარიდს ისე, როგორც ზემოთ დავიმოწმე, მაგრამ დამატე-

---

[64] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ. აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II (XI-XV სს.). თბ. 1967, გვ. 54.

[65] ე. მამისთვალიშვილი. ნიკიფორე ჩოლოყაშვილი — დიპლომატი, პოლიტიკოსი, ეკლესიის და კულტურის მოღვაწე. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 14. თბ. 2011, გვ. 36-38.

[66] ქრონიკები. I, გვ. 178, შენ. 1.

[67] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბ. 1960, გვ. 103.

ბით მიაწერს ზუსტ თარიღს – 1025 წელს, რაც სინამდვილეში კ. კეკელიძესთან არ არის.[68] ბოლო ფრაზა („მონასტერი შენდებოდა 1025 წლიდან“) კ. კეკელიძეს არ ეკუთვნის.

ე. მეტრეველი კი ფიქრობდა, რომ „იერუსალიმის მახლობლად XI საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო ჯვრის მონასტრის მშენებლობა“.[69]

1038-1059 წლებით შემოსაზღვრა ჯვრის მონასტრის აღდგენა-მშენებლობის პერიოდი ქრ. პაპანდოპულოსმა. ეს თარიღი გაიზიარა ა. იკონომოპულოსმაც.[70]

მ. თამარაშვილს „ერთ-ერთ ხელნაწერში“ უნახავს ცნობა, რომელიც იუწყება, რომ პროხორემ 1039-1059 წლებში ააშენა ჯვრის მონასტერი.[71]

ჯვრის მონასტერი 1038-1056 წლებს შორის აშენებულად მიაჩნია პეეტერსს და მისგან ჰ. ვენსანს.[72]

ლ. მენაბდის მიხედვით, მშენებლობა დაიწყო XI ს. 30-იან წლებში, დამთავრდა 50-იანი წლების მიწურულსა თუ 60-იანი წლების დამდეგს.[73]

ე. მეტრეველი ჯვრის მონასტრის მთელი კომპლექსის დასრულების დროდ 1056-1057 წლებს მიიჩნევდა.[74]

გ. ჯაფარიძე წერს: „ჩვენი აზრით, ჯვრის სამონასტრო კომპლექსის შექმნის უფლების მიღება **1036 წ. საზავო ხელშეკრულების**[75] **ჩარჩოებში თაავსდება**. მონასტრის დაფუძნების იდეა შეიძლებოდა ჩასახულიყო გაცილებით ადრე, XI ს. 20-იანი წლებიდან მაინც, როცა დაისახა კონტურები სამ-

[68] ლ. მენაბდე ძველი ქართული მწერლობის კერები. II, გვ. 82.

[69] ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა, გვ. 0172.

[70] ა. იკონომოპულოსი. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები (წინასწარი ანგარიში), გვ. 277.

[71] მ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა. თბ. 1995, გვ. 357.

[72] ა. იკონომოპულოსი. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები (წინასწარი ანგარიში), გვ. 277.

[73] ლ. მენაბდე ძველი ქართული მწერლობის კერები. II, გვ. 84

[74] ე. მეტრეველი. ier. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის, გვ. 85.

[75] იგულისხმება ბიზანტიასა და ფატიმიანთა ეგვიპტეს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება. გ. ჯაფარიძე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე, გვ. 141.

ხედრო-პოლიტიკური კავშირისა გიორგი I-სა და ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმს შორის (1020 წ.)... და პოლიტიკური კლიმატი დათბა. გიორგი-პროხორეს, რომელიც უკვე საბაწმინდაში მოღვაწეობდა, საკმაო დრო ჰქონდა იმისათვის, რომ შესაფერისი ადგილი შეერჩია მონასტრისათვის, მაგრამ მისი მშენებლობის უფლების მიღება ფატიმიანთაგან – იერუსალიმის ახლადდანიშნულ ბიზანტიელ პატრიარქთან კოორდინაციით[76] და თვით მშენებლობის დაწყება, მას რეალურად შეეძლო მხოლოდ 1036 წლიდან...".[77]

რამდენად აუცილებელი იყო ქართველების მიერ მონასტრის აღდგენის უფლების შეთანხმება იერუსალიმის საპატრიარქოსთან, ცალკე მსჯელობის საგანია. ამჯერად მხოლოდ ერთს ვიტყვი: ხომ შეიძლებოდა, მაშინ როდესაც გიორგი I „მიმოწერას აწარმოებდა ალ-ჰაქიმთან იმის შესახებ, რომ გაერთიანებულიყვნენ ბასილის წინააღმდეგ საომრად და თითოეულ მათგანს განეხორციელებინა დარტყმა საკუთარი ქვეყნიდან"[78] და შემდგომი ურთიერთობის დროსაც, როცა ჯერ კიდევ ბიზანტიასა და ეგვიპტეს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო და პატრიარქი იერუსალიმში არ იმყოფებოდა, მაშინ მიეღოთ ქართველ ბერ-მონაზვნებს ჯვრის მონასტრის აღდგენის უფლება, როდესაც 1021-1022 წლებში საქართველო-ბიზანტიას შორის დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის დიდი ომი მოხდა? ეგეც არ იყოს, საქართველო-ბიზანტიას შორის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა 1036 წლის ბიზანტია-ეგვიპტის ზავის წინ და მის შემდეგაც. ასეთ ვითარებაში, საეჭვოა, საიმპერატორო კარის შემყურე კონსტანტინოპოლის პატრიარქს ქართველებისათვის სასიკეთო მოქმედება ჩაედინა.[79]

---

[76] რამდენად აუცილებელი იყო ქართველების მიერ მონასტრის აღდგენის უფლების შეთანხმება იერუსალიმის საპატრიარქოსთან, ცალკე მსჯელობის საგანია. ხომ შეიძლებოდა, მაშინ როდესაც გიორგი I „მიმოწერას აწარმოებდა ალ-ჰაქიმთან იმის შესახებ, რომ გაერთიანებულიყვნენ ბასილის წინააღმდეგ საომრად და თითოეულ მათგანს განეხორციელებინა დარტყმა საკუთარი ქვეყნიდან" (ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქელის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 116) და შემდგომი ურთიერთობის დროსაც, როცა ჯერ კიდევ ბიზანტიასა და ეგვიპტეს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო და იერუსალიმში პატრიარქი არ იმყოფებოდა, მაშინ მიეღოთ ქართველ ბერ-მონაზვნებს ჯვრის მონასტრის აღდგენის უფლება.

[77] ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქელის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 141.

[78] ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქელის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 116.

[79] საქართველო ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ XI ს. პირველ ნახევარში იხ. ვ. კოპალიანი საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერ-

დიდად საეჭვოდ მეჩვენება, რომ 1036 წელს ბიზანტია-ეგვიპტეს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების შედეგად მოპოვებული ჯვრის მონასტრის მშენებლობის უფლებით, მონასტრის მთავარი ტაძარი 1038 წელს უკვე დასრულებული იყო, რაზეც თითქოს მიუთითებს ჯვრის მონასტრის ერთი ხელნაწერის მინაწერი[80]. ჩემი აზრით, **აშენება ისეთი მასშტაბური ნაგებობისა, როგორიც ჯვრის მონასტრის ტაძარია, დღესაც დიდ დროს, სახსრების, საამშენებლო მასალის, სპეციალისტებისა და მუშახელის მობილიზაციას მოითხოვს, მითუმეტეს მაშინ, დროს მცირე მონაკვეთში (1036-1038 წწ.) ვერ მოესწრებოდა. რადგან ტაძრის მშენებლობა 1038 წელს უკვე დამთავრებული იყო, მონასტრისა კი 1050-იანი წლების ბოლომდე ისევ გრძელდებოდა, საფუძვლიანი უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მშენებლობა-გადაკეთება XI საუკუნის 20-ან წლებში (შეიძლება, უფრო ადრეც) მაინც, ჯვრის მონასტრის ძველი ნაგებობის ბაზაზე, ეპოქის მოთხოვნილების შესატყვისი ნაგებობის მშენებლობა დაიწყო.**

ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც გარკვეული ვარაუდის დაშვების უფლებას მოგვცემს. მიჭირს იმის თქმა, რამდენად შეეფერება სიმართლეს ხალიფა ალ-ჰაქიმის მიერ 1009 (ან 1010) წელს ქრისტიანი მოსახლეობის გაჟლეტისა და ქრისტიანული ტაძრების დანგრევის ბრძანების გაცემა, რომელიც ქრისტიანული ისტორიოგრაფიის მიხედვით, სისრულეში იქნა მოყვანილი. მაგრამ იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ (1025-1028) ალ-ჰაკიმის მემკვიდრესთან მორიგება შეძლო და უფლის საფლავის ტაძრის აღდგენის უფლება მოიპოვა. მშენებლობა გრძელდებოდა კონსტანტინე IX მონომახოსის (1042-1054) დროსაც.[81] ამ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება საჭიროა იმიტომ, რომ დღეისათვის არსებული წერილობითი და ზეპირი გადმოცემები ჯვრის მონასტრის მშენებლობის დაწყების ზუსტი თარიღის დადგენის საშუალებას არ იძლევა. თუ გავითვალისწინებთ XI ს. 20–30-ან წლებში პალესტინაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, იმასაც, რომ ამ დროს საქართველო ეგვიპტეს შორის დიპლომატიური კონტაქ-

---

თობა 970-1070 წლებში. თბ. 1969, გვ. 97, 104-106, 109-112, 114-117, 125-128; ბ. სილაგაძე, იაპია ანტიოქელის ცნობები საქარტველოს შესახებ, გვ. 116-120; ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბ. 1998, გვ. 226-241.

[80] ბ. სილაგაძე. იაპია ანტიოქელის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 143.

[81] Л. А. Беляев. Н. Н. Лисовой Гроба Господня (Воскресения Христова) Храм в Иерусалиме//Православная энциклопедия. Том XIII. М. 2006. http://ru.wikipedia.org/wiki/Храм Гроба Господня.

ტები აღმავლობის გზით მიდიოდა, ხოლო საქართველო და ბიზანტია ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, დასაშვებია, ჯვრის მონასტრის აღდგენა დაწყებულიყო 10-ან თუ არა 20-იან წლებში მაინც.

ჯვრის მონასტრის მშენებლობის დასრულების დროს უფრო დაზუსტება შეიძლება „პროხორეს ცხოვრებით". მან „აღაშენა, და განასრულა, და შეამკო ეკლესია და ყოვლითა სამკაულითა". მაშასადამე, პროხორეს მოღვაწეობის შედეგად მონასტერმა სრულყოფილი სახე მიიღო. იმავე წყაროდან ვიცით, რომ „მოუძლურდა გუამი მისი ფრიადისა შრომისა და სიბერისაგან". ამიტომ მან „გამოარჩია მოწაფეთა მისთაგანი ძმა" ერთი, სახელით გიორგი, და დაადგინა იგი მამასახლისად". პროხორე მონასტრის წინამძღვრად აღარ ჩანს 60-იანი წლების დასაწყისიდან, მის ნაცვლად ვხედავთ მის მიერვე დანიშნულ გიორგის. ერთ-ერთი უძველესი საგალობლების ხელნაწერის მინაწერიდან, რომელიც 1061 წლით თარიღდება, ვიგებთ იმათ შესახებ, ვინც ხელნაწერის შექმნასა და სრულყოფაში მონაწილეობდნენ. ხელნაწერის ბოლოს, მინაწერში ნათქვამია: „დაიწერა წ̄ა ესე წიგნი წ̄სა ქალაქსა იერუსალიმს, მონასტერსა შინა წმიდისა ჯვარისასა, მამობასა გ̄იორგისა, ჭელითა უნდოჲსა გაბრიელ საყვარელისათა, შეიმოსა ჭელითა... ქ̄ კნი იყო სპა (1061 წ.)".[82] პროხორე ჯვარში აღარ იმყოფება 1061 წელს.[83]

ამგვარად, მონასტრის მშენებლობა, სავარაუდოდ, დაიწყო XI ს. პირველ მეოთხედში, დასრულდა იმავე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს.

[82] А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, გვ. 223.

[83] ე. მეტრეველის აზრით, გიორგი-პროხორე წავიდა შეჰანის უდანოში, ტრანს-იორდანიაში. ლ. მენაბდის მიხედვით კი, „უდაბნოსა არნონს".

Eldar Mamistvalishvili

ABOUT RESTORATION OF THE CROSS MONASTERY IN JERUSALEM

Summary

Taking into consideration new interpretation of archaeological data from Jerusalem, it is to be stated that the Persians in 614 and Arabs in 637 did no do any harm to the city. Still, Arab predominance in Palestine gradually destroyed the monastic life, many monasteries declined there. Georgian monks were also diminishing in number. So, towards the beginning of the 11th c. the Cross Monastery was already old and damaged building.

There was no chance for the Georgians to restore the monastery without permission of the Sultan of Egypt. First contact of Georgia with the Fatimids of Egypt was established due to anti-Byzantine spirit in both countries. Fatimids were especially eager to see Byzantium weakened.

Political changes in Palestine, comfortable position of the Georgians in Jerusalem and good will of the Georgian kings, all these moments formed background for restoration of the Cross Monastery.

Georgian historiography thinks of Giorgi-Prochor from Shavsheti (South-Western province of Georgia, now in Turkey) as of founder of the Cross Monastery. Narrative research makes it clear that two subsequent abbots of the monastery in the 1st half of the 11th c., Giorgi and Prochor, restored the Cross Monastery.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

ნესტან სულავა

ქართული წარწერების სახისმეტყველება (ჯავახეთის ეპიგრაფიკის მიხედვით)

ლაპიდარული და ფრესკული წარწერების წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას განსაზღვრავს მათში დაცული ცნობების ღირებულება ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის, ისტორიული პირის, ტაძრის მშენებლობის და სხვა პოლიტიკურ-სოციალური ვითარების შესახებ. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება ისტორიულ მოვლენათა, ისტორიულ პირთა და ძეგლთა დათარიღება, ცალკეული წარწერის მნიშვნელობის განსაზღვრა. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ფონდი ძალზე მდიდარია: ლაპიდარული, ჭედური, ფრესკული, ნაკაწრი და ნაქარგობებზე შესრულებული წარწერები; სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია ქართული წარწერების კლასიფიკაცია შინაარსობრივი თვალსაზრისით: საამშენებლო, მემორიალურ-მოსახსენებელი, იურიდიული, საყოფაცხოვრებო, ქრონიკალური შინაარსის და სხვა ტიპის წარწერები. ლაპიდარულ, ფრესკულ, ჭედურ, ნაკაწრ და ნაქარგობებზე შესრულებულ წარწერებს, თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, ლიტერატურათმცოდნეობითი და სახისმეტყველებითი ღირებულებაც აქვთ. კერძოდ, ისინი, არცთუ იშვიათად, სარგებლობენ ბიბლიური წიგნებით, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებით, და, შესაბამისად, ბიბლიურ მოტივებს, ალუზიებს, ხატ-სახეებს ასახავენ, საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავენ. ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების ამ თვალსაზრისით კვლევამ საკმაოდ მნიშვნელოვან დასკვნებამდე მიგვიყვანა.

წარწერებში გამოიკვეთა ის თემატიკა და მოტივები, რომლებმაც ამა თუ იმ წარწერის შესრულებისას ითვალისწინებდნენ. ბიბლიური და საღვთისმეტყველო საზრისის შემცველი წარწერები რამდენიმე ტიპისაა: 1. წარწერებში აღნიშნულია, თუ ვის, ღმერთს ან რომელ წმინდანს მიმართავს წარწერის შემსრულებელი თხოვნითა და სულის ხსნის ვედრებით; 2. სამყაროს

ქრისტიანული აღქმა და მისი ამსახველი წარწერები; 3. ბიბლიურ-ევანგელური ეპიზოდების ასახვა და ალუზია; ბიბლიურ პერსონალიათა ხსენება; 4. სოფლისა და ზესთასოფლის მკვიდრთა სულიერი მომავალი; 5. შენდობისა და შეწყალების მოტივი; 6. ესქატოლოგიური თემა და განკითხვის დღის მოლოდინი; 7. კრულობისა და წყევლის თემა; წარწერებში შემონახულია პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისისა და ინფორმაციის შემცველი ცნობები, რომლებშიც ყველა ზემოჩამოთვლილი სახისმეტყველებითი ასპექტი წარმოჩნდება.

1. წარწერებში ხშირად გვხვდება ღმერთისადმი, ყოვლაწმინდა ღვთისმშობლისა და მფარველი წმინდანებისადმი მიმართვა. ზედა ვარძიის XI საუკუნის წარწერა, ლიპარიტ ერისთავთ ერისთავის წარწერა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, დედას ღვთისას, სთხოვს ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისა და მისი შვილების მეოხებას, რათა „დღესა საშინელსა“ პირნათელი წარდგეს ღვთის წინაშე: *„ქ. დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ ერისთავთ ერისთავსა ლიპარიტს და შვილთა მისთა, დღესა საშინელსა რომელმან გულსმოდგინებით აღგიშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, ამენ“* (№ 53).[1] განძის ქვედა ეკლესიის წარწერაც, ასევე, ყოვლაწმინდა ღვთისმშობელს მიემართება: *„ქ. ღმრთივ გჳრგჳნოსანი მეფობაჲ გიორგისი, ლაშქარნი და სამეფო დაჲფარენ, დედაო ყოველთა მჴსნელისაო“* (№ 29). გავეთის X საუკუნის წარწერაში მისი შემსრულებელი წმ. გიორგი მთავარმოწამეს შესთხოვს ფოფისადმი მეოხებას ორსავე სოფელში: *„წმიდაო გიორგი მთავარმოწამეო, მეოხ ეყავ ორთავე ცხორებათა ფოფს“* (№ 25). სოფელ ფარავანთან ახლოს მდებარე ქვაჯვარზე შესრულებული XII საუკუნის დათვიას წარწერა მოგვითხრობს: *„შვილნო ღმრთისანო, ქრისტიანენო, საწყალი დათვიაი ლოცვასა გვედივარ“* (168).[2] აქ ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ დათვიას საწყლად მოხსენიება, არამედ ვედრების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული „გვედივარ“, იგი იშვიათ ზმნათა რიგს განეკუთვნება; საინტერესოა მისი გრამატიკული ფორმა. ამ სიტყვას ვხვდებით გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, რომელშიც იერუსალიმში

[1] ლიპარიტ ერისთავთ ერისთავის წარწერისა და სხვა წარწერების ნომრები ტექსტშივე მითითებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ, როინ ყავრელიშვილმა. თბ. 2012.

[2] „გვედიას“ შესახებ იხ. თ. ხაჟომია. ანდერძ-მინაწერთა შენდობის ფორმულა „გვედია“. ქართული წყაროთმცოდნეობა. II. თბ. 1968.

მყოფი მამები წმ. გრიგოლ ხანცთელს დედა ეფროსინეს ავედრებენ: *„მამაო, გვედია ეფროსინე, დაჲ ჩუენი, ღმრთისა სიყვარულისათჳს იკითხეთ...“*.[3]

2. ცნობილი ფაქტია, რომ ხუროთმოძღვრული ძეგლები სამყაროს სიმბოლურ არსს გამოხატავენ. ამიტომ ქრისტიანული ტაძრის ყოველი დეტალი, ყოველი გამოსახულება ადამიანის სულიერი სამყაროს წარმოჩენას ემსახურება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კუმურდოს ტაძრის ოთხი თითო სიტყვისაგან შემდგარი წარწერა: *„ადამ“, „ევა“, „ცაჲ“, „ქუეყანაჲ“*, რომლებშიც სამყაროს შექმნის პროცესი და ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა წარმოიდგინება. წარწერათა მეცნიერული აღწერილობა და პალეოგრაფიული ანალიზი მოცემულია ვ. სილოგავას მონოგრაფიაში „კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა“.[4]

ვ. სილოგავას აღწერილობის თანახმად, X საუკუნის შუა წლების, კერძოდ, 964 წლის (ამ წლითაა განსაზღვრული კუმურდოს ტაძრის მშენებლობა) წარწერა **„ად//ამ“** „ამოკვეთილია ადამის თავის სკულპტურული გამოსახულების გარშემო. გამოსახულება მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ ფასადის ნიშის ზედა ნაწილში. მას გარშემო 12 სხივიანი კონცენტრული რიგი დაუყვება. თავის გამოსახულება დაზიანებულია – ნასროლი ქვებით ძლიერ ატკეცილია მისი ზედაპირი. წარწერის 2-2 ასო ამოკვეთილია გამოსახულების ორივე მხარეს. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს“.[5] დავიმოწმებ ევას გამოსახულებისა და წარწერის აღწერილობასაც ვ. სილოგავას მონოგრაფიიდან: წარწერა **„ევ//ა“** „ამოკვეთილია ევას თავის სკულპტურული გამოსახულების გარშემო. გამოსახულება მოთავსებულია ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის ნიშის ზედა ნაწილში. გარშემო მას დაუყვება 26 სხივანას კონცენტრული რიგი. გამოსახულება დაზიანებულია – გამოქარგული და გადაცრეცილი. წარწერის 2 ასო ამოკვეთილია თავის მარცხნივ (აქედან პირველი გადასულია) და 1 – მარჯვნივ (ეს უკანასკნელი ფილის კიდეზეა, ისე, რომ აქ Y-სათვის ადგილი არ არის). განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს“.[6] პრობლემის უკეთ წარმოჩენის მიზნით დავიმოწმებ ცისა

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 303.

[4] ვ. სილოგავა. კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა. თბ. 1994, გვ. 50-52.

[5] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 50.

[6] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 50-51.

და ქვეყნის სიმბოლურ გამოსახულება-წარწერათა აღწერილობასაც ამავე წიგნიდან: წარწერა **„ცაჲ“** „ამოკვეთილია ცის სიმბოლური გამოსახულების – ადამიანის სკულპტურული თავის, მარცხენა მხარეს. გამოსახულება ჩასმულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის სამხრეთ (მარცხენა) ნიშის ზედა ნაწილში. მას ზემოდან დაუყვება 21 სხივანის კონცენტრული რიგი“,[7] ხოლო **„ქუეყანაჲ“** „ამოკვეთილია ქვეყნის (დედამიწის) სიმბოლური გამოსახულების – ადამიანის სკულპტურული თავის, ორივე მხარეს – პირველი ასო მარცხნივ და ბოლო 2 ასო მარჯვნივ (აქედან უკანასკნელი, მესამე ასო ამჟამად გადასულია). სკულპტურული გამოსახულება ჩასმულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ჩრდილოეთ (მარჯვენა) ნიშის ზედა ნაწილში. მას ზემოდან დაუყვება 15 სხივანის კონცენტრული რიგი. წარწერას ქარაგმის ნიშნები არ ახლავს“.[8] იქვე მოცემულია გამოსახულებათა და წარწერათა ნახაზებიც.

ეს აღწერილობები საგანგებოდ მოვიხმეთ, რათა უკეთ წარმოჩენილიყო სიმბოლურ გამოსახულებათა შემოქმედისა და წარწერათა შემსრულებლის კონცეფცია; ვფიქრობ, რომ სიმბოლური გამოსახულებებისა და წარწერების საშუალებით ბიბლიური მსოფლშეგრძნება და სამყაროს აღქმის ერთ-ერთი ვარიაცია იკითხება. ცხადია, ადამისა და ევას გამოსახულებები შემთხვევით არ უნდა გაკეთებულიყო ცისა და ქვეყნის გამოსახულება-წარწერათა კონტექსტში. აქ შესაქმის თანდათანობითი პროცესი იკითხება. ბიბლიის პირველსავე წიგნში მოთხრობილია ღმერთის მიერ ცისა და ქვეყნის შექმნა უდროჟამო სამყაროში. ასევე უდროჟამო სამყაროში მეექვსე დღეს შექმნა ღმერთმა ჯერ ადამი და შემდეგ ევა, როგორც სამყაროს გვირგვინი. შესაქმის იერარქია დაცულია, ადამიანის შექმნა სამყაროს შექმნის ბოლო ეტაპია. ადამის ცხოვრებაში რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა, პირველია ევას გაჩენამდე სამოთხეში მისი მარტოდმყოფობის პერიოდი. მეორეა ევასთან ერთად სამოთხეში ცოდვით დაცემამდე ყოფნის პერიოდი, ხოლო მესამე არის სამოთხიდან განდევნის შემდგომი ცხოვრება. ტაძრის ნიშებში ადამისა და ევას გამოსახვა და მათი სახელების წარწერა სიმბოლურად გამოხატავს ადამისა და ევას განახლებულ ცხოვრებას ძე ღმერთის, მაცხოვრის სულიერი მისიის აღსრულებით, სამყაროს განმაახლებლად მოვლინებით, მის მიერ კაცობრიობის ცოდვათა გამოსყიდვით, „ახალი იგი კაცის“ შემოსვით (ეფეს. 4, 24). ამიტომ იძენს ადამისა და ევას გამოსახულება-წარწერის გვერდით ცისა და ქვეყნის გამოსახ-

[7] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 51.
[8] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 52.

ვაც და წარწერაც სიმბოლურ ფუნქციას, რადგან მაცხოვრის მოვლინებამ შექმნა *„ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაჲ და პირველი იგი ქუეყანაჲ წარ,ჴდეს“* (გამოცხ. 21, 1). ადამი, ღვთის ხატად ქმნილი, როგორც კაცობრიობის ფუძემდებელი, და ევა, როგორც სიცოცხლის წყარო, გამოსახულნი არიან კუმურდოს ტაძარზე; ადამი იყო *„პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან მიწისაჲ, ხოლო მეორე იგი კაცი უფალი ზეცით... და ვითარცა იგი შევიმოსეთ ხატი იგი მიწისაგანისაჲ, შევიმოსოთ ხატიცა იგი ზეცისაგანისაჲ“* (I კორ. 15, 47; 49). ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, ერთი მხრივ, ადამ, ევა, ცაჲ, ქუეყანაჲ ორი სამყაროს — ზესთასოფლისა და სოფლის ერთიანობის სიმბოლოებია, თვით ტაძარი ამ ორი სოფლის ერთიანობის სიმბოლოა, რაც ტაძარში მყოფ ლიტურგიული ცნობიერების ადამიანის სულს ზეცისაკენ მიმართავს; მეორე მხრივ, კუმურდოს ტაძრის ხუროთმოძღვარი საკოცარი არა მხოლოდ ხუროთმოძღვრულ ხელოვნებაში, არამედ, როგორც მოსალოდნელი იყო, ღვთისმეტყველებაშიც ღრმად განსწავლულ და სახისმეტყველებითად მოაზროვნე პიროვნებად წარმოგვიდგება.

3. წარწერათა ნაწილი ეხმიანება ძველი აღთქმის ტექსტს: ლაპიდარულ წარწერებში მოიხსენიებიან ბიბლიური პერსონაჟები, რომელთა ხსენება სახისმეტყველებითი ფუნქციითაა დატვირთული. ბურნაშეთის წარწერა ასახავს დანიელის ხსნის, გადარჩენის ეპიზოდს ლომის პირისაგან დანიელის წინასწარმეტყველებიდან (დან. თ. 6), რასაც წარწერაში ნახსენებ მაშენებელთა სულთა ხსნის გამო ღვთისადმი ვედრების მისია აკისრია: *„უფალო, ვითარცა იჴსენ დანიელ პირისაგან ლომთაჲსა, ეგრე იჴსნენ ამის წმიდისა ეკლესიისა მაშენებელნი ჴელთაგან ჯოჯოხეთისაგან“* (№ 23).

წარწერების ნაწილი კი ახალი აღთქმის სიმბოლურ მინიშნებებს, ალუზიებს მოიცავს. ბიეთის წარწერაში წმინდა ზიარების თემაა ასახული: *„მიიღეთ და ჭამეთ ესე არს ხორცი ჩემი თქოენთოის...“* (ბიეთის წარწერა); წარწერა ეფუძნება მაცხოვრის სისხლისა და ხორცის ზიარების სახარებისეულ მისტერიას; მათეს სახარება გვამცნობს: *„მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ; მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“* (მათე, 26, 26-28; შდრ.: ლუკა, 22, 15-20).

ფიის ტაძრის ტრაპეზის წარწერა X საუკუნისა იოანეს სახარების ტექსტს ეხმიანება და მაცხოვრის განთქმული სიტყვების ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენს: *„მე ვარ ნათელი ქრისტეს სოფლისა //რომელი შემომიდგეს მე, არა [ვიდოდის ბნელსა]“* (170). წარწერასთან დაკავშირებული წყარო, იოანეს სახარება, მითითებული აქვს ვალერი სილოგავას. იოანე სახარებაში წერია: *„მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ“* (იოანე, 8, 12); *„იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“* (იოანე, 1, 9); *„მე ნათელი სოფლად მოვივლინე, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს“* (იოანე, 12, 46). წარწერა შთაგონებულია ნათლის სიმბოლიკით, ნათლის ქრისტიანული გააზრებითა და ასპექტით.

4. წარწერებში ორსავე სოფელსა შინა სულიერი არსებობის მოტივს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. როგორც წარწერის დამკვეთი და შემსრულებელი, ასევე ის პირი, რომლის შესახებაც არის საუბარი წარწერაში, მოელის ცხოვნებას ორსავე სოფელსა შინა: „† *იესუ ქრისტე, დიდებულ-ჰყავ ორთავე შინა ცხორებათა მეორედ აღმშენებელი პატრონი ელისბალ, დედა მათი ქრისტინა, მეცხედრე მათი მარიხ, ძენი მათნი და ასულნი მათნი, ამენ“*;[9] *„ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე ცხორებათა მანდატურთუხუცესი შალვა, ძითა და ძმითა...“* (№ 27). *„აღეშენა ეკლესია ესე მათ ჟამთა შინა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა; ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხორებათა შინა...“* (№ 18). კარნეთის წარწერაში ქართლის კათალიკოსის იოვანე ოქროპირის დიდებას ორსავე ცხოვრებასა შინა ევედრება მაცხოვარს წარწერის შემსრულებელი: *„ქრისტე, ადიდე იოვანე-ოქროპირი, ქართლისა კათალიკოზი, ორთავე ცხორებათა, იყავნ ამენ“* (№ 80).

5. წარწერებში ჩვეულებრივია სულის შეწყალებისა და შენდობის მოტივის შემცველი შინაარსიც. იხტილას ტაძრის წარწერის შემსრულებელი გოგაისა და ჩქარაის წყალობასა და დღეგრძელობას სთხოვს მაცხოვარს: *„ქრისტე, შეიწყალე გოგაი და ჩქარაი და მოწყალე ექნენ და ადღეგრძელე“* (№ 78).

საინტერესოა კუმურდოს ტაძრის ერთ-ერთი წარწერა, რომელიც სულის შეწყალებას ითხოვს, აწ უკვე გარდაცვლილი ადამიანის სულისა, რომელიც საფლავად მისულია, ხოლო სული მისი გამზადებულია ღვთის სამსჯავროზე წარდგომისათვის: „† *ქრისტე, **შეიწყალე*** --- *დადებული, საფლავად მისული*

[9] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 87.

*და **სული გამზადებული***".[10] წარწერაში ესქატოლოგიური ხედვაც იკითხება.

საინტერესოა იჩქით გურგენისძის სამი წარწერა, რომელთაგან ორი ვანის ქვაბთა მონასტერშია, ერთი კი წუნდის ეკლესიის სამხრეთის კედელზეა შემონახული. ვანის ქვაბებში დაცული ერთი წარწერა მონასტრისათვის ხატების შეწირვის ფაქტს აღნიშნავს და მლოცველებს სთხოვს, რომ მისთვისაც ილოცონ, მისი სული მოიხსენიონ ლოცვებში: „† *იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იჩქითმან გურგენისძემან, აღვაშენე კედელი ესე და დავასუენენ ხატნი: მაცხოვრისაჲ, ღმრთისშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ, და ჯუარი წმიდისა სჳმონისი; ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიჴსენეთ*" (№ 40). მეორე წარწერაში იჩქით გურგენის ძე შენდობას ითხოვს: „† *ესე არს სამკჳდრებელი ჩუენ, გურგენათი. მე, იჩქითმან აღვაშენე; შემინდვნეს ღმერთმან*" (№ 39). იგი ფსალმუნთა სიტყვებითაა ნასაზრდოები და ეხმიანება დავით აღმაშენებლის საფლავის ქვაზე წარწერილ 131-ე ფსალმუნის მე-14 მუხლში გამოთქმულ მოსაზრებას: „*ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე*" (ფს. 131, 14). იჩქით გურგენის ძის მესამე წარწერა წუნდის ტაძრის მისი და მისი მშობლების სულის საოხად აშენებას გვაუწყებს: „† *სახელითა ღმრთისაჲთა. მე, იჩქითმან გურგენისძემან, აღვაშენე ეკლესიაჲ ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმინდისა ნათლისმცემლისასა, სალოცველად ჩემთჳს და მშობელთა ჩემთათჳს*" (№ 206). ასეთივეა 1064 წლის მირაშხნის წარწერა ალფ-არსლანის შემოსევის შესახებ. იგი ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობით გამორჩეულია, მასში წარწერის შემსრულებელი ცოდვილად იხსენიებს საკუთარ თავს და გვიამბობს ჯავახეთის აწყვეტის შესახებ. იგი უფალს შესთხოვს, რომ გოჰარის, ყველა მირაშხნელსა და თვით წარწერის შემსრულებელს, გიორგა ბერს შეუნდოს. წარწერაში ცოდვათა აღნიშვნისას პოლიტიკური საზრისი იკითხება. დავიმოწმებ მხოლოდ ბოლო მონაკვეთს: „*უფალო, შეუნდვენ გოჰარის ცოდვანი, ამენ; და მირაშხნელთა ყოველთა შეუნდვენ, უფალო, ამენ; მეცა, ფრიად ცოდვილი მომიჴსენეთ, გიორგა ბერი*" (№ 125). ბავრის XV-XVI საუკუნეების წარწერაში, რომელიც მგელაის საფლავის ქვაზეა შესრულებული, აგრეთვე, შენდობაზეა საუბარი, ვინც შენდობას იტყვის, მასაც შეუნდოს ღმერთმა: „*ქ. ესე საფლავი მგელაისი არს, შეუნდვენ ღმერთმან; და ვინცა შეუნდვენ თქუას, მასცა შეუნდვენ ღმერთმან!*" (№17).

[10] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 84.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ წარწერებში არეკლილია ესქატოლოგიური მოტივი. განკითხვის დღისა და ღვთისაგან შეწყალების მოლოდინი გამოსჭვივის კუმურდოს ტაძრის წარწერათა უმრავლესობიდან, რაც ხუროთმოძღვართა, ხელოვანთა, ხელოსანთა ქრისტიანულ მრწამსს გამოხატავს. სამსარის X საუკუნის წარწერა მცხეთის ეკლესიის დაწვის შესახებ დავით კურაპალატს დიდი გასაჭირისაგან მხსნელად მიიჩნევს და ღმერთს შესთხოვს, რომ განკითხვის დღეს, ღვთის წინაშე წარდგომისას წინ დაუხვედროს მისი ღვაწლი: *„ქ. აშენდა წმიდაი ესე ვანი ღმრთისმშობლის სამკვიდრე, ოდეს ქართველთა მეფემან, კურაპალატმან დავით და ერმან ყოველმან ესე ვანი და კრებული შეგუიბრალა, მაშინ დიდისა ჭირისაგან გუიხსნა, და უფალო მოიხსენენ ივიცა დღესა მას განკითხვისასა. კულა დავწერე, ოდეს საჯთა მცხეთისა ეკლესიაი დაწუეს და წმიდისა ნინოს ხელი ტყუედცა წარიტანეს“* (№ 148). მაგალითები კუმურდოს ტაძრის წარწერებიდან: „† *წმიდაო ეკლესიაო, შენნი მუშაკნი და ყოველნი მაშჩნებელნი შენნი, **დღესა მას საშჯელისასა** დაიფარენ და შეიწყალე გლახაკი გიორგი ლოცვასა მომიკჴსენეთ“*;[11] „† *ქრისტე, შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი, ამისი ამშენებელი, **დღესა მას**“*.[12] ფოკის წარწერა მაცხოვარს, იესო ქრისტეს იხსენიებს როგორც „სიტყვას ღმრთისას“, რომელსაც ქართლის კათოლიკოსის იოანე ოქროპირის დიდებას ავედრებს ორთავე ცხორებასა შინა: *„ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, ადიდე იოვანე-ოქროპირი, ქართლისა კათალიკოზი, ორთავე შინა ცხორებათა, ამენ“* (№179).

საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავს თმოგვში წმ. მარინეს ეკლესიაში შემონახული 1304 წლის წარწერა, რომელშიც წარწერის შემსრულებელმა სამინამმა საკუთარი თავი მოიხსენია, როგორც „მიუცთომლად შეცოდებული დაბადებული“, ე. ი. ცოდვილი; ქრისტეს ხატ-სახე წარმოაჩინა, როგორც „ღმრთისაგან დაბადებულთაგან მიუცთომელი“; იგი ღმერთს მიმართავს, ვითარცა „ძალასა შემოქმედსა“; აქ ერთმანეთს უპირისპირდებიან მაცხოვარი და წარწერის შემსრულებელი, რაც საღვთისმეტყველო საზრისით დატვირთული ანტინომიური გამოთქმებითაა გამოხატული: **მაცხოვარი – „ღმრთისაგან დაბადებულთაგან მიუცთომელი“**, ხოლო **სამინამი – „მიუცთომლად შეცოდებული დაბადებული“**, რაც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრებული თავმდაბლობის მოტივის გამოხატულებაა. წარწერის შემსრულებელსვე აუშენებია ეს ეკლესია ღვთისაგან ხელდადებული წმ. მარინას მადლით

[11] ე. სილოგავა. კუმურდო, გვ. 83.
[12] ე. სილოგავა. კუმურდო, გვ. 83.

წმინდანის სახელზე. ღმერთს შესთხოვს, რომ ღვთის მონას სამინამს მეოხი ეყოს ორსავე ცხოვრებასა შინა: *„სახელითა ღმრთისაითა, ... ღმრთისაგან დაბადებულთაგან მიუცთომელო, შენსა მიუცთომლობასა და ძალასა შემოქმედსა, [ქრის]ტე მიუცთომლად შეცოდებული დაბადებული შენი სამინამ რომლისათუის არა ვინ არს ხელისამპყრობელი თუინიერ შენ ღვთაებისგან კიდე, წმიდაო მარინა, მადლისა მის საღმრთოისა რომლისათუისა სისხლნი დასთხიენ. სახელსა შენსა ზედა აღმიშენებია ესე მცირე ეკლესიაი მონასა შენსა სამინამს მეოხ მეყავ ორსავე შინა ცხორებასა. აღეშენა ესე ეკლესიაი ქორონიკონსა ფკგ ჰელმწიფობასა [ყაზა]ნისა და მეფობასა დავითისსა, ამენ“*(№ 70).

7. წარწერებში ხშირია წყევლისა და კრულობითი ტექსტები, რომელთა საჭიროება იმით აიხსნება, რომ საღვთისმეტყველო კანონი და წარწერის დამკვეთის, შემსრულებლის ან ტაძართან//წარწერასთან დაკავშირებულ პირთა სურვილი არ დაირღვეს. ამ თემის ტრადიციას ასახავენ ძველი საისტორიო საბუთები და ხელნაწერები, რასაც ქართული მასალის საფუძველზე კვალიფიკაცია მისცა ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფიაში „ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“.[13] მასში გამოყოფილია სიგლის ნაწილები, რომელშიც კრულობით მოწმობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კრულობა წყევლა-კრულვას გულისხმობდა და იმის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვინც სიგელით გათვალისწინებულ პირობას დაარღვევდა. სწორედ ამგვარი წყევლა და კრულობა გვხვდება ეპიგრაფიკულ წარწერებშიც, რაც იმას მოწმობს, რომ ერთნაირი ფორმები იყო შემუშავებული ხელნაწერი წიგნების გადამწერთა, ისტორიული საბუთებისა და ეპიგრაფიკული წარწერების შემსრულებელთა მიერ. სათხის წარწერაში მითითებულია, რომ გიორგი შაზელისძისა და მისი ძეების სახელზე დაწესდეს აღაპი და ვინც შემდგომში იქნება მწირველი, წირვა არავინ დააკლოს. ვინც არ აღასრულოს, მასზე კანონმა იმოქმედოს: *„† გიორგი შაზელისძესა და ძეთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან. დაიდვეს ორი დღე აღაპი, რომე არცა ზედაშე და სეფისკუერი გამოვიდეს, ბარბარობაჲ და მეორედ მოსლვაჲ, ამა საყდარსა შიგან მყოფმა ვერავინ დააკლოს წირვაი, ჩუენმა მომავალმან; და ვინცა დააკლოს, კანონსამცა ქუეშე არს; ამენ“* (№ 146).

ეფრემ ეპისკოპოსმა გაბრიელ კუმურდოელის სახელზე დააწესა აღაპი ყველიერის პარასკევს, ხოლო აღაპის შემცვლელს წყევლა-კრულვას უთვ-

[13] ი. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. თხზულებანი. ტ. IX. თბ. 1996.

ლიან წარწერის დამკვეთიცა და შემსრულებელიც.

წყევლისა და შეჩვენების შემცველი სიტყვები წარწერის შემსრულებლის ან მისი დამკვეთის სურვილის შეცვლის მსურველთა წინააღმდეგ არის მიმართული: „† *სახელითა ღმრთისაცთა, მე, იოვანე ეპისკოპოსმან დაუდევ დღე ახუსება აღაპად ვაჩე ერისთავსა; ვინ შეცვალოს – კრულია ამით ხატითა ჩემითა ჯუარითა*";[14] „† *დიდსა შაფათს – აღაპი მირდატისი; ქრისტეშობისი წინადღე – გოლიათისა; ვინ შეცვალოს, კრულია ღმრთისა პირითა*".[15] კუმურდოს ტაძარში, რომელიც ღვთაების სახელობისაა, მთავარ სალოცველ ხატად მიჩნეული იყო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ტიპი, ღვთაების ხატი, რომელსაც, საზოგადო წესისამებრ, სხვა ხატების მსგავსად, საგანგებოდ სწირავდნენ ძვირფასეულობას. კუმურდოს ერთ-ერთი წარწერა 1027-1072 წლისა სწორედ ამგვარ შეწირულებას გვამცნობს და იგი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ზოსიმე კუმურდოელის ეს წარწერა კრულვის სიტყვებით მთავრდება; წარწერა დავითის ხელითაა შესრულებული: „*სახელითა ღმრთისაცთა. მე ზოსიმე კუმურდოელმან შევმოსე საკურთხეველი, ბარძიმ-ფეშხუემი, ჯუარი და შევამკვე ხატი ღმრთაებისა ჴელითა დავითისაცთა. დაუდევ სალოცველად ბზვობისა ე, კჯრიელესონითა; დეკანოზი შეუსუენებდეს წმიდასა სამებასა შესუენებითა. კრულია ამით ხატითა ვინ შეუცვალოს*".[16] საინტერესოა კუმურდოს ტაძრის XI საუკუნის წარწერა, ამბა პავლე მანგლელის სააღაპე წარწერა, რომლის მიხედვით წარწერის შემსრულებელი ამბა პავლესთვის ჟამისწირვისა და ლოცვის შეწევნას ითხოვს, ხოლო ვინც აღაპი არ გადაიხადოს, ღვთის წინაშე აგებს პასუხს: „*იანვრისასა ამბა პავლესი აღაპი, მანგლელისი; ღმერთმან მის დღისა ჟამისწირვაი და ლოცვაი შეაწიენ. ვინ არა გარდაიჴადოს, ღმერთმან მისგან იძიენ; ამენ*".[17]

განძის წმ. იოანეს ეკლესიაში დამოწმებულია წარწერა, რომელიც უჩვეულოა წარწერათმცოდნეობაში, თუმცა, შესაძლოა იგი სიგელებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების კრულობით ხასიათს ეხმიანებოდეს და ამ რიგის წარწერა-საბუთებში იყოს განსახილველი: „*უფალო არ შეიწყალე*".[18] იგი

[14] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 84.
[15] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 85.
[16] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 64.
[17] ვ. სილოგავა. კუმურდო, გვ. 71.
[18] ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. რედაქტორი დ. თუმანიშვილი. ტექსტის ავტორები: ისტორია, ისტორიული გეოგრაფია: დ. ბერძენიშვილი. ნივთიერი კულტურის ძეგლები: ირ. ელიზბარაშვილი, ნ. ვახეიშვილი, ც. ნაჩხუნაშვილი. თბ. 2000, გვ. 21.

პირველად გამოქვეყნდა წიგნში „ჯავახეთი“ (2000, გვ. 21).

8. ცალკე აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი წარწერა უთითებს, თუ ვის სახელზეა აგებული ესა თუ ის ტაძარი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგჯერ არაა შემონახული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის სახელზე იყო აგებული ტაძარი, ხოლო წარწერა ინახავს ამგვარ ცნობას. მაგალითებად დავიმოწმებ სამსარის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წარწერასა და წმ. მარინას სახელობის ტაძრის წარწერას თმოგვში, რომელიც სამინამის სახელითაა ცნობილი.

ამრიგად, ლაპიდარული წარწერები მრავალმხრივი ღირებულების ცნობებს გვაწვდიან. ისინი, ისტორიული, თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც იქცევენ ყურადღებას. ლაპიდარულ, ფრესკულ, ჭედურ, ნაკაწრ და ნაქარგობებზე შესრულებულ წარწერებს ლიტერატურათმცოდნეობითი და სახისმეტყველებითი ღირებულება აქვთ. კერძოდ, ისინი, არცთუ იშვიათად, სარგებლობენ ბიბლიური წიგნებით და, შესაბამისად, ბიბლიურ მოტივებს, ალუზიებს, ხატ-სახეებს ასახავენ, საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავენ, წარწერათა დამკვეთების, შემსრულებლების, ხუროთმოძღვართა აზროვნების დონესა და მსოფლმხედველობას წარმოაჩენენ, გვამცნობენ იმასაც, თუ ვისი სახელობისაა ტაძარი. წარწერებში გამოიკვეთა ის თემატიკა და მოტივები, რომლებსაც ამა თუ იმ წარწერის შესრულებისას ეყრდნობოდნენ. აგრეთვე, ეს წარწერები ენის განვითარების ისტორიასაც ასახავენ და აჩვენებენ, რომ თითოეული მათგანი წარწერის შექმნის ეპოქაში არსებული სალიტერატურო-მწიგნობრული ენობრივი ნორმების შესაბამისად იქმნებოდა.

Nestan Sulava

IMAGERY THINKING OF GEORGIAN INSCRIPTIONS (ON THE EXAMPLE OF JAVAKHETI EPIGRAPHY)

Summary

Georgian lapidary inscriptions give us a lot of valuable data. They attract our attention not only from the historical meaning, but also – their artistic-esthetical point of view. Lapidary inscriptions, fresco inscriptions, scratched inscriptions, inscriptions on chasing and inscriptions made on embroidery have got values for literature studies and imagery thinking. Namely, they often use biblical books and accordingly, reflect biblical motives, allusions, images and express theological opinion. They also show the ideology and the level of thinking of architects and of those who ordered inscriptions and of those who did them. They give us name of patron saint of a church. Inscriptions contain topics and motives they relied on. Biblical and theological inscriptions are of several types: inscriptions show the names to whom the people ask a help to save their souls, the God or any saint; the inscriptions are about the perception of the universe in a Christian way; they reflect biblical-evangelistical episodes and allusion; mention biblical characters; spiritual life of the residents of the world, motives of forgiveness; eschatological topic and the expectation of the Doomsday, the topic of curse and damnation; some inscriptions indicate whom a church is dedicated to. The article discusses four one-word long inscriptions of Kumurdo church: "Adam", "Eva", "tsai" (the sky), "kuekanai" (a country). These words represent the process of creation of the universe and perception of the universe by a man. "Adam", " Eva", "tsai", "kuekanai" – these words are the symbols of unity of two lives. A church itself is a symbol of unity of these two lives which leads a man's soul to the heaven. At the same time, the architect of Kumurdo church is an extraordinary person not only by his work but in theology too. He seems to be a well educated and great thinker. It is very important to mention that in many cases if not epigraphy we should never knew the patron saint of a church (ex. the inscriptions of Samsari church of St. Virgin and St. Marina's church in Tmogvi).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

მზია სურგულაძე

მეფე, კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი

შუა საუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა ქართველი ხალხის ეთნოკულტურული ერთობის უფრო მაღალ, პოლიტიკური ერთობის საფეხურზე გადასვლას მოასწავებდა. ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, რამდენად მოახერხებდა იმდროინდელი პოლიტიკური და სასულიერო ელიტა ქრისტიანული კულტურის შეუქცევად განვითარებას და ფეოდალური წოდების კონსოლიდაციას.

XI საუკუნე საქართველოს ისტორიაში მართლაც გამორჩეულია კულტურული წინსვლით. ამ საუკუნეში ქართველი ბერმონაზვნობის რამდენიმე თაობამ უზარმაზარი ინტელექტუალური შრომის ფასად მოახერხა ბიზანტიური მწერლობის ახალი ტენდენციების ათვისება და მისი საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე გადმოღება. იმდროინდელ ქართველ ბერთა მთარგმნელობით-სამეცნიერო საქმიანობა განსაცვიფრებელია თავისი მასშტაბურობითა და ინტენსივობით. მათი ლიტერატურული ინტერესები განსაზღვრული იყო ამოცანით – „ნათესავით ქართველი“ ზიარებოდა „ბერძნულ სწავლულობას“. ბერძნების ქედმაღლურმა დამოკიდებულებამ მხოლოდ გაამძაფრა უცხოეთის სამონასტრო კერებში მოღვაწე ქართველთა ეს მიზანსწრაფვა, რისი გამოხატულებაც იყო ბიზანტიური ელინოფილური სააზროვნო პროცესისადმი ინტერესის გაღვიძება;[1] „ჩვილი“ თარგმანებიდან თანდათანობით ზედმიწევნით, ეგზეკეტიკური თუ მეცნიერული კომენტარებით აღჭურვილ თარგმანებზე გადასვლა[2] და ქართული სამწერლობო ენის თვისობრივი განახლება;[3] ისტორიული

[1] ქ. ბესარაშვილი. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით. თბ. 2004, გვ. 110-123.

[2] თ. ოთხმეზური. კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში. თბ. 2011, გვ. 7-9.

[3] ნ. დობორჯგინიძე. ენა, იდენტობა და საისტორიო კონცეპტები. თბ. 2010, გვ. 106-109.

არგუმენტების მოძიება ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის დასამტკიცებლად;[4] ეროვნული ისტორიის უნივერსალურ ისტორიასთან კავშირში გააზრება და საერთო კავკასიური კონცეპციის შემუშავება;[5] სომხურ მონოფიზიტობასთან პოლემიკის განახლება[6] და სხვ. ამგვარი ინტელექტუალური საქმიანობა, რომელიც უპირატესად უცხოურ სამწერლობო ცენტრებში მიმდინარეობდა, სწრაფადვე პოულობდა გამოძახილს საქართველოში და აყალიბებდა ქართული სასულიერო ელიტის კულტურულ პროფილს, აღრმავებდა ლოგიკურ აზროვნებას და მოვლენათა კრიტიკული შეფასების უნარს. ასეთი სააზროვნო მიმართულებები ასაზრდოებდა იმდროინდელ ქართულ ეთნიკურ თვითშეგნებას. ცხადია, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ამგვარი თვითშეგნება მთელ ფეოდალურ წოდებას მსჭვალავდა და ზეგავლენას ახდენდა მის პოლიტიკურ ქცევაზე. პატრონყმობის წესზე დასტრუქტურებული ფეოდალური წოდების ტრადიციულ ღირებულებებში სახელმწიფოებრივი იდეალების ადგილი ჯერ კიდევ ნაადრევი იყო.

ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ საუკუნის კულტურული წინსვლა სრულებით ვერ უზრუნველყოფდა ახლადშექმნილი მონარქიის პოლიტიკურ მდგრადობას. ბაგრატიონ მეფეთადმი ლოიალურად განწყობილი ძალები ვერც იდეოლოგიურად და ვერც პოლიტიკურად ვერ უმკლავდებოდნენ იმ ფეოდალურ დაჯგუფებებს, რომლებიც საკუთარ დამოუკიდებლობას ვერ ელეოდნენ და ერთიანი ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ბიზანტიის გამოცდილი და მოქნილი პოლიტიკა ყოველ ადგილობრივ კონფლიქტს თავის სასარგებლოდ იყენებდა და საქართველოს სომხეთის ბედს უმზადებდა. ბიზანტია მოხერხებულად უთხრიდა ძირს საქართველოს ეკლესიის მთლიანობასაც – იქნებოდა ეს მღვდელმთავრების გადაბირება მათთვის მაღალი ტიტულების ბოძებით თუ ქართლის კათალიკოსის რეალური იურისდიქციის ფარგლების შეზღუდვა.

---

[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. ტ. II. თბ. 1967, გვ. 149-155; ეფრემ მცირე. უწყებაჲ მისესსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ. თბ. 1959.

[5] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 3-11.

[6] არსენ საფარელი. განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბ. 1980; „დოგმატიკონი“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). ხელნაწერი Sd-1463.

ფეოდალური ერთგულების წესზე ორგანიზებული ეკლესია ბაგრატ IV-ის დროინდელ ცნობილ დესტრუქციულ მოვლენებში სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად თანაბრად აღმოჩნდა ჩათრეული. ამას ემატებოდა სამღვდელო პირთა არასაკმარისი განსწავლულობა, საეკლესიო კანონების უხეშად დარღვევა, სიმონია, ვერცხლისმოყვარეობა, განუკითხაობა და სხვ. ყოველივე ამის მოწმე გახდა საქართველოში მყოფი გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც, თავისი მაღალი ავტორიტეტის წყალობით, საჯაროდ გაკიცხა საზოგადოების მანკიერებანი და, უპირველეს ყოვლისა, ბრალი დასდო მეფეს და სამღვდელოებას. ამით მან გამოხატა ეპოქის აზრი – უმთავრეს გარანტებს ქვეყნად მშვიდობისა და ხელისუფლების სიმტკიცისათვის წარმოადგენდნენ ეკლესიის მიერ მირონცხებული მეფე და ეკლესია, რომელთა ჰარმონიულ თანამშრომლობას უნდა დაფუძნებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრება.[7] მოგვიანებით დავითის ისტორიკოსი ეკლესიაში გაბატონებულ მდგომარეობას „დიდთა წყლულებათ“ უწოდებს.[8] ხსენებული ავტორები ამ „წყლულებათა“ გამო მიიჩნევენ ეკლესიას დამცრობილად და ვეღარ ხედავენ მის შუამავალ როლს ჯერ მეფესა და ღმერთს, შემდეგ მეფესა და ხალხს შორის.

მეფე და ეკლესია – ორივე დიდ პრობლემად მიაჩნიათ XI საუკუნის ქართველ მოღვაწეებს. ტყუილად არ აღნიშნავს „მატიანე ქართლისაჲს“ უცნობი ავტორი ბაგრატ IV-ის მეფობის შეფასებისას: „ხოლო ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა: ეკლესიანი და გლეხნი, *აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს“.*[9] შეუძლებელია ისტორიკოსის ამ სიტყვების უკან არ დავინახოთ ქრისტიანი მონარქის ცოცხალი იდეალი, რომლისაგან დაშორება იმდროინდელი საზოგადოების უარყოფით შეფასებას იმსახურებდა. საინტერესოა, რომ მეფის ღვაწლის შეჯამებისას „გლახაკთა მოწყალის და გამკითხავის“ მოტივებს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი სტერეოტიპული ფრაზის მნიშვნელობით არ იყენებს. მაგალითად, ასეთად აფასებს იგი ბაგრატ III-ს, მაგრამ მსგავსს არაფერს ამბობს გიორგი I-ზე.[10] სხვა საშუალება მეფის „კრიტიკული“ დახასიათებისათვის იმდროინდელ ქართველ ავტორს თავის ენობრივ არსენალში არ გააჩნდა. „გლახაკთა მოწყალე“ მეფის იდეალი რომ იმდროინდელი საზოგადოების რეალურ განცდას შეესატყვისებოდა, საუ-

[7] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 162.
[8] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 327.
[9] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 315.
[10] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 282, 291.

კეთესოდ ჩანს გიორგი III-ის მადიდებელ წარწერაში, რომელიც ლიხნის ეკლესიის კედელზეა შესრულებული:

„ქ. მეუფეო, ძეო მეუფისაო, ღ(მერ)თო, ძეო ღ(მრ)თისაო,ადიდე, დაიცევ, გაზარდე, აკურთხე და დღ გრძელ-ყავ. და მრავალ-ყვინ წელნი მეფობისა მისისანი, დღენი ცისანი. გინა მქუ[ეყანი]სა, ვ(ი)სნი [...] კეთილად მსახურისა და მადიდებ(ელ)ისა ღ(მრ)თაებისა შენისა გიორგი კ(უ)რ(ა)პ(ა)ლ(ა)ტისანი. და ყავ *განგებაი მისი, მოწყალებაი გლახაკთაი, მოღუაწებაი ეკლესიათაი*...“.[11]

შეუძლებელია, ბაგრატ IV, ან, მით უფრო, გიორგი მთაწმინდელის აღზრდილი გიორგი II, არ ცდილიყვნენ მიეღწიათ სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობის ჰარმონიზაციისათვის, რასაც უნდა დაყრდნობდა სამეფო ხელისუფლება განუკითხაობისა და ანარქიის წინააღმდეგ. ამ მიზანს ისახავდა კიდეც ბაგრატ IV-ის მიერ გიორგი მთაწმინდელის საქართველოში მოწვევა, მაგრამ მეფეთა ხელში არსებული მექანიზმებით ეს შეუძლებელი იყო. პირიქით, თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა, რომელთაც მოსახლეობის აყრა-გადასახლება და, ბუნებრივია, სამონასტრო სკოლების მოშლაც მოჰყვებოდა, ეკლესიის მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა.

სამეფო ხელისუფლების მხრიდან საეკლესიო საქმეების მოგვარება, როგორც ჩანს, იმდენად ძნელი საქმე იყო, რომ დავით აღმაშენებლმა ამას თავისი მეფობის მეორე ნახევარში მოჰკიდა ხელი. რამდენადაც საეკლესიო ცხოვრების ნაკლოვანებები გადაჯაჭვული იყო საერო ხელისუფალთა მანკიერ პრაქტიკასთან, მათი გამოსწორება მხოლოდ მმართველობის ერთიანი სისტემის ფარგლებში შეიძლებოდა. ამ სისტემის უმთავრეს ელემენტად იქცა ცენტრალური მმართველობის ახალი სტრუქტურა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მოთავეობით.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო საკარისკაცო და საეკლესიო თანამდებობათა შეერთებით შეიქმნა. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია ნ. ბერძენიშვილის შეხედულება, რომლის თანახმად, მწიგნობართუხუცესობა, სანამ იგი ჭყონდიდლობას შეუერთდებოდა, ყოველთვის სასულიერო პირს ეკავა, რის გამოც ეს თანამდებობა მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული იმთავითვე არ იყო. ამრიგად, ნ. ბერძენიშვილი მწიგნობართუხუცესთა ერთგულებას სამეფო ხელისუფლებისადმი თვით ამ თანამდებობის სო-

[11] ე. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბ. 2004, გვ. 204.

ციალური ბუნებით ხასიათ.[12] ამ დასკვნამდე მეცნიერი მივიდა XI საუკუნიდან ჩვენთვის ცნობილი სამად სამი მწიგნობართუხუცესის შესახებ არსებული მწირი ცნობების გაანალიზების საფუძველზე. ესენია: ბაგრატ IV-ის მწიგნობართუხუცესები – ღრტილას კრების მონაწილე ეფთვიმი გრძელი და პეტრე პეტრიკ-ყოფილი; ასევე დავით აღმაშენებლის აღმზრდელი გიორგი მწიგნობართუხუცესი.[13] ნ. ბერძენიშვილი, როგორც ჩანს, არ იცნობდა ლიხნის წარწერას, რომელშიც ზემოხსენებული პეტრიკ პატრიკი მწიგნობართუხუცესად იხსენიება:

ქ. წმიდაო ღმრთისმშობელო, უხრწნელო ქალწულო მარიამ, შემეწიე, შემიწყალე, დამიცევ. დამიფარე და მიჴსენ ყოველთა წინამიმდებარეთა ჭირთა და მომავალთა განსაცდელთაგან; ჩემგან შორს ყვინ! და მეოხ მეყავ წინაშე ძისა შენისა, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა ქრისტესსა, უღირსსა, მიწასა, ჭიასა, ავლსა და მტუერსა, მონასა, მადიდებელსა და მოსავსა შენსა ვაჩეს პროტოსპათარსა და იპატოსსა, დისწულსა ჭყონდიდლისსა, მე, და *პეტრიკ პატრიკსა და მწიგნობართაუხუცესსა.*[14]

ეს ის პეტრიკ პატრიკია, რომელიც თავის ძმასთან, იოანესთან ერთად, თან ახლდა ბაგრატ IV-ს კონსტანტინოპოლში.[15] იგივე პირი, უკვე შემონაზვნებული პეტრე პეტრიკ-ყოფილის სახელით, 1065 წელს მეორედ ჩადის

[12] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. III. თბ. 1966, გვ. 32.
[13] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. III, გვ. 6-11.
[14] ლიხნის წარწერის დათარიღებისას ე. მეტრეველი ამოსავლად მიიჩნევს პეტრეს ერისკაცობის სახელს და წარწერას ათარიღებს 1054-1056 წლებით, რის შემდეგაც, აეტორის მტკიცებით, პეტრე პატრიკი შემონასენებულა (იხ. ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან. 1996, გვ. 224). ვ. სილოგავა წარწერის შესრულების ზედა ზღვარს აფართოებს 1072/1073 წლამდე, რადგან არ ეთანხმება ათონის № 32 აღაპში მოხსენიებულ პეტრე პატრიკის გაიგივებას პეტრე ხუცესთან (იხ. ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, გვ. 210). სინამდვილეში ათონის №32 აღაპს ლიხნის წარწერის დათარიღებისათან უშუალო კავშირი არა აქვს. აქ მთავარია პეტრეს ერისკაცობის სახელით მოხსენიება. დანამდვილებით ვიცით, რომ უკვე შემონაზვნებული პეტრიკი 1065 წელს მართა უფლისწულს ახლავს კონსტანტინოპოლში. ამრიგად, ლიხნის წარწერა უნდა შესრულებულიყო ბაგრატის და მისი თანმხლები პირების საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაახლ. 1054/1055 წლიდან 1065 წლამდე, როცა მართა უფლისწული ხელმეორედ გააგზავნეს კონსტანტინოპოლში.
[15] ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 208.

კონსტანტინოპოლში მართა უფლისწულის ამალის წევრად.[16] ეს იმას ნიშნავს, რომ ლიხნის წარწერა პეტრიკისათვის პატრიკის ტიტულის მიღების შემდეგ და მის შემონაზვნებამდე არის შესრულებული.[17] ეს დეტალი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ადასტურებს ფაქტს, რომ პეტრეს მწიგნობართუხუცესობა ერისკაცობაშივე ჰქონდა ბაგრატის კარზე. ამრიგად, მწიგნობართუხუცესის სოციალური ნიშნის თაობაზე უფრო სარწმუნო ჩანს ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდი ამ თანამდებობის პირთა მეფის „ხელშინაურთა", ანუ უერთგულეს ვასალთა წრიდან გამოსვლის შესახებ,[18] განურჩევლად მათი წოდებისა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ წყაროებში სხვა მონაცემებიც ლაპარაკობს. მაგ., „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ გიორგის უფროსი ბიძა, სახელად ასევე გიორგი, იყო დავით კურაპალატის „მწერალთა ზედა მთავარი".[19] „მწერალთა ზედა მთავარი" სემანტიკურად იგივეა, რაც მწიგნობართუხუცესი, მხოლოდ ეს გამოთქმა განსხვავებულ ტერმინოლოგიურ ტრადიციაზე მიანიშნებს. „მწერალი" და „მწიგნობარი" რომ სინონიმურად გამოიყენებოდა, ჩანს ბაგრატ IV-ის 1057/1058 წლის სიგელში მღვიმისადმი, სადაც ნათქვამია: „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ... ჴელითა იოვანე *მწიგნობრისა მწერელისაითა*".[20]

---

[16] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 177.

[17] პეტრე პეტრიკ-ყოფილს, რომელიც სხვადასხვა დროს პატრიკის და ეესტის ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდა, სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ე. მეტრეველმა. მასში გასწორებულია ამ პირის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული შეცდომები, გამორკვეულია მისი როლი ბაგრატ IV-ის სტუმრობის დროს ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, მისი ღვაწლი გიორგი მთაწმინდელის კანონიზაციის საქმეში და მის ნაშრომთა გადაწერა-გამრავლებაში (ამ საკითხების შესახებ იხ: ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 196-225). ავტორი ცდება, როდესაც წყაროს ცნობას პეტრეს მწიგნობართუხუცესობის შესახებ მისი ბიბლიოფილობით ხსნის. სინამდვილეში აქ ლაპარაკია სამეფო კარის თანამდებობაზე. ათონის №32 ადაპში მოხსენიებული პეტრე ხუცესი კი, რომელსაც 1085 წლის ახლოს გიორგი მთაწმინდელის თარგმნილი თვენი გადაუწერია და იერთა მონასტრისათვის შეუწირავს, მართლაც შეიძლება იყოს პეტრე პეტრიკ-ყოფილი, როგორც ამას ე. მეტრეველი ვარაუდობს (იხ. ე. მეტრეველი. ქართველთა მონასტრის საადაპე წიგნი. თბ. 1998, გვ. 210).

[18] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად. ტ. III, თბ. 1982, გვ. 278-282.

[19] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 115.

[20] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 37.

მწიგნობართუხუცესი თუ „მწერალთა ზედა მთავარი", რომელიც ყოველდღიური საქმიანობით დაკავშირებული იქნებოდა მეფესთან, ებარა სამეფო არქივი და, ალბათ, ბეჭედიც, თავისთავად ცხადია, კომპეტენტური და მეფის სანდო პირი უნდა ყოფილიყო. მწიგნობართუხუცესები რომ მართლაც მეფის „თვისთა" და „საკუთართგან" იყვნენ შერჩეულნი, კარგად ჩანს ასევე გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფიიდან: გიორგი მწერლის უმცროსი ძმა იაკობი, გიორგი მთაწმინდელის მამა, ყოფილა *„ერთგულთაგანი და საკუთართა* ღმრთის-მსახურისა მეფისა გიორგისთაჲ (იგულისხმება გიორგი I) და საქმისა რომლისათჳსმე საერთგულოჲსა მოციქულად წარივლინა მეფისა მიერ სპარსეთს".[21] თუ კი იაკობი გიორგი I-ის სამეფო ოჯახის *„საკუთართაგანი"* იყო, ცხადია, ასეთივე *„საკუთართაგანი"* იქნებოდა მისი უფროსი ძმა გიორგი მწერალიც. ეს გარემოება არ იქნებოდა უმნიშვნელო ბაგრატ IV-ისათვისაც, როდესაც იგი კონსტანტინოპოლში გაცნობილ გიორგი მთაწმინდელს, როგორც სამეფო ოჯახის *„საკუთართა"* წრიდან გამოსულ პირს, სთხოვდა დაეკავებინა მეფისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ჭყონდიდის კათედრა.

ასევე ბაგრატ IV-ის „შინაურნი" და „საკუთარნი" უნდა ყოფილიყვნენ კონსტანტინოპოლში თანმხლები მწიგნობართუხუცესი პეტრიკი და მისი ძმა იოანე. ამასვე მიანიშნებს ბაგრატის მიერ იოანესთვის ჭყონდიდის კათედრის ჩაბარება.

ამრიგად, მთავარი ნიშანი, რითაც მწიგნობართუხუცესები გამოირჩეოდნენ ფეოდალური წრის სხვა წარმომადგენლებისაგან, იყო მეფესთან სიახლოვე, მისდამი *პირადი ერთგულება* და იურიდიული განსწავლულობა. რასაკვირველია, ასეთთა შორის სასულიერო პირები უფრო ხშირად იქნებოდნენ, მაგრამ სავალდებულო წესად ეს, როგორც ჩანს, ამ თანამდებობის ჭყონდიდელობასთან შერწყმის შემდეგ იქცა.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა არსებითად ახალი მოვლენა იყო ქართული სახელმწიფოს სინამდვილეში და მისი არსებობა დაემთხვა ქართული სახელმწიფოებრიობის უნაყოფიერეს პერიოდს.[22] რასაკვირველია, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ფუნქციებით ბევრად აღემატებოდა ძველ მწიგნობართუხუცესს, მაგრამ უეჭველია, იგი ძველებურად მეფის უახლოესი ვასალური წრიდან და, მათ შორის, „სა-

[21] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 110.
[22] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. III, გვ. 5.

კუთართაგან“ რჩებოდა შერჩეული.[23] ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ამსგავსებენ შუა საუკუნეების ევროპული ქვეყნების კანცლერს,[24] მაგრამ ეს მსგავსება ვერ ხსნის ამ თანამდებობის სფეციფიკას, შეფარდებულს ქართულ სინამდვილესთან. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია გარკვეულია ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ადგილი სამოხელეო იერარქიაში და მისი ფუნქციები,[25] მაგრამ მაინც ბუნდოვანი რჩება მისი დამოკიდებულება ეკლესიასთან და კათალიკოსის ინსტიტუტთან. ევროპის კანცლერები ეკლესიურად ანგარიშვალდებულები იყვნენ რომის პაპების წინაშე, რის გამოც ზოგჯერ სამეფო ხელისუფლებასთან შედიოდნენ კონფლიქტში. საქართველოში კი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი თვით განასახიერებდა სამეფო ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას და ანგარიშვალდებული იყო საკუთარი მეფის წინაშე.

ეკლესიის მიმართ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი სამეფო ხელისუფლების პოლიტიკას ატარებდა, რომელიც ყოველთვის როდი იყო თანხმობაში კათალიკოსის ნებასთან. საუკუნოვანმა გამოცდილებამ უჩვენა, რომ კათალიკოსის ინსტიტუტი ვერ უძღვებოდა იმ ამოცანებს, რომლებიც საქართველოს პოლიტიკურმა გაერთიანებამ ეკლესიის მსახურთა წინაშე დააყენა. ამ ამოცანებს ვერ უმკლავდებოდა ვერც მეფის პერსონალური ავტორიტეტი, დაფუძნებული ბაგრატიონთა ბიბლიურ გენეალოგიაზე და მის მირონცხებულობაზე.

საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად დავით აღმაშენებლის სამზადისი უჩვენებს, რაოდენ გადაჯაჭვული იყო ეკლესიის პრობლემები შინაურ პოლიტიკასთან და რაოდენ დიდი განსჯა უძღოდა წინ ეკლესიასთან დაკავშირებულ ყოველ გადაწყვეტილებას. საქართველოს სინამდვილე მოითხოვდა მეფის პერსონის სიმბოლური შინაარსის ამაღლებას, რათა იგი იდეოლოგიურ ინსტრუმენტად ქცეულიყო. ამიტომ მიმართავენ დავით აღმაშენებელი და მისი „თანაგანმზრახნი“ მათთვის კარგად ნაცნობ მმართველობის ბიზანტიურ მოდელს და მას ქართულ რეალობას არგებენ. დავით აღმაშენებლისადმი მიძღ-

[23] ილ. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა. თბ. 1983, გვ. 105-107.

[24] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. თბ. 1974, გვ. 58; ილ. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 102.

[25] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად. ტ. III, გვ. 270-182; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII, გვ. 58-59; შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1979, გვ. 79-102; ილ. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 100-122.

ვნილი „შესხმა“, დართული რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაზე და ამავე ძეგლის სინოდიკონში მისი აღიარება *„ღმრთის სახედ“, „კაცთმოყვარედ ვითარცა იესუ“, „თვითმპყრობელად“* და ა.შ. ამის საუკეთესო გამოვლინებაა.[26] ზოგიერთი მკვლევარი არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ კრების მთავარი მიზანი „უღირს“ მღვდელმთავართა გადაყენებაზე მეტად იყო თვითმპყრობელი მონარქის იდეოლოგიის შემუშავება, რომელსაც მზარდი სახელმწიფო უნდა დამყარებოდა.[27]

თვითმპყრობელი მეფის პოლიტიკური უფლებების რეალურად ამოქმედება ბიზანტიისაგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური სტრუქტურის და სოციალური ბაზის პირობებში მხოლოდ ეკლესიაზე დაყრდნობით შეიძლებოდა, მაგრამ ამისათვის თვით ეკლესია უნდა ქცეულიყო სამეფო ხელისუფლების ერთგულ მოკავშირედ.

როგორც ცნობილია, ბიზანტიაში საიმპერატორო ხელისუფლების და ეკლესიის სიმფონიური თანამშრომლობის პრინციპი კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) დროიდანვე დაინერგა, ხოლო იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565 წწ.) თეორიულად ჩამოაყალიბებული კანონის ფორმა მიანიჭა. ეს ზოგადი პრინციპი არაერთგზის იქნა განმარტებული შემდგომი საუკუნეების ბიზანტიურ კანონმდებლობაში (ამ მხრივ სამაგალითოა მაკედონელთა დინასტიის დროინდელი ეპანაგოგა), სადაც იმპერატორის ტრადიციულად ძლიერ კულტს საბოლოოდ შეერწყა ქრისტიანულ სათნოებათა განმასახიარებელი მონარქის იდეალიზებული სახე. ამგვარი სახე იმპერატორის საკანონმდებლო უფლებამოსილებას საეკლესიო სწავლებაზე აფუძნებდა, რის გამოც სამოქალაქო კანონმდებლობაც საეკლესიო სულისკვეთებით იმსჭვალებოდა.[28] ამ ნიშნით თვით იმპერატორის პერსონაში იყო განხორციელებული სიმფონიის პრინციპი. მასში სიმბოლურად იყო შერწყმული ქრისტეს ნების განმასახიერებელი მონარქის და ეკლესიის მფარველის ფუნქციები (მართალია, იმპერატორების მხრიდან არაერთგზის მომხდარა სამოქალაქო უფლებების გადაჭარბება, მაგრამ ასეთები ეკლესიის მხრიდან ყოველთვის გაკიცხვის საგანი ხდებოდნენ.[29] იმპერატორის შემდეგ მეორე პირი სახელმწიფოში კონსტანტინო-

[26] ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ. 1978, გვ. 193-195.

[27] დაწვრილებით იხ. З. Абашидзе. Диархия Давида Строителя. Тб. 2010, გვ. 47.

[28] И. И. Соколов. О византинизме, http://krotov.info/history/08/sokolov/page04.htm.

[29] Г. Литаврин. Политическая теория в Византии с середины VII до начала XIII века. Культура Византии, вторая половина VII-XIII в . М. 1989, გვ. 80.

პოლის პატრიარქი იყო. თუ იმპერატორი მართავდა იმპერიის სხეულს, პატრიარქი ზრუნავდა ქვეშევრდომთა სულებისათვის.

პრაქტიკაში სიმფონიის პრინციპის განხორციელებისათვის მმართველობის ბიზანტიურ სისტემას საკმაოდ მრავალფეროვანი მექანიზმი ჰქონდა. ეს იყო იმპერატორისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის გამუდმებული თანამშრომლობა სახელმწიფო პოლიტიკის თითქმის ყოველ სფეროში. იმპერატორს გამუდმებული კავშირი ჰქონდა საეკლესიო მმართველობასთან, ზრუნავდა მის მატერიალურ მდგომარეობაზე, მონაწილეობდა საეკლესიო იერარქების არჩევა-გადაყენებაში.[30] იმპერატორების დეკრეტები ადგენდა უფროს-უმცროსობას იერარქთა შორის, ყოფდა ან აერთებდა ეპარქიებს და ადგენდა მათ საზღვრებს.[31] თავის მხრივ, სასულიერო პირებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სამოქალაქო საკითხების გადაწყვეტაში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეკლესიის ავტორიტეტს და მის გავლენას მრევლზე განუხრელად ზრდიდა მისი საქველმოქმედო საქმიანობა – საავადმყოფოებისა და თავშესაფრების გახსნა ობლებისა და მოხუცებისათვის.[32] მაგალითად, VIII საუკუნის საკანონმდებლო ძეგლში (ეკლოგა) საგანგებოდ იყო შეტანილი მუხლი (VII ტიტლოსი), რომელიც ეკლესიას ობლებსა და უპატრონოდ დარჩენილებზე ზრუნვას ავალდებულებდა.

იმდროინდელი საქართველოს ეკლესია შორს იყო ამგვარი საქმიანობისაგან. გავიხსენოთ „ფრიად მდიდარი ეპისკოპოსის“ მაგალითი „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან“ ან 80 ობოლის შეკრებისა და კონსტანტინოპოლში ჩაყვანის ამბავი.[33] ეს ეპიზოდები მიუთითებს, რომ საქართველოში ეკლესიის მეასაჭეებს, რომლებიც „მამულობით“ იყვნენ დაპატრონებული საეპისკოპოსო საყდრებს, ნაკლებად ჰქონდათ გააზრებული თავიანთი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა.

ამავე დროს ცნობილია ისიც, თუ როგორი სიბეჯითით ეცნობოდა XI საუკუნის ქართული ელიტარული საზოგადოება ბიზანტინიზმს, როგორც

---

[30] И. И. Соколов. О византинизме в церковно-историческом отношении. СПб. 2003, გვ. 122-123.

[31] Андре Гийу. Византийская цивилизация. пер. с франц. Д. Лоевского. Екатеринбург. 2004, გვ. 125.

[32] И. С. Бердников. Краткий курс церковного права. Вып. 2. Казань. 1913, გვ. 775-777.

[33] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 166, 168.

კულტურულ მიმდინარეობას. ასევე შესანიშნავად იცნობდნენ ბიზანტიის მმართველობის სისტემას, რომელიც უაღრესად განტოტვილ ბიუროკრატიულ აპარატს ემყარებოდა. ერთადერთი სფერო, რომელშიც ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს შეეძლო მეტ-ნაკლებად მიებაძა ბიზანტიური ნიმუშისათვის, იყო საერო და საეკლესიო ხელისუფლებათა ურთიერთობის სიმფონიური პრინციპი. სწორედ ამ გზას დაადგნენ დავით აღმაშენებელი და მისი თანამოაზრენი. სხვა საქმე იყო, როგორ მოერგებოდა ეს პრინციპი ქართულ სინამდვილეს.

უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა დაებრუნებინათ საქართველოს საეკლესიო ცხოვრება კანონიერების ჩარჩოებში, რასაც ემსახურებოდა რუის-ურბნისის კრება. კრების ტექსტის შესწავლამ მსოფლიო საეკლესიო კრებების ნორმებთან მიმართებით (როგორც საეკლესიო, ასევე სამოქალაქო სფეროში) გამოავლინა სამართლებრივ დარღვევათა 18 ტიპი,[34] რომლებსაც, როგორც ჩანს, უცოდინრობის თუ უპასუხისმგებლობის გამო საქართველოს სინამდვილეში ყურადღება არ ექცეოდა. როდესაც ვლაპარაკობთ ბიზანტინიზმის დანერგვაზე მმართველობის სისტემაში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პროცესი, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი კულტურის ამაღლებას გულისხმობდა. დანამდვილებით არის ცნობილი, რომ რუის-ურბნისის კრებას წინ უძღოდა „დიდი სჯულისკანონის" თარგმნა. თვით „ძეგლისწერის" ტექსტი აშკარად ამჟღავნებს „დიდი სჯულისკანონის" ქართულ თარგმანზე დამოკიდებულებას.[35] ამიერიდან საქართველოს ხელისუფლებას და ეკლესიას ამ ძეგლის სახით ჰქონდა „დაწერილი" ბიზანტიური კანონები, რითაც შეეძლოთ ეხელმძღვანელათ მართლმსაჯულების აღსრულების დროს.

როგორც „დიდი სჯულისკანონის" თარგმნა, ასევე რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა" ნივთიერად ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე დავით აღმაშენებელმა პრიორიტეტი კანონიერებას მიანიჭა. ფეოდალურ თვითნებობას და ანარქიას როგორც ეკლესიაში, ისევე სამოქალაქო ცხოვრებაში, ნაცვლად მეფის პირადი ნებისა, მან კანონი დაუპირისპირა. „რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე, და ვერცა მოქალაქე, ვერ მჭედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად: რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა *კანონ,* ყოველთა

[34] ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 87-159; З. Абашидзе. Диархия Давида Строителя. Тб. 2010, გვ. 29-36.

[35] ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 29.

პატიოსნება...".[36] დავითის ისტორიკოსის აზრით, მხოლოდ ამგვარი, კანონზე დაფუძნებული წესრიგის დამყარება იყო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უპირველესი ნიშანი. მის სათავეში იდგა „ბრძენი მეფე", „რომლითა უმეტეს ყოველთა საშიშად საზარელ იყო ყოველთა, რამეთუ ღმრთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესე".[37] სახელმწიფო წესრიგს, რომელსაც მეფე ღვთის სახელით ამყარებდა, რეალურად ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი უძღვებოდა. ამიტომ შედიოდა მის უშუალო კომპეტენციაში მართლმსაჯულება („საჯო კარი"). ამავე დროს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს, როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციის მეთაურს, სამოქალაქო და სამხედრო საქმეებზე კონტროლიც ევალებოდა. ექსტრემალურ სიტუაციებში, მაგ., დავითის დროს ისინი სამხედრო ოპერაციებშიც მონაწილეობენ.[38]

რასაკვირველია, როცა სასულიერო პირს სამოქალაქო და სამხედრო ფუნქციები ეკისრებოდა, საეკლესიო კანონები ირღვეოდა,[39] მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ასეთი რამ საქართველოში ადრეც ხდებოდა (მაგ., გიორგი მაწყვერელი, საბა მტბევარი), ხოლო იმავე ბიზანტიაში სამოქალაქო და საეკლესიო საქმიანობის ამგვარი „აღრევები" სიმფონიური პრინციპის განხორციელების ნაცადი მექანიზმი იყო. მაგ., ჰერაკლე კეისრის აზიური ლაშქრობების დროს კონსტანტინოპოლის დაცვას ხელმძღვანელობდა პატრიარქი სერგი. კონსტანტინოპოლის არაერთი პატრიარქი (მათ შორის სახელგანთქმული პატრიარქი ფოტი), სანამ პატრიარქები გახდებოდნენ, მანამდე საერო პირები იყვნენ (ცნობილია 6 ასეთი პირი). ხდებოდა პირიქითაც – ბერები ხშირად იკავებდნენ სამოქალაქო და მაღალ სამხედრო თანამდებობებს.[40] ასეთთაგანია ქართული წყაროების პეტრე პეტრიკ-ყოფილიც, რომელიც ბიზანტიაში იღებს ვესტის საერო პატივს შემონაზვნების შემდეგ (ხელნაწერი A-136-ის ანდერძი, 396 v). ასე რომ, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისათვის საერო მოვალეობების დაკისრება სავსებით ეთანხმება მმართველობის ბიზანტიურ სისტემას. რასაკვირველია, სიმფონიის უნივერსალური პრინციპი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბიზანტიის პროვინციებში ფეოდალურმა ურთიერთობებმა იმძლავრა, საკმაოდ დასცილდა თავდაპირველ იდეალურ ნორმებს. ბი-

[36] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 356.
[37] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 354.
[38] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 333, 345.
[39] З. Абашидзе. Диархия Давида Строителя, გვ. 42-43.
[40] Андре Гийу. Византийская цивилизация, გვ. 111.

ზანტიის იმპერატორები პოლიტიკური ამოცანების შესაბამისად ყოველთვის ერეოდნენ ეკლესიის საქმეებში, რაშიც იმპერატორის უახლოესი თანამშრომლები ისევ კონსტანტინოპოლის პატრიარქები იყვნენ, რომელთა არჩევაში იმპერატორები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.[41] იმპერატორი ნიშნავდა პატრიარქის მოადგილე სვინგელოზსაც, რომელიც მაგისტრთან იყო გატოლებული და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა.[42] გარდა პატრიარქისა, მთლიანად სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული ბიზანტიის ეკლესიის მატერიალური მდგომარეობა. ბიზანტიის ეკლესია ძალზე შეზღუდულად სარგებლობდა (ხშირად საერთოდ არ სარგებლობდა) იმუნიტეტის უფლებით. არც კონსტანტინოპოლის პატრიარქს, არც ბიზანტიის ეპისკოპოსებს არ ჰქონდათ ვრცელი სამფლობელოები და არ ჰყავდათ საეკლესიო ვასალები მათზე მემკვიდრეობითი უფლებებით.[43] ეკლესიის პოლიტიკურმა როლმა, შემაგრებულმა ეკონომიკური პირობებით და უფლებრივი ნორმებით, მთლიანად განსაზღვრა ეკლესიის სრული მორჩილება იმპერატორისადმი და პრაქტიკულად მისი სახელმწიფო უწყებად ქცევა.[44] იმპერატორს ეკლესიაზე შენარჩუნებული ჰქონდა სრული კონტროლი, მაგრამ, ამასთანავე, აღებული ჰქონდა ვალდებულება მუდმივად ეზრუნა მასზე.

ასეთი იყო განათლებული ქართული საზოგადოებისათვის ბიზანტიური მაგალითი. დავით აღმაშენებელიც ბიზანტიური მაგალითით ხელმძღვანელობდა და მას ქართულ სინამდვილეს არგებდა. ამ სინამდვილემ აჩვენა, რომ ხანგრძლივი მემამულური ტრადიციების მქონე ფეოდალურ ქვეყანაში, სადაც ეკლესია სარგებლობდა საგადასახადო იმუნიტეტით და თავად იყო ქცეული ფეოდალურ ინსტიტუტად, სახელმწიფოს სიმტკიცეს ვერ მიაღწევდა ცენტრალიზაციის ახალი მექანიზმების გარეშე. ამგვარი მექანიზმები იყო მეფის კულტის გაძლიერებაც და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ბიუროკრატიული უწყებაც. ამ უკანასკნელის თვალსაწიერში ეკლესიასთან ერთად ერთდროულად სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციებიც შემოდიოდა, რასაც, მართალია, საეკლესიო კანონები ეწირებოდა, მაგრამ სამეფო ხელისუფლებას საშუალება ეძლეოდა აქტიურად ჩაერთო ეკლესია სახელმწიფოს აღმშენებლო-

[41] И. И. Соколов. О византинизме. http://krotov.info/history/08/sokolov/page04.htm.
[42] Андре Гийу. Византийская цивилизация, გვ. 127.
[43] Г. Г. Литаврин. Как жили византийцы, http://krotov.info/libr_min/12_l/it/avrin_0-2.htm.
[44] Андре Гийу. Византийская цивилизация, გვ. 125.

ბაში.[45]

დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის რანგში არ აამაღლა საქართველოს ეკლესიის მეთაური – ქართლის კათალიკოსი, როცა ბიზანტიური გამოცდილების გათვალისწინებით ფორმალურად ეს მოსალოდნელი იყო. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესზე არჩევანის შეჩერებით მეფემ მოახერხა შეეკვეცა ქართლის კათალიკოსის საეკლესიო ადმინისტრირების უფლება და, როგორც ჩანს, საგადასახადო იმუნიტეტიც, რომლითაც, როგორც მელქისედეკის დაწერილიდან და სხვა მოღწეული საბუთებიდან ვიცით, საქართველოს ეკლესია-მონასტრები ფართოდ სარგებლობდნენ.[46] ამ ღონისძიებებით მეფემ ეკლესია მთლიანად სამეფო ხელისუფლების კონტროლქვეშ მოაქცია და ცენტრალიზმის იდეას დაუმორჩილა.

ამ თანამდებობის მეშვეობით მეფემ გააერთიანა ზოგიერთი ეპარქია (ბედიელ-ალავერდელი), მაშინ, როდესაც საეკლესიო კანონი ეკლესიის მესაჭეებს სხვა ეპარქიის შემოერთებას უკრძალავდა (მსოფლიო I, 6; II,2). თუ გავიხსენებთ, რომ XI საუკუნის 60-80-იან წლებში ბედიელი და ჭყონდიდელი ბიზანტიურ სვინგელოზის ტიტულს ატარებდნენ,[47] ხოლო კახეთისათვის ბრძოლაში დავით აღმაშენებელს საეკლესიო პირთა წინააღმდეგობის დაძლევაც დასჭირდა,[48] გასაგები გახდება ამ დაშორებულ კათედრათა შეერთების პოლიტიკური მიზანშეწონილობა. რასაკვირველია, მეფე საეკლესიო ადმინისტრირებაში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის უწყების საშუალებით ჩაერეოდა. სავარაუდოდ, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი აქტიურ როლს თამაშობდა სხვა ეპარქიათა მესაჭეების შერჩევა-დანიშვნაშიც. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ერთი გვიანდელი ძეგლი (ჩვენი ვარაუდით XIV საუკუნისა) „განგება დარბაზობისა“, რომელშიც გაცილებით ადრე შემუშავებული ეტიკეტია შემორჩენილი. აქ აღწერილი წესით მეფის **მარჯვნივ** ქართლის კათალიკოსი ჯდება, მარცხნივ – ჭყონდიდელი. დანარჩენი მღვდელმთავრები დადგენილი რიგითობით სხდებიან კათალიკოსის (მარჯვნივ) ან ჭყონდიდლის (მარცხნივ). აღსანიშნავია, რომ კათალიკოსის მხარეს სულ სამი საპატიო მღვდელმთავარი ჯდება (**სომხითის მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, მაწ-**

[45] З. Абашидзе. Диархия Давида Строителя, გვ. 43.

[46] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 27.

[47] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 163; ხელნაწერი A-136-ის ანდერძი, 393 v.

[48] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 54.

ყვერელი), მაშინ, როდესაც ჭყონდიდლის მხარეს – ყველა დანარჩენი.[49] მღვდელმთავართა სხდომის ეს წესი, უეჭველია, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ძლიერების დროინდელ საზეიმო რიტუალს გამოხატავს და არა დოკუმენტის შედგენის დროს, როცა ჭყონდიდლის თანამდებობა უკიდურესად დამცრობილი იყო.

სამეფო ხელისუფლებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესების სოციალური წარმომავლობა. ისინი ყოველთვის სამეფო ოჯახის უახლოესი ვასალური წრიდან გამოსულები, მათთან „გაზრდილ-გამზრდელობით" (გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შემთხვევაში, ნათესაობითაც) დაკავშირებულები ჩანან.[50] ამასთანავე, ჩვენთვის ცნობილ წყაროთა მიხედვით, ისინი მუდამ დასავლეთ საქართველოს არისტოკრატიულ საგვარეულოებს (მაგ., ქვაბლისძე, გლონისთავისძე) ეკუთვნდნენ.

ერთი მხრივ, ეკლესიის იმუნიტეტური უფლებების შეკვეცით, მეორე მხრივ, კათალიკოსის ადმინისტრაციული უფლებების დელეგირებით ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისადმი შეუძლებელია არ წარმოქმნილიყო კონფლიქტი კათალიკოსსა და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობათა შორის, რაც გამომჟღავნდა კიდეც გიორგი III-ის და თამარის მეფობის დროს. დემნა უფლისწულის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ეკლესიამ იმუნიტეტური უფლებები დაიბრუნა,[51] რაც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ძალაუფლებას მნიშვნელოვნად ამცრობდა და საფუძველს ამზადებდა ამ ორი თანამდებობის შესაერთებლად.

გიორგი III-ის მეფობის დასასრულს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ეპყრა ანტონ გლონისთავისძეს. ამ უკანასკნელს, თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, კათალიკოსმა მიქაელ მირიანის-ძემ „მოძმაცვათა ვიეთამე მეფისა განმძრახთათა", წარსტაცა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა.[52] მემატიანისათვის ამ თანამდებობათა შეერთება არ იყო ჩვეულებრივი ამბავი და ამიტომ ამ ამბავს იგი გადმოსცემს უარყოფითი შინაარსის ზმნით –

[49] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XI სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 47-49.

[50] ილ. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 105-107.

[51] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 71-72.

[52] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 122.

„მოივერაგა“. ეს იყო პირველი შემთხვევა და, რომ არა მიქაელ კათალიკოსის თამარის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასვლა, შესაძლოა, ეს თანამდებობები აღარც დასცილებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ იმდროინდელი საქართველოს სპეციფიკურმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ვითარებამ მოვლენათა ამგვარ განვითარებას ხელი შეუშალა. თამარის დროინდელი სირთულეები არსებითად განსხვავდებოდა დავით აღმაშენებლის დროინდელი სირთულეებისაგან. თუ დავითის დროს მთავარი იყო ცენტრალიზმის საფუძველზე ქვეყნის ერთიანობის მიღწევა, თამარის დროს აქტუალური გახდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალურ წრეებს შორის მეტოქეობის დარეგულირება, რისთვისაც სამეფო ხელისუფლებამ კვლავ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა გამოიყენა.

მიქაელ კათალიკოსმა, თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, „უფლისაგან“ მიიღო ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა და მაწყვერლობა.[53] მეფის შემდეგ მეორე თანამდებობის გამცემი „უფალი“ სხვა არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა თვითონ თამარი. ეს გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, თამარმა მიიღო მაშინ, როცა დიდგვარიანები ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ მეფის ერთგულ „უგვარო“ დიდმოხელეთა წინააღმდეგ.[54] თამარის ნდობა მიქაელ კათალიკოსისადმი ირყევა ყუთლუ-არსლანის გამოსვლის შემდეგ, რაც შესაძლებლობას აძლევს ზოგიერთ მკვლევარს კავშირი დაინახოს მიქაელ კათალიკოსსა და ყუთლუ-არსლანის დასს შორის.[55] როდესაც თამარის მეორე ისტორიკოსი ცდილობს ახსნას, თუ რატომ სურდა თამარს და მის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებას მიქაელ კათალიკოსის გადაყენება, აღნიშნავს, რომ მიქაელმა „წინაუკმო იწყო წესთაგან ეკლესიათა, რამეთუ ჭყონდიდელ-მაწყუერლობა და მწიგნობართუხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“.[56] თუ რაში გამოიხატებოდა ეს „წინაუკმობა“, ისტორიკოსი არაფერს ამბობს. შესაძლოა, აქ ხსენებულ კათედრათა შეერთებაც იგულისხმებოდეს, რაშიც, როგორც ჩანს, მიქაელმა გამოიჩინა ინიციატივა. სხვა ეპიზოდში იგივე ავტორი მას სამთავისის ფლობასაც მიაწერს.[57] ამრიგად, თამარს კათალიკოსისათვის, გარ-

[53] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 118, 122.
[54] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, გვ. 83.
[55] ილ. ანთელავა. XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბ. 1980, გვ. 212-215.
[56] ქართლის ცხოვრება. II, გვ.118.
[57] ქართლის ცხოვრება. II, გვ. 122.

და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობისა, მაწყვერლობა და სამთავნელობაც უბოძებია. ამ ახალ კონფიგურაციაში შეუძლებელია არ დავინახოთ შეფარული კონფლიქტი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებას შორის, რაც ამ შემთხვევაში ქართლის სამღვდელოების სასარგებლოდ გადამწყდარა.[58]

სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი III-ისა და თამარის დროინდელი სახელმწიფო კრიზისების განხილვისას არაერთხელ შეფასებულა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არისტოკრატიის განსხვავებული პოზიციები. XI საუკუნეში დასავლეთიდან წამოსული გაერთიანების მძლავრ პროცესში დიდ როლს თამაშობდნენ დასავლეთ საქართველოს ძირძველი საგვარეულოები და საეკლესიო კათედრები, მაგრამ დავით აღმაშენებლის მეფობის დასასრულს, განსაკუთრებით კი, თბილისის შემოერთების შემდგომ, მეფის ერთგულ საგვარეულოთა ახალი კონტინგენტი ქართლ-კახეთსა და ჰერეთშიც წარმოიშვა. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრების მნიშვნელობა განუხრელად იზრდებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს როლი თანდათან ემცრობოდა.[59] ამ გარემოებას უნდა გამოეწვია „პროვინციული" კონფლიქტის მომწიფება დასავლეთ საქართველოს ძირძველ საგვარეულოებსა და აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალურ სახლებს შორის, რომელიც ჯერ გიორგი III-ის დროინდელ აჯანყებაში გამოიკვეთა, ხოლო გიორგი რუსის ცნობილი გამოსვლის დროს კიდევ უფრო დიდი მასშტაბით გამოვლინდა.[60] მაგრამ ამ გამოსვლებს შორის ძალთა განლაგების მიხედვით მკვეთრი სხვაობა იგრძნობა. თუ 1177 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ ამბოხებაში დასავლეთ საქრთველოდან არც ერთი ფეოდალი არ იღებდა მონაწილეობას, 1188 წლის გიორგი რუსის აჯანყებაში თამარის წინააღმდეგ

[58] არ დასტურდება მოსაზრება, რომ მიქაელ მირიანისძე ეუთლუ-არსლანის დასის წევრებთან ერთად დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი იყო (ამ საკითხის შესახებ იხ. ილ. ანთელავა. XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, გვ. 209). პირიქით, თამარის მეორე ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიქაელი იყო „ქართველი" (ქართლის ცხოერება. ტ. II, გვ. 122), რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ქართლელს.

[59] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII, გვ. 167-168.

[60] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII, გვ. 152-153, 169-174.

სწორედ დასავლეთ საქართველოს ფეოდალები შეადგენდნენ მთავარ ძალას.[61] ამ ორ დიდ მოვლენას შორის (ყუთლუ-არსლანის გამოსვლამდე) არის მოქცეული კათალიკოს მიქაელ მირიანისძისათვის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს მიმატება. მოვლენათა ლოგიკას რომ მივყვეთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: თამარის მეფობის დასაწყისში სამეფო კარზე პირველობისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა ეკლესიაც, რომელსაც იმუნიტეტური უფლებები უკვე დაბრუნებული ჰქონდა. თავდაპირველად თამარმა „დაუთმო" აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლებს და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა მაწყვერლობასთან და სამთავნელობასთან ერთად უბოძა ქართლის კათალიკოსს, წარმომავლობით ქართლელს, მიქაელ მირიანისძეს. თამარის ეს გადაწყვეტილება თავისთავად ორ სიახლეს შეიცავდა: 1. სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობა შეუთავსდა ქართლის კათალიკოსს, რითაც მისი პოლიტიკური სტატუსი ამაღლდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ თანამდებობათა ამგვარი შერწყმის იდეა უფრო ადრე იყო მომწიფებული და თამარმა იგი განახორციელა; 2. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რომელიც მანამდე ტრადიციულად დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრებს ეკუთვნოდათ, ქართლის წარმომადგენელს ხვდა წილად. როგორც ცნობილია, მიქაელ კათალიკოსს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა სულ რამდენიმე თვეს ეპყრა[62] და მან იგი დაკარგა ყუთლუ-არსლანის გამოსვლის შემდეგ. მეფეს მისთვის კათალიკოსობის ჩამორთმევაც უნდოდა, მაგრამ ამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან კრებაზე მიქაელს ბევრი მხარდამჭერი აღმოაჩნდა, საფიქრებელია, აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსების სახით.

თამარის მეორე ისტორიკოსის თხრობა საეკლესიო კრების მიმდინარეობის შესახებ მიანიშნებს, რომ თამარი ამჯერად ცდილობდა ძველებური წონასწორობა აღედგინა – ისევ დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრების პოზიციები გაეძლიერებინა სამეფო კარზე. ამას მან მიაღწია ანტონ გლონისთავისძის დაბრუნებით ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის თანამდებობაზე. თამარმა რეგიონალური მეტოქეობის „დასაბალანსებლად" ანტონ გლონისთავისძეს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცობასთან ერთად უწყალობა სამთავისი,

[61] ილ. ანთელაია. XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, გვ. 223-224.

[62] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, გვ. 101.

რომელიც მიქაელსაც ეპყრა პირველ ვეზირად ყოფნის დროს. ამავე დროს ანტონს უწყალობა კისისხევი,[63] რითაც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს „კახური“ კომპონენტი შეემატა ამჯერად საერო ბენეფიციუმის (კისისხევი) სახით. ამ წყალობას, გარდა ეკონომიკური შინაარსისა, უპირველესად უნდა ჰქონოდა პრევენციული მნიშვნელობა კახეთში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცობის უწყების გავლენის გასაძლიერებლად. აღსანიშნავია, რომ დავითის დროს (და, სავარაუდოდ, მისი უშუალო მემკვიდრეების დროსაც), ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის უწყება მეტად შეიცავდა ბიუროკრატიულ ელემენტებს, რის გამოც იგი სამეფო ხელისუფლების ხელში პოლიტიკური ცენტრალიზმის ძლიერ ინსტრუმენტს წარმოადგენდა. თამარის დროს კი იგი უფრო ფეოდალურ საწყისზე გადადის, თუმცა მან შეინარჩუნა მობილურობა – სამეფო ხელისუფლება მისი მფლობელობის კონფიგურაციას ცვლიდა საჭიროების მიხედვით. თავისთავად ამგვარი ცვლილებებიც შეიცავდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის უწყების დასუსტების ელემენტებს, რასაც კიდევ დაემატა „ათაბაგის“ ახალი თანამდებობა, რომელმაც „მეფის მამობის“ ფუნქცია ჩამოაჭრა პირველ ვეზირს.[64]

ამრიგად, თამარის მეფობის დასაწყისში კათალიკოსობისა და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის შეერთების მცდელობას ისევ ამ თანამდებობათა გათიშვა მოჰყვა, რადგან ამან კვლავ წარმოშვა ეკლესიის მეტისმეტი პოლიტიზაციის საფრთხე. მაგრამ ტენდენცია მათი შეერთებისა კვლავ ცოცხლობდა, რასაც მოწმობს XIII საუკუნის 40-იან წლებში შიომღვიმის საბუთში *ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად* და *კათალიკოსად* არსენის მოხსენიება.[65] შემდგომ, როგორც ჩანს, თანამდებობები კვლავ იყოფა, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული მცირერიცხოვანი საბუთების მიხედვით, აშკარად ჩანს, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის და კათალიკოსის ფუნქციები მაინც გადაკვეთილია. ისინი, უკვე როგორც საეკლესიო ფეოდალები, ერთნაირად გასცემენ თავიანთი ვასალებისადმი წყალობის საბუთებს შეუვალობის უფლებით,[66] ანუ მათი კომპეტენციები ამ შემთხვევაში ერთნაირია. ეს მიანიშნებს, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დამოუკიდებელ არსებობას საფუძველი მნიშვნელოვნად შეერყა, თუმცა იგი, უკვე ორ სამეფოდ დაყოფილ ქვეყანაში,

[63] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 123.
[64] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, გვ. 310.
[65] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 118-120, 125.
[66] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 114, 119.

ორივეგან რჩებოდა სამოხელეო იერარქიის სათავეში. ტრადიციის ძალით „ჭყონდიდლობა“ აღმოსავლეთ-საქართველოს ვეზირთა უპირველესის წოდებულებაში ძველებურად იყო შენარჩუნებული, მაგრამ მას ჭყონდიდლობეზე ხელი აღარ მიუწვდებოდა. ამას მოწმობს დავით ულუს თანამედროვე ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელის წოდებულებაც.[67] რადგან „უჯარმელობაში“ ეპისკოპოსობა არ იგულისხმება, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ისეთივე ბენეფიციუმთან, როგორიც იყო კისისხევი ანტონ გლონისთავისძის შემთხვევაში. აქაც, როგორც წინათ, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცსს სახელო ქვეყნად ურჩევენ პროვინციას მისი სირთულის ნიშნით. ცნობილია, რომ მონღოლთა ბატონობის დროს განსაკუთრებით დაზარალდა ჰერეთ-კახეთი.[68] შესაძლოა, სწორედ ამის გამო მოაქცია ხელისუფლებამ უჯარმის მხარე ვაზირთა უპირველესის გამგეობაში.

XIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის და კათალიკოსის თანამდებობები, რომლებიც წინა ათეულ წლებში შერწყმის ტენდენციას ამჟღავნებდა, მწვავედ დაუპირისპირდა ერთმანეთს. ჟამთააღმწერლის ცნობით, 1254 წლის აღწერისას მონღოლებს, ეკლესიის საქონელი, ნიშნად მისთვის საგადასახადო თავისუფლების მინიჭებისა, აღწერის დავთრებში არ შეუტანიათ. ამ უფლების მისაღებად უზრუნია არა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს, არამედ ქართლის კათალიკოს ნიკოლოზ III-ს, რომელიც ურდოში წასულა და თავისუფლების „იერლაყი“ მიუღია.[69] ამ ამბიდან მოკლე ხანში სამეფო ხელისუფლებამ მონღოლური გადასახადებისაგან გაღატაკებული აზნაურული ფენის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად გადაწყვიტა ესარგებლა საეკლესიო მიწებით. ამ გაბედული და სახელმწიფოებრივად სასარგებლო იდეის ავტორიც და განმახორციელებელიც ყოფილა ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი.[70] დაახლ. 1263 წელს საგანგებოდ შეკრებილმა საეკლესიო კრებამ (როგორც ჩანს, ნიკოლოზ კათალიკოსის ხელმძღვანელობით) მთავრობის ეს ინიციატივა სასტიკად დაგმო.[71] ეკლესიის პროტესტს მისთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია,[72] თუმცა ჭყონდიდელ-უჯარმელის სიცოცხლე შეიწირა. ეს ტრაგიკული ეპიზოდი შუა საუკუ-

[67] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 253.
[68] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 254.
[69] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 224.
[70] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 590-592.
[71] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, 169-174.
[72] იე. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად. ტ. III, გვ. 76-82; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 593.

ნეების ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ისტორიიდან უჩვენებს, თუ რაოდენ დამოკიდებული იყო ფეოდალურ ქვეყანაში ეკლესიის მორალური და სამოქალაქო პასუხუსმგებლობის ხარისხი სამეფო ხელისუფლების ძლიერებაზე და კულტურული ელიტის არსებობაზე. ორივე ამ ნიშანს ატარებდნენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესები, რომელთა არსებობამაც საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებასთან ერთად აზრი დაკარგა. ამ თანამდებობის თანდათანობითი დაკნინებით და შემდეგ საბოლოო გაქრობით მოიხსნა ყოველგვარი შესაძლო კონფლიქტი კათალიკოსსა და სახელმწიფოს პირველ ვაზირს შორის.

ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელის შემდეგ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს აღმოსავლეთ საქართველოში ვერ ვხედავთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი პირი არ ჩანს დემეტრე II თავდადებულის კარზე გამართულ დარბაზობაზე, სადაც წყდებოდა ურდოში მეფის წასვლა-არწასვლის საკითხი. ურდოშიც მეფეს თან მიჰყვება კათალიკოსი აბრამი.[73] ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის საბოლოო გაქრობას, მაგრამ ტენცენცია უსათუოდ აშკარაა.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ქართულ სინამდვილეში სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის თანამშრომლობის ბიზანტიური სიმფონიზმის პრინციპზე აწყობის მცდელობას წარმოადგენდა. ამ თანამდებობის საშუალებით XII-XIII საუკუნის პირველ მესამედამდე სამეფო ხელისუფლებამ მართლაც მოახერხა თვითმპყრობელი მეფის პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია, მმართველობის ცენტრალიზაცია და საზოგადოების თვითშეგნებაში კანონიერების მნიშვნელობის ამაღლება. ყოველივე ამან იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას დააძლევინა ფეოდალური სეპარატიზმი და იგი სახელმწიფოებრივი ერთობის ახალ ეტაპზე გადაიყვანა. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის უფლებამოსილებანი გარკვეულ ფარგლებში ფარავდა კათალიკოსის, როგორც ეკლესიის მეთაურის კომპეტენციას, რის გამოც წინააღმდეგობა ამ ორ თანამდებობას შორის პერიოდულად იჩენდა თავს. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის უფლებამოსილებათა სრული გამოვლინება უშუალოდ ძლიერი მეფის ფიგურაზე იყო დამოკიდებული. მონღოლთა ბატონობის პერიოდიდან სამეფო ხელისუფლება და მასთან ერთად ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობაც სუსტდება. მის კვალდაკვალ სამეფო კარზე ისევ ძლიერდება კათალიკოსის როლი, თუმცა მისი ფუნქციები არასოდეს გატოლებია ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ფუნქციებს.

[73] ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 284.

Mzia Surguladze

KING, CATHALIKOS, TCHQONDIDEL-MTSIGNOBARTUKHUTSESI

Summary

The present article is dedicated to the problem of relations between the royal power and the church in the XI-XIII century Georgia. Formation of the single Georgian monarchy at the boundary of the X-XI centuries witnessed transition of the ethno-cultural unity of the Georgian people to the new stage of a political unity, but the future fate of this unity, in addition to external factors, depended on the cultural advance of the Georgian feudal rank and qualitative increase in consolidation of the society round the royal power. The feudal self-consciousness, strengthened within the centuries, at that time made the royal power unable to curb willful activities of separate rulers and to pursue the policy of centralization in the country. The royal power could not solve this problem without efficient participation of the church. The church of Georgia had been already established as the feudal institution and was an instrument of political struggle of groupings of nobles. This circumstance, certainly, impeded political unification of the country. In the beginning of the XII century King David Aghmashenebeli (the Builder), through merging of local institutions – Bishop of Tchqondidi and head of the royal chancellery – formed a new bureaucratic service headed by Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi. Outwardly this service resembled European chancellor, but in its meaning it much differed from it, because its task was different – by means of this post King David Aghmashenebeli managed to introduce the Byzantine model of cooperation between the state and the church into the Georgian monarchic order. Through this service David Aghmashenebeli subjected the church affairs to the state interests, suppressed gross violations of the church laws, put in order the justice and, finally, considerably increased the public function of the church. In the period of powerful statehood of Georgia, Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi was the second figure after the king.

Increase of the rights of Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi, delegation of

some rights of Cathalicos to him formed a secret conflict between head of the church of Georgia – Cathalicos and Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi, which was displayed in the reign of Giorgi III (1156-1184) first and then of Tamar (1184-1210). In the reign of Giorgi III the church managed to regain reduced immunity rights, and during the rule of Tamar the posts of Cathalicos and Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi were combined. This last event turned out to be temporary, but the precedent itself had become beginning of weakening of the Tchqonidel-Mtsignobartukhutsesi's service. Since the 40s of the XIII century, in the period of Mongols' rule, the royal power weakened and the basis for independent existence of Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi was considerably shattered. In the 60s of the same century one more acute confrontation took place between Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi and the service of Cathalicos, when Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi tried to improve material condition of impoverished feudal lords at the expense of church lands. Little by little the post of Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi was devoured by the Georgian social system and this turned it into the feudal institution.

In the Medieval Georgia the history of relations between these posts shows how dependent was the degree of moral and civil responsibility of the church on the might of the royal power and existence of the cultural elite. Tchqondidel-Mtsignobartukhutsesi carried both of these signs and the existence of this post, along with political weakening of Georgia, became senseless. Disappearance of this post removed any potential conflict between Cathalicos and Tchqondidel-Mtisgnobartukhutsesi – the first minister of the state.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

მამუკა წურწუმია

ყივჩაღთა საკითხისათვის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში*

დავით IV აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში ყივჩაღებთან ურთიერთობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მეფის მიერ წარმატებით განხორციელებული მომთაბარე ყივჩაღთა ურდოს გადმოყვანა საქართველოში მასშტაბურ და იშვიათ ღონისძიებათა რიგს მიეკუთვნება. ყივჩაღთა გადმოყვანა 1118 წელს მოხდა, მათი დაბინავება, აღჭურვა და ქართულ ლაშქარში ინტეგრირება კი 1120 წელს დასრულდა.[1] ამის შემდეგ ისინი საქართველოს მეფის პრაქტიკულად ყოველ ლაშქრობაში მონაწილეობენ. 1121 წლის შემდეგ დავით IV-ის მოღვაწეობა თავბრუდამხვევი ტემპით ვითარდება და ზენიტს აღწევს 1124 წლის „ბლიცკრიგის" დროს, რომელიც ელვისებუ-

* ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ პროფესორებს პიტერ გოლდენს და ბენჯამინ კედარს, რომელთა გულთბილი დამოკიდებულება და საქმიანი მსჯელობა დიდად დამეხმარა წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას

[1] მოვლენათა ასეთი ქრონოლოგია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობათა საფუძველზე, ი. ჯავახიშვილის მიერ არის დადგენილი და გაზიარებულია ისტორიკოსთა მიერ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 334-338; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 200; ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს). თბ. 1956, გვ. 194; შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. თბ. 1972, გვ. 47; М. П. Мургулия, В. П. Шушарин. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках. М. 1998, გვ. 113.

რი გამარჯვებებით ხასიათდება.[2] ყივჩაღებს დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს ამ წარმატებებში. უდავოა, რომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურმა გათვლამ კარგი შედეგი გამოიღო. აქედან გამომდინარე, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმის დადგენა, თუ როდის შეიმუშავა დავით აღმაშენებელმა „ყივჩაღური სტრატეგია" და როდიდან დაიწყო მის განხორციელებაზე ზრუნვა.

როგორც ცნობილია, ყივჩაღთა გადმოყვანას წინ უძღოდა დავით IV-ის ქორწინება მათი მთავრის – ათრაქა შარაღანის ძის ასულ გურანდუხტზე.[3] რაღა თქმა უნდა, დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღთა მთავრის ასულის ცოლად მოყვანა შემთხვევითი არ იყო და მის პოლიტიკურ გეგმებს უკავშირდებოდა. პიტერ გოლდენს ეჭვი არ ეპარება, რომ დავით აღმაშენებელი, რომელიც მიზნად ისახავდა ძლიერი, ცენტრალიზებული მონარქიის შექმნას, ხანგრძლივი და წინდახედული გეგმის საფუძველზე მოქმედებდა: „ყივჩაღებთან საქორწინო კავშირი ფართო, სტრატეგიულ აზროვნებაზე მეტყველებს".[4] ყივჩაღთა გადმოყვანაც ამ გეგმის ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

გურანდუხტის საქართველოში გათხოვებას დავითის ისტორიკოსი ასე მოგვითხრობს: „რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა".[5] ამ ცნობის გათვალისწინებით, ი. ცინცაძე მიიჩნევს, რომ მეფეს გურანდუხტი 1118 წლამდე ბევრად ადრე ჰყავდა მოყვანილი: „ყივჩაყთა მთავრის ასულიც, დავით აღმაშენებლის

---

[2] 1124 წელს დავით IV-ის შთამბეჭდავი გამარჯვებების ჩამონათვალისათვის იხ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 344-346.

[3] ათრაქას ასულის ყივჩაღური სახელი არ ეიცით. პიტერ გოლდენის მიხედვით, *გუარანდუხტი* სპარსული *ბაჰრამდუხტის* (ბაჰრამის ქალიშვილის) ადგილობრივი, ამიერკავკასიული ვარიანტია, რომელიც მას გადედოფლებისას მისცეს. Peter B. Golden. Cumanica I: The Qipčaqs in Georgia. Archivum Eurasiae Medii Aevi. IV. Wiesbaden. 1984, გვ. 66. გურანდუხტის სახელთან მიმართებით, იგივე აზრი აქვს გამოთქმული გ. წულაიასაც. Г. Цулая. Отрок Шарукан – Атрака Шарганис-дзе (к вопросу об антропонимическом источниковедении народов Кавказа). Кавказский этнографический сборник. Т. VIII. М. 1984, გვ. 186.

[4] Peter B. Golden. The Qipčaqs in Georgia, გვ. 61.

[5] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 336.

ისტორიკოსის ცნობით, დიდი ხანია, რაც საქართველოს მეფის სასახლეში იმყოფებოდა დედოფლად".[6] ამ აზრს ეთანხმება შ. მესხიაც: „გურანდუხტის საქართველოში დედოფლად ჩამოყვანა გაცილებით ადრე („მრავალთა წელთა მიერ") მოხდა, ვიდრე დავითი თვით ყივჩაყებს საქართველოში გადმოასახლებდა. როგორც ჩანს, ყივჩაყებთან ურთიერთობის მოგვარებას და მათი გადმოყვანის მომზადებას დავით IV ადრიდანვე შედგომია".[7] მკვლევართა ამ მოსაზრებას და საკითხისადმი მიდგომას მთლიანად ვიზიარებ. დასადგენი რჩება, თუ 1118 წლამდე რამდენად ადრე დაგეგმა დავით აღმაშენებელმა თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი ღონისძიება – ყივჩაღთა გადმოყვანა.

მოვლენათა მსვლელობის აღდგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დავით IV-ის ოჯახის ისტორიას. ცნობილია, რომ გურანდუხტი მეფის მეორე ცოლი იყო. მათეოს ურჰაელი მოგვითხრობს, რომ „მეფე დავითის მემკვიდრე დემეტრე ნაშობი იყო სომეხი ქალისაგან".[8] მათეოს ურჰაელის ამ ცნობის საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ეს „სომეხი ქალი", რომლისგანაც შეეძინა ტახტის მემკვიდრე დემეტრე, დავითის პირველი მეუღლე იყო, ყივჩაღი გურანდუხტი კი მისი მეორე ცოლი იყო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, დავითის პირველ ცოლს მისი მემატიანე იმიტომ არ ახსენებს, რომ მეფე მას გაეყარა.[9] დღეისათვის ეს მოსაზრება გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.[10]

ამ პერიოდის საქართველოს ისტორიისათვის, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს ანსელუსის იერუსალიმურ წერილებს, რომელთა მნიშვნელობა ზ. ავალიშვილის 1929 წლის პუბლიკაციის შემდეგ[11] კარგად არის ცნობილი ქარ-

---

[6] ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს), გვ. 196.

[7] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი, გვ. 61-62.

[8] The Chronicle of Matthew of Edessa. Translated from the Original Armenian with a Commentary and Introduction by Ara Edmond Dostourian. Lanham. 1993, გვ. 231.

[9] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. II, გვ. 219-220.

[10] გ. ალასანია თვლის, რომ დავითმა გურანდუხტი 1116 წელს მოიყვანა ცოლად. „დაახლოებით 1116 წლისათვის, საქართველოს მეფე დავით IV (1089-1125 წწ.) ეყრება თავის პირველ ცოლს, ეთნიკურად სომეხს და ირთავს ყიეჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის, ქალს". გ. ალასანია. ყიეჩაყები საქართველოში. ქართველები და ისლამამდელი თურქები. თბ. 2008, გვ. 172.

[11] ს. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი. პარიზი. 1929.

თულ ისტორიოგრაფიაში.[12] თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ წერილების ყველა მონაცემი არ არის სათანადოდ დადგენილი და გამოყენებული და ქვემოთ სწორედ მათ დაზუსტებასა და ახლებურად გააზრებას შევეცდები.

XII საუკუნის დასაწყისში ვინმე ანსელუსი, წმინდა საფლავის მგალობელი, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს და მის კრებულს, რომლის წევრიც ადრე თავად იყო, იერუსალიმიდან უგზავნის წმინდა ჯვარს, რომელიც ქრისტეს ვნების ჯვრის ნაწილს წარმოადგენდა. როგორც წერილიდან ირკვევა, ეს ჯვარი ქართველთა მეფის, დავითის ნაქონი იყო და მისმა მეუღლემ[13] ჩამოიტანა იერუსალიმში.[14] მონაზვნად აღკვეცილმა საქართველოს დედოფალყო-

[12] ახლახანს ანსელუსის ცნობაში გარკვეული ეჭვი შეიტანა ს. მარგიშეილმა: „ჯერის გაეიდეა, თუ მას (საქართველოს მეფის ქვრივისგან) **ნამდვილად ჰქონდა ადგილი**...". ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006, გვ. 263. მკვლევარი ცდება, როდესაც თვლის, რომ ჯვარი ლათინმა პატრიარქმა იყიდა. იქვე, გვ. 104, 264. ეს მოსაზრება მან კიდევ უფრო განავითარა, როდესაც განაცხადა, რომ „ჯვაროსნული ომების ცნობილი მკვლევარი, რეჟინ პერნუ, ანსელუსის წერილს კურიოზულს უწოდებდა მისი შინაარსის გამო". ს. მარგიშვილი. მონაწილეობდნენ თუ არა დიდგორის ომში ჯვაროსნები. ჟურნ.: „თბილისელები". 12. 2007, გვ. 27. თავისთავად, თუკი ანსელუსს ჯვარი არ უყიდია და თავად გამოიგონა ეს ამბავი, საქართველოს შესახებ მისი ცნობები გარკვეულწილად ძალას დაკარგავდა. საბედნიეროდ, როგორც დავრწმუნდებით, საქმე ასე არ არის. ამ შემთხვევაში ს. მარგიშეილი არასწორად გაგებული თარგმანის მსხვერპლია. რუსულ თარგმანში, რომლითაც ის სარგებლობდა, მართლაც არის სიტყვა „კურიოზული", მაგრამ ეს ფრანგული ტექსტის უხერხული და არასწორი თარგმანია: «Курьезная переписка между капитулом собора Парижской Богоматери и священником по имени Анцо, певчим церкви Святого Гроба в Иерусалиме, показывает, как парижские каноники стремились получить точные сведения о происхождении одного из фрагментов реликвии, который Анцо им выслал около 1108-1109 гг.» Режин Перну. Крестоносцы. М. 2006, გვ. 86. ფრანგულ ტექსტში სიტყვა *curieuse* უარყოფითი გაგებით კი არ არის გამოყენებული, არამედ „საინტერესოს" მნიშვნელობით, რაც კარგად ჩანს მთლიანი კონტექსტიდანაც: "Une correspondance trés curieuse entre les chapitres de Notre-Dame de Paris et un clerc nommé Anseau, chantre de l'église du Saint-Sépulcre à Jérusalem, montre les chanoines parisiens désireux de connaître exactement l'origine d'un de ces fragments qu'Anseau leur a fait envoyer, vers 1108-1109." Régine Pernoud. Les Croisés. Hachette. 1959, გვ. 95.

[13] ანსელუსის ვერსიით, ქვრიემა.

[14] გაერის შემდეგ დავითის პირველმა ცოლმა, შესაძლოა, ერთგვარი კომპენსაციის სახით ითხოვა ქრისტეს ჯვარი. ასეთივე ფაქტთან გვაქვს საქმე მოგვიანებით, როდესაც არჩილ II-მ (1647-1713 წწ.) დევნილობაში წასვ-

ფილმა მრავალი საბოძვარი დაურიგა წმინდა ქალაქის მონასტრებსა და გლახაკებს, შემდეგ კი იერუსალიმის ლათინი პატრიარქის გიბელინის ხელდასხმით ქართველ დედათა მონასტერი დაარსა. იერუსალიმის სამეფოში დამდგარი შიმშილობის ჟამს ის იძულებული გახდა მონასტრის საჭიროებისათვის გაეყიდა წმინდა ჯვარი, რომელიც შედეგად ანსელუსის ხელთ აღმოჩნდა. თავის მეორე წერილში ანსელუსი პარიზელებს მოუთხრობს ჯვარცმის შემდგომ ძელი ცხოველის ბედზე და აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის ქართველთა სამეფოში, მყოფ ქრისტეს ჯვრის ნაწილებზე.[15]

უცხოელ მკვლევართა მიერ ანსელუსის წერილი 1108 წლით იყო დათარიღებული.[16] მათ კვალდაკვალ 1108 წლით ათარიღებს ანსელუსის წერილს ზ. ავალიშვილიც.[17] ზ. ავალიშვილის ის ვარაუდიც, რომ დავითის პირველი ცოლი 1107-1108 წლებამდე აღიკვეცა მონაზვნად, მთლიანად ანსე-

ლის სანაცვლოდ „ითხოვა სამსჭუალი ქრისტესი და სუდარი და საბელი: „უკეთუ მომცეთ, წარვიდე რუსეთს“, ესე შეუძნდათ მეფესა, კათალიკოზ-ეპისკოპოსთა და მთავართა. გარნა შემდგომად მას პირსა ზედა მისცეს ესენი და წარვიდა არჩილ რუსეთს...“ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 458. ის, რაც ფასდაუდებელი და უნიკალური იყო ანსელუსისათვის და პარიზის სამღვდელოებისათვის, სულაც არ იყო ერთადერთი საქართველოს სამეფო კარისათვის. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ძელი ცხოველის ნაწილები საქართველოში საკმაო ოდენობით მოიპოვებოდა, სამეფო კარის მიერ გაღებული „მსხვერპლი“ ასე მნიშვნელოვნადაც აღარ მოგვეჩვენება. საქართველოში არსებულ ძელიცხოველის მრავალრიცხოვანი ნაწილების სამონათვალისათვის იხ. მ. წურწუმია. „ძელი ცხოველი, მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“: ქრისტეს ჯვარი ჯვაროსნულ და ქართულ არმიებში. კრ. ვალერი სილოგავა: მოგონებები, სამეცნიერო სტატიები. თბ. 2011, გვ. 155, შენ. 135. ეს საკითხი თაეის დროსე ავალიშვილმა დასვა („ნუთუ დასაჯერებელია, რომ ქართველთა მეფე მემკვიდრეობით მიღებულ საუნჯეს... არ შეინახავდა საშვილისშვილოდ?“) და მანვე გასცა პასუხი: „ანსოს მიერ შეძენილი ჯვარი ქართველთა მეფისეული ჯვარი კი არ იყო, არამედ მხოლოდ ერთი მისი ნაწილი... „ცხოერების ძელის“ ნაწილები საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იქნებოდა...“ იხ. ზ. ავალიშვილი. ერთი ჯვარის გარშემო. ჯვაროსანთა დროიდან. თბ. 1989, გვ. 14.

[15] ზ. ავალიშვილი. ერთი ჯვარის გარშემო, გვ. 17-21; Letters from the East: Crusaders, Pilgrims and Settlers in the 12th-13th Centuries. Translated by Malcolm Barber and Keith Bate. Aldershot. 2010, გვ. 39-42.

[16] ვრცლად ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

[17] ზ. ავალიშვილი. ერთი ჯვარის გარშემო, გვ. 15, 17, 21.

ლუსის წერილის ამ თარიღს ემყარება.[18] ასევე ანსელუსის წერილის 1108 წლით დათარიღების საფუძველზე მ. მურღულია და ვ. შუშარინი ფიქრობენ, რომ დავით აღმაშენებელი პირველ ცოლს 1106 წელს უნდა გაყროდა, რათა საშუალება ჰქონოდა ათრაქას ასული ცოლად მოეყვანა და ყივჩაღებთან კავშირი დაემყარებინა.[19]

თუ წერილი 1108 წელსაა დაწერილი, ცხადია, რომ დავითის გარდაცვალების საკითხში ანსელუსი ცდება.[20] შედეგად, მკვლევრებს ეჭვი ეპარებათ ქართველთა დედოფლის ვინაობაშიც. საკითხავია, თუ როდის ცდება ანსელუსი, როდესაც დავითს ასახელებს გარდაცვლილად, თუ როცა დავითს მიიჩნევს იერუსალიმს ჩასული ქართველთა დედოფლის მეუღლედ? ეს კითხვა ჟან რიშარმა დასვა, რომლის აზრით, ანსელუსს ან დავითის გარდაცვალების წლები ეშლება, ან კიდევ გიორგი II-ის ქვრივი მიაჩნია მისი შვილის ცოლად.[21] ასე ფიქრობენ და წერილში მოხსენიებული ქართველთა დედოფალი გიორგი II-ის ქვრივად მიაჩნიათ მ. ბარბერს და კ. ბეითს ახლახანს გამოცემულ კრებულში, სადაც წმინდა მიწიდან გამოგზავნილი წერილებია თავმოყრილი. ისინი გიორგი II-ის გარდაცვალების თარიღად დაახლოებით 1100 წელს ასახელებენ.[22] მკვლევართა ამ მოსაზრების გაზიარება ძნელია. გიორგი II ცოცხალი იყო 1104 წელს, რასაც მოწმობს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. ის 1112 წელს უნდა იყოს გარდაცვლილი. „აფაზთა მეფეთა ქრონიკის" მიხედვით ეს თარიღი თედო ჟორდანიამ დაადგინა.[23] ცხადია, რომ გიორგი II-ის გარდაცვალების ანუ 1112 წლის შემდეგ მისი ქვრივი ვერ

[18] ს. ავალიშვილი. ერთი ჯვარის გარშემო, გვ. 15.

[19] М. П. Мургулия, В. П. Шушарин. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках, გვ. 108-110.

[20] ან შეგნებულად უშვებს შეცდომას, როგორც ეს ს. ავალიშვილმა იცარაუდა. იხ. ს. ავალიშვილი. ერთი ჯვარის გარშემო, გვ. 15.

[21] Jean Richard. Quelques textes sur les premiers temps de l'église latine de Jérusalem. Recueil de travaux offerts à M. Clovis Brunel. II. Paris. 1955, გვ. 424, შენ. 2.

[22] Letters from the East, გვ. 40, შენ. 1.

[23] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფ. 1892, გვ. 239-241. თ. ჟორდანიას წაკითხვას ეთანხმება ჯ. ოდიშელიც, იხ. მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა. თბ. 1968, გვ. 23. ამ თარიღს იზიარებენ როინ მეტრეველი და ჯაბა სამუშიაც, იხ. რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ. 2003, გვ. 145-146.

მოასწრებდა საქართველოდან იერუსალიმში ჩასვლას, იქ მრავალგვარი საქმიანობის გაწევას და ქალთა მონასტრის დაარსებას პატრიარქ გიბელინის ხელდასხმით, რომელიც 1112 წლის 6 აპრილს გარდაიცვალა.[24] ასე რომ, გიორგი II-ის ქვრივი ვერ იქნებოდა ის ქართველი დედოფალი, რომელმაც ჯვარი ჩაიტანა იერუსალიმში. ეს ქალბატონი ნამდვილად დავით IV-ის პირველი მეუღლე უნდა იყოს.

მაგრამ არის კი ანსელუსის წერილი მართლაც 1108 წელს დაწერილი, როგორც ამას მიიჩნევდა ზ. ავალიშვილი?

შ. მესხია წერს, რომ „ანსელუსის წერილს მკვლევრები 1108-1109 წლებით ათარიღებენ, მაგრამ, როგორც მისი შინაარსიდან ირკვევა, იგი უფრო დავითის გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს შედგენილი, როგორც ამას თავის დროზე ფიქრობდა ს. ჯანაშია“.[25] ასევე ფიქრობენ რ. მეტრეველი[26] და ჯ. სტეფნაძე,[27] რომლებიც თვლიან, რომ ანსელუსის წერილი დავით IV-ის გარდაცვალების შემდეგაა დაწერილი. შ. ბადრიძე ეთანხმება ზ. ავალიშვილის მოსაზრებას დავითის პირველი და მეორე ცოლის შესახებ და თვლის, რომ ანსელუსის „ეპისტოლეში დავით აღმაშენებელი, შეცდომით, გარდაცვლილადაა ნაგულისხმები“.[28] როგორც ვხედავთ, განხილულ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ანსელუსის არც ერთი წერილი დათარიღებული არ არის. პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ლიტურგიკული წიგნებიდან ჩანს, რომ ანსელუსის ჯვარი დიდი ზეიმით დაასვენეს ნოტრ-დამში 1-ლ აგვისტოს, კვირა დღეს.[29] XVIII საუკუნეში აბატმა ლებეფმა გამოითვალა, რომ 1-ლი აგვისტო 1109 წლის კვირა დღეზე მოდიოდა და ამის მიხედვით დაათარიღა ეს მოვლენა. ამის შემდეგ, XVIII საუკუნიდან მოყოლებული, ყველა ისტორიკოსი, ვისაც

---

[24] ამ თარიღის შესახებ იხ. ქვემოთ.

[25] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი, გვ. 75.

[26] „ანსელუსის წერილი 1108 წლითაა დათარიღებული (ს. ავალიშვილი). თავის დროზე ს. ჯანაშიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ წერილი დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგაა დაწერილი. მართლაც, ანსელუსის წერილის შინაარსი ამას უჭერს მხარს“. რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. თბ. 1986, გვ. 295.

[27] „ანსელუსის მიერ დასახელებული ‘ოგიერთი ფაქტი საეჭვოდ ხდის მისი წერილის თარიღის (1108-1109 წწ.) სისწორეს. ცხადია, იგი 1125 წლის შემდეგ არის დაწერილი“. ჯ. სტეფნაძე. დემეტრე პირველი. თბ. 1990, გვ. 11.

[28] შ. ბადრიძე. საქართველო და ჯვაროსნები. თბ. 1973, გვ. 16-17.

[29] დამატებით იხ. ს. ავალიშვილი. ერთი ჯვარის გარშემო, გვ. 5.

შეხება ჰქონდა ანსელუსის წერილებთან, 1109 წლით ათარიღებდა ჯვრის ჩამოსვლას და მგზავრობის დროის გათვალისწინებით, 1108 წლით – წერილს.[30]

პირველი, ვინც ზუსტად დაადგინა მოვლენათა თარიღები, იყო ფრანგი მკვლევარი ჟ. ბოტიე. მან გამოიკვლია, რომ 1-ლი აგვისტო კვირა დღე იყო 1115 და 1120 წლებშიც და, შესაბამისად, მხოლოდ ეს ფაქტი დათარიღების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ გადამწყვეტი აღმოჩნდა იმ პირთა დადგენა, ვისაც ანსელუსი იხსენიებს თავის წერილში. ანსელუსის ადრესატები სახელის მხოლოდ პირველი ასოებით არიან მოხსენიებულნი, მაგრამ მათი ვინაობის დადგენა მაინც შესაძლებელია. ანსელუსი მიმართავს პარიზის ეპისკოპოსს გ.-ს, ვისაც ადრე აიგივებდნენ გალონთან (პარიზის ეპისკოპოსი 1104-16 წლებში). მაგრამ ის შეიძლება ყოფილიყო გერბერტიც (1116-1124), და მისი მემკვიდრე გიიომიც.[31] სხვებთან ერთად, ანსელუსი თავისი წერილის დასაწყისში მიმართავს არქიდიაკვან (მთავარდიაკვან) რ.-ს. არქიდიაკვანი რენო უტყუარად ჩანს 1094-1119 წლებში, მისი მონაცვლე ტიბო კი 1122 წლის დასაწყისიდან იხსენიება. ასე რომ, წერილი 1122 წელს ვერ გასცდება. წერილში ასევე იხსენიება იერუსალიმის პატრიარქი ვარმუნდი (1118-28) ანუ წერილი დაწერილია 1118-22 წლებში. თუკი გავითვალისწინებთ, რომ 1-ლი აგვისტო კვირას ემთხვევა 1120 წელს, დავადგენთ, რომ ჯვარი პარიზში 1120 წელს ჩამოვიდა.[32] ამას ანსელუსის სიტყვებიც ადასტურებს, რომელიც თავის წერილში იხსენებს, რომ 24 წელია, რაც დატოვა პარიზი და თავისი საძმო.[33] ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ანსელუსი 1096 წელს გაჰყვებოდა ჯვაროსნების პირველ ტალღას.[34] ამდენად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ანსელუსის პირველი წერილი 1120 წელსაა დაწერილი. მეორე წერილი, რომელიც წმინდა ჯვრის ნა-

[30] Geneviève Bautier. L'envoi de la relique de la Vraie Croix à Notre-Dame de Paris en 1120. Bibliothèque de l'école des chartes. 129. 1971, გვ. 388-389.

[31] გიიომი გაასწორებდა ანსელუსის შეცდომას დავითის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, თუკი ჩვენ მივიჩნევდით, რომ ეს წერილი მართლაც დავითის გარდაცვალების შემდეგ და გიიომის ეპისკოპოსობის დროს დაიწერა. ასეთ შემთხვევაში დავითის ქვრივი მისი მეორე ცოლი, ყივნაღი გურანდუხტი იქნებოდა. მაგრამ ამ მოსაზრებას აქარწყლებს ის, რომ არქიდიაკვანი რ. (რენო) 1122 წლის შემდეგ არ ჩანს.

[32] Geneviève Bautier. L'envoi de la relique de la Vraie Croix, გვ. 389-390.

[33] ავალიშვილის პუბლიკაციაში ეს მონაკვეთი გამოტოვებულია.

[34] Geneviève Bautier. L'envoi de la relique de la Vraie Croix, გვ. 391.

წილების შესახებ დამატებით ინფორმაციას შეიცავს, ჯვრის ფორმის უფლის საფლავის ქვასთან ერთად, ალბათ, 1121 წელსაა ანსელუსის მიერ გაგზავნილი.[35]

წერილში აღწერილი მოვლენების მიხედვით შეგვიძლია ჯვრის გაყიდვის თარიღიც გამოვითვალოთ. წმინდა ჯვარი გაიყიდა მაშინ, როდესაც იერუსალიმის სამეფოში შიმშილმა დაისადგურა და ქართველ მონაზონთა დასი შეაწუხა. ჯვაროსნული დოკუმენტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ამ შიმშილობის წლები. 1120 წლის 16 იანვარს დაწერილი ნაბლუსის კრების ძეგლისდების შესავალი მოგვითხრობს, რომ ამ დროისათვის კალიისა და მღრღნელების შემოსევის გამო იერუსალიმის სამეფოში უკვე 4 წელია შიმშილი მძვინვარებდა, რამაც მიწების გაჩანაგება და მრავალთა სიკვდილი გამოიწვია.[36] იმავეს ვკითხულობთ 1120 წელს სანტიაგო დე კომპოსტელას არქიეპისკოპოსისადმი იერუსალიმის პატრიარქ ვარმუნდის მიერ გაგზავნილ წერილში, საიდანაც იმასაც ვიგებთ, რომ იერუსალიმში 4 წლის განმავლობაში წვიმა არ მოსულა და მოსავალი მცირე იყო.[37] ეს ნიშნავს, რომ ოთხი წლის განმავლობაში, 1116-1119 წლებში, იერუსალიმის სამეფოში შიმშილი სუფევდა და, რომ ჯვარი 1116-1119 წლებში უნდა გაყიდულიყო. უფრო კი – 1119 წელს, რადგან 1120 წელს ის უკვე საფრანგეთშია. ანსელუსის ხასიათიდან გამომდინარე, ის არ დააყოვნებდა ჯვრის საფრანგეთში გაგზავნას. საქმე ისაა, რომ ანსელუსს ენატრებოდა საკუთარი ცხოვრების პარიზული ხანა, როგორც ვარაუდობენ, უკან დაბრუნებაც სურდა[38] და ჯვრის მოპოვებისთანავე, არ უნდა დაეხანებინა თანამემამულეთათვის მისი გაგზავნა და თავის შეხსენება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ანსელუსის წერილის საფუძველზე შესაძლებელია ქართველთა დედოფალყოფილის იერუსალიმში ყოფნის პერიოდის დადგენა. პირველ წერილში ანსელუსი წერს, რომ დედათა მონასტრის დაარსებისათვის ამ ქალბატონს პატრიარქ გიბელინისაგან მიუღია

---

[35] Geneviève Bautier. L'envoi de la relique de la Vraie Croix, გვ. 392. ეს მონაკვეთიც, საფლავის ქვის შესახებ გამოტოვებულია ავალიშვილის მიერ.

[36] Benjamin Z. Kedar. On the Origins of the Earliest Laws of Frankish Jerusalem: The Canons of the Council of Nablus, 1120. Speculum. Vol. 74, No. 2. 1999, გვ. 331.

[37] Benjamin Z. Kedar. On the Origins of the Earliest Laws of Frankish Jerusalem, გვ. 331, შენ. 98; Jean Richard. Quelques textes, გვ. 428; Letters from the East, გვ. 42-43.

[38] Geneviève Bautier. L'envoi de la relique de la Vraie Croix, გვ. 393-394.

კურთხევა. გიბელინ დე საბრანი (1045-1112 წწ.) არლის არქიეპისკოპოსი იყო 1080 წლიდან.[39] 1107 წელს რომის პაპმა პაშალ II-მ ის თავის ლეგატად დანიშნა და პალესტინაში გააგზავნა იერუსალიმის მეფე ბალდუინ I-სა და პატრიარქ ევრემარს შორის არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად. სინოდის მსვლელობისას გიბელინი დათანხმდა ბალდუინის წინადადებას და პატრიარქად მას აირჩევენ.[40] გიბელინი გარდაცვალებამდე (1112 წ.) იერუსალიმის პატრიარქი იყო.[41] გიბელინის პატრიარქად არჩევის ზუსტი დრო დადგენილი არ არის. თითქოსდა ეს 1108 წელს უნდა მომხდარიყო, როდესაც მან იერუსალიმში ჩაიტანა 1107 წლის დეკემბრით დათარიღებული პაპის წერილი. ზუსტად ვიცით, რომ 1111 წლის 2 იანვარს რომის პაპი პაშალ II არლის მცხოვრებთ წერილს უგზავნის და ახალი არქიეპისკოპოსის არჩევას უბრძანებს. ეს ნიშნავს, რომ 1110 წელს მაინც გიბელინს უკვე მყარად ეპყრა იერუსალიმის პატრიარქის ტახტი.[42] ბერნარდ ჰამილტონი გიბელინის პატრიარქობას 1108-1112 წლების შუალედში ათავსებს,[43] რადგანაც თვლის, რომ ის პატრიარქად 1108 წლის კრებაზე აირჩიეს.[44] ჰამილტონი ეყრდნობა ალბერტ აახენელს, რომელიც აღნიშნულ მოვლენებს თითქოსდა მართლაც 1108 წლის მანძილზე მოგვითხრობს.[45] მაგრამ ჰანს ებერჰარდ მაიერის დეტალურმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ეს თარიღი უნდა გადაისინჯოს. გიბელინი წმინდა მიწაზე, მართლაც, 1108 წელს ჩადის. 1109 წელს ის ჯერ კიდევ როგორც არქიეპისკოპოსი აწერს ხელს.[46] საბუთზე კი, რომელიც 1109 წლის 1-ელ სექტემბრიდან 1110 წლის 24 მარტს შორის არის დაწერილი,

[39] Jean-Pierre Papon. Histoire générale de Provence. Tome Premier. Paris, 1778. გვ. 308.

[40] Steven Runciman. A History of the Crusades: The Kingdom of Jerusalem. Vol. 2. London. 1952, გვ. 84-5.

[41] გიბელინი გარდაიცვალა 1112 წლის 6 აპრილს. Regesta regni Hierosolymitani, 1097-1291. Ed. Reinhold Röhricht. Innsbruck. 1893, გვ. 14.

[42] ამ თარიღისათვის იხ. John Gordon Rowe. Paschal II and the Relation between the Spiritual and Temporal Powers in the Kingdom of Jerusalem. Speculum. Vol. 32, no. 3. 1957, გვ. 488, შენ. 92.

[43] Bernard Hamilton. The Latin Church in the Crusader States. London. 1980, გვ. 373.

[44] Bernard Hamilton. The Latin Church in the Crusader States, გვ. 57.

[45] Albert of Aachen. Historia Ierosolimitana: History of the Journey to Jerusalem. Ed. and trans. by Susan B. Edgington. Oxford. 2007, გვ. 772-773.

[46] Regesta regni Hierosolymitani, Additamentum. Ed. Reinhold Rohricht. Innsbruck. 1904, გვ. 3-4, შენ. 56a.

ის უკვე ხელს აწერს, როგორც „გიბელინი, არლის არქიეპისკოპოსი, პაპის ლეგატი და არჩეული პატრიარქი“.[47] ეს ნიშნავს, რომ ამ დროისათვის გიბელინი უკვე არჩეულია პატრიარქად, თუმცა ჯერ კიდევ არ არის ნაკურთხი.[48] 1110 წლის ზაფხულში გიბელინი უკვე ნაკურთხ პატრიარქად გვევლინება.[49] ამდენად, პატრიარქ გიბელინის მიერ ქართველ დედათა მონასტრისათვის ნებართვის გაცემას ადგილი უნდა ჰქონოდა 1109-1112 წლებში. მართალია, 1109 წელს იგი ნაკურთხი არ იყო, მაგრამ მაინც პატრიარქად ითვლებოდა.

ახლა უკვე შეგვიძლია ზოგად კონტურებში აღვადგინოთ დავით IV-ის პირველი ცოლის იერუსალიმში მოღვაწეობის ხანა. ვიცით, რომ 1109-1112 წლებში ის უკვე იერუსალიმში იმყოფებოდა. იერუსალიმში ის მანამდეც ცხოვრობდა გარკვეული ხანი, რომლის დროსაც ქველმოქმედებას ეწეოდა. 1109-1112 წლებში დედოფალყოფილი აარსებს ქართველ დედათა მონასტერს, რომლის საჭიროებისათვის 1116-1119 წლებში, უფრო კი 1119 წელს იძულებულია შეელიოს ძვირფას რელიკვიას – წმინდა ჯვარს. რაც მთავარია, ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს დაახლოებით დავადგინოთ ის პერიოდი, როდესაც აღმაშენებელი პირველ მეუღლეს გაშორდა. თუ გავითვალისწინებთ დროს, რომელიც დასჭირდებოდა საქართველოდან იერუსალიმამდე მგზავრობას,[50] იქაურ საქველმოქმედო საქმიანობას, შემდეგ მონაზონთა შემოკრებას და ნებართვის აღებას ლათინთა პატრიარქისაგან, ყველაფერ ამას სულ ცოტა 2-3 წელი მაინც დასჭირდებოდა. ამდენად, გარკვეული ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1106-1109 წლებში დავით IV ცოლს უკვე გაშორებული იყო.

კიდევ ერთი საბუთი, ამჯერად უკვე საქართველოდან, ეთანხმება და უფრო აზუსტებს ზემოთ მოყვანილ თარიღს. 1104 წელს შემდგარი რუის-

---

[47] "Gibelino Arelatenssi archiepiscopo, sedis apostolice vicario, in patriarcham electo." Regesta regni Hierosolymitani, 1097-1291, გვ. 13, შენ. 59; Die Urkunden der lateinischen Könige von Jerusalem. Bearbeitet von Hans Eberhard Mayer. Hannover. 2010, გვ. 164.

[48] ჰ. მაიერის აზრით, გიბელინი პატრიარქად 1109 წლის ბოლოს აირჩიეს. Die Urkunden der lateinischen Könige von Jerusalem, გვ. 153-154.

[49] გიბელინის პატრიარქად არჩევის თარიღისათვის, დაწვრილებით იხ. Hans Eberhard Mayer. Bistümer, Klöster und Stifte im Königreich Jerusalem. Stuttgart. 1977, გვ. 45-46.

[50] ეს მოგზაურობა ხღვით და კონსტანტინოპოლის გაელით უნდა შემდგარიყო.

ურბნისის კრების ძეგლისწერაში,[51] რომელსაც თან ერთვის მრავალრიცხოვანი მოსახსენებელნი, არსად ჩანს დავით აღმაშენებლის ცოლის სახელი მაშინ, როდესაც მასში მოხსენიებული არის გიორგი II-ის და დედოფალი მართა, აგრეთვე გიორგი II-ის ბებია, უკვე გარდაცვლილი დედოფალი მარიამი.[52] ეს ნიშნავს, რომ 1104 წელს, კრების ჩატარების დროს, დავითი უცოლოა. სხვანაირად შეუძლებელია მისი მეუღლე, საქართველოს დედოფალი არ მოეხსენიებინათ ძეგლისწერაში მაშინ, როცა მასში ორი დედოფალი, გარდაცვლილი მარიამი და ბიზანტიაში გათხოვილი მართაც კი არის ნახსენები. ესე იგი ამ დროისათვის დავითი უკვე გაცილებულია თავის პირველ მეუღლეს, ხოლო მეორე კი ჯერ კიდევ არა ჰყავს მოყვანილი. გურანდუხტთან ქორწინება რუის-ურბნისის კრების შემდეგ უნდა ვივარაუდოთ. მაგრამ ამ ქორწინებას ძალიან შორსაც ვერ გადავდებთ, რადგან წარმოუდგენელია, დავით IV-ს ჯერ ცოლი გაეშვა და შემდეგ დაეწყო მეორე მეუღლის ძებნა. ცხადია, ყივჩაღებთან დამოყვრება უკვე გადაწყვეტილი იყო, როდესაც აღმაშენებელი პირველ ცოლს გაეყარა. მეფის მეორე ქორწინება 1104 წლის ბოლოს ან 1105 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

ამ ახალი თარიღის გათვალისწინებით, გადავხედოთ დავით IV-ის ოჯახის სხვა წევრებსაც. დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ტახტის მემკვიდრე დემეტრე დავითს პირველი ცოლისგან შეეძინა. ასევე ქართულ ისტორიოგრაფიაში დემეტრეს ღვიძლ დებად არის მიჩნეული აღმაშენებლის ორი ასული – თამარი და კატა (კატაი). ნ. ასათიანს გამოკვლეული აქვს, რომ დავით აღმაშენებლის უფროსი („პირმშო") ასული თამარი დაბადებულია 1190-იანი წლების დასაწყისში და 1105 ან 1106 წლის დამდეგს შირვანშია გათხოვილი, დემეტრე კი, ჩანს, 1095-96 წლებში დაიბადა.[53] შირვანელი პოეტის ფალაქის კასიდის (ოდის) მიხედვით, ჯ. სტეფნაძე აზუსტებს დემეტრეს დაბა-

[51] ერცლად რუის-ურბნისის კრების თარიღისათვის იხ. რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. თბ. 1986, გვ. 119-122, სადაც დამაჯერებლად არის დასაბუთებული მოცემული თარიღი. იხ. აგრეთვე რ. მეტრეველი. ქრონოლოგიის საკითხები. თბ. 2002, გვ. 21-25; მისივე. 2004 წელი – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავი. თბ. 2002, გვ. 8-15.

[52] ძეგლისწერაი რუის-ურბნისის კრებისაი, გვ. 126.

[53] ნ. ასათიანი. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 125. 1968, გვ. 26-29, შენ. 2.

დების თარიღს და მას 1093 წელს დაბადებულად მიიჩნევს.[54] რაც შეეხება თამარს, ჯ. სტეფნაძეც თვლის, რომ ის 1090-92 წლებში დაიბადა.[55]

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით მეფის (მეორე) ასული კატა (კატაი) ბიზანტიაში გაათხოვეს.[56] მან ბერძნული სახელი ევდოკია მიიღო და ცოლად გაჰყვა ალექსი კომნენს, ანა კომნენას და ნიკიფორე ვრიენოსის ვაჟს.[57] დავითის ისტორიკოსის თანახმად, ეს მოხდა 1116 წელს.[58] ბიზანტიელი ისტორიკოსის იოანე ზონარას ცნობა, რომელიც დეტალების სიუხვით გამოირჩევა, შესაძლებლობას გვაძლევს ეს თარიღი დავაზუსტოთ და ეჭვმიუტანლად დავადგინოთ, რომ კატაის გათხოვება 1118 წელს მოხდა.[59]

საინტერესოა, რომ კატაი ყივჩაღური სახელია. კიტაი ანუ კატაი იყო რუსი მთავრის, დედით ყივჩაღი ანდრეი ბოგოლიუბსკის (-1174 წ.) შინაურული, ნათლობამდელი სახელი.[60] პიტერ გოლდენის მიხედვით, ეთნიკური სახელი თურქულ სამყაროში ხშირად გამოიყენებოდა, როგორც საკუთარი სახელი. მაგალითად, რუსული წყაროების *კიტანოპა* ყივჩაღური დაჯგუფების სა-

---

[54] ჯ. სტეფნაძე. დემეტრე პირველი, გვ. 5-7. ფალაქი შირვანის ამ კასიდის შესახებ ვრცლად იხ. გ. ბერაძე. ფალაქი შირვანის ერთი უნიკალური კასიდის შესწავლის ისტორიიდან. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. 4. 1975, გვ. 168-174.

[55] ჯ. სტეფნაძე. დემეტრე პირველი, გვ. 12.

[56] „და მასვე წელსა ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი – ერთი აღმოსაღლეთს, ხოლო მეორე დასაღლეთს – ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი.“ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 334.

[57] უფრო დაწერილებით იხ. Р.М. Шукуров. Великие Комнины и Восток (1204-1461). СПб. 2001, გვ. 73.

[58] ის ქრონიკონით სამასოცდათექვსმეტ წელს აგვიწერს ტაოში ჩამომდგარი თურქების ამოულეტას და იქვე მიუთითებს, რომ ამავე წელს („და მასვე წელსა“) მეფემ საბერძნეთს გაათხოვა თავისი მეორე ასული. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 334.

[59] დაწერილებით ამ თარიღის შესახებ იხ. ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნა). თსუ შრომები. ტ. 125. 1968, გვ. 113-115; აგრეთვე, ი. ლიუბარსკის შენიშვნა, სადაც ზონარას ცნობა მთლიანადაა მოყვანილი. Анна Комнина. Алексиада. перевод, комментарий и статьи Я. Н. Любарского. СПб. 2010, გვ. 593, შენ. 1591.

[60] С. В. Гуркин. К вопросу о русско-половецких матримониальных связях. Донская археология. 2. 1999, გვ. 46.

ხელიც იყო და ამავე დროს საკუთარი სახელიც – *კიტანი*.[61] კიტაი (ხიტაი) ხანი ერქვა ხვარაზმშაჰ ათსიზის (1128-1156 წწ.) ვაჟს, რომელთაც ყივჩაღებთან ახლო ნათესაური კავშირები ჰქონდათ.[62] პიტერ გოლდენის მოწმობით, *კიტაი, კატაი, ხიტაი* არ გვხვდება ოღუზურ თურქულ სახელებში, რაც გამორიცხავს დავით აღმაშენებლის ასულის სახელის სელჩუკურიდან სესხებას. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ სახელის მქონე კლანები და დაჯგუფებები მხოლოდ ყივჩაღური წარმოშობის მქონე ხალხებში გვხვდება.[63] შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ კატას (კატაის) სახელი ყივჩაღურია და ის გურანდუხტისაგან შეეძინა დავითს, მაგრამ ასეთ ვარაუდს ხელს უშლის ის გარემოება, რომ ბაგრატიონთა ოჯახში ეს სახელი ადრეც გვხვდება: გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) ერთ-ერთ ასულს კატა ჰქვია.[64] შესაძლოა, აქ ერთმანეთს გადაეჯაჭვა ბაგრატიონთა სახლის ტრადიცია და ყივჩაღური სახელი, მაგრამ უფრო საფიქრელია, რომ საქმე უბრალო დამთხვევასთან გვაქვს.

მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია, რომ კატა გურანდუხტის ასული იყოს. ჯ. სტეფნაძის მიხედვით, დავით IV-ს, თამარისა და კატას გარდა, კიდევ ჰყავდა ასული, რომელიც თამარის პირველი ისტორიკოსის თანახმად, ოსეთში იყო გათხოვილი.[65] მასვე ეკუთვნის ერთი საინტერესო დაკვირვება დავით აღმაშენებლის ანდერძთან დაკავშირებით. მომაკვდავი დავითი თავის მემკვიდრე დემეტრეს მიმართავს და თავის მეუღლესა და შვილებს ანდობს: „და მივანდუ6ნ შჳლნი და დედოფალიცა, შუამდგომელობითა ღმრთისაჲთა, რაჲთა ძმაჲ მისი გაზარდოს და ... დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შჳლთა ჩემთა საყუარელთა“.[66] მკვლევრის აზრით, „ის ქალიშვილები, რომლებზეც ასე მონდომებით ზრუნავს დავითი, გურანდუხტის ხელში შეძენილე-

[61] Peter B. Golden. The Polovci Dikii. Harvard Ukrainian Studies. 3-4. Cambridge. 1979-80, გვ. 302, შენ. 37.

[62] László Rásonyi and Imre Baski. Onomasticon Turcicum. Turkic Personal Names. Indiana University Uralic and Altaic Series. Vol. 172/II. Bloomington. 2007, გვ. 459.

[63] პიტერ გოლდენი. პირადი მიმოწერა აეტორთან. 13 თებერვალი, 2012.

[64] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 291.

[65] ჯ. სტეფნაძე. დემეტრე პირველი, გვ. 15; ისტორიანი და აზმანი შარაჲანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 46.

[66] ანდერძი დავით მეფისა. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 62.

ბი უნდა ყოფილიყვნენ. აქ მხოლოდ დემეტრეს ნახევარდები უნდა იგულისხმებოდნენ. დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი დემეტრეს სხვა დაზე (და შეიძლება დებზე) ლაპარაკის უფლებას გვაძლევს. ანდერძიდან ჩანს, რომ დავითსა და გურანდუხტს ერთზე მეტი ქალიშვილი შესძენიათ".[67] გურანდუხტისაგან ნაშობ დავით IV-ის კიდევ ერთ ასულს ჩვენ არ ვიცნობთ. არ არის გამორიცხული, ანდერძში მოხსენიებული დემეტრეს მეორე ნახევარდა კატაი იყოს. ამას ხელს უწყობს კატას ასაკიც. 1118 წელს ბიზანტიაში გათხოვილი კატაი სულ მცირე 12 წლის მაინც უნდა ყოფილიყო;[68] თუ კატა მართლაც გურანდუხტის ასულია, ის შეიძლება დაბადებულიყო 1105 წლის ბოლოს და 1118 წლისათვის უკვე 13 წლის იქნებოდა, რაც მისაღები ასაკია გათხოვებისათვის. კატა რომ პირველი ცოლისაგან ჰყოლოდა დავითს, 1118 წლისათვის მისი ასაკი 16-18, რეალურად კი 20 წელზე მეტიც იქნებოდა, რაც ცოტა არ იყოს, საეჭვოა. როგორც წესი, მეფის ასულებს ადრეულ ასაკში და პოლიტიკური გათვლით ათხოვებდნენ. რომ შევაჯამოთ, აღმაშენებელს მეორე ცოლი მოყვანილი უნდა ჰყავდეს 1104-1105 წლების მიჯნაზე და, შესაძლოა, კატა ამ კავშირის ნაყოფი იყოს.

მოვლენათა ასეთ რეკონსტრუქციას საერთაშორისო ვითარების ანალიზიც არ ეწინააღმდეგება. დავით აღმაშენებელს მართლაც შეეძლო ყივჩაღებთან კავშირი 1104 წლამდე დაემყარებინა. მ. მურღულია და ვ. შუშარინი, რომლებიც რუს მთავრებსა და ყივჩაღებს შორის ბრძოლის საკმაოდ დაწვრილებით სურათს იძლევიან, ფიქრობენ, რომ ათრაქას ურდო 1095 წლის შემდეგ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გადასულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში.[69] სწორედ ამ წლიდან აქტიურდება ვლადიმერ მონომახისა და სხვა რუს მთავართა ბრძოლა ყივჩაღთა წინააღმდეგ. ვოლინელი მემატიანე, რომლის 1201 წლის თხზულება დაცულია იპატის ნუსხაში, მოგვითხრობს ვლადიმერ მონომახის მიერ ყივჩაღების დამარცხებაზე, ოტროკის (ათრაქა შარაღანის ძის)

[67] ჯ. სტეფნაძე. დემეტრე პირველი, გვ. 15.

[68] რუის-ურბნისის კრების დადგენილებით, გასათხოვარი ქალის ასაკი 12 წლიდან ითვლებოდა: „და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროსი ნუმცა შეეოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა". ძეგლისწერაი რუის-ურბნისის კრებისაი. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 118. თავისთავად, ეს დადგენილება მიუთითებს, რომ 12 წელზე ადრე გათხოვებასაც ხშირად ჰქონდა ადგილი.

[69] М. П. Мургулия, В. П. Шушарин. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках, გვ. 72.

ურდოს საქართველოში განდევნაზე, რომელიც მხოლოდ მონომახის სიკვდილის (1125 წ.) შემდეგ ძმის (სირჩანის) მიწვევით დაბრუნდა უკან რუსეთის სტეპებში.[70] მემატიანის ეს ცნობა, რომელიც ზოგადად სწორად გადმოგვცემს მოვლენების მსვლელობას, დაზუსტებას საჭიროებს. რუსი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ვლადიმერ მონომახის გამარჯვებები ყივჩაღებზე და მისი ლაშქრობების შედეგები გადაჭარბებულია მემატიანის მიერ.[71] მ. მურღულიასა და ვ. შუშარინის აზრით, რუსი მემატიანის გვიანდელი მოწმობა მეტად ზოგადად და გაზვიადებულად გადმოგვცემს ვლადიმერ მონომახის როლს ყივჩაღთა წინააღმდეგ ბრძოლაში.[72] რიგი დამარცხებების მიუხედავად, ყივჩაღთა გაერთიანებები მთელი XII საუკუნის განმავლობაში განაგრძობდნენ ცხოვრებას თავიანთი განსახლების ადგილებში, რაც არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. ადგილზე რჩება ყივჩაღთა დონის გაერთიანებაც, ათრაქას ძმის, სირჩანის მეთაურობით, რასაც იგივე მატიანეც ადასტურებს.[73] ასე რომ, არ იქნება სწორი, მემატიანის მიერ აღწერილი ათრაქას გადასახლება საქართველოში, რომელიც ნამდვილად მოხდა, მონომახს მივაწეროთ, მას ხელი აქამდე არ მიუწვდებოდა. ყივჩაღების „განდევნა“ დონის ველებიდან (სევერსკი დონეციდან) აშკარა მატიანესეული გადაჭარბებაა. ი. და გ. ფიოდოროვების აზრით, ათრაქა ჩრდილო კავკასიის ტერიტორიებმა მიიზიდა და ის სულაც არ ყოფილა დევნილი და უძლური. მათი საფუძვლიანი მოსაზრებით, ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფ ყივჩაღ ხანთან კავშირს დავით აღმაშენებელი არ დაიჭერდა.[74] ი. ზელენსკიც ფიქრობს, რომ ყივჩაღთა მარცხი რუსულ მატიანეებში გადაჭარბებულად არის შეფასებული. მის მიერ გამოთქმული საყურადღებო მოსაზრების თანახმად, შესაძლოა, ათრაქა ჩრდილო კავკასიისაკენ ახალ-

[70] Ипатьевская летопись. Полное собрание русских летописей. Т. 2. СПб. 1908, გვ. 716; ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 189-194.

[71] С. В. Гуркин. Степное Предкавказье в системе половецких степей. Античная цивилизация и варварский мир. Краснодар. 2000, გვ. 110.

[72] М. П. Мургулия, В. П. Шушарин. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках, გვ. 69.

[73] М. П. Мургулия, В. П. Шушарин. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках, გვ. 70-71.

[74] Я. А. Федоров, Г. С. Федоров. Ранние тюрки на Северном Кавказе. М. 1978, გვ. 242-243. ამ მოსაზრებას ს. გურკინიც იზიარებს. С. В. Гуркин. Степное Предкавказье в системе половецких степей, გვ. 110.

გაზრდა მეომრებს გაუძღვა.[75] საგულისხმოა, რომ ათრაქას სახელი ერთხელაც არ მოიხსენიება რუს-ყივჩაღთა ბრძოლების აღწერისას, ის არ ჩანს არც თავდამსხმელ და არც დამარცხებულ მხარედ.[76] შესაძლოა, ათრაქა, თავისი ურდოსთვის თავისუფალი სივრცეების ძებნამ, რუსულ საზღვარზე დაძაბულ სიტუაციასთან ერთად, აიძულა გადაენაცვლა კავკასიის მთისწინეთში.

ჩრდილო კავკასიის ველებზე და კავკასიის მთისწინეთში ყივჩაღების ყოფნას XI-XII საუკუნეებში არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს. ყივჩაღთა განსახლების ადგილების დადგენა რუსული წყაროების მიხედვით პირველად კ. კუდრიაშოვმა სცადა.[77] არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით, გ. ფიოდოროვ-დავიდოვმა მისი ჩამონათვალი რუს მემატიანეთა ყურადღების მიღმა დარჩენილი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიით და ვოლგისპირეთით შეავსო.[78] ყუბანსა და მანიჩს შორის არსებული სტეპები დეშთ-ი-ყიფჩაღის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა, სადაც ჩრდილოკავკასიელ ყივჩაღთა ძირითადი ნაწილი სახლობდა. მათი განსახლების სამხრეთი საზღვარი ღრმად იყო შეჭრილი კავკასიის მთისწინეთში და სტოროჟევაია-ზელენჩუკსკაია-კუბინა-პიატიგორსკი-ყალმუხთა სტეპების ხაზზე გადიოდა.[79] XI-XII საუკუნეების მიჯნით თარიღდება მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირზე, X-XI საუკუნეების ალანურ ნაქალაქარზე აღმოჩენილი ყივჩაღური სამარხები.[80] სტავროპოლის მხარეში

---

[75] Ю. В. Зеленский. Структура войска у половцев Предкавказья. Магистериум. 2. 2004, გვ. 54-55.

[76] მართალია, ბ. რიბაკოვი მოხიმახის მიერ დამარცხებულ ყივჩაღ ხანთა შორის ოტრაკსაც (ათრაქას) ასახელებს, მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა, რაზეც სამართლიანად მიუთითა ა. კარსანოვმა. Б. А. Рыбаков. «Слово о полку Игореве» и его современники. М. 1971. გვ. 78; А. Н. Карсанов. Об одном известии Ипатьевской летописи. Аланы: история и культура. Alanica III. Владикавказ. 1995, გვ. 390-391.

[77] К. В. Кудряшов. Половецкая степь. М. 1948, გვ. 123-138.

[78] Г. А. Федоров-Давыдов. Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов. Москва. 1966, გვ. 147-149.

[79] Т. М. Минаева. К вопросу о половцах на Ставрополье по археологическим данным. Материалы по изучению Ставропольского края. Вып. 11. Ставрополь. 1964, გვ. 189-190.

[80] Т. М. Минаева. К вопросу о половцах на Ставрополье по археологическим данным, გვ. 167-172.

სხვაც მრავალი ყივჩაღური სამარხია ნაპოვნი, მხოლოდ ანაპასთან ექვსი ასეთი ყორღანია გათხრილი.[81] გარდა ამისა, სტავროპოლის მხარე მოფენილია ყივჩაღთათვის დამახასიათებელი ქვის ქანდაკებებით.[82] XI საუკუნის ბოლოს ჩრდილო კავკასიაში ყივჩაღთა შემოჭრაზე მეტყველებს ალანთა მრავალი გაუკაცრიელებული დასახლება, სადაც სიცოცხლე სწორედ XI საუკუნეში წყდება. ამ პროცესის პარალელურად, შეიმჩნევა ალანთა მიგრაცია კავკასიონის კალთებისაკენ, რაც ყივჩაღთა მოძალებითაა გამოწვეული.[83] ადიღეს ტერიტორიაზე არსებული ყივჩაღური სამარხებიც ადგილობრივ მიწათმოქმედ მოსახლეობაში მომთაბარეთა შეღწევაზე მიუთითებს.[84] ი. ზელენსკის აზრით, აულ კუბინასთან ნაპოვნი სამი ყივჩაღური სამარხი XI საუკუნის ბოლოს, უფრო კი XII საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება და ათრაქას ურდოს საქართველოში გადასახლებას უკავშირდება.[85] ს. გურკინიც თვლის, რომ ათრაქას ყივჩაღები XII საუკუნის პირველ ათწლეულში უკვე იმყოფებოდნენ კავკასიის მთისწინეთში.[86] როგორც ვხედავთ, XII საუკუნის დასაწყისში ათრაქას ურდოს მართლაც შეეძლო გადაენაცვლა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ათრაქასა და დავით IV-ს შორის კონტაქტი იოლი და აქტუალური გახდებოდა.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ერთი რამ შეიძლება დავასკვნათ უტყუარად. დავით აღმაშენებელი არა მარტო მიმდინარე გეგმებს და მათ განხორციელებას აქცევდა ყურადღებას, არამედ დაჯილდოებული იყო შორეული გათვლის უნარითაც. მეფის გეგმები მხოლოდ ხვალინდელ დღეზე არ იყო გათვლილი, მას ათეული წლებით ადრე შეეძლო დაეგეგმა პოლიტიკური ნაბიჯი და შემდეგ მოთმინებით ეცადა განზრახულის განხორციელებისათვის.[87]

---

[81] Т. М. Минаева. К вопросу о половцах на Ставрополье по археологическим данным, გვ. 172-175.

[82] Т. Т. М. Минаева. К вопросу о половцах на Ставрополье по археологическим данным, გვ. 175-188.

[83] Т. М. Минаева. К вопросу о половцах на Ставрополье по археологическим данным, გვ. 190-192.

[84] Н. В. Малиновская. Колчаны XIII-XIV вв. с костяными орнаментированными обкладками на территории евразийских степей. Города Поволжья в средние века. М. 1974, გვ. 167.

[85] Ю. В. Зеленский. Погребальный обряд у половцев степного Прикубанья и Восточного Закубанья. Древности Кубани. 16. 2000, გვ. 41.

[86] С. В. Гуркин. Степное Предкавказье в системе половецких степей, გვ. 111.

[87] საინტერესოა იმის გააზრებაც, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნის დასაწყისში დავით IV არა მარტო სელჩუკების საქართველოდან განდევნას

ასეთ სტრატეგიულ ჩანაფიქრთა რიგს მიეკუთვნება ყივჩაღთა საქართველოში ჩამოყვანაც, რომელიც დავით IV-მ, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ 1104 წელს დაგეგმა და მხოლოდ 1118 წელს განახორციელა, როდესაც ამისთვის ხელსაყრელი ჟამი დადგა.[88]

გეგმავდა, არამედ კავკასიაში ჰეგემონობისათვის საბრძოლველადაც ემზადებოდა, რისთვისაც სჭირდებოდა კიდეეაც მას ყივჩაღები.

[88] ჩანაფიქრსა და მის რეალიზაციას შორის გასული დროის დიდი შუალედი შემდეგ ვითარებას უნდა გამოეწვია: უპირველესად, ქართული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო მზად და ისე მომძლავრებული, რომ ზედმეტი კატაკლიზმების გარეშე გადაეტანა თურქთა კიდეე ერთი მომთაბარე ტომის ჩამოსახლება, ქართული არმია კი, თავისი შინაარსით ფეოდალურ-რაინდული, ისეთ დონეზე უნდა ყოფილიყო, რომ მასში მსუბუქი, მობილური ელემენტის ინტეგრირებას მაქსიმალურად დადებითი შედეგი გამოეღო. არც 1104 წლისათვის და არც მოგვიანებით, ასეთი პირობები საქართველოში არ არსებობდა, განსხვავებით 1118 წლისგან, როდესაც საქართველო, თბილისისა და დმანისის გარდა, პრაქტიკულად უკვე შემოერთებული იყო და არმიაც – მრავალ ბრძოლებში ნაცადი. ამაში დავით აღმაშენებელი, საბოლოოდ, 1117 წელს უნდა დარწმუნებულიყო, როდესაც საბრძოლო მოქმედებები საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაიტანა, და სელჩუკთა მოხარკე შირვანი დალაშქრა და ქალაქორის ციხე აიღო. შირვანისა და ამიერკავკასიის გაშლილ სივრცეებზე კი ყივჩაღური მსუბუქი კავალერია ზედმიწევნით აუცილებელი იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ათრაქასაც თავისი პრობლემები ჰქონდა ახალ ტერიტორიებზე და მწვავე კონფლიქტი ალანებთან და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებთან. ს. პლეტნევას აზრით, 1116 წელს ათრაქას მეომრებმა აიძულეს სარკელთან (ბელაია ვეჟა) მეოფი რუსთა მოკავშირე პაჭანიკები და ტორკები რუსეთში გადახვეწილიყვნენ, 1117 წელს კი რუსების მიერ დაკავებული სარკელიც დაანგრიეს. С. А. Плетнева. Половцы. Москва. 1990. გვ. 95. ჩანს, ორივე მოკავშირისათვის მხოლოდ 1118 წელს შეიქმნა ისეთი ხელსაყრელი ვითარება, რამაც შესაძლებელი გახადა გრანდიოზული პროექტის – ყივჩაღთა მრავალათასიანი ურდოს საქართველოში გადმოსახლების განხორციელება.

Mamuka Tsurtsumia

TOWARDS THE QIPCHAQ (CUMAN) QUESTION IN GEORGIAN POLICY OF THE EARLY 12TH CENTURY

Summary

The bringing of the Qipchaq horde to Georgia by David IV the Builder in 1118 was a large-scale and successful undertaking. The purpose of the present study is to ascertain when David the Builder worked out the "Qipchaq Strategy" and when he began to take measures for its implementation.

The bringing of the Qipchaqs was preceded by David IV's marriage to Guarandukht, daughter of the chief of the Qipchaqs, Atraka son of Sharaghan. This was the result of political calculation. Reconstruction of the events shows that the letter of Ansell, Cantor of the Holy Sepulchre is dated to 1120. An analysis of the events described in the letter has shown that 1) the first wife of David IV sold the holy cross in 1116-1119, 2) this lady was in Jerusalem in 1109-1112, 3) we may say with some probability that in 1106-1109 David IV was already separated from his wife.

The low code of the Ruis-Urbnisi church council further specifies this date. According to it, in 1104 – at the time of the council – David was unmarried. Marriage to Guarandukht should be assumed after the Ruis-Urbnisi council. The second marriage of the king must have taken place at the end of 1104 or early in 1105.

Such reconstruction of events is not contradicted by an analysis of the international situation either. David the Builder could indeed have established relations with the Qipchaqs before 1104. Juxtaposition of Russian sources and archaeological evidence reveals that the Qipchaqs of Atraka were present in the foothills of the Caucasus in the first decade of the 12th century.

It is clear that David the Builder's plans were not only short term but he could plan a political step decades earlier and then wait patiently for the implementation of his intentions. The bringing of the Qipchaqs to Georgia can be considered as belonging to such strategy, which was apparently planned by David IV back in 1104 and was implemented only in 1118 when the right moment came.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

მაია შაორშაძე

XV-XVII საუკუნეების სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების შესაბამისად, XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესასწავლად საისტორიო წყაროები და დოკუმენტები მეტად მწირია და, ბუნებრივია, ეს ასახულია კიდეც ამ დროის ეკლესიის ისტორიაზეც. XVIII საუკუნიდან კი ეს დანაკლისი საგრძნობლად ივსება.

ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენაში განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი პ. კარბელაშვილს. მის მიერ შედგენილი ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგები გამოუქვეყნებელია და საქართველოს ეროვნულ არქივში, მის პირად ფონდშია დაცული (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1461, საქმე № 17). უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალი უზუსტობისა, ხშირად მოვლენებისა თუ ქრონოლოგიის აღრევისა, პ. კარბელაშვილის ნაშრომი მაინც ძალზედ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. მაგალითად, მის ნუსხაში ქართლის რამდენიმე მთავარეპისკოპოსი მოთავსებულია სამთავნელ ეპისკოპოსებში, ხოლო მცხეთის მთავარეპისკოპოსებში მოქცეულია ქართლის მრავალი მთავარეპისკოპოსი. ეს გასაგები ხდება ისტორიული რეალიების გათვალისწინებით, მაგრამ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგები, ბუნებრივია, საჭიროებს მეტ დაზუსტებასა და შეძლებისდაგვარად გამართვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში პ. კარბელაშვილი ეყრდნობა პ. იოსელიანის ცნობებს და იმეორებს კიდეც მას. ამდენად, ამ მხრივაც ზოგიერთი მოვლენა სხვა წყაროების მიხედვით ხდება გადასამოწმებელი.

საისტორიო მასალების მიხედვით, XV საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ვინაობა სრულად არაა შემონახული. პირველ ცნობებს ამ დროის სამთავნელი ეპისკოპოსის შესახებ გვაძლევს „ძეგლი ერისთავთა“ (1348-1400

წწ.) (XIV–XVსს.). „...და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისჴევისასა, რომელ მოძღუართ-მოძღურობაჲ ნუვის ჴელ-ეწიფების თჳნიერ ამისსა და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღუარი... [მოძღვართ-მოძღუარი].“[1] სამწუხაროდ, ამ ეპისკოპოსის სახელი უცნობია.

არსებობს XV საუკუნის I ნახევრით დათარიღებული „სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი“, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში Ad -559 ფონდშია დაცული. არსებობს მისი სხვადასხვა გამოცემა. ეს დოკუმენტი ორ სიგელს აერთიანებს.

ს. კაკაბაძის აზრით, „სამთავნელის სარგოს ნუსხა“ შედგენილი უნდა იყოს XI საუკუნის უწინარეს, X საუკუნეში, უფრო X საუკუნის მეორე ნახევარში,[2] ხოლო სამთავნელის საკანონო წიგნი – XIV საუკუნის დასასრულს ან XV საუკუნის I ნახევარში.[3] პროფ. ი. დოლიძის აზრით კი, „სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი“ XV ს. I ნახევრით უნდა დათარიღდეს. შესაძლოა, ძეგლი უფრო ძველიც იყოს, მაგრამ მის XIII საუკუნეზე ადრეულ ძეგლად მიჩნევას იგი გამორიცხავს.[4]

რაც შეეხება „საკანონო წიგნს“, მისი შედგენის თარიღია 1459 წელი, ხოლო მეფე შაჰნავაზის მიერ განახლებული „დრამისა და შესავლის წიგნი“, 1673 წლით თარიღდება (თ. ჟორდანიას სიგელი შემოკლებული ფორმით აქვს გამოქვეყნებული ქრონიკების II წიგნში, გვ. 272-277).

„სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნში“ (XV ს. I ნახ), ჩამოთვლილია სოფლები, რომლებსაც სამთავისის ღვთაების საყდრისთვის უნდა მირთმიათ დრამა (გადასახადი) „გაურჯელად და ულაპარაკოდ“. ძველი ნაწილი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „მოვიდეს **სამთავნელი,** მოეგებნენ წინა ძმანი, კრებულნი, წინამძღვარი, მონაზონნი, დედაბერნი ერთობით ჩვეულობისაებრ, დახუდენ საყვარლად, ჟამი აწირვინონ, გამოუსუენონ, დალოცნეს და წამოვიდეს“.[5] რაც შეეხება **სამთავისის სამწყსოს საკანონო წიგნს,** მიცემულს ცხრაზმისჴევის კრებულისა და მამასახლისების მიერ გრიგოლ სამ-

[1] ქართული სამართლის ძეგლები. II. საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 107.
[2] ს. კაკაბაძე. საისტორიო კრებული. IV. 1929, გვ. 8.
[3] ს. კაკაბაძე. საისტორიო კრებული. IV, გვ. 13.
[4] ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 1152.
[5] ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 204.

თავნელისადმი (1459 წ.), მისი შედგენის აუცილებლობა გამოუწვევია იმ სიტუაციას, რომელიც ხევში შექმნილა მრავალი უწესო საქმის დანერგვის გამო. პატრონის, შალვა ერისთავის, ბრძანებით, შეკრებილან ცხრაზმისხევის სამივე ხევის კრებულნი და მამასახლისნი და შეუმუშავებიათ საკანონო წიგნი. „ესე პირი მოვაჴსენეთ სამთავნელსა და ჯუარსა და ომფორსა“.[6] საკანონო წიგნი 27 მუხლისაგან შედგება და მკაცრად არის განსაზღვრული ის შესაწირავი, რომელიც სხვადასხვა კანონის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავემ უნდა გაიღოს. კანონის ბოლო ნაწილში ნათქვამია: „სამთავნელს სამწყსოში შესლვა ვერვინ დაუშალოს. ამის ნამეტნავი ვერც სამთავნელმან მ[ო]უმატოს და რაც ამაში განაჩენი და საყდრის წესი გამოსაღები იყოს, ნურვინ დააკლებს“.[7]

A ნუსხის ბოლოს დართულია გრიგოლ სამთავნელის სააღაპე წიგნი, რომელსაც იგი აძლევს ბატონ მამქანს და მის შვილებს გურზის და რამადანს, რომელთაც ბატონი ვირშელ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ მისთვის სააღაპედ „შუდის საპალნის ჩასავალი“ შეუწირავთ ღმრთეების ხატისათვის.[8]

წყაროების მიხედვით, XV საუკუნეში ცნობილია კიდევ ერთი სამთავნელი ეპისკოპოსი. კერძოდ, კათალიკოს ნიკოლოზ IX (ამილახვრის) (1678-88, 1692-95 წწ.) დროინდელ ერთ სიგელში (მას ანდერძსაც უწოდებენ), **„ნიკოლოზ კათალიკოსის წიგნი სამთავისის ძველ შეწირულებათა შესახებ,“** რომელიც უთარიღოა და პროფ. ი. დოლიძე, პირობითად, ნიკოლოზის კათალიკოსობის წლების მიხედვით, 1678-1696 წლებით ათარიღებს. ნიკოლოზ კათალიკოსი იხსენებს, რომ ალექსანდრე მეფის (იგულისხმება ალექსანდრე I კახეთის მეფე 1476-1511 წწ.) მამამ, გიორგი მეფემ (ერთიანი საქათველოს მეფე გიორგი VIII 1446-1466 წწ. კახეთში გიორგი I 1466-1476 წწ.), სამთავისის ღვთაების ხატსა და მის საყდარზე მჯდომარე სამთავნელ ზოსიმეს, შესწირა სოფელი უსიტყვე, დიდი მამული ნაქონი დიმიტრი ბაგრატიონისა. მამის კვალს გაჰყვა ალექსანდრეც, მან „შექმნა ჯვარი დროშად, წინამძღვარი ცხოვრებისა და წარმმართებელი მეფობისა თვისისა პატივად და წინასაძღოლად დიდისა მღუდელმთავრისა დროშად სამთავისის ეპისკოპოსისა. ამანვე მიუძღუნა კანდელაკი იოელ აზნაური და სახასო

[6] ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 206.
[7] ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 209.
[8] ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 209-210.

თვისი სოფელი დიდი ნადარბაზევი და ყოვლითურთ ათავისუფლნა მა{ს} შინა მკვიდრნი ხარკისა და ყოვლისა სათხოვარისაგან". წელიწადის დასრულებისთანავე, მასვე მიუძღვნია ზოსიმე მღვდელმთავრისათვის ხუთასი კირმანეული თავისი მეფობის სალოცავად და სულის საოხად. საბუთში ნათქვამია აგრეთვე, რომ „...მსასოებელი წარმოემართის რა ქართლად, ანუ აღმოსავლით, გინა დასავლით, ფეხშიშველი ჩავლის აღმოვლის თაყვანისმცემელი ეკლესიისა, ხატისა ღმრთაებისა, აქვნდა სასოება, პატივისცემა დიდისა მღუდელმთავრისა სამთავნელის ზოსიმესი; ჰყვარობდა კეთილსა ქცეულებასა და პატივისცემასა ეკლესიათასა".[9]

მეფე გიორგის შიო-მღვიმის მონასტრისათვისაც შეუწირავს, სოფელი ოკამი, „მეშველაანი დიდნი გლეხნი დიდის მქონებელნი მამულისანი, მოხელენი და მოღვაწენი და შემწენი დიდისა მონასტრისა მღვიმისანი".

აღნიშნული ანდერძი ნიკოლოზ კათალიკოსს საკუთარი ხელით შეუდგენია. დოკუმენტს ახლავს მინაწერები. შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ ნიკიფორეს მინაწერიდან ირკვევა, რომ გუჯრის პირი ეწერა შიომღვიმის მონასტრის გულანში, „პეტრე-პავლეს სურათის ზურგზედ", საიდანაც მას საბუთი გადმოუწერია. სიგელს ხელს აწერენ იკორთის არქიმანდრიტი გამალიელ, შიომღვიმის მონასტრის ბერი, მღვდელმონაზონი გრიგოლ, მღვდელმონაზონი იოელ, მღვდელმონაზონი ათანასი ამილახოროვის ძე.

ეს საბუთი ნახსენებია, აგრეთვე, 1800 წელს შედგენილ დოკუმენტში **„წყალობის წიგნი გერვასი სამთავნელისა იოანე ქარუმიძისადმი"**, როცა სამთავნელი გერვასი აღადგენს ძველ სამართლიანობას, დაუბრუნებს სამთავისს კუთვნილ სოფლებს, იოანე ქარუმიძეს მისცემს ნადარბაზევის მოურაობას და მიანიჭებს სახელოს კანდელაკობისა და ჯვარისმტვირთველობისა.[10]

XV საუკუნეში ცნობილია, აგრეთვე, შემდეგი სამთავნელი ეპისკოპოსი მათე, რომელიც ბაგრატ მეფისა და კათოლიკოს დავითის შემდეგ 1460 წლის სიგელს ამტკიცებს ქორონიკონ „რო"-ს (1482 წ.) ქვეშ: „ქ. ჩუენ, სამთავნელ მთავარ ებისკოპოზი მათე, ვითა მეფეთა და ქართლისა კათალიკოზთა

[9] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 616-617; ა. ხახანაშვილი. გუჯრები. ტფ. 1891, გვ. 38-40; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) – 1449-252 (დ); ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), Ad-565 (3).
[10] ქართული სამართლის ძეგლები. III, გვ. 1060-1062; სცსა, 1449-817.

დაუმტკიცებიათ, ეგრეთვე ჩუენცა კანონითა ვამტკიცებთ".[11]

ამდენად, სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XV საუკუნეში ასე გამოიყურება:

სახელი უცნობია – XIV-XV სს. მიჯნა (1348-1400 წწ.).

გრიგოლი – 1459 წ. (XV ს. 50-იანი წლები).

ზოსიმე – სავარაუდოდ, XV ს. 60-70-იანი წლები.

გიორგი VIII (I)-ის (1446-1476 წწ.) მეფობის წლებში.

მათე – 1482 წ. (XV ს. ბოლო).

XVI საუკუნეში, როგორც ჩანს, სამთავისის საეპისკოპოსო კათედრის არსებობას პრობლემები შექმნია, რასაც ადასტურებს ამ დროის საისტორიო წყაროების განსაკუთრებული სიმწირე და ეპისკოპოსთა მოუხსენებლობა. სავარაუდოდ, კათედრა დროებით მოშლილია. ამ მხრივ ამ საუკუნეს ცალკე კვლევა ესაჭიროება.

რაც შეეხება XVII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგს, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა საეპისკოპოსოთა მღვდელმთავრების ქრონოლოგიურ რიგთან ერთად შესწავლილი აქვს ბ-ნ გურამ ჯანდიერს, მაგრამ მას ამ რიგში დასახელებული ჰყავს მხოლოდ ორი სამთავნელი ეპისკოპოსი და, ამდენად, მის მიერ დადგენილი XVII საუკუნის ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგიც შესავსები და დასაზუსტებელია.[12]

გ. ჯანდიერი მისთვის ცნობილ პირველ სამთავნელ ეპისკოპოსად ასახელებს მელიტონ სამთავნელს, რომელმაც გივი ამილახორის მითითებით აღადგინა სამთავისის ეკლესიის მხატვრობა.[13] გივი ამილახორის მოღვაწეობის წლების მიხედვით, მელიტონ სამთავნელის ეპისკოპოსობის წლებად გ. ჯანდიერი პირობითად 1638–1692 წლებს ასახელებს.

რაც შეეხება მეორე სამთავნელ ეპისკოპოსს, 1699 წლის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, **„თექთუმან თექთუმანიძის მიერ ზაალ ქარუმიძისათ-**

---

[11] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, (1213 წ-დან 1700 წ-მდე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. II. ტფ. 1897, გვ. 280.

[12] გ. ჯანდიერი. XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი). „მრავალთავი". ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. I. თბ. 1971.

[13] Ш. Амиранашвили. История Грузинского искусства, М. 1963, გვ. 307.

38. Грузинские церковные гуджари (грамоты), составил Д. П. Пурцеладзе, Тиф. 1881, გვ. 307.

ვის ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნში“,[14] მოწმედ დასახელებულია კვიპრიანე სამთავნელი, რის საფუძველზეც გ. ჯანდიერი 1699 წლის სამთავნელ ეპისკოპოსად ასახელებს კვიპრიანე სამთავნელს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კვიპრიანე (კოზმა) სამთავნელი XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილი საეკლესიო პირი, მწიგნობარი და მთარგმნელია და მის შესახებ არაერთი წყაროა ცნობილი, რაზეც ქვემოთ შევჩერდებით.

პირველ რიგში კი აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროებისა და დოკუმენტების მიხედვით ცნობილია კიდევ რამდენიმე სამთავნელი ეპისკოპოსი. თუმცა, ვიდრე ამ საკითხს უშუალოდ შეეხებოდეთ, ერთ საინტერესო მოვლენაზე გვინდა შევჩერდეთ ყურადღება. კერძოდ, 1513 წლის ერთი სიგელის მიხედვით, თაყა ამილახვრისა და მისი ძმის, აღნიას, მიერ სამთავისის ეკლესიისათვის შეწირულ სოფელ ნადარბაზევსა და ვენახებს კასპსა და რეკაში, 1613 წელს სამთავისის ტაძარს თავიდან უმტკიცებს ამილახვარი ბარზი და მისი შვილი თაყა, რადგან მათთვის არსენს (რომელსაც თ. ჟორდანია სამთავნელად მიიჩნევს) სიგელი მიუტანია და უთხოვია, რომ ჟამთა ვითარებისაგან დაკარგული მამული, რომლის ნახევარიც აღარ ჰქონია, დაებრუნებინა და განეახლებინა. ამილახვარი უახლებს მას სიგელს და აღნიშნავს: „...ჩვენც, რაც დიდს სიგელშიგა სწერია, ისრე გაგითავოთ... და სხვა შენს მამულზედ ჭელი არა დავდვათ რა, რაც პირველ სიგელშიგა არა ეწეროს... დაიწერა ქ(ორონი)კ(ონ)სა ტა (1613 წ.) მარტსა ცამეტსა“.[15] პირთა ანოტირებული ლექსიკონის I ტომში ეს არსენი შეტანილია და მიჩნეულია ზევდგინიძე-ამილახვრების სახლის მწირველად. მას ჰყავს შვილები: გედეონ, მარკოზ, ბარნაბე, გიორგი. ამილახორთაგან მისთვის ბოძებული მამული დროთა ვითარებაში განახევრებულა, რის გამოც ზევდგინიძეთა წინაპრებს ორის ნაცვლად ერთ აღაპს უხდიდა [სამთავისის საყდარში]. ბარზი ზევდგინიძემ მას განუახლა მამულის წყალობა და დაავალა მეორე აღაპის გადახდაც — აღნიშნულია „ანოტირებულ ლექსიკონში“.[16]

---

[14] ხეც. Hd-1553

[15] ქრონიკები. II, გვ. 332-333; ხეც. Ad-12-ა,ბ.; ხეც Qd-9507, Qd-9508.

[16] პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI–XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით). გამოსაცემად მოამზადა დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. ტ. I. თბ. 1991, გვ. 172.

საქმე ის გახლავთ, რომ ფონდ Ad-12-ის ა და ბ სიგელი ერთმანეთს ებმება, პირველ, ძირითად და ვრცელ სიგელში კი ლაპარაკია სამთავისის ტაძრისათვის თაყა ამილახვრისა და მისი სახლის მიერ შეწირულ სოფელ ნადარბაზევზე და სხვა რამდენიმე მამულზე, რის სანაცვლოდაც ამილახვრები მღვდელს აღაპის გადახდას უწესებენ თავიანთი მიცვალებულთათვის. სწორედ ეს ფაქტი იწვევს ერთ გაურკვევლობას. კერძოდ, როგორც ზემოთ აღნიშნული კათალიკოს ნიკოლოზ IX-ის (ამილახვრის) (1678-1688; 1692-1695 წწ.) დროინდელი სიგელით („ნიკოლოზ კათალიკოსის წიგნი სამთავისის ძველ შეწირულებათა შესახებ") ირკვევა, სამთავისისადმი კუთვნილი სოფელი ნადარბაზევი და მეფეთა სხვა შეწირულობები გარკვეული დროით დაკარგულიყო და ამილახვრების ხელში აღმოჩენილიყო. ამილახვართაგან მათი ხელახლად გადაცემა და დამტკიცება არსენისა და მისი შვილებისათვის ამის დასტურია. ამისათვის ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამთავისის ტაძარში აღაპის გადახდასაც აწესებენ თავიანთი მიცვალებულთათვის.

მართალია, თ. ჟორდანია არსენს სამთავნელად მიიჩნევს (ასეა იგი შეტანილი „ქრონიკების" II წიგნის საძიებელში), მაგრამ სიგელში მისი შვილების ჩამოთვლა ამ ფაქტს კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს. თუმცა მეფეთაგან სოფელი ნადარბაზევის სამთავნელისადმი გადაცემის ფაქტი ამდროინდელი საბუთებიდან რომ გარკვევით მოჩანს, ეს ზემოთ უკვე ვახსენეთ. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გახდა საჭირო ამილახვრების მიერ შეწირულობის დამტკიცება და სოფელი ნადარბაზევი როგორ იყო სამთავისის ტაძარში ამილახვრების მწირველი მღვდლის კუთვნილი მამული, ეს ცალკე კვლევის საგანია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, XVII საუკუნის 10-იან წლებში მოღვაწე სამთავნელად ამ არსენის დასახელებისაგან ჩვენ თავს შევიკავებთ.

არსენ სამთავნელს პ. კარბელაშვილი არ ასახელებს, ის მოიხსენიებს ვინმე ანტონს, არსენ ყოფილს და კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს იმ ფაქტს, რომ სპარსეთში მყოფი იგი გამოჰყვა მეფე არჩილს. მხოლოდ ამ ცნობაზე დაყრდნობა, ბუნებრივია, არ გამოდგება. ამასთან ერთად, არჩილი XVII საუკუნის II ნახევარში მეფობს. არსენ სამთავნელი (საყვარელიძე) ცნობილია XVIII საუკუნეში, რომელსაც პ. კარბელაშვილი არ იცნობს.

დაახლოებით 1630-40-იან წლებში უნდა მოღვაწეობდეს სამთავნელი ეპისკოპოსი მათე, რომელიც ალავერდში იმყოფებოდა 1637 წელს. ის თეიმურაზ მეფესთან (თეიმურაზ I 1606-1648 წწ.) და ზებედე ალავერდელთან ერთად მიეგება რუსეთის ელჩებს. სპარსელების შემოსევის გამო იგი სამთავისი-

დან განიდევნა, როგორც თეიმურაზის ერთგული ეპისკოპოსი. როგორც ჩანს, მათე სამთავნელს მფარველობა გაუწია თეიმურაზ მეფემ და კახეთში მიიღო.[17] მათე სამთავნელს თავის ნუსხაში პ. კარბელაშვილი ასახელებს, მისი აზრით, შემდეგ ის რუსთველი ეპისკოპოსი ხდება. საბუთების მიხედვით ცნობილია XVII საუკუნეში მოღვაწე ამავე სახელის მქონე რამდენიმე ეპისკოპოსი: მათე ჭერემელი, მათეოზ ხარჭაშნელი, მათეოზ რუსთველი და მათეოზ ბოდბელი ეპისკოპოსები. რთული გასარკვევია, აქედან სხვადასხვა საეპისკოპოსო კათედრებზე გადასული ერთი და იგივე პირი რომელია.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, პ. კარბელაშვილს, როგორც სხვა საუკუნეებში, ასევე XVII საუკუნის სამთავნელებადაც დასახელებული ჰყავს ქართლის მთავარეპისკოპოსები: მელქისედეკ (ყანჩაველი) (XVI-XVII სს.), ნიკოლოზ ამილახვარი და ევდემოზ დიასამიძე (შემდეგ კათალიკოსები) და ქრისტეფორე (ფალავანდიშვილი), თუმცა მათი სამთავნელობა სხვა წყაროებით არ დასტურდება და, ამდენად, მათ სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგში ვერც ჩვენ შევიტანთ. რაც შეეხება ქრისტეფორე ფალავანდიშვილს, ის იყო ჯერ ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი და შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსი. პ. იოსელიანის ცნობით, XVIII საუკუნის I ნახევარში (1732 წელს) იგი თან გაჰყოლია რუსეთში წასულ რომანოზ სამთავროსა და გორის მთავარეპისკოპოსს და მას პ. იოსელიანი, მასზე დაყრდნობით პ. კარბელაშვილიც, სამთავნელ ეპისკოპოსს უწოდებს.[18] აქ, ჩვენი, აზრით, სიტყვათა უბრალო არევასთან უნდა გვქონდეს საქმე. მაგალითისათვის გვინდა აღვნიშნოთ, რომ ერთ ადგილზე რომანოზ მიტროპოლიტი (არაგვის ერისთავის შვილი) სამთავნელად არის მოხსენიებული და იოსელიანს იგი კითხვის ნიშნის ქვეშ ჰყავს დასმული, როცა ის სინოდის არქივის ერთ-ერთი საქმის ქართულ ვერსიას აქვეყნებს რომანოზ მიტროპოლიტის შესახებ (ეს ცნობები მოიპოვება აგრეთვე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ დ. ბაქრაძის მიერ გადაწერილ ძველ საბუთებშიც—ფონდი Sd). კ. კეკელიძე რომანოზ [სამთავნელად] მოიაზრებს პოემა „ვახტანგიანში“ ერთგან ნახსენებ ქსნის ერისთავის შვილს, რომელიც რუსეთში წასულ ვახტანგ VI-ის 1200 კაციან ამალას

[17] Переписка Грузинскихь царей сь Российскими Государями от 1639 г. по 1770 г. СПб. 1861, გვ. XXX-XXXII.

[18] Описание древностей города Тифлиса, сочинение Платона Иоселиани. Тиф. 1866, გვ. 123-124.

გაჰყოლია,[19] აგრეთვე, XVIII საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერი რომანოზ სამთავნელის კრებულადაა ცნობილი,[20] თუმცა მისი სამთავნელობა ამ ხელნაწერიდან არ ჩანს, მინაწერებში ის თავს მთავარეპისკოპოსად მოიხსენიებს. ასევე, სხვა ყველა ჩვენს ხელთ არსებულ საისტორიო წყაროსა და დოკუმენტში იგი სამთავროსა და გორის მიტროპოლიტად ან ქართლის მთავარეპისკოპოსად არის მოხსენიებული და თავის თავსაც ასევე უწოდებს. ასეთი შემთხვევები ისტორიაში ხშირია. რაც შეეხება ქრისტეფორე ქართლის მთავარეპისკოპოსის სამთავნელ ეპისკოპოსად მოხსენიებას, სხვა წყაროებში ჩვენ ეს არ შეგვხვედრია.

რაც შეეხება შემდეგ სამთავნელ ეპისკოპოსს, პ. კარბელაშვილი დაახლოებით 1688-1721 წლებში სამთავნელად ასახელებს პართენს, რომლის დროსაც დაიხურა თათე მამებელის (სტეფანწმინდელის) მონასტერი წლევის მთაში და მისი ქონება გადატანილ იქნა სამთავისის საყდარში.[21]

ამ მოვლენას პ. კარბელაშვილი პ. იოსელიანისაგან იმეორებს, რომელიც აღწერს თათე მამებელის მონასტრის მდებარეობის ამბავს კასპის რაიონსა და სოფელ ჭალას შორის, წლევის მთაში, რაშიც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას იშველიებს. შემდეგ აღწერს ერთ-ერთ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, ამ ადგილზე პირადი აღთქმის საფუძველზე დასახლებულა ერთი ქვრივი ქალი, რომელიც მეტად უცნაურად და ფანატიკურად იქცეოდა ეკლესიისა და ხალხის თვალში. მას თურმე იცავდა და მფარველობდა მისი დროისათვის განათლებული ერთი დეკანოზი. ვერც დომენტი IV კათალიკოსი და ვერც სამთავნელი პართენი ვერაფერს გამხდარან ქალის იმ ადგილიდან ჩამოსაშორებლად. საბოლოოდ, ამ საქმეში მეფის ხელისუფლება ჩარეულა და ეს ქალიც და დეკანოზიც იქიდან გამოუსახლებიათ. ამ დროიდან თათე სტეფანწმინდელის დაარსებული მამათა მონასტერი (რომელიც დღესაც არსებობს და გამოქვაბულებს და სვეტს წარმოადგენს) სამთავნელს მიბარებია და მის ქონებასა და სიწმინდესაც ამიერიდან ის განაგებდა. პ. იოსელიანი ამ ამბავს

[19] კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. II. თბ. 1981, გვ. 536.

[20] ხელნაწერთა აღწერილობა. ეოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტ. I. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1959. (S-287). გვ. 311-312.

[21] ხეც. A-1134.

1720 წლის ახლო დროით ათარიღებს.[22] რადგან ამ ამბავში დომენტი IV კათალიკოსიც (1705-1741წწ. ქართლში არ იმყოფებოდა 1725-39 წლებში) ფიგურირებს, სავარაუდოდ, პართენ სამთავნელი მისი კათალიკოსობის დროის სამთავნელი უნდა იყოს, ე. ი. XVIII საუკუნის I ნახევრისა და არა XVII საუკუნისა. საისტორიო საბუთების მიხედვით, XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში პართენი ხარჭაშნელ ეპისკოპოსად იხსენიება.

1670-იანი წლების ერთ სიგელში გვხვდება შემდეგი სამთავნელი ეპისკოპოსი იოსები. 1671 წელს სამთავნელ მთავარეპისკოპოს იოსებს სიონის ეკლესიის კუთვნილი გლეხის ერთი ოჯახი გადასახადებისაგან გაუთავისუფლებია.[23] წყაროებში სხვა ცნობები ამ ეპისკოპოსზე არ მოჩანს.

შემდეგ სამთავნელ ეპისკოპოსად კი, როგორც ამას გ. ჯანდიერიც აღნიშნავს, მელიტონი, რომელმაც XVII საუკუნის II ნახევარში გივი ამილახვრის დავალებით აღადგინა სამთავისის ტაძრის აფსიდის მოხატულობა, რაზეც საკურთხევლის აფსიდის წარწერაც მიანიშნებს. წარწერის თანახმად, XI საუკუნის ქართულ და არაბულ ენებზე შესრულებულ ფრესკულ წარწერებს რესტავრირება XVII საუკუნეში, მელიტონ სამთავნელის ხელით ჩატარებია.[24] შემდგომში გ. სოხაშვილმა კვლავ გამოიკვლია აღნიშნული წარწერა, რომელიც 1679 წლით დაათარიღა. ჩრდილო-აღმოსავლეთის ბურჯზე თეთრი ფერის საღებავითაა შესრულებული შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: 1. დახატვითა წმიდისა 2. საკურთხევლისა ა 3. მას ჭელითა 4. სამთავნელ ეპის 5. კობოზ მელიტონ 6. შეუვნდნეს ღმერთმან 7. ქორონიკონსა ტᲘᲖ, თვესა ოქტომბერსა.[25] მელიტონის სამთავნელობის წლები შეგვიძლია ახლოდროინდელი სამთავნელების მოღვაწეობის წლების მიხედვით დაახლოებით 1670-იანი წლების ბოლოთი განვსაზღვროთ.

ბოლო დროს მელიტონ სამთავნელის წარწერის შესახებ ახალი ვარაუდი გამოითქვა. ხელოვნებათმცოდნე ნ. ბურჭულაძის აზრით, ამ ადგილზე, შესაძლოა, იკითხებოდეს არა მელიტონი, არამედ მელენტიოსი. ამ დროის დოკუმენტებში მართლაც ცნობილია „ჯვრის მამა მელენტიოს," თუმცა მისი ეპისკოპოსობა სხვა წყაროებით ჯერჯერობით არ დასტურდება, ისევე რო-

[22] П. Иоселиани. Святыня Мамеба. Душеть. 1870, გვ. 4-5.

[23] Грузинские церковные гуджари (грамоты), составил Д. П. Пурцеладзе. Тиф. 1881, გვ. 57.

[24] Ш. Амиранашвили. История Грузинского искусства, გვ. 307.

[25] გ. სოხაშვილი. სამთავისი (მასალები ტაძრის ისტორიისათვის). რედ. შ. ამირანაშვილი. თბ. 1973, გვ. 100-103.

გორც მელიტონისა. ეს საკითხიც მეტ დაზუსტებას მოითხოვს.

რაც შეეხება შემდეგი სამთავნელი ეპისკოპოსების მოღვაწეობას, აქ ზოგიერთი უზუსტობის გარკვევა ხდება საჭირო. კერძოდ, ჩვენ მოგვეპოვება ერთი საბუთი **„განჩინება ამილახორთა სახლისკაცობის შესახებ“,** სადაც იხსენიება სამთავნელი იოსებ ყანჩაელი და რომლის ქორონიკონსაც პროფ. ი. დოლიძე ტჟა-დ კითხულობს და ათარიღებს 1703 წლით.[26] სიგელში ავთანდილ ამილახვარი აცხადებს, რომ მეფე ერეკლე I ნაზარალიხანის ბრძანებით ის და მისი ბიძაშვილები ამილახვართა საქმის გასარიგებლად ბიძამისს, ბატონ კათალიკოზს, ეახლნენ. მათ ამ საქმეში დასწრებიათ სამთავნელი იოსებ ყანჩაელი, სახლთუხუცესი ზაალ ქარუმიძე და სხვა აზნაურისშვილები. საბუთს აქვს კათალიკოსის ხელრთვა და ხუთი სხვა ბეჭედი. ჩვენ მოვიძიეთ ამ საბუთის დედანი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში[27] და აღმოჩნდა, რომ ქორონიკონი უნდა იყოს „ტპა“ (1693წ.) და რადგან ბოლო ასო „ა“ მოქცეულია ორ ხაზს შორის, შთაბეჭდილება იქმნება, რომ პ-ს ნაცვლად წერია ჟ. ამ აზრს ამყარებს ისიც, რომ საბუთში ლაპარაკი უნდა იყოს კათალიკოს ნიკოლოზ IX (ამილახვარზე), რომელიც საკათოლიკოსო ტახტზე 1678-88 და 1692-95 წლებში იმყოფებოდა. საბუთი რომ 1703 წელს იყოს დაწერილი, ამ დროს კათალიკოსი უკვე ევდემოზ II დიასამიძეა (1700-1705 წწ.) და ის ამილახვრების ბიძა (როგორც სიგელშია ნახსენები), ბუნებრივია, ვერ იქნებოდა.

იოსებ სამთავნელზე ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე სხვა სიგელიც. ზემოთ უკვე ნახსენები თექთუმან თექთუმანიძის მიერ სახლთუხუცეს ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული 1699 წლის სიგელი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული,[28] სადაც ჩვენდა გასაოცრად, მოწმეებში დასახელებულია არა მარტო კვიპრიანე სამთავნელი, არამედ „ყანჩიელი სამთავნელ{ი} იოსებ“. თექთუმანიძე აცხადებს, რომ მას გორის ციხის მეთოფის ვალი დასდებია და ამის გამო სახლთუხუცეს ზაალ ქარუმიძისათვის თავისი ძველად ნასყიდი მამული რენე მიუყიდია. ამას გარდა, რენეს ნასახლები დვალისშვილი და იგოეთს მსახლობელი მისი მანამდე კუთვნილი გლეხი ახალკაცი ზაალ ქარუმი-

[26] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIIIსს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972, გვ. 198.

[27] ხეც. Hd-2142.

[28] ხეც. ფონდი Hd-1553.

ძისთვის მიუყიდია და ამაში შესაბამისი თანხაც აუღია. სწორედ ამ ფაქტის მოწმეებად არიან დასახელებულნი ზემოთ აღნიშნული ორი სამთავნელი ეპისკოპოსი. ჩვენი აზრით, რადგან პირველად დასახელებულია კვიპრიანე სამთავნელი, ამ დროს ის უნდა იყოს მოქმედი მღვდელმთავარი, ხოლო იოსებ სამთავნელი, შესაძლოა, ნახსენებია მხოლოდ იმის გამო, რომ კვიპრიანემდე ის განაგებდა სამთავნელის სამწყსოს და აქ მიმდინარე მოვლენების მოგვარებაც მას ევალებოდა. სხვა ახსნას ჩვენ ვერ ვუძებნით ორი სამთავნელი ეპისკოპოსის ერთ წელს და ერთდროულად მოხსენიების ფაქტს.

ჩვენ გადავამოწმეთ სხვა ამდროინდელი ჩვენამდე მოღწეული საბუთებიც და მივაკვლიეთ საინტერესო კიდევ ორ სიგელს. **„მორჩილებისა და ფიცის წიგნი ქართლ-კახეთის ეპიკოპოსებისა მცხეთის კათალიკოსისათვის“**,[29] რომელიც დათარიღებულია 1701 წლის (ტპთ) 13 იანვრით, სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ასახელებს კვიპრიანე სამთავნელს. აგრეთვე, 1711 წლის 15 დეკემბერს გაცემულია „განჩინება გარსევანიშვილების გაყრის საქმეზე“, რომელშიც მოწმეებში დასახელებულია „სამთავნელ ეპისკოპოზი კვიპრიანე“.[30] 1711 წლითაა დათარიღებული კიდევ ერთი სიგელი, რომელიც თვით კვიპრიანე სამთავნელის მიერ არის დაწერილი. კერძოდ, დოდოს მონასტრის წინამძღვარი, ზაქარია, აძლევს სვიმონ ბატონიშვილს წიგნს, რომელსაც ბოლოს მინაწერი აქვს: „დაიწერა წიგნი ესე ივნისსა ერთსა, ხელითა სამთავნელ ეპისკოპოზის კვიპრიანესითა“.[31]

თავნაკლული და დაზიანებულია 1713 წლის (უა) მაისის დამდეგს გაცემული სიგელი, რომლის შინაარსიდან ვგებულობთ, რომ ამილახვარ ავთანდილს, კარის დეკანოზმა, პარკაძე ბიძინამ, მისმა ძმამ და შვილებმა გორის სახლ-კარის წყალობა სთხოვეს და მანაც ეს სახლ-კარი და ასევე ნაწისქვილარი თავისი კალოთი და საბოსტნით უბოძა „ყანჩელის სამთავნ{ე}ლის, ბატონის იოსების შეკითხულობითა და ნება დართვით“. საამისოდ მათ ყოველ წელიწადს, დიდ მარხვაში, ევალებოდათ ნახევარი ლიტრა სანთელი, ერთი ლიტრა ზეთი და ნახევარი ჩარექი საკმე{ვე}ლი შესაწირად სამთავისის ღვთაების ხატისადმი. ამ საბუთს სხვა ფერის მელნით და სხვა ხელით მინაწერი აქვს ათანასე სამთავნელ ეპისკოპოსისა, რომელიც ამ სიგელს ბეჭდით

[29] ხეც. ფონდი Qd-8935.

[30] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 234-235; ხეც. Qd-599.

[31] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი. 1903, გვ. 39-40, 42; ხეც. Ad-337, Ad-348.

ამტკიცებს და რომელსაც ლეგენდაც ახლავს თან.[32]

აქედან გამომდინარე ჩანს, რომ დაახლოებით, 1680-იანი წლებიდან 1699 წლამდე სამთავისის კათედრას განაგებდა იოსებ ყანჩაელი, ხოლო 1699 წლიდან 1712 წლამდე – კვიპრიანე სამთავნელი. 1713 წლიდან კვლავ იოსები იბრუნებს სამთავნელობას, ხოლო მის შემდგომ ათანასე სამთავნელი უნდა მოღვაწეობდეს.

რაც შეეხება კვიპრიანე (კოზმა) სამთავნელის (არაგვის ერისთავის შვილის) მოღვაწეობას, საბუთებში იგი ზოგჯერ იხსენიება როგორც „ბატონის ერისთავის შვილი სამთავნელი კოზმან". „კოზმა ყოფილი კიპრიანედ" იხსენიება იგი იერუსალიმის ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერში.[33] ცნობილია, რომ იგი იყო ბერძნული ენის უბადლო მცოდნე, რომელიც მას იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან ყოფნისას შეუსწავლია 1685 წელს. 1691-92 წლებში იგი მოსკოვშია და წერს ბერძნული ენის მოკლე გრამატიკას. XVII საუკუნეში, მას ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია „კურთხევანი",[34] რომელიც 1713 წელს ვახტანგ VI-ს სტამბაში დაუბეჭდავთ. ის ორი რედაქციით ვრცელდება ჩვენში – ვრცელითა და შემოკლებულით. სლავურ კურთხევანზე ის არ შეუსწორებიათ. ცნობილია, რომ მანამდე, რა თქმა უნდა, არსებობდა „კურთხევანის" უძველესი რედაქცია სინას მთაზე X საუკუნისა. შემდეგი ახალი რედაქცია ეკუთვნის ექვთიმე ათონელს, რომელმაც „შემოკლებული კურთხევანი" შეადგინა. შემდგომში კი გიორგი მთაწმინდელმა „დიდი კურთხევანის" შექმნის საჭიროება დაინახა და ამიტომ გადმოთარგმნა და გამართა კიდეც იგი. ამ ნუსხის ყველაზე ძველი ნუსხა, XIII-XIV საუკუნეებისა, ინახება სინას მთაზე. მართალია, „კურთხევანი" დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა, მაგრამ იგი ძირითადად უცვლელი დარჩენილა XVII საუკუნემდე, ვიდრე კვიპრიანე სამთავნელმა იგი ხელახლა არ თარგმნა XVIII საუკუნის დამდეგს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულია XVIII ს. „კურთხევანის" სხვადასხვა ნუსხები (A-407: დაბეჭდილ კურთხევანთან, შედარებით, მასში არ არის შეტანილი: „ლოცვაჲ ანაფორისა და ქუდის შემოსისა", „ლოცვაჲ მცირისა სქემისა, რომელ არს ჩოხა" და „კურთხევა დიდისა სქემისა"), (A-465, S-1352 შემოკლებულია). არსებობს აგრეთვე „გამოკრებული კურთხევანი", რომელსაც დართული აქვს „ზანდუკი",

[32] ხეც. Hd-2136.

[33] ნ. მარი. იერუსალიმის ქართული ხელნაწერის მოკლე აღწერილობა, გვ. 78.

[34] ხეც. A-11, H-875.

საიდანაც ირკვევა, რომ კვიპრიანე სამთავნელის მიერ თარგმნილი და 1713 წელს თბილისში დაბეჭდილი კურთხევანიდან, გადამწერს, სიონის დეკანოზ ნიკოლოზს, 1772 წელს, 33(ლგ) წესი და ლოცვა ამოუკრეფია.[35] აგრეთვე, XVIII საუკუნეში შედგენილი „წესი ჭელდასხმისა მღვდელმთავრობითისა", რომელიც ანტონ კათალიკოსის რედაქციისაა, დომენტი IV კათალიკოსის დავალებით, ბერძნული და რუსული ეკლესიების წესის მიხედვით, კვიპრიანე სამთავნელს გაუმართავს (A-201, S-252-ბ). მასვე ეკუთვნის „კანონიკური კრებული", რომელიც 1703 წელს ბერძნულიდან უთარგმნია. ანდერძში იგი წერს: „ღმერთო, შეიწყალე სამთავნელი კუპრიანე, რომელმანცა გადმოვსთარგმნე ბერძნულისაგან ქართულად, ღ(მრ)თითა" ...ქრონიკონსა ტჟა, ქ. ადამს აქეთ შვიდიათას ორას და ათსა, ქრისტეს აქეთ ჩღ და სამსა" (A-1096, A-1134 – „საქმენი შვიდთა სასიკუდინეთა ცოდვათანი"). 1719 წელს დომენტი კათალიკოსის დავალებით, კვიპრიანე სამთავნელს ბერძნულიდან უთარგმნია „განმარტება ეკლესიისა და კურთხევა მისი", რომლის ანდერძშიც კათალიკოსი წერს: „...გამოვიწულილე ეკლესიისა კურთხევა, რომელიცა წმიდათა მამათა ჩუენთა მთარგმანებელთაგან ჭეშმარიტად და სწორედ გარდმოეღოთ და ჟამთა ვითარებისაგან მწერალთაგან განრყუნილიყო და ეს კურთხევა და შემდგომნი ამისნი განწესებანი ახლად ვიძიეთ და ვპოვეთ ბერძულისაგან და აწ ქართულად გარდმოვათარგმნინეთ უნაკლულოდ **სამთავნელ ეპისკოპოსს უფალსა კუპრიანეს, რამეთუ კეთილად სწავლულ იყო ბერძულთა ენისაგან,** და იმას უბრძანეთ და გარდმოვაწერინეთ და დავაბეჭდვინეთ საფასითა ჩუენითა"...[36] და ა. შ. ფიქრობენ, რომ ბერძნული სამართლის წიგნი ვახტანგ VI კრებულისათვის კვიპრიანეს უნდა ეთარგმნა. ცნობილია ისიც, რომ იგი განსაკუთრებით ზრუნავდა გარეჯის დოდოს მონასტერზე.

პ. იოსელიანი მიიჩნევდა, რომ „კურთხევანი" იოანე ბოლნელმა (X-XI სს. ზოგან VII-IX სს.) და მისმა მოწაფემ, კვიპრიანე სამთავნელმა, თარგმნეს, რაც სამართლიანად უარყო კ. კეკელიძემ და ეს ფაქტების ჩვეულებრივ აღრევასა და გაუგებრობაზე დამყარებულად გამოაცხადა.[37] ეს ორი საეკლესიო მოღვაწე, ბუნებრივია, თანამედროვეები არ ყოფილან.

რაც შეეხება პ. კარბელაშვილს, მას თავის ნუსხაში ცალკე ჰყავს და-

[35] ხეც. A-1191, A-412.

[36] ხეც. A-420.

[37] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1980, გვ. 338.

სახელებული კვიპრიანე სამთავნელი, რომელსაც ყანჩაველად მოიხსენიებს, ხოლო ცალკე ასახელებს კოზმან სამთავნელს ერისთავის შვილს, რაც შეცდომას წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ერთი და იგივე პირია – არაგვის ერისთავის შვილი, კვიპრიანე (კოზმა) სამთავნელი.

ამდენად, XVII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი დაახლოებით ასეთია:

მათე – 1630-40-იანი წლები
იოსები – 1660-1670-იანი წლები (1671წ.)
მელიტონი (ან მელენტიოს) – 1670-იანი წლების ბოლო (1679 წ.)
იოსებ ყანჩაველი – 1680-იანი წწ-დან–1699 წლამდე და შემდეგ 1713 წ.
კვიპრიანე (არაგვის ერისთავის ძე) – 1699–1712 წწ.

Maia Shaorshadze

TOWARDS MAKING OF CHRONOLOGICAL LIST OF THE 15 TH-17TH CENTURIES BISHOPS OF SAMTAVISI

Summary

According to the historical documents, existence of four bishops (Grigol, Zosime, Matthew and one name is unknown) is fixed in the 15th c. In the 16th century Samtavisi Eparchy was abolished. The paper discusses the materials for the chronology of the 17th century Samtavisi bishops.

The list of bishops begins with Mate Samtavneli, who flourished in *ca.* 1630-40. The next is Ioseb Samtavneli, who freed a peasant's family belonging to the Sioni church in 1671 from paying the dues. Then comes the bishop Meliton who in 1679 renovated the painting of the chancel of Samtavisi church. Interesting material is preserved in the charters about Ioseb Qanchaveli of Samtavisi and the well-known figure, the translator Kvipriane Samtavneli. Ioseb was bishop from 1680s to 1699 and then – in 1713; Kvipriane – from 1699 to 1712.

Towards the end of the paper Kvipriane Samtavneli's translations are reviewed.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

ხათუნა ბაინდურაშვილი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ერთი მუსლიმური კატეხიზმოს [P-387] შესახებ

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ისლამის რელიგიურ მოძღვრებას ჯერ კიდევ მაშინ გაეცნო, როდესაც ეს რელიგია თავისი განვითარების საწყის ეტაპზე იყო.

ისლამის მიმდინარეობებისა და მუსლიმური მაზჰაბების არსებობას საქართველოში მრავალი საუკუნის ისტორია აქვს.[1] თბილისი აღმოსავლეთში ითვლებოდა ერთ-ერთ თვალსაჩინო მუსლიმურ-თეოლოგიურ ცენტრად, რასაც ადასტურებს ათ-თიფლისის ნისბით ცნობილი მუსლიმი ღვთისმეტყველების არსებობა და მათი ავტორიტეტი ისლამური სამყაროსათვის.[2]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ VIII საუკუნის შუა ხანებიდან თბილისისადმი ინტერესს იჩენდნენ როგორც ზომიერი, ისე უკიდურესი შიიტური სექტები, რომლებიც ცდილობდნენ თავისი გავლენა მოეპოვებინათ ისლამის ამ სანაპირო ოლქში.[3]

---

[1] ხ. ბაინდურაშვილი. შიიზმი თბილისში (VIII-XVIII სს.). ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. IX. თბ. 2005, გვ. 142-163; ხ. ბაინდურაშვილი. სუნიზმი თბილისში (VIII-XIV სს.). აღმოსავლეთი და კავკასია. №6. თბ. 2008, გვ. 13-22; ხ. ბაინდურაშვილი. სუნიზმი ოსმალობის დროინდელ თბილისში. აღმოსავლეთი და კავკასია. №4. თბ. 2006, გვ. 108.

[2] ე. სიხარულიძე. ას-სამანის ცნობები საქართველოს შესახებ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები. წ. I. თბ. 1976, გვ. 48-52; გ. ჯაფარიძე. მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით. VIII-XIV სს. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. №4. თბ. 1989, გვ. 80-88; გ. ჯაფარიძე. მუსლიმი მოღვაწეები VIII-XIV სს. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. №1. თბ. 1990, გვ. 65-78; გ. ჯაფარიძე. XIII საუკუნის თბილისელი მეცნიერი მარაღის ობსერვატორიაში. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. №2. თბ. 1984, გვ. 108.

[3] გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბ. 1995, გვ. 200.

შიიზმის არსებობა თბილისში დასტურდება ჰასან იბნ მუჰამად იბნ ჰასან ალ-კუმმის თხზულებაში „ყუმის ისტორია“[4], რომლის ავტორი X საუკუნის შიიტური ისტორიოგრაფიის ადგილობრივი სკოლის წარმომადგენელია. თხზულებაში დაცულია გადმოცემები ყუმის განსაკუთრებულობის შესახებ, მისი, როგორც, რელიგიური ცენტრის მაღალი პრესტიჟის თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით. სწორედ ერთ-ერთ ასეთ გადმოცემაშია მოხსენიებული თბილისი საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული შიიტური ცენტრების გვერდით, სადაც ვკითხულობთ, „ღმერთმა, დიადიმც არს იგი! ყველა ქალაქებიდან ქუფა, ყუმი და თბილისი დამოარჩია“.[5] მოცემული წყარო აშკარად მიანიშნებს VIII-X საუკუნეების თბილისში ორთოდოქსული ისლამის პარალელურად შიიზმის არსებობაზე.

თუ თვალს გადავავლებთ შიიზმის ისტორიას, დავინახავთ, რომ მათთვის ყველაზე მძიმე პერიოდი იყო ხალიფა მუავია I-ის (661-681 წწ.) მმართველობის დროს, როდესაც ისინი საშინელ დევნა-შევიწროვებას განიცდიდნენ.[6] აღნიშნულ პერიოდში, როგორც ჩანს, შიიტები თბილისშიც აღწევენ და დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ არსებობდა ჯაფარიტების მაზჰაბი. სწორედ ამიტომ ნათელი ხდება, თუ რა „დამსახურება“ ჰქონია თბილისს შიიტების წინაშე და რატომ სახელდება იგი ალაჰისაგან გამორჩეულ ქალაქად ისეთი მნიშვნელოვანი შიიტური ცენტრების გვერდით, როგორიც ქუფა და ყუმია.[7]

აღმოსავლეთ საქართველოს კონფრონტაცია ისლამის შიიტურ მოძღვრებასთან ახალ ფაზაში შედის და სულ სხვა დატვირთვას იღებს XVI საუკუნიდან. აღნიშნულ პერიოდში ირანის ტერიტორიაზე აღ-ყოინლუს სახელმწიფოს ნანგრევებზე ჩამოყალიბდა სეფიანთა შიიტური სახელმწიფო (1502-1722 წწ.), რომლის პირველი შაჰინშაჰი გახდა ისმაილ I (1502-1524 წწ.). იგი ოფიციალურად იქნა აღიარებული შიიტების მერვე იმამის – მაჰდის მოციქულად და დაეკისრა შეიხის რელიგიური მისიის (ისლამის გავრცელება) შესრულება.[8]

უნდა აღინიშნოს, რომ ჯიჰადის შესახებ მოძღვრების თანახმად, მთელი

---

[4] გ. ბერაძე. შუა საუკუნეების თბილისის ისტორიისათვის (ერთი მუსლიმური გადმოცემის შესახებ). ახლოაღმოსაელური კრებული. თბ. 1983, გვ. 54-60.
[5] გ. ბერაძე. შუა საუკუნეების თბილისის ისტორიისათვის, გვ. 56.
[6] Алламе Сейёд Мухаммед Хусеин Табатабаи. Шиизм в исламе. Кум, გვ. 50.
[7] ხ. ბაინდურაშვილი. შიიზმი თბილისში (VIII-XVIII სს.), გვ. 143-144.
[8] ხ. ბაინდურაშვილი. შიიზმი თბილისში (VIII-XVIII სს.), გვ. 146.

ტერიტორია იყოფა სამ ნაწილად: I – დარ ალ-ისლამი (ისლამის მიწები), II – დარ ალ-ჰარბი (ომის ტერიტორია) და III – დარ ას-სულჰი (ზავისა და მშვიდობის მიწები). მუსლიმთაგან არამუსლიმისათვის ისლამის აღიარების მოთხოვნა მუსლიმური სამართლით გათვალისწინებული ტრადიციაა, რომლის თანახმადაც უარის მიღების შემთხვევაში მუსლიმს „უფლება ჰქონდა" ძალით ემოქმედა „დარ ალ-ჰარბის" ტერიტორიაზე.

ისლამის გავრცელება ხდებოდა როგორც იარაღის ძალით მუსლიმური იდეოლოგიის თავს მოხვევით, ასევე ქადაგება-სიტყვისგებითი შინაარსის თხზულებათა გამოყენებით. მუსლიმურ (აქ. შიიტურ) კატეხიზმოთა შექმნა, უპირველეს ყოვლისა, გაპირობებული უნდა ყოფილიყო თვით ისლამში არსებული მიმდინარეობების (შიიზმი, სუნიზმი, ხარეჯიზმი) ურთიერთდაპირისპირებით, ხოლო შემდგომ ეტაპზე კი დაპყრობილ ტერიტორიებზე ისლამის ექსპანსიონისტური მიზნებისათვის უნდა გამოეყენებინათ, სადაც ხდებოდა დაპყრობილი პოლიტიკური ერთეულების ჯერ პოლიტიკური, შემდეგ კი იდეოლოგიური ათვისება. სწორედ ასეთ პოლიტიკურ იდეოლოგიურ ფონზე უნდა მოხვედრილიყო ერთ-ერთი მუსლიმური კატეხიზმო საქართველოს ტერიტორიაზე. ეს მუსლიმური კატეხიზმო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სპარსულ ფონდში P-387 შიფრითაა დაცული. ესაა ნაცრისფერ ქაღალდზე (18X9) შავი მელნით, მსხვილი ნასთალიკით შესრულებული სპარული ხელნაწერი, რომელიც 12 გვერდისაგან შედგება. როგორც ხელნაწერის აღწერილობიდან ვიგებთ.[9] იგი უნდა წარმოადგენდეს XVI-XVII საუკუნეთა მიჯნის დიდი მუსლიმური ხელნაწერის ფრაგმენტს. ხელნაწერს აქვს კუსტოსი. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ხელნაწერი უნდა იყოს ყველაზე ადრეული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მუსლიმურ კატეხიზმოთა შორის.

P-387 ხელნაწერს (და არა მარტო მას) აღწერილობაში ეწოდება „მუსლიმური კატეხიზმო" და ჩვენც ამავე ტერმინით გამოგვაქვს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კატეხიზმოს – ამ ქრისტიანული ტერმინის არაბული შესატყვისია **„თა'ლიმე შაფაჰი"–**تعليم شفهى ამ კატეგორიის მუსლიმური ხელნაწერების ურთიერთშედარებისას[10] ირკვევა, რომ ამ სიტყვისგებითი რელიგიური შინაარსის თხზულებას ან თხზულების რომელიმე თავს ხშირ შემთხვევაში **„ჩაჰარ ფასლ"-ი –** چهارفصل (სიტყვა-სიტყვით „წელიწადის ოთხი დრო")

[9] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (AC კოლექცია). შედგინა მ. მამაცაშვილმა. თბ. 1977, გვ. 72.
[10] ხეც. P-387, P-476, P-477, P-478, P-479,P-486, P-487, P-488.

ან **„მოჰემათ ალ-მოსლემინ“-ი** — مهمات المسلمين(მუსლიმთათვის აუცილებელი, ძირითადი) ეწოდება. კატეხიზმოთა არქიტექტონიკა, მათი დასაწყისი და თხზულებათა სტრუქტურა ემთხვევა ერთმანეთს.

აღნიშნული სპარსული ხელნაწერი საინტერესოა შემდეგი თვალსაზრისით: იგი იძლევა შეძლებისდაგვარად დეტალურ ინფორმაციას მუსლიმური მოძღვრების შესახებ; ახსნილია იმანის, ნამაზის (მუსლიმური ლოცვა), მოჰარამის (წმინდა თვე ისლამში, რომლის დროსაც მუსლიმები მთელი თვის განმავლობაში მარხულობენ), ჰარამის (აკრძალულის) და ჰალალის (ნებადართულის), შარიათის (მუსლიმური სამართალი) და ა. შ. არსი და მნიშვნელობა; მთელი წლის განმავლობაში მუსლიმის მოვალეობა რელიგიისა და მისი რიტუალებისადმი.

ხელნაწერი, როგორც წესი, იწყება **ბისმალიით** (სახელითა ალაჰისა მოწყალისა მწყალობელისა). ტექსტში მრავლადაა არაბიზმები. კატეხიზმოს მცირე შესავალში ნათქვამია, რომ იმისათვის, რათა ადამიანმა სააქაო და საიქიო ცხოვრებაში ბედნიერება ჰპოვოს, მთავარია ამ წიგნის მეშვეობით იმანი და ისლამი შეიმეცნოს.

„იმანი“ (არაბული ზმნა **ამან**-ადანაა ნაწარმოები და ნიშნავს „იწამა“) არის რწმენა ისლამის ჭეშმარიტებისა, რაც მუსლიმური რელიგიის განუყოფელი ნაწილია. ყურანში სიტყვები „იმანი“ და „ისლამი“ ერთმანეთის ნაცვლად გამოიყენება, მაგრამ ზოგჯერ მათი მნიშვნელობა გამიჯნულია. იმანი იჰსანთან (რელიგიური მოვალეობების გულწრფელად შესრულება) და ისლამთან ერთად ქმნის რელიგიას (დინ) ამ სიტყვის ფართო გაგებით.[11]

აღნიშნული მუსლიმური კატეხიზმო კითხვა-პასუხის პრინციპზეა აგებული. მას აქვს ისლამის რელიგიის სახელმძღვანელოს დატვირთვა. ზოგადად, ამ ტიპის ხელნაწერებში კითხვით სიტყვად გამოყენებულია ფრაზა اگر پرسند که — **„თუ გკითხეს, რომ...“** იგი სინგურითაა შესრულებული. დასმული შეკითხვის შემდეგ (ანუ კითხვა, რომელიც შეიძლება არამუსლიმმა დაუსვას მუსლიმს) პასუხი იწყება სიტყვით **„უპასუხე“** جواب بگوکه

[11] ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი. თბ. 1999, გვ. 87, 108.



[1r]

და აქვეა პასუხიც. მაგ.: „თუ გკითხეს, რომ იმანის გული რა არის, უპასუხე, რომ ყურანია“ (P-387. 1r). იმანი, რწმენა ისლამის ჭეშმარიტებისა, აგებულია ყურანზე, მუსლიმთათვის ამ წმინდა წიგნზე, რომელიც ალაჰმა მთავარანგელოზ ჯიბრაელის საშუალებით გადასცა წინასწარმეტყველ მუჰამადს და უბრძანა მისი წაკითხვა ანუ ისლამის ქადაგება.

კატეხიზმო შეიცავს 34 კითხვას და მათზე გაცემულ პასუხებს. ეს კითხვებია: 1. რა არის იმანის საფუძველი. 2. რა არის იმანის გული. 3. რა არის იმანის ნათელი. 4. რა არის იმანის საბურველი (ანუ გარეგანი სახე – ხ.ბ.). 5. რა არის იმანის ნაყოფი. 6. ალაჰმა რისგან შექმნა იმანი. 7. ხარ იმანში და არის იმანი შენში? 8. რამდენი ნაწილისაგან შედგება იმანი? 9. რა არის იმანი? 10. რამდენი სახისაა იმანის აღიარება? 11. რა არის იმანის ზოგადი აღიარება? 12. რა არის იმანის კონკრეტული აღიარება? 13. იმანის შესრულების რამდენი წესია? 14. რამდენი საფეხური აქვს იმანს? 15. რამდენია იმანის სწორი პირობა? 16. რამდენია იმანის ბრძანება? 17. რამდენი კანონი აქვს იმანს? 18. იმანს რამდენი ძირითადი მოთხოვნა აქვს? 19. იმანი შემქმნელის სახელითაა თუ შექმნილის? 20. რა კრის იმანის ჭეშმარიტება? 21. რა არის რელიგია? 22. რა არის იმანის მოქმედება? 23. იმანი მორწმუნეთათვის სავალდებულოა თუ არა? 24. რა არის იმანი და ისლამი? 25. სავალდებულოა იმანი? 26. იმანი რომელი აიადან არის სავალდებულო? 27. იმანის აღიარება რომელი აიათია დამტკიცებული? 28. იმანი წარსულია თუ მომავალი? 29. უზენაეს ღმერთს შეიმეცნებ? 30. როგორ შეიმეცნებ იმანს? 31. შენ მუსლიმი ხარ? 32. რა არის „ალჰამდოლილაჰის“ აზრი? 33. როდიდან ხარ მუსლიმი? 34. მისაყის აზრი რა არის?

ზოგჯერ კითხვები და, შესაბამისად, პასუხებიც შინაარსობრივად, შეიძლება ითქვას, რომ მეორდება. (17//18; 23//25; 26//27;).

იმას, რომ ხელნაწერი P-387 ისლამის შიიტურ სწავლებას ეკუთვნის, ადასტურებს ტექსტში ნახსენები ტერმინი **„ახბარი“** [1r]. ისლამის მქადაგებ-

ლის – მუჰამადის ცხოვრებისა და მისი მოქმედებების შესახებ კრებულს **„სუნა“** ეწოდება. იგი შედგება ე.წ. ჰადისებისაგან (ჰადის არაბულად ნიშნავს ამბის თხრობას). ჰადისი შედგება ორი ნაწილისაგან: 1. მათნი (ამბავი მუჰამადის საქციელის შესახებ გარკვეულ სიტუაციაში), 2. ისნადი (იმ ადამიანების სახელების სია, რომლებმაც აღნიშნული ამბავი ჩვენამდე მოიტანეს). მათნი ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მას სწორი ისნადი აქვს. სუნიტებისათვის სწორად ისნადად ითვლება ისეთი ისნადი, რომელიც ანსარებიდან (მუჰამადის თანამებრძოლნი, ისინი ჰადისების მთხრობელებად ითვლებიან) მოდის. შიიტურ ისლამში ანალოგიურ თხზულებას **„ახბარს“** უწოდებენ.[12] სუნიტურ და შიიტურ ჰადისებს შორის ის განსხვავებაა, რომ ახბარის ისნადი აუცილებლად ალის (მუჰამადის ბიძაშვილი და ამავდროულად მისი სიძე) ოჯახის წევრებიდან უნდა მოდიოდეს.

როგორც აღვნიშნეთ, კატეხიზმოს აქვს ისლამის რელიგიური სახელმძღვანელოს ფუნქცია. კატეხიზმო ასწავლის მორწმუნეს, რომ მთავარია მის გულში სარწმუნოების სიყვარული და ერთგულება იყოს; რომ ლოცვა კარგია როგორც კეთილმორწმუნისათვის, ისე ბნელი, დარდიანი და ბოღმიანი გულისათვის; რომ იმანი რწმენის ნათელია და ლოცვის გარეშე ცხოვრება ბნელში ყოფნის ტოლფასია. იგი მოთმინებას და ეჭვის გარეშე იმანის ბრძანებებისა და წესების შესრულებას მოითხოვს. კატეხიზმო გმობს ფარისევლობას და ღვთისა და რწმენისადმი შიშს, სიყვარულსა და მოწიწებას მოითხოვს.

კატეხიზმოში აქტუალურია იმანის შექმნის საკითხი და მუჰამადის მისია. მისი დაბადება, მუსლიმი თეორეტიკოსების აზრით, ღმერთისაგან წინასწარ იყო განზრახული.[13] (ერთ-ერთი არგუმენტი იმისა, რის გამოც მუჰამადს „სარწმუნოების ბეჭედად“ მოიხსენიებენ). ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ იმანი შექმნა ალაჰმა თავისი წმინდა სულის, სინათლისაგან და იგი წინასწარმეტყველ მუჰამადისაგანაა ნაბრძანები. კითხვაზე „ხარ შენ იმანთანამოარის იმანი შენ?“ მუსლიმი მორწმუნისათვის სავალდებულო პასუხია: „...მე ვარ იმანი და იმანი ჩემშია. მე მართლმორწმუნე ვარ და იმანი ჩემი თვისებაა“ [2 r]. იმანის ღვთაებრიობის პიკს წარმოადგენს ხელნაწერის 4r გვერდზე დასმული შეკითხვა – „იმანი შემქმნელის სახელთაა თუ შექმნილის?“.[15] პასუხია – „იმანი შემქმნელის სახელითაცაა და შექმნილისაც“, რომ „არ არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“–შემქმნელია, „მუჰამადი არის მისი მო-

[12] ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი. თბ. 1999, გვ. 34.
[13] ١٣٢٧ تهران تاریخ اسلام فیاض علی اکبر 53 -47 .

ციქული“ – შექმნილია, ანუ ალაჰი, იმანი და მუჰამადი ქმნის რწმენის ერთგვარ ჯაჭვს.

ისლამი წარმოადგენს ღმერთს, ანუ ალაჰს, ერთი მხრივ, როგორც ძლიერს და სასტიკს, რომელიც ურჩებს ცეცხლის ალით ემუქრება და, მეორე მხრივ, როგორც მოწყალესა და მწყალობელს. ყურანში ვკითხულობთ: „და განა ალაჰის თვინიერ ვინმეს ვეძიებ მსაჯულად მაშინ, როცა იგია, ვინც გარდმოგივლინათ წიგნი განმარტებულად. იმათ კი, რომელთაც ვუბოძეთ წიგნი, იციან, რომ იგი გარდმოვლენილია შენი უფლისაგან – ჭეშმარიტებით, და ნუ იქნები, ნუ იქნები დაეჭვებული“ (VI.114).[14] ისლამში ალაჰი სამყაროს უზენაესი მმართველია, ის ერთადერთია – „არა შობილა და არცა შობს და არა ჰყავს მოზიარე თავის ყოფაში“. ყურანის მიხედვით, „ალაჰს ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნისა. აცოცხლებს და კლავს და არა გყავთ, თვინიერ შემწე და მეოხი“ (IX.117 (116)).[15]

აღნიშნულ მუსლიმურ ხელნაწერში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ჰარამისა და ჰალალის მოთხოვნებსა და მათი შესრულების მნიშვნელობას მუსლიმისათვის. ისლამში ერთიც და მეორეც ეხება მორწმუნის საკვების მიღებიდან დაწყებული, მის ნებისმიერ ქმედებას. ფაქტობრივად, ჰარამი და ჰალალი განსაზღვრავს მუსლიმთა ცხოვრების წესს, აყალიბებს მათ ეთიკას.

ოჯახური ურთიერთობების საკითხში კატეხიზმო ხელმძღვანელობს ყურანისა და შარიათის ნორმებით. ქალის საკითხი აღნიშნული კატეხიზმოს ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს. ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ მუსლიმისათვის ცოლთან უმიზეზოდ გაყრა აკრძალულია, რომ ცოლზე ზრუნვა ისლამის მოთხოვნაა. ალაჰის მოციქული აფრთხილებდა თავის მიმდევრებს, რომ „ყველა დასაშვები ქმედებიდან, განქორწინება ყველაზე არასასურველია უზენაესი ალაჰისათვის“.[16] ყურანში განქორწინების საკითხს ეხება ძირითადად ორი სურა: ალ-ბაკარა (2) და ატ-ტალაკ (65) (გაყრა).[17] გადმოცემით, მოციქულმან მიუთითა მუსლიმებს, რომ მორწმუნე მამაკაცს უფლება

[14] ყურანი. არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ. თბ. 2006, გვ. 161.
[15] ყურანი, გვ. 161.
[16] Muhammad Ali, Maulana. The Religion of Islam: A Comprehensive Discussion of the Sources, Principles and Practices of Islam. Cairo n.d. გვ. 671. ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X სს). თბ. 2005; ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X სს), გვ. 207-208.
[17] ყურანი, გვ. 342.

არა აქვს მოექცეს არაკეთილმოსურნედ მორწმუნე ქალს. თუ მას არ მოსწონს მასში რაღაც, მაშინ, დაე, დაკმაყოფილდეს იმით, რაც არის მასში კარგი".[18] კატეხიზმოს მიხედვით, იმანის ერთ-ერთი ბრძანებაა, რომ თუ ვინმე მორწმუნე ქალს შერყვნის, მასზე უნდა იქორწინოს კიდეც.

კატეხიზმო მოუწოდებს მუსლიმ მამაკაცს, რათა მისი ოჯახის წევრები: ცოლები და შვილები იმანს აღიარებდნენ. ამასთანავე, მან ურწმუნო მხევალი ქალიც ისლამს უნდა აზიაროს. მუსლიმი მამაკაცი თავის ოჯახში წინასწარმეტყველს უნდა ჰგავდეს, ანუ თავისი ოჯახის რელიგიურობაზე უნდა იზრუნოს. ასწავლოს და მოსთხოვოს ოჯახის წევრებს იმანისა და ისლამის წესების შესრულება.

მშობლების პატივისცემას, მათ მონახულებას კატეხიზმო მუსლიმის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად მიიჩნევს, რადგან იგი იმანის მეთორმეტე საფეხურად ითვლება (3r). [შდრ.] ყურანი ქადაგებს: „კეთილი უყავით თქვენს მშობლებს" (VI.152 (151)).[19]

მუსლიმურ რელიგიაში მეორედ მოსვლა და საშინელი სამსჯავროს დღე მნიშვნელოვანი საკითხია,[20] რომლისთვისაც ყველა – მუსლიმიც და არამუსლიმიც უნდა ემზადებოდეს, რადგან ამ დღეს ყველა პასუხს აგებს თავის ამქვეყნიურ საქციელზე. აღნიშნულ ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ საშინელი სამსჯავროს დღეს იუდეველები, ქრისტიანები და კერპთაყვანისმცემელები ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვებიან, [შდრ.] „აღუთქვა ალაჰმა თვალთმაქც კაცებს, თვალთმაქც ქალებსა და ურწმუნოთ გეენის ცეცხლი; იქნებიან იქ მარადიულნი და ესაა მათი წილი. შეაჩვენა ისინი ალაჰმა და სწორედ მათ – სასჯელი წარუვალი". IX. 69 (68)],[21] ხოლო მართლმორწმუნე მუსლიმები კი სამოთხეში დამკვიდრების ბედნიერებას მიიღებენ. [შდრ.] „ალაჰი დაჰპირდა მორწმუნე კაცებსა და მორწმუნე ქალებს წალკოტებს, რომელთა წიაღაც მიედინებიან მდინარენი. იქნებიან იქ მარადიულნი, (ექნებათ) კარგი სამკვიდროები ედემის ბაღებში და კმაყოფილება ალაჰისა უდიდესი. სწორედ ეს არის მიღწევა დიდებული".[22]

კატეხიზმო, როგორც წესი, ადამიანის ცხოვრებაში მომხდარ ყოველ

[18] ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X სს), გვ. 208.
[19] ყურანი, გვ. 163.
[20] А. Массэ. Ислам Очерк истории. Пер. с французского. Изд. 2-е. М. 1963, გვ. 102-103.
[21] ყურანი, გვ. 183.
[22] ყურანი, გვ. 183.

ფაქტს ბედისწერას და ალაჰის განგებას უკავშირებს. ყველა და ყველაფერი მისი სურვილის მიხედვით ხდება და და ამიტომ მუსლიმმა ყოველთვის უნდა თქვას: „ბეჰამდოლილაჰ!“ – „დიდება ალაჰს!“.

კატეხიზმო მუსლიმს ასწავლის, რომ არ უნდა იყოს უსამართლო არც სიტყვით და არც საქმით. არ უნდა ჩაიდინოს ულირსი საქციელი, არ უნდა მიითვისოს სხვისი ქონება, რადგან ყოველივე ცოდვაა და ალაჰისაგან აკრძალულად ითვლება და თუ მაინც ჩაიდენს ცოდვას, ის აუცილებლად უნდა მოინანიოს. [შდრ.] „და ნუ მიეკარებით ობლის ქონებას, თუარა საუკეთესო სახით, ვიდრე სრულწლოვანებას მიაღწევდეს. უერთგულეთ საწყაოს და სასწორს – სიმართლით. ჩვენ ყოველ სულს მხოლოდ იმას ვავალებთ, რაც შეუძლია. როცა რაიმეს ამბობთ, სამართლიანი იყავით, თუნდაც თქვენი ახლობელი იყოს (ის, ვიზედაც საუბრობთ) და უერთგულეთ ალაჰის აღთქმას! ეს არის ის, რაც გიანდერძათ ალაჰმა, რათა ეგების დაიმახსოვროთ!“ (VI.253(152)).[23]

კატეხიზმო „მისაყის“ (სიტყვასიტყვით – პირობის, ფიცის მიცემა) დღეს (ესაა დასუნათება, მუსლიმური ნათლობა) მუსლიმად გახდომის დღედ მიიჩნევს, რადგან ადამიანი ამ დღეს წარმოთქვამს „**თავჰიდისა**“ (ერთღმერთიანობის) და „**აშ-შაჰადას**“ (რწმენის აღიარების) სიტყვებს, რის შემდეგაც იგი უკვე მუსლიმად ითვლება.

ხელნაწერი P-387 დაფუძნებულია ყურანზე, ახბარსა და შარიათზე. თავისი დანიშნულებით იგი არის შიიტური ისლამის სასწავლო სახელმძღვანელო, ამასთანავე, იგი შეიძლებოდა გამოეყენებინათ რელიგიური დისკუსიების დროს და არამუსლიმებში (ან განსხვავებული მიმდევრობის მუსლიმებში) შიიტური ისლამის ქადაგებისას. იმაზე, რომ ამ ტიპის თხზულებების შექმნა აუცილებლობას წარმოადგენდა, ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ ხელნაწერთა საცავში ამ ტიპის ხელნაწერები მრავლადაა დაცული.

[23] ყურანი, გვ. 183.



بسم الله الرحمن الرحیم

بدان ایدک الله فی الدارین این کتابی است در بیان
معرفت ایمان و اسلام و نماز و روزه و زکوة و حج
و طهارت و فرض و واجب و سنت و مستحب و مباح
و مکروه و محرم و مفسد و احکام و ارکان انها و این
کتاب برابر چهار فصل بنا نهاده شد تا مقصد یابنده
بود فصل اول در بیان معرفت ایمان اگر پرسند که اصل
ایمان چیست جواب بگو که عطای باری تعالی است و سر
ایمان کلمه طیبه گفتن است که لا اله الا الله محمد رسول الله اگر
پرسند که دل ایمان چیست جواب بگو که قرآن
است در خبر است که در خبر است که تنگل شهی قلب القرآن یعنی
چیزی دل است و دل قرآن است هر جایگاهی که بسم الله الرحمن الرحیم
و عا مستجاب است اول دل قرآن دویم دل بنده مومن سیوم دل



Khatuna Baindurashvili

REFERENCE TO THE MUSLIM CATECHISM STORED AT THE NATIONAL CENTER OF MANUSCRIPTS [P-387]

Summary

The manuscript (encryption number P-387), which belongs to the Islamic Shia, is stored at the National Center of Manuscripts. The timing of reproducing and turning it into the handbook coincides with the time, when Shah Ismail I (1501-1524) had announced Shia as the state religion in Iran. Ismail was bound to undertake the religion mission of Sheikh, which meant imposing Islam to the occupied territories.

The manuscript P-387 consists of 12 pages. As we have learned from the description of the manuscript, it represents the fragment of big Muslim manuscript from 16th-7th centuries. P-387 seems to be the earliest among the katechismos, stored at the National Center of Manuscripts. Comparison of Muslim manuscripts [P-387, P-476, P-477, P-478, P-479,P-486, P-487, P-488;] of this type has revealed that this polemic writing (or part of the writing) with religious content is called either "Chahar Fasl" چهارفصل (literal translation: "Four Seasons") or "Mohemat Al-moslemin" مهمات المسلمین (important and principal for the Muslim). The architectonics and introduction of the catechisms and the structure of writing coincide with each other.

Persian manuscript P-387 is interesting from the point of view of giving considerably detailed information about the religious doctrine of Islam. The explaination is given to the essence and definition of: Iman, Namaz (Muslim prayer), Moharam (holy month in Islam, when Muslims are fasting during the whole month), Harama (restricted), Halal (allowed) and Shariat (Muslim Law) as well as Muslim's obligations in front of the religion and its rituals during the whole year.

Catechism puts all possible questions asked by the Muslims and Non-Muslims and answers them. Presumably, the Manuscript represents the manual for religious disputes and it preaches Islam. Supposedly, this type of manuscripts were emerging on the Georgian territory on the background of religious confrontation between Iran and Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

აკაკი ჩიქობავა

ოდიშ-აფხაზეთის ტოპონიმიკა XVI-XVII საუკუნეებში

გარკვეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოში არსებული ტოპონიმკია და ჰიდრონიმია წარმოიშვება იმ საზოგადოების სამეტყველო ენის წიაღში, რომელიც კონკრეტული ტერიტორიის (ქვეყნის) ავტოხტონურ მოსახლეობას წარმოადგენს, ამიტომაც ხშირად ტოპონიმიკას „მიწის ენას“ უწოდებენ.

ოდიშისა და აფხაზეთის ადრინდელი ტოპონიმიკისა და ჰიდრონომიის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან XVI-XVII საუკუნეების სხვადასხვა სახის საბუთები და უცხოელ ავტორთა აღწერილობები და რუკები.

უცხოელ ავტორთა აღწერილობებიდან მასალის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა იტალიელი მისიონერის დონ არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ და მასზე დართული სამეგრელოს რუკა. ლამბერტის ნაშრომი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან სამეგრელოში 20 წელი იცხოვრა და ბევრი რამ თავისი თვალით იხილა.

ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში“ შემდეგ მდინარეებს ჩამოთვლის: **ფაზისი, ცხენისწყალი, აბაშა, ტეხური, ხოფი, ჭანისწყალი, ენგური, ხეთა, ოქუმი, ერისწყალი, მოქვისწყალი და კოდორი ანუ კორაქსი.**[1] ლამბერტი აღნიშნავს, რომ ფაზისი ფოთთან ზღვას შეერთვის, სადაც თურქებს 1578 წელს ციხე აუგიათ. ფაზისის შემდგომ მოდის მდ. ცხენისწყალი, ლამბერტის თქმით ცხენისწყალი შეერთვის ფაზისს, მდინარე აბაშასთან და ტეხურთან ერთად მდ. აბაშას ის სტრაბონის გლავკოსთან აიგივებს, ხოლო ტეხურზე შენიშნავს, რომ ის ჩაუდის ადგილს, რომელსაც სენაკს ეძახიან.[2]

ტეხურის შემდეგ ასახელებს მდინარე ხობს (xofi) და ჭანისწყალს

[1] დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფესორმა ილია ანთელავამ. იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭეონიამ. თბ. 1992, გვ. 12.
[2] დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 159, 162.

(Cianoe), ეს უკანასკნელი შეერთვის მდ. ხობისწყალს.

ლამბერტი ჭანისწყალის ეტიმოლოგიურ ახსნას ცდილობს და ამბობს, რომ ეს სახელი (Cianeo – ა.ჩ.) იმიტომ ეწოდა მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ ... ხალხი, რომელსაც ჰქვია ჭანი".[3]

ლამბერტის ჭანისწყლის შემდგომ დასახელებული აქვს ენგური და ხეთი, ხეთი იგივე ერისწყალია, შემდეგი მდინარეები კი არის ოქუმისწყალი, იგივე ტარსუა, ეგრისი, იგივე ღალიძგა, მოქვისწყალი და კოდორი იგივე კორაქსი.[4]

სამეგრელოს რუკაზე, რომელიც ერთვის ლამბერტის „სამეგრელოს აღწერას" ეს მდინარეები შემდეგი წარწერებითაა დატანილი: მდ. რიონი – fasso fl, ცხენისწყალი – Hippus fl. accolis scheni-schari, აბაშა – Cloucus fl. accolis "bascia, ტეხური – შიგამენ fl: hodie Tachur, ხობი – cobus fl; cobus accolis copi, ჭანისწყალი – Cianeus fl incolis Cianis, ენგური – Astelfur fl. Incolis Engur, ერისწყალი – Het-scari fl, ოქუმი – Ochums fl. olim Tarsura, Tarsura fl; შემდეგ მოდის პატარა მდინარე, რომელსაც აწერია Giobashari – ჯობაწყარო, სახელწოდება ჭაობთან უნდა იყოს კავშირში, მდინარე მოქვი – მოქვის – Moquis-schari fl, მარმარისწყალი – Marmar-Scari, კოდორი – Coddor fl olim. ოქუმისწყალსა და მოქვისწყალს შორის მოთავსებულია Echalis fl – იგივე ღალიძგა, ეგრისწყალი.

ეს მდინარეები ასეთივე სახელწოდებითაა კასტელის 1654 წლის ე.წ. „ლათინურ რუკაზე", მხოლოდ ერისწყალი, ლამბერტისაგან (Heti-scari) განსხვავებით სწორი – Eri-scari ფორმითაა მოცემული.[5]

აქვე გვინდა შევეხოთ ერთი მდინარის სახელწოდებას, რომელიც ოჩამჩირის რაიონში ჩამოედინება.

ჩვ. წ. აღ. II საუკუნის მოღვაწის ფლავიუს არიანეს მოგზაურობის წიგნს უკან დართული აქვს ჩვ. წ. აღ. V საუკუნის ანონიმი გეოგრაფის ცნობები, სადაც ვკითხულობთ: ძიგანისიდან (ე.ი. ტეხური – ა.ჩ.) მდინარე ტარსურამდე (ახლა რომ მოხე ეწოდება) – მოქვი – ა.ჩ.) ას ოცი სტადიონია, თექვსმეტი მილი. მდინარე ტარსურიდან მდინარე ჰიპოსამდე (ახლა რომ ლაგუმფსა ეწოდება) ას ორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი".[6] ჩვენი ყუ-

[3] დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 162.

[4] დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 163.

[5] Б. Гогия. Абхазия – историческая провинция Грузии. Париж-Тбилиси. 2005, გვ. 50-55.

[6] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძის. თბ. 1961, გვ. 88.

რადღება მიიქცია მდინარის სახელწოდებამ „ჰიპოს“ ე.ი. ცხენისწყალი, ეს მდინარე, ზემოთ აღნიშნული ნაშრომის გამომცემელს ნ. კეჭაღმაძეს მდ. კოდორი ჰგონია,[7] ს. კაკაბაძეც ამ მდინარეს კოდორთან აიგივებს.[8]

პევტინგერის რუკა (Tabula Peutingeriana), რომელიც XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისშია შექმნილი, ახ. წ. I-II საუკუნეების რეალობებს ასახავს.[9] ამ რუკის მიხედვით ნახაზები აღადგინეს პროფესორებმა ელმოუცკმა და მილერმა. სწორედ ამ რუკაზე და მის ნახაზებზე ვხედებით მდინარე ჰიპოსს (Гупп),[10] ერთი მათგანი ისკურიასთანაა, მეორე კი სოხუმის (Sebastopolis) სამხრეთით.

ჩვენ არ ვემხრობით მოსაზრებას, რომ V ს-ის ანონიმი გეოგრაფის „ჰიპოსი“, იგივე ცხენისწყალი, მდ. კოდორს შეესაბამება.

ამიერკავკასიის სამხედრო რუკაზე მდ. მოქვისწყლის მარჯვენა მხარეს ჩამოედინება მდინარე სახელწოდებით «Цхенис-Цкали». იქვეა პუნქტი «Цхенис-Цкали», 1958 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, სოფელი ცხენისწყალი ორადაა გაყოფილი და ოჩამჩირის რაიონის, კოჩორას და ცაგერას სოფლის საბჭოში შედის.[11]

ჩვენი აზრით, ძველი ცნობების „ჰიპუსს“ და დღევანდელი მდინარე ცხენის-წყალი ერთი და იგივე ჰიდრონიმი უნდა იყოს, როგორც ვნახეთ, ამ ჰიდრონიმმა ახ. წ. დასაწყისიდან დღემდე შემოინახა თავისი სახელწოდება, რაც ნათლად მიგვანიშნებს, თუ ვინ იყო ოჩამჩირის რაიონის, და საერთოდ, ენგურს გაღმა ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა.

ლამბერტის სამეგრელოს რუკაზე უამრავი ტოპონიმიაა მოცემული, განსაკუთრებით აღსანიშნავია ენგურსა და კოდორს შორის აღნიშნული ქართული (მეგრული) ტოპონიმია, თუმცა რუკის აღწერას აღმოსავლეთით მდ. ცხენისწყალსა და რიონს შორის მოცემული პუნქტებით დავიწყებთ.

მდ. რიონის მარცხენა მხარესაა ფოთი სახელწოდებით Sebastopoli, იქ-

---

[7] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 70.

[8] ს. კაკაბაძე. საისტორიო კრებული. წ. II. ტფ. 1928, გვ. 27.

[9] А. В. Нодосинов. Восточная Европа в римской картографической традиции. М. 2002, გვ. 288-290.

[10] А. В. Нодосинов. Восточная Европа в римской картографической традиции, გვ. 363-364.

[11] Абхазская АССР. Административно-территориальное деление. Сухуми. 1958, გვ. 18-19.

ვეა მეგრული შესატყვისი Puti, Carasopalali – უნდა იყოს სოფ. გორა[12] (8. 151), Cotalis Ep –ქუთაისის საეპისკოპოსო.

რიონსა და ცხენისწყალს შორის მოცემულია: პანდარი (Pandari), ეგარი და ეხალი (Echali), სამიქელაო (Samichelos), გეგუთი (guti-?) და ხონის საეპისკოპოსო (Coni Ep.), იმის გათვალისწინებით, რომ ლევან II დადიანის დროს იმერეთის ზოგიერთი სოფელი ოდიშის მთავრის მფლობელობაში იყო, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ლამბერტმა გეგუთი Cotalis Ep. და Coni Ep სამეგრელოს შემადგენლობაში აღნიშნა. შემდეგ მოდის გორდი (Gordi), დოქტობინა (Doctobina) იგივე დიდღვაბუნა უნდა იყოს.[13]

ცხენისწყალსა და აბაშას შორის: Dturet აღდგენა ვერ ხერხდება, Tzilors – უნდა იყოს სულორი, ილორი (Ilors), რობა (Robbas), ჟინათი (Ginata), იკორი (Iccori), ბანძა (Pansas), ჭყონდიდი, საეპისკოპოსო ცენტრი (Ccondidi Ep). Leccm – ლეხაინდრაო. [14]

აბაშასა და ტეხურს შორის: ზანა (Zannati), ზიხური (Zicuri), ნოქალაქევი (Nochalachens), საჯიჯაო ან საჯიჯიანო (Sagigiani), Marsili – მარსილი უნდა იყოს ვახუშტის რუკის სახარია,[15] მუხურჩა (Muchurce).

თეხურსა და ხობს შორის: ხორგა (Gorgas), თეკლათი (Teati), ხობი, საეპისკოპოსო ცენტრი (Copis Ep.), ქვაშხირი (Tchuagiochor,),[16] სენაკი (Senaghi), ჯიხუ (Sicu) კირცხი (Curzchi), ზენა (Zenna), Coscis – აღდგენა ვერ ხერხდება.

ხობსა და ჭანისწყალს შორის: სუჯუნა (Cudonat), ძველი ხიბულა (Chibulas), ზუბი (Zubis), წალენჯიხა (Scalingichas), ლემესხიე (Lemesche), ჯგალი (Sgali), სქური (Scuroli).

ჭანისწყალსა და ენგურს შორის პირველი რაც გვხვდება, არის ეკლესია, რომლითაც რუკაზე საეპისკოპოსო ცენტრი აღინიშნება. თუმცა აქ არაფერი არ აწერია. ბ. გოგიას მიერ გამოცემულ ლამბერტის რუკაზე ეს პუნქ-

---

[12] თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. მაცნე, ისტორიის ... სერია. №3. 1971, გვ. 151.

[13] თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, გვ. 151.

[14] თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, გვ. 151.

[15] შ. ჯღარკავა. სალიპარტიანი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა). თსუ-ს შრომები. ტ. 113. 1965, გვ. 20.

[16] თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, გვ. 151.

ტი აღინიშნება, როგორც Ciais Ep. ცაიში, საეპისკოპოსო ცენტრი.[17] ენგურის შავ ზღვასთან შეერთების ადგილას მდინარის ორივე მხარეს გაშენებული ყოფილა ანაკლია. რუკის მიხედით Anarghia olim Heraclea. აქ ანაკლია მეგრული ფორმითაა მოცემული – Anarghia.

შემდეგ მოდის განმუხური (Muchur), amuss და Pazchareti. აღდგენა ვერ ხერხდება, ზუგდიდი (Zugdidi), კორცხელი (Corzchen), რუხი (Ruchi) აღნიშნულია ციხე სიმაგრით, ბაში (Bascis), ლაკადა? (Lacqua).

ენგურსა და ერისწყალს შორის: ლეტაიში (Lethais), რაც მეგრული ტალახიდან (ლეტა) უნდა მოდიოდეს; ბარღები (Barghebs), დღეს ზემო, ქვემო და შუა ბარღები (გალის რ-ნი), ნაბაკევი (Naoblachia), კადარი (Cadars) დღეს სოფ. კოკის ერთ-ერთი უბანია (ზუგდიდის რ-ნი) და ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, წიფურია (Cippurias) მისიონერთა რეზიდენცია, რომელზეც ქვემოთ დაწვრილებით შევჩერდებით, წამხარი (Zamchar), დღეს სოფელ თაგილონის ერთ-ერთი უბანია, სიდა (Suddas), გენათი (Gemiati), ხვითი (Quiti) შეშელეთი (Sciascialeti), გალი (Gogieli), სათანჯო (Satango) – აღნიშნულია კოშკით. სათანჯო მეგრულად საორიენტაციოს ნიშნავს.[18] ცეიშ (Tcheis) შდრ. ცაიში – მეგრული ფორმაა „ცეიშ". სუჯონა (Sugiona), ნიშნავს ცუროვანს.

ერისწყალსა და თქუმს შორის: გუდავა (Gudas), გაგიდა (Gaghida), Ciamuri-Gaghida, პაპაითი (Papatis) დაკავშირებულია მღვდელთან – მეგრულად პაპა.[19] არმენი (Armeni), კავშირშია რუხში ჩასახლებულ სომხებთან, რუკაზეც არასწორადაა დატანილი. წარჩე (Tarhce) და ჩხორთოლი (Scortoli).

ჩხორთოლსა და წარჩეს შორის მოცემულია პუნქტი Archama (არკამა). ლამბერტი ამ პუნქტზე შენიშნავს: „იმ მთაზე, რომელიც **არკამას** (Arcama) დასცქერის, მოიპოვება მეორე ნაირი ქვა ნაცრის ფერი. ეს ქვა ძირს ჩამოაქვს მდინარეს, რომელიც ჩამოდის ხსენებული მთიდან".[20]

ლამბერტის რუკაზე მდინარე, რომელიც არკამას (Archama) ჩაუდის და სათავეს ჩხორთოლთან (Scortoli) იღებს არის წარჩე. სახელწოდება აიხსნება მეგრულად „წყარ-ჩე" – „თეთრი წყალი". იმის გათვალისწინებით, რომ

[17] Б. Гогия. Абхазия – историческая провинция Грузии, გვ. 45.

[18] პ. ცხადაია. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია (ენათმეცნიერული გამოკვლევა). თბ. 2005, გვ. 52.

[19] პ. ცხადაია. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, გვ. 57, 10, 103.

[20] დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 207.

ჩხორთოლის მიდამოები კირქვიანია, ხოლო ჩხორთოლი მთის ძირას (ჩვენი აზრით ეს უნდა იყოს ის მთა, რომელიც Arccam–ს დასცქერის) მდ. წარჩეს სათავეებთან მდებარეობს ჩვენი აზრით, Archama უნდა იყოს, ჩხორთოლის ერთ-ერთი ადგილის „არკვანა-არკვანი"-ს დამახინჯებული სახელწოდება,[21] ხოლო წარჩეს თავისი სახელი (თეთრი წყალი) მის მიერ ჩამოტანილი ქვების, უმეტესად კირქვის შეფერილობის გამო უნდა მიეღო.

ჩხორთოლის ზემოთ მოცემულია პუნქტი ჟირპიჯი (Girpigi), პ. ცხადაიას აზრით ჟირპიჯი ნიშნავს ხერთვისს, ორწყალს, ორპირს და იმ ადგილს უნდა შეესაბამებოდეს, სადაც დღეს ტერიტორიას ჟირღალი/ჟირთომი ეწოდება. რუკაზეც Girpigi სწორედ რომ ხერთვისთან მდებარეობს.[22]

წარჩესა და ოქუმს შორის: სანარი (Sannaar), საჩინო (Saccin), ბედია, საეპისკოპოსო ცენტრი (Bedias Ep).

ოქუმისა და ღალიძგას შორის: ლეგიონი (Legioni), ნაუგილერი (Naugilers), აპერზოლი (Apersoli), სუბეიში (Subeis), ლიმორი (Limor), ფუწყური (Pazcuor), მარცხული (Marzchuli), ოლუშე (Oluse).

უკანასკნელ პუნქტს ოლუშეზე ლამბერტი თავის აღწერილობაში აღნიშნავს: „რადგან ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, – დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი,"[23] ლამბერტის რუკაზე ოლუშე სწორედ იმ საფორტიფიკაციო სისტემათა ქსელის ქვეშაა მოცემული, რომელსაც აწერია „აფხაზთა თავდასხმის საწინააღმდეგო სამოცი ათასი ნაბიჯის სიგრძის კედელი". სიტყვა ოლუშე გასასვლელს ნიშნავს, ნაწარმოებია მეგრულ-ზანური სიტყვისაგან „ოლუ" – წასასვლელი.[24]

ოლუშე მდებარეობს ოჩამჩირის ზემოთ, მთებში. ტოპონიმი ჩაიწერეს ავ. თორდიამ და გუძა აფაქიძემ. ავ. თორდიას თქმით, ამ ადგილს დღეს, იქაური მცხოვრებები „ულისე"-ს უწოდებენ.

ღალიძგასა და მოქვისწყალს შორის: ილორი (Ilori), მერგულა, იგივე

---

[21] პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბ. 2003, გვ. 23.

[22] პ. ცხადაია. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმიკა, გვ. 63-67.

[23] დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 152.

[24] კ. ოკუჯავა. კოდორ-ენგურის შუამდინარეთის ჰიდრონიმები და ტოპონიმები თეატინელი მისიონერების კოლხეთის რუკებზე. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1999, გვ. 132-133.

მერკულა (Mergullas), ღალიძგა (Echalisgas). ეს პუნქტი ნახსენებია ლევან II დადიანის შეწირულობის წიგნში, სადაც დადიანის სასახლე ყოფილა,[25] ღალიძგა ნიშნავს „კიდე მდინარისა". თავდაპირველად უნდა ყოფილიყო პუნქტი, შემდეგ დაერქვა მდინარესაც.[26]

შემდეგ მოდის მოქვი, საეპისკოპოსო ცენტრი (Moguis.Ep) და თილითი (Tilich), ეს არის დღევანდელი სოფელი თხინას მიდამოებში არსებული ტყე და ციხის ნანგრევი, რომელსაც „თლით აბა" ეწოდება.[27]

მოქვისწყალსა და მარმარისწყალს შორის: თურქების სავაჭრო ცენტრი (Turcharu Emporium) იგივე, ისკურია, ან ტყაურუ, თუმცა შეცდომითაა დატანილი რუკაზე, უნდა იყოს მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე ტყაურუ მეგრულად ნიშნავს „ყრუ ტყე"-ს იქვეა დღვანა (Tguanas), პიტაური (Pitauro) იგივე კვიტაული[28] და გიორირდე ან ჟიორირდე (Giorirde).

მარმარიწყალსა და კოდორს შორის: ტამიში (Satamascia), სიტყვა მოდის „თამაში", „სათამაშოდან"; ტამიში კი აფხაზური ფორმაა. წყურგილი (Sgurghili) მეგრულად ნიშნავს ცივ წყაროს, ამჟამად შედის აძიბჟუის სოფლის საბჭოში.[29] ფშია (Pscia) იგივე ფშაური[30] მარმარისკარი (Marmariscari) იგივე დღევანდელი მარმალაბაა, აფხაზურად ითარგმნება როგორც მარმარილოს ნაგებობა,[31] აგუ (Agu), თითქოს ერთადერთი აფხაზური (აფსუური) ტოპონიმია, ითარგმნა როგორც გული ან ზღვის ნაპირი, თ. ბერიძის აზრით, უნდა იყოს ოჩამჩირის რაიონის სოფ. აგუაა, კ. ოკუჯავა კი ამ ტოპონიმს სვანურ სიტყვა „აგ"-ს უკავშირებს, რაც სადგომს ნიშნავს.[32]

იქვეა პუნქტი ტკვაჯია (Tguajia), რაც მეგრულად ითარგმნება, როგორც ხის კიბე. ბ. ხორავას აზრით, ეს პუნქტი დღევანდელ ტყვარჩელს

---

[25] ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, ტფ., 1921, გვ. 41.

[26] მ. პაჭკორია. ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან. თბ. 1974, გვ. 42-25.

[27] თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, გვ. 154.

[28] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ. 1996, გვ. 151.

[29] თ. ბერაძე. ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, მაცნე, ისტორიის ... სერია. 3. 1971, გვ. 154.

[30] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. გვ. 151.

[31] თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1967, გვ. 83-84.

[32] კ. ოკუჯავა. კოდორ-ენგურის შუამდინარეთის ჰიდრონიმები და ტოპონიმები, გვ. 20.

შეესაბამება.[33] პ. ინგოროყვა ტყვარჩელს ხსნის, როგორც „დაფენილ ხის კიბეს“.[34] თ. გვანცელაძემ უარყო აქამდე არსებული ეტიმოლოგიური ახსნა და ტყვარჩელს განმარტავს, როგორც ყოჩივარდებით მოფენილ ადგილს. ტყვარჩელია მეგრულად ყოჩივარდა.[35]

კოდორის მარჯვენა ნაპირზეა დრანდა, საეპისკოპოსო ცენტრი (Dandras Ep.).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ენგურის მარჯვენა ნაპირზე აღნიშნულ პუნქტ წიფურიას ცალკე შევეხებოდით.

წიფურია (ჭიპურია, წიფია, სიპია), როგორც ვიცით, ლევან II დადიანის (1611-1657) დროს ძალზე დაწინაურებული პუნქტი იყო ოდიშის სამთავროში. აქ მოღვაწეობდნენ იტალიელი მისიონერები, ასევე იყო სავაჭრო და საგანმანათლებლო ცენტრი.[36] უცხოელი მოგზაურები წიფურიას ოდიშის საეპისკოპოსოთა შორის იხსენიებენ, წიფურიელით სათავეში,[37] თუმცა წყაროებით არ დასტურდება, რომ წიფურიაში საეპისკოპოსო ცენტრი იყო.

ჩვენ მიერ ნანახ უამრავ რუკათა შორის მხოლოდ ერთადერთ, 1723 წლის, საქართველოს ფრანგულ რუკაზე წიფურია, წარწერით: „სიპიას“ საეპისკოპოსოს ნიშნით, ჯვრითაა აღნიშნული და მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.[38]

1633 წელს სამეგრელოში ჩადიან არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე მილანელი მათ წიფურია თავიანთი საქმიანობისათვის მხოლოდ 1635 წელს მიიღეს.

---

[33] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. გვ. 150.

[34] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრიეი ცხოერების ისტორიიდან. თბ. 1954, გვ. 172.

[35] დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ. 1976, გვ. 90-92.

[36] ვ. ზუხბაია. გალი. თბ. 2002, გვ. 20.

[37] დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 107; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX სს-ის პირველი ნახევარი). 1628-1633 წწ. ტ. III. თბ. 1987, გვ. 165.

[38] ი. მათურელი. ეახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. თბ. 1990, გვ. 25-26; ვ. მეტრეველი. სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა (გ. ზარდალიშვილის ერთი წერილის გამო). აკად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XIX-B. 1956, გვ. 227-232.

საინტერესოა, თუ სად მდებარეობდა XVII საუკუნის I ნახევარში ოდიშის სამთავროში დაწინაურებული პუნქტი წიფურია?

სოფელ თაგელონში (გალის რაიონი), ენგურის ნაპირზე, ნიკოლოზ ადამიას სახლის მახლობლად, გასული საუკუნის 70-იან წლებში, მიუთითებდნენ „წიფურიას" ადგილსამყოფელს, სადაც ნაგებობათა და სასაფლაოს ნაშთები მდ. ენგურს ჰქონდა მიტაცებული, [39] სადაც შემორჩენილი ყოფილა რიყის ქვით ნაგები გალავნის ნაშთი 1-1,5 მეტრი სიმაღლის, მის შიგნით კი ეკლესიის ნაშთები, ამ ადგილს მოსახლეობა დღესაც კი წიფურიას ეძახის.[40]

შამგონა-კახათის (ზუგდიდის რაიონი) ქვემო უბანში, სადაც ენგურის მეორე შტო გადის, ქვის ნაგებობათა ძველი ნაშთებია, ამ ადგილს სოფელ შამგონას მოსახლეობა წინაპართა გადმოცემით „წიფიას" უწოდებს,[41] თაგილონის „წიფურიასა" და შამგონას „წიფიას" შორის მანძილი 3 კმ-ია. თ. ყალიჩავას აზრით, ეს ორივე „წიფურია" და „წიფია" ერთი და იგივე სავაჭრო ცენტრი უნდა იყოს. წიფურია რომ მართლაც თაგილონში უნდა ვივარაუდოთ მიგვანიშნებს სოფლიდან 1,5 კმ-ის მანძილზე არსებული ადგილი „შაბათერის ციხე". სავარაუდოდ, შარდენის „საბახტარის ციხეა",[42] რომელსაც მან წიფურიაში აფხაზთა თავდასხმის საშიშროებისას შეაფარა თავი.[43]

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე Cippurias –თან მოსაზღვრე პუნქტები წამხარი (Zamchar) და კადარი (Cadars), დღესაც არსებობს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წამხარი სოფელ თაგილონის ერთ-ერთი უბანია, ასევე კადარი სოფელი კოკის.

ჩვენი აზრით, XVII საუკუნეში თაგილონი და შამგონა ერთიან სოფელს წარმოადგენდა, დღეს ეს სოფლები შუაზე იყოფა მდ. ენგურის მარჯვენა დეტალით, თავის მხრივ შამგონა დღეს კუნძულს წარმოადგენს. ტოპონიმი წამხარი, რომელიც სოფელი თაგილონის შემადგენლობაში შედის, აქ ნაეკლესიართან თორიების საგვარეულო სასაფლაოა. გადმოცემით აქ უწინ

[39] მ. პაჭკორია ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, გვ. 58.
[40] ვ. ზუხბაია. გალი, გვ. 146.
[41] მ. პაჭკორია. ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, გვ. 61.
[42] თ. ყალიჩავა. წიფურიას ლოკალიზაციის საკითხისათვის. წგნ: საისტორიო კრებული. ტ. VII. თბ. 1977, გვ. 262.
[43] ჟან შარდენის მოგზაურობანი სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოზე). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1975, გვ. 231.

სოფელ შამგონის სასაფლაოც ყოფილა,[44] რაც იმის მიმანიშნებელია, რომ თაგილონი და შამგონა ოდესღაც ერთი სოფელი იყო, რადგან შეუძლებელია ერთი სოფლის სასაფლაო მეორე სოფელში ყოფილიყო.

სავარაუდოდ, თაგილონი და შამგონა მდ. ენგურმა მას შემდეგ გაყო, რაც კალაპოტი იცვალა. მისი კალაპოტის ცვალებადობაზე კი მიუთითებს სოფ. თაგილონში არსებული ტოპონიმი „ნაინგრ" (მეგრ.) ქართულად – ნაენგურალი, ასევე ტოპონიმი კადარი. ის ლამბერტის რუკაზე ენგურის მარჯვენა ნაპირზეა, დღეს კი მარცხენაზე.

ადრე სოფელი კოკი სახელწოდებით ბარბალო ყვაპუ შერვაშიძის მამული იყო ბედიასთან და ფახულანთან ერთად,[45] სწორედ ამ კოკის უბანია დღეს კადარი. 1840 წელს ოდიშის სამთავროსა და სამურზაყანოს საზღვრად მდ. ენგურის ახალი კალაპოტის მარჯვენა ტოტი დადგინდა, რითაც ბეჟან შერვაშიძის კუთვნილი სოფლები დიდი და პატარა კოკი დავით დადიანმა მიითვისა.[46]

როგორც ვნახეთ, ენგურის კალაპოტის ცვლილებამ სოფ. კოკი ენგურის მარცხენა ნაპირზე მოაქცია, ასეთ კალაპოტის ცვლილებას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა წიფურიაზეც (თაგილონი-შამგონა).

ვიზიარებთ რა თ. ყალიჩავას მოსაზრებას, ჩვენ გვგონია, რომ სოფელი თაგილონის „წიფურია" და შამგონას „წიფია" ერთად ქმნიდნენ შუა საუკუნეების „წიფურიას" (Cippurias).

ქრისტოფორო კასტელს თავის ალბომში მოცემული აქვს ვინმე შამონო გელას პორტრეტი, მისიონერების მსახურ თებორასთან ერთად,[47] სურთზე ასეთი წარწერაა გაკეთებული: „ჩვენი კეთილისმყოფელის, სამეგრელოში განთქმული ღვინის დიდ მსმელის, შამონო გელას პორტრეტი".[48] ვ. ზუხბაიამ ეს სურათი შეიტანა თავის ნაშრომში „თაგილონი", რომელშიც

[44] პ. ცხადაია, ე. ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 205-206.

[45] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. გვ. 116-117.

[46] ს. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX ს-ის I ნახევარში. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. VII. თბ. 1989, გვ. 98.

[47] დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 137.

[48] დონ ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 137.

სოფლის ისტორია და იქ მცხოვრებთა გვარები.[49] ამ პორტრეტმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას თაგილონისა და შამგონას ერთ „წიფურიაში“ გაერთიანების შესახებ. თვითონ ტოპონიმი შამგონა პროფ. პ. ცხადაიამ შეიტანა თავის ნაშრომში „ათასი მეგრული ტოპონიმი“, სადაც ვკითხულობთ: „შამგონა სოფელი, საკრებულო ენგურის ნაპირას (ზუგდიდის რ-ნი), შამგუ, შანგულა ყოფილა ყურძნის ჯიში, ჩამოუტანია შანგუ გოროზიას“,[50] ანალოგიური თქმულება ჩვენც მოსმენილი გვქონდა სოფ. სამგონაში, ამიტომ ხელმეორედ გადავამოწმეთ 2007 წლის იანვარში. უხუცესთა თქმით, მათ სოფელში ვიღაც შამგულს თუ შანგუს ვაზი ჩამოუტანია, იქ გაუშენებია და ამიტომაც მის საპატივსაცემოდ სოფელს შამგონა ეწოდა. დიდია ცდუნება კასტელის პორტრეტის შამონო გელა და სოფ. შამგონას მცხოვრებთა თქმულებაში ასახული შამგუ თუ შანგული (ორივე ფონეტიკურად ჰგავს ერთმანეთს, თან ორივეს სახელი ღვინოსთან და ყურძენთანაა კავშირში), ერთ პიროვნებად წარმოვიდგინოთ. ასეთ შემთხვევაში, თაგილონისა და შამგონას ერთად „წიფურიაში“ გაერთიანების მოსაზრება მეტ არგუმენტს შეიძენდა.

წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ მდინარეების, ენგურსა და კოდორს შორის მდებარე ტოპონიმიკა და ჰიდრონომია მთლიანად ქართულია (მეგრული, სვანური) და უსაფუძვლოა აფხაზ სეპარატისტთა მტკიცება იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ტერიტორია დღევანდელ საზღვრებში მათი განსახლების არეალი იყო.

ამასთან დაკავშირებით მაგალითისათვის მოვიყვანთ XVII ს-ის რამდენიმე საეკლესიო საბუთში დადასტურებულ ენგურს გაღმა მცხოვრებთა გვარებს.

აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლის დავთარში ჩამოთვლილია შემდეგი გვარები:

ნაჟანეულში: უჩია, ჯაკობია, დიდია, კოდია, ჯგუბერია, ბუბუტია, შუშანია, კუატარა, მჭითანაა (ჭითანავა?), აბრამიასშვილი, ძაბუა, სამელია, გოგილაა, გოგილა (გოგილავა), მატოფია, მარკოზია, ჯომ-ნია (ჯომინავა?), ციკუტია (ციკუტანია), გვანიშაი ბაგუძელა, ღრუბალია, გურუა, ხისტარია, მესტუმრია, ცისტარია, ლოგუა, მარსალია, ელიშია, კონჯარია, გვიტიშია, ფიოლია, კოტარია, კონტარია.

ხიორში: დიდია, ჩაგუა, ლასურია, მეზურგ-ნია, მამამულია, ქუნია, ჯი-

[49] ვ. სუხბაია, გრ. შარია. თაგილონი (წიფურია, წამხარი). თბ. 2004.
[50] პ. ცხადაია. ათასი მეგრული ტოპონიმი. თბ. 2005, გვ. 80.

ტა, გრიგოლია, ჯიქია, ბიჭვა (ბეჭვაია?), დამაკოჩია, ამბალია, ჯომინა (ჯომინავა?), კაკუა, ქურია, ჯაკობია, კოსტაია, გამრეკვალია, ხარგუა.

მუხურში: კიტია, პერტია, ძლირუა, გავაშელი, ქორჩოლუა, ჯაკონია, ღუაჯაგია, მახუტია, არტონია, ხვინგია, მიქელია, ბიგუა, ჯიმია, ღუაჯაგია, ქ-შია.

თელითში: თიფშუა, მარტიშია, ცქურია, შენია, გულუა, სთევანესკირი, ჟვანესკირია (ჟვანია?), მომარდია, ბულია, თუთაშხია, ფაჟა (ფაჟავა?), კირჩხელი, ხუხუა, ზარქუა, შანტია, შარინავა, ცისკარავა, მალურავა, მარხალია, ჩხირუა, გირგოლავა, გირგოლა.

ხაჟუელში: ვარდანია, ვართანგია, ფარსმანია, ბაგია მითანაფი, გინძია, ჩოქუა, კუკაა (კუკავა?), წებელარია, ხალიბესშვილი, გირდია, სალატია, დუშია.

გუფუში: ვარდანია, შონია, ხვიტია მისერია, ნისერია, შარინა, მაჭიხულია.

ტყაურუში: შამბია, ჭუჭურია, დათია.

ჭალაში: გოგორდავა, ჩაგალია, ბიშხუფლია, ჭანია, ფილია, გიჭორდი ჰკა, მარლია, ბიბილია.[51]

დავთარში ერთი და იმავე გვარის მატარებელი რამდენიმე პირია ჩამოთვლილი, ამიტომ ჩვენ მხოლოდ თითო გვარი ამოვწერეთ.

დასავლურ ევროპული რუკებისა და ქართული საეკლესიაო საბუთების მონაცემები ნათლად წარმოაჩენენ იმ ტოპონიმიკურ რეალობას, რომელიც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იყო გვიანშუასაუკუნეებში, ამიტომ უსაფუძვლოა ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება, რომ ტოპონიმები აფხაზურად წარმოაჩინონ, რითაც თითქოს ხაზს უსვამენ ამ ტერიტორიაზე აფხაზ-აფსუათა უწყვეტ განსახლებას.

[51] ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 419-435.

Akaki Chikobava

TOPONYMS OF ODISH-ABKHAZETI IN THE 16th -17th CENTURIES

Summary

From the beginning of the 18th century, when political border of Odish-Abkhazeti had moved back to river Enguri, all the lands beyond Enguri were in control of three Abkhazian princes. Stating the autochtony for the Abkhazian people from Enguri to Bzipi-river, the Abkhazian academics are trying to prove all the Georgian and Megrelian toponyms there as introduced later. The Western European maps as well as the Georgian ecclesiastical charters are providing different picture – all the toponyms between the rivers Bzipi and Enguri are initially of Megrelian (Georgian) origin.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

გურამ კუტალაძე

სამცხის ერთი მონასტრის სწორი სახელწოდებისათვის

სამცხეში, თანამედროვე ასპინძის რაიონში, იქ, სადაც ჯავახეთის ზეგანი ახალციხის ქვაბულისაკენ მოსხლეტილა, ვახუშტის თქმით, „ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირში არს შორაპანს მონასტერი უგუმბათო, შუენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და აწ ცალიერი".[1] მონასტერს 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" შოროთას სახელით იცნობს – „სათესველი შოროთა", „შოროთის ეკლესია".[2]

ეკლესია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლთა შორის მრავალმხრივ საინტერესო და თავისებურია, რასაც, პირველ ყოვლისა, მისი ხუროთმოძღვრული სახე და მთავარი ეკლესიის მოზაიკური შემკულობა განაპირობებს. სამცხის სოფელ ოთიდან მონასტრისაკენ მიმავალი გზა მდინარე სანისლოზე (ინთორისწყალი) გადადის, ციცაბო, ტყიან ფერდობს შეუყვება და საცალფეხო, ლამის ულაღი ბილიკის გავლით მყუდრო ტაფობში განმარტოებულ სამონასტრო კომპლექსს მიადგება. ირგვლივ ყველაფერს პირველშესაქმის ხიბლი და ანდამატი ატყვია: ანსამბლს ათასწლოვანი წიწვნარი შემოსჯარვია, ჩრდილოეთიდან მთის უტყეო კალთები და კლდოვანი მწვერვალები აკრავს, რომელთა ბოლოს, ხეობიდან ამომავალი ბილიკის თავზე, მონასტრის მცველი ციხის ნანგრევები გაკიდულა. ექვთიმე თაყაიშვილი, მოხიბლული აქაობის ზღაპრული ელფერითა და იდუმალებით, წერდა: „მთის წმინდა ჰაერი, მოჩხრიალე ნაკადულები და თვალუწვდენელი ხეობისაკენ გახსნილი მშვენიერი ხედი, ხშირი სიმწვანით დაფარულ ამ ადგილს საოცრად მიმზიდველსა და

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 667.

[2] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. III. თბ. 1958, გვ. 204-208.

ცხოველმყოფელს ხდის".[3]

შოროთის მონასტერი თავის დროზე მნიშვნელოვანი კულტურულ – სარწმუნოებრივი ცენტრი იყო, რასაც ჩვენამდე მოღწეული მცირერიცხოვანი, მაგრამ ფასეული ხელნაწერები ამოწმებს, რომელთა ანდერძ-მინაწერებში მკაფიოდ იკითხება მონასტრის ნამდვილი, ისტორიული სახელი, სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს წინასწარგამიზნულად, მეცნიერული აზრისა და ლოგიკის საწინააღმდეგოდ, იგნორირებული და უარყოფილი.

საკითხის განმარტებისათვის მის იტორიოგრაფიას შევეხებით; დავიწყებთ იმის აღნიშვნით, რომ ვახუშტისთან „შორაპანი" სახელით (რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება) ცნობილ მონსატერსა და ადგილს ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა „შოლორთა, შოლოთა" – სახელით მოიხსენიებს.

XIX საუკუნეში, როცა საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავება-გამართვის საქმე მყარ საძირკველზე დადგა, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, მათ შორის ჩვენი ძეგლიც, ბუნებრივია, მკვლევარ-სპეციალისტთა ინტერესების სფეროში მოექცა. პირველად, 1849 წელს, იგი ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ აღწერა სახელწოდებით – **„შოლოთან"**[4], რაც, ჩვენი აზრით, ადგილობრივთა მეტყველებაში დამოწმებული, „სხვა ენობრივი წრის ზეგავლენით" შემუშავებული „შოლოთა, შოლორთა" ფორმების ნაგავლენარი სახესხვაობაა. ქიამილ ბეგ დიასამიძეს, ბროსეს ასპინძელ მეგზურს, მკვლევრისათვის მონასტრის მეორე სახელად „ტაიჯ" ჩაუწერინებია[5], რასაც ქვემოთ შევეხებით.

ამის შემდეგ, დიმიტრი ბაქრაძემ თავის შრომაში მონასტერი ვახუშტისეული სახელით მოიხსენია, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მისი გამყოლი, ახალქალაქის დეკანოზი გ. გამრეკელოვი ძეგლს **შორათის** ეკლესიას ანუ ბეთლემს უწოდებდა.[6]

ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე) XIX საუკუნის 70 წლების მიწურულს

---

[3] Маршрут и предварительные заметки. Христианские памятники. (Экскурсия Е. Такаишвили 1902 г.) // Материалы по археологии Кавказа, собранные экспедицией Имп. Московского археологического общества. Вып. 12. М. 1909. XII, გვ. 10.

[4] Rapports sur un voyage archéologique dans la Georgie et dans l'Arménie, execute en 1847-1848. Par M. Brosset. SPb. 1850, გვ. 176.

[5] Rapports sur un voyage archéologique dans la Georgie et dans l'Arménie, execute en 1847-1848, გვ. 176.

[6] Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках Христианства. Тиф. 1881, გვ. 151.

ორჯერ ეწვია მონასტერს და იგი ჭაიტას სახელით მოიხსენია გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ პუბლიკაციაში და მიუთითა, რომ „ეს ადრე მონასტრად ყოფილა კოდიანისა და ნახევარ ჯავახეთის მცხოვრებთა“-ო.[7]

მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „შორეთი მონასტრის ძველი სახელია, ახლა შოლოთად გადაკეთებული... შორეთი სიტყვა სიტყვით დაშორებულ ადგილს ნიშნავს, მაგრამ შორეთის მონასტერი იმდენად დაშორებული კი არ არის სოფელ ოთიდან, რამდენადაც ძნელად სავალია მისკენ მიმავალი აღმართი“ – იქვე, ტექსტს დართულ სქოლიოში მეცნიერს მიუთითებია, რომ „ძველ ხელნაწერებში... მონასტერი **შოროთას** სახელით არის ცნობილი“.[8] ამის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის დიდი აკადემიური ავტორიტეტის წყალობით მონასტერს ერთგვარად დაუნარჩუნდა შორეთი სახელდება; ასე ასახელებს მას აკადემიკოსი ვ. ბერიძე იმის ხაზგასმით, რომ ეს სახელი უკვე მის დროს არ იხმარებოდა.[9]

გასული საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში ეკლესია **„შოლოთის“** და „ჭაიტა“ სახელებით აღუნუსხავს სიძველეთა დაუღალავ მაძიებელსა და მკვლევარს გ. ბოჭორიძეს. იმავე საუკუნის მიწურულს წიგნად გამოცემულ მის ხელთნაწერებს თან ერთვის რედაქტორ-გამომცემელთა შენიშვნები, სადაც ვკითხულობთ: „**შოროთა** არის ძეგლის სწორი სახელწოდება; შოლოთა, შორეთი გვიანი დამახინჯებაა. ამისავე აღსანიშნავად იხსენიება ტაიჭა-ც“.[10]

ძეგლის ნამდვილ სახელად **შოროთა** მიაჩნია პროფესორ მ. ბერიძესაც.[11] მონასტრის მართალი სახელის დაზუსტებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში მისი დამკვიდრების პატივი ს. ჯიქიას ეკუთვნის. „დავთარი“, როგორც ვთქვით, ახალციხის ლივის ასპინძის ნაჰიეში 41-ე ნომრად ასახელებს სათესველ „შოროთას“, მეორე სახელით – „შოროთის ეკლესია“. ტექსტის კომენტარებში ცნობილი მეცნიერი წერს, რომ ამ სიტყვის თურქული დაწერილობის „მეოთხე ასო ა-დაც იკითხება და ე-დაც და,

---

[7] ი. გვარამაძე (ვინმე მესხი). მესხური ფელეტონი. გაზ. „დროება“. № 98. 1981.

[8] Маршрут и предварительные заметки. Христианские памятники, გვ. 10.

[9] ვ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება XIII – XV სს. თბ. 1955, გვ. 211.

[10] გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს: დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა. თბ. 1992, გვ. 259.

[11] მ. ბერიძე. სამცხე – ჯავახეთის ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის ვახუშტის „აღწერის“ მიხედვით. კრ. „ტოპონიმიკა“. თბ. 1980, გვ. 296.

ამდენად, მისი „შორეთა“-დ ან „შორათა“-დ წაკითხულობა სრულებით ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ამ ადგილს და მასზე გაშენებულ მონასტერს ეწოდება შოროთა და არა შორეთი (ე. თაყაიშვილი) ან შორეთა („დავთარი“).[12]

მონასტრის სახელწოდების დასადგენად მეცნიერი ეყრდნობა ექვთიმე თაყაიშვილის მიერვე მითითებულ, ჩვენს ძეგლთან დაკავშირებულ სამ ხელნაწერს. პირველი ე. თაყაიშვილის მიერ XIV საუკუნისად მიჩნეული ვანის ოთხთავის მინაწერია, სადაც იკითხება: „წ~სა გ~ი შოროთისასა“ იგივე დასტურდება XIII-XIV საუკუნის სხვა მინაწერშიც: „შევწირე შოროთას“, დაბოლოს, ამასვე ამოწმებს მესამე ხელნაწერის ანდერძიც: „...წმიდისა გიორგის შოროთისაჲთა... შევსწირენ შოროთას“. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ს. ჯიქია მიუთითებდა, რომ: „არავითარი ეჭვი არ რჩება, რომ ამ ადგილის და ეკლესიის სახელწოდება **შოროთაა** და არა **შორეთი**“. მეცნიერის მაღალაკადემიურობასა და მისაბაძ კეთილსინდისიერებას მიუთითებს მოტანილი ტექსტის სქოლიოში აღნიშნული: „ნამდვილად ყველგან **შოროთა** რომ იკითხება, დამიდასტურა პროფ. ილ. აბულაძემ. ხელნაწერის ამწერი ბოროთა-დ კითხულობს და შოროთა კითხვითი ნიშნით ფრჩხილებში აქვს მითითებული“ (ხაზგასმა ჩვენია – გ.კ.).[13]

მეცნიერის არგუმენტებისა და დასკვნის უიჭობამ 1992 წელს, აწ გარდაცვლილ ნიჭიერ ისტორიკოს ო. მაისურაძესთან ერთობლივ ნარკვევში, გვათქმევინა: „მონასტრის სწორი სახელი დადგენილია, რაც სპეციალურ ლიტერატურაში უნდა აისახოს. აუცილებელია აღდგეს სახელი შოროთა, შოროთის მონასტერი, უმართებულოდ მიღებული „შორეთი“-ს ნაცვლად, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ისტორიული საფუძველი არ გააჩნია.[14]

ისტორიულ საფუძვლებში ვგულისხმობდით და ვგულისხმობთ, რასაკვირველია, დღესაც მონასტრის სახელწოდების მკვლევარ-მოგზაურთა მიერ დადასტურებულ ფორმებსა და, რაც მთავარია, შოროთის მონასტრის კუთვნილი ხელნაწერების ზემორეხმობილ მონაცემებს. ამავდროულად, ნარკვევში, ჩვენი მხრივ, ყურადღება გავამახვილეთ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წელს შიო მღვიმის მონასტერში მოპოვებულ ხელნაწერზე, რომელიც მეცნიერის გაცილებით ადრეულ, უკვე დასახელებულ, შრომაში, ცხადია, ვერ აისახებოდა. ესაა ასკეტიკური კრებული „მამათა ცხოვრებაჲ“ თარგმნილი თეო-

[12] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 206.
[13] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 206.
[14] გ. კუტალაძე, ო. მაისურაძე. შოროთა. ახალციხე. 1992, გვ. 7.

ფილე ხუცესმონაზონის მიერ XII-XIII საუკუნეში, საიდანაც ვიგებთ, რომ „ითარგმანა უკუჱ წიგნი ესე წმიდაჲ სამოთხე წმიდათა მამათაჲ... სახელითა ღმრთისაჲ და მეოხებითა წმიდის გიორგისი **შოროთისაჲთა**, დავდევით წიგნი ესე მამათა ცხოვრებაჲ წინაშე ხატისა ღმრთეებისა და წმიდის გიორგისა ჩუენ არსლანისძეთა, ჩუენის გაზრდილისა ბაციკისძისა გიორგისაჲთვის, მის მიერითა მონაგებითა, ჰალალითა საქონლითა... ნუ ვინ გამოაკუჱბს ხატსა ღვთაებისასა და წმიდასა გიორგის **შოროთისასა**“ (ხაზგასმა ჩვენია – გ.კ.).[15] როგორც ვხედავთ, აქაც, ამ ხელნაწერშიც, შოროთა იკითხება, რაც ს. ჯიქიას უამცნობოდაც, ვიმეორებთ, უიჭო დასკვნას განამტკიცებს.

მაშ, რის საფუძველზე, რა არგუმენტების წყალობით უნდა შეიცვალოს მონასტრის ნამდვილი, ისტორიულად დადასტურებული სახელი?

მოვიხმობთ ს. ჯიქიას არგუმენტებისა და დასკვნის დილეტანტური ენთუზიაზმითა და მისთვის მახასიათებელი სიჯიუტით მაიგნორირებელ თვალსაზრისს, გამოთქმულს მკვლევარ მ. დათუკიშვილის მიერ საკვალიფიკაციო შრომაში: „საყურადღებოა მოსაზრებები მონასტრის სახელწოდების შესახებ. სერგი ჯიქია დავთარში კითხულობს „შოროთას“, თუმცა შეიძლებოდა წაგვეკითხა როგორც „შორეთა“, ასეა თარგმნილი მეორე ტომში. ხელნაწერთა ინსტიტუტში გადავამოწმე ს. ჯიქიას ცნობები, მოვიძიეთ აღნიშნული ანდერძები. ყველგან შოროთაა, ვანის ოთხთავის „შორათის“ გამოკლებით, მაგრამ რაც შეეხება მონასტრის დამკვიდრებული სახელწოდების, „შორეთის“ სისწორეს, ანუ მართებულობას, მიმაჩნია, რომ შორეთი და ო-შორ-ა (ტოპონიმი (სოფელი) სამცხეში, შოროთის მეზობლობაში – გ.კ.) „შორ“ ძირის მქონე ქართულ-ზანური სინონიმებია, შესაბამისად გაფორმებული თავსართ-ბოლოსართებით, ამასთანავე, შორეთი ოშორადან უნდა მომდინარეობდეს. „შურ“ იგივე „შორ“ მეგრულ-ჭანურში სულს ნიშნავს და, შესაძლოა, რომელიმე საკულტო ადგილს ან ობიექტს უკავშირდებოდეს... ძნელია ტოპონიმთა ეტიმოლოგიაზე მსჯელობა, მით უმეტეს, როცა საარქივო მასალაში ნათლად არის წარმოდგენილი სახელწოდება შოროთა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი არგუმენტაცია ფაქტების ანალიზს ემყარება. ჩვენთვის ცნობილი ანდერძ-მინაწერები ძირითადად გვიანდელია, არაუადრეს XIII საუკუნისა ვიდრე XV-XVI სს. ოშორა და საბოთარი კი (ბოქთა) (ბოქთა – ტოპონიმი, (ნასოფლარი) ასპინძისხევში – გ.კ.) კი ადრექრისტიანული პერიოდიდან მომდინარე ტოპონიმები უნდა იყოს, როცა ჯერ კიდევ ჭანური მოსახლეობა და ჭანური ენა დო-

[15] გ. კუტალაძე, ო. მაისურაძე. შოროთა, გვ. 6.

მინირებდა რეგიონში".[16]

ამ ვრცელი ამონარიდის მეცნიერული თვალსაზრისით განხილვა ფუჭ საქმედ მიგვაჩნია, მხოლოდ რამდენიმე დეტალს შევეხებით: ჯერ ერთი, „შორეთი" სახელი დამკვიდრებული არ არის, ადგილობრივ მეტყველებაში იგი არა გვხვდება და სამეცნიერო ლიტერატურაშიც, ექვთიმე თაყაიშვილიდან მომდინარე, მისი გამოყენების ერთეული შემთხვევა გვაქვს. მეორე და მთავარი, საკვალიფიკაციო შრომის ავტორი შეგნებულად აჩუმათებს ს. ჯიქიას მაღალკვალიფიციურ კომენტარს თურქული ტექსტის „შორეთა" კითხვისის ქართულში „შოროთა"-დ აღდგენის კანონზომიერების თაობაზე. ს .ჯიქიას ზედმიწევნითი განმარტებით „თურქის წარმოთქმაში ო ხმოვანი პირველი მარცვლის იქით არ მიდის. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართ. **ბოდოკლდე** თურქულში გადმოცემულია **„ბოდაკლდე"**-დ (მეორე ო ა-დაა გადმოცემული), ქართული **„წახნისწაყრო"//ზახნისკარა** (აქაც ბოლოკიდური ო გადმოცემულია ა-დ) და სხვ. მაშასადამე, თურქის გადმოცემაში შოროთა-ს მეორე ო გადმოცემულია კანონზომიერად ე-დ ან ა-დ =„შორეთა", „შორათა". ამით ჩვენ ვასწორებთ შორეთა (II წიგნი) წაკითხვას **შოროთად**" – ბრძანებს მეცნიერი.[17] კომენტარი ზედმეტიაო – ასეთ შემთხვევაზედ უთქვამთ.

მ. დათუკიშვილი თავის შრომაში აღნიშნავს, რომ 1987 წელს ეკლესიის სატრაპეზოს გაწმენდისას აღმოჩნდა IV-VII სს. მენჰილი, ქართულად „ჭორატი", რომელიც ორად გაპობილი ჩაუშენებიათ ეკლესიის „პირველ სართულზე სატრაპეზოდან გამავალი აღმოსავლეთის კარებში... შესაძლოა, სწორედ ამ ქვის სვეტს უკავშირდებოდეს მონასტრის სახელწოდება (ჭორატი, ჩორატი, შორათი, შოროთა, შორეთი და ა.შ.)".[18]

როგორ გაჩნდა ანდერძებში „შოროთა" – დაუსვამს კითხვა მ. დათუკიშვილს და უპასუხნია კიდეც: 1. ადგილობრივი ტოპონიმია, შესაძლოა „შორაპანიდან" მომდინარე, ან ზანური წარმომავლობის, სხვაგანაც გვხვდება სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიკაში. 2. თანდათან დაიმცრო მაღლობზე მდებარე ბოქთა, ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა მდინარისპირა, საუღელტეხილო გზაზე მდებარე ოთა, კარგად ნაშენი ციხით, რაბათით, შესაძლოა ზანური

[16] მ. დათუკიშვილი. ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები (ქართულ-კავკასიური ინსტიტუტის ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიციის მასალების მიხედვით). დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის (Ph.D) მოსაპოვებლად. თბ. 2009, გვ. 104-105.

[17] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი. წ. III, გვ. 206.

[18] მ. დათუკიშვილი. ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 97.

ჟღერადობის სახელწოდება „ბოქთა“ გამარტივდა და „ოთა“-დ იქცა შორეთის ტაძარი, რომელიც კოდიანისა და ნახევარი ჯავახეთის მცხოვრებთა მონასტრად მოიაზრებოდა, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, ცნობილი ოშორა-შორეთისა და ახალშენი ოთის მონასტრად მოიაზრებოდა. აქედან, შესაძლოა, წარმოდგა და დამკვიდრდა მისი ხალხური სახელწოდებაც „შოროთა“ ანუ ოშორ-ოთის მონასტერი. ამ შემთხვევაში თავსართი „ო“ ბუნებრივია უნდა დაკარგულიყო და გავრცელდა შოროთა, რომელიც შემდეგ დამახინჯდა „შოლორთად“, „შოლოთად“ და ა.შ. 3. მეორე ვერსიაა საქართველოს სამეფოს სამხრეთ რეგიონებიდან მტრის მოძალების შედეგად ქვეყნის შიგნით მართმადიდებელი მოსახლეობის მიგრაცია და სახელგანთქმულ ხატებთან ერთად ტოპონიმის გადმონაცვლებაც“.[19]

ტოპონიმი, ეს ანბანური ჭეშმარიტება გახლავთ, ისტორიულ-ლინგვისტურად მეტად გამძლეა, თანაც ფასეული ინფორმაციის მატარებელი. მისი წარმოშობაცა და სახეცვლაც ენობრივ კანონზომიერებათა ფარგალში მიმდინარეობს. „ბოქთა“-ს „ოთა“-დ გარდაქმნის დაშვებისათვის, რაც, ჩვენი აზრით, მეცნიერულ ლოგიკას აცილებულია, მხოლოდ აკვიატება არა კმარა, ეს, უწინარესად, ენათმეცნიერულად უნდა დასაბუთდეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლევარს ის მაინც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ორივე ეს ტოპონიმი ასპინძისხევში თანადროულად არსებობს და ერთმანეთს არ ფარავს: „დავთარი“ ასპინძის ნაჰიეს 29-ე ნომრად აღნუსხავს „სოფ. ქემო ბოქთა“-ს 35-ე ნომრით კი „ზემო ბოქთა“-ს (ქვემო ბოქთაში ოსმალური აღწერის დროისათვის სამი კომლია ფიქსირებული, ზემოში – ორი, XIX საუკუნისისათვის კი ორივე ნასოფლარიღაა). ამავე ნაჰიეში 31-ე სოფელი (ექვს კომლიანი) არის ოთა. ასე რომ, ბოქთა-ს ოთა-დ სახეცვლის სავარაუდებლად, თუნდ ენობრივი დაშვებისას, ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს.

მონასტრის სახელმდებლად ორი პუნქტის დასახვა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია. „შოროთა“ სახელის გააზრება ოშორისა და ოთა სახელების სინთეზად, ჩვენ პირადად, სრულ აბსურდად მიგვაჩნია. თავს უფლებას ვაძლევთ მკვლევარს შევახსენოთ ის გარემოება, რომ მონასტრის სახელი მწიგნობრული გზით მოვიდა ჩვენამდე და არა ფოლკლორულ-ზეპირსიტყვიერი ტრადიციით. ადგილობრივ დამოწმებული ფორმასხვაობა ეკლესიის სახელისა მწიგნობრული ტრადიციის ხალხურ გადააზრება-დამახინჯებაზე მეტყველებს მხოლოდ.

[19] მ. დათუკიშვილი. ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 108-109.

აქვე კიდევ ერთ საკითხზე შევჩერდებით; ივანე გვარამაძე, ზემოთ ეს უკვე ვთქვით, გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ფელეტონში ჩვენი ძეგლის შესახებ წერს, რომ ის „ადრე მონასტრად ყოფილა კოდიანისა და ნახევარ ჯავახეთის მცხოვრებთათვის“. მკვლევარი მ. დათუკიშვილი თვლის, რომ ვინმე მესხისეული „ნახევარ ჯავახეთი“ ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინია და ცდილობს მის დამკვიდრებას სამეცნიერო ლიტერატურაში. საკვალიფიკაციო შრომიდან ვიგებთ, რომ ავტორის კვლევის საგანი ყოფილა „ასპინძისხევის, კოდიანისა, ზვარეთის და ზოგადად ე.წ. „ნახევარჯავახეთის“ ანუ ჩრდილოეთ ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფია“.[20] მას, მართალია, უძნელდება გაარკვიოს, რა იგულისხმება ამ „ნახევარჯავახეთის“ ქვეშ, მაგრამ ტერმინის ხმარება მაინც აუხირებია: „თორსა და ჩრდილოეთ ჯავახეთს (ნახევარჯავახეთს)...“ – იკითხება ნაშრომის 63-ე გვერდზე.

აქაც მორიდებით განვმარტავთ, რომ გვარამაძის ზემორეხმობილი ციტატა არაფერს გულისხმობს გარდა იმისა, რომ შოროთის მონასტერი კოდიანის მხარისა და ნახევარი ჯავახეთის მცხოვრებთ, კიდევ უფრო რომ დავაზუსტკონკრეტოთ, ჯავახეთის მოსახლეობის ნახევარს ემსახურებოდაო. ვიმეორებთ, მესხ მოღვაწეს მხოლოდ ეს ეგულიხმოდა და არაფერი სხვა; ისტორიულ-გეოგრაფიული რაიმე ცნება-ტერმინის ძიება ამ გამოთქმაში არააკადემიურობის შთაბეჭდილებას აღძრავს.

მოხმობილი მასალა ამოწმებს, რომ ვახუშტის მიერ, არ ვიცით რატომ, რა მონაცემზე დაყრდნობით, შორაპნად[21] მონათლული ადგილისა და მონასტერის ნამდვილი, საისტორიო წყაროებში, საარქივო დოკუმენტებში თუ ოსმალური აღწერის მასალებში დამოწმებულ-დადასტურებული სახელი არის **შოროთა**. ყველა სხვა ფორმა ამ სახელწოდების სახეცვლილ, ასე ვთქვათ, გახალხურებულ ვარიანტს წარმოადგენს – **შოროთა >> შოლორთა >> შოლოთა >> შოლოთან** (ბროსესეული). შოლოთა//შოლორთა სახელი ასპინძისხევის სოფლების მოსახლეობას გამოუყენებია მონასტრის აღსანიშნავად, ხიზაბავრელები მას „ჭაიტა“-ს უწოდებენ ისევე, როგორც ივანე გვარამაძე[22] – მესხი განმანათლებელი, როგორც ცნობილია, ხიზაბავრაში მოღვაწეობდა და შოროთასაც აქედან უნდა სწვეოდა – მონასტერი მას ხიზაბავრის ტყეებში

[20] მ. დათუკიშვილი. ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 4.
[21] ს. ჯიქიას ვარაუდით ვახუშტის მიერ ძეგლის შორაპნად მონათვლა, შესაძლოა, გრაფიკულ მომენტსაც გამოეწვია.
[22] ი. გვარამაძე (ვინმე მესხი). მესხური ფელეტონი.

ეგულება. თავის დროზე ჩვენ ვივარაუდეთ, რომ შოროთისა და ჭაიტას გაიგივება შესაძლოა ორი სხვადასხვა პუნქტის აღრევას გამოეწვია. ჭაიტა სახელი, იქნებ „შოროთას მიდამოებში (ხიზაბავრის ტყეებში) არსებულ, დღეისათვის უცნობ, რომელიმე სხვა ეკლესიას" მიემართება.[23] ამას მომავალი კვლევა-ძიება დაგვანახებს. მარი ბროსესათან, როგორც ვთქვით, მონასტრის სახელის „ტაიჯ" – ვარიანტიცაა ფიქსირებული, რომელიც მეცნიერისათვის ამ ადგილების მკვიდრს, გამუსლიმებულ ქართველ ქიამილ ბეგ დიასამიძეს მიუწვდია. სხვა წყაროებში ეს სახელი არსად გვხვდება, გამორიცხული არაა, იგი „ჭაიტა"-ს თურქიზებული ვარიაცია იყოს.

საბოლოოდ, ნათლად და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ს. ჯიქიას გამოკვლევის შემდეგ მონასტრის ნამდვილი, მწიგნობრული ტრადიციით მომდინარე სახელი აღდგენილია და სამეცნიერო-აკადემიურ მიმოქცევაშიც დამკვიდრებული. უმართებულო, მართალია, დიდი მეცნიერის მიერ შემოტანილი, მაგრამ მცდარი ფორმასხვაობის ხელოვნური დანერგვის ცდა ანტიმეცნიერული ახირებაა და, ამდენად, ყოვლად გაუმართლებელი.

[23] გ. კუტალაძე, ო. მაისურაძე. შოროთა, გვ. 8.

Guram Kutaladze

ABOUT THE CORRECT NAME OF THE MONASTERY IN SAMTSKHE REGION

Summary

Prominent church is situated near the historic village of Oti in Samtskhe region (Southern Georgia), decorated with the mosaics.

In the local speech the complex is known as "Sholorta/Sholota", rarely, mostly the villagers from the village Khizabavra style it as "Tchaita". In the colophons of the manuscripts that belong to the monastery, the proper form of the monastic name "Shorota" is denoted, anyway, in the academic literature some other names are employed (for example: Vakhushti Bagrationi refers to it as "Shorapan", and Marie Brosset as "Sholotan"). In the past century Ekvtime Takaishvili, probably, due to his great authority, had established the name "Shoreti" as a denomination for the above mentioned monastery.

After that, the precise name of the monastery was restored by the S. Jikia and established in the scientific literature. He relied on regulations how the Georgian toponyms were written down by the authors of "Book of the Incomes of Childir Vilayet (Southern and South-Western Georgia)", and also, on manuscripts of the monastery. All four manuscripts show the name of monastery as "Shoreti".

There is a tendency in the contemporary scientific literature to ignore the accurate name of the monastery and to restore Ekvtime Takaishvili's version as a correct name of the monastery. This tendency is totally unjustified

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

აპოლონ თაბუაშვილი

XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ისტორიის საკითხები

XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის მმართველისაგან საფრთხე დაემუქრა. ამ პერიოდში ირანში გაბატონებისათვის ბრძოლაში აშკარად გამოიკვეთა ყაჯართა დინასტიის წარმომადგენლის, აღა-მაჰმად ხანის, უპირატესობა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სამხრეთ კავკასიას, რადგანაც ირანის მომავალი შაჰისათვის მას დიდი პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა.[1] აზერბაიჯანულ სახანოებთან ერთად, აღა-მაჰმად ხანს ქართლ-კახეთის სამეფოს დამორჩილებაც სურდა. ირანის პოლიტიკურ ორბიტაში მოქცევა სრულიად მიუღებელი იყო ერეკლე II-ისათვის. აღნიშნულმა გარემოებამ ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკა მთლიანად ირანული საფრთხის გასანეიტრალებლად მიმართა.

გეორგიევსკის ტრაქტატიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ერეკლე II-მ დახმარება რუსეთს სთხოვა, თუმცა აღნიშნულ პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გარკვეული უთანხმოება არსებობდა. საქმე ის იყო, რომ ჯერ კიდევ 1787 წლის სექტემბერში რუსეთის მთავრობამ ტრაქტატით გათვალისწინებული, ქართლ-კახეთში მყოფი, ჯარის ნაწილები უკან გაიწვია. თავის მხრივ, მოკავშირისგან მიტოვებულმა ერეკლე II-მ, ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ჯერ ახალციხის ფაშასთან გააფორმა სამშვიდობო ხელშეკრულება, 1788 წლის მიწურულს კი ოსმალეთის სულთანთან მიაღწია შეთანხმებას.[2] მართალია, გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებიდან გამომდინარე, ერეკლე II რუსეთ-ოსმალეთის ამ ომის შედეგად, იმპე-

[1] დ. კაციტაძე. ირანის ისტორია III-XVIII საუკუნეებში. თბ. 2009, გვ. 509-510.
[2] მ. დუმბაძე. საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 710-718.

რიის დახმარებით, სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას იმედოვნებდა, მაგრამ რუსეთის მთავრობისაგან ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესების უგულებელყოფის პირობებში, ოსმალეთისაგან შესაძლო საფრთხის აცილებასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. პარალელურად, ერეკლე II-მ რუსეთიდან გამოიწვია ქართლ-კახეთის სამეფოს მუდმივი წარმომადგენელი გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც საქართველოში დაბრუნდა 1788 წელს.[3] ეს გარემოება კი ერეკლეს ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარებას უადვილებდა.

მიუხედავად აღნიშნული დაძაბულობისა, ერეკლე II კვლავ ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირს რუსეთის იმპერიასთან და ამჯერად თავისი არაოფიციალური რეზიდენტის, კურიერ სულხან თუმანიშვილის, საშუალებით ამყარებდა კავშირს გრიგოლ პოტიომკინთან. ერეკლე II კვლავინდებურად ითხოვდა, რომ ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ყოფილიყო ახალციხის პროვინციის ქართლ-კახეთისათვის, ხოლო აჭარის იმერეთის სამეფოსთვის გადაცემის საკითხი.[4] XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან კი, როგორც აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთის სამეფოს მთავარი საზრუნავი ირანის აგრესიის მოგერიება გახდა. ამ მხრივ მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა: 1791 წელს აღა-მაჰმად ხანმა თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა და მრავალრიცხოვანი ჯარის კონცენტრაცია დაიწყო. მან ერეკლეს მოკავშირე ყარაბაღისა (შუშის) და ერევნის ხანებს მორჩილებისაკენ მოუწოდა, თუმცა უარი მიიღო.[5] საქართველოში ფიქრობდნენ, რომ ირანის მმართველთან დაპირისპირება გარდაუვალი იყო.[6] ერეკლე II რუსეთთან ურთიერთობაში პრიორიტეტად ამჯერად ირანის საკითხს აყენებდა. 1791 წლის მიწურულში ქალაქ იასში ქართველი დესპანი სულხან თუმანიშვილი გრიგოლ პოტიომკინს შეხვდა და აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ სამხედრო და ფინანსური დახმარება მოითხოვა.[7] ერეკლე II-ის აზრით, ოსმალეთთან ტრიუმფით დასრულებული ომის შემდეგ რუსეთის იმპერია ირანის საქმეების

[3] მ. დუმბაძე. საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 708.

[4] იას. ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი II. თბ. 1940, გვ. 81-82.

[5] П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. СПб. 1869. Ч. II, გვ. 319-320.

[6] Грамоты и другіе историческіе документы XVIII столетия, относящіеся до Грузіи. Т. II. Выпускъ II. Подь ред. А. А. Цагарели. СПб. 1902, გვ. 70.

[7] იასე ციცვაძე. აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა, გვ. 90.

მოგვარებასაც შეეცდებოდა, რაც ავტომატურად ქართლ-კახეთის სამეფოსთვის აღა-მაჰმად ხანისაგან მომდინარე საფრთხის აცილებას ნიშნავდა. ქართველი პოლიტიკოსების აზრით, რუსული ინტერესების გასატარებლად ყველაზე ხელსაყრელი დრო სწორედ მაშინ იყო, რადგან ირანში ჯერ კიდევ გრძელდებოდა შიდა დაპირისპირება და ამავე დროს ომში ახლად დამარცხებული ოსმალეთი აღა-მაჰმად ხანს დახმარებას ვერ გაუწევდა. რუსეთს კი ქართველების და სომხების დახმარება კიდევ უფრო გაუადვილებდა საქმეს. დიპლომატიური აქტიურობის მიუხედავად, ერეკლეს იმედები არ გამართლდა. რუსეთის იმპერია, რომელმაც სწორედ იმ დროს დაასრულა ომი ოსმალეთთან, ახალი ომის დაწყებას არ აპირებდა და ერეკლე II-ს აცნობეს, რომ საქართველოში ჯარის გამოგზავნა არ იგეგმებოდა.[8]

ქართლ-კახეთის მეფისათვის ნათელი გახდა, რომ მისი სამეფოს უსაფრთხოებისთვის რუსეთის იმპერია იმ ეტაპზე არავითარი ქმედითი ღონისძიების გატარებას არ გეგმავდა. აშკარა საფრთხის წინაშე მდგომი ქვეყნისათვის აღნიშნული რეალობა შემაშფოთებელი იყო და, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგებოდა ირანული აგრესიის მოსაგერიებლად საგარეო გარანტიების ალტერნატიული ვარიანტის მოსინჯვა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 1791 წლიდან 1793 წლამდე, ასეთ კრიტიკულ დროს, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დიპლომატიური კავშირი თითქმის არ ფიქსირდება. ამავდროულად იკვეთება ერეკლე II-ის ოსმალეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა. ამ ურთიერთობისათვის შესაბამის გარემოს ქმნიდა ის ფაქტებიც, რომ, ერთი მხრივ, იმ დროისათვის ქართლ-კახეთში აღარ იმყოფებოდნენ რუსეთის სამხედრო ნაწილები და, მეორე მხრივ, რუსეთში ერეკლე II-ის ელჩის, გარსევან ჭავჭავაძის, უკან გამოწვევა ფორმალურად იმპერიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას ნიშნავდა.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობაზე ყურადღებას ამახვილებს სარგის კაკაბაძე და აღნიშნავს, რომ „მიუხედავად პრორუსული ორიენტაციისა, როგორც ეტყობა, ერეკლეს რუსეთის დიდი იმედი არ ჰქონდა, ამიტომ მან ოსმალეთის მთავრობასაც მიმართა გაძლიერებული აღა-მაჰმად-ხანისაგან დაცვის მიზნით. ერეკ-

[8] მ. დუმბაძე, ს. ცქიტიშვილი. საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ირანელთა შემოსევა 1795 წ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1793, გვ. 754.

ლეს საიდუმლოდ გაგზავნილი ჰყავდა თავისი კაცები, კერძოდ თავ. იოსებ ბებუთაშვილი, მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ თავი აარიდა რაიმე ლაპარაკს და ერეკლეს დამამცირებელი სახით უარიც კი შეუთვალა ბაღდადის ფაშის აგენტის მეშვეობით".[9] ზოგადად წყაროთა სიმცირის გამო ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობა სათანადოდ არ არის შესწავლილი.

საკითხის უკეთ შესწავლისათვის მნიშვნელოვანია უკანასკნელ პერიოდში გამოცემული ოსმალური საარქივო დოკუმენტები. როგორც მისი ავტორი მუმინ ილდიზთაში აღნიშნავს, ისტორიული დოკუმენტები უცვლელი სახით არის გამოცემული, მხოლოდ მომხდარა ტექსტების ადაპტირება და მცირე შემოკლება. გამოცემაში თურქულ და ქართულ ტექსტებთან ერთად, მოტანილია დედნების ფოტოები. აღნიშნული მასალიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება სამი დოკუმენტი. პირველი მათგანი დასათაურებულია, როგორც „მოსკოვთან დაშორების უზრუნველყოფისათვის თბილისის ხანთან, ერეკლესთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რომელმაც აღიარა ოსმელეთის სახელმწიფოზე დამოკიდებულება". მასში აღნიშნულია:

„ჩვენო დიადო, სასწაულებრივო, დიდებულო, ძლიერო, მფარველო, მოწყალეო, ბატონო ფადიშაჰო!

ფადიშაჰის წინაშე წარდგენილი იყო თბილისის ხანის, ერეკლეს ცნობა, მისი დიად სახელმწიფოზე დამოკიდებულების აღიარების შესახებ და მისი შუამავლის, იოსებ ბეგის მეშვეობით გამოგზავნილი წერილის თარგმანი და მისი წერილობითი შემოთავაზებები. „ერეკლე ხანის წერილი და მისი შუამავლის შემოთავაზებები ვნახე. ურწმუნომ აქამდე რამდენჯერმე ითხოვა ემანი (გარანტია უსაფრთხოებაზე); თუმცა კვლავ დაარღვია ხელშეკრულების პირობები და ეშმაკობას მიმართა. ძალიან კარგი. ახლა კი ნება დავრთოთ, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი პირობა უნდა უნდა წავუყენოთ. მოსკოვის მიერ საქართველოსაკენ გაყვანილი გზის დანგრევის მსგავსი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პირობის წამოყენებაა საჭირო. ამ საკითხზე კარგად მოიფიქრებ და საფუძვლიან წინადადებას წარმოადგენ, ვინაიდან ეს თემა მოსკოვთან დავის საგანი გახდება" — თქვენი ჰატი-ჰუმაინი ასეთი იყო.

[9] ს. კაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ. 1991, გვ. 63. კაკაბაძე არ უთითებს მის მიერ გამოყენებულ წყაროებს. ჩვენი აზრით, მას უნდა ესარგებლა რუსეთის არქივებში დაცული იმ ცნობებით, რომლებსაც რუსი აგენტები გზავნიდნენ კონსტანტინოპოლიდან.

გაიცა ბრძანება: ფირმანი დაიწეროს პრიალა ქაღალდზე! მისთვის განკუთვნილ ხელშეკრულებაში ჩადებული პირობების შუაკაცისათვის გადაცემა თუ სიძნელეს არ წარმოადგენს, გადაეცით. ერთი კარგი ქურქიც გაუგზავნეთ. ვნახოთ, ამის შემდეგ თუ კარგად მოიქცევა, ტანსაცმელი კიდევ გავუგზავნოთ. ეს საკითხები მოაწესრიგეთ და აქეთ მყოფი მისი კაცი საჩქაროდ გააგზავნეთ. ისედაც აქამდე უნდა გაგეგზავნათ. 1206 წლის 15 ჯემაზიელაჰირი / 1792 წლის 9 თებერვალი".[10]

როგორც ვხედავთ, ერეკლე II-ს თავისი ელჩის პირით უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ ოსმალეთის დამოკიდებულების აღიარება უთხოვია, რაზეც ოსმალეთის მთავრობას რუსეთთან დამაკავშირებელი გზის მოშლის მსგავსი პირობების წაყენება განუზრახია. კონკრეტულად თუ რა იგულისხმებოდა უსაფრთხოების გარანტიებში, წერილიდან არ ჩანს.

ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა მეორე დოკუმენტი: „წერილი თბილისის ხანის, ერეკლეს მიერ რუსებთან კავშირის გაწყვეტის და ოსმალეთის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში შესვლის შესახებ". მასში აღნიშნულია:

„თბილისის ხანმა, ერეკლემ თქვენი უმაღლესობისაგან გაგზავნილი მაღალი ფირმანისა და ძღვნად ნაბოძები სიასამურის ქურქისათვის სამადლობელი წერილი გამოაგზავნა.

ერეკლე ხანი იწერება, რომ რეგიონის საზღვრისპირა რაიონებში უზრუნველყოფილია უსაფრთხოება და წესრიგი. იქ მცხოვრები მოსახლეობა კეთილდღეობასა და სიმშვიდეში ცხოვრობს და მისდამი მეგობრობისა და გულისხმიერების გამოხატვას ითხოვს. აცხადებს, რომ იმ გზების დანგრევას, რომელიც ადრე რუსებმა გაიყვანეს და რომლის მოშლასაც ჩვენ მოვითხოვთ, მის შესაძლებლობებს აღემატება. თორემ იგი ოსმალეთის სახელმწიფოს სამსახურში ყოფნით სიამაყეს განიცდის და ამაზე უკან არ დაიხევდა. იტყობინება, რომ ეს გზა მოსკოვთან მშვიდობიან მდგომარეობაში ყოფნისას მათი დახმარებით გააკეთეს ლეკების წინააღმდეგ. მაგრამ ინანა, რადგან ოსმალეთის სახელმწიფოს ეს ნაბიჯი არ მოეწონა და მოსკოველები უკან გააბრუნა. ამასთან აცხადებს, რომ მანამდე სტამბოლში მოავლინა ვინმე იოსები, რათა თუ იქნებოდა ფადიშაჰის ნება ხსენებული გზის დანგრევის საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელი იყო სპეციალისტებისთვის დავალების მიცემა და მათი გაგზავნა. ასეთ შემთხვევაში ამ ხალხს თავადაც გაუწევდა დახმარებას. იგი

[10] მუმინ ილდიზთაში. საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. სტამბული. 2012, გვ. 205.

აცხადებს, რომ ამაყია დიადი სახელმწიფოს სამსახურში ყოფნით და არავითარ შემთხვევაში არ გადაიხრება არც ირანის და არც რუსეთის მხარეს. საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში თითონ დაიცავს თავს და არ ისურვებს სხვისი გამგებლობის ქვეშ შესვლას.

თუ ირანელი აღა მაჰმად ხანი მის ქვეყანას თავს დაესხმება იგი დახმარებისათვის მხოლოდ დიად ქვეყანას მიმართავს. აცხადებს, რომ გაამაგრებს საზღვრებს და თხოულობს არ დაიჯერონ მოწინააღმდეგეების მიერ მის შესახებ გავრცელებული ცრუ და ცილისმწამებლური ცნობები. სულთანი: წერილს გავეცანი". სავარაუდო თარიღი 1206 / 1792 წელი.[11]

ამ დოკუმენტიდან ნათელი ხდება, რომ ერეკლე II-ს ოსმალეთთან კავშირის და, ფორმალურად თუ ფაქტობრივად, მის დაქვემდებარებაში გადასვლის მთავარი მიზანი აღა-მაჰმად ხანის აგრესიის მოგერიება ყოფილა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დოკუმენტში საინტერესოა ერეკლე II-ს პასუხი რუსეთთან დამაკავშირებელი გზის მოშლასთან დაკავშირებით. ცხადია, რუსეთის გზა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქართლ-კახეთისათვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით და მის დანგრევას ერეკლე II არ დაუშვებდა, თუმცა სულთანს ამ საკითხზეც თანხმობას უცხადებდა, თუ თავად ოსმალები განახორციელებდნენ მას. რუსეთთან ომში დამარცხებული ოსმალები კი გზის განგრევას ვერ გაბედავდნენ, რადგან ამას რუსეთის მთავრობა არ დაუშვებდა. ამრიგად, ერთი შეხედვით, ერეკლეს მიერ სულთნისადმი დათმობის მიუხედავად, რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ გზას მოშლა არ ემუქრებოდა, რაც ერეკლე II-ის მოხერხებულ დიპლომატიას ადასტურებს. საინტერესოა ასევე ერეკლეს განზრახვა, აღა-მაჰმად ხანის განეიტრალების სანაცვლოდ, ოსმალთა დაქვემდებერებაში გადასვლის შესახებ. ერეკლე II ამ შემთხვევაშიც, ფაქტობრივად, არაფერს აგებდა, რადგან რუსეთთან ომში დამარცხებული ოსმალეთი ქართლ-კახეთის სამეფოს თავის რეალურ დაქვემდებარებაში ვერ მოაქცევდა, რადგან საამისო არც დიპლომატიური და არც სამხედრო ბერკეტები მას არ ჰქონდა. ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ერეკლეს სამეფოს სუვერენული უფლებები თითქმის არ იზღუდებოდა.

გარდა მოტანილი ოსმალური საბუთებისა, 1792 წელს ოსმალეთთან მჭიდრო ურთიერთობას სხვა დოკუმენტებიც ადასტურებს. მათი უმრავლესო-

[11] მუმინ ილდიზთაში. საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, გვ. 207.

ბა გამოქვეყნებულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემული საქართველოს სიძველენის III ტომში, რომლებიც წარმოადგენს ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების გაგზავნილ წერილებს ახალციხის საფაშოში. ერეკლე II-ის, ბატონიშვილების და სხვა პირების მიერ გაგზავნილი წერილების ადრესატები ოსმალეთში წარგზავნილი ელჩი იოსებ მიშკარბაში (ბებუთაშვილი – ა. თ.),[12] ახალციხის ფაშა და ოსმალეთის სახელმწიფოს მოხელეები არიან. ამ წერილებიდან ირკვევა ოსმალეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს მჭიდრო პოლიტიკური კავშირი.[13] ერეკლე II თავის ერთ-ერთ წერილში, რომელიც გაიგზავნა ხერთვისის აღა იბრეიმ ბეგთან და იოსებ მიშკარბაშთან, წერდა: „...თქვენი წიგნი მოგვივიდა. რაც მოგეწერათ, ვიუწყეთ. მისკარბაშო იოსებ! შენ ხომ კარგად იცი, რომ რაც ლეკი აქ იყო და გამოვისტუმრეთ, იმის მეტი ლეკი ჩვენს ქვეყანაში არ იყო, რომ მოგვემატებინა, და თათრის ჯარი ათას ხუთასამდინ ბრძანება მივეცით, რომ ახლავ ჩვენის მიმბაშის ავთანდილისა და აბდულა სულთნის სარქარდობით (მეთაურობით – ა. თ.) იახლებიან. ჩვენს ძმას, ბედნიერს ვეზირს და ჩვენს სიძეს დავით სარდალ-ქალაქის მოურავს დღეს-ხვალ ვისტუმრებთ, რომ ქართველის ჯარით სურამსა და იმ ახლო ადგილებში დადგეს, რომ თუ დასჭირდეს ჩვენს ძმას, როგორც იმისი ნება იყოს, ისე იახლნენ... ეს, რომელიც ეხლა ჯარი გამოვისტუმრეთ, როგორც მაგათი ნება არის, ბატონს, ჩვენს ძმას ისე ერთგულად მსახურებენ. და თუ ქართლისა და იმერეთის ჯარს ითხოვს და ინებებს, როგორც მაგათი ნება იქნება, ისე იახლებენ... ჩვენის შვილის მეფის სოლომონისაგანაც (იმერეთის მეფე სოლომონ II – ა. თ.) ასე გვგონია, რომ ჩვენის ძმის ბედნიერის ვეზირისათვის თავის თავიც არ დაზოგოს, თორემ არამც თუ თავისი ჯარი.“ წერილი დათარიღებულია 1792 წლის 2 მარტით.[14]

როგორც ვხედავთ, ერეკლე II-ს ოსმალეთის საფაშოებთან და ვეზირთან არა თუ მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა, არამედ სამხედრო კავშირიც დაუმყარებია და ჩვენთვის უცნობი მიზეზებით, ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფ ლეკებს და ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმი მოსახლეობისაგან შეკრებილ ჯარს უგზავნის, დამატებითი საჭიროების შემთხვევაში კი სამეფოს ჯარით დახმარებასაც აღუთქვამს, რომელსაც მისი მოკავშირე სოლომონ II-ც

[12] იმ დროს იოსებ ბებუთაშვილი ახალციხის საფაშოში იმყოფებოდა.
[13] საქართველოს სიძველენი. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1910, გვ. 58-65.
[14] საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 58-59.

შეუერთდებოდა. სამხედრო კავშირს შეეხება ერეკლე II-ის სხვა წერილებიც.[15] იმავე წერილებიდან ირკვევა, რომ დასახელებული ვეზირი ვინმე ქაიაბეგი ყოფილა, რომელიც, სავარაუდოდ, ოსმალეთის სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საფაშოების საკითხებს კურირებდა და მასვე ევალებოდა ერეკლე II-სთან მოლაპარაკებები.[16]

აღნიშნული კავშირებით ჩანს, ერეკლე II ოსმალეთის სულთნისა და მისი მოხელეების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა, რაც ირანული საფრთხის გამანეიტრალებელი უნდა ყოფილიყო.

თუ რა კონკრეტული შედეგი გამოიღო ერეკლე II-ის ამ ნაბიჯებმა, გარკვეულად აღნიშნულია კიდევ ერთ ოსმალურ საარქივო დოკუმენტში. დოკუმენტში – „ერეკლე ხანისთვის ბუნდოვანი პასუხის მიცემის შესახებ, რომელიც ირანელი აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ დახმარებას ითხოვს“ – აღნიშნულია:

„ჩვენო მაღალო სულთანო,

ჩემო დიადო, სასწაულებრივო, დიდებულო, ძლიერო, მფარველო, მოწყალეო ბატონო.

სახელმწიფოს დიდებულებთან განხილულ იქნა საკითხი, რომ თბილისის ხანმა ერეკლემ, სტამბოლში კაცი გამოაგზავნა და ირანის ცენტრალური ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლად მოქმედი აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ მფარველობა ითხოვა. ამჟამად დიადი სახელმწიფო ირანელებთან მშვიდობიან მდგომარეობაში იმყოფება. თუ პერიოდულად ცალკეული ხანები მოაწყობენ ლაშქრობებს ერთმანეთის წინააღმდეგ ჩვენ არსებული ხელშეკრულებით ვიმოქმედებთ და არ ჩავერევით მათ საქმეში. თუ აღა მაჰმად ხანი თბილისის წინააღმდეგ გაილაშქრებს და საქართველო ოსმალეთს სამხედრო ან სხვა სახის დახმარებას მოთხოვს ჩვენ თავი უნდა შევიკავოთ, რადგან მათთვის დახმარების გაწევა ძველი ხელშეკრულების დაარღვევას, ერეკლე ხანის პატრონობას და ირანთან მშვიდობის დარღვევას გამოიწვევს. მითუმეტეს, რომ აღა მაჰმად ხანისაგან საფრთხის შესახებ ერეკლე ხანს თავის წერილში ღიად არ უცნობებია და ელჩის მიერ ზეპირად იქნა გაცხადებული. წერილის განხილვისას მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ერეკლე ხანისთვის გასაცემ პასუხში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იხსენიებოდეს აღა მაჰმად ხანი და „რადგან ერეკლე ხანი მუდმივად გვიჩვენებს ერთგულებას, ოსმალე-

[15] საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 61-62.
[16] საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 63.

თის სახელმწიფოს მხრიდან კარგ მიპყრობასა და კეთილგანწყობას მიიღებს“ მსგავსი ბუნდოვანი გამონათქვამები უნდა იქნეს გამოყენებული. სულთანი: წერილს გავეცანი“.[17]

აღნიშნული დოკუმენტის ქართულ თარგმანს, სხვა დოკუმენტებისაგან განსხვავებით, თარიღი არ აქვს. თურქულ ტექსტში კი მითითებულია 1797 წელი, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომა უნდა იყოს და ის 1792 წელს უნდა იყოს შედგენილი, რადგან შინაარსობრივად ზემოთ მოტანილი ორი დოკუმენტის კონტექსტშია შედგენილი. ამასთან ერთად, აღა-მაჰმად ხანი „ირანის ცენტრალური ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლად მოქმედ“ მმართველად არის მოხსენებული, რაც მხოლოდ 1790-იანი წლების დასაწყისის მდგომარეობას შეესაბამება, რადგან 1796 წელს მან გვირგვინი დაიდგა და შაჰის ტიტული მიიღო.[18]

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ოსმალეთის სულთანს ერეკლე II-ისათვის აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ დახმარებაზე უარი უთქვამს. ცხადია, ქართლ-კახეთის მეფეს მათ ბუნდოვან პასუხში რეალური კონტექსტის ამოკითხვა არ გაუჭირდებოდა. ერთი სიტყვით, ოსმალეთთან კავშირმა შედეგი ვერ გამოიღო, რის შემდეგაც საგარეო პოლიტიკა, რა თქმა უნდა, გადაისინჯებოდა. აღსანიშნავია, რომ ქართულ საბუთებშიც აღარ ჩანს ახალციხის საფაშოსთან რაიმე სახის სამოკავშირეო ურთიერთობა.

ოსმალეთთან წარუმატებელი ურთიერთობის შემდეგ ერეკლე II-ისათვის ცხადი გახდა, რომ ერთადერთი პოტენციური საგარეო მოკავშირე ირანის წინააღმდეგ, თუნდაც არასანდო, რუსეთი შეიძლება ყოფილიყო. წარსულში არსებული უკმაყოფილების მიუხედავად, რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის აღდგენა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა. მართლაც, 1793 წლიდან განახლდა რუსეთთან ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობა, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ხელახლა გაიგზავნა ელჩი გარსევან ჭავჭავაძე. აღნიშნულთან დაკავშირებით ერეკლე II მიმართავდა ეკატერინე II-ს: „ტრახტატსა შ-ა... მეხუთე არტიკულისა, გვაქვს თანამდებობა, რათამცა უმაღლესს კარზე იმყოფებოდეს კაცი სარწმუნო ჩვენი, რომლისათვისაც... წარმოვგზავნეთ უმაღლესისა კარისადმი პოლნამოშჩნი მინისტრი ჩვენი, ღენერალ ადიუტანტი და ნამესნიკი ყაზახისა კნიაზ გარსევან ჭავჭავაძე, უერთგულესი ძე მამულისა

[17] მუმინ ილდიზთაში. საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქიეო დოკუმენტებში, გვ. 209.
[18] დ. კაციტაძე. ირანის ისტორია III-XVIII საუკუნეებში, გვ. 510.

თვისისა... ვითარცა უსარწმუნოესსა მისანდოსა ჩვენისა."[19]

ერეკლე II, 1793 წლიდან რუსეთთან აღდგენილი ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობის პარალელურად, ჩანს, იმპერიისგან ფარულად კვლავ განაგრძობდა ოსმალეთთან გარკვეულ კავშირს და აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ დახმარების მიღებას ცდილობდა. ამ კავშირს ადასტურებს რუსეთის კონსტანტინოპოლელი რეზიდენტების მოხსენებები თავიანთი მთავრობისადმი.[20]

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ერეკლე II-ს მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები გადაუდგამს და ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოუყენებია ირანის მმართველის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის მოსაგერიებლად. განსახილველ პერიოდში მიმდინარე მოვლენები, რა თქმა უნდა, ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა, თუმცა აღნიშნული მოცემულობა გვიჩვენებს, რომ ქართლ-კახეთის მეფე ხელმძღვანელობდა არა წინასწარ შემუშავებული გულუბრყვილო პოლიტიკური ორიენტაციით, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის უალტერნატივოდაა მიღებული, არამედ პრაგმატულად, კონკრეტულ მომენტში ქვეყნის საჭიროების მიხედვით.

---

[19] Грамоты и другіе историческіе документы XVIII столетия, относящіеся до Грузіи. Том II. выпуск I. Подъ редакціеи А. А. Цагарели, СПб. 1898, გვ. 114.

[20] იხ.: იასე ციხცაძე. აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი). თბ. 1969, გვ, 105-116.

Apolon Tabuashvili

ISSUES FROM HISTORY OF FOREIGN POLICY OF KARTL-KAKHETI KINGDOM IN THE BEGINNING OF 1790s

Summary

Article deals with the foreign policy of Kartl-Kakheti Kingdom at the beginning of 90s of the 18th century. Three newly published Ottoman documents are discussed which sustain the information about the diplomatic relations between Kartl-Kakheti Kingdom and the Ottoman Empire. The Documents are providing the information concerning Erekle II's appeal in 1792 to the Sultan of the Ottoman Empire for the assistance against Agha Mohammad Khan, whose invasion was expected by the Georgian king. In case of the guarantees on the peace terms from the Ottomans, Erekle was ready to cease the relationship with the Russian Empire and instead to pledge allegiance to the Sultan. From the same documents we see that the attempts of representatives of Kartl-Kakheti Kingdom to achieve success in diplomacy with the Ottomans was a failure.

As we can guess, the drastic change in Kartl-Kakhti Kingdom's foreign policy was motivated by the following reasons: in the end of 1791 Erekle II had decided that for the safety of his kingdom the Russian Empire was unwilling to take any security measures. The country was in a dangerous situation due to the Iranian aggression hence he was in quest for the alternative variants to ensure the security of his kingdom.

After the failure with the Ottoman Empire even unreliable Russia was seen as the only potential partner for king Erekle II. From 1793 Kartl-Kakheti Kingdom resumed the intensive diplomatic relations with the Russian Empire.

The Ottoman documents are especially rich regarding the Georgian-Ottoman relationship, hence they provide interesting information about above discussed issues.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

ნიკო ჯავახიშვილი

საქართველო და სხვა ქვეყნები რუსეთის იმპერატორთა ტიტულატურაში და მათი ჰერალდიკური სიმბოლიკა იმპერიის სახელმწიფო გერბში

რუსეთის იმპერიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგად ამ უზარმაზარი სახელმწიფოს შემადგენლობაში თანდათან მოექცა ევროპისა და აზიის არაერთი ქვეყანა, ხოლო XIX საუკუნეში – საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამეფო-სამთავროებიც.

უცხო ქვეყნების იძულებითი მოქცევა რუსეთის საზღვრებში სათანადოდ აისახა იმპერატორთა ტიტულატურასა და იმპერიის ჰერალდიკურ სიმბოლიკაში.

XIX საუკუნიდან 1917 წლის მარტამდე რუსეთის იმპერატორთა ოფიციალური ტიტულატურა სრული სახით ასე გამოიყურებოდა (ქვემოთ მუქი შრიფტით გამოვყავით საქართველოს და მის ცალკეულ მხარეთა ფლობის დამადასტურებელი ტიტულები): «Божией поспешествующей милостию, Мы, Имярск, Император и Самодержец Всероссийский, Московский, Киевский, Владимирский, Новгородский; Царь Казанский, Царь Астраханский, Царь Польский, Царь Сибирский, Царь Херсонеса Таврического, **Царь Грузинский,** Государь Псковский и Великий Князь Смоленский, Литовский, Волынский, Подольский и Финляндский; Князь Эстляндский, Лифляндский, Курляндский и Семигалский, Самогитский, Карельский, Тверской, Югорский, Пермский, Вятский, Болгарский и иных; Государь и Великий Князь Новгорода низовские земли, Черниговский, Рязанский, Полотский, Ростовский, Ярославский, Белозерский, Удорский, Обдорский, Кондийский, Витебский, Мстиславский и всея северные страны Повелитель; и **Государь Иверские, Карталинские** и Кабардинские земли и области Армянские; Черкасских и Горских Князей и иных Наследный Государь и Обладатель; Государь Туркестанский; Наследник Норвежский, Гер-

цог Шлезвиг-Голштинский, Сторнмарнский, Дитмарсенский и Ольденбургский и прочая, и прочая, и прочая».[1]

აქვე მოვიყვანთ ამ შთამბეჭდავი ტიტულის ჩვენეულ თარგმანს: „უფლის შეწევნითა და წყალობით, ჩვენ, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვგოროდისა, მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანისა, მეფე პოლონეთისა, მეფე ციმბირისა, მეფე ხერსონეს თავრიდელისა, **მეფე საქართველოსი,** ხელმწიფე ფსკოვისა და დიდი მთავარი სმოლენსკისა, ლიტვისა, ვოლინისა, პოდოლსკისა და ფინეთისა; მთავარი ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კურლანდიისა და სემიგალისა, სამოგიტისა, კარელიისა, ტვერისა, იუგორისა, პერმისა, ვიატკისა, ბულგარეთისა და სხვათა; ხელმწიფე და დიდი მთავარი ნოვგოროდისა, ჩერნიგოვისა, რიაზანისა, პოლოცკისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელოზერისა, უდორსკისა, ობდორსკისა, კონდიისკისა, ვიტებსკისა, მსტისლავსკისა და ჩრდილოეთის ყოველი ქვეყნის მბრძანებელი; **ხელმწიფე ივერიისა, ქართლისა,** ყაბარდოს მიწებისა და სომხური ოლქებისა; ჩერკასკებისა და მთიელი თავადებისა და სხვათა მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი; ხელმწიფე თურქესტანისა; მემკვიდრე ნორვეგიისა, ჰერცოგი შლეზვინგ-ჰოლშტაინისა, სტორნმარნისა, დიტმარსენისა, ოლდენბურგისა და სხვათა, და სხვათა და სხვათა“.

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილ ტიტულთა შორის აღნიშნულია, რომ იმპერატორი, რუსეთის შიდა პროვინციებთან ერთად, იყო მფლობელი და თვითმპყრობელი მთელი რიგი არარუსული სახელმწიფოებისა და მხარეებისა, მათ შორის პოლონეთისა, ფინეთისა, ბალტიისპირეთისა, საქართველოსი და დანარჩენი კავკასიური ქვეყნებისა, შუა აზიისა და სხვ.

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებულ ჩამონათვალში ტიტული „მეფე საქართველოსი“ უფრო წინ იხსენიება, ვიდრე ტიტულები, რომლებიც ადასტურებდა ფინეთის, ბალტიისპირეთის, კავკასიის დანარჩენი ქვეყნების (ყაბარდო, სომხეთი და სხვ.), შუა აზიისა და სხვა სახელმწიფოთა ფლობას.

კერძოდ, საქართველო იხსენიება რიგით მეშვიდე ადგილზე, ხოლო დანარჩენები – შემდეგ ადგილებზე: ლიტვა – მეათეზე, ფინეთი – მეცამეტეზე, ესტლანდია (ანუ ესტონეთი) – მეთოთხმეტეზე, ლიფლანდია (მომავალში ჩრდილოეთი ლატვია) – მეთხუთმეტეზე, კურლანდია (მომავალში სამხრეთ-დასავლეთი ლატვია – მეთექვსმეტეზე, სემიგალია/ზემგალია (მომავალში სამხრეთ-აღმოსავლეთი ლატვია) – მეჩვიდმეტეზე, კარელია (ანუ ფინეთის ყო-

[1] Г. Мурашев. Титулы, чины, награды. СПб. 2002, გვ. 7.

ფილი აღმოსავლეთი ნაწილი) – მეცხრამეტეზე, ყაბარდო – ოცდამეცხრამეტეზე, სომხეთი – მეორმოცეზე, თურქესტანი (ეს ტერმინი იმხანად აღნიშნავდა შუა აზიის მთელ ტერიტორიას) – ორმოცდამეორეზე.

ამდენად, რუსეთის იმპერატორი მხოლოდ „საქართველოს მეფედ" სახელდების შემდეგ იხსენიებოდა „ფსკოვის ხელმწიფედ, სმოლენსკის, ლიტვის, ვოლინის, პოდოლსკისა და ფინეთის დიდ მთავრად; ესტლანდის, ლიფლანდიის, კურლანდიის, სემიგალის, სამოგიტის, ბელოსტოკის, კარელიის, ტვერის, იუგორსკის, პერმის, ვიატკის მთავრად" და კიდევ მრავალი სამფლობელოს მფლობელად.[2]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუს მეფეთა ტიტულატურაში საქართველო – „ივერიის" («Иверия») ფორმით, პირველად ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაფიქსირდა. კერძოდ, ეს მოხდა 1587 წელს, კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის მიერ ფიცის წიგნის მიღების შემდეგ.[3]

რუსეთის იმპერიის მესვეურებმა თავიანთ სახელმწიფო გერბში დააფიქსირეს კავკასიის, ევროპისა და აზიის ცალკეული ქვეყნების ჰერალდიკური სიმბოლიკა.

1800 წელს იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტით შექმნილ რუსეთის საიმპერიო დიდ სახელმწიფო გერბში შეიტანეს საქართველოს სამეფოს განმასახიერებელი გერბი – წმ. გიორგის გამოსახულებით.[4]

მოგვიანებით ასეთივე გამოსახულება აღბეჭდეს რუსეთის საიმპერიო მცირე სახელმწიფო გერბშიც.

რუსეთის იმპერიის დიდი სახელმწიფო გერბის განახლებული ნიმუში დაამტკიცეს ჯერ 1857 წელს, იმპერატორ ალექსანდრე II-ის მეფობის პერიოდში, ხოლო შემდეგ და ამჯერად საბოლოოდ – 1882 წლის 3 ნოემბერს,[5] ანუ იმპერატორ ალექსანდრე III-ის მმართველობის ხანაში.

დიდი სახელმწიფო გერბის საბოლოო ვარიანტში, იმპერიაში შემავალ სხვა ქვეყნების გერბებთან ერთად, რიგით მეექვსე ადგილას გვხვდება **„საქართველოს სამეფოს გერბი"**. მის გარდა, წარმოდგენილია „პოლონეთის სამეფოს", „ლიტვის დიდი სამთავროს", „ფინეთის დიდი სამთავროს", ასევე ესტ-

[2] ნ. ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 2011, გვ. 31-32.

[3] გ. ეჟეჟუნაშვილი. „საქართველოს სამეფოს" გერბი – კარგად დავიწყებული ძველი. ჟურნალი „ისტორიანი". 2011. № 8, გვ. 64.

[4] Г. В. Вилинбахов. Государственный герб России (500 лет). СПб. 1997, გვ. 94.

[5] Г. В. Вилинбахов. Государственный герб России, გვ. 49.

ლანდიის, ლიფლანდიის, კურლანდიის, სემიგალის, კარელიის, თურქესტანის და სხვათა გერბები.

აღნიშნული გერბის ოფიციალურ აღწერილობაში ვკითხულობთ: «**Герб Царства Грузинского** – щит четверочастный, с оконечностью и малым в середине щитом:

в среднем малом щите – *герб Грузии:* в золотом поле святой Георгий Победоносец в лазуревом вооружении, с золотым на груди крестом, в червленой мантии, сидящий на черном коне, покрытом багряной с золотом бахромою и поражающий червленым копьем зеленого, с черными крыльями и червлеными глазами и языком дракона;

в первой части – *герб Иверии:* в червленом щите серебряный скачущий конь; в углах, верхнем левом и нижнем правом, серебряные восьмилучевые звезды;

во второй части – *герб Карталинии:* в золотом щите огнедышащая гора, пронзенная крестообразно двумя черными стрелами, остриями вверх;

в третьей части – *герб Кабардинских земель:* в лазурном щите, на двух серебряных крестообразно, остриями вверх положенных стрелах – малый золотой щит с червленым, обращенным вправо полумесяцем; в трех четвертях серебряные шестилучевые звезды;

в четвертой части – *герб Армении:* в золотом поле червленый коронованный лев;

в оконечности – *герб Черкасских и Горских князей:* скачущий на черном коне черкес, в серебряном вооружении, червленой одежде и черной из меха мантии, с черным копьем на правом плече».[6]

აქვე მოვიყვანთ ზემოხსენებული გერბის აღწერილობის ქართულ თარგმანს, რომელიც წარმოადგენს ამ სტრიქონების ავტორისა და თორნიკე ასათიანის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული თარგმანის შეჯერებულ ვარიანტს: **„საქართველოს სამეფოს გერბი** – ოთხნაწილიანი ფარი დაბოლოებითა და შუაში მცირე ფარითურთ:

– შუა მცირე ფარზე – *საქართველოს გერბი:* ოქროს მინდორზე წმ. დიდმოწამე და ძლევაშემოსილი გიორგი, ლაჟვარდის აღჭურვილობით, მკერდზე ოქროს ჯვრითა და მეწამული მანტიით, ოქროს არშიის მქონე შავ ცხენ-

[6] Дворянские роды Российской империи. т. I. Князья. Руководитель авторского коллектива П. Гребельский, под ред. С. Думина. СПб. 1993, გვ. 37-40.

ზე ამხედრებული, მეწამული შუბით ლახვრავს სევადის ფრთიან, მეწამულ (წითელ) თვალებიან და ენიან ზურმუხტის (მწვანე) ფერის გველეშაპს;

– პირველ ნაწილში – *ივერიის გერბი:* მეწამულ ფარზე ყალყზე შემდგარი ვერცხლის ცხენი, ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა კუთხეებში რვაქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავები;

– მეორე ნაწილში – *ქართლის გერბი:* ოქროს ფარზე ცეცხლისმფრქვეველი მთა, სევადის ორი ისრის პირით ზევით ჯვრისებრად გახვრეტილი;

– მესამე ნაწილში – *ყაბარდოს მიწების გერბი:* ლაჟვარდოვან ფარზე ვერცხლის ორ, პირებით ზევით გადაჯვარედინებულ ისარზე ოქროს მცირე ფარი მარჯვნივ შებრუნებული, მეწამული ნახევარმთვარით; პირველ სამ მეოთხედში ვერცხლის ექვსქიმიანი ვარსკვლავები;

– მეოთხე ნაწილში – *სომხეთის გერბი:* ოქროს მინდორზე გვირგვინოსანი მეწამული ლომი;

– დაბოლოებაში – *ჩერკასკებისა და მთიელი თავადების გერბი:* გაჭენებულ სევადის ცხენზე ამხედრებული ჩერქეზი, ვერცხლის აღჭურვილობით, მეწამულ ტანისამოსში და ბეწვის სევადის მოსასხამით, მარჯვენა მხარზე გადებული სევადის შუბით“.[7]

საგულისხმოა, რომ რუსეთის საიმპერიო დიდ სახელმწიფო გერბში შეტანილ „საქართველოს სამეფოს გერბს“ საფუძვლად დაედო ერეკლე II-ის (1720-1798 წწ.) მეფობის (1744 წლიდან მეფობდა კახეთში, ხოლო 1762-1798 წლებში – ქართლ-კახეთში) პერიოდის ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი. მასში, ქართულ მხარეთა ჰერალდიკურ სიმბოლიკასთან (ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო) ერთად, შეტანილი იყო ასევე სიმბოლიკა იმ კავკასიური სამფლობელოებისა, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფოს ვასალურ ქვეყნებად ითვლებოდნენ. მათ შორის იყო: ერევანი, განჯა, ყაზახი, შაქი, შამშადილო (იგივე „შამშადლუ“) და შირვანი.[8]

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა

---

[7] ნ. ჯავახიშვილი. კავკასიური სიმბოლიკა საქართველოს სამეფოს გერბსე. წელიწდეული „ქართული დიპლომატია“. ტ. XIII. თბ. 2007, გვ. 134-135; თ. ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბ. 2010, გვ. 26-27.

[8] ნ. ჯავახიშვილი. პირველი ქართველი ჰერალდიკოსი და ნუმიზმატი მეფე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011, გვ. 299-306.

პირველად ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაფიქსირდა რუსეთის სახელმწიფო გერბში. კერძოდ, რუსთა მეფის ალექსი მიხეილის ძე რომანოვის 1672 წლის „ტიტულიარნიკში" შეიტანეს რუსეთისადმი დაქვემდებარებული ან მის მფარველობაში მყოფი ქვეყნების გერბები.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ჰეროლდმაისტერი გიორგი ვილინბახოვი აღნიშნავს: «При царе Алексее Михайловиче геральдика в России получила официальное признание и развитие. Московское правительство решило подчинить изображнгие русского герба, в том и на государственных печатях, геральдическим правилам... В 1672 году уже составили текст «Титулярника», первого русского гербовника».[9]

1672 წლის „ტიტულიარნიკში" შეტანილ გერბებს შორის იყო ქართლის, კახეთისა და სრულიად საქართველოს საგერბე ფარები. ეს არის ჩვენამდე მოღწეული, საქართველოსთან დაკავშირებული პირველი გერბული გამოსახულებანი.[10]

საგულისხმოა, რომ რუსეთის იმპერიის მესვეურებმა „საქართველოს სამეფოს გერბში" მოაქციეს არა მხოლოდ სამხრეთკავკასიური სამფლობელოების ჰერალდიკური სიმბოლიკა (მაგალითად – სომხეთის გერბი), როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს გერბზე, არამედ, დამატებით – ჩრდილოკავკასიური ქვეყნების სიმბოლიკაც, კერძოდ – „ყაბარდოს მიწების გერბი" და „ჩერკასკებისა და მთიელი თავადების გერბი".

ქართული სამეფო გვირგვინით დამშვენებული ეს მრავალსახოვანი გერბი უნიკალური ჰერალდიკური ნიმუშია. იგი სიმბოლურად განასახიერებს ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო გვირგვინის ქვეშ გაერთიანებულ კავკასიას.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ ნათელს ხდის იმ უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას, რაც რუსეთის იმპერიაში – საქართველოს ეკისრებოდა.[11]

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ იყვნენ რუსეთის იმპერიის მესვეურნი დაინტერესებულნი საქართველოს გერბის ეგზომ გავრცობილი სახით წარმოდგენით?

ჰერალდიკოს თორნიკე ასათიანის მართებული დასკვნით, „საქართვე-

[9] Г. В. Вилинбахов. Государственный герб России, გვ. 37.

[10] თ. ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), გვ. 10.

[11] ნ. ჯავახიშვილი. კავკასიური სიმბოლიკა საქართველოს სამეფოს გერბსე, გვ. 140.

ლოს სამეფოს გერბის ესოდენ განდიდება ალბათ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ რუსეთს სურდა გამოემზეურებინა მის საზღვრებში მოქცეული უამრავი სამფლობელო (აქ, ჩვენი აზრით, გერმანული ჰერალდიკის გავლენა იკვეთება) და ვინაიდან ყველა მათგანს ცალკე სიმბოლოთი ვერ გამოჰყოფდა, არჩია ისინი საქართველოს ფარში მოექცია... ზოგადად გერბი, თავისი მრავალსახოვნებით ქართული ჰერალდიკისათვის უაღრესად საინტერესოა. იგი თავისუფლად გამოდგებოდა „პრეტენზიის" ან, ვთქვათ, საქართველოს იმპერიის (ასეთი რომ არსებულიყო) გერბად".[12]

ამრიგად, რუსეთის იმპერიის საზღვრებში უცხო ქვეყნების თანდათანობითი მოქცევა სათანადოდ აისახა იმპერატორთა ტიტულატურასა და რუსულ ჰერალდიკურ სიმბოლიკაში. მათ შორის იყო საქართველო, ასევე კავკასიის დანარჩენი ქვეყნები, ევროპის და აზიის ცალკეული სახელმწიფოები.

რუსეთის იმპერატორთა ოფიციალურ ტიტულატურაში ჩამოთვლილ ტიტულთა შორის საკმაოდ საპატიო ადგილას აღინიშნებოდა, რომ იგი იყო „მეფე საქართველოსი".

იმავდროულად, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა კავკასიაში მდებარე ქვეყნების ჰერალდიკური სიმბოლიკა მოაქციეს „საქართველოს სამეფოს გერბში", ბაგრატიონთა სამეფო გვირგვინქვეშ და თავიანთ სახელმწიფო გერბში საკმაოდ მოწინავე ადგილას გამოსახეს.

ამით რუსეთის იმპერიის მესვეურებმა თავიანთ ტიტულატურაში და უმნიშვნელოვანეს სიმბოლოზე – სახელმწიფო გერბზე ოფიციალურად დაფიქსირეს, რომ კავკასიის რეგიონში შემავალ ქვეყნებს შორის საქართველო ტრადიციულად ჰეგემონ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

[12] თ. ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), გვ. 27-28.

СЪ НАМИ БОГЪ

Niko Javakhishvili

GEORGIA AND OTHER COUNTRIES IN THE TITULATURE OF THE RUSSIAN EMPERORS AND THEIR HERALDIC SYMBOLS IN THE STATE COAT OF ARMS OF THE EMPIRE

Summary

The paper shows that the inclusion of foreign lands within the boundaries of the Russian Empire was duly reflected in the titulature of the Emperors and in Russian heraldic symbols. Georgia was not an exclusion.

It is stressed out that "Georgian King" had its place among the other titles within the official titulature of the Russian Emperors.

Remarkably enough, the government of the Russian Empire placed the heraldic symbols of various Caucasian lands within the "Coat of Arms of the Georgian kingdom", under the original crown of the one-thousand-years-long royal dynasty of Bagrationi, thus showing the historical importance of Georgia as of hegemonic power within the Caucasus.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

გიორგი ჟუჟუნაშვილი

„კავკასიის დაპყრობა“ – გამოყენებული მეთოდები და საშუალებები

(თანამედროვეთა შეფასებები)

„მთიელთა და ტყიურთა თავისუფლების შერკინება ბარაბნიან განმანათლებლობასთან, კონგრევების[1] აფეთქების ძალასთან – ახლა ეს ამბები მართობს კიდეც.

ბევრს ჩამოვახრჩობთ, ბევრსაც შევუნდობთ და მივვიფურთხებია ისტორიისათვისაც.“[2]

დიდი რუსი მწერლის წერილიდან ეს ნაწყვეტი ნათლად ასახავს „განათლებული“ დამპყრობლის დამოკიდებულებას „ტუზემცებით“ დასახლებული ტერიტორიებისადმი.

სტატიაში განვიხილავთ რუსული ჯარების მიერ კავკასიის დაპყრობისას გამოყენებულ ხერხებსა და საშუალებებს, სხვადასხვა მეთოდს, ამ მოვლენების თანამედროვეთა შეფასებებს. წარსულის გაკვეთილები ყველაზე უკეთ გვაძლევს კავკასიაში არსებული კონფლიქტების სპეციფიკის გაგების საშუალებას. აქტუალურია ამ კონფლიქტებში ჩართული აქტანტების მიზნები, მსოფლმხედველობა, ფსიქოლოგია. ამ და სხვა საკითხების კვლევა საშუალე-

[1] კონგრეი – ააღებადი საარტილერიო ჭურვი, მისი გამომგონებლის, ინგლისელი უილიამ კონგრიეის (1722-1828) სახელის მიხედვით. 1805-1813 წლების განმავლობაში ისინი არაერთხელ გამოიყენეს ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ. ამ დროიდან ინგლისის სამეფო არმიაში შემოიღეს სპეციალური სარაკეტო კორპუსები.

[2] ა. ს. გრიბოედოვის მიერ ს. ნ. ბერგიჩევისადმი 1825 წლის 7 დეკემბერს სტანცია ეკატერინოგრადსკიდან მიწერილი წერილიდან (http://feb-web.ru/feb/griboed/texts/fom88/ps88_72.htm?cmd= 2#Текст).

ბას გვაძლევს, გამოვავლინოთ თანამედროვე სიტუაციის განმსაზღვრელი ისტორიული ფესვები და კანონზომიერებები.

XIX საუკუნეში რუსეთის მიერ კავკასიის დასაპყრობად წარმოებული ბრძოლები შეიძლება დავყოთ პირობითად სამ პერიოდად: 1801 (უფრო ზუსტად 1803)-1827 წლები ციციანოვიდან ერმოლოვის გადადგომამდე. შუალედებში წარუმატებლობის მიუხედავად, ციციანოვ-ერმოლოვის მოღვაწეობა წარმატებულად არის შეფასებული. მეორე პერიოდში, 1845 წლამდე, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა არათუ წარმატებას ვერ მიაღწია, არამედ, თანამედროვეთა შეფასებით, პასკევიჩის უგუნური მოქმედებების გამო მიღწეულიც კი დაკარგა. რაც შეეხება შემდგომ ოცწლეულს, ძირითადად კი ვორონცოვ-ბარიატინსკის მმართველობის ხანას, ეს პერიოდი დიდი წარმატებების ეპოქადაა შერაცხული.

* * *

ამა თუ იმ რეგიონის დაპყრობისას გამოყენებული ხერხები და საშუალებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობაზე და მოსახლეობისადმი შემდგომ დამოკიდებულებაზე.[3] სწორედ ამის გათვალისწინებით, XIX საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება ექცეოდა კავკასიაში წარმოებულ საბრძოლო ოპერაციების სხვადასხვა ფორმასა, და მმართველობითი სისტემების განხილვასა და მათი დანარგვის საკითხებს.

ამ საკითხებზე მომუშავე მოვლენების თანამედროვე ისტორიკოსები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: პირველში უნდა გავაერთიანოთ მემატიანე ისტორიკოსები, რომლებიც აღწერდნენ ომის მიმდინარეობას. მათ რიგებში შეიძლება მოვიაზროთ ვ. პოტო, ნ. დუბროვინი. ისინი თავად მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში და დაწვრილებით აღწერდნენ გენერალ ერმოლოვის მოქმედებებს. მეორე ჯგუფში შედიან ისტორიკოსები, რომელთა მიზანსაც წარმადგენდა არა მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების დეტალური აღწერა, არამედ მოქმედებათა არსის წვდომა, მიზეზების ძიება. ასეთთა რიგშია რ. ფადეევი, დ. რომანოვსკი. ორივე ჯგუფის მკვლევრებისათვის დამახასიათებელია ერთი საერთო, მნიშვნელოვანი და საინტერესო ნიშანი – მათ მიერ

[3] ეს წესი უხსოვარი დროიდან მოქმედებდა. საკმარისია, გავიხსენოთ არაბებისა და მონღოლების დამოკიდებულება „ხმლით დაჭირული“ ან ნებით დამორჩილებული ტერიტორიების მიმართ.

გამოვლენილია და თხზულებებში გამოყენებულია დიდძალი და მრავალფეროვანი ისტორიული მასალა: საარქივო დოკუმენტებიდან დაწყებული მოგონებებით დამთავრებული.

* * *

კავკასიის რეგიონის დაპყრობა-დამორჩილება გამოირჩეოდა სირთულითა და მრავალფეროვნებით. დაპყრობის პროცესი გაჭიანურდა იმის გამო, რომ სხვადასხვა ეტაპზე ომის წარმოების განსხვავებულ მეთოდებს იყენებდნენ.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ადმირალი ნ. მორდვინოვი თავის ნაშრომში, „რა ხერხებითა და საშუალებებით უნდა მოვიჩვიოთ კავკასიის მაცხოვრებლები", კავკასიას კარგად გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს ადარებდა, მაცხოვრებლებს კი მის დამცველებს. მისი აზრით, ასეთი ციხის აღება პირდაპირი მიდგომით, ძლიერი შტურმითაც კი შეუძლებელია. საჭიროა ხანგრძლივი და კარგად ორგანიზებული ალყის წარმოება.[4]

ორგანიზებული სისტემის პრაქტიკაში გამოყენება პირველად მხოლოდ გენერალმა ა. ერმოლოვმა[5] შეძლო. მისი მმართველობის პერიოდიდან კარდინალურად იცვლება რუსეთის არმიის კავკასიაში მოქმედების მოტივაცია და ქცევაც: პატარ-პატარა საზღვრისპირა შეტაკებებიდან და ცალკეული თავდასხმებიდან იგი გადადის გეგმაზომიერ დაპყრობით ოპერაციებზე.[6]

---

[4] Д. И. Романовский. Кавказ и Кавказская война. Публичные лекции, читанные в зале Пассажа в 1860 г. СПб. 1860, გვ. 18-30.

[5] ოქროს ურდოდან 1506 წელს მოსკოვის მეფის სამსახურში გადასული ასნაურის (уздень) მურსა-ასლან-ერმოლას შთამომავალი ალექსანდრე ერმოლოვი თავს ხშირად ხუმრობით ჩინგი-ყაენის ჩამომავალს უწოდებდა. კავკასიაში იგი, 19 წლის კაპიტანი, პირველად 1796 წელს, პ. ზუბოვის ცნობილი ლაშქრობისას მოხვდა. კავკასიურ საქმეებში ყველაზე დიდ ავტორიტეტად კავკასიურ საქმეებში მისთვის ითვლებოდა პ. ციციანოვი. მისი გეგმა მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბოთ; ***სრული დამორჩილება, რუსეთის საიმპერიო სტრუქტურებში უპირობო ჩართვა, თუ არა და გასახლება და განადგურება.***

[6] საინტერესოა, რომ ერმოლოვის მოქმედებები დროში დაემთხვა ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის დასრულებას. მართალია, ისტორიოგრაფიაში ევნის სისტემის მიმოხილვისას ყველა მკვლევარი ერთხმად აღნიშნავს, რომ რუსეთი, როგორც „ევროპის ჟანდარმი", ყოველნაირი განმათავისუფლებელი აქტიურობის წინააღმდეგი ხდება, მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ასეც არ იყო საქმე: რუსეთის სამხრეთისაკენ გააქტიურების გეგმა ითვალისწინებდა ბერძნების დახმარებას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთის აქტიურობის შეფერხებას. ა. ერმოლოვი კი XVIII საუკუნის ბო-

გენერალური შტაბის ოფიცერი, კავკასიური ომის ცნობილი მკვლევარი, პოლკოვნიკი დ. რომანოვსკი, გამოყოფდა გენერალ ერმოლოვის მიერ შემუშავებული საომარი სისტემის ძირითად მახასიათებლებს:

„კავკასიის თავდაცვითი ხაზის მხრიდან დაუმორჩილებელ მთიელთა ცალკეული საზოგადოებების წინააღმდეგ პირველ რიგში აიგებოდა მოწინავე სიმაგრეები, იგებოდა გზები და იჩეხებოდა ტყეები. რუსული ნაწილები გამუდმებით უტევდნენ ურჩებს, ავალდებულებდნენ მორჩილებას და ახლად დამორჩილებულებს ექცეოდნენ მკაცრად“.[7]

იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ათწლიანი მმართველობისას გენერალმა ძალზე მცირე თანხებით შეძლო მნიშვნელოვნად გაეფართოვებინა რუსეთის გავლენის სფერო კავკასიაში. ხოლო მის მიერ შემუშავებული მეთოდები წარმატებით კიდევ ათწლეულების განმავლობაში გამოიყენებოდა.

ერმოლოვის მოქმედებების შეფასებისას იმავეს ამბობს ვ. პოტოც: „ერმოლოვმა დანერგა და დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით იყენებდა ტყეთა გაჩეხვის პრაქტიკას, ხოლო ის, ვინც ამ ხერხზე უარი თქვა, მკაცრად დაისაჯა“.[8]

სწორედ ამ ხერხის გამოყენებით ახერხებდნენ რუსები მთიელთა მიუდგომელ სამალავებამდე გზის გაკაფვას და სიმაგრეების გაუვნებელყოფას.

ისტორიკოსი ა. ზისერმანი ერმოლოვის ტაქტიკის შესახებ მიუთითებდა, რომ „მის და შტაბის ხელმძღვანელის, გენერალ ველიამინოვის დროს ტყეებს ჩეხდნენ ადგილობრივები (ჩეჩნები ამ შემთხვევაში) „საკუთარი ნაჯახებით“, ხოლო სხვა სარდლების დროს კი რუსი ჯარისკაცები იყვნენ დაკავებული ამ საქმით“.[9]

ლოს რუსეთში (ეკატერინე II-ის, პავლე I-ის კარზე) შემუშავებული გეოსტრატეგიის მომხრე და აქტიური გამტარებელი ჩანს (ვ. ზუბოვის, პავლე I–ის და სხვა გეგმების შესახებ დაწვრ. იხ.: გ. ჟუჟუნაშვილი. საისტორიო ეტიუდები. თბ. 2012). სამწუხარო აქ ის არის, რომ იმპერიის აღმოსავლეთით განვრცობის „ისტორიული აუცილებლობაზე“ მსჯელობისას რატომღაც ავიწყდებათ, რომ კავკასიის მთელი რიგი ხალხების ისტორიული ბედის ჩარხი დატრიალდა უკუღმა და ეს ხალხები, ნებსით თუ უნებლიედ, შეიქნენ ამ იმპერიის სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ წინსვლის მსხვერვლნიცა და ხელშემწყობებიც.

[7] Д. И. Романовский. Кавказ и Кавказская война, გვ. 216.

[8] В. А. Потто. Кавказская война. Ставрополь. 1994. Т.2, გვ. 21-22.

[9] А. Л. Зиссерман. История 80-го пехотного Кабардинского полка. Т.1. СПб. 1881, გვ. 367-368.

ზემოთ ნახსენები ადმირალ მორდვინოვის მსგავსად გენერალი ველიამინოვი[10] თვლის, რომ „კავკასია არის აუღებელი სიმაგრე. მხოლოდ რეგვენი თუ გამოიყენებს შტურმს ამგვარი სიმაგრის წინააღმდეგ; გონიერი მხედართმთავარი კი მყისვე მოიაზრებს, რომ საჭიროა ხერხის გამოყენება, ააგებს პარალელურ სიმაგრეებს, ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწევს წინ, დადებს ნაღმებს და ასე დაეუფლება მას".[11]

სწორედ ველიამინოვმა დააყენა საკითხი, რომ ამ მხარის დაპყრობა, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, სწრაფად შეუძლებელია. საჭიროა ხანგრძლივი და გეგმაზომიერი ძალისხმევა. დაიწყო ე.წ. „პარალელური სიმაგრეების" – „რუსთა დასახლებებისა", და გამაგრებული ადგილების შექმნა.

XIX საუკუნის 30-იან წლებში სწორედ გენერალი ველიამინოვის მიერ დანერგილი სისტემით მოქმედებდნენ რუსული ჯარები. ვ. პოტო აღნიშნავდა, რომ ამ გენერლის მიერ დანერგილი სისტემა ეფუძნებოდა ჯარის ნაწილების მუდმივ წვრთნას (შდრ.: სუვოროვის მოქმედებები იზმაილის აღებისას) ყოველი კონკრეტული პუნქტის ალყისას, რაც საშუალებას აძლევდა, დაეზოგა და შეენარჩუნებინა პირადი შემადგენლობა: როდესაც მიაღწევდა დაგეგმილ პუნქტს, ჩადგამდა სიმაგრეს, საიდანაც გზავნიდა მცირე რაზმებს მთიელთა ახლომახლო მდებარე დასახლებების დასამორჩილებლად. აღნიშნული პუნქტის მოწინააღმდეგისაგან გათავისუფლების შემდეგ რაზმი აიყრებოდა და სხვა ადგილას გადადიოდა. ამ ხერხით ორი მიზანი მიიღწეოდა: პირველი, რომ ახალი და ახალი რაზმები ებმებოდნენ ბრძოლაში და იძენდნენ გამოცდილებას და მეორეც, რომ ზურგში რჩებოდა რეზერვი და დასაყრდენი, რაც მტერსაც აშინებდა. ავტორის აზრით, მოგვიანებით ეს გამოცდილება მიივიწყეს და ამის გამო რუსეთის ჯარებმა დიდი დანაკლისი განიცადეს.[12]

1828 წელს გენერალ-ლეიტენანტმა ველიამინოვმა დაასრულა ნაშრომი

---

[10] ამის შესახებ ა. ერმოლოვი წერდა: «Нужнейшего мне для военной части взял я начальником корпусного штаба полковника Вельяминова, служившего прежде со мною в артиллерийской гвардейской бригаде, потом в Кракове и наконец в гренадерском корпусе в сем же звании. Офицер сей, хорошо учившийся, имел большие сведения и отличные способности. Дежурным штаб-офицером был подполковник Наумов, неутомимой деятельности и наклонности особенной к порядку» (Записки А. П. Ермолова. М. 1991. http://militera.lib.ru /memo/russian/ermolov_ap/index.html).

[11] Д. И. Романовский. Кавказ и Кавказская война, გვ. 47.

[12] В. А. Потто. Кавказская война. Ставрополь. 1994. Т. 5, გვ. 253.

„მთიელთა დაპყრობის დაჩქარების საშუალებები“. იგი აღნიშნავს, რომ „კავკასიის თავდაცვითი ხაზს ძირითადად ზიანი ადგება მთიელთა სწრაფი, ცხენოსანი რაზმების მოულოდნელი თავდასხმებისაგან. თუ ჩვენ მოვახერხებთ და ცხენების ოდენობას შევუმცირებთ, მაშინ მათ სერიოზულ დარტყმას მივაყენებთ და წავართმევთ მთიელებს წარმატების მისაღწევ მთავარ საშუალებას. ეს კი უნდა მოხერხდეს ძირითადი მდიდარი საძოვრების დაკავებითა და ამ ტერიტორიაზე კაზაკთა დასახლებების ჩადგმით“.[13] გენერალი ველიამინმოვი წარმატებით იყენებდა ერმოლოვის სისტემას, რომელშიც, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეჰქონდა ცვლილებები, იყენებდა ბრძოლის წარმოების ახალ ხერხს და რამდენადმე განსხვავებულ მეთოდს.

ერმოლოვის კავკასიიდან წასვლის შემდეგ კოლონიზაციის სისტემა შეიცვალა, მაგრამ რუსები წარმატებას ვერ აღწევენ. გრაფი ა. ბეკენდორფი წერდა: „ალექსანდრე პეტრეს ძე ერმოლოვის კავკასიიდან წასვლის შემდეგ, 1826 წლიდან, კავკასიის დამორჩილება მცდარი გზით წავიდა“.[14]

ახალმა ხელმძღვანელობამ შეცვალა კავკასიაში მოქმედების გენერალური გეგმა. განიხილებოდა რამდენიმე პროექტი. მათ შორის იყო ისეთიც, რომლის თანახმადაც რუსულ ჯარებს უნდა ემოძრავათ არა დაბლობიდან მთებისკენ, არამედ პირიქით. აეგოთ სიმაგრეები მთებზე, სათვალთვალო პუნქტები – მწვერვალებზე, აეფეთქებინათ მთები (გაესწორებინათ მიწასთან), ხოლო მარბიელთაგან თავდასაცავად გაებათ მავთულხლართები მდინარეების – ყუბანისა და თერგის – ნაპირებზე. სხვა მოსაზრებით, კავკასია უნდა დაეპყროთ არა იარაღით, არამედ კულტურით.[15]

საინტერესოა ინჟინერ პოლკოვნიკ ბიურნოს მიერ შემუშავებული გეგმა. იგი ფიქრობდა, რომ ჯარებს უნდა დაეკავებინათ ძირითადი მდინარეების ხეობები და იქიდან ეწარმოებინათ შეტევითი ოპერაციები. მაგრამ რადგან ეს ღონისძიება დიდძალ სამხედრო ძალას მოითხოვდა, გამოსავალს შემდეგში ხედავდა – მცირე ძალებით დაეკავებინათ ყუბანის ხეობა და დაეყოთ იგი სამ ოლქად.[16]

ამისგან განსხვავებულია პასკევიჩის პროექტი, რომელიც ეყრდნობოდა

[13] А. А. Вельяминов. Способ ускоренного покорения горцев. // Кавказский сборник. 1883. Т.7, გვ. 67.

[14] К. К. Бенкендорф. Воспоминания о кавказской летней экспедиции 1845 г. // Русская старина. 1910. №4, გვ. 194.

[15] В. А. Потто. Кавказская война, გვ. 5-6.

[16] В. А. Потто. Кавказская война, გვ. 6.

მხოლოდ იარაღის ძალას, როგორც „ერთადერთ გასაგებ საშუალებას მთიელთათვის“.[17]

ვ. პოტო აღნიშნავს: „პასკევიჩს კავკასიის ერთბაშად, ერთი დარტყმით აღება უნდოდა. მაგრამ მან არა თუ ვერ დაიპყრო, არამედ 30 წლით გადაწია ამ საკითხის გადაწყვეტა და გააჩაღა ომი, რომელიც ყველას დაუჯდა დიდი მსხვერპლის, მატერიალური ზარალისა და მორალური რყევის ფასად. მთავარი კი ისაა, რომ მას შეეძლო ახლად წარმოშობილი მიურიდიზმის ჩანასახშივე ჩახშობა, მაგრამ ეს არ ქნა და მას გაძლიერების საშუალება მისცა“.[18]

1832 წელს პასკევიჩი თანამდებობაზე შეცვალა ბარონმა როზენმა, ცოტა ხნის შემდეგ დაინიშნა გოლოვინი, რომელიც ამ თანამდებობაზე შეცვალა ნეიდჰარდტმა, მაგრამ ვ. პოტოს თქმით, „არა თუ არაფერი შეიცალა, არამედ საქმე სულ უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა“[19]. ყველა მათგანი ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას ემხრობოდა. განსხვავებული აზრი ჰქონდა გოლოვინს, რომელიც თავის ნაშრომში, „კავკასიის დამორჩილების საკითხზე გენერალ-ლეიტენანტ გოლოვინის ზოგადი მონახაზი“, აღნიშნავდა, რომ „დამორჩილებისათვის საჭიროა დაღესტანი იოლად გამავალი გზებით დაისეროს, რომლებზედაც ყოველდღე იმოძრავებენ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები გარნიზონების მომარაგებისათვის, ურჩების შესაშინებლად და ჩვენი ხელისუფლების გასამყარებლად“.[20]

მანაც ვერ მოახერხა ამ მოსაზრების განხორციელება.

კავკასიური პოლიტიკის ამ პერიოდის შესახებ ისტორიკოსი ა. ზისერმანი წერდა: „რეზერვების უკიდურესად შეზღუდულობის პირობებში მთიელებზე ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით შეტევა არ იძლეოდა დაკავებული პუნქტების შენარჩუნების საშუალებას, არც ექსპედიციებს მოჰქონდა წარმატება. პირიქით, გვასუსტებდა ჩვენ, აღიზიანებდა მთიელებს, რომლებიც წარმატებული ოპერაციების შემდეგ კიდევ უფრო თავხედდებოდნენ“.[21]

1844 წლიდან კავკასიისადმი დამოკიდებულება იცვლება: სამეფისნაცვლოს შემოღებამ, გრაფი ვორონცოვის მიერ შემოტანილმა მოქნილმა პოლი-

[17] В. А. Потто. Кавказская война. Т.2, გვ. 7.
[18] В. А. Потто. Кавказская война. Т.2, გვ. 15.
[19] В. А. Потто. Кавказская война. Т.2, გვ. 13.
[20] Е. А. Головин. Общее предначертание генерал-лейтенанта Головина к покорению Кавказского края. // Кавказский сборник. 1885. Т. 9, გვ. 1.
[21] А. Л. Зиссерман. Материалы для истории Кавказской войны. // Русский вестник. 1872, №10, გვ. 416.

ტიკამ თავისი გავლენა სამხედრო ოპერაციების წარმოებაზედაც იქონია. ერმოლოვის მეგობარი ვორონცოვი თავისი გონიერი წინამორბედის რჩევებს ითვალისწინებდა[22]. ა. ზისერმანის თქმით, 1846 წლიდან საბოლოოდ უარი თქვეს პასკევიჩის სისტემაზე და კვლავ აღადგინეს ერმოლოვისეული სისტემა (თავდასხმებიდან ექსპედიციებზე): ტყის გაჩეხვით მიუდგომელი ადგილები ჯარისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა, საიდანაც აძევებდნენ ადგილობრივებს, უზღუდავდნენ მათ სახნავ-სათეს ფართობებს და საძოვრებს.[23] მისივე შეფასებით, მართალია, ტყის ჩეხვას, დასახლებების აგებას დიდი დრო სჭირდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ხერხი უფრო ეფექტური, ნაკლებ ხარჯიანი იყო. შესამჩნევად შემცირდა დანაკარგებიც.

ერმოლოვ-ველიამინოვისა და ვორონცოვისეული სისტემების შედარებისას მკვლევრები მიუთითებენ მათ შორის არსებულ გარეგნულ მსგავსებასაც და განსხვავებასაც: პირველ შემთხვევაში ტყე იჩეხებოდა მხოლოდ ჯარის საჭიროებისათვის, სადაც შეხვდებოდათ წინააღმდეგობა, ხოლო 1846 წლიდან კი მუდმივი მიმოსვლისათვის, დასახლებებს შორის მუდმივი კავშირისათვის. ეს ღონისძიებები იძენს სისტემატურ, ორგანიზებულ ხასიათს.

ამ სისტემის დადებით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას სხვა ავტორებიც: „კოლონიზაციის საყოველთაო ხასიათი საომარ მოქმედებებზეც კეთილად აისახებოდა. ჯარების მიერ გავლილი ტერიტორიების დასახლებამ შეცვალა ომის წარმოების წესი: ახლად დაარსებულ დასახლებებში, კორდონებზე ჩამოსახლებული მოსახლეობა მყარ ზურგს ქმნიდა, ხოლო ზურგმომაგრებული ჯარი კი განუხრელად მიიწევდა წინ“.[24]

ეს მეთოდი ძირითადად გამოიყენებოდა შამილის დატყვევებამდე. ეს ყველაფერი შეეხებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას.

რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას, აქ საქმე სხვაგვარად იყო: – ყუბანის ტერიტორიების გეოგრაფიულ მდებარეობა (მისი განფენილობა,

---

[22] დაწერილებით იხ.: Переписка М. С. Воронцова с А. П. Ермоловым. 1845-1856. http://fershal.narod.ru / Memories/Texts/Vorontzov_M_S/Vorontzov_1.htm.

[23] А. Л. Зиссерман. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. Т.1. М. 1888, გვ. 119, 157-158.

[24] К. Гейнс. Пшехский отряд. // Кавказский сборник. 1884. Т. 8, გვ. 401; В. А. Гейман. Воспоминания. // Кавказский сборник. 1879. Т. 3, გვ. 369; Н. А. Волконский. Окончательное покорение восточного Кавказа. // Кавказский сборник. 1879. Т. 4, გვ. 72; И. Дроздов. Последняя борьба с горцами на Западном Кавказе // Кавказский сборник. 1877. Т. 2, გვ. 388, 416.

შავ ზღვასთან სიახლოვე...) საშუალებას აძლევდა სხვა ქვეყნების (ოსმალეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი...) ძალებსაც უფრო აქტიურად ჩარეულიყვნენ კონფლიქტში. პირველ რიგში, უნდა შევეხოთ დიდი ბრიტანეთის მოქმედებას. განსაკუთრებით აფიშირებულია ორი ბრიტანელი აგენტის – ლონგვორტისა და ბელის – მოღვაწეობა. მათ შესახებ თავის დღიურებში მოგვითხრობს მ. ფედოროვი: „ინგლისელი ლონგვორტი რუსებისადმი მტრობის გამო მთიელებს უგზავნიდა ტყვია-წამალს. ასევე შაფსულთა და ნატუხაელთა თემებში გამოჩნდა ინგლისის მთავრობის მიერ შეგზავნილი ბელი, რომელიც ამ მთიელებს უქადაგებდა, არ დამორჩილებოდნენ რუსებს, არ დაზავებოდნენ მათ და, რაც მთავარია, ამით არ დაეშვათ რუსების შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გამაგრება“.[25]

მაჰმედ-ბეი, მთიელი, რომელიც გადავიდა რუსების მხარეს, საინტერესო ამბებს ყვება იარაღითა და აღჭურვილობით დატვირთული გემების ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გამოჩენის შესახებ. ამ ექსპედიციის ორგანიზატორი იყო ჩერქეზებთან დაახლოებული „ინგლისური საიდუმლო საზოგადოება“.[26]

საინტერესოა ი. დროზდოვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლონელი ოფიცრები ხშირად შუამავლის როლს ასრულებდნენ მთიელებს, ინგლისელებსა და ფრანგებს შორის.[27]

განსაკუთრებული ინტერესები ჰქონდათ თურქებსაც. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან დ. რომანოვსკი, ი. გრჟეგოჟევსკი, ოსმან-ბეი და სხვები.

პირველი მათგანი აღნიშნავს, რომ „თურქებთან ხშირი კონტაქტი განამტკიცებდა ჩერქეზთა მებრძოლ სულს და აღვივებდა რუსებისადმი უნდობლობასა და ზიზღს“.[28] ხოლო მეორე ავტორის თქმით, მთიელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთისა და ირანის ერთმორწმუნეობასო. თურქული რაზმების ფორმირების შესახებ გვამცნობს მაიორი ოსმან-ბეი, მუსტაფა-ფაშას ადიუტანტი.

---

[25] М. Ф. Федоров. Походные записки на Кавказе. // Кавказский сборник. 1879. Т.3, გვ. 37, 40.

[26] Мехмет-бей. Высадка в 1857 году на черкесский берег польско-английского десанта // Кавказский сборник. 1887. Т.11. С. 595; Осман-бей. Воспоминания о 1855 годе // Кавказский сборник. 1877. Т. 2, გვ. 206.

[27] И. Дроздов. Последняя борьба с горцами на Западном Кавказе, გვ. 388, 416.

[28] Д. И. Романовский. Кавказ и Кавказская война, გვ. 133.

ყუბანისპირეთის დამორჩილების შესახებ ცნობებს გვაძლევს რ. ფადეევი თხზულებაში „წერილები კავკასიიდან“: „ეს ტერიტორია სავსე იყო თურქი ემისრებით, ხოლო თურქულ ხომალდებს კავკასიის ნაპირებამდე გადაჰყავდათ აგენტები და გადაჰქონდათ იარაღი. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მთიელებს უჭერდა მხარს. ინგლისური ფულით ხდებოდა იარაღის უკანასკნელი მოდელების, ტყვია-წამლის შეძენა. ინგლისელების ფულით და თურქული გემებით აპირებდნენ ბრძოლას პოლონელები. გადაწყვეტილი იყო კავკასიის ნაპირებზე პოლონური ნაწილების ჩამოყალიბება. ამ მიზნით 1861 წელს ტუაფსეში პოლონური ჯარის ეროვნული სამოსი, აღჭურვილობა და იარაღის მთელი საწყობი გადმოტვირთეს“.[29]

წინააღმდეგობა იზრდებოდა რუსული ჯარების წინსვლასთან ერთად. ერთ-ერთ ცნობაში ვკითხულობთ: „ჩვენდამი არაკეთილგანწყობილი უცხოელები შაფსუღებს, უბიხებსა და სხვა მთიელებში ავრცელებდნენ აღმაშფოთებელ მოწოდებებს, ამარაგებდნენ მათ დიდი ოდენობით დენთით, რკინით, გოგირდითა და სხვა“.[30]

საინტერესო მონაცემები აქვს დაფიქსირებული დ. ამილახვარს: „უნდა დაგვეჩქარებინა კავკასიის დამორჩილება, რათა გარედან არ შეეშალათ ხელი. იმ ხანებში არაერთხელ გაიჟღერა ვიღაც ინგლისელი ლორდის მიერ ნათქვამმა სიტყვებმა: „ევროპა გულგრილად ვერ უცქერს კავკასიის დაპყრობას, რადგან მისთვის დამოუკიდებელი კავკასია იმდენადვე აუცილებელია, რამდენადაც პოლონეთის დამოუკიდებლობა“.[31]

ზემოთ გაკვრით ვახსენეთ, რომ ყუბანისპირეთის, ანუ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დაპყრობისას განსხვავებული ხერხები გამოიყენეს: ი. დროზდოვი ამ განსხვავებულ მეთოდებს გეოგრაფიული გარემოთი ხსნის. რ. ფადეევი, რომელიც უფრო დაწვრილებით ეძებს განსხვავებას, მიუთითებს, რომ ინგლისი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მიერ კავკასიის ფლობას ზოგადად, თურქეთი კი მუდმივად მოუწოდებდა მთიელებს ომისკენ. მთიელთა დამორჩილება რუსეთს მაინც ვერ იხსნიდა ომისაგან, ხოლო საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ყუბანის მხარე იქცეოდა ღია კარიბჭედ კავკასიის

---

[29] Р. А. Фадеев. Письма с Кавказа. СПб. 1865, გვ. 48.

[30] Очерк положения военных дел на Кавказе. // Кавказский сборник. 1877. Т. 2, გვ. 2-3.

[31] Д. Амилахвари. Из записок князя Амилахвари. // Кавказский сборник. 1908. Т. 27, გვ. 327-328.

გულში შესაჭრელად[32]. ამ ყოველივეს ამის გამო კავკასიის მხოლოდ „დაპყრობა“ არ უნდა მომხდარიყო. ეს მხარე უნდა აეთვისებინათ. ფადეევის აზრით, ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას შორის ის ძირეული განსხვავებაა, რომ „ჩერქეზები ზღვისპირეთში სახლობის გამო ვერ მიემაგრებიან რუსეთს, თუ ამ მხარეში დარჩებიან საცხოვრებლად. მათგან მოსალოდნელია მუდმივი საფრთხე.

მთიელთა აყრა თავიანთი ადგილებიდან და მათ ნაცვლად რუსების ჩასახლება. აი, ასეთი იყო ომის ძირითადი გეგმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. რუსთა დასახლებები ჯარის ნაკვალევზე იზრდებოდნენ“.[33]

თითქმის მსგავს შეფასებას გვაძლევს თავის ნაშრომში ს. იგნატოვიჩი: „82-ე დაღესტნური ქვეითი ათასეულის საბრძოლო მატიანე“. იგი აღნიშნავს, რომ 1860 წლამდე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საომარი მოქმედებები მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისა იყო, მხოლოდ ცალკეული ექსპედიციებით შემოიფარგლებოდა. შამილის დატყვევების შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა. გამაგრებული ადგილებისა და მათთან მისასვლელი გზების შენება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც 1860 წელს გადაწყდა, განევითარებინათ სტანიცების (კაზაკთ დასახლებების) სისტემა. მთიელებს კი ბარისკენ ერეკებოდნენ“.[34] ამასთან ერთად, ბარატინსკის ბრძანებით ყუბანისპირეთში გაიგზავნა ყველა თავისუფალი სამხედრო ნაწილი მნიშვნელოვნად განახლებული შეიარაღებით.

ვ. გეიმანიც აღნიშნავს, რომ კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვალმა თავადმა ა. ბარიატინსკიმ ტყის გაჩეხვისა და ახალი დასახლებების შექმნის სისტემა კიდევ უფრო დახვეწა, რის შედეგადაც თავდასხმები თითქმის შეწყდა, ჯარის ნაწილები წინ მიიწევდნენ უკვე კარგად გათვლილი გეგმის თანახმად, რამაც გადაწყვიტა კიდეც კავკასიის ბედი“.[35]

ამ გეგმის სისწორეში გვარწმუნებს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ჩა-

---

[32] საინტერესო ის არის, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ეს გეგმა დღესაც აქტუალურია. ზოგიერთი ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარეობისას ამერიკელი სამხედროები აქტიურად განიხილავდნენ რუსეთის მშეიდობისაკენ იძულების მსგავს შესაძლებლობას.

[33] Р. А. Фадеев. Письма с Кавказа, გვ. 48, 74-75.

[34] С. К. Игнатович. Боевая летопись 82-го пехотного Дагестанского полка. Тиф. 1897, გვ. 326.

[35] В. А. Гейман. Воспоминания. // Кавказский сборник. 1879. Т. 3, გვ. 369.

ნაწერები. ნაშრომში – „კავკასიის არმიის შემადგენლობაში მყოფი ჯარების შემცირების შესახებ“ – იგი აღნიშნავს: „ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ განვამტკიცოთ ჩვენი მფლობელობა:

1) რამდენადაც შესაძლებელია, იმდენად სწორი და სამართლიანი ადმინისტრაციის შემოღება.

2) სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტების განსაკუთრებული გამაგრება;

საიმედო და წლის ყველა დროისათვის მოსახერხებელი გზების გაყვანა“.[36]

დასკვნის სახით ვიტყოდით, რომ რუსეთმა კავკასიის (ძირითადად მისი ჩრდილოეთ ნაწილის) დაპყრობისას გამოიყენა შემდეგი სისტემა:

1. ლოიალურ მოსახლეობასთან მშვიდობიანი და სავაჭრო ურთიერთობების განვითარება (მაგ.: ყარანოღაელები);

2. ქვეყნის შიდა რეგიონების თავდასხმებისაგან თავდასაცავად დასახლებების სისტემის მოწყობა;

3. გზების მოწყობა, ტყის გაჩეხვა და გამაგრებული პუნქტების აგება;

4. საომარი ოპერაციები და სხვა განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება (ხალხების ერთმანეთზე გადაკიდება (divide et impera); ურჩი მოსახლეობის აყრა და გადასახლება (დეპორტაცია) მათ ადგილას ლოიალური მოსახლეობის ჩამოსახლება (მაგ.: სომხები, ბერძნები, გრ. ორბელიანის პროექტით – ჩერნოგორიელები, ბულგარელები)).

* * *

რუსების მიერ კავკასიელების წინააღმდეგ გამოყენებული ხერხებისა და საშუალებების უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ორ დოკუმენტს. პირველია ა. ერმოლოვის იმპერატორისადმი 1818 წლის 20 მაისის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი „საპროგრამო სიტყვა“. მეორე დოკუმენტი ნაწყვეტია კავკასიის არმიის მთავარსარდლის, გრ. ორბელიანის, სამხედრო მინისტრ დ. მილიუტინისადმი 1862 წლის 18-20 იანვრის მოხსენებიდან, რომელიც შეიცავს პროექტს თურქეთიდან გადმოსულთა დასახლების შესახებ. ორივე დოკუმენტი უხვად შეიცავს ზემოთ მოყვანილი მეთოდების დამადასტურებელ საბუთს.

---

[36] Александр II. О постепенном уменьшении войск кавказской армии. // Русская старина. 1882, №10, გვ. 284.

დოკუმენტი I

«Высочайшее соизволение вашего императорского величества, испрошенное мною на занятие укреплениями р. Сунжи, было следствием соображения, коему дало повод известное мне прежнее мнение многих; ныне обозревая границы, наши против владений чеченских лежащие, вижу я не одну необходимость оградить себя от нападений и хищничеств, но усматриваю, что от самого Моздока и до Кизляра поселенные казачьи полки Моздокский, Гребенский и семейные, и кочующие караногайцы, богатым скотоводством полезные государству, и перевозкою на весь левый берег линии доставляемого из Астрахани морем провианта приносящие величайшую казне пользу, по худому свойству земли не только не имеют ее для скотоводства избыточно, ниже для хлебопашества достаточно, и что единственное средство доставить им выгоды и с ними совокупить спокойствие и безопасность есть занятие земли, лежащей по правому берегу Терека.

Приведение сего в действие беспрекословно гораздо удобнее было, когда во множестве бывшие на линии войска не развлечены были приобретением Грузии, и тогда до присоединения оной можно было стать твердою на новой черте ногою, но не мое дело рассуждать о том, что упущено, я обязан представить средства, как впредь поступать надлежит.

Против левого фланга живут народы именуемые: чеченцы, аксаевцы, андреевцы и костековцы.

Чеченцы сильнейший народ и опаснейший, сверх того вспомоществуемы соседями, которые всегда со стороны их не по связям с ними существующим, не по вражде против нас, но по боязни, чтоб они, подпав власти русских, не вовлекли их с собою.

Аксаевцы узами родства и не менее участием в злодеяниях связаны тесно с чеченцами и им как сильнейшим покорствуют.

Андреевцы, обращающиеся в торговле, ознакомясь со многими удобствами в жизни, удерживают с чеченцами связи для выгод торга, но будучи богаты и избыточествуя многих родов изделиями, воинственные свойства свои очевидно переменяют на свойства кроткие.

Костековцы менее сильный прочих народ, не столько склонный к торгу, но излишнее количество земли своей отдавая на пастьбу скота чеченцам, получает от них большие выгоды и потому сохраняет с ними связи.

Все сии народы и часть самих чеченцев, живущие по левому берегу Сунжи и даже по правой стороне Терека против самих селений наших, именуются мирными, и последние из сих, прикрывая себя личиной доброго к нам расположения, суть наиопаснейшие для нас, ибо ближайшими будучи соседями и зная обстоятельно положение наше, пользуются благо-

приятным временем, приглашают неприязненных на разбои, укрывают у себя всеми средствами, вспомоществуют им и сами бывают участниками. Равнодушие многих из начальников на линии допустило их селиться на Тереке, где земли издавна принадлежали первым основавшимся здесь нашим казачьим войскам, и, ограничив Тереком, удовольствовалось тем, что вменило в ответственность им делаемые на нашей стороне похищения. Беспрестанно изобличаются они в воровствах, нападении и увлечении в плен людей наших, нет спокойствия и безопасности. Они посмеиваются легковерию нашему к ручательствам их и к клятвам, и мы не перестаем верить тем, у кого нет ничего священного в мире. Десятая доля не удовлетворяет потери нашей, и еще ни одного преступника не выдали нам чеченцы.

В нынешнем 1818 году, если чеченцы, час от часу наглеющие, не воспрепятствуют устроить одно укрепление на Сунже в месте самом для нас опаснейшем, или если можно успеть будет учредить два укрепления, то в будущем 1819 году, приведя их к окончанию, тогда живущим между Тереком и Сунжею злодеям, мирными именующимся, предложу я правила для жизни и некоторые повинности, кои истолкуют им, что они подданные Вашего Императорского Величества, а не союзники, как они до сего времени о том мечтают. Если по надлежащему будут они повиноваться, назначу по числу их нужное земли количество, разделив остальную часть между стесненными казаками и караногайца-ми; если же нет, предложу им удалиться и присоединиться к прочим разбойникам, от которых различествуют они одним только именем, и в сем случае все земли останутся в распоряжении нашем. Я в таковых обстоятельствах прошу Вашего Императорского Величества соизволения, чтобы из полков Моздокского и Гребенского добровольно желающие могли переселиться вперед за Терек.

За сим распоряжением селения наши по Тереку от устья Сунжи и до Кизляра и самый сей город, единственный родом промышленности и знатный казне доход приносящий, останется тем же как и теперь подверженным опасностям, которые отвратить одно средство в том состоит, чтобы цепь укреплений, расположенных по Сунже, продолжить через Аксаевские, Андреевские и Костековские селения до р. Сулака, где для учреждения оных несравненно менее предстоит затруднений, нежели против чеченцев.

Таким образом, со стороны Кавказской приблизимся к Дагестану, и учредится сообщение с богатейшею Кубинскою провинцией и оттуда в Грузию, к которой доселе лежит один путь, чрез горы, каждый год несколько времени, а иногда и весьма долго пресекаемый.

Мимоходом в Дагестан чрез владения шамхала Тарковского овладеем мы соляными богатыми озерами, довольствующими все вообще горские народы и чеченцев не исключая. До сего времени шамхал не по-

мышлял отдать их в пользу нашу и уклонялся принять войска наши в свою землю, теперь предлагает взять соль, а войска расположу я у него как особенную милость Вашего Императорского Величества за его верность, которые нужны нам для обеспечения нашей в Дагестан дороги ...

Обеспечив таким образом безопасность левого фланга линии, надобно обратить внимание на центр оной, лежащий против кабардинцев, народа некогда весьма сильного, храброго и вообще воинственного, нынче не требующего чрезвычайных мер к усмирению. Моровая язва народ сей истребила почти до четвертой оного части и среди его создала почти всегдашнее свое пребывание по связи его с закубанскими народами. Для прекращения или по крайней мере уменьшения сих бедствий, Кавказской линии грозящих, надобно, сближаясь к вершинам р. Кубани, при урочище, известном под именем Каменный Мост, сделать укрепление на один батальон пехоты и, вступая в сношение с некоторыми горскими народами, от кабардинцев утесненными, содержать сих последних в совершенной зависимости...

Если благоугоден будет Вашему Императорскому Величеству план сей, то нужен на имя мое высочайший указ в руководство и непременную цель преемникам моим. В предложении моем нет собственной моей пользы; не могу я иметь в предмете составлять военную репутацию мою насчет разбойников... Не всякого однако же на моем месте могут быть одинаковые выгоды».[37]

[37] Я. А. Гордин. Кавказ: земля и кровь. 2000. http://budetinteresno.info/kraeved/kavkaz_gordin_index.htm

დოკუმენტი II

„1862 წლის 18-20 იანვარი, კავკასიის არმიის მთავარსარდლის გრ. ორბელიანის მოხსენება სამხედრო მინისტრ დ. მილიუტინს[38]

18 დეკემბრის წერილით (№ 114) თქვენი აღმატებულება მატყობინებდით ჩერნოგორელთა, ნეკრასოველთა და ბულგარელთა შესაძლო გადმოსახლების შესახებ და ითხოვდით დაწვრილებით ცნობებს იმ მიწების შესახებ, რომლებზეც მოსახერხებელი იქნებოდა მათი განსახლება.

გასათვალისწინებელია, რომ, თქვენს წერილში ზემოთ ხსენებულთა გარდა, უკვე მიმდინარეობს მიმოწერა სამოქალაქო მმართველობასთან მცირე აზიიდან 450 ბერძნული (მათმა წარმომადგენლებმა უკვე მიმართეს ხელმწიფე იმპერატორს) და 2000 სომხური (მათი დეპუტატები უკვე იმყოფებიან ერევანში) ოჯახის გადმოსახლების შესახებ. მე ვუბრძანე, განეხილათ ეს საკითხი განსაკუთრებული კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა არმიის მთავარი შტაბის უფროსი, რათა დავალების შესრულებისას თავიდან ავიცილოთ დაწესებულებებს შორის უწყებრივი გაუგებრობა.

კომიტეტის მიერ წარმოდგენილმა მოსაზრებებმა დამარწმუნა, რომ მიმდინარე წელს ლტოლვილთა ნებისმიერი რაოდენობის მიღება შეგვიძლია იმ მიწებზე, რომლებიც მათთვის არის გამოყოფილი; თავისუფალ და ხორბლეულისათვის ვარგის მიწათა რაოდენობა შეადგენს 660000 დესეტინას (≈719400 ჰა – გ.ჟ.). კერძოდ, თურქეთში გადასახლებული ჯამბუდაკოველი, ედისანელი და ყიზლარელი ნოღაელების მიწები შეადგენს 31900 დესეტინას; კალაუსოსაბლინელი და ბეშთაუ-ყუმელი ნოღაელებისა, რომლებიც ასევე გადასახლდნენ თურქეთში – 31500 დესეტინას;

სტანიცების ნეზლობნოისა და ნიჟნი პოდგორნოის მიწები (მათი მცხოვრებლები გადასახლდნენ გაუქმებული ბაბუკოვსკის სტანიცის მიწებზე) შეადგენს 23000 დესეტინას. ეს მიწები თავის დროზე დატოვეს კაზაკებმა არა გამოუსადეგრობის, არამედ წყლის უკმარისობის გამო... მათგან განსხვავებით, ახალმოსახლეთა დასახლებების მოწყობა შეიძლება მდინარეთა ნაპირებზე და წყლის უკმარისობას ვერ იგრძნობენ.

ყუბანსა და ბელაიას შორის მომდინარე მდინარეების ზემოწელზე მდებარე მთათა ზოლის ტერიტორიაზე თუ რა რაოდენობის ვარგისი მიწაა, ძნელი დასადგენია, ამ ადგილების არც სამეურნეო აღწერილობა მოგვეპოვება. ყოველ შემთხვევაში, ამ მიწებზე შეიძლება დასახლდეს 1000-მდე ოჯახი. რაც შეეხება თქვენს ეჭვს აქაური მიწების ვარგისიანობის შესახებ, მო-

[38] დოკუმენტის სრული ვერსია გამოქვეყნებულია: З. Сулаберидзе. Проект Гр. Орбелиани 1862 года о заселении на Кавказе переселенцев из Турции.// პროფესორი ვალერიან მაჭარაძე – 80. თბ. 2001, გვ. 242-259.

გახსენებთ, რომ ეს მიწები სავსებით გამოსადეგია, ნაყოფიერია, მდიდარია ტყით, წყლით და შესანიშნავი საძოვრებით. აქაური კლიმატი ზომიერია. ამაზე მეტყველებს მუხისა და წიფლის ხეებით მდიდარი ტყეები. დარწმუნებული ვარ, რომ ველების მაცხოვრებლებიც კი ვერაფერს დაუწუნებენ და შეძლებენ მათთვის დამახასიათებელი სამეურნეო საქმიანობის განვითარებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა კატეგორიის ლტოლვილებს ველოდებით, ვთვლი: I, II და III პუნქტების უსაფრთხოებიდან, ასევე ბულგარელთა, ბერძნებისა და სომხების მშვიდობიანი, მიწათმოქმედი ცხოვრების წესიდან გამომდინარე ისინი უნდა დავუქვემდებაროთ სამოქალაქო მმართველობას და შეღავათიანი პერიოდის გასვლის შემდეგ გადასახადებსა და ვალდებულებებში გავუთანაბროთ სტავროპოლის გუბერნიის სახელმწიფო გლეხებს. ასევე ვთვლი, რომ სამართლიანი იქნება, თუ მათ იმავე ოდენობით მიწას გამოვუყოფთ, რამდენიც ეძლევათ სტავროპოლის გუბერნიის გლეხებს, ანუ მამრობითი სქესის ერთ სულზე 15 დესეტინა (≈16.35 ჰა – გ.ჟ.).

ამის გათვალისწინებით, სტავროპოლის გუბერნიაში შეიძლება დავასახლოთ 40000 მამაკაცი, ანუ 12-15000 ოჯახი.

...მიმდინარე წელს პურით შეგვეძლება მოვამარაგოთ 5000 ოჯახი, მათ შორის, სომხებთან ერთად თურქეთიდან უკან დაბრუნებული ნოღაელები. ამ უკანასკნელთ აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა. ასევე შეიძლება მივიღოთ 2500 ბულგარული ოჯახი.

არ შემიძლია, არ გავიზიარო თქვენი აღმატებულების წერილში გამოთქმული მოსაზრება ჩერნოგორელთა კავკასიის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე განსახლების შესახებ. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ამ საშუალებით დავამკვიდრებთ ჩვენს მმართველობას აფხაზეთში. თუმცა დღესდღეობით ვერ ვხედავ ამ სავსებით სამართლიანი აზრის განხორციელების საშუალებას. მისი განხორციელებისათვის აუცილებელია აფხაზეთში მმართველობის სისტემის საფუძვლიანი გარდაქმნა და სამხედრო ძალის იმდენად გაძლიერება, რისთვისაც წელს არ ვართ მზად.

ამიტომაც ვთვლი, რომ ჩერნოგორელთა განსახლებისათვის იდეალურია IV პუნქტში აღნიშნული მიწები, განსაკუთრებით, ეს შეეხება მდინარე ხოდზის ზემო წელს, სადაც ივარაუდებოდა კაზაკთა დასახლების (станица Ходзская) შექმნა. ეს ადგილი იმითაც არის გამორჩეული, რომ, თუ მომავალში ბელაიას ზემო წელი გაიწმინდება ადგილობრივებისაგან და კაზაკები დამკვიდრდებიან მდინარეების კურჯიფსესა და ფშიშეს ნაპირებზე (ეს უნდა განხორციელდეს მომავალ წელს), ჩერნოგორიიდან ლტოლვილებს შეიძლება შევთავაზოთ დახოვის თემის ნაყოფიერი ქვაბული ან დავასახლოთ მთავარი ქედის გადაღმა, მდინარე ბზიფის ზემო წელზე, ფსხუს თემის მიწებზე. ჩერნოგორელთა ხმელეთით მოხერხებულად გადასაყვანად, თქვენი აზრის თანახმად, საჭიროა მათი დასახლება ზღვის მახლობლად, თუმცა ჯერჯერობით ეს

შეუძლებელია ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო‌ში, ხოლო ადაღუმის ხაზის აღმოსავლეთით მთებში, გრაფი ევდოკიმოვის აზრის თანახმად, ჯერ კაზაკები უნდა ჩავასახლოთ აქაურობის არმცოდნე ჩერნოგორელთა დასაცავად.

რაც შეეხება ჩერნოგორელთათვის ჩემ მიერ გათვალისწინებულ მიწებს, აქ მათ ნაკლები საფრთხე ემუქრებათ. მცირე რაზმებისაგან თავდასაცავად პირველ წელს შეიძლება გამოვყოთ ქვეითთა 2 და კაზაკთა 1 ასეული. შემდგომში კი ამას თავადაც შეძლებენ.

დაბოლოს, თუ ჩერნოგორელებს არ მოეწონათ ჩვენ მიერ შეთავაზებული მიწები, ისინი შეიძლება დავასახლოთ მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირზე (ბარსუკოვის სტანიცის პირდაპირ). აქ ისინი ნაკლებად შეავიწროებენ დარჩენილ მაჰმადიანებს...

რაც შეეხება ნეკრასოველებს, უპრიანი იქნება მათი დასახლება შავი ზღვის ნაპირებზე იმ პირობით, რომ კაზაკებად დაეწერებიან და დასახლდებიან აზოვისპირელ კაზაკთა დასახლებებში შერეულად. ნეკრასოველებისათვის, რუსი ემიგრანტებისათვის[39], სამოქალაქო შეღავათების მინიჭება გააღიზიანებს მათ მეზობლად მოსახლე აზოველებსა და ჩერნოგორელებს. ამის გარდა, აუცილებელიც კია ნეკრასოველთა ხელმძღვანელობისათვის დამორჩილება მათი თავნებობის გამო.

ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიმდინარე წელს ჩვენი სამხედრო მოქმედებების მთავარი მიზანია ბელაიაზე, ფშხესა და ნატუხაელთა ოლქში კაზაკთა ძირითადი მასის განსახლება. ჩემი აზრით, პარალელურად გელენჯიკის დაკავება და დასახლებათა გავრცელება კონსტანტინეს სიმაგრის სამხრეთით გადაგვახვევინებდა ძირითადი ამოცანის შესრულებისაგან, ამიტომაც სანაპიროზე დასახლებების დაარსება შეიძლება ამ სიმაგრის ჩრდილოეთით. ამ პირობებში შეუძლებელი იქნება ნეკრასოველთა 300 ოჯახზე მეტის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან კაზაკთა წოდებაში გადასვლაზე, ჩემი აზრით, საჭირო იქნება მათი დასახლება სტავროპოლის გუბერნიაში, მთიელთაგან მოშორებით...“

[39] კონდრატე ბულავინის აჯანყების ჩახშობის შემდეგ დონელ კაზაკთა ნაწილი ატამან ეგნატე ნეკრასოვის მეთაურობით გადავიდა ყირიმის ხანის სამსახურში. იმ დღიდან ისინი ცხოვრობდნენ „ეგნატეს კანონებით“. XVIII საუკუნის ბოლოს გადასახლდნენ დუნაის ნაპირებზე, დობრუჯაში. სულთანმა მათ დაუმტკიცა ყველა მანამდე არსებული პრივილეგია. მათი ჩამოსახლება რუსეთში ძირითადად მიმდინარეობდა XX საუკუნის დასაწყისში.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ ჩერქეზთა დეპუტაციის მიღება აბაძეხელთა რაზმის ბანაკში. იმპერატორის მიღებას კავკასიის არმიის მთავარსარდლის რანგში ესწრებოდა გენერალ-ადიუტანტი გრ. ორბელიანი. 1861 წელი.

ტ. გორშილდის ნახატიდან

Giorgi Zhuzhunashvili

"CONQUEST OF THE CAUCASUS" – EMPLOYED METHODS AND MEANS (ASSESSMENTS OF CONTEMPORARIES)

Summary

In the article we discuss the different methods and means used by the Russian troops while the conquest of the Caucasus as well as contemporary estimation of that event. The lessons of the past give us the best opportunity to analyse the specific conflicts of the Caucasus.

The 19th century Russian historiography paid prominent attention to the military operations in the Caucasus, its forms, strategy, administrative system was also the subject for analysis.

The contemporary scholars who were working over these issues may be divided in two groups: the first group describes the process of the warfare. The second group involves the historians whose goal is not only to describe the details of the military operation but also to learn about the reasons of the events. Both groups have a single common feature – they have explored the rich and the diverse historical materials which they used in their research: the archival materials, the memories, official letters etc. According to their research, it is established that Russia had used the following system for the conquest of the Caucasus (mainly for the northern part of it):

1. development of peaceful trade relationship with the loyal population (ex. with the Kara-Nogai people).
2. foundation of the settlements for the defence of the inner part of the country.
3. construction of the roads, deforestation and the construction of the fortified camps.
4. military operations and other essential measures (divide et impera); deportation of disloyal population and resettlement of the loyal population (ex. Armenians, Greeks, and according to Grigol Orbeliani's project – Montenegrins and Bulgarians).

For more accuracy, the work includes also two documents. The first is the

report of A. Yermolov to the Emperor of Russia, dated by 20th of May, 1818, where the main principles are documented about the above discussed issue. Another document is an extract from the report of 18th-20th January, 1862, written by the commander-in-chief of the Caucasian army Grigol Orbeliani to military minister D. Milyutin which includes the project about resettlement in the Caucasus of those people who left Turkey. Both documents include the evidences for the confirmation of above stated methods of the Russians towards the Caucasus.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

ესმა მანია

უკანასკნელი წერილები ათონის ქართველთა სავანიდან

ისტორია კი არ იქმნება, ის რეკონსტრუირდება. არსებობს თავისთავადი ღირებულების მქონე წყაროები, რომლებიც ისტორიის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. მხოლოდ ასეთი ისტორიაა ყოველთვის გაუყალბებელი და სანდო. ისტორიის აღდგენისთვის ხშირად, ერთი შეხედვით, შემთხვევითი ფაქტები უფრო ღირებულია, ვიდრე სისტემატიზებული ნაშრომები. საგულისხმოა, რომ ეპისტოლარული მემკვიდრეობა, პირადი წერილები, თავის თავზე იღებს არატენდენციური, შედარებით ობიექტური, სოციალური თუ პოლიტიკური შაბლონებისა და კონიუნქტურისაგან განტვირთული, ანალიტიკურად მეტად სანდო გარემოებების ასახავის პრიორიტეტს. ეს ეხება როგორც პიროვნებათა პორტრეტებს, ასევე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებებს.

საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები, თავისი ბუნებით და სტრუქტურით, ყოველთვის პირველწყაროს ფუნქციით არის დატვირთული. აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არაპირდაპირი გზებით, „სარკისებურად აისახება“ ის მთავარი სათქმელი, რაც ხშირად საუბრის თემატიკაში არ ჩანს და რაც დისკურსული და ტექნიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ვლინდება. სწორედ ამ თვალსაზრისით, ამ კატეგორიის მასალის სანდოობის გამო, შევკრიბეთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საზოგადო მოღვაწეთა პირად არქივებში მიმოფანტული უკანასკნელი წერილები ათონის ქართველთა სავანიდან.

ათონის მთის ქართული ისტორიის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ათონის ქართველ მოღვაწეთა გამოგზავნილ პირად წერილებს. კერძო ხასიათის მიმოწერა, როგორც ანალიტიკურად ბევრად სანდო წყარო, შეუცვლელი მნიშვნელობისაა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის 10-იანი წლების ათონის ისტორიის კვლევისათვის. გარდა ტექსტოლოგიურ-თემატური ანალიზისა, ამ საქმეში მნიშვნელოვანია საარქივო ერთეულთა კვლევის პრიორიტეტული მეთოდი – კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული დაკვირვება. ამ

წერილებში ასახულია ათონის ქართველთა სავანის თითქმის 30-წლიანი პერიოდი, როდესაც იქ ქართული ისტორია სრულდებოდა. ეს ის პერიოდია, როდესაც მონასტრის მფლობელობის რაიმე ფორმაზე კი არ საუბრობდნენ, არამედ ქართველ ბერთა ათონზე ფიზიკური არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა და მონასტრის ქართული ისტორია იშლებოდა.

მიმოწერის, ამ საკომუნიკაციო აქტის სუბიექტები, ერთი მხრივ, ქართველი ათონელი მამები არიან და, მეორე მხრივ, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები – პლატონ იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი, კირიონ საძაგლიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი)... ათონის მთიდან გამოგზავნილი წერილების პათოსი, როგორც მოსალოდნელი იყო, შინაარსობრივი და ექსტრალინგვისტური თვალსაზრისით, ერთგვარი დაღმავალი ხაზია.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ პლატონ იოსელიანის არქივში 1849 წლის ათონზე მოგზაურობის ამსახველ მასალას (დღიურები, ჩანაწერები, აღწერილობები, ნუსხები...) თან ერთვის ყვავილოვან ჩარჩოში ჩასმული ერთგვერდიანი მოსახსენებელი, რომლის საქართველოში შევსებასაც, რასაკვირველია, შესაბამისი შეწირულობის გაღებით, ითხოვდნენ ათონის მთის ბერები. მოსახსენებელი ამ შინაარსისაა:

„ძენო ძველისა ივერიისანო, ყვავილოვანი მდგომარეობა ივერთა მონასტრისა, დაშენებულისა მთასა წმიდასა ზედა ათონისასა პირველთა საუკუნეთა შინა არაერთგზის გსმენიათ კეთილმსახურთა წინაპართა თქუენთაგან და აგრეთვე მოთხრობისაგანცა; თანასწორ მისა უეჭველია, მოგხსენებოდათ ახლანდელიცა მისი დაცემულობა და უკიდურესი მდგომარეობა. მონასტერი ესე ჯერ ჩინებითა განგებითა ღვთისათა ისევე შემოდის ახლა არსებაში შეწევნითა შვილთა ძველთა აღმაშენებელთა მისთათა ქვემორე მოხსენებულთა უნდოთა პირთაგან ჩუენ ვმეცადინეობთ აღმართჳსათვის სავანისა წმიდისა და ყოვლად ქებულისა მახარებელისა იოანე ღთირს მეტყველისა რომელი ეკუთვნის ივერიის მონასტერს ძველისავე სავანისა საფუძველსა ზედა. ვიმედოვნებთ, რომელ სავანე ესე ჟამსა თვისა საკმაოდ აღმოუჩნდებათ დამტევებელთა საწუთოიცსა ამის სოფლისა და მეძიებელთა საუკუნოთა სავანეთა სახლსა შინა მამისა ჩუენთა, უკეთუ ვინმე თქუენვანმა კეთილ-ინებოს სულისა თვისისა საოხად და მიცვალებულთა თვისთა მოსახსენებლად შემოწირვა ფულად, გინა ნივთათ ზემორე დანიშნულებისათვის, მაშინ ინებებდეთ ქვემორე განწესებისა მებრ შემოწიდვასა და წარმოგზავნად ჩუენდამი საშვალობითა სამთა პირთა,

რომელთაგანსაცა ისურვებთ თქუენ. პირნი ესენი არიან შემდგომნი: 1. ყოვლად უსამღვდელო, ეპისკოპოსი იმერეთისა, გაბრიელ 2. უფროსი ბლალოჩინი აფხაზეთის, დეკანოზი დავით მაჭავარიანი და 3. კანდელაკი მარტვილის სობოროსი დეკანოზი ეპიფანე გაწერელია.

საუკუნო მოხსენება წმიდისა იოანე მახარებელისა და ღუთის მეტყველისა სავანესა შინა".[1]

მოსახსენებელს, როგორც აუცილებელ ლოცვით ტრადიციას, XIX საუკუნის 50-იან წლებში დამატებითი ფუნქცია უჩნდება – ის მონასტრის შემოსავლის ძირითადი წყარო ხდება. მხოლოდ ამ ტიპის მატერიალური წყაროს მქონე მონასტრიდან ქრონოლოგიურად პირველი წერილი 1883 წელს გაზეთ „დროების" რედაქტორის, სერგეი მესხისადმი ათონის ქართველთა სავანის მღვდელ-მონაზონ იონას მიერაა გამოგზავნილი:

„თქვენო მაღალ კეთილშობილებავ, მოწყალეო ხელმწიფეო, ბატონო რედაქტორო, უფალო სერგი სვიმონის ძე!

ვთხოვთ ყოვლის შემძლებელს ღმერთს თქვენს კეთილდღეობას, სიმართლეს და დიდხნობით სიცოცხლეს სასარგებლოდ საქართველოს მამულისა, ბატონო სერგი! ჩვენ მყოფთა მთასა ამას წმიდისა ათონისა ქართველთა მონაზონთა მოგდიოდა აქეთგან თქუენი გამოცემული გაზეთი „დროება", რომლისგანცა ვტყობილობდით ჩუენის საშობლო ქუეყნის სხვა და სხვა ანბვებსა უცხოსა ამას ქუეყანასა შინა მყოფნი, რომლისთვისცა დიდს და გულითადს მადლობას გწირავთ. და ეხლა გადის ამ ბოლო დროს სამი თუ წარსულის წლისა და მდგომარე წლისა ერთი თუ, რომ აღარ მოგვილია. ამისთვის განვაახლებთ ჩვენს გულითად თხოვნას თქვენდამი და გთხოვთ უმორჩილესად, ნუ მოგვაკლებთ თქვენს ნუგეშს და მოწყალებას. გვიბოძეთ ღუთის გულისათვის ამ მდგომარე წელს გამოსრული გაზეთები თავთავის დროზე შემდგომის ადრესით.

რომლისთვისაც დიდად და უზომოდ მადლობელნი დავშთებით და კვალად დაუდგენთ ჩუენს თავს თქუენს მოხსენებას წინაშე ღუთისა ჩუენის ულირსებისავან.

გწყურინ, ბატონო რედაქტორო, ჩუენი საშობლო ქუეყნის ანბვის შეტყობა, რათა ჩუენცა მოვნაწილეობდეთ გულითადის გრძნობით სასიამოვნო ანბვის დროს სიამოვნებით და საშუხარო ანბვის დროს მწუხარებით.

რომ საშვალობა გვქონდეს იმ შემთხვევაშიდ უფასოდ არ შეგაწუხებ-

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). პლ. იოსელიანის არქივი. №56.

დით თხოვნით, მაგრამ ერთობ ძრიელ დამცირებული საშუალობა გვაქვს. დღიურს სარჩოს მხოლოდ კეთილ მორწმუნე და ქრისტეს მოყვარე პირთაგან შემწეობით ვპოულობთ მხოლოდ და არ სხვით რაიმეთი.

თქუენი კეთილ-დღეობის წარმატების მსურველი და ნიადაგ წუთისადმი მლოცველნი და მომხსენებელნი წმიდის იოანეს ღუთის მეტყველის ქართველთ სავანის მამანი და ძმანი: ქართულ სავანის მღუდელ-მონაზონი იონა ქრისტესმიერი ძმებითურთ".[2]

მომდევნო ათწლეულში, XIX საუკუნის დასასრულს, მატერიალურ პრობლემებთან ერთად, წერილებში დისკრიმინაციაზეცაა საუბარი:

1899 წელს ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილს ათონიდან სწერდნენ: *„ფრიადი მიუცილებელ საჭიროებისა გამო ვიწყეთ ერთ კედელზედ მიშენება უბრალო ხის ბოძებზე შეშის დასაწყობად ფანჩატურისა, რომელის მიზეზის გამო, უამისოთაც მეძიებელნი რაიმე შემთხვევისა ბერძენთ ბერნი, აწ მცხოვრებნი ჩვენს ივერიის მონასტერსა შინა, ...დილით ადრე, ჟამსა სალმრთო ლიტურლიის შესრულებისასა, როდესაც მწირველი ამბობდა: „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით", მოგვიხდნენ რიცხვით ოთხნი პროიღუმენნი, მონასტრის წარჩინებულნი პირნი—ამათში ორს თქვენც იცნობთ, ...ვინაითგან პირველნ იყვნენ ბოროტმოქმედების განზრახველნი, ესე ვითარმა მათმა განზრახვამ იმ ზომამდის დაავიწყათ მათ თავიანთი მოვალეობა, რომ სამღვდელო პირნი არც კი შემობრძანდნენ ეკკლესიასა შინა თაყვანისაცემლად იმ წმიდის ხატისა, რომლისა სახელსა ზედაცა აღგებულია სავანე ჩვენი, არამედ გარე მდგომნი სწრაფლ ითხოვდნენ გამოგზავნითა თვისთა იასაულთა, რათა მივიდეს მათთან უფროსი სავანისა. ვინაითგან დროებით მმართველი მ. იონა იყო შინავან ეკკლესიისა და ლიტურლიაც სრულდებოდა და არ ჰქონდა დრო, ამისთვის მივიდა მათთან მამა გაბრიელი, რომელთაც სთხოვა ბერძნულის ენით, რათა მობრძანდნენ სასტუმროში ჩაის მისართმევად, ხოლო მათ ცივის სიტყვით უპასუხეს, რომ იგინი არ მოსრულან ჩაისათვის. ნახა რა მამა გაბრიელმა ისინი აღშფოთებულად, არღარა მიუგო მათ. ამ დროს წირვაც გათავდა და შეატყობინეს მამა იონას, რომელიც დაუყოვნებლივ გამოეგება მათ თავაზით და მანცა, სთხოვა თითო სტაქანი ჩაი მეირთმიათ. ხოლო მათ განძვინებულთ, თუმცა კადნიერ არს სიტყვა ესე, გარნა შეგვიძლიან ვსთქვათ რომელ ბარბაროზებრივი შეხედულობით და ქცევით იწყეს ყვირილი და ბრძანობა, რათა ჩვენ ქართველებს სწრაფლ დაგვენგრიოს ზემო ხსენებუ-*

[2] ხელ. ს. მესხის არქიეი. №73.

ლი ფანჩატური, რომლისთვისაც იყო დასობილი ხოლო ოთხი ხის სვეტი ჯერ-ჯერობით. მამა იონამ დაუწყო მათ საუბარი სიმშვიდით და სურდა, რათა აეხსნა ამ ფანჩატურის აგების შესახებ, ხოლო მათ სიტყვა არ აცალეს და გადაწყვეტით ბრძანეს: დაარღვევთ თუ არა თქვენის ხელით უკვე დაწყებულს?!

სიმართლე თვის მახვილს ვერ მოიქნევდა, რადგანაც ყოველივე ღონე და ძალა ათონის მთაზე არის ბერძნების ხელში და გუშინდელნი შეშინებულნი აქაური მოსამართლისაგან, რომელმანცა გვითხრა სხვათა შორის, რომ თუ ბერძნები უბრძანებენ, რათა ქართველნი იქმნენ განდევნილნი ათონიდან, მაშინ ის მოვალე არის აღასრულოს დაუყონებლივ ბერძნების ბრძანება, დავემორჩილენით, ვითარცა ცხოვარნი მგელთა, და იმ ზომად დავვიმონეს, რომელ ჩვენისვე ხელით, მხილველთა მიერ შესაბრალებლად, დავვანგრევინეს სვეტები თავის მოწყობილებით. როდესაც ბერძნებმა შეასრულეს მათი გულის წადილი, დიდის ბოროტის სიხარულით აღფრთოვანებულნი წაბრძანდნენ თვისად, ხოლო დავტოვეს შეუწყალებლად.

იმედი გვაქვს, თქვენო მაღალ-კურთხევავ, რომ ამ ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას გაიზიარებთ და სხვასაც გააცნობთ, ვისთან და სადაც ჯერ არს, რათა იცოდეს მთელმა ივერიამ, რომ მათს მამულში მცხოვრებს ქართველებს არ აძლევენ ნებას უკანასკნელ ფანჩატურის აშენებისაც-კი".[3]

წერილი დამოკიდებულებითი, შეფასებითი ტენდენციებით არის გაჯერებული, ავტორი მწყობრიდან გამოსული ადამიანის პოზიციით მსჯელობს, ტექსტში ნახსენები მონაკვეთები (უამისოთაც მეძიებელნი რაიმე შემთხვევისა ბერძენთ ბერნი, იყვნენ ბოროტმოქმედების განზრახველნი, ბარბაროზებრივი შეხედულობით და ქცევით იწყეს ყვირილი და ბრძანობა, სიმართლე თვის მახვილს ვერ მოიქნევდა, რადგანაც ყოველივე ღონე და ძალა ათონის მთაზე არის ბერძნების ხელში თუ ბერძნები უბრძანებენ, რათა ქართველნი იქმნენ განდევნილნი ათონიდან, მაშინ ის მოვალე არის აღასრულოს დაუყონებლივ ბერძნების ბრძანება) კარგად ასახავს ამ მონასტერში არსებულ დისკრიმინაციულ გარემოს.

ზუსტად 2 წელიწადში, 1901 წელს, გორის ეპისკოპოს კირიონს ათონის წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სავანის ძმები – მღვდელმონაზონები – იოანე და თევდორე – სთხოვდნენ: *„მეუფეო ჩვენო, არა უცნობელ არს*

[3] პ. კონჭოშვილი. მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ. თბ. 1901.

თქვენდა ისტორებიდამ და გაზეთებიდამ, თუ ვითარ ძველის-ძველად ნეტარ-ხსენებულთა წინაპართ-მამა პაპებთა ქართველთა, დიდის ჭირით და სისხლის ოფლის წვეთით დაუფუძნებიათ, ღვთის-მშობლის სასოებითა და თავისი სამ-შობლოს სიყვარულისათვის წმიდა ათონში ივერიის მონასტერი, იერუსალიმ-ში ეკვარისა, ულუმბოსი, და სხვანი მრავალნი, რომელნიცა დღეს უსამართ-ლოდ ბერძნების ბერებთაგან არიან მითვისებულნი.

მეუფეო! მოგვხედენ მოწყალის თვალით, მოგვხედენ. ოცდა ათორმეტ წელ მარადის დევნილთა და შეიწროებულთა-ქრისტეს მცნებისათვის რომელ-ნიცა მოკლებულნი ვართ უმთავრესს საჭიროებას კაცის ცხოვრებისა-თვის წყალს, შეშას, და თავის შესაფარი შენობის აღშენებას და სხვათა იწროება-თა და განსაცდელთა მათ მიერ მოყენებულთა.

უმაწყალესო მწყემს-მთავარო, გამოგვიხსენ მხურვალე შუამდგომლობი-თა თქვენითა, დრისა ამას ას წლიურის საქართველოს რუსეთთან შეერთე-ბას, რათა თხოვნაში უმაღლესს სახელზედ, სხვათა საგნებთა შორის-ეს ივე-რიის მონასტერი იქმნეს მოხსენებული, როგორცა შეესაბამებოდეს ამ საგანს, ამა იუბილესი დროსა, საქართველოს თავად-აზნაურთ და სამღვდე-ლოთ წარმომადგენელთაგან".[4]

თუ წინა ორი წერილი თითო პრობლემურ საკითხს შეეხებოდა, ეს წე-რილი ათონის ქართველ ბერთა მოღვაწეობის მრავალმხრივ მძიმე მდგომა-რეობას ასახავს. საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილე, როგორც ერთგვარი გამოსავალი, აბსოლუტური კრიზისის თვალსაჩინო გა-მოვლინებაა. ამ წერილს მღვდელ-მონაზონ იონას ასეთი P. S. ახლავს: *„გავბე-დავთ ამის მოხსენებას თქვენის მეუფებისადმი, რომელ ქართველთა მით უმე-ტესად მეცადინეობა მართებთ, რომ ამ წმინდა ათონში ქართველთ საფუძვ-ლიანი სავანე ექმნესთ, რადგანაც ამ წმინდა ადგილზე ყოველნი სხვადასხვა ტომნი მართმადიდებელნი ქრისტიანენი, ესე იგი ბერძენნი, რუსნი, ბოლღარ-ნი, სერბნნი, მოლდოვანნი, ვლახნი, ჩერნოგორელნი, არაბნი და არნაუტნი, თუმცალა მათ-მათ სამშობლოში მონასტრებიც აქვთ, მაგრამ აქ მაინც შეკრე-ბულ არიან და აქვსთ თავთავისნი სავანენი, სკიტნი და დასაყუდებელნი და ადიდებენ უფალსა ღმერთსა თავ თავის ენაზედ და ლოცულობენ სამშობლო-სათვის. თითოეული მათი სამშობლო ქვეყანა, მონასტერი და ერნი სარგებ-ლობენ სულიერად.*

ხოლო ქართველი, რომელსაც პირველი ადგილი ჰქონდათ ამათ რიცხვ-

[4] ხეც. კირიონ საძაგლიშვილის არქივი. №5.

ში – ეხლა რომ სრულიად გამორიცხულ ვიქმნეთ ქართველები, ეს ვგონებ ქართველთათვის სამძიმო და სამწუხარო უნდა იქმნეს".[5]

ეს ცირკულარული წერილი ტიტულიან ფურცელზე უნდა მისვლოდა ალექსანდრე და ლეონიდე ეპისკოპოსებსაც, თბილისის და ქუთაისის გუბერნატორებს – მელიქოვსა და წერეთელს.

ილია ჭავჭავაძის პირად არქივში ინახება ერთი საქმე. 1903 წელს გამოგზავნილი იმ ოფიციალური ტიტულიანი წერილის ადრესატი ოლღა გურამიშვილია, რომელსაც რუსი წმინდანის თეოდოსი ჩერნიგოველის სავანის აგებისთვის შემწეობას თხოვენ.[6]

1911 წლის შემოდგომაზე ათონის სავანიდან მღვდელმონაზონ გიორგის მიერ ალექსანდრე ხახანაშვილისთვის გამოგზავნილ წერილებში ის მონასტრის ძმებს შორის უმძიმეს ვითარებაზე, უკვე შიდა განხეთქილებაზე საუბრობს: *„იონა და მაკარი, ჩვენი მამა პაპის გზას სრულიად არა ადგანან, სულ სხვა არის იმათი აზრი და განზრახვა, ვინ რომ მას გაიგებს დიდად შეწუხდება, ამიტომ არც ღმერთი ეხმარება და არც კაცი. თქვენ იცრე კი არა მოგახსენენ, როგორც ჯერ იყო, არამედ როგორც მათ უნდოდათ, და უბრალოდ გული მოგაყვანიეს თურმე. და შემდეგ ჩუენი საქმე უფრო გააფუჭეს და მთელი ქვეყნის საქმე ძაფზედ დაკიდეს მათი უგუნურებით. ქართველების მტერი ბერძნები არ არის, არამედ იონა და მაკარი არის საქართველოს მტერი. თეოდოსი ერისთავი და მღვდელი ალექსი ბაქრაძე რომ გარდაიცვალა, იმის შემდეგ ჩუენი სამშობლოს საქმე მთლიანად გააფუჭეს. ლამის მოსპონ მთლიანი ქართველები ათონში, ყოველივე ქონება და ფული იონას აქვს ხელში და ხალხი გააქცია, რამოდენიმე თავისი ნათესავები ყავს მეგრელები და ისინიცა გამოუსადეგარი ზოგი სნეულია და ზოგი მოხუცი, ქართველ კაცს არ ილებს და ამ ნაირად გვიკარგავს ქართველებს ამ სავანეს".*[7]

ეს ის იონა მღვდელმონაზონია, რომლის მიერ სამშობლოში გამოგზავნილი ორი წერილიც ზემოთ მოვიყვანეთ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საზოგადო მოღვაწეთა პირადი საარქივო ფონდების საცავში ინახება აგრეთვე ალექსანდრე ეპისკოპოსის ათონის მთაზე 1887 წელს გაგზავნილი ორი წერილი, სადაც ერთში აღდგომის

[5] ხეცუ. �irion საძაგლიშვილის არქივი. №5.
[6] ხეცუ. ილია ჭავჭავაძის არქივი. №828.
[7] ხეცუ. ალ. ხახანაშვილის არქივი. №327.

ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავს მონასტრის მამებს,[8] ხოლო მეორეთი ატყობინებს, რომ თბილისის უეზდის მახლობლად მდებარე სოფლის – პატარა ლილოს წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელმა გიორგი მეტრეველმა ეპისკოპოსს გადასცა ექვსი თუმანი ათონის წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სავანისთვის შესაწირად.[9] შეწირული თანხის ოდენობა და ამ ფაქტის ათონზე გასაგზავნი საგანგებო წერილის თემად ქცევა შესანიშნავად მიუთითებს ათონის ქართველთა სავანის მდგომარეობაზე.

სამშობლოში გამოგზავნილი წერილების მთავარი არსი, ბუნებრივია, სამშობლოს იმედი იყო, პარადოქსია, რომ რუსეთთან შეერთების ასი წლის იუბილეზეც კი ამყარებდნენ ამ იმედს.

1975 წელს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ მიიღო წერილი თესალონიკის უნივერსიტეტის პროფესორ ტახიაოსისაგან, რომელსაც ის დაუკავშირდა არქიმანრიტ აბელის მეშვეობით (იმ პერიოდში არქიმანდრიტი აბელი წმიდა პანტელეიმონის მონასტრის წინამძღვრად აურჩევიათ). პროფესორ ტახიაოსის წერილი ინფორმაციული ხასიათისაა და პასუხს სცემს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის შეკითხვებს. მისი განმარტებით, ივირონის მონასტერში იმ დროისათვის ხელუხლებლად ინახებოდა ყველა ქართული ხელნაწერი, რომლებიც აღწერა ბლეიკმა. ამ ხელნაწერებს დაემატა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის მონასტრის ქართული საძმოს საკუთრებაში არსებული კიდევ რამდენიმე ხელნაწერი. ეს წიგნები (დაახლოებით 6-8) პროფესორ ტახიაოსს 1959 წელს მონასტრის ბიბლიოთეკაში უპოვია. მისი ცნობით, წმიდა იოანე ღვთისმეტყველის განადგურებული და გაუკაცრიელებული კელიის შემორჩენილი ნაწილიც 1963 გაჩენილი ხანძრისას გადამწვარა. დიდი ხანია, იქ ბერებს არ უცხოვრიათ. თვით ივირონის მონასტერში მცხოვრები უკანასკნელი ქართველი ბერი 1954 წელს გარდაცვლილა.[10]

ათონიდან გამოგზავნილი ყველა წერილი შესრულებულია ოფიციალურ ტიტულიან ბლანკზე. ამ საწერი მასალის სპეციფიკურობა იმაში გამოიხატება, რომ ფურცლის ზედა ნაწილში მოცემულია ხატი ათონური სიწმინდეებით, დოკუმენტაციისთვის ე. წ. ლოგო. რაც შეეხება ფურცლის ზედა ნაწილის ლოგოს, ბუნებრივია, ათონურ სიწმინდეებს ასახავს. ყველა მათგანზე გამოსახულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, როგორც ათონის მფარველი,

[8] ხეც, ალ. ოქროპირიძის არქივი. №305.
[9] ხეც, ალ. ოქროპირიძის არქივი. №323.
[10] ხეც. ელენე მეტრეველის არქივი. №2648.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის გამობრძანება ზღვიდან, ათონის სამონასტრო კომპლექსის ხედები, კარიბჭის ღვთისმშობელი და სხვა იკონოგრაფიული კომპოზიციები. რამდენიმე ლოგო შესრულებულია ოქრომელნითა და ლურჯი ფერის მელნით. საინტერესოა, რომ ათონელი ბერები ლოგოს უკანა მხარეს, მეორე გვერდზე, მასზე ასახული სიწმინდეების პატივსაცემად, ტექსტებს არ ათავსებენ. ოფიციალური დოკუმენტის შესაბამისად, თითოეულ მათგანს ახლავს ბეჭედი. ჩვენ მიერ მოყვანილ წერილებში ყველა ბეჭედი, გარდა ერთისა, რუსულენოვანია, ის ერთი კი – ქართულ-ბერძნული. როგორც ჩანს, თავის დროზე ათონის მთაზე ოფიციალური ადმინისტრაციული საქმისწარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო, რადგან თითოეულ მონასტერს თავისი კერძო რეკვიზიტები გააჩნდა. ყველა წერილი, გარდა ოლღა გურამიშვილისადმი გამოზავნილისა, შესრულებულია ქართულ ენაზე. საგულისხმოა, რომ წერილების ენა, სასულიერო დამწერლობის სტილის შესაბამისად, არქაულია და მიმართვისა და ლოცვა-კურთხევის დადებითი ფორმით გაჯერებული. ტექსტებში გამოიყენება ქარაგმები, მთავრული ასოები. ამ წერილების დაყოფა, ფუნქციური თვალსაზრისით, სამ კატეგორიად არის შესაძლებელი: პირადი წერილი, ცირკულარული წერილი, და წერილი-შაბლონი, სადაც მხოლოდ ადრესატ-ადრესანტი იცვლება.

საგულისხმოა, რომ სულიერება მაშინ ექცევა კრზისულ ფაზაში, როცა ურთიერთობები კარგავს სულიერ შინაარსს, უნივერსალური ჭეშმარიტება ერთგვარად ცნება „სამშობლოს“ პირდაპირპროპორციული ხდება. ერთ-ერთ წერილში ფარდი კონცეპტუალური მნიშვნელობით იხსენება „სამშობლო“ და „ჭეშმარიტება“. ათონის მთაზე არსებული გარემოს დამძიმების შესაბამისად, ამ წერილებში, ერთი შეხედვით, სამი გარდამავალი გრადაციული დონე გამოიყოფა: 1. პირველ ეტაპზე სარწმუნოებას ზენაციონალური ბუნება აქვს, ადამიანი უალტერნატივო ფასეულობად არის აღიარებული. ეს, ბუნებრივია, დიდ საზოგადოებას მოიცავს, ფართო თვალსაწიერს ქმნის. ცნობიერებაც ბევრად გახსნილი, ფართო და შემწყნარებლურია; 2. მეორე ეტაპზე ეს უნივერსალური მისტიკური სივრცე შემოიფარგლება მცირე საზოგადოებებით (ვთქვათ, ქრისტესმიერი საძმო); 3. მესამე ეტაპზე კი ადამიანი მარტოა დარჩენილი. პირველი ორი ეტაპისგან განსხვავებით, მესამეზე სამშობლო, როგორც ერთადერთი გამოსავალი, თითქმის კარგავს კონცეპტუალურ საზრისს და ფანტომად იქცევა. ამას ისიც ემატება, რომ ახალი, სრულიად არაბუნებრივი რუსული რეალობა დგას და თითქმის ყველა წერილზე მისამართები

(„ადრესები“) მითითებულია რუსულ ენაზე. ეს რეალობა, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ რუსულ საკომუნიკაციო სივრცეს ეყრდნობა.

საგულისხმოა, რომ ამ მასალებში, ერთი მხრივ, საუბრის ფორმის კორექტულობის საკითხს ყოველთვის აბალანსებს ასკეტური ცნობიერებისთვის დამახასიათებელი მკაფიოდ გამოხატული პოზიტიური ტენდენციები და, მეორე მხრივ, მხილება, როგორც აუცილებლობა, როგორც დანაშაულის შეუწყნარებლობა, თავის სპეციფიკურ ლექსიკას და ექსპრესიას მოითხოვს.

იმედგაცრუება, სულიერი სფეროს პოლიტიზება, ნგრევის დაწყება უნივერსალური ფასეულობებიდან, რუსული საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო სივრცის არაბუნებრიობა და სამშობლო, როგორც რეალურ, ქმედით ძალასმოკლებული უშინაარსო ფორმა – ამ ფაქტორებით გამოწვეული მკვეთრი ქვეცნობიერი კონფლიქტები ათონის მთიდან გამოგზავნილი უკანასკნელი წერილების პათოსია.

Esma Mania

LAST LETTERS FROM MOUNT ATHOS

Summary

Private letters sent by the Georgians from this convent have a great importance for study of history of Mount Athos. Private correspondence as much more reliable analytical source has indispensable importance for study of history of Athos of the end of XIX century and 10s of XX century when the Georgian influence was diminishing there. These letters are protected in the National Centre of Manuscripts, the recipients are famous Georgian figures – Ilia Chavchavadze, Sergei Meskhi, Kirion Sadzaglishvili, Alexandre Khakhanashvili, Niko Marr.

These sources allow us to outline the main aspect, namely, the problems of the Georgians at the Mount of Athos, being discriminated by the Greek monks, the danger was real for the Georgians to lose their positions totally.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

თენგიზ სიმაშვილი

უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (ილიას მკვლელობიდან გასული 105 წელი)

საუკუნის ტრაგედიად შეფასებული ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (1907 წელი) არაერთხელ გამხდარა სპეციალური კვლევა-ძიებისა თუ მეცნიერული შესწავლის ობიექტი.

სტატიის დასაწყისშივე მინდა გამოვხატო დიდი პატივისცემა ყველა იმ მეცნიერ-მკვლევრისადმი, რომლებსაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონიათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიებასთან და ცდილობდნენ ჭეშმარიტების დადგენას. ისინი წარმოადგენდნენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ დაწერილი ჩემი სამეცნიერო შრომების შთაგონების წყაროს. აღნიშნულ თემატიკაზე გამოცემული ყველა ნაშრომის ავტორს შეგნებულად არ ჩამოვთვლი, რადგან ვფიქრობ, ეს შეუძლებელია, იმდენად ფართოა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც დაინტერესებული იყო და არის, იკვლევდა და იკვლევს და კვლავაც გამოიკვლევს საქართველოს ისტორიაში არსებულ ამ ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ფურცელს.

თუმცა, ჩემი შეხედულებით, სანამ არ აღმოჩნდება ისეთი სარწმუნო დოკუმენტები, რომლებიც გააბათილებს არქივებში ინტენსიური კვლევის შედეგად მოპოვებულ დოკუმენტებს, სწორედ ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებაა ყველაზე მართებული.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გასულ წლებში პერიოდულად ვაქვეყნებდი სამეცნიერო სტატიებს.[1] აღნიშნულ თემატიკაზე

[1] თ. სიმაშვილი. რევოლუციური ტერორი და ქართველი საზოგადო მოღვაწეები 1905-1907 წლებში. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ. 2005; თ. სიმაშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, სოციალ-დემოკრატები და „ოხრანკა“. ჟურნ. „კაუკასიის მაცნე“. № 15. თბ. 2006; თ. სიმაშვილი. ილია ჭავჭავაძე და სოციალ-დემოკრატები. ილია ჭავჭავაძის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენ-

მასალების შეგროვებისას ჩემს ხელში უამრავმა საარქივო დოკუმენტმა გაიარა. ისინი აშკარად მეტყველებენ, რომ საბჭოთა პერიოდში გამოტანილი დასკვნები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებების შესახებ სიყალბეს წარმოადგენენ.

სწორედ ეს დოკუმენტები გახდა ჩემი მოსაზრების საფუძველი, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიების მასალებში ნახსენები „იმერელის" მეტსახელის ქვეშ იმ დროს ცნობილი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტი ილიკო იმერლიშვილი იყო სავარაუდებელი.[2] სამწუხაროდ, მას არავითარი გამოხმაურება, როგორც სპეციალისტების, ასევე საზოგადოების მხრიდან არ მოჰყოლია. მხოლოდ 2010 წელს პროფესორ ნოდარ გრიგალაშვილის გამოქვეყნებულ შრომას „თანამდევი სული", რომელშიც იგი, ჩემგან განსხვავებულ მასალებზე დაყრდნობით, ასაბუთებს „იმერელის" იგივეობას ილიკო იმერლიშვილთან, დიდი რეზონანსი მოჰყვა.

შეიძლება ითქვას, რომ ილიკო იმერლიშვილის მონაწილეობაზე ილიას მკვლელობაში ჩემი და ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის წინამორბედ მკვლევრებს არაფერი აქვთ ნათქვამი. გამონაკლისს წარმოადგენს ცნობილი იურისტი და მწერალი ალექსანდრე შუშანაშვილი. თავის მონოგრაფიაში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა" იგი ერთგან ახსენებს იმერლიშვილის გვარს და ისიც სულ სხვა სახელით. ის იყენებს ილიას მკვლელობის გამოძიების ერთერთ საქმეში არსებულ ინფორმაციას 1908 წლის დეკემბერში პავლე ფშავლიშვილის მოკვლის შესახებ. კერძოდ, თბილისის მაზრის უფროსის შეტყობინებას თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორისადმი, რომლის ნათარგმნი ასლი ქართულ ენაზე მას დაბეჭდილი აქვს თავის წიგნში.[3] ბატონი ალექსანდრე შუშანაშვილი წერდა: *„იმ ხანებში მცხეთის შემოგარენში დათარეშობდა ვანო იმერლიშვილის ბანდა. იგი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მიმალვაში მყოფ მონაწილეებთანაც იყო დაკავშირებული და პოლიციამ ის და პავლე ფშავლიშვილი ერთად დახოცა შეტაკების დროს, რის შემდეგ „ვიღაც იმერლისადმი" პოლიციის ინტერესიც მინელდა. ხომ არ აპირებდნენ იმ იმერ-*

ცია. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. 2007; თ. სიმაშვილი. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილიას მკვლელობის შემსრულებლები. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. №1(3). თბ. 2008.

[2] თ. სიმაშვილი. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილიას მკვლელობის შემსრულებლები.

[3] ალ. შუშანაშვილი. ილია ჭავჭაეაძის მკვლელობა. თბ. 1996, გვ. 223.

ლიშვილისათვის ილიას მკვლელობაში შარის მოდებას და ამიტომ ამოატივ-ტივეს „ვილაცა იმერელი? რასაკვირველია, ეს მხოლოდ ვარაუდია. ფაქტი ისაა, რომ არც ორჯონიკიძე ყოფილა „ვილაცა იმერელი“ და არც ილიას მკვლელებს დაუსახელებიათ ასეთი პიროვნება“.[4] (პავლე ფშავლიშვილთან ერთად მოკლულ იქნა ვანო (ივანე, ნონე) პეტრიაშვილი, რომელიც მეორე გვარსაც, სახელდობრ, მჭედლიშვილს ატარებდა – თ. ს.).

ამრიგად, ბატონ ალექსანდრე შუშანაშვილის წიგნში არსად არის საუბარი და განხილული კონკრეტულად ილიკო იმერლიშვილის მონაწილეობის შესახებ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. შესაბამისად, ჩემი აზრით, დასკვნა, რომ ილიკო იმერლიშვილი ილიას მკვლელობის მონაწილე იყო, მე და ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა სხვა მკვლევრებისაგან სრულიად დამოუკიდებლად გამოვიტანეთ.

2011 წლის ზაფხულში, რამდენიმე თვის განმავლობაში ინტენსიურად ვიმუშავე საქართველოს საისტორიო ცენტრალურ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ფონდებში. როგორც გაირკვა, ამ ფონდებში არსებობს საქმეები, რომლებშიც არის სხვადასხვა მასალა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე. ამ საარქივო საქმეების ნაწილი საზოგადოებისათვის ნაცნობია, ნაწილი ჩემ მიერ იქნა მოძიებული:

1. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. თბილისის საოლქო სასამართლოს ფონდი 116. აღწერა 1. *სახელმწიფო საბჭოს წევრ თავად ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობაზე საგანგებო საქმეებზე გამომძიებლის საქმე* № 13633;

2. სსცა. ფონდი 116. აღწერა 1. *სახელმწიფო საბჭოს წევრ თავად ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობაზე საგანგებო საქმეებზე გამომძიებლის საქმე* № 13364;

3. სსცა. ფონდი 116. აღწერა 1. *სახელმწიფო საბჭოს წევრ თავად ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობაზე საგანგებო საქმეებზე გამომძიებლის საქმე* № 13365;

4. სსცა. კავკასიის სარაიონო დაცვის განყოფილების ფონდი 94. აღწერა 1. *ილია ჭავჭავაძის მკვლელობის და სხვა საკითხებზე მიმოწერის საქმე* № 37;

5. სსცა. თბილისის გუბერნატორის კანცელარიის ფონდი 17. აღწერა 1. *სახელმწიფო საბჭოს წევრ თავად ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე* №

[4] ალ. შუშანაშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, გვ. 44.

5888;

6. სსცა. თბილისისა და თბილისის მაზრის დროებითი გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის ფონდი 20. აღწერა 1. *ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე* 397;

7. სსცა. თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ფონდი 115. აღწერა 2. *თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე თბილისის ოლქის პროკურორის ზედამხედველობის საქმე* № 399;

8. სსცა. თბილისის პოლიცმაისტერის სამმართველოს სამძებრო განყოფილების ფონდი 97. აღწერა 2. *თბილისის სამძებრო პოლიციის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიების საქმე* № 35;

9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილება. ფონდი 8. აღწერა 25. საქმე № 683 და სხვა.

ასევე, აღმოჩნდა მთელი რიგი საარქივო საქმეები, რომლებშიც საუბარია ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებულ პირებზე. ზოგში კი, მაგალითად, თავად ნიკოლოზ ხიმშიევის მკვლელობის გამოძიების მასალებში მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიების საქმეებიდან ამოკრეფილი სხვადასხვა პირის მიერ მიცემული ჩვენებების ასლები. როგორც ირკვევა, გამოძიება ვარაუდობდა და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ ნიკოლოზ ხიმშიევის და ილია ჭავჭავაძის მკვლელები იყვნენ ერთი და იგივე პირები.

ეს საქმეები და ფონდებია:

1. სსცა. თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის ფონდი 114. აღწერა 1. *დუშეთის მაზრის თავად ხიმშიევის მკვლელობა ილია იმერლიშვილის და სხვების მიერ. საქმე* № 1099 (საინტერესოა, რომ ამ საქმეს საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის 114 ფონდში არსებულ საარქივო საქმეების ჩამონათვალში ჰქვია – *„ნ. ხიმშიევის მკვლელობა აბანოსხევში ფეიქრიშვილის, იმერლიშვილის, ბერბიჭაშვილის მიერ მისი ქმედითი მონაწილეობის გამო პოეტ ილია ჭავჭავაძის მკვლელების ძებნაში*?!;

2. სსცა. თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ფონდი 115. აღწერა 1. ნ. *ხიმშიევის მკვლელობის გამოძიებაზე ზედამხედველობის საქმე* № 2889;

3. სსცა. თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ფონდი 115. აღწერა 2. *საგამოძიებო მასალები თავად ნ. ხიმშიევის მკვლელობაზე. საქმე* № 429;

4. სსცა. ფონდი 94. აღწერა 1. *მეტეხის ციხიდან 18 მსჯავრდებულის*

გაქცევის საქმე 124;

5. სსცა. ფონდი 115. აღწერა 1. *1908 წლის 11 მაისს მეტეხის ციხიდან პატიმრების გაქცევის საქმე* 2393;

6. სსცა. ფონდი 114. აღწერა 1. *მეტეხის ციხიდან პატიმრების გაქცევის საქმე* 969;

7. სსცა. თბილისისა და თბილისის მაზრის დროებითი გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის ფონდი 20. აღწერა 2. *დიმიტრი ჯაშის დაპატიმრების საქმე* 107;

8. სსცა. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ფონდი 2080. აღწერა 1. საქმე 220;

9. სსცა. თბილისის მუშათა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ფონდი 1844. აღწერა 2. საქმე 41;

10. სსცა. ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან არსებული საგანგებო საგამოძიებო კომისიის ფონდი 1854 საქმეები 95, 205 და მრავალი სხვა.

ჩემ მიერ მოძიებული ზემოდასახელებული გარკვეულწილად ხელდაუდებელი და გამოუქვეყნებელი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე 2011 წლის ნოემბერში გამოვეცი მონოგრაფია „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები" (ილიას მკვლელთა ვინაობისათვის). A5 ფორმატის ამ 460 გვერდიან წიგნს თანდართული აქვს 300 მეტი საარქივო დოკუმენტის ასლი.

იმის მიუხედავად, რომ, ჩემი აზრით, აღნიშნულ მონოგრაფიაში შევძელი დამესაბუთებინა ილიკო იმერლიშვილის მონაწილობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში, რომ იგი იყო თავდამსხმელთა შორის „იმერელად" მოხსენიებული მეოთხე მკვლელი, 2012 წლის ზაფხულში კვლავ განვაახლე კვლევაძიება ამ მიმართულებით საქართველოს საისტორიო ცენტრალურ, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების, კინო-ფოტო დოკუმენტების ცენტრალურ არქივებში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ფონდებში.

მიღებული შედეგები მართლაც სენსაციური აღმოჩნდა. ჩემ მიერ ამ რამდენიმე ხნის წინ მოპოვებული საარქივო დოკუმენტები ვფიქრობ, უტყუარად ასაბუთებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტის, ილიკო იმერლიშვილის, მონაწილეობას. ინფორმაციის უკეთ აღქმის მიზნით სხვადასხვა დროს მოძიებულ საარქივო დოკუმენტებს,

სადაც მითითებულია ილიას მკვლელობის მეოთხე მონაწილის, ილიკო იმერლიშვილის, ვინაობა, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ვაწვდი მკითხველს:

საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ „თბილისის სამძებრო პოლიციის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიების საქმეში“ სხვა მასალებთან ერთად გვხვდება სამძებრო პოლიციის ჩინოვნიკის (ასე ვთქვათ სამძებრო პოლიციის ოპერატიული თანამშრომლის), გ. (პ) ფიცხელაურის მიერ, თბილისის პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროს პ. ევტუშევსკისადმი მიწერილი 1907 წლის 4 სექტემბრით დათარიღებული წერილი:

„ძვირფასო პეტრე ალექსანდრეს ძევ!

როგორც მე საიდუმლოდ მოვიკვლიე, ამჟამად მიცვალებულ თავად ჭავჭავაძეზე დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა იცოდეს დუშეთის მაზრის სოფ. მცხეთის მცხოვრებმა სახელით „ილია მცხეთელი“. ის თუ არ მონაწილეობდა დანაშაულში, მაშინ მან მაინც ყველაფერი იცის, ვინ ჩადის მსგავს ყველანაირ დანაშაულს, ამიტომ ვვარაუდობ, რომ ის დავიჭიროთ. ამის გარდა, აუცილებელია დაჭერა ასევე მეფაიტონის, რომელიც, როგორც მოვიკვლიე, იცნობს პირებს, ვინც ჩაიდინა თავად ჭავჭავაძის მკვლელობა.

ულრმესი პატივისცემით თქვენი გ. ფიცხელაური

4 სექტემბერი 1907 წელი

ქ. ტიფლისი“ (**წერილის სტილი დაცულია**)[5] (**დოკ. №1**).

ამრიგად, 1907 წლის 4 სექტემბერს უკვე ცნობილი იყო, რომ პიროვნება მეტსახელით „ილია მცხეთელი“, შესაძლოა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე იყო. გამოძიებამ კი მხოლოდ ამ წერილში ნახსენები მეფაიტონე, ანუ მეეტლე, თედო ლაბაური, დააპატიმრა. შემდეგშიც ილია მცხეთელის ვინაობის დადგენის მიმართულებით არავითარი კვლევა-ძიება არ უწარმოებიათ.

მკითხველი არ დაიბნეს, როდესაც წაიკითხავს ამ ინფორმაციას. საქმე ისაა, რომ, როგორც ცნობილია, 1905-1906 წლებში თბილისში ილიკო იმერლიშვილის მეტსახელი სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთის წარმომადგენელ რევოლუციონერებს შორის იყო „მცხეთელი“, ანუ „ილია მცხეთელი“,

[5] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 97. აღწ. 2. საქმე №35, გვ. 26.

რადგან იგი წარმოშობით მცხეთიდან იყო.[6] რაც შეეხება დუშეთის მაზრას, სადაც ილიკო იმერლიშვილი, სხვადასხვა წყაროების ცნობით, 1907 წელს სათავეში უდგება „წითელ რაზმს", გამომდინარე გვარიდან იქ მისი მეტსახელი იყო „იმერელი".[7]

საარქივო მასალებიდან ჩანს ისიც, რომ ილიკო იმერლიშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი იყვნენ დუშეთის მაზრაში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის „წითელი რაზმის" წევრები. შედიოდნენ ერთ დაჯგუფებაში და ერთად ჩადიოდნენ სხვადასხვა სახის დანაშაულს. მეტიც, ილიკო იმერლიშვილი უამრავ დოკუმენტში ხან მცხეთის და ხან კი საგურამოს ტერიტორიებზე მოქმედი 15 კაციანი „წითელი რაზმის" ხელმძღვანელადაა დასახელებული. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს ადასტურებს, ბატონ ნ. გრიგალაშვილის მიერ მოძიებული ილიკო იმერლიშვილის „წითელ რაზმელების" დაახლოებით 1908-1909 წლებში გადაღებული ფოტოსურათი, რომელთა რიგებში დიდი ალბათობით გიგლა ბერბიჭაშვილიცაა **(დოკ. № 2)**. საერთოდ კი, 1930-იანი წლების დასაწყისში დუშეთის ტერიტორიაზე მცხოვრები „ძველი" რევოლუციონერების მიერ შედგენილ რევოლუციონერთა სიებში არა მარტო ილიკო იმერლიშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი და ივანე ინაშვილი, არამედ თედო ლაბაური, ილიას მეეტლეც, რევოლუციონერთა ჩამონათვალში ფიგურირებს (ამ და სხვა საკითხებს ვრცლად შემდგომ ნაშრომში შევეხები – თ. ს.).

ზემოთქმულს ადასტურებს ჩემ მიერ მოძიებულ ერთ-ერთ საარქივო საქმეში არსებული რამდენიმე ძალიან საინტერესო დოკუმენტი. მათგან, პირველ რიგში, მინდა მოვიყვანო 1908 წლის 25 დეკემბრით დათარიღებული ოქმი, რომელშიც აბესალომ გიორგის ძე ფაღავა, დუშეთის მაზრის პოლიციის ჩაფრების (სტრაჟნიკები) უფროსი ურიადნიკი, წერს, რომ ***„პავლე ფშავლიშვილთან ერთად მის ბანდაში იმყოფებოდნენ 1. პავლე ფშავლიშვილი, 2. იმერლიშვილი, 3. ნონე მჭედლიშვილი, 4. სანდრო მჭედლიშვილი, 5. ლაზარე გაბიტაშვილი, 6. გიორგი წიკლაური 7. ბასილ სიღნაღელი, 8. თელაველი ლადო, 9. ვანო ინაშვილი, 10. თუში ვანო, 11. რუსი დოროშენ-***

[6] ნ. გრიგალაშვილი. თანამდევი სული (ილია და მისი ეპოქა). ტ. II. თბ. 2011, გვ. 509.

[7] თ. სიმაშვილი. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები (ილიას მკვლელთა ვინაობისათვის). თბ. 2011, გვ. 111-115.

კო, 12. გიგლა ბერბიჭაშვილი, 13. გიორგი პარხაშვილი" (დოკ. №№ 3-4).

ამრიგად, აბესალომ გიორგის ძე ფაღავა, სავარაუდოდ, ყარამან გიორგის ძე ფაღავას, დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსის ძმა, კარგად იცნობდა დუშეთის მაზრაში მოქმედი ერთ-ერთი „წითელი რაზმის" შემადგენლობას. ცხადია, ეს წესით უნდა სცოდნოდა ასევე ყარამან ფაღავასაც, რომელიც ამ პერიოდში კვლავ დუშეთის მაზრაში მოღვაწეობდა. არადა, არც ყარამან ფაღავა და არც გიგლა ბერბიჭაშვილი ამ უკანასკნელთან ერთად „წითელ რაზმში" მყოფი პირებისა, თუ ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებული დუშეთში მოქმედი ძველი რევოლუციონერების ჩამოთვლისას საერთოდ არ ახსენებდნენ ილიკო იმერლიშვილს. საბჭოთა სასამართლოზეც ამ პიროვნების ხსენებას, რომელიც ილიას მკვლელობის დროს და შემდგომ პერიოდში დუშეთის მაზრაში მოქმედი „წითელი რაზმის" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ხელმძღვანელი იყო და რომლის დაჯგუფებაშიც შედიოდა არა მარტო გიგლა ბერბიჭაშვილი, არამედ სხვა უამრავი ადგილობრივი რევოლუციონერი, სხვებიც, აშკარად ერიდებოდნენ. გამონაკლისი იყო ილია ჭავჭავაძის მოურავის, დიმიტრი ჯაშის, მეუღლე დარია ჯაში, რომლის პასუხებში ნახსენები ი. იმერლიშვილის პიროვნებით არც წინასწარი გამოძიება და არც საბჭოთა სასამართლო არ დაინტერესდა.

მკითხველს შევახსენებ, რომ ყარამან ფაღავა და გიგლა ბერბიჭაშვილი 1941-1942 წლებში გამართულ გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე ილიას მკვლელობის მეოთხე მონაწილედ ასახელებდნენ ლადო ფეიქრიშვილს. მომყავს ერთ-ერთი მაგალითი ყარამან ფაღავას ჩვენებებიდან, სადაც ყ. ფაღავა ამბობს: „ბერბიჭაშვილი, ინაშვილი, ფშავლიშვილი და მეოთხეც იყო, გვარი არ მახსოვს, ესენი იყვნენ მკვლელები." და სწორედ ამ დროს განსასჯელი გ. ბერბიჭაშვილი მოსამართლის მხრიდან პირადად მისთვის ყოველგვარი ზედმეტი შეკითხვის დასმის გარეშე ამატებს: „მეოთხე ფეიქრიშვილი იყო".[8] როგორც დღეს ჩემს ხელთ არსებული დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს, ერთი მხრივ, დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსი ყარამან ფაღავა და, მეორე მხრივ კი, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტი გიგლა ბერბიჭაშვილი გარკვეულ მიზეზთა გამო აშკარად ტყუოდნენ.

ნათელია, მათ მიერ ილიკო იმერლიშვილის დაფარვის მიზეზი იყო ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, ისევე როგორც ადრე მეფის ხელისუფლებას,

[8] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილება. ფონდი 8. აღწერა 25. საქმე 683, გვ. 92-96.

არ სურდა სიმართლის გამჟღავნება. მეფის ხელისუფლების დროს ილიას მკვლელობაში ილიკო იმერლიშვილის მონაწილეობის გამჟღავნება თუ რა მიზეზის გამო არ სურდათ, ვფიქრობ, კარგად მაქვს ახსნილი და გაანალიზებული ჩემს მონოგრაფიაში.[9] საბჭოთა ხელისუფლებას კი 1941 წელს არ სურდა იმიტომ, რომ ილიკო იმერლიშვილი იყო ცნობილი ბოლშევიკი ტერორისტი, დაკავშირებული „სახელოვან" ბოლშევიკებთან, ალექსანდრე (საშა) ობოლაძესთან, კამო (ტერ-პეტროსიანთან), დათიკო ჭიაბერაშვილთან, არკადი ელბაქიძესთან, ისაკა ლელაშვილთან და სხვა პირებთან.[10] (ამ საკითხს დაწვრილებით შემდგომ შრომებში შევეხები – თ.ს.).

რაც შეეხება ილიკო იმერლიშვილის, გიგლა ბერბიჭაშვილის, ივანე ინაშვილის, და პავლე ფშავლიშვილის მონაწილეობას ილიას მკვლელობაში, ამას სრულად ადასტურებს ამავე საარქივო საქმეში არსებული 1908 წლის 25-31 დეკემბრით დათარიღებული რამდენიმე გვერდიანი ოქმი. იგი შეუდგენია დუშეთის მაზრის ბაზალეთის ნაწილის პრისტავ ოზიევს.

პავლე ფშავლიშვილთან და მის „თანამებრძოლებთან" კავშირში ეჭვმიტანილი ერთ-ერთი პირის დაკითხვის ოქმში სიტყვა-სიტყვით წერია შემდეგი:

„დაკითხვისას დაკავებულმა ახსნა, რომ ამა წლის მაისში (1908) ის შემთხვევით შეუერთდა ფშავლიშვილის ბანდას, რომელშიც მონაწილეობდნენ: თვით ბანდის მეთაური ფშავლიშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელები: ივანე ინაშვილი და გიგლა დარჩოს ძე ბერბიჭაშვილი და სოფ. მცხეთის მცხოვრები ილიკო იმერლიშვილი და მრავალი სხვა, რიცხვით 13 კაცამდე" (დოკ. № 5).

ამგვარად, ამ დოკუმენტში **ილია ჭავჭავაძის მკვლელები** პირდაპირაა გამოყოფილი სხვებისაგან.

ამასთან, ილიკო იმერლიშვილი, მეტსახელით „იმერელი", მოხსენიებულია დუშეთის მაზრის მსხვილი მემამულის, თავად ნიკოლოზ (ნიკა) ხიმშიევის (ხიმშიაშვილი) მკვლელობის საქმეებში არსებულ ნ. ხიმშიევის ახლობლების მიმოწერაში.[11] ნიკოლოზ ხიმშიევის მკვლელობის გამოძიების დასკვნით 1909 წლის 7 ოქტომბერს, დღის სამ საათზე, დუშეთის მაზრის სოფელ აბანოსხევში იგი წინასწარი განზრახვით მოკლეს *ილია (ილიკო) იორდანეს*

---

[9] თ. სიმაშვილი. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები (ილიას მკვლელთა ვინაობისათვის), გვ. 60-67.
[10] ნ. გრიგალაშვილი. თანამდევი სული (ილია და მისი ეპოქა). II, გვ. 511; ან. ხინთიბიძე. 1905-1907 წლების რევოლუციისა და რეაქციის პერიოდის მებრძოლები (ქართული ფოლკლორის მიხედვით). თბ. 1989, გვ. 63-73.
[11] სცსა. ფ. 115. აღ. 1. საქ. 2889, გვ. 133, 346.

ძე იმერლიშვილმა, ვასილ დათუნაიშვილმა, ესტატე ჩუგუაშვილმა, ლადო ფეიქრიშვილმა, *გიგლა ბერბიჭაშვილმა* და კიდევ ერთმა გამოძიებისგან დაუდგენელმა პირმა.[12]

საინტერესოა, რომ გიორგი ტატიშვილის ცნობილი მენშევიკის, დუშეთის მაზრაში არსებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პარალელურად, „წითელი რაზმის" აქტიური წევრის სიტყვებით, ნ. ხიმშიევის მკვლელობა ჩადენილ იქნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების საფუძველზე. სხვადასხვა წლებში დაწერილ თავის მოგონებებში გ. ტატიშვილი დეტალურად აღწერს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი კომიტეტის მიერ ნ. ხიმშიევის მკვლელობის დადგენილების მიღებას. 1940-იან წლებში დაწერილ ერთ-ერთ მოგონებაში ამბობს, რომ ეს იდეა თითქოსდა გლეხობისგან წამოვიდა, ამასთან ამ მკვლელობის მონაწილედ არსად ახსენებს ილიკო იმერლიშვილის გვარს. სამაგიეროდ, ნიკოლოზ ხიმშიევის მკვლელობის ჩამდენი „წითელი რაზმის" მეთაურად ლადო ფეიქრიშვილს ასახელებს.

ნიკოლოზ ხიმშიევის მკვლელობის საქმეებში საარქივო დოკუმენტებში მკვლელობის უშუალი შემსწრე პირების ჩვენებების შეპირისპირების საფუძველზე დანამდვილებით დადასტურებულია, რომ სწორედ ილიკო იმერლიშვილი იყო თავდამსხმელების მეთაური. ამასთან, სწორედ მასთან იყვნენ დაკავშირებული ნ. ხიმშიევზე თავდამსხმელი პირები. მაგალითად, ვასილ დათუნაიშვილი ილიკო იმერლიშვილთან ერთად დააპატიმრეს 1907 წლის დეკემბერში, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა მოინდომეს ყარაიაზის საფოსტო მატარებლის გაძარცვა. ხოლო 1908 წლის მაისში ი. იმერლიშვილი სწორედ ვ. დათუნაიშვილთან, პ. ფშავლიშვილთან და სხვებთან ერთად გარბის მეტეხის ციხიდან.[13] რაც შეეხება გიგლა ბერბიჭაშვილს, ის და ილიკო იმერლიშვილი, როგორც ალექსანდრე ობოლაძის ქვემდებარე სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეიარაღებული რაზმის წევრები, ერთად მონაწილეობდნენ 1905 წლის ნოემბერში ერევნის მოედანზე სომხების და თათრების „გაშველებაში". ლადო ფეიქრიშვილიც ილიკო იმერლიშვილთან ერთად მონაწილეობდა სხვადასხვა თავდასხმებში.

დოკუმენტებიდან ისიც ირკვევა, რომ ილიკო იმერლიშვილმა და მისი

[12] სცსა. ფ. 114. აღ. 1. საქ. 1099, გვ. 6, 9.
[13] სცსა. ფ. 94. აღ. 1. საქ. 124, გვ. 30; სცსა. ფ. 115. აღ. 1. საქ. 429, გვ. 33.

რაზმის ზემოდასახელებულმა წევრებმა ნიკოლოზ ხიმშიევზე რამდენიმე თავდასხმა მოაწყვეს. ნ. ხიმშიევის მკვლელობამდე თითქმის ერთი წლით ადრე, 1908 წლის 6 აგვისტოს, პავლე ფშავლიშვილი, ილია (ილიკო) იმერლიშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი, ლადო ფეიქრიშვილი, ვასილ დათუნაიშვილი, პავლე ხიზანიშვილი და სხვა პირები სოფელ ბულაჩაურში მის სახლს თავს დაესხნენ. ეს თავდასხმა ნიკოლოზ ხიმშიევის ვაჟმა, გიორგიმ, სახლში მყოფ დაცვასთან ერთად მოიგერია. თავად გ. ტუსიევის სიტყვებით, ამ თავდასხმის შემდეგ ნ. ხიმშიევმა მას უთხრა, რომ თავდასხმა მისი მოკვლის მიზნით ***პავლე ფშავლიშვილმა და გიგლა ბერბიჭაშვილმა* განახორციელეს, რადგან იგი მათზე პოლიციას უთითებდა, როგორც თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელებზე.**[14]

ეს ინფორმაცია მოთავსებულია 1909 წლის 28 მარტის თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის წარდგინებაში თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის სახელზე. აღნიშნული დოკუმენტი საინტერესოა იმითაც, რომ მასში მითითებულია ნ. ხიმშიევის მკვლელობის ორი მოტივი. კერძოდ, პირველი, ესაა გლეხების მტრობა თავად ნ. ხიმშიევის მიმართ, რომელიც 1905 წელს ეკონომიკურ ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოიშვა; და მეორე, **შურისძიება ნ. ხიმშიევზე, რადგან იგი პოლიციას ილია ჭავჭავაძის მკვლელების დაჭერაში ხელს უწყობდა.**[15] მართლაც, თითქმის ერთი წლით ადრე, 1908 წლის 9 თებერვალს ღამით, მცხეთის ნაწილის (უბნის) პრისტავმა, ნ. მარკოვიჩმა, სწორედ მემამულე ნ. ხიმშიევის დახმარებით, და მონაწილეობით შეძლო პავლე ფშავლიშვილის დაპატიმრება ლადო ფეიქრიშვილთან ერთად.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ნ. ხიმშიევმა გამოტეხვის მიზნით ორივე ძალიან სასტიკად სცემა.[16] ვფიქრობ, საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ 1908 წლის 9 თებერვლის ღამით დააპატიმრებისას სწორედ ლადო ფეიქრიშვილმა ახსენა პირველად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეოთხე მონაწილედ „იმერელი". მან დაკითხვისას განაცხადა, რომ პავლე ფშავლიშვილმა უთხრა „ილია ჭავჭავაძე მოკლეს *მან (პ. ფშავლიშვილმა), ივანე (ვანო) ინაშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა* და *„ვილაც იმერელმა"*. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიების მასალებში არსებულ ერთ-ერთ დოკუმენტში

[14] სცსა. ფ. 114. აღ. 1. საქ. 1099, გვ. 7, 9.
[15] სცსა. ფ. 114. აღ. 1. საქ. 1099, გვ. 7-8.
[16] სცსა. ფ. 115. აღ. 2. საქ. 429, გვ. 343.

ნათქვამია, რომ 10 თებერვალს დაკითხვისას *პავლე ფშავლიშვილმაც* აღიარა ილიას მკვლელობაში მონაწილეობა, მაგრამ არ ისურვა იმერლის გაცემა.[17]

მოწმეთა დაკითხვების, საგამოძიებო მოქმედებების სრულყოფილად გატარების შემდეგ შედგენილ უფრო გვიანდელ, 1910 წლის 10 იანვრის, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის წარდგინებაში თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის სახელზე ნიკოლოზ ხიმშიევის მკვლელობის მხოლოდ ერთი მოტივია მითითებული: ***„ნ. ხიმშიევის ქმედითი მონაწილეობა თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელების ძებნაში“***[18] **(დოკ. № 6).**

ნ. ხიმშიევის ახლობლის, ბაზალეთის პრისტავ ი. ოზიევის სიტყვებით, ***„თავადი ნ. ხიმშიევი ხშირად ამბობდა, რომ მას ეშინია ის არ მოკლან ილია იმერლიშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა და ლადო ფეიქრიშვილმა, რადგან ის*** **(ნ. ხიმშიევი - თ.ს.)** ***მათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამო სდევნიდა.“*** ანუ ნ. ხიმშიევი სიკვდილამდე არც თუ ისე დიდი ხნით ადრე თვლიდა, რომ ილია (ილიკო) იმერლიშვილიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე იყო. თბილისის მაზრის უფროსის, კ. შანშიევის, ჩვენებით კი ნ. ხიმშიევის მკვლელობამდე ერთი წლით ადრე ამ უკანასკნელის დის ქმარმა, კონსტანტინე კავრიევმა, მას განუცხადა, რომ ***„ილია იმერლიშვილის და პავლე ფშავლიშვილის ბანდას განზრახული აქვს თავად ხიმშიევის მოკვლა, რადგან იგი ღიად დევნიდა თავად ჭავჭავაძის მკვლელებს“***[19] **(დოკ. № 7)**.

ილიკო იმერლიშვილი, ასევე, დასახელებულია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილედ 1914 წლით დათარიღებულ საარქივო მასალაში. კერძოდ, თბილისის სამძებრო პოლიციის ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეხება ილიკო იმერლიშვილის დაკავების ოპერაციას აღმოჩნდა საარქივო დოკუმენტები, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ილიკო იმერლიშვილი და მისი რაზმელები მონაწილეობდნენ.

ორ დოკუმენტში, პირველი ესაა 1914 წლის 15 იანვრით დათარიღებული თბილისის სამძებრო პოლიციის განყოფილების უფროსის მიერ თბილისის პოლიცმეისტერის სახელზე გაგზავნილი ორგვერდიანი მოხსენება, მეორე კი, 1914 წლის 1 თებერვლით დათარიღებული, ასევე თბილისის სამძებრო პოლიციის განყოფილების უფროსის მიერ თბილისის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის სახელზე გაგზავნილი სამგვერ-

---

[17] სცსა. ფ. 116. აღ. 1. საქ. 13364, გვ. 255-258.
[18] სცსა. ფ. 114. აღ. 1. საქ. 1099, გვ. 9.
[19] სცა. ფ. 115. აღ. 2. საქ. 429, გვ. 345.

დიანი მოხსენება, რომელშიც სიტყვა-სიტყვით წერია შემდეგი: ***„ილიკო იმერლიშვილმა თავისი დაჯგუფების წევრებთან ერთად ჩაიდინა უამრავი მკვლელობა კერძო და თანამდებობრივი პირებისა, სოფლის მამასახლისებისა, სტრაჟნიკებისა, მემამულე თავად ილია ჭავჭავაძისა (ქართველი მწერლის)“.***[20] **(დოკ.№ 8).** უფრო გვიანდელი, ანუ მეორე დოკუმენტის შინაარსი პირველისგან განსხვავდება იმით, რომ მასში მითითებულია, აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებულია აგენტურული შეტყობინებების საფუძველზეო[21] **(დოკ. № 9).**

ამ დოკუმენტებში, ასევე, ნათქვამია, რომ ილიკო იმერლიშვილი 1907 წელს დააპატიმრეს. მართლაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ილიკო იმერლიშვილი 1907 წლის დეკემბერში იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც ორ ათეულამდე სოციალ-დემოკრატ ტერორისტთან ერთად ცდილობდა საფოსტო მატარებლის დაყაჩაღებას.

ილიკო იმერლიშვილი სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელადაა დასახელებული ამავე საქმეში არსებულ დოკუმენტში, რომელსაც 1914 წლის 28 იანვარს ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმთა საპოლიციო სამმართველოს უფროსი უგზავნის თბილისის პოლიცმეისტერს[22] **(დოკ. № 10).**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ერთადერთი ადამიანი, რომელმაც საბჭოთა პერიოდში ილია ჭავჭავაძის მკვლელად ილიკო იმერლიშვილი დაასახელა, იყო ილია ჭავჭავაძის მოურავის, დიმიტრი ჯაშის, მეუღლე, დარია ჯაში. მან საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1941-1942 წლებში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილის გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის გამოძიების წინა პერიოდში, 1941 წლის 6 ივნისს, წინასწარი დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში გამომძიებლის კითხვაზე – „ვინ ღებულობდა მონაწილეობას ილიას მკვლელობაში?“ გასცა შემდეგი პასუხი: ***„როგორც შემდეგ გავიგე, ილიას მკვლელობაში მონაწილეობას ღებულობდნენ, ინაშვილი – ყოფილი მამასახლისი, იმერლიშვილი, რომელსაც კარგად იცნობდა დიმიტრი, ფშავლიშვილი გრიგოლა, როგორც მახსოვს, ფეიქრიშვილი იყო გაქცეული ყაჩაღად ტყეში“***[23] **(დოკ. №11).**

---

[20] სცა. ფ. 97. აღ. 1. საქ. 294, გვ. 3.
[21] სცა. ფ. 97. აღ. 1. საქ. 294, გვ. 18.
[22] სცსა. ფ. 97. აღ. 1. საქ. 294, გვ. 15.
[23] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქიეო სამმართველოს მესამე განყოფილება. ფ. 8. აღ. 25. საქ. 683.

ამრიგად, ზემოდასახლებული 1907, 1908, 1910, 1914 და 1941 წლით დათარიღებული დოკუმენტები ერთობლიობაში ავსებენ ერთმანეთს და, ჩემი აზრით, საბოლოოდ ადასტურებენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეოთხე მონაწილის ვინაობას.

აღნიშნულ სტატიაში შევეცადე მკითხველისათვის, კონკრეტულად კი ისტორიკოსებისათვის, შედარებითი, ღრმა ანალიზის გარეშე მომეწოდებინა დოკუმენტების შინაარსი. რადგან ვთვლი, რომ გამომდინარე თემის დელიკატურობიდან, ვგულისხმობ იმას, რომ საკითხი ეხება ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთ ტრაგიკულ ფურცელს, დოკუმენტების დედნების ასლში გაცნობა, წაკითხვა და მკითხველის მიერ ავტორის მოსაზრებების გავლენის გარეშე გაკეთებული პირველადი ანალიზი უფრო მნიშვნელოვანია.

1



В. Сергиево 25.
24

Душеприказчикамъ
Петра Александровича 36

Какъ я секретно дознала, долженъ знать совершенное преступленіе надъ покойникомъ Кн. Чавчавадзе, житель Душетскаго Уѣзда сел. Мухети по имени "Илья Мухетели", онъ, если не участвовалъ въ преступленіи, то онъ все знаетъ кто совершилъ какое либо важное преступленіе, а потому, полагаю, за его раздѣлитъ. Помимо сего не обходимъ розыскать и фаэтонщика, который ~~уже~~ какъ донесено, знаетъ лицъ, совершавшихъ убійство надъ Кн. Чавчавадзе.

Честь имѣю быть душевнуважающій Вашъ Г. Кицинъ

4 Сентябр 1907
г. Тифлисъ

2

3

7 7

Протоколъ.

1908 года, Декабря 25-го дня. Участковый приставъ Душетской Уѣздной Полицейской стражи Кн. Александръ Георгіевичъ Панчулидзевъ, на основаніи приказанія Г. Управляющаго Душетскимъ Уѣздомъ Ѳедоромъ Ивановичемъ Волынцевымъ, въ виду предполагавшагося нападенія на крестьянъ кн. Николая Георгіевича Эристовыхъ, въ сел. Бурнакаури 18-го сего Декабря, отправился въ сел. Бурнакаури, совмѣстно со стражниками Григоріемъ Родіоновымъ и Максимомъ Сергѣевымъ, куда и прибыли въ 11 ч. ночи. Оказалось, что въ эту ночь, дѣйствительно, на крестьянъ подходили какіе-то злоумышленники, но мои дѣти объ этомъ успѣть лишь на разсвѣтѣ, когда злоумышленники уже были скрылись. Произведя тщательное разслѣдованіе, съ цѣлью найти и преслѣдовать злоумышленниковъ, я узналъ, что прибывшій днемъ гостить въ моемъ участкѣ сего года мѣстн. сел. Сигнахаватъ Исидоръ Кистаури, ѣздилъ домой 21-го сего Декабря и предупреждалъ о какихъ-то разбойникахъ и своихъ похожденіяхъ съ ними. Сказанный Кистаури мною былъ задержанъ въ сел. Сигнахаватло, совмѣстно съ стражниками Григоріемъ Родіоновымъ и Максимомъ Сергѣевымъ. Въ присутствіи помощника старшины Автандила Гамихардова Сабаури, былъ произведенъ обыскъ, при чемъ найдено въ его домѣ: одинъ револьверъ, одинъ трехлинейный патронъ боевой, четыре гильзы трехлинейнаго ружья, одинъ боевой патронъ и четыре гильзы ружья системы Бердана, семь боевыхъ револьверныхъ патроновъ системы Смитъ и Вессонъ, калибра 32, четыре гильзы калибра 440, системы Бульдогъ, одинъ боевой патронъ системы Бульдогъ и одна гильза того же; одинъ пистолетъ калибра 4 линіи, одна коробка патроновъ съ дробью, одна прямое ружье и одинъ кинжалъ острый обоюдно.

При допросѣ Кистаури, въ присутствіи помощника старшины Автандила Гамихардова Сабаури, и жителя сел. Бурнакаури Тариэла Квирикашвили, давшаго слѣдующее, въ мѣсяцѣ нынѣшняго года, въ то время, когда пасъ мой Кидо Кистаури и я, съ ними изъ Ширакской отары барановъ выгонялъ, случайно я растерялъ табунъ лошадей, за что дядя мой разсердился на меня и послалъ меня искать табунъ, что было около сел. Вардисубани, Жидвистало уѣзда. Въ то время я встрѣтился съ какими то лицами вооруженными четырьмя разбойниками они меня спросили кто я такой, и когда я сказалъ, что я племянникъ Кидо Кистаури, они меня схватили и увели съ собой, сказавъ что, пока твой

4

[illegible] не дастъ нам двѣ тысячи рублей, мы тебя не отпустимъ, и тамъ обрѣзали, взяли меня и привезли около желѣзно-дорожнаго моста въ мѣстности [illegible] Гварды, тамъ мы находились до Вознесенія Господня. 136 день Вознесенія; казаки перевели [illegible] повѣсили, и перешли на мостъ. Въ то время задержали жит. сел. Дигомскаго Тифлисскаго уѣзда Мина Тай[illegible] и Сило Обиховичи (они же Мамулашвили) и сослали тѣхъ обоихъ. Послѣ этого мы убили одного татарина, взяли ружье и все что было при немъ; при убійствѣ [illegible] Павелъ Пиковичевъ Шаруковичевъ и два Матіратовы, и [illegible] Мамулашвили [illegible] какъ имя неизвѣстно. Мы увѣрены что Павелъ Пиковичевъ и два Матіратовы и убили Сопромадзе, около сел. Ватаки, Тифлисскаго уѣзда. Послѣ чего пошли Тавтаровское озеро въ Эривань и оттуда мы вернулись около полевыя Боле, ходили двумя партіями: одна партія, подъ предводительствомъ Павла Пиковичевъ, находилась около Агаль въ лѣсу, а другая, подъ предводительствомъ Билла Бердзенишвили находились на горѣ у желѣзно-дорожнаго моста. Къ концу Іюля эти двѣ партіи и партія Василія Хубавы соединились, и имѣли намѣреніе убить кн. Хилиміева, чтобы убить его, больше всѣхъ настаивали убить кн. Хилиміева Павелъ Пиковичевъ и Шаруковичевъ. Въ концѣ концовъ, они кинули жребій, кому убить кн. Хилиміева; жребій достался Павлу Пиковичевъ и Бердзенишвили, и они вмѣстѣ съ другими пошли на Хилиміева. Въ этой шайкѣ были 1, Павелъ Пиковичевъ 2, Шаруковичевъ 3, жит. сел. Дигомскаго Тифлисскаго уѣзда Нико Мамулашвили и 4 Сандро Мамулашвили 5 жит. сел. Толебуни Тифлисскаго уѣзда Лазаре Папов Гоцбатишвили, 6 Георгій Цикилоури 7, Василій Самосскій 8, Шалавскій Лодо 9 Вано Ивановичъ 10, Тушинскій Вано Ивановичъ 11 Русскій Доброшинъ 12, Билла Бердзенишвили

5 13

Протоколъ.

1908 года Декабря 25/11 дня. Я, Приставъ Большетского участка Обиевъ, вслѣдствіе предложенія Военнаго Начальника Душетскаго Округа, отъ 25 сего Декабря, за № 26 выѣхалъ въ сел. Бумагаури Душетскаго Округа и въ другія селенія Тифлисскаго уѣзда слѣдованія и задержалъ членовъ шайки Питавшвили, при чемъ взялъ съ собою одного изъ членовъ этой шайки жителя сел. Сахавата Душетскаго Округа Гоздо Бозиева Кистаури, задержанного 25 сего Декабря. При допросѣ задержаннаго Кистаури объяснилъ, что въ мѣсяцѣ сего года онъ случайно присоединился къ шайкѣ Питавшвили, въ которой участвовали: самъ Питавшвили, Ив. Питавшвили, убійца Ив. Гавгавадзе; Иосифъ Питавшвили и Дато Дарчевъ Сердюковъ и мног. сл. Мухетинъ Шалва Имеретинъ и многіе другіе числомъ до 18 человѣкъ, что шайка эта была расположена въ предѣлахъ Мухетскаго участка въ мѣстности „Мужавъ-сверди" и „Зедадвили" и Тифлисскаго уѣзда селенія Диоми въ Телавакской лѣсной дачѣ и мѣстности „Наквлебиеви" и изъ этихъ мѣстностей грабили нападали и грабили въ разныхъ мѣстахъ; что въ мѣстности „Наквлебиеви" Тифлисскаго уѣзда шайка эта ограбила въ селѣ 15000 руб. и другіе. Получивъ эти свѣдѣнія отъ задержаннаго Кистаури, я Приставъ Обиевъ совмѣстно съ урядникомъ Ив. Поповымъ и стражниками

6

ЬЬ№. ц. 114, оц. 1, ЬЬ.д. 1099

ПРОКУРОРЪ ТИФЛИССКОЙ СУДЕБНОЙ ПАЛАТЫ 30 Янв. 1910

9

ГОСПОДИНУ ПРОКУРОРУ ТИФЛИССКОЙ СУДЕБНОЙ ПАЛАТЫ

ПРОКУРОРА ТИФЛИССКАГО ОКРУЖНАГО СУДА

Представленіе.

Въ дополненіе къ представленію моему отъ 26 Октября 1909 г. за №23347, по дѣлу объ убійствѣ кн. Химшіева, доношу Вашему Превосходительству, что дальнѣйшимъ разслѣдованіемъ подтверждается, что кн. Химшіевъ убитъ, главнымъ образомъ, за дѣятельное участіе въ розыскахъ убійцы кн. Чавчавадзе. Свидѣтели Навріевъ, Тусіевъ, Натіевъ и Варнавовъ, знавшіе хорошо покойнаго Химшіева, удостовѣрили, что послѣдній при жизни высказывалъ имъ, что его могутъ убить лишь товарищи убитаго Пшавлишвили, Ладо Пейкришвили, Илья Имерлишвили и Гигла Бербичашвили, и что эти лица дважды, 16 Марта, при убійствѣ зятя его Глонти, и 6 Августа, при нападеніи на домъ Химшіева, находились въ числѣ злоумышленниковъ. Какъ показалъ очевидецъ убійства

7

სსდა, ფ. 115, ოდ.2, საქ. 429

საქართველოს საისტორო ცენტრალური არქივი, საგამოძიებო მასალები თაოსან ნ. ხიმშიაშვილის მკვლელობაზე. საქმე 429, 1909 წელი

345

еву, видно, что кн.Химшіевъ часто говорилъ, что онъ,Химшіевъ, боится, чтобы его не убили- Илья Имерлишвили,Гигла Бербичашвили и Ладо Пейкришвили за то, что онъ ихъ преслѣдовалъ по дѣлу убійства кн.Ильи Чавчавадзе. Участіе Гигла Бербичашвили въ убійствѣ кн.Химшіева по мнѣнію свидателя Іосифа Озіева- подтверждается и тѣмъ,что-отъ мѣста-убійства кн.Химшіева-слѣды-отъ ногъ злоумышленниковъ-были доведены до селенія Ахалцихи Душетскаго уѣзда, гдѣ жилъ Гигла Бербичашвили и гдѣ живутъ всѣ его родственники, и тамъ исчезли, и что одинъ лишь Вербичашвили могъ знать ту лѣсную тропу, по которой пришли и унли-убійцы кн.Химшіева. По показанію-Начальника Тифлисскаго уѣзда Шаншіева, мужъ-сестры убитаго кн.Химшіева-Константинъ Кавріевъ еще за годъ до этого убійства заявлялъ ему, Шаншіеву, о томъ, что шайка- Ильи Имерлишвили и Павла Пцавлишвили замышляетъ убить кн.Химшіева за то, что кн.Химшіевъ открыто преслѣдовалъ убійцъ кн.Чавчавадзе и что послѣ убійства разбойника Павла Пцавлишвили-Кавріевъ пришелъ къ нему, Шаншіеву, и воскликнулъ:"Слава Богу, можетъ быть, теперь Химшіевъ будетъ спасенъ", что еще за нѣсколько мѣсяцевъ-до убійства кн.Химшіева-Константинъ Кавріевъ сообщалъ ему,Шаншіеву о томъ что,

8

Его превосходительству
Г. Тифлисскому Полицеймейстеру.

3.

6 Января 1914
190.

РАПОРТЪ.

Довожу Вашему Превосходительству, что какъ выяснено-убитый 13-го сего января разбойникъ Илья Іордановичъ ИМЕРЛИШВИЛИ, жит. сел. Мцхетъ, Душетскаго уѣзда, въ 1907 году содержался подъ стражей въ Тифлисскомъ Метехск. замкѣ, откуда 11-го мая 1908 года въ 6 час. пополудни, бѣжалъ въ числѣ 18 человѣкъ другихъ арестантовъ при чемъ на стражу замка были брошены бомбы, коими убиты были надзиратели и часовые, каковое нападеніе организовано было исключительно съ цѣлью освобожденія арестантовъ, остававшимися тогда на свободѣ ихъ товарищами. Послѣ побѣга изъ Замка ИМЕРЛИШВИЛИ соединился съ Кутаисской разбойничьей шайкой, гдѣ состоялъ во главѣ этой шайки со дня побѣга включительно до 1910 года, а съ конца 1910 года онъ, Имерлишвили, прибылъ изъ Кутаисской въ Тифлисскую губернію, гдѣ сталъ во главѣ разбойничьей шайки Душетскаго уѣзда и держа все населеніе этого уѣзда въ страхѣ, почти не давая зажиточному населенію уѣздовъ, какъ Горійскаго, такъ и Душетскаго- покоя. Совершилъ съ своей шайкой массовыя убійства частныхъ и должностныхъ лицъ, какъ-то сельскихъ старшинъ, полицейскихъ стражниковъ, помѣщика Кн. Ильи Чавчавадзе/грузинскаго писателя/, плѣнилъ съ цѣлью полученія выкупа болѣе 4-хъ лицъ, въ томъ числѣ и трехъ евреевъ въ Сурамскомъ участкѣ, Горійскаго уѣзда, за освобожденія коихъ получалъ выкупы. 14-го іюня 1912 года ИМЕРЛИШВИЛИ вмѣстѣ съ Василіемъ Парсовымъ и другими членами шайки разбойниковъ недалеко отъ крѣпости Тамары, близь сел. Мцхетъ, Душетскаго уѣзда, убили извозчика за отказъ везти ихъ въ лѣсъ и смертельно ранили двухъ мѣстныхъ

10

НАЧАЛЬНИКЪ
ЖАНДАРМСКАГО
ПОЛИЦЕЙСКАГО
УПРАВЛЕНІЯ
ЗАКАВКАЗСКИХЪ
желѣзныхъ дорогъ

№ 230

Января 1911 г.
г. Тифлисъ

Совершенно-секретно.

29 ЯНВ. 1911

По поступившимъ ко мнѣ агентурнымъ свѣдѣніямъ, 13-го Января въ перестрѣлкѣ чиновъ ввѣренной Вамъ полиціи дѣйствительно былъ убитъ разбойникъ ИМЕРЛИШВИЛИ-глава разбойничей шайки и соціалъ-демократической партіи, но члены его шайки нарочно распространяютъ слухъ, что убитъ другой, а не онъ. Въ той-же перестрѣлкѣ былъ раненъ въ двухъ мѣстахъ, успѣвшій скрыться, разбойникъ ПАРЕСОВЪ, котораго мѣстные врачи лечатъ, но гдѣ онъ лежитъ и какіе врачи лечатъ, выяснить не представляется возможнымъ.

24-го сего Января, на станціи Баку чистильщикъ въ заднемъ вагонѣ соста-

Тифлисскому полиціймейстеру.

ფ. სიმაშვილის მოძიებული მასალებიდან



11

ბრალდებულის ჩვენება (ან მოწმის)
Показания обвиняемого (свидетеля)

194 წ.

ხელის მოწერა
Подпись

12



ილიკო იმერლიშვილი

თ. სიმაშვილის მოძიებული მასალებიდან

Tengiz Simashvili

THE NEW DOCUMENTS AND MURDER OF ILIA CHAVCHAVADZE (105 YEARS AFTER ILIA'S MURDER)

Summary

The archival documents confirming Iliko (Ilia) Imerlishvili's participation in Ilia Chavchavadze's murder are discussed in the work according to the chronological order. Those documents are collected during 2011-2012 in the funds of the Central Historical Archive of Georgia and in the archival funds of the Ministry of Internal Affairs of Georgia. The cases preserved in those archival funds contain different sort of materials concerning Ilia Chavchavadze's assassination.Those materials are listed in the work. The first part of those materials have been already known, but another part is collected by the author.

Archival documents where Iliko Imerlishvili is named as active participant of Ilia Chavchavadze's murder are dated to 1907, 1908, 1910, 1914 and 1941 years. Totally these documents fill each other and finally, they confirm personality of the fourth participant in Ilia Chavchavadze's murder.

The first document includes information that on the 4th of September 1907 there was a person, with nickname "Ilia Mtskheteli", suspected to be a participant of Ilia Chavchavadze's assassination. "Ilia Mtskheteli" was Iliko Imerlishvili's nickname for that time.

Another document (dated to 1908) specifically under this sign – Ilia Chavchavadze's murderers – directly mentions persons participating in Ilia Chavchavadze's assassination: Pavle Pshavlishvili, Gigla Berbichashvili, Ivane Inashvili and Iliko Imerlishvili.

The next document presented in the article (dated to 1914) deals with Iliko Imerlishvili's arrest. Here is indicated directly that Iliko Imerlishvili and his combatants participated in Ilia Chavchavadze's murder.

These documents listed in chronological order in our article have almost the same essence. All those documents confirm Iliko Imerlishvili's participation in Ilia Chavchavadze's assassination. In my opinion, it is important to present

all those new archival documents to the readers without comparative, deep analysis. I think that introduction of the above listed documents in original shape enables general public to read them and to make initial analysis without the influence of author's opinion

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

ჯაბა სამუშია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახური

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ თანდათანობით დაიწყო იმპერიის ნგრევა, რასაც მოჰყვა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების მხრიდან ნაციონალური რესპუბლიკების შექმნის პროცესი. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის გამარჯვებით არსებობა დაასრულა კავკასიის სამეფისნაცვლომაც. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ – რუსეთის დროებითმა მთავრობამ, ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა ჩააბარა სამხარეო ხელისუფლების ორგანოს – ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომს), რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით დაკომპლექტდა.[1] ამის პარალელურად თბილისში 1917 წლის აპრილიდან ფუნქციონირება დაიწყო ეროვნული ხელისუფლების ორგანოს ჩანასახმა – „საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი), რომელშიც შედიოდნენ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები პარიტეტის პრინციპით.

საქართველოს მომავალზე, მის პოლიტიკურ სტატუსზე სწორედ საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს წიაღში მსჯელობდნენ.[2] თავდაპირველად პოლიტიკურ პარტიებში არ იყო ერთსულოვნება საქართველოს მომავალ სტატუსთან დაკავშირებით. ნაწილის აზრით, საქართველოს უნდა გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, ნაწილს კი მიაჩნდა, რომ ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა მომავალი რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს შიგნით

[1] ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.). თბ. 2001, გვ. 36-37.

[2] საქართველოს ეროენული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილი-ნოემბერი). დოკუმენტები და მასალები. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ზაირა გერგედავა-ჭელიძემ. თბ. 1999.

საქართველოს ფართო ეროვნული ავტონომიით არსებობა, საკუთარი პრეზიდენტით სათავეში. სოციალ-დემოკრატებს, საერთოდ, საქართველო ცალსახად რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად წარმოედგინათ.

ფაქტობრივად, ეს დავა საბოლოოდ დასრულდა 1917-1918 წლების ოქტომბერ-იანვარს შორის. 1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკებმა განახორციელეს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და დაამხეს კანონიერი (IV სახელმწიფო სათათბიროს მიერ დამტკიცებული) დროებითი მთავრობა. საქართველოს სამივე გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალამ – სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა – არ ცნო ახალი საბჭოთა რუსეთის მთავრობა.[3]

რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – ოზაკომმა. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ყველა სახელისუფლო ორგანო მოიშალა. ამ პირობებში, ქართველი სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა დაასწრეს საბჭოთა რუსეთს და 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ჩამოაყალიბეს სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატი (თავმჯდომარე – ევგენი გეგეჭკორი).

1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს. უკვე იმ პოლიტიკური ძალებისათვისაც კი, რომლებიც საქართველოს მომავალს რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებდნენ, ნათელი გახდა, რომ რუსეთში ტოტალიტარული რეჟიმი დამყარდა და საჭირო იყო საქართველოს თავად ეზრუნა საკუთარ მომავალზე. მიუხედავად ახალი რეალობისა, ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა მაინც ვერ აიღეს სრული პასუხისმგებლობა და თავდაპირველად კავკასიის სამი რესპუბლიკის – საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ფედერაციულ-კონფედერაციული რესპუბლიკა შექმნეს. 1918 წლის 10 თებერვალს ახალი სახელმწიფოს პარლამენტმა – ამიერკავკასიის სეიმმა – თავმჯდომარედ აირჩია ცნობილი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. რესპუბლიკის მთავრობის შექმნა დაევალა აკაკი ჩხენკელს.[4]

---

[3] რ. გრძელიძე. საქართველო პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924). თბ. 1998, გვ. 117-118.

[4] Ф. Каземзаде. Борьба за Закавказье (1917-1921). Стокгольм 2010, გვ. 90-108; იხ. ასევე, ალ. ბენდიანიშვილი. საქართველო პირველი მსოფლიო ომისა

ამ ფორმით ამიერკავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ (ეს რესპუბლიკა, რა თქმა უნდა, კლასიკური ფედერაციული სახელმწიფო არ იყო, ამიტომაც ჩვენ მას მოვიხსენიებთ ფედერაციულ-კონფედერაციულ რესპუბლიკად) არსებობა დიდხანს ვერ მოახერხა და რამდენიმე თვეში დაიშალა. ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა 1918 წლის 26 მაისს. სეიმის წევრებს კარგად ესმოდათ, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს აღსასრული გარდაუვალი იყო. მიუხედავად ამისა, ფუჭი პოლემიკა კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა, ხოლო თვითონ უფლებამოსილება მოიხსნა.

ამასთან ერთად, ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა გადაწყვიტეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა აკაკი ჩხენკელმა. პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ახალი სახელმწიფო, რომელმაც მხოლოდ 2 წელი და 9 თვე იარსება.

1919 წლის დასაწყისში საქართველოში ჩატარებული პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ შექმნილმა პარლამენტმა ახალი მთავრობა დაამტკიცა, რომელშიც საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა ევგენი გეგეჭკორმა.

პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი, აკაკი ჩხენკელი, ითვლებოდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწედ. იგი დაიბადა 1874 წელს დაბა ხონში. ახალგაზრდობიდანვე ჩაება სოციალ – დემოკრატიულ მოძრაობაში. იყო რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი.[5] 1918 წელს ამიერკავკასიის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა რამდენიმე თვე. 1918 წლის მაისიდან იგი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და ამ თანამდებობაზე იმუშავა 1919 წლის დასაწყისამდე. შემდეგ აკაკი ჩხენკელი დაინიშნა საქართველოს ელჩად საფრანგეთში და 1933 წლამდე იგი ამ სტატუსით მოღვაწეო-

და რუსეთის მეორე რევოლუციის პერიოდში, საქართველო ისტორია (აეტორთა კოლექტივი). ტ. IV. თბ. 2012, გვ. 177-178.

[5] გ. შარაძე. აკაკი ჩხენკელი. უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. I. თბ. 1991, გვ. 67-83; გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბ. 2003, გვ. 214-223.

ბდა პარიზში. 1932 წელს საფრანგეთ-სსრკ-ს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საელჩო გაუქმდა (1933 წლის ივლისში). აკაკი ჩხენკელი ემიგრაციაში აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა. გამოდიოდა საერთაშორისო ფორუმებზე, კითხულობდა ლექციებს.[6]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ევგენი გეგჭკორი. იგი დაიბადა 1882 წელს ქართულ არისტოკრატთა ოჯახში. იყო რუსეთის III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი და იმპერიის მასშტაბით სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ამიერკავკასიის ფედერალურ რესპუბლიკაში ეკავა მთავრობის თავმჯდომარის პოსტი.[7] 1919 წელს, პარლამენტის არჩევნების შემდეგ, ნოე ჟორდანიამ (მთავრობის თავმჯდომარე) მას შესთავაზა საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი. მისი, როგორც მინისტრის, საქმიანობა აშკარად დადებითადაა შეფასებული. ქართულმა დიპლომატიამ მოახერხა ქვეყნის დე ფაქტო, ასევე დე იურედ აღიარება. 1921 წლიდან ემიგრაციაშია და ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ანუ, როგორც მას უწოდებდნენ, გარეშე საქმეთა სამინისტრომ, 1918-1921 წლებში რამდენჯერმე განიცადა რეორგანიზაცია. საარქივო მასალებით კარგად ჩანს მთელი ეს პროცესი. ჩვენამდე მოღწეულია სამინისტროს რეორგანიზაციის პროექტი, ასევე მთელი უწყების ხარჯთაღრიცხვისა და სტრუქტურის ამსახველი დოკუმენტაცია.[8]

---

[6] ა. მენთეშაშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური ღონისძიებანი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები (ავტორთა კოლექტივი). ტ. II. თბ. 1998, გვ. 423.

[7] გ. შარაძე. ევგენი გეგეჭკორი. უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. III. თბ. 1993, გვ. 4-15.

[8] საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის არქივის (პარიზული და ჰარვარდული ნაწილი) კატალოგი, მოცემულია წიგნში გურამ შარაძე. ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება. თბ. 1998. აღნიშნული არქივი საქართველოში დაბრუნდა 1996 წელს (პარიზული) და 1997 წელს (ჰარვარდული). ამჟამად ორივე ეს ნაწილი გაერთიანებულია, ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში და მიმდინარეობს მისი დამუშავება. გარდა ამისა, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ცენტრალურ საისტორიო არქივში დემოკრატიული საქართველოს მთავრობის საქმიანობის ამსახველი ცალკე ფონდი (ფ. 1864) არსებობდა, რომელშიც ინახებოდა საქართველოდან გაუტანელი

საქართველოს სახელმწიფოს ბიუროკრატიაში 1918 წლიდან პირველად ჩამოყალიბდა საგარეო უწყება ამ ფორმით. რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის განმავლობაში ანტიკურ თუ შუა საუკუნეებში სამეფო კარზე ყოველთვის არსებობდა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც საგარეო პოლიტიკაზე ზრუნავდა. საქართველოში ოდითგანვე მკაცრად იყო ფორმულირებული დიპლომატიური ეტიკეტი, არსებობდა საგანგებო სამსახური, რომელიც კურირებას უწევდა ქვეყნის დიპლომატიურ საქმიანობას.[9] ეს ყოველივე იყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1801 წლიდან, ანუ საქართველოს რუსეთისაგან დაპყრობის შემდეგ ქვეყანა მოკლებული იყო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას, შესაბამისად, ამ სფეროს ბიუროკრატიული წარმონაქმნი მეფისნაცვლის კარზე არ არსებობდა. 1918 წელს კი, როდესაც დაიწყო ახალი სახელმწიფოს ფორმირება, პროფესიონალი დიპლომატების დეფიციტი მართლაც შეიმჩნეოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ხარვეზი მოკლე ხანში დაიძლია. საგარეო უწყების თანამშრომლებისა და უცხოეთში საქართველოს წარმომადგენლების უმრავლესობას დიდი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდათ იმპერიის მასშტაბით, ამიტომაც მათ ადვილად აუღეს ალღო დიპლომატიურ საქმიანობას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა მინისტრი, რომელსაც ჰყავდა მოადგილე – ამხანაგი.[10] სამინისტროში მთავარი მართვის რგოლი იყო კანცელარია და სამი განყოფილება. მთლიანად სამინისტროში მსახურობდა 46 მოხელე.[11] 1920 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 6 თანამშრომლით და შეადგინა 52 კაცი.[12]

საგარეო უწყება თანდათან იღებდა იმ სახეს, რომელიც დამოუკიდებელ

დოკუმენტები. ჩვენთვის საჭირო მასალებს ამ ფონდშიც ვპოულობთ (ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 91; 126; 127).

[9] ჯ. სამუშია. დიპლომატიური სამსახური და ეტიკეტი XI-XII სს-ის საქართველოში. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბ. 2003; იხ. ასევე, ჯ. სამუშია. დიპლომატიური ეტიკეტი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბ. 2003.

[10] ევგენი გეგეჭკორის დროს ეს თანამდებობა ეკავა ცნობილ სოციალ დემოკრატს, ნ. ქარცივაძეს.

[11] შტატი და ხარჯთაღრიცხვა გარეშე საქმეთა სამინისტროსი 1919 წლის ნოემბრის I-დან 1920 წ. იენისის I-მდე. სცსა. ფ. 1864. აღწ. 1. საქ. 91. ფურც. 3.

[12] პროექტი შტატი და ხარჯთაღრიცხვა საგარეო საქმეთა სამინისტროსი, სცსა. ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 91, ფურც. 1-2.

ქვეყანას ესაჭიროებოდა. ამიტომაც ჩვენ ვხედავთ ამა თუ იმ სამსახურისა თუ შტატის დამატების ფაქტებს.

ყველაზე დიდი სამსახური იყო სამინისტროს კანცელარია, სადაც თავს იყრიდა ყველა დოკუმენტაცია და სადაც მზადდებოდა ხელშეკრულებები, მინისტრისა და მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მიმოწერა. კანცელარიაში ხდებოდა მთელი დიპლომატიური კორესპონდენციის შენახვა. სწორედ ამიტომაც კანცელარიაში, დირექტორისა და ვიცედირექტორის გარდა, იყო ჯერ 10, ხოლო მოგვიანებით 14 მოხელე.[13]

საგარეო საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებდა განყოფილებები: პოლიტიკური, საერო და სამეურნეო. ამ განყოფილებებიდან წამყვანი იყო პოლიტიკური განყოფილება, რომელშიც 10 თანამშრომელი მსახურობდა. სამინისტროს რეორგანიზაციის პროექტიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთირთობების გაზრდამ განაპირობა ქვეგანყოფილებების, ანუ სექციების გაჩენა რეგონული პრინციპით. ევროპულ და აზიურ სექციებს ევალებოდა ამ რეგიონებში არსებული საელჩოების კურაცია და, შესაბამისად, ამ ქვეყნების საგარეო უწყებებთან თანამშრომლობა.[14]

სიდიდით ყველაზე დიდ განყოფილებას წარმოადგენდა სამეურნეო (მას საოჯახო განყოფილებას უწოდებდნენ). მასში შედიოდა 23 თანამშრომელი.[15] მართალია შტატების კუთხით ამ სამსახურში თავმოყრილი იყო თითქმის ნახევარი სამინისტრო, მაგრამ, ძირითადად, ეს გახლდათ ტექნიკური პერსონალი. ეს განყოფილება პასუხისმგებელი იყო სამეურნეო და ტექნიკურ მხარეზე, ასევე ფინანსურ მონიტორინგზე. მის შემადგენლობაში შედიოდნენ შიკრიკები (კორესპონდენციაზე პასუხისმგებლები), მანქანაზე მბეჭდავები, რეგისტრატორი.

გარდა ამისა, სამინისტროში არსებობდა საინფორმაციო ბიურო და მინისტრის პირადი განყოფილება.

მთლიანობაში სამინისტროს ხარჯები წლიდან წლამდე იცვლებოდა და

---

[13] შტატი და ხარჯთაღრიცხვა გარეშე საქმეთა სამინისტროსი 1919 წლის ნოემბრის I-დან 1920 წ. იენისის I-მდე, სცსა. ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 91, ფურც. 3; მოთხოვნის ფურცელი. გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეებისათვის მისაცემად. ერთდროული დახმარება, თანახმად 1920 წლის ივლისის 25 დეკრეტისა. სცსა. ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 127.

[14] პროექტი შტატი და ხარჯთაღრიცხვა საგარეო საქმეთა სამინისტროსი. სცსა. ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 91, ფურცელი 1-2.

[15] სცსა. ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 91, ფურცელი 1-2.

დამოკიდებული იყო ინფლაციაზე. სახელფასო განაკვეთით 1920 წლის ივლისის მონაცემით მინისტრი იღებდა ხელფას, 10,400 მანეთს და დამატებას 3000 მანეთს. ერთობლიობაში 13,400. აღნიშნული დამატება სამინისტროს პერსონალს დაენიშნა 1920 წლის 25 ივლისის მთავრობის დეკრეტით, რაც ინფლაციით იყო გამოწვეული. მინისტრის მოადგილეს ეძლეოდა 12,100 მანეთი (დამატებით). კანცელარიის დირექტორს, შესაბამისად, 9,500. ვიცედირექტორს – 8,850, ხოლო განყოფილების უფროსებს – 8,200. ყველაზე დაბალ მოხელეს საშუალოდ ეძლეოდა 4000 მანეთი.[16]

ყოველდღიურობის ისტორიის შესწავლის კუთხით, ალბათ, საინტერესოა იმ პერიოდის მანეთის მსყიდველობითი დონე. ვფიქრობთ, ეს შედარება საშუალებას მოგვცემს, წარმოვიდგინოთ, რა ხელფასზე უწევდათ მუშაობა საგარეო უწყების თანამშრომლებს. საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, კ. კანდელაკის, მონაცემებით 1920 წლის აგვისტოში, როდესაც შედგენილია სამინისტროს მოხელეთა თანხობრივი დანართების დოკუმენტი, აშშ დოლარი ღირდა 825 მანეთი.[17] ეს ნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იღებდა დაახლოებით 17 დოლარს, ყველაზე დაბალი მოხელე, კი 5 დოლარს. საშუალოდ 1920 წლისათვის ოთხსულიანი ოჯახის შესანახად საჭირო იყო 6500 მანეთამდე,[18] მაგრამ აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ინფლაციის პროცესი სწრაფი ტემპით მიდიოდა და, შესაბამისად, რამდენიმე თვის შემდეგ, 1920-1921 წლების მიჯნაზე, დამოუკიდებელი საქართველოს ბონი კიდევ უფრო გაუფასურდა.

1918 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ დაიწყო საელჩოების შექმნა ევროპისა თუ აზიის ქვეყნებში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ევროპულ ქვეყნებზე. ამიტომაც ყველაზე მეტი საელჩო ფუნქციონირებდა ევროპის სახელმწიფოებში.

საქართველოს თავისი წარმომადგენლები ჰყავდა: საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, შვეციასა და ნორვეგიაში, იტალიასა და ავსტრიაში, ინგლისში, არგენტინაში, თურქეთში, მანჯურიაში, აშშ-ში, რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, პოლონეთში, საბერძნეთში, სომხეთში.[19]

---

[16] მოთხოვნის ფურცელი. გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეებისათვის მისაცემად, ერთდროული დახმარება თანახმად 1920 წლის ივლისის 25 დეკრეტისა. სცსა. ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 127.

[17] კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. პარიზი 1960, გვ. 72.

[18] ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა. თბ. 1996, გვ. 60.

[19] გ. შარაძე. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბ. 2003, გვ. 150-156.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებში ყველგან არ იყო საელჩო, როგორც ასეთი. ძირითადად, საელჩოს ფუნქციებს ასრულებდა წარმოამდგენლობები. გარდა ამისა, პარიზში ფუნქციონირებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო ბიურო –. საელჩოების პარალერულად არსებობდა საკონსულოები და ეკონომიკური წარმომადგენლობები.

საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო საელჩოთა პერსონალი დიდი არ იყო. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო დოკუმენტებით 1921 წლის დასაწყისში პარიზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობაში მსახურობდა 7 ადამიანი: სრულუფლებიანი წარმომადგენელი, პირველი მდივანი, მეორე მდივანი, საქმის მწარმოებელი, მანქანის გადამწერი, 2 მსახური; ბერლინის საელჩოში კი მუშაობდა 5 მოხელე.[20] შესაბამისად, მცირერიცხოვანი იყო საკონსულოები. აქ, ძირითადად, 3-4 კაცი მსახურობდა.[21] რომ შევადაროთ ჩვენი საელჩოები ამ დროის ევროპული ქვეყნების წარმოამდგენლობებს თბილისში, აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს მივიღებთ. საილუსტრაციოდ მოვიტანთ პოლონეთის საელჩოს მოსამსახურეთა რაოდენობას. პოლონეთის წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა გერმანიის, რუსეთის, საფრანგეთისა თუ ინგლისის წარმომადგენლობებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ელჩის, ოსტროვსკის გარდა, საელჩოში 10-ზე მეტი თანამშრომელი იყო. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოში ფუნქციონირებდა პოლონეთის დაზვერვის 9კაციანი ჯგუფი.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში მოიპოვება აშკარად საინტერესო დოკუმენტები, რომლებიც ეკუთვნის რუსეთის სამხედრო დაზვერვის წარმომადგენელს.[22] ამ საიდუმლო მოხსენებაში დაწვრილებით აღწერილია ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ვითარება. რამდენიმე წერილი ეთმობა უცხოურ წარმომადგენლობებს და მათ აგენტურულ ქსელს. სწორედ აქ არის საუბარი პოლონური დაზვერვის წარმომადგენლობაზე, რო-

[20] შტატი და ხარჯთაღრიცხვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა დასავლეთ ევროპაში (პარიზი) 1921 წლის იანვრის I-დან. სცსა. ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 126. ფურც. 5; შტატი და ხარჯთაღრიცხვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა ქ. ბერლინში 1921 წლის იანვრის I-დან. სცსა. ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 126, ფურც. 4.

[21] შტატი და ხარჯთაღრიცხვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსულოსი ქ. რომში, 1921 წლის იანვრის I-დან. სცსა. ფ. 1864. აღრ. 1. საქ. 126, ფურც. 2.

[22] საქართველოში რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის სამხედრო ატაშე. სცსა. ფ. 1874, აღწერა 1. საქ. 3. ფურც. 52-54.

მელსაც ხელმძღვანელობდა მაშინოვსკი. აგენტურული ქსელი მოქმედებდა თბილისსა და ბათუმში. აგენტთა უმრავლესობა რუსი და ადგილობრივი პოლონელი იყო. მსგავსი აგენტურული ქსელი, სავარაუდოდ, ქართულ მხარეს უნდა ჰქონოდა ევროპულ სახელმწიფოებში, თუმცა საკმაოდ სუსტი. უმრავლეს შემთხვევაში, როგორც წესი, დაზვერვა საელჩოს საფარველის ქვეშ მოქმედებდა. ქართული საიდუმლო სამსახური შედარებით გამართულად მუშაობდა აზერბაიჯანსა და სომხეთში.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ საქართველოს დიპლომატიური სამსახური 1918-1921 წლებში, მართალია, არ იყო მრავალრიცხოვანი, მაგრამ თითოეულ თანამშრომელს უწევდა საკმაოდ მძიმე და შრომატევადი საქმიანობა. მთლიანობაში დიპლომატიურმა კორპუსმა შეძლო მოკლე ხანში ქვეყნის საერთაშორისო არენაზე წარმოჩენა.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აქტიური საგარეო პოლიტიკა შეწყდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ემიგრაციაში განაგრძო თავისი საქმიანობა, სრული დატვირთვით საგარეო უწყება ვეღარ ფუნქციონირებდა. თუმცა ქართველი დიპლომატები კარგა ხანს აგრძელებდნენ თავიანთი ფუნქციის შესრულებას. ისინი გამოდიოდნენ საერთაშორისო ფორუმებზე, ცდილობდნენ საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ევროპული სახელმწიფოების მიმხრობას, მაგრამ ევროპელი ლიდერები მხოლოდ „შეშფოთებას“ გამოთქვამდნენ. ამაზე წინ საქმე არ წასულა. რამდენიმე წელში დაიხურა საელჩოები და საკონსულოები ევროპასა თუ აზიაში. 1932 წლის 29 ნოემბერს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო «Договор о ненападении (между Союзом Советских Социалистических Республик и Французской Республикой)», რომლის მეხუთე მუხლში ნათქვამი იყო: «Каждая из Высоких Договаривающихся Сторон обязуется, в частности, не создавать, не поддерживать, не снабжать, не субсидировать и не допускать на своей территории ни военных организаций, имеющих целью вооруженную борьбу против другой Стороны, ни организаций, присваивающих себе роль правительства или представителя всех, или части, ее территорий».[23] ამ ხელშეკრულებით გაუქმდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლო წარმომადგენლობა პარიზში.

[23] Документы внешней политики СССР. Т. 15. Января – 31 декабря 1932 г. М. 1969, გვ. 639.

Jaba Samushia

DIPLOMATIC SERVICE OF DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

Summary

Georgian Ministry of Foreign Affairs or otherwise known as Ministry of Exterior Affairs had been reorganized for several times during 1918 to 1921. This process is quite clear from the archival materils. We possess the project for the reorganization of that ministry as well as detailed expenses and all related documents.

Head of Ministry of Foreign Affairs was minister which had his deputy. The main bodies of the ministry were chancellery and three departments. The whole ministry had 46 members in service. For 1920 their number was increased by 6 members and total figure became 52 associates.

Foreign office had been developing step by step, that was the main reason for the creation of additional positions and sections.

The largest section of Ministry of Foreign Affairs of Georgia was the chancellery, where all documentation was accumulated. Official correspondence of minister and high officials of the ministry, as well as the contracts were prepared in the chancellery. All diplomatic correspondence was kept in the same service. That is why the chancellery had director, deputy director and ten additional members which later was increased to 14. The Ministry of Foreign Affairs had several departments – political, secular and rural.

From 1918 Democratic Republic of Georgia began the foundation of embassies in the countries of Europe and Asia, but it have to be admitted that the priority was given to the European countries. That is why the most of the embassies functioned in Europe.

Due to economic crisis, the stuff members of the embassies were few. According to those archival documents, in the beginning of 1921 legation of the Georgian Democratic Republic in Paris had 7 members in service – plenipotentiary representative, the first secretary, the second secretary, chancellor officer, typist and two servants; in the embassy of Berlin 5 persons were employed. The consulates had also few members, they included mainly 3 or 4 employees.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

მერაბ კალანდაძე

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის კვლევის მეთოდები

დიდი ხნის განმავლობაში ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოაჩენდნენ და ლამის იდეალურ ვითარებას გვიხატავდნენ. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში დომინირებდა მოსაზრება, რომლის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის შემოქმედების შემდეგ მარქსიზმ-ლენინიზმზე დაყრდნობით ქართული ისტორიული აზროვნება განვითარდა, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა და შესამჩნევად გაუსწრო ევროპულ ისტორიულ მეცნიერებას. ერთია ილუზიები და მეორეა რეალობა. სინამდვილეში სულ სხვაგვარად იყო. აკად. ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. ის პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისა და მარქსიზმის დონეზე შეჩერდა. რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს ქართველი ისტორიკოსების კონკრეტული გამოკვლევების მნიშვნელობას, მაგრამ უმთავრესად ადგილი ჰქონდა რაოდენობრივ პროგრესს. ცვლილებები უფრო რაოდენობრივ ხასიათს ატარებდა და არა თვისებრივს. წმინდა თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შესამჩნევია სტაგნაცია. ამ უნიფიკაციის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური გაუფერულება. ყოველივე ეს ივ. ჯავახიშვილის გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ.

ალბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ აკად. ივანე ჯავახიშვილი დიდ დაინტერესებას იჩენდა და საკმაოდ ჩახედული ჩანდა ისტორიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ, ფილოსოფიურ საკითხებში. მართალია, მან ამ სფეროში ბევრის გაკეთება ვერ მოასწრო და მრავალი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, სულაც არ აკნინებს ამ მიმართულებით მის მიერ გაწეული დიდი შრომის მნიშვნელობას, ღირებულებას, ფასეულობას. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემატი-

კით დაინტერესების ინიციატორად, მოთავედ, სწორედ, დიდი ივანე ჯავახიშვილი მოგვევლინა.

რა მეთოდებს იყენებდა აკად. ივანე ჯავახიშვილი ისტორიის კვლევის პროცესში? თემა არის საინტერესო და აქტუალური. აღნიშნული პრობლემატიკის მნიშვნელობა კარგად ჰქონდა გაცნობიერებული აღორძინების ეპოქის ინგლისელ მოაზროვნეს ფრენსის ბეკონს. მისი თქმით, „შემეცნება განსაზღვრული მეთოდის გარეშე ემსგავსება შეუკრავ ცოცხს ან ღამით ფათურით სიარულს".

ამ პრობლემით ქართული ისტორიოგრაფიის დაინტერესებამ საინტერესო ფერისცვალება, ევოლუცია განიცადა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიოგრაფიული ტრადიციის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლის ნიშნით. მის მწვერვალს, პიკს, ცხადია, წარმოადგენდა სტალინური ხანა. შემდგომში ზეწოლამ შედარებით იკლო. დადგა „დათბობის ხანა", რომლისთვისაც ფრიად ნიშანდობლივი იყო „იდეური დაბნეულობა". ამ პრობლემით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა 20-30-იან წლებში. მის კულმინაციურ მომენტს წარმოადგენს 1936 წლის 23 მარტიდან 2 აპრილამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული სამეცნიერო სესია. მისი კრიტიკული ისრები, ძირითადად, დიდი ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. ივანე ჯავახიშვილს აკრიტიკებდნენ უმთავრესად ორი მიმართულებით: ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან. მისი მთავარი ტონის მიმცემი იყო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. კარლო ორაგველიძე.[1] „ეკონომიკური მატერიალიზმის" პოზიციებიდან ეკამათებოდა ივანე ჯავახიშვილს ცნობილი ქართველი მედიევისტი, პროფ. გრიგოლ ნათაძე.[2] ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან ივანე ჯავახიშვილთან კამათი ცალმხრივი, ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული იყო და არსებითად პოლიტიკურ ბრალდებას წარმოადგენდა. ეს არ იყო მეცნიერული პაექრობა. ყვე-

[1] „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ". საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცა). ფ. 471. აღწ. 19. საქმე №4, 5; იეანე ჯაეახიშეილი ტირანიის სამსჯაეროს წინაშე. გამოსაცემად მოამზადეს, შესაეალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა. თბ. 2004; ვ. გურული. ჯვარცმული უკვდაეება და ჯეარმცმელთა სირცხვილი. თბ. 2011.

[2] სუიცა ფ. 471. აღწ. 19. საქმე №4. ფურც. 100-105. იხ. აგრეთვე გრ. ნათაძე. საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები. თბ. 1931, გვ. 82-84.

ლაფერი თავდაყირა იქნა დაყენებული. „ფარა შებრუნდა და კოჭლი ცხვარი თავში მოექცა“. დიდი ივანე ჯავახიშვილის ოპონენტებს კარგად მიესადაგება სერვანტესის სიტყვები: „სხვის გასაკრეჭად წასული თავადვე აღმოჩნდნენ გაკრეჭილები“. „ეკონომიური მატერიალიზმის“ პოზიციებიდან ივანე ჯავახიშვილის კონცეფციის კრიტიკას დამაჯერებლობა აკლია და მიულებელია.[3]

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა წნეხმა შედარებით იკლო. დაიწყო „დათბობის ხანა“. მაგრამ ეს ნოვაციები არ, ცილდებოდა მარქსისტული მსოფლმხედველობის თეორიულ ჩარჩოებს.[4] ამ ფონზე ყურადღებას იპყრობს აკად. როინ მეტრეველის საინტერესო ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება“.[5] თუ ამ ნაშრომს მარქსისტულ ფრაზეოლოგიას ჩამოვაშორებთ, რომელიც ძალად თავსმოხვეული იყო, მასში, უეჭველად, რჩება ღირებული და, სწორედ, ეს ფასეული განაპირობებს მის მეცნიერულ მნიშვნელობას. ფაქტობრივად, ეს ნაშრომი აღნიშნული პრობლემის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ. ის საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეულ სიახლეს მოკლებული როდი იყო. ედ. კოდუა და გ. ყორანაშვილი რატომღაც ამ ნაშრომს დუმით უვლიან გვერდს და, როგორც ეტყობა, მხედველობიდან გაეპარათ. არადა მათ უშუალო წინამორბედად სწორედ ამ ნაშრომის ავტორი გვევლინება.

მკვეთრი მეტამორფოზა განიცადა უახლესმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ, რაც, უპირატესად, პოლიტიკური კატაკლიზმების ლოგიკური შედეგი იყო. საბჭოთა კავშირი დაიშალა. მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიის ხანა დასრულდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შესაძლებელი გახდა ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა. ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. დღეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ივანე ჯავახიშვილის თეორიულ ძიებებს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პროფ. ედუარდ კოდუას და პროფ. გურამ ყორანაშვილის წიგნები.[6] აღნიშ-

[3] მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. თბ. 1999, გვ. 221-228.

[4] მ. დუმბაძე. ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება (1898-1912). თბ. 1984; პ. რატიანი. ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხისათვის. ქართული ისტორიოგრაფია. I. თბ. 1968.

[5] რ. მეტრეველი. მამულიშვილობა და მეცნიერება. ივანე ჯავახიშვილი 100. თბ. 1976, გვ. 22-29.

[6] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი. თბ. 1997; გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლე-

ნულმა გამოკვლევებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ თემის შესწავლის საქმეში და აქვთ თავიანთი პლუსები და მინუსები.[7]

* * *

ივანე ჯავახიშვილის კვლევის მეთოდების გარკვევა შეუძლებელი იქნებოდა, თუ ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, არ შევჩერდებით მის მსოფლმხედველობაზე. ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ფორმირება ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში. მის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ორმა გარემოებამ: 1. უმთავრესად მას ასაზრდოებდა ქართული რეალობა, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, დიდი ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა. საქართველოში მიმდინარე ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა. 2. ევროპული ისტორიოგრაფიის მიერ დაგროვილი მდიდარი გამოცდილება, უზარმაზარი ცოდნა, რომელიც, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, ივ. ჯავახიშვილს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. ამ მხრივ საინტერესოა მისი სამეცნიერო მივლინება გერმანიაში. ამ მივლინებამ ივ. ჯავახიშვილს, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსს, ძალიან ბევრი მისცა და კატალიზატორის როლი შეასრულა, დააჩქარა მისი პროფესიული ფორმირების პროცესი. ამ მხარეს, ჩვენი აზრით, ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რაც გამართლებული არ უნდა ჩანდეს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ივ. ჯავახიშვილის სახით საქმე გვაქვს ლიბერალ-დემოკრატიულად მოაზროვნე ისტორიკოსთან. ის არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხაზის გამგრძელებელი ქართულ ისტორიოგრაფიაში. შეიძლება ითქვას, რომ მან ღირსეულად ჩაიბარა ესტაფეტა დიდი ილია ჭავჭავაძისაგან და გააგრძელა მისი ხაზი.

ივანე ჯავახიშვილის, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსის ჩამოყალიბების საქმეში ქართულ რეალობასთან ერთად დიდი როლი შეასრულა სამეცნიერო მივლინებამ გერმანიაში. მოგონებებზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე

ბურად წაკითხვის (ცდა). თბ. 1999.

[7] მ. კალანდაძე. ივანე ჯავახიშვილის ისტორიის ფილოსოფიური ძიებების შესწავლა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011, გვ. 504-520; მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 331-352.

დიდი გავლენა იქონია ლეოპოლდ ფონ რანკემ, ჰარკანმა, კარლო კრუმბახერმა, კარლ ლამპრესტმა, ჰაინრის ბრიუნერმა. თითოეული მათგანისაგან ივანე ჯავახიშვილმა ძალიან ბევრი რამე შეისწავლა და შეეცადა ეს გამოცდილება მიესადაგებინა ქართული რეალობისათვის. ეს იყო შემოქმედებითი დამოკიდებულება. ყოველგვარი მიმბაძველობა ივ. ჯავახიშვილისათვის მიუღებელი იყო. ანგარიშგასაწევი უნდა ჩანდეს ვერსია, რომლის მიხედვით, შესაძლოა, საეკლესიო პრობლემებზე ივ. ჯავახიშვილის მოძღვარი ყოფილიყო ჰარნაკი, ბიზანტიოლოგიაში, კრუმბახერი, მედიევისტიკაში, სახელდობრ, ფეოდალური ინსტიტუტების ისტორიაში, ლამპრეხტი, სამართლის ისტორიაში კი ბრუნერი.[8] რაც შეეხება ლეოპოლდ ფონ რანკეს, მისი გავლენა საერთო იყო და ყველაზე უფრო მეტად ივ. ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიურ შეხედულებებში პოულობს ასახვას.

* * *

უახლეს გამოკვლევებში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ ისტორიის თეორიული პრობლემებისადმი ივ. ჯავახიშვილი გულგრილ დამოკიდებულებას არასოდეს არ იჩენდა. ამ თვალსაზრისით მრავლისმეტყველი ჩანს ის ჩანაფიქრი, რომელიც მას ჰქონდა. აქ, უწინარესად, ცხადია, ვგულისხმობთ „ძველი ქართული მწერლობის“ გეგმას, რომელიც მას ესახებოდა, როგორც „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალი. მეორე წიგნს ავტორი ორ ნაწილად ვარაუდობდა. პირველ ნაწილში მას უნდა განეხილა საქართველოს ისტორიის დანარჩენი წყაროები, ხოლო მეორე ნაწილში – უცხოური საისტორიო მწერლობის განვითარება, განსაკუთრებით ბერძნულ-ბიზანტიური, სომხური და სპარსული. მესამე წიგნი თეორიულ – განზოგადებული ხასიათისა უნდა ყოფილიყო და როგორც თავად ავტორი დასძენდა, „მასში გამორკვეული იქნებოდა ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები თანამედროვე მეცნიერების მიხედვით“.[9] ჩვენ ყველაზე უფრო მეტად სწორედ ეს უკანასკნელი ჩანაფიქრი გვაინტერესებს. ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მან ამ განზრახვის განხორციელება ვერ მოასწრო. ხელსაყრელი შანსი დაიკარგა. მისი რეალიზება, უეჭველია, უფრო გაამდიდრებდა ქართულ

[8] დ. გვრიტიშვილი. ივანე ჯავახიშვილი. თბ. 1968, გვ. 14; ივ. ჯავახიშვილის წერილი ნიკო მარს. 1901 წლის 17 მარტი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 1448.

[9] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი III. ნაწილი 2. თხსულებანი. ტ. III. თბ. 1992, გვ. 404.

ისტორიოგრაფიას.

აკად. ივანე ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ძიებებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს კვლევის იმ მეთოდებს, რომლებსაც ღვაწლმოსილი მეცნიერი იყენებდა წარსულის რეკონსტრუქციის დროს. ამ საკითხის განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს და საშუალებას გვაძლევს შე-ვიხედოთ ისტორიკოსის შემოქმედებით ლაბორატორიაში, შევაღოთ ისტორი-კოსის სახელოსნოს კარი.

აკად. ივანე ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ძიებებში ცენტ-რალური ადგილი უჭირავს კრიტიკულ, ისტორიულ-ფილოლოგიურ მეთოდს. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ქართული ისტორიოგრაფია ევროპულ დონეზე აამაღლა და, ფაქტობრივად, ისტორიული წყაროების კრი-ტიკის ის მეთოდი დანერგა, რომელსაც ევროპულ ისტორიოგრაფიაში სათავე დაუდეს ნიბურმა და რანკემ. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე მნიშვნელოვანი თვისებრივი სიახლე იყო. ,,მართალია, ივ. ჯავახიშვი-ლი შეიძლება ზოგი ქართველი ისტორიკოსის თხზულებების მიმართ ზედმე-ტად კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს, მაგრამ იმ დროს ჩვენს ისტო-რიოგრაფიაში გაბატონებული საისტორიო წყაროებისადმი აბსოლუტურად უკრიტიკო დამოკიდებულების პირობებში საისტორიო თხზულებების ასეთი მკაცრი გაცხრილვა და მათდამი კრიტიკული დამოკიდებულების დანერგვა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების აუცილებელი და ფრიად მნიშვნე-ლოვანი ეტაპი იყო".[10] ივ. ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში სა-ფუძველი ჩაუყარა მთელ რიგ დამხმარე ისტორიულ დისციპლინებს და ეს მისი კიდევ ერთი დიდი დამსახურება იყო.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი მოსაზრებამ, თითქოს ივ. ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიური არსენალი მარტო კრიტიკული, ისტორიულ-ფილოლოგიური მეთოდით, შე-მოიფარგლებოდა. სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ამგვარი წარმოდგენა აკნი-ნებს ამ სფეროში ივ. ჯავახიშვილის ნაღვაწის მნიშვნელობას და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს როდი გვიხატავს. პროფ. ედ. კოდუამ დამაჯე-რებლად აჩვენა, რომ ივ. ჯავახიშვილი წარმატებით იყენებდა ისტორიულ შე-დარებით მეთოდს. ამგვარმა მიდგომამ ფართოდ მოიკიდა ფეხი მეოცე საუკუ-ნის ევროპულ ისტორიოგრაფიაში და მას მრავალი ევროპელი ისტორიკოსი

[10] მ. ლორთქიფანიძე. რედაქტორისაგან. ივანე ჯავახიშვილი. თხზულება-ნი. ტ. VIII. თბ. 1977, გვ. 13.

იყენებდა. მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი მარკ ბლოკი. ამ კუთხით აღნიშნული საკითხის შესწავლა, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა და მას, ალბათ, ერთი საინტერესო ნაშრომი შეიძლება მიეძღვნას. შედარებითი მეთოდი თავისთავად გულისხმობს მსგავსებასა და განსხვავებას. სწორედ ამ რაკურსში მოიაზრებდა მას მარკ ბლოკი.[11] ამიტომ ორივე ეს ასპექტი, მსგავსება და განსხვავება, თანაბრად, შეწონილად უნდა იქნას წარმოდგენილი. ამ თემის განხილვისას ჩვენს ისტორიოგრაფიაში ცალმხრივობა შეინიშნება, რაც იმით გამოიხატება, რომ მსგავსებას დიდი ყურადღება ექცევა, ხოლო განსხვავება გაცილებით მკრთალად, სუსტადაა, ხაზგასმული.[12] ძნელი საფიქრებელია, რომ ივ. ჯავახიშვილის ყურადღება არ მიექცია განსხვავებისათვის. ნუთუ ის ცალმხრივად უდგებოდა ამ საკითხს?! ვფიქრობთ, არა. ამიტომ ამ კუთხით კვლევის გაღრმავება მიზანშეწონილი იქნებოდა. „ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებისასაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილი ისეთივე სწორუპოვარი გახლდათ, როგორც კრიტიკული (საისტორიო – ფილოლოგიური) მეთოდით სარგებლობისას. ამ მხრივ ჩვენი დიდი მეცნიერის ისტორიოგრაფიული შემოქმედება დღემდე დიდად მისაბაძ ნიმუშად რჩება“.[13]

ივ. ჯავახიშვილის მეთოდი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებით, როგორც ამას ხაზს უსვამს პროფ. ედ. კოდუა და ის, როგორც დამაჯერებლად უჩვენა პროფ. გ. ყორანაშვილმა, წარმატებით იყენებდა სხვა მეთოდებსაც. ერთ-ერთი მათგანი იყო რეტროსპექტიული მეთოდი. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი რეტროსპექტიულ მეთოდს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ორგანულ შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა. ფაქტობრივად, აქ იგი სვამს მეტად აქტუალურ და პრინციპულ საკითხს. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს ისტორიკოსმა წარსულის შეფასების დროს. ამ კრიტერიუმის სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს და დაგვეხმარება წარსულის აღქმის პროცესში. ამ თემაზე ივ. ჯავახიშვილს თავისი მკვეთრად გამოკვეთილი პოზიცია აქვს და, მისი ღრმა რწმენით, ისტორიული მოვლენები არ შეიძლება შევაფასოთ თანამედროვე გადასახედიდან. ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა და

[11] М. Блок. Феодальное общество. М. 2003; М. Блок. Апология истории. М. 1986.

[12] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 90-97.

[13] გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა), გვ. 174-175.

ვერ შეგვიქმნის წარსულზე რეალისტურ წარმოდგენას. წარსული უნდა შევაფასოთ არა იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი, არა თანამედროვე მოთხოვნებთან, არამედ თავიანთ წინამორბედებთან შედარებით. ივანე ჯავახიშვილი იმარჯვებს რეტროსპექტიულ მეთოდს და ისტორიულ მოვლენებს განიხილავს პროცესში: ჩასახვა, განვითარება, დასასრული. „საისტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება და, მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექნება“.[14] მეორე ადგილას იგი აღნიშნავს, რომ „მე-12 საუკუნის მწერლის ღირსებათა და ღვაწლის დაფასება მხოლოდ მე-12 საუკუნეშივე არსებულ პოეტურ მოთხოვნილებათა და შეხედულებების-დაგვარად შეიძლება“.[15] სწორედ ამ კუთხით უდგებოდა ივანე ჯავახიშვილი როგორც ქართულ საისტორიო მწერლობას, ისე საქართველოს ისტორიის კონკრეტულ ფაქტებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი პოლემიკა მემატიანე ლეონტი მროველთან. ის მას სწორედ იმას საყვედურობდა, რომ „მისი თანადროული უფლებრივი ნორმები გადაჰქონდა საქართველოს პირველყოფილ ეპოქაში“.[16] ეს, უდავოდ, მემატიანის შეცდომა იყო. საკითხის ამგვარი დასმა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არა აღმოცენებულა და აქ ივანე ჯავახიშვილი მისი დიდი წინამორბედის, ილია ჭავჭავაძის, ხაზის გამგრძელებლად გვევლინება.

ივ. ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიური ძიებებიდან აღსანიშნავია ინდივიდუალიზაციის მეთოდი. ეს საინტერესოა. ის ამ მეთოდს ფართოდ იყენებდა თავის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში.[17] მას მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული ისტორიული ფაქტების მნიშვნელობა, თვითმყოფადობა, ინდივიდუალობა. ისტორიული ფაქტებისადმი ივ. ჯავახიშვილის ასეთი მოწიწებული დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და, ვფიქრობთ, რომ ძალიან კარგად თავსდება რანკესა და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. შემოიფარგლებოდა თუ არა ივ. ჯავა-

[14] ივ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. თბ. 1938, გვ. 8.

[15] ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება. თბ. 1904, გვ. 45.

[16] Ив. Джавахишвили. Государственный строй древней Грузии и древней Армении. СПб. 1905, გვ. 52.

[17] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი II. თბ. 1965, გვ. 132, 152, 210; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი III. პირველი ნაწილი. თბ. 1941, გვ. 1; ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თხზულებანი. ტ. VIII. თბ. 1977, გვ. 26.

ხიშვილის ინდივიდუალიზაციის მეთოდი ისტორიაში პიროვნების როლის განსაზღვრით? და თუ ეს ასეა, მაშინ ცოტა სწორხაზოვანი ხომ არ იყო ეს მიდგომა? ამ კითხვას დამაჯერებელი პასუხი უნდა გაეცეს. ამიტომ ამ კუთხით კვლევის გაღრმავება, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა. ეს საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო მეტი ნათელი მოვფინოთ ამ თემას. იყო თუ არა ეს ნეოკანტიანელების გავლენის შედეგი, ძნელი სათქმელია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილის გამოცხადება ნეოკანტიანელების მიმდევრად, როგორც ამას ამტკიცებდა პროფ. გრ. ნათაძე, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და კიდევ უფრო მეტ საბუთიანობას, მტკიცებულებას საჭიროებს.[18] კვლევის ამ ეტაპზე, ჩვენი აზრით, ანგარიშგასაწევი უნდა ჩანდეს აკად. სიმონ ჯანაშიას მოსაზრება, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ივ. ჯავახიშილის კავშირს ნეოკანტიანელებთან. აი, რას წერდა იგი: „მე, რა თქმა უნდა, გაუგებრობად მიმაჩნია, როდესაც ივ. ჯავახიშვილს მიაკუთვნებენ რიკერტისა და ვილდენბანდის სკოლას. არავითარ მაგისთანა სკოლას ივ. ჯავახიშვილი არ ეკუთვნის. არავითარი მაგისთანა ფილოსოფია მას არ მოეპოვება“.[19] თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს განსხვავებული მოსაზრება და ამ საკითხში ს. ჯანაშიას სკეფსისს არ იზიარებენ.[20]

ივ. ჯავახიშვილს სრულიად მიუღებლად მიაჩნდა „ადვოკატურ გამოსარჩლებითი მეთოდი“. იგი თავის მოწაფეებს ასე მოძღვრავდა: „ერთი რამ ყოველთვის გახსოვდეთ, მეცნიერული კვლევის პროცესში ყოველთვის ობიექტური იყავით. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს შრომას არავითარი მეცნიერული ღირებულება არ ექნება.[21] ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოლემიკა ივ. ჯავახიშვილსა და იაკობ გოგებაშვილს შორის. პირველ ყოვლისა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილს ერის ისტორიის შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა გამართლებულად არ ესახებოდა. მისი ღრმა

[18] სტენოგრამა „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“. სუიცა. ფ. 471. აღწ. 19. საქმე. 4. ფურც. 99-102.

[19] ივ. ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯაროს წინაშე, გვ. 220.

[20] გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა), გვ. 156. ამ საკითხზე დაწერილებით იხ. მ. კალანდაძე. იყო თუ არა ივანე ჯავახიშვილი რიკერტიანელი? ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბ. 2011, გვ. 208-214; მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 296-297, 352-359.

[21] ციტ. გ. ყორანაშვილის წიგნიდან. ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა), გვ. 180.

რწმენით, ამას ძალიან ცუდი შედეგების მოტანა შეეძლო. „ამგვარი მოქმედება ...ხალხს ბაქიაობასა და უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვევს“.[22] ადვოკატური ისტორიის დაწერა მხოლო იმ მეცნიერს შეუძლია, რომელიც არავითარ ზნეობრივ მოვალეობას არ გრძნობს მეცნიერების წინაშე“. მისი აზრით, ეს მეთოდი სრულიად უსარგებლოა. „მავნეა ეროვნული თვითცნობიერების გამოღვიძებისათვის, ერის თვითმოტყუების წყაროა“. ივ. ჯავახიშვილი სავსებით სწორი იყო, როდესაც ფიქრობდა, რომ პატრიოტიზმის გრძნობამ ერის ისტორიის გაიდეალებისკენ არ უნდა გვიბიძგოს. ზომიერების გრძნობა არ უნდა დავკარგოთ და ობიექტურობა, მიუკერძოებლობა შევინარჩუნოთ. „მშვენიერი რამეა სამშობლოს სიყვარული, მაგრამ კაცი გადაჭარბებას უნდა უფრთხოდეს, მეტადრე მაშინ, თუ ამნაირი გადაჭარბება ჩვენს მსჯელობას ამახინჯებს“.[23] „თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს“.[24] მას სჯერა, რომ საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა მხოლოდ იმ მეცნიერს ძალუძს, რომელიც უპირველესად თვით მეცნიერების წინაშეა პირნათელი. მას კარგად აქვს გაცნობიერებული საისტორიო მეცნიერების, ისტორიკოსების მაღალი ზნეობრივი მოვალეობა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა.[25]

ივ. ჯავახიშვილის გამოცხადება გერმანელი ისტორიკოსის ლეოპოლდ ფონ რანკეს მიმდევრად, როგორც ამას თავის დროზე ფიქრობდნენ კ. ორაგველიძე და ნ. მახარაძე, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს. ამ ორ დიდ ისტორიკოსს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა ყველაზე უფრო რელიეფურად სწორედ ევროპოცენტრიზმთან მიმართების საკითხში მჟღავნდება.

ისინი სხვადასხვა ბანაკში არიან. რანკე ევროპოცენტრიზმის იდეის მხურვალე მომხრე და დამცველი იყო. მისი ღრმა რწმენით, „აზია გაქვავდა უმოქმედო გახდა. მისი ხსნა მხოლოდ ევროპას შეუძლია“. სულ სხვაგვარად

[22] ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება. თბ. 1904, გვ. 8.
[23] ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 12.
[24] ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 35-36.
[25] რ. მეტრეველი. მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 24; იხ. აგრეთვე ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 83-86; გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა), გვ. 73-85 და სხვა.

ფიქრობდა ივ. ჯავახიშვილი. ევროპოცენტრიზმის კრიტიკა მისი ისტორიული შეხედულებების ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს. მათ შორის არსებული ამ პრინციპული განსხვავების დაუნახაობა, გვერდის ავლა მართებული არ იქნებოდა. რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს მათ შეხედულებებს შორის არსებული შეხების წერტილების არსებობას. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. „ცოტანი როდი არიან, რომელნიც აღმოსავლეთის წარსულის შესწავლას მაღლიდან დასქცერიან და, ამავე დროს ამგვარი სკეპტიკური დამოკიდებულება – განწყობილებას აღმოსავლეთის ისტორიის მნიშვნელობის მიმართ მხარს უჭერენ და იზიარებენ. საოცარია, რომ ისტორიის ფილოსოფიის თხზულებებში ასეთი საბუთიანობა და მოსაზრება, უხვად არის მიმობნეული და სწორედ მას ენიჭება ავტორიტეტობის ხასიათი“.[26] მეორე ადგილას იგი დასძენს: „მცდარია ან კიდევ გაზვიადებულია აზრი აღმოსავლეთის სულიერი კულტურის უძრაობისა და კარჩაკეტილობისა. სხვადასხვა საკითხები – უფლებრივი, თეოლოგიური, ლიტერატურული – აზიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ისევე აინტერესებდათ, როგორც იმათ, ვინც გაიარა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების კულტურა“.[27] ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა პოლემისტური მუხტითაა გაჯერებული და ისტორიოგრაფიული დატვირთვა აქვს. ამ კრიტიკის ადრესატთა შორის ლეოპოლდ ფონ რანკე უნდა ვიგულისხმოთ. ივ. ჯავახიშვილი მსოფლიო ისტორიის ერთიანობის იდეას ავითარებს, რომელსაც ბევრი მაშინაც და ახლაც ეჭვის თვალით უყურებდნენ.

საინტერესოა, რა მოთხოვნებს უყენებდა ივ. ჯავახიშვილი ისტორიულ ნაშრომს. ეს არის საკმაოდ სერიოზული საკითხი, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ამ თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილს სანიმუშოდ მიაჩნდა ვახუშტი ბატონიშვილის შემოქმედება და სწორედ ის ესახებოდა ამ საკითხში თავის უშუალო წინამორბედად. „ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მეთოდი პირველად ვახუშტმა შემოიღო“.[28] ის, ვახუშტის კვალდაკვალ ისტორიულ გამოკვლევას ოთხ ძირითად მოთხოვნას უყენებს: 1. გეოგ-

[26] ივ. ჯავახიშვილი. აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოს და სომხეთის ისტორიის მონაცემები. თხზულებანი. ტ. XII. თბ. 1998, გვ. 54.

[27] ივ. ჯავახიშვილი. აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოს და სომხეთის ისტორიის მონაცემები, გვ. 61.

[28] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, მეთოდები და წყაროები წინათ და ახლა, გვ. 329.

რაფიული მიმოხილვა, 2. გენეალოგია, 3. ქრონოლოგია, 4. ადამიანის მოქმედების აღწერა.[29]

ძნელია, დავეთანხმოთ პროფ. გრ. ნათაძის, მტკიცებას, ვითომდა ივ. ჯავახიშვილს „საქართველოს ისტორიის სინთეზი არ მოუხდენია“.[30] რეალობა სულ სხვაგვარია. ივ. ჯავახიშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველი ეჭიდება რთულ მეთოდოლოგიურ პრობლემას. ესაა მეცნიერების ინტეგრაციისა და დიფერენციაციის საკითხი. ისტორიკოსთა შორის შრომის განაწილება ისტორიული აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ ამ ნიშნით ჩაიარა. ეს ისტორიული მეცნიერების განვითარების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ისტორიას აქვს მრავალი ვიწრო სპეციალობა: პოლიტიკური ისტორია, სოციალური და ეკონომიკური ისტორია, კულტურის ისტორია და სხვა. მე-19 საუკუნის ისტორიოგრაფიაში ხდება ისტორიკოსების დასპეციალება ზემოთ ჩამოთვლილი ვიწრო დარგების მიხედვით. ამ ეპოქის ისტორიოგრაფიის წარმატება იყო ცალკეულის სიღრმისეულად შესწავლა, გაშუქება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ისტორიკოსთა შორის შრომის დანაწილება პანაცეა როდი იყო. მას ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. იქმნებოდა საშიშროება, ვიწრო სპეციალიზაციით გატაცება ხომ არ შეზღუდავდა ისტორიკოსის ინტერესების სფეროსა და თვალთახედვის არეალს. ცნობილი მწერალი, ბერნარდ შოუ, შენიშნავდა: „მეცნიერი, რომელიც ისწრაფვის, გაიგოს რაც შეიძლება ბევრი ძალზე პატარა ობიექტზე, ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდება იმ მდგომარეობაში, რომ ეცოდინება ყველაფერი, მაგრამ არაფრის შესახებ“. დღის წესრიგში დადგა მოვლენების მთლიანობაში გააზრება. სინთეზირების საკითხი. სხვაგვარად ვერ შევძლებდით ისტორიის კომპლექსურ კვლევას და სისტემური სახით წარმოდგენას. ივ. ჯავახიშვილი სწორედ ამ გზით მიდის. ეს მნიშვნელოვანია. ივ. ჯავახიშვილის სწორებას მისი თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიღწევებზე აკეთებს და ცდილობს არ ჩამორჩეს, ფეხი აუწყოს ისტორიული მეცნიერების განვითარებას. ის შეეცადა საქართველოს ისტორიის მთლიანობაში, კომპლექსურად, სინთეზურად, გააზრებას. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება

[29] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, მეთოდები და წყაროები წინათ და ახლა, გვ. 325.

[30] გრ. ნათაძე. საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები, გვ. 81-82.

იყო და კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის ორიენტირებას ევროპულ ფასეულობებზე.

ივ. ჯავახიშვილის უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა საუკეთესო ნიმუშია საქართველოს ისტორიის მრავალდარგოვანი შესწავლისა. ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართული კულტურის გააზრება ნათქვამის დასტური უნდა იყოს. ის ცდილობს პრობლემა განიხილოს არა ვიწრო, ლოკალურ, ჭრილში, არამედ ფართო ასპექტში, რეგიონისა და კონტინენტის კულტურულ წარმონაქმნთა კონტექსტში. ის ამ რთული თემის კომპლექსურად შესწავლის მომხრეა. აი, რას წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილი: „ქართულისა და ქართველურ ენათა მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გაღრმავებულ შესწავლა უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომ, რომ ამას უაღრესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა გასაგებადაც აქვს ...თუ წმინდა ენათმეცნიერული საკითხები... უეჭველია მხოლოდ ენათმეცნიერების საკვლევაძიებო სარბიელს წარმოადგენს, რაწამს კულტურის ისტორიის ამოცანების შესწავლას შევუდგებით, მარტო ენათმეცნიერული გზით და მეთოდებით დასახული მიზნის სრულად მიღწევა შეუძლებელია ამ საკითხის სირთულისა და პასუხსაგებიანობის გამო. ამ პრობლემის გადასაჭრელად მათი სხვადასხვა სამეცნიერო დარგის თვალსაზრისით განხილვა და შესწავლაა საჭირო. სხვადასხვა სპეციალობის მკვლევართა თანხმობრივი მუშაობაა აუცილებელი.[31] როგორც ხედავთ, ივ. ჯავახიშვილი ცდილობს მოგვცეს, ცალკეულ მხარეთა ერთიანი სურათი. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ივ. ჯავახიშვილის მიერ ცალკეულის სიღრმისეულად გაშუქების შემდეგ დღის წესრიგში დადგა მათი მთლიანობაში გააზრების საკითხი. დიდი ქართველი მეცნიერის მთელი ძალისხმევაც სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა.[32]

ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ შეეცადა, განეხორციელებინა გრანდიოზული კულტურულ-ისტორიული სინთეზი. ეს იდეა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უმთავრესად ორი გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. მასში ქართული რეალობის, პირველ რიგში, ცხადია, დიდი ილია ჭავჭავაძის შეხედულებებისა და გერმანიაში

[31] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენის და მწერლობის ისტორიის საკითხები. თბ. 1955, გვ. 90.

[32] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 83-86.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მივლინების ანარეკლი მოჩანს. უნდა ვივარაუდოთ, რომ გერმანიაში სამეცნიერო მივლინების დროს ივ. ჯავახიშვილი კარგად გაეცნობოდა იმ დისკუსიას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანულ ისტორიოგრაფიაში მე-19 საუკუნის 90-იანი წლებში და რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთავე სწორედ კარლ ლამპრეხტი გახლდათ, რომელიც, შესაძლოა, მისი ერთ-ერთი მასწავლებელიც იყო. მის როლს ივ. ჯავახიშვილის როგორც მაღალკვალიფიცირებული ისტორიკოსი- მედიევისტის ჩამოყალიბების საქმეში არ გამოვრიცხავთ. ხომ არაა ივ. ჯავახიშვილის, „ქართველი ერის ისტორია" კ. ლამპრეხტის „გერმანელი ხალხის ისტორიის" ანალოგია?[33]

„ივანე ჯავახიშვილის ისტორიოსოფია ეკუთვნის სწორედ კრიტიკულ მიმართულებას და მთელი მისი მცდელობა აგებულია დოგმატიზმის გამორიცხვაზე, ავტორიტეტის უარყოფაზე",[34] – დასძენს პროფ. ედ. კოდუა. ამ თვალსაზრისით საგულისხმო უნდა ჩანდეს ივ. ჯავახიშვილის მიდგომა წყაროების კრიტიკული მეთოდით დამუშავებისადმი. ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მეცნიერულია, გამოკვეთილად შემოქმედებით ხასიათს ატარებს და პოლემისტური მუხტითაა გაჯერებული, რომლის კრიტიკული ისრები, ბუნებრივია, ადვილი გზით სიარულის მოტრფიალე დოგმატიკოსების წინააღმდეგ იყო მიმართული. მათთვის მთავარია წყაროს მოპოვება. მისი გაშიფვრით ისინი თავს არ იწუხებენ. ივ. ჯავახიშვილი, ინგლისელი ისტორიკოსის რობინ ჯორჯ კოლინგვუდის მსგავსად, მათ ვაი-ისტორიკოსებს უწოდებდა,[35] მე-19 საუკუნის ცნობილ ფრანგ ისტორიკოსს, ჟიულ მიშლეს, უყვარდა თქმა: „ისტორიის გამოცნობა არ ხდება. ისინი, ვინც მას ზერელედ გადაავლებდნენ თვალს, რათა მასში ჰპოვონ უკვე გამზადებული თეორიების დამტკიცება, ძალზე ზღუდავენ თავიანთ საკითხავს და ვერ იგებენ იმ მცირედსაც, რაც წაიკითხეს".[36] ივ. ჯავახიშვილისათვის ასეთი პასიურობა, აპრიორულ-მჭვრეტელობითი მიდგომა სრულიად მიუღებელი ჩანს. ის სულ სხვა გზით მიდის. ის წყაროებში ცდილობს, გამონახოს ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზები და აქცენტს აკეთებს წყაროების ამოკითხვაზე, მასში ჩადებული

[33] მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 344.

[34] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 44.

[35] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 43-44; იხ. აგრეთვე Р. Дж. Коллингвуд. Идея истории. Автобиография. М. 1980, გვ. 244.

[36] ციტ.: გ. კიღურაძე. ახალი ისტორია. თბ. 1970, გვ. 389.

მრავალმნიშვნელოვანი ინფორმაციის გაშიფვრაზე. ეს იყო სწორი პოზიცია.

ივ. ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიურ და ისტორიის ფილოსოფიური ძიებებში ცენტრალური ადგილი უჭირავს ისტორიის მეცნიერებად დასახვას. ივ. ჯავახიშვილი ისტორიის მეცნიერული ღირებულების დასაბუთებას შეეცადა წყაროების კრიტიკული მეთოდის გამოყენების გზით. მისი ღრმა რწმენით, ისტორიული წყაროების კრიტიკულ ფილტრში გატარების შემთხვევაში მკაცრი კრიტიკული განხილვის შედეგად ისტორია იძენს მეცნიერულ სტატუსს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ივ. ჯავახიშვილმა რანკეს და პოზიტივისტების მსგავსად ისტორიის თხრობას მეცნიერული ელფერი შესძინა. მტკიცება ანიჭებს ისტორიას მეცნიერულ დატვირთვას და გამოყოფს სიტყვაკაზმული ლიტერატურისაგან. ფაქტობრივად, ის ემიჯნება იმ მეცნიერებს, რომლებიც ისტორიას ხელოვნების, სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნაირსახეობად მოიაზრებდნენ (მაგალითად, არტურ შოპენჰაუერი).

ივ. ჯავახიშვილი დარწმუნებულია, რომ ისტორია ობიექტური მეცნიერებაა. ისტორიის ობიექტურობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საიმედო გარანტიას წყაროების კრიტიკული მეთოდის დანერგვაში ხედავს. „ნამდვილი ჭეშმარიტების გამოსარკვევად თანამედროვე მკვლევარს ამის გამო უფლება არა აქვს, მხოლოდ ერთი მხარის საისტორიო ძეგლებს დაენდოს, არამედ, როგორც ეს შესაძლებელია, ორთავე მოპირდაპირე ბანაკის მწერლების თხზულებათა შედარებით, კრიტიკული შესწავლით და ფრთხილი სარგებლობით, ცხოვრების უტყუარი სურათი აღადგინოს.[37]

ივ. ჯავახიშვილს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის სიძნელეები, რომლებიც შეხვდებოდა ისტორიკოსს წარსულის რეკონსტრუქციის, ისტორიული ჭეშმარიტების, რეალობის დადგენის გზაზე. „თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ, აღმწერლის თვალსაზრისით, წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავისს ძლიერ დაღს ასვამს ხოლმე და ნებაუნებლიედ მიუდგომლობაზე მოქმედებს“, რომ „მაცდური სოფლის მოძულე ბერი – მემატიანე თავისუფალი აზროვნების და ყოფა ცხოვრების მიმდევარი საზოგადოებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს პირუთვნელობას ვერ გამოიჩენდა, მეფეთა პოლიტიკის მომხრე და კარის მემატიანეც მეფეთა საძრახის საქციელს ან სათაკილო ამბების აღმწერლობას თავის ნაწერებში არ შეიტანდა, ხოლო მეფის მოწინააღმდეგე აზნაურებისად-

[37] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, გვ. 101.

მი სიძულვილს ვერ შეიკავებდა და სხვ".[38] მიუხედავად ამ სირთულეებისა, ივ. ჯავახიშვილი დარწმუნებულია, რომ ისტორია წარმოადგენს შემეცნების ობიექტურ ფორმას. ამგვარი მიდგომა სავსებით შეესატყვისებოდა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო დონეს და ძალიან ბევრი მომხრეები ჰყავდა. ეს იყო ერთი ხედვა. ასეთ თვალსაზრისს აქვს მოქალაქეობის უფლება და აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. „ისტორიის შემეცნება და ამ შემეცნებაზე რეფლექცია ამოძრავებდა ივანე ჯავახიშვილს თავის ძიებებში. თუ პირველ ნაწილში მან დიდ წარმატებას მიაღწია, მეორე ნაწილში ისტორიაზე ფილოსოფიური რეფლექციები, მის მიერ დასახული ამოცანების უმეტესობა ნაადრევი სიკვდილის თუ ქართველი ერის ისტორიის სისტემური სურათის გადმოცემის გამო განუხორციელებელი დარჩა."[39] აქ საუბარია საკუთარი აზრების და განცდების ანალიზზე. არაა გამორიცხული ივ. ჯავახიშვილს შედარებით მკრთალად, სუსტად ჰქონდა გაცნობიერებული ისტორიის სუბიექტური მხარე, მისი გნოსეოლოგიური და ონტოლოგიური ასპექტები, ირაციონალური მომენტის, ინტუიციის მნიშვნელობა. ივ. ჯავახიშვილის ნააზრევი, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისება იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების საერთო დონეს და ძალიან კარგად თავსდება რანკეს და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში.[40]

და ბოლოს, ძალიან მოკლედ შევჩერდებით ივანე ჯავახიშვილის მიერ ობიექტური მეთოდის გამოყენებაზე. თემა არის საინტერესო და აქტუალური. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ აქ, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო რელიეფურად მჟღავნდება გერმანელი ისტორიკოსის, ლეოპოლდ ფონ რანკეს, გავლენა ივ. ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებების ფორმირებაზე. რანკე ობიექტურობის, და მიუკერძოებლობის მხურვალე მომხრეა. შეიძლება გვეჩვენა, მაგრამ გვგონია, რომ ივ. ჯავახიშვილის სახით საქმე გვაქვს ისტორიის „ტოტალური ობიექტურობის" იდეის მომხრესთან. ამ საკითხში ივ. ჯავახიშვილი რანკეს, და პოზიტივისტების მიმდევარი უნდა ჩანდეს. ის ცდილობს,

[38] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, გვ. 26.

[39] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 39.

[40] მ. კალანდაძე. ივანე ჯავახიშვილი და ისტორიის ეპისტემიოლოგიის საკითხები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. თბ. 2011, გვ. 241.

არ ჩამორჩეს, ფეხი აუწყოს მის თანამედროვე ისტორიული მეცნიერების ძირითად ტენდენციებს, სიახლეებს. მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს. გამორიცხული არაა, რომ ივ. ჯავახიშვილი ლეოპოლდ ფონ რანკეს მსგავსად, ფიქრობდა, რომ ისტორიკოსის ცნობიერება უნდა იყოს დაუინტერესებელი. თეორიულად ეს მოსაზრება სავსებით სწორია, მაგრამ მისი პრაქტიკული ხორცშესხმა, ძალზე ძნელია. საქმე ისაა, რომ ყოვლად წარმოუდგენელია, ისტორიკოსი იყოს ისტორიული მოვლენების უბრალო ფიქსატორი და დამალოს თავისი დამოკიდებულება მომხდარი ფაქტისადმი. „ისტორიის შესწავლამდე საჭიროა ჯერ თავად ისტორიკოსის შესწავლა... სანამ შეისწავლიდეთ ისტორიკოსის პიროვნებას, შეისწავლეთ მისი ისტორიული და სოციალური გარემო. ისტორიკოსი, გარდა იმისა, რომ პიროვნებაა, ამავე დროის ისტორიისა და საზოგადოების, პირმშოა,[41] – დასძენს ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ედვარდ კარი. ისტორიული გამოკვლევიდან ისტორიკოსის მეს ვერ გამოაძევებ. ამიტომ, პრაქტიკულად, ეს იყო ივ. ჯავახიშვილის თეორიულ-შემეცნებითი იდეალი, რომელსაც, მისი ღრმა რწმენით, უნდა ესწრაფოდეს ყველა ისტორიკოსი. ეს სავსებით სწორია.[42] ისტორია სუბიექტური მეცნიერებაა. მას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ისტორიულ მეცნიერებაში არსებული „კონცეპტუალური ანარქია“ ამის ლოგიკური შედეგია. მე-20 საუკუნის ჰოლანდიელი ისტორიკოსის, პიტერ ჰეილის, თქმით, „ისტორია დაუსწრებელი პოლემიკაა“. ისტორიკოსი არ ადგენს ჭეშმარიტებას, მას არ გამოაქვს საბოლოო ვერდიქტი. ეს არაა ისტორიკოსის საქმე. მაშ, რას აკეთებს ისტორიკოსი? ის ცდილობს, აღაგინოს წარსულში მომხდარი ფაქტი, ისტორიკოსი გვთავაზობს წარსულის საკუთარ ვერსიას. განა ეს ცოტაა? ვფიქრობთ, არა.[43]

* * *

ამრიგად, აკად. ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა ინგლისელი სწავლულის, რ. ჯ. კოლინგვუდის, შემოქმედების მსგავსად თეორიისა

[41] ედ. კარი. რა არის ისტორია. თბ. 2001, გვ. 40-41.

[42] მ. კალანდაძე. ივანე ჯაეახიშვილის და ისტორიის ეპისტემიოლოგიის საკითხები, გვ. 348.

[43] მ. კალანდაძე. რა არის ისტორია. კრ.: ისტორიანი. თბ. 2009; მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 17-45.

და ემპირიის დაკავშირების ერთ-ერთ მცდელობას წარმოადგენს. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ეს კავშირი, ალბათ, ყველაზე უპრიანი იქნებოდა განახორციელოს ისტორიკოსმა, რომელსაც მისი დანახვის გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს.

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საქართველოში ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხების მეცნიერული შესწავლის მესაძირკვლედ სწორედ დიდი ივანე ჯავახიშვილი გვევლინება. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ეს გახლდათ ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ივანე ჯავახიშვილის კიდევ ერთი დიდი დამსახურება და ამის გვერდის ავლა ისტორიული მეცნიერების წინაშე ივ. ჯავახიშვილის ღვაწლზე ამომწურავ, სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.

ამ რთულ თეორიულ საკითხებთან შეჭიდება ძალიან კარგია და მრავლისმეტყველი უნდა იყოს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ივ. ჯავახიშვილი არ იყო მარტო ჩინებული, უბადლო, ფაქტოლოგი, ემპირიკოსი ისტორიკოსი, არამედ ის ისტორიის თეორიულ საკითხებში საკმაოდ ჩახედული ჩანდა. ეს ივ. ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსის, კიდევ ერთი ძლიერი მხარე გახლდათ. ამ რთული თეორიული საკითხების დამუშავების საქმეში მან თავისი წვლილი შეიტანა და თავისი წონიანი სიტყვა თქვა. ისტორიული მეცნიერების ამ რთულ და აქტუალურ თეორიულ თემებზე მას საკუთარი, გამოკვეთილი პოზიცია ჰქონდა, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს. ამ პრობლემებზე მისი შეხედულებები, ვფიქრობთ, ძალიან კარგად უნდა თავსდებოდეს ლეოპოლდ ფონ რანკეს, და პოზიტივისტების თეორიულ-მეთოდოლოგიური ძიებების ჩარჩოებში და აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ივ. ჯავახიშვილი ისტორიის „ტოტალური ობიექტურობის“ მომხრედ შეიძლება მოვიაზროთ. მისი ღრმა რწმენით, ისტორია არის ობიექტური მეცნიერება. ეს თვალსაზრისი სავსებით შეესატყვისებოდა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო დონეს და ძალიან კარგად თავსდება რანკესა და პოზიტივისტების ისტორიული კონცეფციაში. ამგვარი მიდგომის მთავარ ამოსავალ წერტილს ჰეგელის ფილოსოფიური მოძღვრება წარმოადგენს. ეს იყო ისტორიული აზროვნების განვითარების ერთი საფეხური. არსებობს სხვა ხედვა. მისი მომხრეები, პირველ რიგში კი, ნეოკანტიანელები, ამტკიცებენ, რომ ისტორია სუბიექტური მეცნიერებაა,

ხოლო წარსულის შემეცნება, აღქმა, რელატიურ, შედარებით, ხასიათს ატარებს. ეს ისტორიული აზროვნების სულ სხვა საფეხურია. ივ. ჯავახიშვილის თვალში ჰეგელიანურმა მიდგომამ ხომ არ დაჩრდილა მეორე, უფრო პერსპექტიული და საინტერესო თვალსაზრისი? ამ მიმართულებით კვლევის გაღრმავება ფრიად აქტუალურად წარმოგვიდგენია.

ჩვენი ძალიან ფრთხილად იმ აზრისაკენ უფრო ვიხრებით, რომ ივ. ჯავახიშვილის სახით საქმე უნდა გვქონდეს საქართველოში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის კორიფესთან, რომლის თეორიულ ნააზრევს ქართული ისტორიული აზროვნების ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ის სავსებით სამართლიანად განეკუთვნება ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურს, ოქროს ფონდს. ივ. ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიური ძიებები სავსებით აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს და ევროპული ისტორიოგრაფიის დონეზე მაღლდება. ეს ივ. ჯავახიშვილისა და ქართული ისტორიოგრაფიის დიდი წარმატება იყო.

Merab Kalandadze

IVANE JAVAKHISHVILI AND THE METHODS OF HISTORICAL RESEARCH

Summary

Ivane Javakhishvili was well acquainted with the theoretical issues, methodology and philosophy of history. His works belong to the best examples of connecting theory and empirical studies. It is logical that Ivane Javakhishvili was the first scholar who studied the issues of historical methodology in Georgia.

The theoretical and methodological technics of Ivane Javakhishvili was not limited to the critical historical-philological method, as it was claimed by the Soviet Georgian historiography, and he was using the other methods of historical research too. Along with the historical comparativistics, he was using retrospective, objectivist, and individualisation methods.

The theoretical and methodological thoughts of Ivane Javakhishvili were in line with the requests of historical science in those times. His views can be placed within the scope of positivist historiography. Nevertheless, there are some questions, which need further clarification. First of all, we have to mention the idea of "total objectivity", which was very popular in historiography from the second half of 19th c.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

გვანცა აბდალაძე

ქართული სახელმწიფო – ტრანზიციის პროცესის პრობლემები

ცივი ომის დასრულებისა და სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდგომ პოსტ-სოციალისტური და პოსტ-საბჭოთა ქვეყნები ჩართული აღმოჩნდნენ სახელმწიფოს მშენებლობის ხანგრძლივ და რთულ პროცესში. დაიწყო „დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღა".

ახლად წარმოქმნილ ქვეყნებში დემოკრატიული ტრანზიციისა და ინსტიტუციური მშენებლობის შესწავლა პოლიტიკური მეცნიერების ბოლო პერიოდის კვლევითი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში. სამეცნიერო ლიტერატურასა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში არც თუ იშვიათად იხსენიებოდა ქართული მაგალითებიც. ქართული თემატიკის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო როგორც საერთაშორისო საზოგადოებაში ქართველი პოლიტიკოსების (ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი) ცნობადობამ, ასევე ქართული პრობლემების (სამოქალაქო ომი, ეთნოკონფლიქტები, ვარდების რევოლუცია, რუსეთ-საქართველოს ომი) აქტუალობამ.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ ლიტერატურას ბევრი ხარვეზი აქვს. ის ძირითადად ტრანზიციული პროცესების წინარე გამოცდილებას ეფუძნება ლათინური ამერიკისა და მსოფლიოს ზოგიერთი სხვა რეგიონის ქვეყნებში, რაც სრულიად არ ჰგავდა პოსტ-სოციალისტური ბლოკის ქვეყნების მაგალითებს. ავტორთა უმრავლესობამ საერთოდ გამოტოვა ან არაჯეროვანი ყურადღება მიაპყრო რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რადგანაც ისინი არ მოიაზრებოდა წინარე ტრანზიციული პროცესების ფაქტორებად.[1]

დასავლურ თეორიებზე დაფუძნებული ანალიზის ხარვეზებზე ყურადღების გამახვილებით სულაც არ გვინდა შევქმნათ შთაბეჭდილება, რომ ქართულმა სამეცნიერო თუ სამოქალაქო საზოგადოებამ გაცილებით პროფესიუ-

[1] Taras Kuzio. Transition in Post-Communist States: Triple or Quadruple. Politics. 2001. Vol. 21 (3), გვ. 168-177.

ლი და ანალიტიკური ხედვა შემოგვთავაზა. ქართულ საზოგადოებაში სახელმწიფო მშენებლობის პროცესის შესწავლა ნაკლებად იყო გამიჯნული დემოკრატიზაციის პროცესთან, ხოლო ეს უკანასკნელი ხშირად გაიგივებული იყო ჰეროიკულ სიმბოლოებთან (მაგალითად, 9 აპრილის თუ ვარდების რევოლუციის დღეებთან). ბოლო წლებში დემოკრატიზაციისა და ტრანზიციის პროცესების კვლევაში ყველაზე საინტერესოდ ზოგიერთი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევები გვესახება, რომელთაც შემოგვთავაზეს სხვადასხვა სახის შედარებითი კვლევები ამა თუ იმ კონკრეტულ თემატიკაზე, თუმცა, ვფიქრობთ, სახელმწიფო მშენებლობის პროცესის კომპლექსური შესწავლა კვლავ რჩება ყველაზე აქტუალურ პრობლემად.

თანამედროვე სახელმწიფოებრიობა ვესტფალიურ სისტემაზეა დაფუძნებული. თუმცა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, როცა გაიზარდა არშემდგარი სახელმწიფოების რიცხვი, არასახელმწიფოებრივი აქტორების გავლენა, გლობალიზაციური ტენდენციები, ჰუმანიტარული მიზნებით გამართლებული სამხედრო ინტერვენციის შემთხვევები, ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა: რა არის სახელმწიფოებრიობა? რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესზე? რა შედეგით შეიძლება დასრულდეს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის არასრულფასოვანი პროცესი?

1933 წლის მონტევიდეოს სახელმწიფოთა უფლებათა და პასუხისმგებლობათა კონვენციის I მუხლის თანახმად, სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ 4 მოთხოვნას: 1. მუდმივი მოსახლეობა. 2. განსაზღვრული ტერიტორია. 3. მთავრობა. 4. საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების უნარი.[2] მონტევიდეოს კონვენცია განსაზღვრავს სახელმწიფოებრიობის კომპონენტებს, თუმცა ბევრი სახელმწიფო ვერ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს და პრაქტიკაში ვხვდებით „კვაზი სახელმწიფოებს", „შავ ხვრელებს" და არშემდგარი სახელმწიფოების სხვა მრავალ სახეობას.

1992 წელს საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, მიიღო საერთაშორისო აღიარება არა როგორც შემდგარმა სახელმწიფომ იმჟამად, არამედ როგორც სახელმწიფომ, რომელიც უნდა შემდგარიყო სამომავლოდ. რთული პროცესი დაიწყო და გრძელდება დღემდე. ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე საინტერესო საკითხზე, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს კვლევით შეკითხვებად სახელმწიფოს მშენებლობის თემის კვლევი-

[2] http://www.cfr.org/sovereignty/montevideo-convention-rights-duties-states/p15897.

სას, ასევე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ტრანზიციის პროცესის ზოგიერთი კომპონენტის ურთიერთწინააღმდეგობრივ ხასიათზე.

• ევროინტეგრაციის პროცესი პოპულარული პოლიტიკური თუ კვლევითი თემაა საქართველოში. სახელმწიფოებრიობის მშენებლობის კვლევისთვის ევროინტეგრაციის საკითხი განხილულ უნდა იქნეს შემდეგი შეკითხვების მიხედვით: შესაძლებელია თუ არა დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობა ნატოსა და ევროკავშირის ქოლგის მიღმა? რა ცვლილებებს იწვევს საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაში ნატოსა და ევროკავშირის კავკასიაში გაფართოების უპერსპექტივობა უახლოეს მომავალში? რამდენად განსხვავებულია ევროინტეგრაციის პროცესის პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსა და მის მეზობელ კავკასიურ ქვეყნებში?

• საქართველოს (და ასევე მეზობელი კავკასიური ქვეყნების) პოლიტიკური მოწყობისა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები უმეტესად განხილულია გეოპოლიტიკური ხედვისა და საერთაშორისო წესრიგის პრიორიტეტების კონტექსტში. შიდასახელმწიფოებრივი აქტორებიდან ხდება გათვალისწინება ე. წ. პოსტ-საბჭოთა სინდრომისა და მისი შედეგების, კულტურულ-რელიგიური მახასიათებლების, სამოქალაქო აქტივობის, პარტიული ხედვების, და სხვ. ყოველივე აღნიშნულთან ერთად უნდა მოხდეს საკითხის შემდეგი კუთხით კვლევაც: გლობალიზაციის როლი რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში? გარდა სუპერსახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისა, თანამედროვე გლობალური სამყაროს რომელი სეგმენტისთვის შეიძლება ჰქონდეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობას დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური მნიშვნელობა? ამგვარი ასპექტების არდანახვა ცივი ომის ხედვის ინერციით გაგრძელებას ნიშნავს პოლიტიკის კვლევისას. ჩვენი ხედვის ერთგვარი თანამოაზრეობა შევნიშნეთ საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაციის კვლევით ანგარიშში, „საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები ქართული პოლიტიკური პარტიების პერსპექტივიდან“,[3] რომელშიც ხაზგასმულია, რომ გლობალიზაციას არც ერთი პოლიტიკური პარტია არ ასახელებს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევად.

• სახელმწიფოებრიობის მშენებლობის შეუძლებლობას პოლიტიკურად გახლეჩილი ან საგარეო საფრთხის ქვეშ მყოფი ქვეყნისთვის ხაზს უსვამს

[3] http://air.org.ge/Party%20Lenses%20Geo%20Final.pdf.

ზოგიერთი (და განსაკუთრებით პრორუსული ხედვის) თეორეტიკოსი.[4] ზოგიერთი უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინიციატორებს გარეშე ძალებიდან, რომლებიც შეძლებენ ან ვერ შეძლებენ პროცესის ბოლომდე მიყვანას. მაგალითად, ამერიკელი პოლიტოლოგი და აშშ დემოკრატიული ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოში, ლინკოლნ მიჩელი, სახელმწიფოებრიობის მშენებლობას საქართველოში აშშ ყოფილი მემარჯვენე მთავრობის ჩავარდნილ პროექტს უწოდებს.[5] ეს ორი ხედვა რომ შევაჯეროთ და გამარტივებული სახით წარმოვადგინოთ, აშკარა გახდება ისევ ცივი ომისეული იდეოლოგია, სადაც ამა თუ იმ პროცესის წარმართვა რუსეთისა და ამერიკის ურთიერთჭიდილსა და მონდომებაზეა დამოკიდებული. ქართული პოლიტიკური აზრიც ხშირად ახლოს არის საერთაშორისო სისტემის ცივი ომისდროინდელ ფერებში აღქმასთან, ხოლო საზოგადოების განსაკუთრებით ოპტიმისტური ნაწილი ემიჯნება რა მსოფლიოს ბიპოლარულობის იდეას, გვთავაზობს უნიპოლარულობის კონცეფციას, აშშ ჰეგემონიით სათავეში და სწორედ ამგვარ პოლარიზაციაში ხედავს ოპტიმიზმის საფუძველს. თუ ორივე წარმოდგენილ თვალსაზრისს უარვყოფთ და გავაანალიზებთ საერთაშორისო სისტემის სულ უფრო მზარდ მულტიპოლარიზაციას, სადაც ახალი „პოლუსები" თამაშის ახალ წესებსა და ღირებულებათა შეფასების ახალ კრიტერიუმებს გვთავაზობენ, ცხადი გახდება სახელმწიფოებრიობის მშენებლობის არაუნიფიცირებული გზა და არშემდგარი სახელმწიფოების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმის არააქტუალობა. სწორედ ამგვარი ხედვით გახდება შესაძლებელი, დაიძლიოს პრაქტიკის თეორიასთან მისადაგების არაეფექტური და არასრულფასოვანი ტენდენცია და, პირიქით, მოხდეს არსებული თეორიების განვითარება ახალი მაგალითების გათვალისწინებით.

ამდენად, ტრანზიციის პროცესისა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის შემადგენელ ქვეპროცესებად ხშირად მიიჩნევა ისეთი საკითხები, როგორებიცაა სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა, დემოკრატიზაცია, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, ეთნიკური ნაციონალიზმის სამოქალაქო ნაციონალიზმად ტრანსფორმაციის პროცესი და სხვ. თითოეული ეს საკითხი უდა-

[4] Andrei P. Tsygankov. Modern at last? Variety of Weak States in the Post-Soviet world. Communist and post-communist Studies. vol 40. No. 4. December 2007, გვ. 423-439.

[5] ლინკოლნ მიჩელი. პრაგმატული მეგობრობა. ჟურნ. „ლიბერალი". 24 მაისი. 2010.

ვოდ ურთიერთდამოკიდებულია ერთმანეთზე, მაგრამ არ გვინდა დავეთანხმოთ ამ პროცესების სინქრონულ ხასიათს ერთიანი მიზნის მისაღწევად. ჩვენი აზრით, ეს პროცესები ხშირად ურთიერთწინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. რომელიმე მათგანის წარუმატებელი ხასიათი არ შეიძლება გახდეს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის მთლიანი პროცესის შეფასების საფუძველი. თუმცა გაანალიზება იმისა, თუ რომელი ქვეპროცესი რა სახით მიმდინარეობს და ეს რა გავლენას ახდენს სხვა პროცესებზე, ნათლად დაგვანახებს, რა შედეგებამდე მიგვიყვანს სახელმწიფოებრიობის მშენებლობა.

Gvantsa Abdaladze

GEORGIAN STATE – PROBLEMS OF TRANSITION

Summary

With the collapse of the Soviet Union, post-communist countries had been engaged into the processes of state and nation-building, attempting to break with the authoritarian past and to start transition from communist dictatorship to democracy and rule of law. The "forth wave of democratization" began. Problems of democratic transition and institution building in the new independent countries became the new topic of research for political scientists all over the world. Georgia with its problematic and unsolved ethnical conflicts, with Rose Revolution and at last, with its war with Russia took the notable place among all these articles, reports and projects. However, the shortcomings of this literature are obvious. Grounded on existing theories and previous experience of transition and state-building processes in Latin America and some other regions of the world, western authors merely ignored or missed the most important questions because they were not factors in earlier transitions.

It is especially relevant now to change the emphasis of the research of state building processes in Georgia and underline topics that were missed, ignored or merely underestimated before. What is needed is something that combines the strength of different approaches, something that captures commonality but also diversity. The article aims to emphasize some new aspects and to show the controversial character of the process.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

როზეტა გუჯეჯიანი

მინდიეთის თემი
(ზედა მაჭახელი, თურქეთის რესპუბლიკა)

მინდიეთის თემი[1] (ოფიციალური სახელია **„მარალ“**) ზედა მაჭახელში მდებარეობს. ზედა მაჭახელი 1921 წლიდან თურქეთს მიეკუთვნა, ქვედა მაჭახელი კი ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს შემადგენლობაში დარჩა. მაჭახლის ხეობა როგრც საბჭოთა კავშირის, ასევე თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან, დახურულ ზონად გამოცხადდა და მთელი სამოცი წლით აკრძალული იყო კომუნიკაცია ორად გაყოფილ ხეობას შორის. საქართველოს რესპუბლიკის შექმნის შემდეგ აღდგა ურთიერთობა მაჭახლის ხეობის სხვადასხვა მხარეებში მცხოვრებ ნათესვათა შორის, რის საშუალებასაც ეს რეგიონი ნახევრ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო მოკლებული.

ზედა მაჭახელი (ოფიციალურად, **ჯამილი**) 6 თემისაგან შედგება: **ხერთვისი, ზედვაკე, ეფრატი, ქვაბითავი, მინდიეთი, აკრია.** თითოეულ თემში რამდენიმე სოფელია (მაჰალე) გაერთიანებული. ზედა მაჭახლის ადმინისტრაციუ-

[1] მინდიეთი, თურქეთის ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, სოფლად (ქოი) არის მინნეული, მაგრამ, რეალურად, მინდიეთი თემია და იგი რამდენიმე ცალკეული სოფლისაგან (მაჰალე) შედგება. მინდიეთი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ცნობილია, თურქეთის სახელმწიფოს მიერ სოფლად (ქოი) ჩათვლილი ყოველი ქართული დასახლებული პუნქტი რამდენიმე დამოუკიდებელი სახელის მქონე სოფლისაგან შედგება, ანუ ქოი ქმნის სოფელთა (მაჰალეები) კრებულს. ოფიციალურად ყოველი ასეთი კრებული სოფლად (ქოი) არის გატარებული და ერთი გამგებელი (მუხტარი) ჰყავს. ეფიქრობ, მართებული იქნება, ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეებში არსებული ტრადიციული ქართული დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად გამოყენებულ იქნეს ტერმინი **თემი** და არა სოფელი. ამგვარი დასახლების სტრუქტურა დამახასიათებელია საქართველოს მთიანი მხარეებისათვის, მაგალითად, სვანეთისა და ზემო აჭარის ყოველი თემი რამდენიმე ცალკეული სოფლისაგან შედგება და მათ თემის სახელი აერთიანებთ.

ლი ცენტრი **ხერთვისია**, რაიონი ბორჩხაა, ხოლო ვილაიეთი (რეგიონი) არ-თვინია. დღეისათვის ზედა მაჭახელში დაახლოებით 500-მდე ოჯახია, მათგან თითქმის ნახევარი ზამთრობითაც რჩება ხეობაში. სასიხარულოა, რომ პენსია-ზე გასული მაჭახლელები მშობლიურ მხარეს უბრუნდებიან დიდი ქალაქები-დან.

მინდიეთის თემი **დიდღელის** ხეობაში მდებარეობს. დიდღელის სათავე **მერეთის მთაშია** (ადგილი **„ყელობა“**). აკრიის თემის მიდამოებში დიდღელეს აკრიის წყალს უწოდებენ, მინდიეთის ტერიტორიაზე შემოსვლის შემდეგ იგი მინდიეთის წყალი ხდება. ხერთვისის თემში დიდღელეს ეფრატის ღელე უერთდება და იქმნება მდინარე **მაჭახელი**. მინდიეთს ჩამოუდის სხვა ღელე-ებიც: **ცივნარეთის ღელე, ზეკალეთის ღელე** და სხვ.

ზედა მაჭახელი დღესაც მდიდარია ტყეებით, ხის ძვირფასი სამშენებ-ლო ჯიშებით, თანაც რეგიონი ნაკრძალ ზონადაა გამოცხადებული, იგი იუ-ნესკოს მიერ დაცულ ტერიტორიადაა აღიარებული. ეს კი იცავს ზედა მაჭახ-ლის ტყეებს გავერანებისაგან, ასევე ჰესების მშენებლობისაგან.

მინდიეთის თემში რამდენიმე დიდი და პატარა სოფელია: **ირემეთი, ზე-კალეთი, ოსანეთი, ქავთარეთი, გივიეთი, ცეცხლეთი, კონკალათი, ზემტყისი, ზემვარე** (გივიეთის საკარია, მაჰალე), **ველის** ნახევარი, **წიახის** ნახევარი, **ცივნარეთი, კორტანეთი, გოგორტყე, ჯორიეთი, დიდტყე.** სოფლების ოფიცია-ლური სახელწოდებები XX საუკუნის 50-იანი წლებიდან თურქულია, მაგრამ მოსახლეობა იყენებს ქართულ სახელებსაც. ამჟამად თითქმის ყველგან შეცვ-ლილია არამხოლოდ სოფლების, არამედ თვით მაჰალეების სახელებიც კი. მაგალითად, ირემეთს ურუნლუ შეარქვს.

მინდიეთის მოსახლეობა ეთნიკურად მთლიანად ქართველია, თუმცა მინ-დიეთელთა მცირე ნაწილი დაქორწინებულია არაქართველებზეც, მაგრამ მო-სახლეობის ეს ნაწილი დიდ ქალაქებშია ემიგრირებული.

ცნობილია, მაჭახლის ხეობა უძველესი დროიდან მოყოლებული და, ასევე, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა სა-ქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში. ამ მხარე-ში უწყვეტად ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა. რეგიონის თავისებუ-რებები განაპირობებული იყო გეოგრაფიული პირობებით.

მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარე ხანგრძლივი ისტორიის მქონეა. მაჭახელი ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გამო ძველი მსოფლიოს მთავარი საქარავნო-სავაჭრო გზის ერთ მონაკვეთს მოიცავდა,

ასევე გვიან შუა საუკუნეებშიც შავშეთისაკენ მიმავალი გზა მაჭახელზე გადიოდა და გადმოცემით, ამ მხარის ბოლო თემში – ეფრატში მდებარეობდა ერთ-ერთი საბაჟო პუნქტი[2] .

მაჭახლის ძველი სახელი **მიჭიხიანია.** მიჭიხიანი **ტბეთის ეპარქიაში** შედიოდა. „მტბევარის სამწყსო: დახატულას ზედათი ანაკერთს აქეთისულა შავშეთი მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოზის. იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა, აჭარა დანდალოს ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა“[3].

მაჭახლის სოფლებისა და საგვარეულოების შესახებ საყურადღებო მასალაა დაცული გიორგი ყაზბეგის მიერ ტბეთის საკათედრო ტაძარში აღმოჩენილ ხელნაწერში. ამ ხელნაწერს პავლე ინგოროყვა უწოდებს შემდეგ სახელს – **„სულთა მატიანე მიჭიხიანის ხევისა“**[4]. ლენინგრადის არქივში დაცული ქართული ხელნაწერი 1977 წელს ვრცელი კომენტარებითა და საძიებლებითურთ გამოსცა თ. ენუქიძემ და **„ტბეთის სულთა მატიანე“** დაარქვა[5]. მკვლევარს, ბუნებრივია, მოტანილი აქვს გარკვეული არგუმენტები ახალ სახელწოდებასთან დაკავშირებით, მაგრამ ხელნაწერს სახელად, ვფიქრობ, „მიჭიხიანის სულთა მატინე“ უფრო მიესადაგებოდა, ვინაიდან, **„ტბეთის სულთა მატიანის“** მიხედვით, **ძირითადად სწორედ მაჭახლის ხეობის მოსახლეობა ჩანს შემწირველად.** მაჭახელში მდებარეობდა „მაჭახლის დედა-ეკლესიად“ წოდებული ტაძარი ეფრატის თემში. ამ ადგილას, ეკლესიის საძირკველზე, ეკლესიისავე ქვებით აგებულია ჯამე. ადგილს **სანაკი//სენაკი** ჰქვია. იქვე შემონახულია სამონასტრო კომპლექსისა და გვირაბების სისტემა. ეფრატის თემში ჩაწერილი გადმოცემით, ეფრატის დედა ეკლესიაში მოღვაწე უკანასკნელ მღვდელს, რომელსაც **სვიმონ ეფრატელი** რქმევია, ხელისუფლების (ოსმალეთის ხელისუფლება) თანხმობით, **ეფრატის ეკლესიიდან წაულია ქართული ხელნაწერები და ტბეთში გადაუტანია.** მღვდელი წარმოშობით იმერხე-

---

[2] ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი. 1974, გვ. 7-8.

[3] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ). თარგმნა ა. ტოტოჩავამ. ბათუმი. 1988, გვ. 77.

[4] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ. 1954, გვ. 96.

[5] ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები. III. ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ. თბ. 1977.

ვის სოფელ **უსტამისიდან** ყოფილა. მთხრობელთა აზრით, „ტბეთის სულთა მატინე“ ეფრატის ეკლესიიდან არის წაღებული სვიმონ ეფრატელის მიერ.

გვიან შუა საუკუნეებიდან მაჭახელი **ოსმალთა იმპერიის** ფარგლებშია მოქცეული. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია, რომ მაჭახლელები მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ყველაზე გვიან გამაჰმადიანებულან[6].

1878 წლიდან მაჭახელზე გავრცელდა რუსეთის იმპერიის იურისდიქცია. რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად 1881-1882 წლებში და, აგრეთვე, 1921 წლიდან ხეობა დატოვა მრავალმა მუჰაჯირად წასულმა ქართველმა. 1878 წლის მუჰაჯირობა განსაკუთრებით მასშტაბურია. ხალხი სოფლებიდან წასულა ჯერ კიდევ რუსების შემოსვლამდე. ამ დროს თითქმის განახევრებულა მოსახლეობის რაოდენობა. მინდიეთელთა ნახევარზე მეტი გადასახლებულა **ორდუს ვილაიეთის უნიეს რაიონის სოფელ თექქირაზში.** მუჰაჯირად წასულთა ერთი ნაწილი რამდენიმე წლის შემდეგ უკანვე დაბრუნებულა და მამაპაპეულ საცხოვრისში აღუდგენია კერა. ნაწილი კი უნიეს მხარეში დარჩენილა, მათ შთამომავლებს დღესაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მაჭახელში მცხოვრებ ნათესავებთან.

1921 წლიდან ზედა მაჭახელი კვლავ თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ამ დროიდან იწყება ბათუმსა და ზედა მაჭახლის ხეობას და მასთან ერთად მთელ შავშეთს, კლარჯეთს, ნიგალის მხარესა და ამიერტაოს შორის არსებული ტრადიციული სოციალური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მოშლა და ნოვაციური ყოფითი ელემენტების გაჩენა/დამკვიდრება. ცნობილია, ზედა მაჭახლის ხეობა ორგანულად იყო დაკავშირებული ქვედა მაჭახელთან. თურქეთის შემადგენლობაში მოქცეულ ისტორიული საქართველოს სხვა ნაწილებთან მას რთული გეოგრაფიული პირობების გამო ზამთრობით გზა ეკეტება. ზედა მაჭახელში სამანქანო გზა ადის მხოლოდ თურქეთის მხრიდან. ქლასკურთან და ბორჩხასთან დამაკავშირებელი ეს გზა პაწამთაზე დიდთოვლობის გამო მთელი 7-8 თვის განმავლობაში იკეტება.

საქართველოს გათავისუფლების შემდეგ (1991 წელი) თანდათანობით მომზადდა ნიადაგი და რამდენიმე წლის წინ ზამთრობით ხეობაში ჩაკეტილ ზედა მაჭახლელებს უფლება მიეცათ ქვედა მაჭახელში გადასვლისა და იქიდან სარფის გზით თურქეთისკენ გადაადგილებისა. ამგვარ მგზავრობას თურქეთის ადმინისტრაციის ნებართვით თურქეთის სპეციალური „სერვისი“ ემსა-

[6] ს. ჭიჭინაძე. ქართველების გამაჰმადიანება. ტფ. 1907.

ხურება. ორ სახელმწიფოს შორის მზადდება ზედა და ქვედა მაჭახლის დამაკავშირებული გზის გახსნა. ეს გზა უშუალო საზღვარია საქართველოსთან (ქვედა მაჭახელი, ხელვაჩაურის რაიონის სოფელი ზედა ჩხუტუნეთი).

ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის დაშლას და საქართველოს გათავისუფლებას ზედა მაჭახლის მოსახლეობა უდიდესი სიხარულით შეხვდა, რადგან საბჭოთა საქართველო მათთვის, ფაქტობრივად, რუსეთად მიიჩნეოდა. ამავე დროს შესაძლებელი გახდა ახლობელ-ნათესავების მოძიება და გაწყვეტილი ნათესაური ურთიერთობების აღდგენა. ცნობილია, საზღვრის ჩაკეტვის გამო (1921 წელი) მთელი 60 წლით ერთმანეთს დაშორდნენ უახლოესი ნათესავები, ოჯახები ორად გაიყო. არათუ კონტაქტის, არამედ ზედა ან ქვედა მაჭახლის მოსახლეობისათვის გაღმა დარჩენილი ხეობისაკენ ხელის გაშვერაც კი ისჯებოდა როგორც საბჭოთა, ასევე თურქეთის ხელისუფლების მხრიდან. ერთ-ერთი მთხრობელის დედას ქვედა მაჭახელში დარჩენია სამი და და ერთი ძმა. თვითონ კი ზედა მაჭახელში ყოფილა გათხოვილი, „ნენეი დილას ღელეზე ჩადიოდა, წყალს შესვამდა და პაწაის უკან ჩაღვრიდა, ჩემს სოფელს ჩაიარს, ჩემი და დალევს და იცნობს, რომ მე ვრ, გამიხსენებენ“-ო. საზღვრის გახსნის შემდეგ ეს ქალი მის შვილს ქვედა მაჭახელში ჩაუყვანია, ქალს 60 წლის უნახავ დედმამიშვილებთან დაუყვია ერთი თვე. შემდეგ უთქვამს, სიკვდილის აღარ მეშინიაო. ასეთი უამარავი სიუჟეტია დაფიქსირებული ყველა თემსა და სოფელში, როგორც ზედა, ასევე ქვედა მაჭახელში.

მინდიეთში შემონახულია ქართული გვარების ხსოვნა. არის რამდენიმე გვარი, რომლებიც უცვლელი სახით არის წარმოდგენილი, მაგალითად, **ირემაძე, ქათამაძე, ციკნარიძე, გივიაძე** და სხვ. გვარების დიდ ნაწილს კი ოსმალური ფორმა აქვს: იხტიაროღლი, მეთინოღლი და სხვ. თურქეთის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მინდიეთელებს, ისევე როგორც თურქეთის ყველა მოქალაქეს, ახალი, თურქული გვარები მიენიჭათ.

თანამედროვე მასალით მინდიეთში შემდეგი გვარები არსებობს: „ახალურიდან დევწყოთ, ვინცხა რომ არიან, რაცხა რომ არიან: **ირემაძეიდან** დევწყოთ, სოფლის თავიდან. **ჩახალოღლი,** ჩამოვიდა იქზედან, ახლა აქ ზის, აქუარია. **მეთინოღლი** არი. **იხტიაროღლი** არი, **შაჰანალოღლი** არი, გადმოხვალ აქეთ: ქვეიდან ამოსული **ელიმანიშვილი** (ჩიქუნარი არი). ცოტა აქეთ გამოხვალ, **თურმანძეები** არიან, **ფერსანიძეები** იყვნენ, **ჯინოღლები** იყვნენ. გმაოვედით აქეთ, **ხოზიკოღლები** იყვნენ, **ოსანიძეები** არიან (ბაირახტაროღლები). **ციკნარიძეები** სამი-ოთხი არიან, გარიგებული ბევრი არიან. ციკნარიძეები

არიან: **ბექირბაიარხტაროღლი, დურსუნოღლი, სარიოსმანოღლი** არი, **ქუჩუ-კოსმანოღლები,** ძველად იყვენე **ფუტკარაძეები. კარჩხალოღლები** იტყვიან, **მუთაველოღლები** არიან, **სეიდიაღიშვილი** იყო, ის ვინებიდან იყო არვიცი, ვინმე არ დარჩა ამოწყდნენ. **ჯანგიანოღლები** არიან. **დუშბაძეები** არიან, ჩამოსული არიან. **აშილალოღლები** არიან, ისინ ჩამოსულები არიან. **თანთოღლები** არიან, **ავბექირიშვილები** არიან ახლა. **შექეროღლები** არიან, მაგრამ ამათი ძველი გვარი არვიცი. **გრძელოღლები** თანთოღლების განაყარი არიან. **ძველი-შვილიც** აქ იყო, ქვედაური. **მუსტაფაოღლი** არი, მათ რაცხა ძველი გვარი აქვ, არვიცი, **ჩხიკვაძე** არი აქზე ჩვენი მეზობელი არი. გეხვალ აქ **გივიაძეები** არი. გივიაძეში **უსტაალიოღლი** არი, **ქაშიბოღლი** არი, ძველად ყოფილა, **ხან-ჯიოღლი** არი. **ხანჯიოღლი** და **ქაშიბოღლი ჰასანოღლია. ჯიბუტაძე** არი, **ბი-ლალოღლი, ჩიკუტაძე** არი, **ბექიროღლი. ქათამიძე** არი".

-ეთ სუფიქსით სოფლების სახელებია შემონახული: **ირემეთი, ცეცხლე-თი, ჯორიეთი, გივიეთი, ოსანეთი, ზეკალეთი, ცივნარეთი...**

„ტბეთის სულთა მატიენეში" მოხსენიებულ მაჭახლის სოფელთა (**ზედ-ვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ეფრატი, ხერთვისი**) შორის მინდიეთი არ იხსე-ნიება, მაგრამ წყაროში დაფიქსირებულია დღესაც კი მინდიეთში მცხოვრები საგვარეულოები.

მოსახლეობაში შემონახულია **ცოდნა ისტორიული საქართველოს მხა-რეების — ზედა მაჭახლის, ნიგალის/ლიგანის, შავშეთის (დღევანდელი თურ-ქეთის რესპუბლიკა) და აჭარის — ტრადიციული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების შესახებ;** ახსოვთ ამ ეთნიკურად ქართული მხარე-ების ერთმანეთთან გადასასვლელი **გზა-ბილიკების მარშრუტები** და **ტოპონი-მები,** აგრეთვე, აკრიიდან და მინდიეთიდან აჭარაში (საქართველო) გადმო-სასვლელი ბილიკები. ზედა მაჭახელს უშუალოდ ეკვრის ქვედა მაჭახელი (ხერთვისს გაღმა), აჭარა (მინდიეთის და აკრიის მთებიდან), კარჩხალის მთიდან გადასავლელებია იმერხევში, საიდანაც მიემართებოდნენ შავშეთის, არტაანისა და კოლასაკენ. თეთრიწყლის მთიდან გზა მიემართება დევსქელის-წყლის ხეობისაკენ. მაჭახლიდან მარადიდში ძველად (XX საუკუნის 20-იან წლებამდე) ტრადიციული გზით დადიოდნენ: „აქდან ჩახვიდოდი კირნათის ხიდზე, იქიდან შებრუნდებოდი კირნათისკენ და გადხვიდოდი მარადიდში". **1921 წლამდე** ზედა მაჭახლისთვის ბართან, ქალაქთან ურთიერთობის მარ-შრუტს **ქვედა მაჭახლის გავლით ბათუმთან კავშირი და, აგრეთვე, მარადი-დის ცნობილი ბაზრობა წარმოადგენდა**. ახალი საზღვრის გავლების შემდეგ

ზედა მაჭახლელები იძულებულნი გახდნენ გზები გაეკვალათ ლიგანის ხეობისაკენ, თუმცა ეს გზა უფრო რთული იყო და ზამთრობით დღესაც კი 7-8 თვითაა ჩაკეტილი.

მინდიეთელებს ეამაყებათ თავიანთი სოფელი და მინდიეთელობა: „მინდიეთი ძველი სოფელია. დედაური სოფელია. მინდიეთს ყველა სოფლიდან მოსულები ჰყავს. მინდიეთი იმდენეთი მითლილი იყო რომ პირველზე, მინდიელი ერთი დასასახლებელი ერთი ბიჭისთვის რომ საცხან გოგო გამოერჩინ მეორე სოფელში, ეთხოვნეს, დეეფიქრეს, რომ გუუსწორდებეოდნენ სახლს, მინდიელს გოგო მივცეთ თუ არაო, არ იტყონდენ, ჩვენი გოგო მინდიეთს გელინობას-სძალობას იქს თუ არაო, ამას იტყონდენ.“ „მინდიელი კაცი არ გიმტყუნებს. ზედა მაჭახლისთვის ყველა სოფელი ისეა. მინდიეთის ინსანი (ადამიანი) მძიმეა, არ გიმტყუნებს, არ მოგატყუილებს. რაცხას იქს, ბევრ დაიფიქრავს. კარგობაც ძალოვან კარგია, ნაწყენიც ძნელი იქნებოდა. არც მან ვინმეს დუუშავებს რამეს, მანაც არ წყავს“.

მინდიეთელი მოსწავლეები მოკლებულნი არიან თავიანთ სოფლებში განათლების მიღების შესაძლებლობას. მთელ ზედა მაჭახელში არის მხოლოდ ერთი სკოლა-ინტერნატი. იგი მდებარეობს ხერთვისში და არის 8 წლიანი სწავლება. სკოლის მოსწავლეები ორშაბათიდან პარასკევამდე სკოლა-ინტერნატში ცხოვრობენ, შაბათ-კვირას კი თავ-თავიანთ ოჯახებს უბრუნდებიან. სკოლაში ქართული ენა არ ისწავლება.

ისტორიული საქართველოს სხვა მხარეებისგან განსხვავებით, ზედა მაჭახელში მიგრაციული პროცესები ნაკლებად შეინიშნება. მინდიეთის თემში ზამთრობით იკლებს მოსახლეობის რაოდენობა, მაგრამ თითქმის ყველა სოფელში რჩება რამდენიმე ოჯახი.

ზედა მაჭახლის **დასახლების ტიპი კვლავაც ტრადიციული ქართულია, ხევისპირული.** ვერტიკალურ ზონალობაშია განთავსებული სოფლები და საცხოვრებლები. სოფლები უბნებადაა დაყოფილი. უბნებში, ძირითადად, მოგვარეები ცხოვრობენ, ახლო ნათესავები, განაყრები.

ზედა მაჭახლური **საცხოვრებელი ნაგებობა** ტრადიციულად, წაბლის ხისაა, ქვის საძირკვლებზე, გადახურულია ნაძვისაგან გამოხდილი ყავრით ან კრამიტით და აჭარული სახლის ლოკალურ ნაირსახეობას წარმოადგენს. ამჟამად სახლები ძირითადად საცხოვრებელი დანიშნულებისაა და სამეურნეო ნაგებობები ცალკეა განთავსებული. 20-30 წლის წინ კი ახორი სახლის პირველ სართულზე იყო მოწყობილი. კარ-მიდამოს განუყოფელი ნაწილია ბელე-

ლი და ნალია.

ორსართულიანი სახლების პირველ სართულზე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი და სამეურნეო იარაღი აწყვია. მეორე სართულზე აივნიდანაა შესასვლელი მთავარ ოთახში, სადაც ოჯახის უფროსი წყვილის საძინებელიცაა. ამ ოთახიდან არის გასასვლელი დერეფანში, რომლის გასწვრივ სამზარეულო, სასტუმრო ოთახი, ორი სხვა ოთახი (დასაწოლი ოდიები) და ბოლოში საკუჭნაოა მოწყობილი. მთავარ ოთახში ძველებური სექვების ადგილზე ამჟამადაც ორი ტახტია. ზოგიერთ სახლში ბუხრის გასწვრივ კედელში ორი ნიშია. ცნობილია, ძველად ამ ნიშებში ერთ მხარეს ქვეშაგებელს ინახავდნენ, ხოლო მეორე ნიშში ე.წ. აბანო-ჰამამიც იყო მოწყობილი. იქ სითბოც ტრიალებდა და ხის ჯამიც იდგა, რომელსაც უერთდებდა ხის ღარი, რითაც ნაბანი წყალი გარეთ იღვრებოდა. მთხრობელთა ინფორმაციით, XX საუკუნის 30-60-იან წლებში ასეთი აბანო-ჰამამი ყველა სახლში იყო.

ტრადიციული საცხოვრებლის უმთავრესი ელემენტები გადატანილია თანამედროვე ყოფაშიც: ახალი სახლები, რომლებიც კვლავ ძირითადად ხისა შენდება, იმეორებს ტრადიციულ ტიპს, იმ განსხვავებით, რომ ორსართულიანი სახლების ინტერიერში აუცილებლადაა თანამედროვე წყალგაყვანილობისა და გათბობის სისტემები. მაჭახლელები აქტიურად ცდილობენ ტრადიციული ხალხური არქიტექტურის ნორმების დაცვას და ჯერჯერობით ახერხებენ ამას.

სამეურნეო ნაგებობები კვლავაც უცვლელი სახით მეორდება. კარ-მიდამოში განთავსებულია რამდენიმე სამეურნეო ნაგებობა: საბძელი, ნალია, საფუტკრე, საშეშე ფარდული.

მეურნეობის ტრადიციული დარგებიდან კვლავ მისდევენ **მიწათმოქმედებას** (ხორბლის კულტურა თითქმის გამოდევნილია სიმინდით) და **მესაქონლეობას** (ჰყავთ მცირე რაოდენობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თხა, ცხვარი). მესიმინდეობა არის მაჭახლელთათვის მეურნეობის მთავარი დარგი. ყანებისა და სათიბების დიდი ნაწილი ბოლო ოცი წლის განმავლობაში დაიფარა თხილის ბუჩქებით, რადგან იგი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

შემონახულია **ტერასული მეურნეობის (ოროკები)** ზოგიერთი ნიშანი. ტერასები (ოროკები) ხის ან ქვის მასალითაა ამოშენებული და გამაგრებული.

შემონახულია **ტრადიციული ქართული შრომითი ურთიერთდახმარების ფორმა — ნადი.** მაჭახლელთა ნადი განსაკუთრებით საინტერესო სანახავია,

რადგან ამ მხარეში ცოცხალია ქართული მარავალხმიანობა და ნადური სიმღერები შრომითი პროცესის განუყრელი ატრიბუტია **(ნადური (ყანური), „ელესა“).** ნადი სცოდნიათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პერიოდშიც და მშენებლობის დროსაც. ზედა მაჭახელში ხალხური სიმღერა წარმოადგენს ყოფის ელემენტს. აქ სიმღერას ესთეტიური სიამოვნების მიღების ფუნქციაზე მეტად წმინდა პრაქტიკული და პრაგმატული დატვირთვა აქვს. სიმინდის გარჩევის დროს იწვევდნენ ქალების ნადს.

მინდიეთელებს აქვთ ბაღ-ბოსტნები. ზედა მაჭახლის ტრადიციული კვებითი სისტემა, ძირითადად, რძის ნაწარმისა და მცენარეულისაგან შედგება. მთხრობელთა ინფორმაციით, ხორცს, ძირითადად, მთაში, ზაფხულობით მიირთმევდნენ. სჩვეოდათ, ერთად შეკრება და ციკნის დაკვლა. ციკანს მთლიანად წამოაგებდნენ შამფურზე და ცეცხლზე შეწვავდნენ. ყოველდღიური საკვებია და, ფაქტობრივად, პურის მაგივრობას წევს მჭადი. შეჭამანდები მრავალფეროვანია: ფხალლობიო, მალახტო, კვახის შორვა, სხვადასხვა სახის მჟავეები... რძისაგან ამზადებენ კარაქს, ნაღებს, მაწონს, რამდენიმე სახის ყველს: ჩეჩილი, ფშვნილაი და სხვ.

მაჭახლელთა კარმიდამოებს ამკობს ყვავილნარი, ხოლო სახლების წინ და გზისპირებზე კაკლის და წაბლის ხეებია გაშენებული.

შემონახულია **მაღლარი ვაზის ჯიშებიც** (ჩხავერი). ვაზი მაღალ ხეებზეა აშვებული, ძირითადად, ლეკის ხეზე.

მესაქონლეობის ტრადიციული ფორმები თანაარსებობს თანამედროვე ყოფასთან. ყოველ სოფელს აქვს თავისი **„მთა“**, სადაც მიერეკებიან საქონელს „მემთევრნი“ ზაფხულიდან შემოდგომამდე. მინდიეთელთა მთას **მერეთა** ჰქვია. იგი განაწილებულია მინდიეთის სოფელთა შორის. მთაში ტრადიციულად იმართებოდა შუამთობის ხალხური დღესასწაული.

ცოცხალია და დაწინაურებულია მეურნეობის დამხმარე დარგი მეფუტკრეობა. XIX საუკუნის მონაცემებით, გამორჩეული მეფუტკრეები ცხოვრობდნენ მინდიეთსა და ეფრატში[7]. მეფუტკრეობას ბევრი ოჯახი მისდევს ამჟამადაც და უკვე მთელ თურქეთსა და ასევე ევროპაშიც განთქმულია მაჭახლის თაფლი. მეფუტკრეობის პროდუქტებს ყიდიან დიდ ქალაქებში, სადაც სპეციალური მაღაზიებია გახსნილი. იქ, ძირითადად, მაჭახლელები არიან დასაქმებული. გამოყენებულია ძველებური სკა – ყავრანი//ყოვანი, მრგვალი გეჯა, რომელიც მთლიანი ხისაგნაა გამოთლილი. არსებობს ყავრანის/ყოვანის

[7] ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა, გვ. 53.

ხეებზე გადგმის ტრადიციაც.

ხელოსნობის ტრადიციული დარგებიდან შემონახულია **ხითხუროობა** და, ფრაგმენტულად, **მჭედლობა, ძველად კი მაჭახელში მჭედლობის, ქვის, ხის და კერამიკული წარმოების** სახელგანთქმული კერები არსებობდა. დაკარგულია **მეთუნეობის** და **ქვაზე კვეთის** ტრადიციები, რითაც გამორჩეული იყო ეს მხარე. თუმცა არსებობს ადგილები, სადაც ძველად სამეთუნეო თიხას მოიპოვებდნენ კრამიტის, ჯამების, დერგების, კეცების, საწყლე მილებისა და საწყლე ჭურჭლისათვის; აგრეთვე ახსოვთ საძიგველების//საცეხველების, ხელსაფქვავებისა თუ წისქვილის დოლაბების დამზადების წესები, მაგრამ ახალგაზრდა თაობაში ეს ცოდნა დაკარგულია. კერამიკული ნაწარმი ბორჩხიდან ამოაქვთ. ძველად მინდიეთელი ქალები ამზადებდნენ კეცებს, დერგებს. მინდიეთის თემში ორი სათიხე ადგილია, საიდანაც მოჰქონდათ თიხა.

ცოცხალია და თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება მოყვანილი **ხითხუროობის ტრადიცია**. ადგილობრივი ხელოსნები აშენებენ სახლებს, სამეურნეო ნაგებობებს და ამზადებენ ხის ავეჯს (კარადა, კიდობანი, ტახტი, მაგიდა, სკამი...).

ჯერ კიდევ აკეთებენ ხოკერებს და ერთ-ერთმა მასპინძელმა ჩვენ თვალწინ დამზადებული ხოკერი საჩუქრადაც გამოგვატანა. ხოკერი, ტრადიციულად, წაბლის და თელისაგან კეთდება, ტკეჩიც წაბლისა აქვს.

ხანდაზმულ ქალებს შემონახული აქვთ **ფეიქრობის ტრადიცია**. მთხრობელთა ინფორმაციით, ფარდაგების ქსოვის ტრადიცია XX საუკუნის 50-60-იან წლებში დავიწყებას მისცემია. ტრადიცია ხელახლა აღორძინებულა XX საუკუნის 60-იან წლებში შავშეთიდან გადმოყვანილი მასწავლებლის ცოლის მეშვეობით, რომელსაც მინდიეთელი გოგონებისათვის უსწავლებია ქსოვა. ოჯახებში შემონახულია საფეიქრო დაზგები.

ზედა მაჭახლის ყოფაში შემონახულია **ძველებური საოჯახო და სამეურნეო ინვენტარი** (თოხი, ნამგალი/მანგალი, ფიწალი, გოდორი, გობი, კეცი, კროჭი, ლიტრა, კოდი, ხოკერი, კოლოფი, ჯილღაი, ციგა, უღელი, სახნისი, ტაბიკები, საბელი, წირეხი, თოკები/თოკვები...) და მათი დამზადების წესები.

ზემო აჭარისათვის დამახასიათებელი იშვიათი კონსტრუქციისა და სილამაზის **ხის გადახურული ხიდები, დაფიქსირდა ზედა მაჭახელშიც (ქათამო, გოხინავრი)**. მინდიეთის თემში ასეთი ხიდი გადებული ყოფილა დიდღელეზე ზემტყისისა და ზემზვარისაკენ გადასავლელად და აგებული ყოფილა ადგი-

ლობრივი ხელოსნის, გივიაძის, მიერ. ეს ხიდი დაუნგრევიათ ახალი, ბეტონის ხიდის გადების დროს. ოსანეთის ღელეზე XIX საუკუნეში, მუჰაჯირობამდე, აუგიათ ქვის თაღოვანი ხიდი, ტრადიციული ქართული არქიტექტურული ნორმების მიხედვით. ხიდი ამჟამად მცენარეებით არის დაფარული.

უფროს თაობას ახსოვს ტრადიციული სულიერი კულტურის ზოგიერთი ელემენტი, მაგალითად, **ახალი წლის აღნიშვნის წმინდა ქართული წესი. ახალ წელს „ჩვენებურ ახალწელს“ უწოდებენ.** ახალ წელს ჩვენებური, ე.წ. ძველი სტილით, 14 იანვარს ზეიმობდნენ. „13 იანვრის ღამით თეთრ ხაპ შევწვავდით, სიმინდ მოვხარშევდით, ღამით კარგ დაცდილ მეზობელს დუუძახებდით. იმის უკანიშვე აშურაᲲ გავაკეთებდით. აშურაᲲ 7 თანეა: სიმინდი, ქერი, ლოხოტი, ჭენდიმე, პური, ლობიო, ფეტვი, ჩავყრიდით, შაქარ დუუმატებდით, წყალ დავასხამთ, მოვხარშავთ, ვანელიას ჩავყრით, გემრიელ სუნ მივცემთ. დილით (14 იანვარს) ბიჭი, უმზრახად, დუულაპარაკებლად, ახორს სამჯერ გარს შემოუვლიდა, ახორში შევიდოდა, საქონელ, ჭარებს მიულოცევდა. მერე თეთრ ხაპს წევიღებდით, ძროხას გუუგორებდით, რომე არ გაგორდეს“. „დილას კარგი მლოცავი კაც მოვიყვანთ, არ დაიძახებდა, მარჯვენა ფეხ შემოადგამდა, ღმერთმა ლამაზად გამყოფათ-ო იტყოდა. ის კაი ფეხის გამოგვიდგებოდა, იმაᲲ შექერს მივცემდით, თაფლ, კაკალს მივართმევდით. ახორს შემოუვლიდა, დალოცვიდა“. სასურველად ითვლებოდა მამრობითი სქესის მეკვლე, რადგან ამბობენ, ქალებს ცუდი ფეხი აქვთო.

შემონახულია **გარეგნობის (გარგნობა)** ხალხური დღეობის ფრაგმენტები. გარეგნობა დღეს მინდიეთელები მაღლა მთებზე ადიოდნენ და ხალხურ დღეობას მართავდნენ. დღეობა აპრილის დასაწყისში აღინიშნებოდა. მთაზე შლიდნენ სუფრას, „სამობდნენ“ (ცეკვავდნენ), მღეროდნენ. ამ დღეს აკრძალული იყო გარედან რამის, თუნდაც ფიჩხის, შემოტანა, გველი შემოჰყვებაო.

მინდიეთში რამდენიმე ჯამეა, **მათგან უძველესად ითვლება ირემეთის ჯამე, რომლის შიდა კვეთილობაში ტრადიციული ქართული ორნემენტის ელემენტები შეინიშნება.** მინდიეთის თემში ეკლესიათა ნაკვალევი გამქრალია. ზოგიერთი ჯამე ეკლესიის ნანგრევზეა აშენებული. ეს ადგილები სოფლების ძველ შუაგულს წარმოადგენს, სადაც მოსახლეობის ტრადიციული თავშეყრის ადგილი მდებარეობდა და მათ გამუსლიმების შემდეგ „ჯამიკარი“ ეწოდა.

ცოცხალია თამარ მეფესთან დაკავშირებული ლეგენდა-გადმოცემები. ეს გადმოცემები ძირითადად ზ. ჭიჭინაძის მიერ XIX საუკუნის მიწურულს და-

ფიქსირებული ლეგენდების ვარიაციებია[8], მაგრამ მათი დღემდე არსებობა ტრადიციული ქართული კულტურის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი საყურადღებო გამოვლინებაა.

ტრადიციული ქართული მენტალობის მრავალი მახასიათებელია ზედა მაჭახელში შემონახული: სოფელი მხარში უდგას ერთმანეთს ჭირსა და ლხინში. ჩვენს თხოვნაზე, შეესრულებინათ ქართული სიმღერები, ერთგან უარი გვითხრეს, მოგვიბოდიშეს: „დღეს სოფელში მკვდარია, მხიარულება არ არისო“.

ზედა მაჭახელი საინტერესოა ენობრივადაც. სასიხარულოა, რომ ბავშვებიც კი ქართულად ლაპარაკობენ და ეს გამონაკლისს წარმოადგენს თანამედროვე სიტუაციაში. თურქეთში მოქცეულ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა შორის ამ ეტაპზე მხოლოდ მაჭახელში არ დგას ქართული ენის დაკარგვის მკვეთრი საფრთხე.

[8] ს. ჭიჭინაძე. წმ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანებში შეკრებილის ცნობებით. აღწერილი და მეოთხეთ გამოცემული ს. ჭიჭინაძისაგან. ტფ. 1913.

Rozeta Gujejiani

MINDIETI COMMUNITY (ZEDA MACHAKHELI, REPUBLIC OF TURKEY)

Summary

Mindieti community ("Maral") is in Zeda (Upper) Machakheli. Zeda (Upper) Machakheli belongs to Turkey from 1921 while Kveda (Lower) Machakheli was a part of Georgia occupied by Bolshevik Russia. Machakheli gorge was declared a closed zone by the Soviet Union as well as by the Republic of Turkey; the communication between the two parts of gorges was forbidden for sixty years. After creation of the Republic of Georgia the relations between the relatives living in different parts of the gorge have been restored.

Zeda (Upper) Machakheli (Jamili in Turkish) consists of 6 communities: Khertvisi, Zedvake, Eprati, Kvabitavi, Mindieti, Akria. There are several villages (Mahalea) in every community. The administrative centre of Zeda (Upper) Machakheli is Khertvisi, Borchkha district, vilayet (region) of Artvin. Nowadays there are 500 families in Zeda (Upper) Machakheli, almost half of them stay in gorge for winter. It is pleasant that after the retirement people from Machakheli return to their motherland from big cities.

Mindieti community is situated in Didghele gorge. There are some other streams in Mindieti: Tsivnareti stream, Zekaleti Stream etc.

Zeda (Upper) Machakheli is recognized to be a protected territory by UNESCO. There are several big and small villages in Mindieti community: Iremeti, Zekaleti, Osaneti, Kavtareti, Givieti, Tsetskhleti, Konkalati, Zemtkisi, Zemvare (Givieti's Sakaria, Mahale), the half of Veli, the half of Tsiakhi, Tsivnareti, Kortaneti, Gogortke, Jorieti, Didtke. The population of Mindieti is ethnically Georgian.

The old name of Machakheli is Michikhiani. Michikhiani was a part of eparchy of Tbeti.

From 1878 Machakheli was under the jurisdiction of the Russian Empire. As a result of the Russian anti-Georgian policy, many Georgians left the gorge in 1881-1882 as well as in 1921.

The memory about Georgian surnames is saved in Mindieti. There are several surnames which are represented in an unchanged form, for example Iremadze, Katamadze, Tsivnaridze, Giviadze etc. A large part of surnames have Islamic form: Ikhtiaroghli, Metinoghli etc. After creation of the Republic of Turkey new Turkish surnames were given to the population of Mindieti as well as to the citizens of Turkey.

The knowledge about the traditional agricultural-economic relations between historical Georgian regions – Zeda (Upper) Machakheli, Nigali/Ligani, Shavsheti (the Republic of Turkey nowadays) and Adjara is saved in population. Unlike other parts of historical Georgia, the migration processes are not common in Zeda (Upper) Machakheli. The number of population in Mindieti community decreases in winter, but several families stay in almost every village.

The type of settlement in Zeda (Upper) Machakheli is traditionally Georgian, Khevispiruli. Villages and dwellings are situated in vertical zone. Villages are divided into districts. The people with the same surnames, close relatives live mainly in districts. The dwellings in Zeda (Upper) Machakheli are traditionally made of chestnut trees, with the stone foundations, covered with lath distilled from spruce or tiles; they represent the local varieties of Adjarian house. The indivisible parts of the dwellings are barn and granary.

From the traditional branches of economy they still follow agriculture (wheat is almost wholly replaced by maize) and stock farming (they have cattle, goats, sheep). Growing maize is the main branch of economy in Machakheli. A big part of cornfields and mowing lands has been covered with hazelnut bushes during the past twenty years, because they are important sources of income. The traditional Georgian mutual aid form – Nadi is saved as well as some kind of vine varieties (Chkhaveri). The vine grows up on the high trees, mainly on the Leki (maple) tree. People in Mindieti have gardens. The traditional food system in Zeda (Upper) Machakheli mainly consists of dairy products and vegetables.

The traditional forms of stock farming coexist with the modern life. Every village has its own Mta (Mereta). The folk feast of Shuamtoba was held traditionally in the mountains. The subsidiary branch of the economy – bee-keeping is also developed.

From the traditional branches of handicraft wood carpenter and partly blacksmith's work is preserved. The tradition of weaving is saved in elderly women. The looms are kept in families.

The traditional family and economic equipment and the rules of their

production is preserved in Mindieti as well as the wooden covered bridge of rare construction and beauty and comparatively new stone arched bridge, which is built according to the traditional Georgian architectural standards.

The older generation remembers some elements of traditional spiritual culture, for example, New Year; the fragments of folk feast of Garegnoba (Gargnoba) are preserved as well as the legends about King Tamar. There are several Jameh mosques. The oldest is the Mindieti Jameh; the elements of the traditional Georgian ornaments can be seen in its internal carvings.

Zeda (Upper) Machakheli is also interesting linguistically.

Among Georgian historical-ethnographic regions, which are the part of Turkey, only Machakheli has no threat of losing the Georgian language at this stage.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

გიორგი ავთანდილაშვილი

მთის რაჭიდან დანახული დვალეთი: დვალთა ვინაობისა და მეტყველების შესახებ

საქართველოს დაკარგულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის დვალეთს იშვიათად ახსენებენ. ეს მხარე ფარნავაზ მეფის დროიდან მოყოლებული (ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნა) საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო,[1] ვიდრე 1858 წელს რუსეთის ხელისუფლებამ საბოლოოდ არ ჩამოაშორა საქართველოს. დღეს დვალეთი მოქცეულია ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში. მისი საერთო ფართობი 3 581 კვადრატულ კილომეტერია.[2]

დვალეთს მდებარეობს კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილში, მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ხევი და თრუსო, დასავლეთიდან — მთის რაჭა და კუდარო, სამხრეთიდან — შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი ლიახვის სათავეები), ჩრდილოეთიდან — ალაგირის ხეობა. დვალეთი შედგება ექვსი ხეობისაგან: *კასრის ხევი, ზრამაგა, ულელე, ნარა, ზროგო* და *ზახა*. იგი საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი სხვა ეთნოგრაფიული ერთეულის მსგავსად (თუშეთი, ხევი, პირიქითა ხევსურეთი) კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა მდებარეობს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იგი გეოგრაფიულად დანარჩენ საქართველოსთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ვიდრე ოსეთთან. ამის მიზეზი ის არის, რომ დვალეთის ჩრდილოეთით მდებარე ქედი უფრო მაღალია და გაუვალია, ვიდრე სამხრეთის მთავარი წყალგამყოფი ქედი. შიდა ქართლის მთიანი მონაკვეთიდან დვალეთში 11 სხვადასხვა გადასასვლელიდან მთავარი იყო *ზეკარა*. „ამ გადასასვლელი გზებით ზამთარშიც

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 633.

[2] რ. თოფჩიშვილი. ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბ. 2002, გვ. 59-61.

კი შეიძლებოდა სარგებლობა, მაშინ როდესაც დვალეთიდან ოსეთში შემავალი ერთადერთი გადასვლელი – კასრის კარი, მხოლოდ ზაფხულობით სამი-ოთხი თვე ფუნქციონირებდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან კასრის კარით საქართველოში შემოსასვლელი ეს გზა ქართულ წყაროებში „გზა დვალეთისას“ სახელწოდებითაც არის ცნობილი. კასრის კარის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „და არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არ ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“.[3]

დვალეთისა და დვალების შესახებ ქართულ საისტორიო და ეთნოლოგიურ მეცნიერებაში არაერთი ნაშრომი არსებობს,[4] ამიტომ ამ პრობლემას წინამდებარე ნაშრომში აღარ შევეხებით; მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ბოლო ხანებში გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც არგუმენტირებულია ის მოსაზრება, რომ დვალები ქართველი მთიელები იყვნენ, რომლებიც ქართული ენის ერთ-ერთ დიალექტზე მეტყველებდნენ.[5] „აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ დვალთა ქართველობის შესახებ მიღებული დასკვნები ეყრდნობა საისტორიო წყაროებს, საარქივო მონაცემებს,

[3] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 644-645.

[4] დ. გვრიტიშვილი. დვალთა ეთნიკური ვინაობის და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. „მიმომხილველი“. თბილისი. 1949, გვ. 109-121; В. А. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб. 1961; ვ. გამრეკელი. დვალები – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. 3; რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ. 1997, გვ. 6-72; რ. თოფჩიშვილი. კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის. „ანალები“. №2, გვ. 50-55; რ. თოფჩიშვილი. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიისათვის. ანალები. №2. 2001, გვ. 16-20; რ. თოფჩიშვილი. ონომასტიკური მონაცემები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. III. თბ. 2011, გვ. 56-79: Р. Топчишвили. Об этнической принадлежности двалов. В кн.: Р. Топчишвили. Кавказоведческие исследования. Тб. 2011, გვ. 88-123; ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიისათვის (ეთნონიმების „ოსი“ და „დვალი“-ს მიმართების საკითხისათვის). საისტორიო ძიებანი. I. თბ. 1998; ვ. ითონიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თბ. 1992, გვ. 69-186.

[5] რ. თოფჩიშვილი. ეთნოისტორიული ეტიუდები. წ. I. თბ. 2005, გვ. 169-178; რ. თოფჩიშვილი. ონომასტიკური მონაცემები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ, გვ. 56-79; Р. Топчишвили. Об этнической принадлежности двалов, გვ. 88-123; ბ. გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიისათვის (ეთნონიმების „ოსი“ და „დვალი“-ს მიმართების საკითხისათვის).

ონომასტიკურ მონაცემებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, ეთნოგრაფიული მასალების ანალიზს.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, დვალეთი ძირითადად ქართლის (შემდეგ – ქართლ-კახეთის) სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. დროდადრო, როგორც ჩანს, დვალეთის ერთი – დასავლეთი ნაწილი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის (XVII საუკუნის პირველი ნახევარი) ტიტულატურა: „მეფეთ-მეფე, სრულიად იმერთა, აფხაზთა, სვანთა, დვალთა, ოსთა მპყრობელი და მართებული მეფეთ-მეფე“.[6]

დვალების ეთნოგრაფიული ჯგუფი გაქრა და XVI-XVII საუკუნეებში ქართველებს აქ ეთნიკური ოსები ჩაენაცვლნენ. მაგრამ ერთობ რთულია ზუსტად განსაზღვრა თუ, რა ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდებოდნენ დვალები, ან ქართული ენის რომელ დიალექტთან იყო ახლოს დვალების ქართული მეტყველება. საყურადღებოა, რომ დვალეთის ზახას ხეობაში XIX საუკუნეში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ქართულ ენას. აქური ოსები ორენოვანნი იყვნენ.[7] დვალეთს აღმოსავლეთიდან ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე (თრუსო) ესაზღვრებოდა, სამხრეთიდან – შიდა ქართლის მთიანეთი, დასავლეთიდან კი – მთის რაჭა. თერგის სათავიდან თუ დვალეთის ზახას ხეობაშია შესასვლელი, მთის რაჭიდან (რიონის მარცხენა შენაკად ჭანჭახის ხეობიდან) თანამედროვე მამისონის უღელტეხილით დვალეთის ჟღელეს ხეობაშია გადასასვლელი. სავარაუდოდ, დვალურ დიალექტს ან აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან, ან რაჭულ დიალექტთან უნდა ჰქონოდა საერთო. თუ დვალების ეთნოგრაფიული ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს გაავაანალიზებთ, ვფიქრობთ, ამ კითხვას შეიძლება პასუხი გაეცეს.“ ამ თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი მაინც ქართველ ენათმეცნიერთა მიერ მიღებული დასკვნებია. ქართულ ლინგვისტურ მეცნიერებაში მიღებულია დასკვნა, რომ მთის რაჭის სოფელ გლოლის მეტყველება – გლოლური – ახლო კავშირს ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მეტყველებასთან: „ჭიორულ-ღებურში, როგორც ზემოთ ითქვა, სვანურის გავლენის, თუ სვანუ-

[6] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. ტ. I. თბ. 1991, გვ. 225.

[7] Б. А. Калоев. Осетинские историко-этнографические этюды. М. 1999, გვ. 274.

რი სუბსტრატის კვალი შეიმჩნევა. სრულიად განცალკევებით დგას გლოლური. მასში საკმაოდ მკვიდრად დაცულია გრამატიკული არქიზმები (სახელის მრავლობითობის -ნ ნიშნის ხშირი ხმარება, ნამყოში III პირის მრავლობითობის -ეს სუფიქსის შემონახვა, შემასმენლის შეთანხმება ნ-არიან ობიექტთან, გამონაყოფთა გვარების წარმოება და სხვ.), რაც გლოლურს ამჟამად მთის კილოებთან და ისტორიულად აღმოსავლურ დიალექტებთან აახლოვებს. ამ სიახლოვეს ადასტურებენ ეთნოგრაფიული ფაქტები, მუსიკაში კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის დასაბუთებით სიმღერები, გადმოცემები და სხვა მონაცემები".[8]

როგორც წესი, სხვადასხვა ეთნოგრაფიულ მხარეთა დიალექტები იმ შემთხვევაში ჰგავს ერთმანეთს, თუ ისინი ტერიტორიულად ერთმანეთის მეზობლად არსებობენ და ამ გზით გადაეცემათ ერთმანეთისაგან სხვადასხვა დიალექტური მახასიათებლები. იმ დროს, როდესაც მთის რაჭის დანარჩენი ორი სოფლის მეტყველება — ღებური და ჭიორული სვანურს, ქვემორაჭული კი — ლეჩხუმურს და ქვემოიმერულს ჰგავს, ასეთი მსგავსება არც არის გასაკვირი, რადგან ქვემო რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო იმერეთი მეზობელი ეთნოგრაფიულ-დიალექტური მხარეებია. ერთი სოფლის, გლოლის მეტყველება განცალკევებით დგას. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ განსხვავდება გლოლური მეტყველება დანარჩენი რაჭულისგან, მით უმეტეს, ღებურისა და ჭიორულისაგან (ამ ორი სოფლის მეტყველებას რივნისთაულს უწოდებენ) და რატომ ჰგავს იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დიალექტებს; აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები ხომ ტერიტორიულად ძალიან არიან დაშორებული მთის რაჭის სოფელ გლოლისაგან? კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ სოფელი გლოლა დვალეთს დასავლეთიდან ესაზღვრება. როგორც მთის რაჭაში მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, გლოლის მოსახლეობას ინტენსიური კონტაქტები, სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა დვალეთის ოსურ მოსახლეობასთან. ეს ურთიერთობები ტრადიციული იყო და, ბუნებრივია, იმ დროსაც არსებობდა, როდესაც დვალეთში ქართველი მთიელები — დვალები მკვიდრობდნენ. მიგვაჩნია, რომ გლოლური მეტყველების აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან მსგავსება სრულიად ახსნადია. დვალეთელი ქართველი მთიელების — დვალე-

[8] ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქაეთარაძე. ქართული დიალექტოლოგია. ტ. I. თბ. 1961.

ბის დიალექტიც ქართული ენის აღმოსავლური მთის დიალექტების ჯგუფში შედიოდა. ოსთა დვალეთში თარეშებისა და შემდეგ მიგრაციის დროს, დვალები მთელ საქართველოში გაიფანტნენ, მათ შორის, რაჭაშიც. ხოლო დვალეთთან მოსაზღვრე მთის რაჭის სოფელ გლოლაში ისინი კომპაქტურად დასახლდნენ და თან მოიტანეს ის მეტყველებაც / დიალექტიც, რომელზედაც დვალეთში საუბრობდნენ. გლოლურის სიახლოვეს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან სხვა ახსნა არ გააჩნია.

გლოლაში ეთნოგრაფიული მასალების შეკრების დროს აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში, სხვა სოფლებისგან განსხვავებით, საკმაოდ დიდი ინფორმაციაა შენახული დვალეთის შესახებ. „ადრე დვალები ქართველები ყოფილან, ეხლა კი ოსები ცხოვრობენ იქ. როგორც კი გადავალთ ბევრი კოშკია აშენებული. ჩვენ ძირითადად ხის მშენებლობაზე გადავდიოდით. მამისონის უღელტეხილს რომ გადავიდოდით ბევრი სოფელი იყო: სატა, ძრამაგა, ზროგო, ჟღელე. რომ გადავალთ პირველი სოფელია ქალაქა. დვალეთში ტყე არაა. დვალეთი ჩვენზე ღარიბი მხარეა. აქ პატარ-პატარა სოფლებია, უბრალო სახლები დგას. კოშკები საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, თუმცა თავები მონგრეული ქონდა. სახლებს ნაკელით ლესავდნენ. ქართველებს დვალეთში დიდი პატივს სცემდნენ, ისევე როგრც ქართველები – დვალეთელ ოსებს. ჩვენ ერთმანეთის ნათლიებიც ვიყავით და მოკერძეებიც. დვალეთში ბოსლები სახლებზე იყო გადაბმული, ზოგჯერ კი მოშორებით იდგა“ (მთხრობელი *რაჟდენ სულხანიშვილი*, 85 წლის, სოფელი გლოლა, 2011 წელი). ღებისა და ჭიორის მოსახლეობას ძირითადი სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა თუ მათ მეზობელ ქართველ მთიელებთან – სვანებთან ჰქონდათ (რიონის სათავიდან სვანეთში გადასასვლელ მთას სასვანო გორა ჰქვია), დვალეთელ ოსებთან კი შეხება ფაქტობრივად არ ჰქონიათ. მართალია ისინი სავაჭროდ ხშირად დადიოდნენ კავკასიის ქედის გადაღმა, მაგრამ მათთვის უფრო მოსახერხებელი იყო ოსეთის დიგორის საზოგადოებაში, ყაბარდოში და ბალყარეთში სიარული, ვიდრე დვალეთში. ღებელები კარაგონის მთით დიგორში გადადიოდნენ, თუმცა მათთან ურთიერთობას ერიდებოდნენ. მათ შორის მტრობა უფრო მეტი იყო, ვიდრე კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა. განსხვავებული მდგომარეობა გვხვდება გლოლაში. ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა სავაჭროდ და სამუშაოდ წასულიყო დვალეთში მცხოვრებ ოსებთან. მართალია დვალეთი უფრო ახლოს იყო და იქ უფრო ადვილი იყო წასვლა, მაგრამ გლოლიდან ასევე შესაძლებელი იყო დიგორში

გადასვლა. ადგილობრივი მოსახლეობა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ დიგორის ხეობაში და დვალეთში მცხოვრები ოსები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. სავარაუდოდ, ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ დიგორელი ოსები დანარჩენი ოსებისგან განსხვავებით მუსლიმები იყვნენ, მაგრამ არც სხვა ფაქტორებია დასავიწყებელი. საქმე ის არის, რომ გლოლის მოსახლეობას ისტორიულად ახსოვდათ მათი წინაპრების დამოკიდებულება დვალეთის მოსახლეობის მიმართ. მათ იცოდნენ რომ ოდესღაც აქ ქართველები ცხოვრობდნენ და ინერციით მათკენ მიუწევდათ გული. აღსანიშნავია ისიც, რომ დვალეთში ასიმილირებული დვალებიც ცხოვრობდნენ. მართალია, ვახუშტის მიხედვით, მათ დაივიწყეს ენა ქართული და „აწ უბნობენ ოსურად", მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ კულტურულ ურთიერთობებს. გაოსებულ დვალებს ბუნებრივია ასევე წინაპრებისგან ახსოვდათ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან, და სავარაუდებელია, რომ ინარჩუნებდნენ კიდეც ამ კავშირებს, ეს ხომ მათ ინტერესებშიც შედიოდა.

მთის რაჭაში, განსაკუთრებით კი გლოლაში, მატერიალურ ყოფაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ გლოლური კილოს აღმოსავლურ ქართულთან დაკავშირება უბრალო დამთხვევა არ არის. მთის რაჭის მოსახლეობა მატერიალური ყოფითა და მეურნეობის წარმოებით უფრო ახლოს დგას აღმოსავლეთ საქართველოს მთასთან, ვიდრე დანარჩენ რაჭასთან. საყურადღებო ინფორმაციის შემცველია XX საუკუნის დასაწყისში, სოფელ გლოლაში დაფიქსირებული სულიერი კულტურის ზოგიერთი ელემენტი. სერგი მაკალათიას მიერ ჩაწერილი მასალების მიცედვით, გლოლაში ქრისტიანული სალოცავებიდან ყველაზე მეტად წმინდა გიორგის სახელს სცემდნენ თაყვანს. გლოლიდან ორიოდე ვერსის მანძილზე მდებარეობს *შხელის წმინდა გიორგი*, იგი ლამაზი ტყით არის შემოფარგლული, და აქ ხის მოჭრა სასტიკად აკრძალულია. საინტერესოა თავად ხატობის აღწერა: „შხელში ხატობა ორჯერ იმართება, ერთი მაისში – წარმართული ხასიათის „ათანიგენა" და მეორე 10 ნოემბერს – გიორგობა. *ათანიგენობას* აქ გლოლელები დღესასწაულობენ, სადაც მთელი სოფლის თემი თავს იყრის „განატეხებით", ღვინით და საკლავებით. ათანიგენობას თემის უხუცესი ღვთაებას შესთხოვდა თემის გაძლიერებას და წარმატებას".[9] შხელის წმინდა გიორგიში ასევე აკრძალული იყო ქალების სალოცავის ტერიტორიასთან მიახლოვება და ცხენით მის გარშემო მინდორზე გავლა. თუ კარგად დავაკვირდებით, ძალიან დიდი მსგავსებაა აქა-

[9] ს. მაკალათია. მთის რაჭა. თბ. 1987, გვ. 86-87.

ურ „ათანიგენასა“ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა მხარეში – ხევში, ხევსურეთში, თუშეთში – საყოველთაოდ გავრცელებულ „ათენგენობის“ დღესასწაულს შორის. რაც მთავარია, ათინგენობას დღესასწაულობდნენ დვალეთშიც. დვალეთის სოფელ თლიში „სამხთოს ჯვრის“ სალოცავთან ადგილობრივი მკვიდრნი „ათინგენობის“ დღესასწაულს აღნიშნავდნენ.[10] უფრო ადრე – 1920 წლის მოგზაურობისას ანალოგიური მონაცემები აქვს დადასტურებული ექვთიმე თაყაიშვილს: „გლოლის დასავლეთით, ტყეში ყოფილა მეორე, წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მცხოვრებთათვის. ასე უწოდებენ „შხელის ეკლესიას“. მისთვის დაწესებულია მთელი კვირა მარხვა, ორი კვირით ადრე ყველიერამდე. აღდგომა დღეს ამ ეკლესიაში ზემო რაჭის სხვა სოფლებიდანაც კი მოდიან და იქ სადილობენ ხოლმე, შემოდგომაზე, გიორგობის თვეში აქ იცის დღესასწაული **ათენგენობა“**.[11] მსგავსება აშკარაა როგორც სახელებში ასევე ხატობის მიმდინარეობაში. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გლოლელები *შხერის წმინდა* გიორგობას ორჯერ აღნიშნავენ, ერთხელ მხოლოდ ამ სოფლის თემი – *ათინიგენობას* და მეორედ – 10 ნოემბერს, სადაც უკვე მლოცველები რაჭის სხვადასხვა კუთხიდან მოდიან და ჩვეულებრივ *გიორგობას* აღნიშნავდნენ. რაჭის სხვადასვა სოფლიდან გლოლის / შხელის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოსული მლოცველი მთის რაჭიდან XVI-XVII საუკუნეებში გადასახლებულნი უნდა იყვნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ამ პერიოდშია დადასტურებული მიგრაციული პროცესი: „XVI-XVII სს-ში მთიულეთის სოფლები ხიდური, ბრილი, თევრეშო, ბუბა... გარეშე მტრის მუდმივი შემოსევების შედეგად მთლიანად მოიშალა. მოსახლეობა ამ სოფლებიდან ქვემო სვანეთში და რაჭის სხვა სოფლებში გადასახლდა“.[12] ბუნებრივია, გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე, კონკრეტულად ჩვენს შემთხვევაში ბუბაში (გლოლაში) ახლოს მდებარე დვალეთიდან ქართველი მთიელი დვალები გადმოსახლდნენ, სადაც ოსთა ალაგირის ხეობიდან ინტენსიური გადმოსახლება, ძალადობრივი დასახლკარება მიმდინარეობდა. გლოლაში დვალეთიდან მოსულმა ქართველმა მთიელებმა თან მოიტანეს „ათენგენობის“ დღესასწაული. აღმოსავლეთ საქარ-

[10] Р. Топчишвили. Об этнической принадлежности двалов, გვ. 114.

[11] ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წწ. თბ. 1963, გვ. 24.

[12] თ. ბერაძე. იმერეთის სამეფოს მთიანეთის სოციალური განვითარების საკითხისათვის. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში. თბ. 1983, გვ. 31.

თველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფასთან გლოლების და, შესაბამისად, დვალების კავშირს ისიც მიუთითებს, რომ *შხელის წმინდა გიორგის – ათენგენობის* დღესასწაულის სიახლოვეს ქალები არ დაიშვებოდნენ. რატომ მოდიოდნენ რაჭის სხვადასხვა სოფლებიდან შხელის წმინდა გიორგის სალოცავში? რატომ ზეიმობდნენ ერთ სალოცავში / ეკლესიაში გიორგობას და ათენგენობას და ათენგენობას რატომ მხოლოდ და მხოლოდ გლოლელები ლოცულობდნენ. პასუხი მარტივია: რაჭის სხვადასხვა სოფლებიდან გიორგობის დღესასწაულზე მოსული მოსახლეობა თავის დროზე გლოლიდან იყო გადასახლებული და ქართული ტრადიციის თანახმად გადასახალებულთა შთამომავალნი წინაპართა სალოცავს არ ივიწყებდნენ. შხელის წმინდა გიორგის ეკლესიაში ათენგენობის დღესასწაულის აღნიშვნა კი ასევე მიგრაციასთანაა დაკავშირებული. დვალეთიდან, სავარაუდოდ სოფელ თლიდან, გლოლაში მიგრირებულმა მოსახლეობამ თან წამოიღო წინაპართა სალოცავის ათენგენის ნიში და ეს ნიში *შხელის წმინდა გიორგის* ეკლესიაში დააფუძნა. ამიტომ ლოცულობდნენ გლოლელები წმინდა გიორგის ეკლესიაში ათენგენობას.

საინტერესოა შხერის სალოცავთან დაკავშირებული ერთი გადმოცემაც, რომელიც ასევე სერგი მაკალათიას აქვს დაფიქსირებული. ამ თქმულების მიხედვით, ძველად *შხერის წმინდა გიორგი* ძალიან მდიდარი ყოფილა ძვირფასი ხატებით. ერთხელ შიგნით ხანძარი გაჩენილა და ყველა ხატი პირწმინდად დამდნარა. საყდარში იმდენად ბევრი ხატი ინახებოდა, რომ მის წინ დამდნარი ოქროს და ვერცხლის წყლისაგან ტბა დამდგარა. ერთადერთი რაც ხანძარს უვნებლად გადაურჩა იყო *შხერის წმინდა გიორგის ჯვარი.* გადმოცემით ამ ხანძრის შემდეგ ჯვარი ოსეთში წასულა. აქ, ბუნებრივია, ოსეთში იგულისხმება დვალეთი / დვალები. ამრიგად, ამ მონაცემით კიდევ ერთხელ იკვეთება გლოლაში არსებული შხერის წმინდა გიორგის, სადაც ათენგენობის დღესასწაულს იხდიდნენ, დვალეთთან და დვალებთან კავშირი. როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთათვის დამახასიათებელი ტრადიცია იყო გადასახლებისას სალოცავის ახალი დასახლების ადგილზე გადატანა. ხანძარს გადარჩენილი შხერის წმინდა გიორგის ჯვარი რატომ წავიდა / გაფრინდა ოსეთში (რეალურად – დვალეთში)? პასუხი აქაც მარტივია: ადგილსამყოფელი ჯვარმა იქ მონახა, საიდანაც წამოსული იყო. ამ მოსაზრებას ამართლებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დადასტურებული რწმენა-წარმოდგენები.

ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ასევე ცნობილია, რომ საქართველო-

ში ნაღებისგან კარაქის შესადღვებად ორი ტიპის სადღვებელს ხმარობენ. მთელ საქართველოში ძირითადად გავრცელებულია ჰორიზონტალური სადღვებელი, რომელსაც *ვარია* ეწოდება. ამისგან განსხვავებით, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, ხევი) და მთის რაჭაშია გავრცელებული ვერტიკალური ტიპის დასადგმელი *ვარია,* რომელსაც *ჩხუტბრუნელი ჰქვია.* მატერიალური კულტურის ერთი შეხედვით უმნიშვნელო ელემენტის – ვერტიკალური სადღვებლის მთის რაჭაშიც გავრცელება ამაგრებს ჩვენს მოსაზრებას გლოლელთა დვალური წარმომავლობის შესახებ და, რაც მთავარია, იმას, რომ დვალების მეტყველება – ქართული ენის დიალექტი ახლოს იდგა აღმოსავლეთ საქართღველოს მთის დიალექტებთან, რომლებთანაც დვალურ დიალექტს ტერიტორიული სიახლოვე და მეზობლობაც გააჩნდა: დვალეთს აღმოსავლეთიდან ხევი ესაზღვრებოდა, ხევს – ხევსურეთი და ა. შ. დვალეთში მცხოვრები მოსახლეობა მეტყველებით, სულიერი კულტურით, სამეურნეო ტიპითა და მატერიალური ყოფით ახლოს იდგა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მცხოვრებ მოსახლეობასთან, დვალები სხვა მთიელების მსგავსად აშენებდნენ კოშკებს, მისდევდნენ მესაქონლეობას და რაც მთავარია იცავდნენ ოსეთიდან შემოსასვლელ *კასრის კარს.*

კიდევ ერთი ეთნოლოგიური სიახლოვის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რაც ასევე მიუთითებს გლოლის გზით დვალეთის ენობრივ-ეთნიკურ-კულტურულ კავშირს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან. მხედველობაში გვაქვს ხმით ნატირალები, უფრო სწორედ, თიბვისა და მკის დროს მამაკაცების მიერ მიცვალებულის დატირება: „ხმით ნატირალებს თუ ქალები ასრულებდნენ, მთაში (ხევსურეთში) მამაკაცების მიერ თიბვასა და მკაში მიცვალებულის დატირებას *ვირინი* ეწოდება. ანალოგიური სიმღერა მთის რაჭაშიც იყო შემორჩენილი. ითქმებოდა გლოვის ხმაზე თიბვისას ცელის მოძრაობის რიტმთან შეწყობით“.[13]

გლოლელთა კავშირს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან, ამ შემთხვევაში, ხევთან (და დვალეთთან) კიდევ ერთი ფაქტიც უნდა მიუთითებდეს. ე. თაყაიშვილს სოფელ გლოლის ეკლესიაზე ასეთი წარწერა ამოუკითხავს: „ღმერთო გაუმარჯვე, შეიწყალე დავითეთ“.[14] ეს გვარსახელის – დავითისძის ადგილობრივი გამოთქმაა. ასევეთივე ფორმა დამახასიათებელი იყო მოხეური დიალექტისთვისაც.

[13] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ეთნოლოგია. თბ. 2008, გვ. 296.
[14] ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 22.

რაჭის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი დაადასტურა. მთის რაჭიდან დვალეთში გადასვლისთანავე პირველი სოფლის სახელწოდება *ქალაქა*. ეს ტოპონიმი დადასტურებული აქვს *იოანე ბაგრატიონსაც*. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სახის ტოპონიმები მთის რაჭაშიცაა: ღებისა და გლოლის ცენტრალურ ნაწილს, სადაც ციხე-სიმაგრეები იდგა *ზედქალაქი* ერქვა. ანალოგიური ტოპონიმი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, არ დასტურდება. ეს ფაქტიც იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ დვალეთი და რაჭის მიმდებარე ტერიტორია ერთი ქართული ეთნიკური სამყარო იყო. მთის რაჭასა და დვალეთში კიდევ ერთი საზიარო ტოპონიმი დადასტურდა. მამისონის უღელტეხილამდე *ჭანჭახის* ერთ-ერთი შენაკადი *ნეფის-წყლის* სახელწოდებას ატარებს, ხოლო უღელტეხილზე გადასვლისთანავე, დვალეთის სოფელ ქალაქში შესვლამდე პირველი მდინარის / ხევის სახელწოდებაა *დედოფლის-წყალი / თამარის წყალი*. დვალეთის ტოპონიმების ქართულობის შესახებ მეცნიერებაში სათანადოდ არგუმენტირებული გამოკვლევები არსებობს.[15] ჩვენ მიერ მოხმობილი ფაქტი ამყარებს ამ სფეროში გამოთქმულ მოსაზრებებს.

ვფიქრობთ, მოყვანილი ეთნოგრაფიული მონაცემები საკმარისია იმის აღსანიშნავად, რომ დვალების ეთნიკური ქართველობის შესახებ ვისაუბროთ და დანამდვილებით ვთქვათ, რომ **დვალური დიალექტი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების ჯგუფში შედიოდა.** ასე რომ, უფრო მტკიცდება ქართულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ დვალები ეთნიკური ქართველები, ქართველთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო.

[15] რ. თოფჩიშვილი. ონომასტიკური მონაცემები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ, გვ. 56-79: Р. Топчишвили. Об этнической принадлежности двалов, გვ. 88-123.

Giorgi Avtandilashvili

DVALETI AS SEEN FROM HIGHLAND RACHA: ON IDENTITY AND SPEECH OF DVALETI POPULATION

Summary

Historical-ethnographic part of Georgia – Dvaleti, starting from the period of King Parnavaz (boundary of the IV-III cc. A.D.) had been an integral part of Georgia till 1858, when the authorities of Russia finally separated it from Georgia. The Dvals were Georgian highlanders. The ethnographic group of Dvals disappeared in the Middle Ages, the reason of this being their migration to different parts of Georgia and migration of Ossetians to the area of Dvals settlement from XVI century.

Dvaleti was bordering with Shida (Interior) Kartli, Racha and Trusokhevi. Conclusion has been accepted in the linguistic science that the speech of the village Glola in highland Racha – Gloluri – reveals close relation to the speech of historical-ethnographic parts of East Georgian highland. Why is the Gloluri speech close to the dialects of territorially distanced East Georgian highland? It is evident that in the village Glola bordering Dvaleti from highland Racha, Dvals settled compactly and brought with them that speech/dialect, which was spoken in Dvaleti. Closeness of Gloluri to East Georgian highland dialects cannot be explained otherwise. Migration of Glola population from Dvaleti has been proved by the ethnographic data. The population of highland Racha village Glola from the ethnographic viewpoint is closer to the historical-ethnographic parts of East Georgian highland than to Racha. For example, like the population of East Georgian highland and Dvaleti, the population of Glola celebrate the Athanogenoba holiday. It is supposed that the population, which migrated from the village Tli to Glola, took with them Athangena worship of their ancestors. In Glola, similar to historical-ethnographic parts of East Georgian highland, it was forbidden for women to approach the territory of Athengena worship and to ride a horse in the field around it.

It was a tradition in the village Glola to mourn by crying in voice, more exactly, in the period of mowing and reaping men mourned over their dead by

crying in voice: in the mountain (in Khevsureti) part such mourning was called "gvrini". Analogous song was preserved in Racha as well. It was said in mourning voice while reaping adjusted to the rhythm of a scythe.

One more fact points to the relation of Glola villagers with the historical-ethnographic parts of East Georgian highland, in this case, Khevi (and Dvaleti). E. Takaishvili read such inscription on the church of the village Glola: "God, give victory and thy mercy to Davitet". This name is a local expression of Davitisdze (son of David). Such form was characteristic to the dialect of Mokhevians (the population of Khevi) as well.

The above-said indicates directly that **Dvalian dialect was in the group of East Georgia highland dialects.** The mentioned above strengthens the consideration expressed in the Georgian science that Dvals were ethnic Georgians, one of the ethnic groups of Georgians

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

Аполлон Табуашвили

Совместная борьба царства Картли-Кахети и Карабахского ханства с войсками Ага-Магомед Хана в июне 1795 года*

В апреле-мае 1795 года Ага-Магомед Хан на севере Ирана, в городе Ардебиле собрал большую армию. Он стремился подчинить закавказские ханства и Картли-Кахетинское царство. Самым большим противником на Южном Кавказе для Ага-Магомеда хана был правитель Карабаха Ибрагим Халил-хан. Исходя из этого, для Картли-Кахетинского царства основным союзником в борьбе с Ираном являлось Карабахское ханство. Это объстоятельство хорошо понимал Ираклий II, о чем свидетельствует его письмо архимандриту Гаиозу в Россию, датированное 1791 годом, в котором царь отмечает, что в том случае если Ага-Магомед хан подчинит себе Ибрагима хана, то потом пойдет и против Картли-Кахетинского царства.[1] По этому грузинский царь принимает решение о помощи карабахцам.

Этот факт освещен в разных источниках по разному. Из-за разности сообщении, у нас не было возможности установить истинное соотношение сил противоборствующих сторон. Напр.: как сообшает Петр Бутков, посланные из Картли-Кахетинского царства 1000 военных под предводительством царевича Александра вместе с карабахцами разгромили 8000-ный авангард Ага-Магомеда хана. Тот же автор указывает и на то, что Ираклий II для усиления обороны Карабахскому хану в мае 1795 года посылал 120 000 рублей.[2] В другом месте тот же автор указывает, что царевич Александр

---

* მოხსენება წაკითხულია ვ. ბრიუსოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო ენათმეცნიერების უნივერსიტეტში, კონფერენციაზე "Armenia-Iran: Intercultural and Interreligious Dialogue". Dedicated to the 20th anniversary of the establishment of diplomatic relations between RA and IRI (25-26 აპრილი, 2012 წ.).

[1] Грамоты и другіе историческіе документы. Относящіеся до Грузіи. Томъ II. Выпускъ II. Подъ редакціей А. А. Цагарели. СПб. 1902, стр. 66.

[2] Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Ч. II. СПб. 1869, стр. 333.

повел не 1000, а 3000-ное войско.[3]

В Национальном центре Рукописей Грузии под шифром Hd 14261 хранится документ, письмо царя Ираклия II дворянину Мурванишвили, посланного в Карабах. В нем в частности говорится: «...отписали об этом нашему сыну Александру, что с божьей помощью в эти дни или мы сами выступим с 5-6 тысячным войском или нашего сына Юлона пошлём».[4] На документе проставлена дата – 14 июня 1795 года.

Об этом походе даются сведения в письме некоего Дарчиа Бебуташвили к некоему Ясию: «Царевич Александр [с войском] уже стоит у берегов Гокча (оз. Севан – А.Т.). Недавно Его Высочество (Иракли) послал Его Светлость царевича Юлона, князей Мухранского и Амилахвари, и с ними послал всю артиллерию. Посмотрим, что сделается с Божиею помощью».[5]

Из этого документа видно, что в конце июня 1795 года царь Ираклий под предводительством царевича Юлона вместе с Амилахвари и князем Мухранским в помощ Ибрагиму хану и царевичу Александру в два этапа послал войско минимум 6000 человек. С ними была и вся артиллерия.

Как было отмечено выше, Петр Бутков фиксирует максимум 3000-ое войско. Это может быть вызвано тем фактом, что он не имел сведения о послании войска под началством Царевича Юлона. Согласно его же сведении, объединённые войска под начальством царевича Александра разбили 10 000-ую армию Ага-Магомеда хана, посланного против Шушинского ханства. То, что в битве вместе с царевичем Александром участвовали и войско под начальством царевича Юлона, указывает письмо составлённое Ираклием II-ым к кешикчибашу Иоанну Абашидзе, где дано наставление к грузино-карабахскому войску перед битвой. В письме подчёркивается, что сражение должны были устроить в равнинной местности для того, чтобы дать преимущество артиллерии: «...Если будете воевать, то схватку постарайтесь устроить на поле. Препираться по ихнему, используя оружие и так биться перестаньте. Вы вместе со всей силой и с божьей помощью наступайте и держите артиллерию впереди. Пеших и Ибрагим хан множество будет иметь, и кавалерию обратите в пеших и так наступайте, пушки несите впереди и битву пушками начните... они будут наступать с бока, вы кроме стрельбы из пушек нечего не делайте, они устанут, после этого силой наступайте...».[6]

---

[3] Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа. ч. III. СПб. 1869, стр. 254.
[4] Национальный Центр Рукописей. Hd 14261.
[5] Какабадзе С. Н. Крцанисская битва (на грузинском языке). Тб. 1991, стр. 82
[6] Какабадзе С. Н. Крцанисская битва (на грузинском языке). Тб. 1991, стр. 78-79.

Битва состоялась в конце июня 1795 года.

На эту битву указивают и персидские источники, в которых говорится что Ага-Магомед Хан в июне, после сосредоточения войск в Ардебиле, на реке Аракс восстановил мост Худа Аферина, которого сжёг Ибрагим хан. 19 июня начал переправлять войска на другой береге реки. После этого в персидских источниках указывается, что вблизи Шушинского замка 8000 персидское войско нанёсло поражение Карабахцам и вынудило их отступить к замку.[7] Заметно, что здесь персидские источники являются тенденциозными.

Исходя из вышеуказанного, можно сказать с уверенностью, что Ираклий II в июле проводил реальные оборонительные мероприятия: он победил часть войск Ага-Магомед Хана и послал Карабахскому хану взаимы 120 000 рублей для мобилизации войск.

Известно, что после этого грузинские войска вернулись на родину и с собой привели казахские и шамшадилские племена.[8] По данным персидских источников 8 июля Ага-Магомед хан своими основными силами осадил замок Шуша, где укрепился Ибрагим Халил-хан. Мы не имеем сведений о том, почему Ираклий II и Ибрагим хан не продолжили борьбу объединёнными силами.

В связи с этим вопросом можем высказать следующее предположение: традиционно грузинским войскам, из-за неорганизованного снабжения, было трудно вести продолжительные боевые действия за пределами границ своего государства. Содержать войска на длительное время в 1794-1795 годах, из-за плохого урожая, не могло и Карабахское ханство. Надо учитывать и тот факт, что сложно было предугадать, когда начнут боевые действия войска Ага-Магомед Хана.[9] В это же время, Ираклий II просил из России дополнительные силы, без которого опасался начинать военные действия. Этим обстоятельством продиктован тот факт, что союзники нашли другую форму продолжения войны, в частности: ведение координированной борьбы только уже отдельно друг от друга.

[7] См.: Шарашенидзе З. М. Иран во половине XVIII века. Тб. 1970, стр. 158-159.
[8] M. Brosset. Histoire de la Georgie. II Partie. II Livrasion. SPb. 1857, стр. 550.

Tedo Dundua

Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Greeks in Colchis*

a) The Making of Europe. Climate determines economics. Hot and less humid environment defines an early advantage of the South over the North – indeed, the Egyptian state and the crafts confront entirely the primitive clan-system which existed in fact everywhere. Then the whole situation was changed.

Times after, some technical improvements towards the North created a very comfortable vegetation process, while the Egyptians still needed time to put the seed beyond the reach of the sun. In the 9th-8th cc. B.C. the Greeks are already vanguard by means of the technics and the structures. The countries being superb before, like Egypt and Babylon, or India, now face a new hegemonic power – Hellas, already overpopulated and needing grain and the raw materials to be imported. Then the perception of Europe has appeared. Europe is a special term for the part of the earth, which stipulates or will stipulate the same level of development. Even Scythia with its rough spring was thought to be reorganized in the Greek manner, than those countries which needed the additional finances for irrigation. So, the making of Europe started.

The Greek pattern was as follows: 1. occupying or even frequently being invited to the key-points of other economic structures like Caria, Thrace, Bosphorus or Colchis; 2. establishing the autonomous Greek social structures granted heavily with the technics from metropolis; 3. the natives being equipped with the best tools for agriculture; 4. the Greek industrial structures maintained on this background; 5. exporting supplies to Hellas and receiving back some industrial goods. The Aegean and the Pontic (the Black Sea) areas were

* Paper. Greece – European Identity – Georgia. International Conference. Embassy of Greece in Georgia and Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Tbilisi. 28. 06. 2012.

supposed to form once unique economic space. Economic integration considered several stages to be realized: first it was Asia Minor, in fact mistakenly called so, to be Hellenized due to climatic similarity with Greece, then – West, North and East Black Sea countries. Two major waves of the colonists passed from Hellas – first one in the 8th-6th cc. B.C., and the next – in the 4th c. B.C. led by Alexander the Great. Asia Minor was a complete victory of Hellenism, even being integrated politically under Mithridates Eupator, king of Pontus, as far back as in the 1st c. B.C. The Roman overlordship gave a new sense to the economic prosperity of the Greek World. And at last the Byzantine metropolis was created with all that languages like Lydian, Cappadocian etc. vanished forever. But there were the serious failures too. Colchis (Western Georgia) offered a dangerous humidity to the Greek way of life. The Greeks living there had no chance to keep their industrial spirit as the agriculture was very slow in a development. Soon the Greek community became a bilingual one, and after – totally assimilated within the Colchian society. As to Bosphorus (at the Northern Black Sea coast), a corn-supply from Asia Minor to Greece had broken the traditional scheme, and the region soon lost its Greek style. And the case of Thrace was a certain conflict with the new concept of Europe.

The Romans did the same job for Gaul and Spain, putting the Latin population there and Romanizing these sites. They also cared much about their Greek colleagues in making Europe – starting from the 1st c. B.C. the Romans were running the whole administration within the Hellenistic World, while the Greeks used to build their integrated industry. Then the whole system collapsed.

Indeed, Italy never cared much for a maximum of technical improvement and power revolution. The result was catastrophic – a dangerous growth of population in Italy, insufficient economic progress, the high prices on the Italian industrial export, cheap supply from European provinces, indecisive military advantage of the metropolis over the provinces; the Roman imperial system vanished Italy being forced to the heavy Gothic reception. New Europe will pay its special attention to the technical progress employing more and more hands in a heavy industry. But what was supposed to be done with starving Italy?

East Rome (Byzantium) possessed the prominent food stocks from Asia Minor and Egypt. Emperor Justinianus put Italy within the Byzantine hegemony. But Byzantium itself was also a very old economic pattern. And Europe struck with the Slavs and the Bulgars penetrating beyond the Danube, establishing their national states in Thrace, Moesia and Dalmatia. The Asiatic provinces were lost too. From this very point on Byzantium had been steadily

degrading still being a predominant for East Europe and the Black Sea countries. Besides, the Byzantines kept some of the Italian provinces thus irritating the rest of Europe and provoking the emergence of Catholicism and Holy Roman Empire.

An idea of the Transcaucasian and Pontic transit of the Asiatic goods was also very important one. As far back as in the 4th c. B.C. Alexander of Macedon took the Graeco-Macedonian armies towards the very heart of Asia, and there, particularly in India, the Europeans tasted the spiced meals for the first time, and they decided that their life would be dull without pepper. So, one could buy some spices for, perhaps, a drachm in the valley of Indus, and sell it in Rome, or maybe, in Athens for hundred. The profit from the trade was very handsome. In all there had been the following routes towards India – 1. Maritime route – from the Red Sea ports of Egypt via the Indian Ocean towards Malabar coast. 2. Transiranian transit. 3. The third route was amazingly cheap, for it was river-route via well inhabited and supplied districts, city of Phasis (Poti, Western Georgia) being a starting point together with a mouth of the river Phasis (Rioni), very comfortable for the large boats. Rioni is prolonged by the rivers Kvirila and Dzirula towards the Likhi mountains. They divide Georgia into two parts: the West (Colchis), and the East (Iberia). The merchants used to climb to the mountains, and then board again at the Kura-river boat-station in Eastern Georgia. A voyage down the river towards the Caspian Sea was swift and lovely. And the Caspian Sea could be easily covered in eight days on a large boat. One could find the river Amu-Daria (Oxus) in the past joining the Caspian Sea in its South-Eastern section. Amu-Daria – Balkh (Bactra) – Indus is the last section of the route. And the Greek merchants were already in the wonderful country of a leisure and the spices, in the homeland of Buddha. The Greeks and the Romans, the Byzantine soldiers and merchants were in Georgia for the transit purposes and within the frames of early European integration. From the 2nd c. B.C. the Chinese started to send the silk caravans via Chinese Turkestan. Then the usual Transcaucasian and Pontic transit took place. This route was cheap, but – very fragile. As soon as Iran recovered from the Hellenic onslaught, it cut the route organizing the Caspian fleet.

Till the 11th c. Byzantium had been a handsome and dominant power, the champion of Christendom again onslaught of Asia and Islam. But it was already very old European pattern of the Mediterranean trying to control North. Soon Empire found itself caught between two fires – the Crusaders and the Turks. Byzantium had to be calmed finally. The Crusaders (after 1204) and the Turks

(after Manzikert, 1071) did this job properly overpopulating the country. Towards the end of the 13th c. Byzantium is nothing but a lot of principalities with very different confessional visages (Orthodox, Catholic and Muslim). Orthodox World starts disputing about a new leader Serbian, Bulgarian and Georgian kings assuming formally the title of Caesar and Autocrat (and before the Georgian kings formally had been hailed as king and Kuropalates, king and Sebastos, even sometimes, king and Caesaros). The Italians were more pragmatic. Seizing the whole islands and the key-points over the Aegean and the Black Sea, they will control the complete output there until the 15th c. This was a disaster for building of Europe. Within the Holy Roman Empire Italy had been granted only moderate supplies of food and the raw materials from the northward. And now Venice and Genoa made a commercial onslaught upon what still can be called the Byzantine World destroying the local crafts. ex. In 1261 the Byzantine Emperor Michael Palaeologos had to sign a treaty with Genoa promising the republic the concessions, own quarters in Constantinople and other ports, and free access to those of the Black Sea. A comparative comprehension of the Hellenic and the Italian periods is as follows: the Greeks took up their permanent residence within the East Aegean and the Pontic areas stimulating everything, while the Italians placed the soldiers and the merchants there to empty the local markets. That is why the Ottoman reintegration was welcomed by the overwhelming majority in Asia Minor. And Greece since has formed a separate economic structure. Thus the Italian overlordship came to an end together with the handsome transit trade.

When the Transcaucasian transit was broken, the Byzantines did their best to reach Asia rounding the Caspian Sea in the north, and moving towards the Turks, dwelling already in the Central Asia. But this route – steppe route to the North of the Caspian Sea – failed to be nice because of a very low socio-economic level of the North-Caucasian tribes by that time. When this level was a bit higher, Genoa organized silk and spice supply of Europe via the North Caspian regions and the Northern Caucasus to Crimea (Caffa). And the rest of the route was as follows: Sebastopolis (Sukhumi, Georgia) – Trapezus – Galata – Italy. And when the Ottomans diminished the Italian trade, Africa was rounded by the Portuguese vessels.

Papal primacy over the Byzantine church also failed. In the early days of Christianity the Third Person of the Trinity – Holy Spirit – was thought to proceed from God the Father. Then, in the 9th c., the formula "that proceedeth from the Father and the Son" was adopted in the West. To the Orthodox church

it was a heresy. But obviously in a great despair, needing the Western military help, some of the Greeks had agreed, that this Latin formula meant the same as the Greek newly established one – the Holy Spirit proceeded from the Father through the Son. But the rest still used to say as determined as ever – "better the Sultan's turban than the cardinal's hat". The fall of Constantinople in 1453 clearly meant the end of this unity. And the Byzantine galleys, all packed with refugees moving slowly to the open sea towards the safety of Italy meant a good supplement to the Italian Renaissance, while the Byzantine double-headed eagle – to the Russian heraldry. "The Christian Empires have fallen" – wrote the monk Philotheus in 1512 to the Grand Prince Basil III of Russia – "in their stead stands only the Empire of our ruler ...Two Romes have fallen, but the third stands and a fourth there will not be". The Italians did their best to save the maritime empires but they failed. Galata or Pera was lost immediately. And the Ottoman control over the Straits endangered the existence of the Black Sea colonies like Caffa (Theodosia), which had passed over to the Ottomans in 1475. Quite soon the whole empire of Genoa had vanished. Venice triumphed at Lepanto (1571), but little good resulted.

The Italians also did their best to penetrate into a hinterland. ex. Georgia was flooded with the Catholic monks, while due to the Turkish menace the centre of the Catholic mission in the East had been transfered from Smyrna to Tbilisi. But again – with no succesfull outcome. The Orthodox churches were known either to regard the Latin Church with hatred, or simply – neglecting it. Hence the Italian supplies had been tied up neatly with the countries northwards, while Italy itself being reduced to a modest land.

Now the Ottomans tried to re-establish the "Byzantine" rule over Italy ravishing Otranto, financing the corsairs of Algeria, but, in all, it was just a sweet dream for the Sultan – already the "Emperor of Europe and Asia".

So, after this Southern European empires gone forever, new Europe emerged with its rationalism and a traditional division into the West and the East still vital, with a very clear perspective of a collaboration, even creating the universal whole-European architectural style – a certain mixture of the Gothic (Western) and the Byzantine (Eastern) styles – that was Baroque, elaborated still in Italy in the 16th c. The West was lucky in evolution, more severe East had to arrange an economic tension losing the comforts and the services to catch the West. Both of them headed towards Asia for a supply. The colonial system was established. And if the imperial experiment happened to be used still within Europe, like the Austrians and the Russians did, no economic synthesis was

planned. Great Britain and Russia never thought even of America and Siberia as of some agrarian sections while sending the colonists there. World War I created the state-socialistic system in the Russian Empire and the USSR appeared. World War II widened the state-socialistic system and the Warsaw Pact appeared. The brutal rationalism like the state-socialism still did its job neatly. Towards the midst of the 19th c. East Europe with its serfdom seems to be a grotesque European province. Now the differences are hastily diminishing, and the making of Europe is close to the end. Soon entire North will face the South within the network of a collaboration affiliating some extremely Southern industrial countries like Australia and the Republic of South Africa, Chile and Argentina.

The West and the East (Balto-Pontic sites being a vanguard) reaching after are fixed on the chart below:

Revolution / *Country*	*Abolishment of Serfdom*	*Civil Equality*	*Liberalism*
England (Maritime West)	*the 13th c.*	*the 17th c.*	*2nd half of the 19th c.*
Germany (Humid Continental West)	*in Prussia – 1806*	*1918*	*from 1949*
Russia (Humid Continental East)	*1861*	*1917*	*nowadays*
Georgia (Humid Subtropical, Semiarid, Highlands)	*1864-71*	*1917*	*nowadays*

Appendix and academic summary of this narrative is as follows:

Europe is part of the earth which stipulates or will stipulate the same level of development. That has been well acknowledged since the ancient times. An idea of the European integration is as old as a comprehension of Geographical determinism for technological evolution.

Economic systems having physical substrata with temperature

approximately 20^0 C. and above for the vegetation period and needing further irrigation come together within the Asiatic integration. Being a vanguard at the bay for a lot of the sun, it gradually loses top position for the same higher temperature, penetrating well into the depth and thus partly spoiling a seed. The same seed in moderate latitudes, passing slowly down from the dangerous cold at the surface, finds ideal spot with just internal temperature promoting the best vegetation at the lesser depth and within a smaller period of time. Good agriculture releases a lot of the hands for industry, also benefiting from it. Protofeudal and Feudal 5% for city population comes to revolutionary changes. First it was Hellas and *Italia* to be obsessed by them; then – England and the lands Eastwards, at approximately same latitudes, step by step. And last century saw almost simultaneous revolutions in the South. Having even free economic choice, those countries would suffer for the climate, keeping the hands in irrigation thus rejecting the industry. There are several definitions of Europe. Will they meet the classics?

Europe is right there we have liberties and democracy. But once there was no liberty and democracy. Europe is defensive-system from the American and Asiatic economic alliances. At least, one can be sure for the American alliance to be quite a recent one.

Anaximandres the Milesian was the first to spread the term "Europe" upon the Northern spaces, regardless the catastrophic divergency of the ideas up there from the Hellenic one. Tacitus claims the same for *Brittania et Germania*. Some Greeks even move the marches of Europe as far as the wild steppes of the Turkestan with the Massagetes dwelling there. Southern borders of Europe partly ran North from the river of Phasis in Colchis.

Now Europe is well-shaped: from the Britain Eastwards towards the Massagetes, from the North Sea Southwards up to the Northern Mediterranean and the Black Sea Basin.

There are some other Greek academic divisions with Trans-Caspian steppes, Colchis and Anatolia being already part of Asia.

Pragmatic and vital could had been only the thesis fitting the real integratory processes.

Integration for today that is a military alliance and market-distribution.

Graeco-Roman way was a creation of the markets, stimulating them with more cultivated hands, having a metropolitan supplies, i.e. colonizing the sites. To know the basic directions and the results of the project is a way to have Europe in Graeco-Roman dimension.

For Italy nothing is sophisticated. The bulk of immigration headed towards Gaul, Spain and Britain; some went to Africa. Gaulo-Iberic full-scale Romanization lasted for centuries, and if it failed towards the multicultural perception, Graeco-Roman European pattern was not to be blamed at all.

Neglecting totally the prospectives of power revolution and the steam-machines already invented, Italy degenerated itself into bad industrial supplier for the farming places, thus firing the zonal conflict. With the Huns attached to this clash, it becomes clear that total non-irrigative massive was thought to be Europe.

Greek case with the Hellens scattered everywhere is a bit complicated. But still, completely losing identity in heavy-irrigative (ex. Bactria), or super-humid (ex. Colchis) areas, never really covering the Aramaic (Syria) and Coptic (Egypt) villages, Hellenism gained its major victory in Anatolia, mineral and food stock for the Greek industry.

Byzantine conflict between Anatolia and coastal industry was of old Roman pattern. Again the steppe-people, the Seljuks, were involved for a solution.

For Graeco-Romans the case seems clear enough: those lands and climates which had already contributed for top-civilizations could be joined by others, except semiarid one. So, they rushed to stimulate Europe, like Europe went to America in the 18th c.

Greek Perception of Europe





Appendix and academic summary for Georgia being a permanent subject of the European integration is as follows: as far back as in the 6th c. B.C. Themistagoras from Miletus made Phasis in Colchis home for himself and his Greek colonists. Thus West Georgia has been involved in the European matter. Greek commercial superiority was substituted by the Roman hegemony over the small coastal strip of Colchis, already called Lazica in the 1st c. A.D. And that hegemony was based upon well-manned castellum-system from Pitius up to Aphsaros. Lazi client-kings, dwelling in the hinterland, largely enjoyed Roman *pax* and prosperity, gaining a handsome profit by trading with the gallant Pontic cities, like Sinope, Amisus and Trapezus. The whole Black Sea area might be looked upon as a multicultural region of which the general principles were still based on Hellenism, but that was facilitated mostly by the Roman money and defended by the Roman soldiers. Further towards the East, Iberian kings, sometimes even possessing Roman citizenship, welcomed Graeco-Roman transit from Central Asia and India. Spices, precious wood and stones were brought to Europe via Transcaucasian trade-route.

Byzantium was not a betrayal of all that was the best in Hellas and Rome. Great oriental bastion of Christendom, she seems to be a formulator of the Orthodox Christian Commonwealth. The Georgian kings being within had been heiled as king and Kuropalates, king and Sebastos, king and Caesaros. Again dual citizenship is applied. For the Christian monarchs there were the Byzantine titles to make them feel as the citizens of the Orthodox Empire, being at the same time ascribed to their own country.

After adoption of Christianity, Eastern Slavonia, with Kiev as capital, joined the Byzantine Commonwealth. That clearly meant enlargement of the Eastern European unity towards Eastern section of Humid Continental Europe, into the direction of the river Volga. Russians were the loyal subjects of the

Commonwealth, looking calmly at the decline of Constantinople's hegemony, and the Bulgar and Georgian kings seizing the titles of "Tsar" and "Autocrat".

Becoming stronger, Russia vividly protested Ottoman reintegration of what was formerly labelled Byzantium, and Muslim overlordship over the Orthodox World by taking the title of "Tsar" for Grand Prince Ivan in 1547. New centre of East Europe has been shaped, and then long-term war started for hegemony, Russia being victorious.

Seeing itself as East European super-power, thus Russia claimed Byzantine political heritage. For Russians Georgia had to be within the East European Union, and at the beginning of the 19th c. Kartalino-Kakhetian Kingdom (Eastern Georgia) became a part of the Russian Empire. The USSR was a substitude for the Russian Empire. And now Georgia is searching for her room within unified Europe.

b) Attic Half Mina from Dioscurias. Athenian Talassocratia over the East Pontus. *"If anyone mints silver coins in the cities and does not use Athenian coins or weights or measures, but foreign coins, weights and measures, I shall punish him and fine him according to the previous decree which Klearchos proposed".* This is what a secretary of the Athenian Council (Boule) had to add to the Bouleatic oath from the famous Athenian decree

enforcing to use of Athenian coins, weights and measures within the Athenian Alliance. The Athenian officials in the cities were responsible to carry out the decree, and the local officials too. The date of this decree is problematic, but still between 450 and 414 B.C. The text was carved on stelai and set up at Athens and the other cities – members of the League. Seven fragments of this text have been already discovered in various places. There are several attempts to interpret the decree. One thing is clear – this decree is imperialistic in tone, and if some of the cities within the Athenian "Empire" were still supposed to issue own money, Attic weight coins had to be used only. Electrum staters remained popular. Later this decree is parodied in the "Birds" of Aristophanes.

The decree seems to be very comfortable for trade and taxation – indeed, Athenians were scrupulous while collecting taxes within the League.

The whole story about the Greeks shaping Europe has been already told. Macedonia contributed much as a recruitment area, but earlier Athens had been thought to be a leader. It was merely a frustration – indeed, if the best city had to be striped from a population, nothing would be created at all. While the Greeks still in this mistake, Athenians made a good deal – seizing the markets and imposing taxes.

Athenians cared much for the Black Sea areas; and Pericles even launched a special expedition (Plut. Pericl. 20). Then numismatic visage of Colchis was changed as Athenian tetradrachms came in sight together with the Attic ceramics. Moreover, Milesian, Aeginetan and Persian standards used for the autonomous issues of Phasis now disappear and Attic standard becomes unique.

The types appearing on the coins of Graeco-Colchian bilingual community, Phasis, were the following /Pl. I-II/:

I. Lion's head /Rev. Winged Pegasus in *quadratum incusum*

II. Lying hermaphrodite lion /Rev. Kneeling female figure with a bull's head in *quadratum incusum*

III. Archaic female head /Rev. Two identical heads, facing one another, each in *quadratum incusum*

IV. Archaic female head /Rev. Two bull's heads, facing one another, each in *quadratum incusum*

V. Lion's head /Rev. Bull's head in *quadratum incusum*

VI. Lion's head /Rev. Lioness's foreparts in *quadratum incusum*

VII. Archaic female head /Rev. Bull's head

VIII. Archaic female head /Rev. Crane.

The first design seems to be used for, at least, three times. Phasis produced the staters of Milesian (13 gr.), Aeginetan (12.7 gr.). and Persian (10.4 gr.) standards.

The second design was applied, perhaps, twice for a stater of the Persian system (the weights range from 10 gr. to 11.4 gr.) and a didrachm of the Attic standard (the weights range from 7.9 gr. to 9.4 gr.).

This scheme fits the third design too with the weights 9.6 gr., 9.9 gr., 10.4 gr. for the Persian standard and 8.7 gr., 9.2 gr. for the Attic one.

We are completely ignorant of the weight of the fourth design.

The fifth type is siglos (5.5 gr.); the sixth – Attic hemidrachm (the weights range from 1.7 gr. to 2.6 gr.); the seventh – the same (the weights range from 1.2 gr. to 2.6 gr.), and the last one – hemitetartemorion.

The result is as follows:

Lion's head /Rev. Pegasus type forms the first Graeco-Colchian series.

Then the hermaphrodite lion type appears first issued as a Persian stater together with a siglos, i. e. the fifth design.

After the third design was established as a Persian stater.

The hermaphrodite lion type seems to be restored later as Attic didrachm accompanied by lion type hemidrachm.

Then we do have to revert to the third design as Attic didrachm.

On the one hand, the seventh design follows the Attic standard, on the other hand, it is a simplification of the fourth design. That does mean that the fourth design should be considered as something within the Attic system first issued together with a small denomination, which is alone prolonged after up to the 3rd c. B.C.

Here is the whole story about Graeco-Colchian issues, and Attic standard being victorious.

Dioscurias was a splendid Greek city dominated by a mercantile oligarchy, a foundation of Miletus, sometimes – being troubled by the natives from hinterland. Then it seems to be completely assimilated. History of Dioscurias is packed with tremendous events and clashes. And the clashes were back again in summer of 1993 as the civil war had broken out in Abkhazia. Still one missile was especially lucky as it buried itself deep in the earth and showed coin-shaped white metal. The description is as follows: weight – 300.37 gr. d=70mm. Head of Athena wearing crested helmet (the fashion is that of "old style" coinage)/Owl. Obviously Athenian weight, it was offered for sale, and

witnessed by the Section of Numismatics, Tbilisi State Museum, together with special expert, Prof. Dr. G. Dundua (Centre for Archaeological Studies, Tbilisi). 1993 is a dark hour for Georgia; and the weight was neither bought, nor fixed properly.

The greatest number of the marked weights found in the Agora are small roughly square lead plaques. Sometimes this official weights are marked with the same symbols as the coins – head of Athena/owl. Large circular stamp with helmeted head of Athena appears on the lead weight of the Roman time /Pl. III. N 1/. Bronze weight too of some 69.9 gr. has an owl incised. This seems to be a coin weight, 1/6 of mina /Pl. IV N 2/. Even countermarks for the weights represent double-bodied owl and helmeted head. Dry measure also has two stamps: the double-bodied owl and helmeted head of Athena /Pl. IV N 3/.

The Athenian coin mina, consisting of 100 drachms, weighted approximately 436.6 gr. There was also another mina, used for weighting market produce, equal to 138 coin drachms, or 602 gr.

So, the piece from Dioscurias should be considered as Athenian trade - weight – half mina.

What conclusions are we to draw from all this?

1) Dioscurias had to receive or was glad to receive the official Athenian weights as the city became a subject of the Alliance.

2) And Phasis should had accepted even a coin mina and Attic standard too while already in the Alliance. Was there any legislation in the favour of democracy; what does a maintenance of "Archaic smile" on the Athenian ("Old Style" coinage) and Phasian (the seventh design) coins mean? We shall never know.

3) One thing is clear – Attic standard was installed in Colchis between 450 and 414 B.C. And the effect was that of introducing Euro within the European Union.

Plate I

Plate II

Plate III

1.

Plate IV

2.

3.

c) Mithridates the Junior – Was He Rome's Ally? Mithridatic Wars are of special concern for the Georgian historians – thus Colchis and Iberia had been involved in the full-scale European war for the first time.

Mithridates VI Eupator, king of Pontus, selected different patterns for those countries – that of satrapy for Colchis, and symmachia – for Iberia.

In 85 B.C., being in a great despair, with his armies and fleet totally

destroyed by the Romans, Mithridates VI had to satisfy demand of the Colchian rebells – they needed their own kingdom to be restored with Eupator's son as a king. His name was Mithridates Philopator Philadelphos (App. Mithr. 64).

We do not know much about him: he was left in a charge of Bosphorus, Colchis and Pontus itself as his father marched westwards to face the Romans. Then he fought Fimbria, the Roman general, bravely, but unsuccessfully. As king of Colchis, Philopator issued the coins, both silver and copper, with Pontic dynastic eight-pointed star on reverse, and rather strange for his new country lotus – on obverse. Even more strange it seems the way he manifested his regalia – that is in no way, the coins are unepigraphic. Was he afraid of his father? Then why? For conspiring against him, having Colchians as friends?! We shall never know. Yet, Mithridates was to be feared much. Indeed, with Rome obsessed with heavy civil war, and the Greeks having had no final choice to whom they could entrust the Greek affair, Colchis felt itself hopelessly isolated. Eupator's reaction was quick and brutal, as usually. First capture, then golden chains and death was bad epilogue for Philopator (84 B.C.). But he is not to be blamed. Junior, perhaps, did the best he could to gain efficient support of the Republic; but in vain.

Epigraphics can provide some information for Philopator looking for strong ally. N375 from OGIS could be about him: [Βασιλεὺς Μιθραδάτης Φιλ]οπάτωρ καὶ Φιλάδελφος/[υἱὸς βασιλέως Μιθραδάτ]ου, τὸν δῆμον τὸν/[Ῥωμαίων, τὸν φίλον καὶ] σύμμαχον αὐτοῦ, /[εὐνοίας καὶ εὐεργεσίας] ἕνεκεν τῆς εἰς αὐτόν//[πρεσβευσάντων Ναιμ]άνους τοῦ Ναιμάνους/[καὶ Μάου τοῦ Μάου].

There are two Mithridates with the same cognomen – Philopator and Philadelphos. One of them ruled Pontus after war-like Pharnakes I and was actually his brother, son of Mithridates III, who bore no cognomens, like those Mithridates in the inscription. The lenght of the reign is well shown on the Attic tetradrachms having the legend as follows – ΒΑΣΙΛΕΩΣ ΜΙΘΡΑΔΑΤΟΥ ΦΙΛΟΠΑΤΟΡΟΣ ΚΑΙ ΦΙΛΑΔΕΛΦΟΥ; very naturalistic head is getting elder. Then it is him mentioned in the inscription, because next Philopator and Philadelphos has Eupator, as father. But there could be no βασιλεύς at all. Nobody knows for sure. Now it is much easier to discuss the Junior's case. Ruling over totally new kingdom and not the ancestral one, he could label himself as "son of Mithridates", and not – "of king Mithridates".

Besides, some scholars made an attempt to identity those ambassadors with Eupator's contemporary political figures (App. Mitr. 19).

One can really feel sorry for Junior. He could even had become Rome's formal ally in order to secure the safety of the country, much more depended on his Pontic garrisons. Indeed, he needed his copper issues just to pay them since the Colchians totally ignored the small change. But that was pocket-money. With, perhaps, no banking-system in West Georgia, those soldiers were thought to keep most of their salaries at home – in trapezas of Sinope, or Amisus. Then lotus-type silver issues used to be transfered there. Thus they could be brought upon Eupator's suspicious eyes. Philadelphos did his best for his coins to look like old Pontic satrapal issues. He did his best to secure his headquarters; as the lotus-type copper is mostly grouped in the hinterland town of Surion/Vani, it is thought to be his capital.

Alas, Philopator was granted no time. Appian narrates about his punishment – he had been brought by forth. And archaeology reveals the traces of heavy clashes and fire in the early 1st c. B.C. layers of Eshera, suburb site of Dioscurias at the coastal strip, and Vani itself.

70 B.C. saw a great treachery performed by Makhares, Philopator's brother. He generously sent all supplies to the Roman general Lucullus, besieging Sinope, the capital. And a ground for his high-treason was again Colchis, Makhares was there. We know for sure that he had other province too – that of Bosphorus. If it could happen as follows: leading a sea-borne expedition to Colchis in 84 B.C., he was the person, who captured Philopator. Thus Makhares had been allotted with a satrapy – namely Colchis, having in abundance every supply for naval power. Then he could march victoriously against also mutinous Bosphorus, thus unifying the two provinces.

Mithridates VI Eupator Dionysios was fortunate in children, but – not their behavior. And Colchis seems to be a certain kind of stimulus for their political misbehavior.

d) The Portray of Gnaeus Pompejus Magnus and the Georgian Numismatics. For Antique republics there were the gods to justify a legitimacy of a coin. With the decay towards autocracy the first persons started to be portrayed.

Julius Caesar became the first living individual to be portrayed in Rome, and it was done by special senatorial decree.

Was he really the first Roman to be honoured this way?

The case of Flamininus with his head on the gold coins struck in Greece is beyond the interest. It happened too long before and the republic was too strong.

But what about Gnaeus Pompejus; that is exactly him on obverse of the light drachm struck in Colchis in 52/51 B. C.

Obv. Head of Gnaeus Pompejus in solar diadem right.

Rev. Tyche seated, ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ ΒΙ.

Aristarchus, dynast from Colchis, was a part of Pompejus' Eastern reorganization after the Mithridatic Wars. He is put in a charge of Colchis in 63 B.C. (App. Mithr. 114). This coin is his legislation and the regnal years – 12 (52/51 B.C.) – are also his. Besides, he is a client of Pompejus. So, the drachm stands outside the Roman numismatics and the Roman conjuncture generally.

But – only *de facto*. What is the position of Aristarchus? Ὁ ἐπὶ τῆς βασιλείας – the vice-roy. Whose vice-roy could had been him, if there was no king in Colchis by that times. Only that of the Republic's. Then what an immediate reaction of the Senate might be on Pompejus shown as *rex et deus*?

Who designed the coin – Aristarchus himself, completely ignorant about the democratic principles, or there was a prompt and stipulation from the outside?!

Caesar tested public opinion by staging the scene with himself being offered a diadem. The sign of total disappointment was indeed a bad omen and he demonstratively rejected the offer (Plut. Caes. 61).

Was Pompejus doing the same a bit earlier – checking the general political sympathies by making his client to act this way?

Could be. With M. Licinius Crassus dead, and Caesar in Gaul making his name, Pompejus was only big man in Rome. And after all he was illustrious and ambitious general.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI
თბილისი. 2012

რეცენზია

დიმიტრი შველიძე

დაგვიანებული გამოხმაურება ნაადრევი დისერტაციის შესახებ

საკითხი ეხება ნატო სონღულაშვილის სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში". დისერტაციის დაცვა შედგა 2012 წლის 26 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჩვეულებრივად ასე ხდება: თუ დისერტაციისადმი რაიმე კრიტიკული აზრი გაქვს, უნდა გამოთქვა ან როგორც ოპონენტმა, ან როგორც სადისერტაციო კომისიის წევრმა. მე ადრე გადავათვალიერე სადისერტაციო ნაშრომი და თავიდანვე გამიჩნდა უარყოფითი აზრი მის შესახებ. უარყოფითი აზრი არ ეხებოდა ნაშრომის რომელიმე ან რამდენიმე საკითხს. იგი ეხებოდა მთლიანად სადისერტაციო ნაშრომს, რის გამოც მიმაჩნდა, რომ თემა არ იყო მზად საჯარო დაცვისათვის. ამის შესახებ რამდენჯერმე გავაფრთხილე დისერტანტი, ვთხოვე, თავი შეეკავებინა ამ ეტაპზე დისერტაციის დაცვისაგან. სათანადო გადამუშავების შემდეგ იგი შეძლებდა დისერტაციის ღირსეულად დაცვას. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

მაშინ მე დავპირდი დისერტანტს, რომ ჩემს მოსაზრებას მისი დისერტაციის შესახებ ჩამოვაყალიბებდი სამეცნიერო პუბლიკაციის სახით. ასეც ვიქცევი ერთი მიზეზის გამო: იმისათვის, რომ ობიექტურად შემეფასებინა ნაშრომი, თავიდანვე დავრწმუნდი, რომ საჭირო იყო სადისერტაციო ნაშრომის დეტალური შესწავლა. ოპონენტობის შემთხვევაში გამოყოფილი დრო საამისოდ არ მეყოფოდა, რის გამოც შემოთავაზებულ ოპონენტობაზე უარი განვაცხადე. მეორე მიზეზიც აქვს ჩემს გადაწყვეტილებას, რომ პუბლიკაციის სახით გამოვხმაურებოდი აღნიშნულ სადისერტაციო ნაშრომს. ბოლო წლებში უკიდურესად გაადვილდა სადოქტორო დისერტაციების დაცვის პროცესი, მოთხოვნები და კრიტერიუმები. მიმაჩნია, რომ სამეცნიერო წრეები და შესა-

ბამისი სტრუქტურები უნდა დაფიქრდნენ ამის შესახებ, რათა დისერტაციები სათანადოდ მომზადდეს. იმის ერთ-ერთ მაგალითად, რომ დღევანდელი წესებით, მოთხოვნებით და კრიტერიუმებით შესაძლებელია წყალწყალა დისერტაციების დაცვა, წინამდებარე ნაშრომი მიგვაჩნია. ამის გამო მინდა საზოგადოების ყურადღება მივაპყრო ამ ნაშრომზე, როგორც გარკვეული უარყოფითი მოვლენის, ტენდენციის ერთ-ერთ მაგალითზე.

შესაძლოა ვცდებოდე. თუ ასეა, მკითხველმა განსაჯოს.

დისერტაციის თემატიკა და მიზანი უაღრესად საინტერესოა. ეროვნული იდენტობის პრობლემით ადრეც ინტერესდებოდნენ ისტორიკოსები, მაგრამ საბჭოთა იდეოლოგიური წნეხი არ იძლეოდა პრობლემის თავისუფალი გააზრების საშუალებას. უკანასკნელ წლებში ქართველი ისტორიკოსები დაინტერესდნენ ეროვნული იდენტობის შესახებ არსებული დასავლური თეორიული პროდუქციით. ითარგმნა რამდენიმე დასავლელი ცნობილი ავტორის ნაშრომებიც. ნატო სონღულაშვილის სადისერტაციო ნაშრომის თემატიკა ამ სასიკეთო ტენდენციის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ავტორის მიზანია, დასავლური თეორიული ნააზრევის გამოყენებით გაიაზროს საქართველოს ახალი ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდის ქართული საზოგადოების ეროვნული იდენტობის გზა. თავის მიზან-ამოცანებს დისერტანტი ასე აყალიბებს: „ჩემს მიზანს წარმოადგენს ქართული სინამდვილის შესწავლა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში, კერძოდ, რა გზა განვლო ქართველი ერის ცნობიერებამ 1900-1921 წლებში. ვფიქრობ, ორი სრულიად განსხვავებული პერიოდის შედარებითი ანალიზი მრავალ პრობლემატურ საკითხს მოჰფენს ნათელს“. ავტორს მხედველობაში აქვს 1917 წლამდელი და მისი შემდგომი პერიოდები. (იხ., სადისერტაციო ნაშრ., გვ. 8. ამის შემდეგ ნაშრომის გვერდებს მივუთითებთ – დ. შ).

ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი განაგრძობს საკვლევი მიზნების, ამოცანების, პრობლემების ჩამოყალიბებას. ისინი, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ ფართო და მასშტაბურია. კერძოდ, ავტორის მიზნებია:

ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორ აღიქმებოდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ქართველი ერის წარმოშობის საკითხი (გვ. 4);

შესწავლა იმისა, თუ რა ცვლილება განიცადა ეროვნული ცნობიერების ფორმირებამ XX საუკუნის პირველ ოცწლეულში და რა ფასეულობებზე დაყრდნობით მოიაზრებდა თავს „ქართველი“ ერთობის წევრად (გვ. 4);

„...ჩემი მიზანი საზოგადოებრივი აღქმების კვლევაა...“ (გვ. 4) – აკონკ-

რეტებს ავტორი და განმარტავს, რომ „პირველ რიგში“ აუცილებელია განისაზღვროს ეპოქის, ანუ 1900-1921 წლების ძირითადი მოვლენები და მათი გავლენა საზოგადოებაზე და მეორე, საჭიროა სოციალური ფენების კლასიფიკაცია, თითოეული მათგანის ღირებულებათა გამოკვეთა და მთლიანობაში გააზრება“ (გვ. 5); „როგორ მოიაზრებდა მთლიანობაში ქართველი დროის მსვლელობაში თავს ერთობის წევრად და რა ფასეულობათა სისტემა განსაზღვრავდა მათ ბრძოლას თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის“ (გვ. 5);

მივყვეთ ავტორის მიზან-ამოცანებს: „...ქართველი ერის იდენტობრივი ანალიზი, ანუ საზოგადოებრივი აღქმების წარმოჩენა საშუალებას მოგვცემს, ახლებურად შეეხედოთ და განსხვავებული კუთხით დავამუშავოთ სხვადასხვა ისტორიული მოვლენა“ (გვ. 8);

„დისერტაციაში მთლიანობაშია წარმოდგენილი და გაანალიზებული ხშირ შემთხვევაში ცალკეულ საკითხებად შესწავლილი პრობლემები. ნაჩვენებია, რა გზა განვლო საქართველომ XX საუკუნის პირველი ოცწლეულის მანძილზე; რა ცვლილებები განიცადა სხვადასხვა სოციალური ფენის ცნობიერებამ, რა ფორმით იყო წარმოდგენილი ეროვნული თავისუფლების ფენომენი და როგორ ვითარდებოდა მთლიანობაში ქართველი ერი“ (გვ. 8);

„...1900-1921 წლების შესახებ კომპლექსური გამოკვლევა არ არსებობს. დისერტაცია აღნიშნულის მცდელობას წარმოადგენს. ...როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემს მიზანს წარმოადგენს აღვადგინო და შევაფასო ქართული გარემო 1900-1921 წლებში“ (გვ. 14).

ვცადოთ და შევაჯამოთ, ოღონდ მხოლოდ ავტორისეული სიტყვებით: ქართველი ერის წარმოშობის საკითხი; ქართველი საზოგადოების ეროვნული იდენტობის გზა; 1900-1921 წლების ქართული სინამდვილის შესწავლა; ეროვნული ცნობიერების გზა; ეროვნული ცნობიერების ცვლილებები და ფორმირება; საზოგადოებრივი აღქმების შესწავლა; სოციალური ფენების კლასიფიკაცია და მათი ღირებულებები; სოციალური ფენების ცნობიერება; ეროვნული თავისუფლების ფენომენი და მისი აღქმა; 1900-1921 წლების ქართული გარემოს აღდგენა და კომპლექსური გამოკვლევა... ავტორის მიერ წარმოსახული მიზნების პანორამა ამით არ მთავრდება. ისინი მეორდება და ფართოვდება შემდგომ თავებში. ამის შესახებ ქვემოთ.

ავტორის მიზნები, როგორც ვხედავთ, სერიოზულია. მას ძირითადად ჩამოყალიბებული აქვს პრიორიტეტული საკვლევი პრობლემები. ამ მხრივ რაიმე სერიოზული პრეტენზია არ გაგვაჩნია, გარდა ერთი გარემოებისა. ავ-

ტორი საჭირო, აუცილებლად შესასწავლ პრობლემებთან ერთად მიზნად ისახავს, აგრეთვე, ისეთი საკითხების შესწავლასაც, რომელნიც არაა აუცილებელი მისი კვლევისათვის. ამავდროულად, ისინი ისე აფართოებენ საკვლევ პრობლემათა მასშტაბს, რომ მათი სრულფასოვანი შესწავლა საეჭვო ხდება.

ეროვნული იდენტობის შესწავლა ავტორის კვლევის უშუალო ობიექტია, მაგრამ ავტორი აშკარად სცილდება საკვლევ პრობლემათა საზღვრებს, როცა მიზნად ისახავს 1900-1921 წლების „ქართული სინამდვილის", „ქართული გარემოს" აღდგენას ან კიდევ – 1900-1921 წლების პერიოდის „კომპლექსურ გამოკვლევას". მაშასადამე, რომ ავტორმა იმ დიდი და უნიკალური პერიოდის საქართველოს ყოფა-ცხოვრების ყველა მხარე უნდა შეისწავლოს, რომელიც ისეთი მოცულობით შეზღუდული ნაშრომის ფარგლებში, როგორიც სადოქტორო დისერტაციაა, პრაქტიკულად შეუძლებელია.

გარდა ამისა, ავტორმა ვერ გაითვალისწინა აგრეთვე საკვლევი პრობლემის მეტისმეტი ქრონოლოგიური სიფართოვე. 1900-1917 და 1917-1921 წლების პერიოდების საქართველოს ისტორია ორი სრულიად განსხვავებული და ცალკე შესასწავლი პრობლემებია და მათი სრულყოფილად შესწავლა ერთი სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში არარეალისტური ამოცანაა. ასეთ შემთხვევაში ნაშრომი წინასწარაა განწირული, რომ იყოს მეტისმეტად ზედაპირული, ზოგადი და ფრაგმენტული.

მაგრამ არ გვინდა, ავჩქარდეთ. იქნებ ვცდებით და ავტორმა ეს ყველაფერი გაითვალისწინა? იქნებ მან გვიპასუხოს, რომ მისი ნაშრომი თეორიულ-ანალიტიკური ხასიათისაა და ასეთ შემთხვევაში უფრო ფართო ქრონოლოგიური პერიოდის კვლევაც შეიძლებოდა. სანამ ავტორს თავად არ წამოუყენებია ამგვარი არგუმენტი, თავს შევიკავებთ მისი უსაფუძვლობის დასაბუთებისაგან.

ახლა რაც შეეხება პირველ თავს, რომლის სახელწოდებაცაა: „ეროვნული პრობლემის ზოგიერთი საკითხი". რატომ დასჭირდა ამ „ზოგიერთი საკითხის" განხილვა ავტორს, აღნიშნულ თავში არ განმარტავს, მაგრამ ამის შესახებ საუბარია ნაშრომის შესავალსა და დასკვნაში. შესავალში ავტორი განგვიმარტავს, რომ პირველ თავში „წარმოდგენილია, თუ როგორ მოიაზრებოდა ქართველი ერის ჩამოყალიბება XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ" (გვ. 15).

აღნიშნული თავი მოიცავს შვიდიოდე გვერდს (გვ. 17-23) და მასში დაფიქსირებულია ქართველი ერის ჩამოყალიბების მარქსისტულ-სტალინური

თვალსაზრისი. პირველ თავში ავტორმა გამოიყენა 9 ამონაწერი, ციტირება. პირველი ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს და XIX საუკუნის მეორე ნახევრისაა; მეორე 1911 წლის გაზეთ „თემიდანაა", მაგრამ ქართველების კუთხური მენტალობის თემას ეხება; მესამე ერის სტალინური განსაზღვრებაა; მეოთხე XI საუკუნის წარწერაა; მეხუთე ვახუშტი ბატონიშვილის ციტატა; მეექვსე – ლენინის თხზულებებიდანაა ამონაწერი; მეშვიდე ციტატა – ჟან შარდენს ეკუთვნის; მერვე 1819 წლის აღწერიდანაა ციტატა და მეცხრე – გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრია ციტირებული, რომლითაც ბოლშევიკებისაგან წამებული სოციალ-დემოკრატი, რუსეთის მეფის ხელისუფლების უკუღმართ პოლიტიკას ეხება ქართველობის მიმართ.

რა მივიღეთ? ის, რომ ავტორმა დანაპირები არ შეასრულა და სრულიადაც არ „წარმოადგინა, თუ როგორ მოიაზრებოდა ქართველი ერის ჩამოყალიბება XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ" (გვ. 15).

იქნებ მეორე მიზანდასახულობა მაინც შეასრულა ავტორმა ამ თავში, რომლის შესახებაც ის ნაშრომის „დასკვნაში" კატეგორიულად აცხადებს: „უარყოფილია XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ერის ჩამოყალიბების მარქსისტული მოსაზრება და დასაბუთებულია საწინააღმდეგო თვალსაზრისი".

უნდა მოვძებნოთ სადაა ის, რაც უარყოფილია და ის, სადაც „დასაბუთებულია" ან იქნებ სადმე გამართულად გვითხრას ავტორმა, რა არის ეს „საწინააღმდეგო თვალსაზრისი".

ამ განცხადების არც ერთი პასუხი ამ თავში და, საერთოდ, ნაშრომშიც არ არის.

ავტორი პირდაპირ არსად გვეუბნება, რომ არ იზიარებს მარქსისტულ თვალსაზრისს ქართველი ერის XIX საუკუნეში ჩამოყალიბების შესახებ. ის წერს: „...მაგრამ იმის თქმა, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბება კაპიტალიზმის დამკვიდრების შემდეგ იწყება, რთული სათქმელია" (გვ. 18).

ამას კიდევ ეშველება, რადგან ჩანს მაინც, რომ ავტორს ეჭვი ეპარება მარქსისტული თვალსაზრისის ობიექტურობაში, თუმცა გამოკვეთილად ვერ ამბობს თავის პოზიციას. არც ამ თავში და მით უფრო ნაშრომში იგი არსად არ „ასაბუთებს" მარქსისტული კონცეფციის საწინააღმდეგო თვალსაზრისს. ამის მაგივრად ის მხოლოდ იმას ასაბუთებს, რომ „ქართული ერთობის წევრებს შორის კავშირი არსებობდა ყოველ ეპოქაში" და რომ ერთიანობის „აღქმაც" არსებობდა. ავტორი არსად არ ამბობს, წერს ან ასაბუთებს, რომ

ქართველი ერი XIX საუკუნემდე არსებობდა.

ერთი სიტყვით, პირველი თავი აბსოლუტურად არ პასუხობს თემის დანიშნულებას, მისი შინაარსი არ შეესაბამება ავტორის მიზანდასახულობას, მასში არ არის განხორციელებული პრობლემის ადეკვატური კვლევა.

კი, მაგრამ მაინც რის შესახებაა საუბარი პირველ თავში? მასში განხილულია: პირველი – ერის რაობისა და ერების წარმოშობის შესახებ მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისი; მეორე – მოყვანილია ციტატები იმის დასადასტურებლად, რომ ქართველთა ერთიანობის შეგნება არსებობდა შუა საუკუნეებში და მესამე – რუსეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად აძლიერებდა ქართველთა შორის დაქსაქსულობა კუთხურობას. ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისთვის.

II თავის სათაურია „რეგიონული იდენტობა – ცენტრი და პერიფერია“. ავტორი განმარტავს, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის ისტორიის „ტრადიციული ფორმით შესწავლა“. მისი მიზანია „მათი როლის წარმოჩენა ეროვნული სახელმწიფოს შენების, თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში“. „...საინტერესოა, როგორ აღიქვამს და რა დატვირთვას ანიჭებს კულტურული და პოლიტიკური ელიტა ქალაქს და სოფელს 1900-1917 წლებში“. საინტერესო დასაწყისი და დაპირებაა. მართლაც, ამ კუთხით რომ შეეხედოს რეგიონისა და პერიფერიის როლისა და ადგილისათვის იმ პერიოდის საქართველოსთვის, ქართველი ისტორიკოსებიდან არავინ მახსენდება.

II თავი 12-გვერდიანია, საკითხის დასმა გვერდ-ნახევარს მოიცავს. კვლევითი ნაწილი პერიოდის, ე.ი. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის კარგად ცნობილი პროცესების ახსნით იწყება. აქ მოულოდნელად ავტორი შუა საუკუნეების ქალაქების ისტორიით ინტერესდება. ავტორი ჩამოთვლის 25 პატივცემული ქართველი ისტორიკოსის გვარს, ვინც კი ამ თემას შეხებია, შემდეგ კვლავ დაკონკრეტებულია აღნიშნულ თავში ავტორის მიზანი. ავტორთან ერთად ჩვენც გავიმეოროთ: „ამჯერად ჩემს მიზანს წარმოადგენს 1900-1917 წლების ქართული გარემოს აღდგენა, რისთვისაც დისერტაციაში განხილულ საკითხებთან ერთად მთლიანი სურათის აღსადგენად და მოვლენების ურთიერთკავშირში განსახილველად ცენტრის და პერიფერიის ანუ ქალაქის და სოფლის ეროვნული იდენტობის დამახასიათებელი ნიშნების გააზრებას და გამოკვეთას თავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება“ (გვ. 26).

ამის შემდეგ იწყება **„§1. ქალაქი“.** პარაგრაფს ავტორი ასე იწყებს: „ზოგადად ქალაქის მნიშვნელობა მთლიანად სახელმწიფოს და კონკრეტულად სოფლის განვითარებაზე დიდია“ (26). ამ წინადადებას მწარედ დაფიქრება სჭირდება: იქნებ კორექტურული შეცდომაა? თუ არა, მაშინ გვინდა ვთხოვოთ დისერტანტს (აწ უკვე დოქტორს – დ. შ), განგვიმარტოს: როგორ არის ქალაქის მნიშვნელობა სახელმწიფოსაზე დიდი? ეს საკუთარი აზრია თუ იდენტობის რომელიმე თეორეტიკოსის ნაწერებში ამოიკითხა? თუ ასეა, მაშინ უნდა მიუთითოს ავტორი, წიგნი, გვერდი, რათა ჩვენი სამამულო ისტორიოგრაფია ახალი ფასეული დებულებით გამდიდრდეს.

ამას მოსდევს არანაკლებ საეჭვო ღირებულების მქონე შემდეგი განცხადება, რომ „1900-1917 წლებში საქართველოში ქალაქებს ახალი მნიშვნელობა და დატვირთვა ენიჭება. ის ხდება მთავარი ცენტრი, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობასთან დაკავშირება და დაახლოება, ...ამ პერიოდში ქალაქები მთავარი სამრეწველო ცენტრები ხდებიან...“ და ა.შ. ისტორიის თხრობისაგან ისტორია, როგორც მეცნიერება, იმით განსხვავდება, რომ იგი მოითხოვს დებულებებისა და პროცესების გადმოცემის სიზუსტეს. ავტორის დაწერილს რომ დავუჯეროთ, გამოდის, ილია ჭავჭავაძე „ივერიას“ ყვარელში გამოსცემდა. ასე რომ, ავტორს არ ჰგონია ვიცით, მაგრამ წერის დროს დაფიქრებაა საჭირო და აზრის ადეკვატურად გადმოცემა. თბილისი, ქუთაისი და სხვა შედარებით პატარა ქალაქები კარგა ხანია, უკვე იყო ქვეყნისა და რეგიონების მთავარი ცენტრები, ვიდრე 1900 წელი დადგებოდა. ყველაფერი, რაზეც ამ თავში ქალაქებზე წერს ავტორი, ადრე დაიწყო, ხოლო სამრეწველო ცენტრებად უკვე XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან იქცა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში განვითარების ახალ ფაზას მიაღწია.

ნაშრომში კვლევის მიმდინარეობის ერთადერთი მაჩვენებელი ისაა, რომ ავტორს მოჰყავს ამონაწერები ქართული პრესის ორგანოებიდან. ჯერჯერობით ეს ერთადერთი დადებითი მხარეა ნაშრომისა, მაგრამ რას ასაბუთებენ ეს ამონაწერები? „როგორც დღეისათვის არსებული მასალებიდან ჩანს, განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა თბილისსა და ქუთაისს, რომლებიც მთავარი ცენტრები იყვნენ ეროვნული იდეების ქადაგების თვალსაზრისით“ (გვ. 29). აი, ამგვარი პრიმიტიული რეალობის დასასაბუთებლად კრებს ავტორი ამონაწერებს მაშინდელი პრესის ორგანოებიდან, თითქოს ეს ყველაფერი უცნობი იყოს ისტორიოგრაფიისათვის ან საზოგადოებისთვის.

გზადაგზა ავტორი უცნაურ დასკვნებს გვთავაზობს: „საინტერესოა, აღინიშნოს, რომ საუკუნის დასაწყისში თბილისს არ ჰქონდა ის ეროვნული და კულტურული მნიშვნელობა, რაც XX საუკუნის დასაწყისიდან შეიძინა“. ეტყობა, პირველ შემთხვევაში ავტორი XIX საუკუნეს გულისხმობს? ალბათ.

მაინც რას ასაბუთებს ავტორი იმ რვა ციტატით, რომელნიც მას ამოუწერია 1900-ანი წლების ქართული პრესიდან: პირველ ციტატაში საუბარია იმაზე, რომ ქალაქი პროვინციას განვითარების გეზს აძლევს (გვ. 26); მეორეში – რომ ქალაქი ცივილიზაციის გამომხატველია (გვ. 27); მესამეში – რომ აქ იქმნება პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა (გვ. 27); მეოთხეში – მრეწველობა და ვაჭრობა ვერ განვითარდება, თუ ქალაქის მცხოვრებელნი უვიცები არიან (გვ. 28); მეხუთეში – ქალაქის განვითარებისათვის საჭიროა სკოლა და განათლება (გვ. 29); მეექვსეში – თბილისის გარეშე საქართველო ვერ გაერთიანდება და განვითარდება (გვ. 29); მეშვიდეში – თბილისს არაეროვნული სახე აქვს (გვ. 29); თბილისი ერთადერთი ნამდვილი ცენტრია ქვეყნისა (გვ. 30).

აი, ამ ამონაწერებით მთავრდება იმის კვლევა, რასაც ავტორი მეორე თავის დასაწყისში გვპირდება: რომ მან უნდა წარმოაჩინოს ქალაქების როლი ეროვნული სახელმწიფოს შენებაში; დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში; ან კიდევ, რა როლს ანიჭებდა ქალაქებს „კულტურული და პოლიტიკური ელიტა“. ეს ამონაწერები და 3-4 ფურცელი, სადაც საუბარია ქალაქების მნიშვნელობაზე, სრულიადაც არ არის საკმარისი, რომ დაგვანახოს მაშინდელი საზოგადოებრივი აღქმა ქალაქების შესახებ. ავტორი იწერს ამონარიდებს სტიქიურად, იწერს იქიდან, სადაც, უბრალოდ, ქალაქებზეა საუბარი, არც ავტორებს ასახელებს, არც სტატიების სახელწოდებას, არც მასალის დანიშნულებას და არც იმას, თუ რას ასაბუთებს ესა თუ ის სტატია, რომელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფის პოზიციას გამოხატავს იგი და ა.შ. შედეგად ვიღებთ ციტატების უსისტემო გროვას. ასე პრიმიტიულად არ იყო XX საუკუნის დასაწყისში ვითარება. ქართულ პრესაში მიმდინარეობდა ცხარე და საინტერესო პოლემიკა პოლიტიკურ მხარეებს შორის ქალაქების როლისა და დანიშნულების შესახებ. ავტორი ამ საკითხით უნდა დაინტერესებულიყო და, მაგალითად, გაეშუქებინა ნოე ჟორდანიასა და არჩილ ჯორჯაძის კამათი ქალაქების დანიშნულების შესახებ და ამის მსგავსი რეალიები გადმოეცა. მაგრამ მან იმდენად არარეალისტური საკვლევი მიზნები დაისახა, რომ ქალაქებს მეტ ადგილს ველარ დაუთმობდა თავის დისერტაციაში. შედე-

გად მივიღეთ რამდენიმე მჭლე ციტირება და ავტორისეული არაფრისმთქმელი, ისედაც საყოველთაოდ ცნობილი პროცესების ცუდად გამეორება და გადმოცემა.

რაც მთავარია, აღნიშნული პარაგრაფი სამეცნიერო-კვლევითი და ანალიტიკური თვალსაზრისით არავითარ ღირებულებას და სიახლეს არ წარმოადგენს, მასში არ არის არც ერთი ახალი დებულება ან აზრი და ეს ხდება არა იმიტომ, რომ პრობლემის მართლაც სერიოზულად შესწავლა შეუძლებელია, არამედ იმიტომ, რომ ოთხი გვერდი პრობლემის წარმოსაჩენად სრულიად არაა საკმარისი.

მაგრამ ავტორმა პრობლემა საკმარისად შესწავლილად მიიჩნია და მეორე საკითხის განხილვაზე გადავიდა შემდეგ პარაგრაფში, რომელსაც ეწოდება **„§2. სოფელი“**.

შესაძლოა, უნებურად, მაგრამ, ფაქტობრივად კი, ავტორი პირველივე გვერდიდან ცდილობს მცდარი ფორმულირება რეალობად მოგვაჩვენოს: „1900-1921 წლებში ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მთლიანად მიმართულია, ჩართოს სოფელი ეროვნულ პროცესებში...“ (გვ. 31). რაღა გვიჭირდა, ასე რომ მომხდარიყო და ასეთი ერთსულოვანი რომ ყოფილიყო ჩვენი მაშინდელი ელიტა. კარგად რომ იცნობდეს ჩვენი დისერტანტი „ეპოქის გამოწვევებს“, მაშინ დაწერდა, რომ ქართული პოლიტიკური ელიტის ყველაზე გავლენიანი ძალა, სოციალ-დემოკრატია, ცდილობდა სოფლის გლეხობის ჩართვას არა ეროვნულ, არამედ სოციალურ-რევოლუციურ პროცესებში და ამით უპირისპირდებოდა ეროვნულ-პოლიტიკურ ელიტას.

პარაგრაფში თემები კალეიდოსკოპური სიჭრელით ცვლიან ერთმანეთს: ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, მიწების გამიჯვნა, მრავალფეროვანი წყაროების გამოყენების აუცილებლობა, ნაციონალური იდეები, ისევ მიწის პრობლემა, სწავლა-განათლების საქმე... აქ შეუძლებელია რაიმე ერთი თემის დაფიქსირება, აქ ქაოსია და ერთიანი აზრის გამოტანა შეუძლებელია. 34-ე გვერდზე ავტორი, ეტყობა, შეაწუხა სხვადასხვა თემის ქაოტურმა ცვალებადობამ და, ბუნებრივია, აქ ყველა სტატიას ვერ განვიხილავთო, დაპირებას იძლევა: „აქცენტს გავაკეთებ ძირითად პრობლემებზე და საზოგადოებისათვის საინტერესო მოვლენებზე, რომლებიც აქტუალური იყო აღნიშნულ ეპოქაში და რომელებიც ნათლად გამოხატავენ სოფლის მცხოვრებლების სულისკვეთებას და მოთხოვნილებებს. ამასთან, მათ აღქმას, როგორც ეროვნული იდეისა, ასევე საზოგადოებრივი საკითხებისა“ (გვ. 34). ამ მეთოდოლოგიურ განცხადებაში ჩანს მთავარი პრობლემა: ავტორი გამოკვეთილად ვერ აკეთებს არჩევანს –

რომელ საკითხზე გაამახვილოს მთავარი ყურადღება. იგი ახსენებს თავის მთავარ მიზანს – სოფლის მცხოვრებლების მიერ აღქმა ეროვნული იდეისა, მაგრამ მასთან ერთად უამრავ სხვა საკითხსაც ჩამოთვლის, რომელთა შესახებაც არ არის საჭირო საუბარი, ამონაწერების გაკეთება, მსჯელობა. მაშინდელ გლეხობას, და, ზოგადად, სოფელს იმდენი „აქტუალური" საკითხი აწუხებდა, რომ ტომები დაიწერება. ეს მეცნიერული კვლევის ელემენტარული მეთოდია და თუ ის დაცული არ იქნა, ნებისმიერი ავტორი სხვადასხვა თემის ისეთ აბლაბუდაში გაებმება, რომ იქიდან დროდადრო თუ დაიძვრენს ხოლმე თავს.

ჩვენს ავტორს სწორედ ასე ემართება, ამ პარაგრაფშიც და ნაშრომშიც. მის მეთოდოლოგიურ ამონაწერში გაელვებული „ეროვნული იდეა" აქამდე ჩაკარგული იყო „ყველა პრობლემაში". ამის შემდეგაც ავტორის ყურადღებას იქცევს ქურდობა, რომლის გამოც „მძიმე ვითარებაში" ყოფილა ზემო ქართლი, მორიგი ამონაწერიც ამ თემას ეხება. გაზეთ „თანამედროვე აზრიდან". შემდეგი ამონაწერი უკვე სოფლად გავრცელებულ დღეობებს ეხება, რომლებიც, იმავე „თანამედროვე აზრის" დასკვნით, „ოჯახის გამანადგურებელი" ყოფილა. ნამდვილად კომპეტენტური დასკვნაა და არა მარტო 1900-იანი წლებისათვის, მაგრამ რა შუაშია და რა კავშირშია ეროვნულ იდენტობასთან ეს ღობე-ყორე? ან იქნებ ის იგულისხმება, რომ იმ დალოცვილ სოფლის დღესასწაულებზე გლეხკაცები მამულის სადღეგრძელოსაც აუცილებლად იტყოდნენ.

პარაგრაფის დარჩენილი, ერთ გვერდზე მოყვანილი ციტატა კლასობრივ ბრძოლას ეხება, რის გამოც სოციალ-დემოკრატიული „თანამედროვე აზრი" კმაყოფილებას ვერ მალავს, რადგან სოციალური დიფერენციაცია ღრმავდება (გვ. 35).

რა მივიღეთ ამ პარაგრაფში? აღდგა სოფლის გარემო? გავიგეთ თუნდაც ერთი წინადადებით, როგორი იყო სოფლის მოსახლეობის მიერ ეროვნული იდეის აღქმა? რომელი სოციალური ფენებისაგან შედგებოდა სოფლის მოსახლეობა? როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან? რას აკეთებდა სოფლად პრაქტიკულად, როგორც ნაშრომში ლამის ყოველ გვერდზეა ნახსენები, „ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა"? ამ და მსგავს კითხვებზე პარაგრაფი პასუხს არ იძლევა და დუმს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ პარაგრაფში არ არის არავითარი სიახლე, დასკვნა, მოვლენის ინტერპრეტაცია, რაც დისერტაციას უნდა განასხვავებდეს ჩვეულებრივი სამაგისტრო ნაშრომისაგან.

რაც შეეხება დასკვნას, რომელიც პარაგრაფის ბოლოშია გაკეთებული და ეხება ორი პერიოდის, 1900-1917 და 1917-1921 წლების მონაკვეთების ერთმანეთისაგან განსხვავებას, ის საერთოდ არაა დაკავშირებული პარაგრაფის შინაარსთან. პარაგრაფში საერთოდ არაა ნახსენები დამოუკიდებელი საქართველო და მით უფრო პირველი რესპუბლიკისდროინდელი სოფელი, მისი პრობლემები და მისი საზოგადოებრივი აღქმა. დასკვნა საერთო ისტორიოგრაფიული ცოდნიდან გამომდინარეობს და არ ეყრდნობა სპეციალურად ჩატარებულ კვლევას. ერთი სიტყვით, ნაშრომში ვერ „აღდგა" 1900-1921 წლების ვერც სოფელი და ვერც ქალაქი, რომლის მნიშვნელობაც „მთლიანად სახელმწიფოს" მნიშვნელობაზედაც კი დიდია (26). ამ არცთუ სახარბიელო სურათის შემდეგ გადავიდეთ დისერტაციის ახალ ნაწილზე.

თავი III. სოციალური გარემო 1900-1921 წლებში. §1. გლეხი.

ავტორს აინტერესებს: „რა ცვლილებებს განიცდის მისი (გლეხის – დ. შ.) ღირებულებები. რამდენად აქვს განვითარებული ეროვნულობის შეგნება?". ავტორი სრულიად სამართლიანად იწუნებს საბჭოთა ისტორიოგრაფიის პროდუქციას გლეხობის შესახებ და თუ ის პასუხს გასცემს თავის მიერ დასმულ კითხვებს, ეს იქნება მართლაც სიახლე, რადგან ამ თემაზე ბევრი წერდა, მაგრამ რას ფიქრობდა ჩვენებური გლეხკაცი საკუთარ სამშობლოზე, ნაკლებად ვიცით.

თუმც პარაგრაფი უფრო გლეხის შესახებ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეხედულებებისა და პოზიციის განხილვას ეხება. დისერტანტს მიაჩნია, რომ XIX საუკუნის პირველი მესამედის „თითქმის ყველა გამოსვლას საფუძვლად ედო არა ეროვნული, არამედ სოციალური და ეკონომიკური მოტივი, თუ არ ჩავთვლით 1832 წლის შეთქმულებას" (გვ. 40). რაც ნიშნავს, რომ XIX საუკუნის დასაწყისის აჯანყებებს ეროვნული მოტივაცია და მიზნები არ ჰქონიათ. როგორც ვხედავთ, ავტორი განზრახ თუ უნებლიეთ იზიარებს მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისს და აქტიურად იმოწმებს საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს (გვ. 40).

ამის შემდეგ, ავტორი უფრო ამახვილებს ყურადღებას სოციალურ საკითხებზე, რომლებსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია მთავარ საზრუნავად მიიჩნევდა. ამონაწერებიც 42-43-ე გვერდებზე ამ თემას ეძღვნება. ჯერჯერობით ეროვნული იდენტობის თემატიკა არ ჩანს და არც გარემოს „აღდგენა", ხოლო ენთონი სმიტის, ანდერსონისა და ჰობსბაუმის გვარების მაგივრად უფრო საბჭოთა ისტორიკოსების გვარები ფიგურირებენ ნაშრომში. საერთოდ, ეს

ფურცლები უფრო XX საუკუნის 50-60-იანი წლების პარტიული ლიტერატურის პათოსით სუნთქავს, ვიდრე თანამედროვე დასავლური თეორიების გავლენით.

დისერტანტს მიაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში გლეხის საკითხი კვლავინდებურად აქტუალური იყო და „მთავარი პრობლემა ისევ მიწა და პირადი თავისუფლებაა" (გვ. 46). არა, იმაში ეჭვს ვერ შევიტანთ, რომ დისერტანტმა იცის ბატონყმობის გაუქმების თარიღი, მაგრამ მას ნამდვილად აქვს მოსაზრების ან მოვლენის ადეკვატურად გადმოცემის პრობლემა. ამ შემთხვევაში ის ისე წერს, თითქოს ნოე ჟორდანიას პრემიერ-მინისტრობის დროს ქართველი გლეხები ყმები იყვნენ და პირადი თავისუფლება არ გააჩნდათ.

პარაგრაფის ბოლო სამი გვერდი პირველი რესპუბლიკის ხანას ეთმობა. განხილული თემები ერთმანეთს ცვლიან: მიწის რეფორმა; ეკონომიკური მდგომარეობა; ჟორდანიას სურვილი გლეხობის სახელმწიფო პროცესებში ჩართვის შესახებ; რამიშვილის მოხსენება, საიდანაც ცხადი ხდება, რომ „გლეხები ეჩვევიან პარტიულ მუშაობას"; „ისინი პირდაპირ აღმერთებენ ნოე ჟორდანიას, ჩხეიძეს და წერეთელს". ამონაწერები საინტერესოა, მაგრამ სხვა თემისთვის უფრო კარგი გამოსაყენებელია და ნაკლებად ეროვნული იდენტობის თემატიკისათვის. ფურცლები ივსება სოციალ-დემოკრატიული მმართველი პარტიის საგლეხო პოლიტიკის განხილვით. თუ მკითხველს ეს თემატიკა აინტერესებს, მას ხომ შეუძლია შოთა ვადაჭკორიას ფუნდამენტური მონოგრაფია წაიკითხოს (იხ., მისი: ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში. თბ., 2001).

პარაგრაფსა და, საერთოდ, ნაშრომში ხშირად გვხვდება მცდარი, არაკომპეტენტური, ფაქტობრივი შეცდომების შემცველი ფორმულირებები. მაგ., 39-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ თითქოს „ქართული სოციალ-დემოკრატია თავიდან, ანუ მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ანტიქართულ პოზიციაზე იდგა..." დისერტანტს ვეკითხებით: მხოლოდ საწყის ეტაპზე? იგი ხომ თვითვე გვიწერს, რომ სოციალ-დემოკრატიამ პოზიცია შეიცვალა „განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 1918 წელს..." რა გამოდის?! საწყის ეტაპზე კი არა, მთელი 25 წლის განმავლობაში ქართულ სოციალ-დემოკრატიას 1890-იანი წლებიდან 1917 წლამდე ანტიეროვნული პოზიცია ჰქონდა და ბოლო ეტაპზე განიცადა ნაციონალიზაცია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა.

რაც მთავარია, ეს თავიც უფრო სხვათა მიერ, ძირითადად კი სოციალ-დემოკრატების მიერ, გლეხობის შესახებ მოსაზრებებითა და ამონაწერებითაა გავსებული. არსად ჩანს, თვით გლეხები როგორ აღიქვამდნენ ეროვნულ საკითხს. რა დონის, ხასიათის, ხარისხის ეროვნული იდენტობა ჰქონდათ. ამის შესახებ უამრავი ციტატა დუმს და ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლევა სულ სხვა გზითაა წარმართული. ამ პარაგრაფში ერთადერთ ციტირებას წავაწყდით, რომელიც გლეხთა მიერ მიმდინარე მოვლენების აღქმას ეხება, მაგრამ ისიც არა ეროვნულ იდენტობას. აქ ლაპარაკია გლეხთა დამოკიდებულებაზე მენშევიკებისა და „ბალშევიკების" მიმართ (გვ. 48).

პარაგრაფის დასკვნაც, ჩვეულებრივ, უცნაურია. ის კვლევის შედეგებს კი არ ეხება, არამედ იმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კვლევა. დისერტანტი თითქოს სხვებს აძლევს დარიგებას, რა და როგორ უნდა იკვლიონ. მოვუსმინოთ: „ამდენად, 1. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიის სრულყოფილად და დეტალურად შესასწავლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური ფენების ცნობიერების შეფასება და მათი დამოკიდებულება ეროვნულ, სოციალურ, პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით, 2. 1900-1921 წლების სხვადასხვა მოვლენების გასათვალისწინებლად ეპოქის გამოწვევები და საზოგადოების ცნობიერების ცვლილება" და ა.შ. გასაოცარია, მაგრამ არც პირველ და არც მეორე საკითხზე პარაგრაფში არაფერია თქმული.

დავასკვნით, რომ პარაგრაფის შინაარსი და კვლევა არ პასუხობს ძირითად თემატიკას. მასში ერთი სიტყვაც არაა თქმული გლეხის ეროვნულ-იდენტობრივი ღირებულებების შესახებ: რა ადგილი ეკავა მის ცნობიერებაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული თავისუფლების პრობლემას; პარაგრაფი ძირითადად გადმოგვცემს ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ სოციალ-დემოკრატიულ პოზიციებს და ნაწილობრივ ინტელიგენციის შეხედულებებს გლეხობის ყოფა-ცხოვრების შესახებ. განა არ არის ნამუშევარი?! პრობლემაც სწორედ ისაა, რომ დისერტანტმა საკმაოდ ბევრი იმუშავა, პრესაც დაამუშავა, 19 ციტატაც მოიყვანა პრესიდან და საარქივო მასალებიდან, მაგრამ მისი მონაპოვარი, გამომზეურებული ამონაწერები სხვა თემატიკას ეხება და არა ეროვნულ იდენტობას, გლეხკაცის ეროვნულ აღქმებს.

„**§2. პროლეტარიც**" ისტორიის სიღრმიდან, ყირიმის ომისა და ბატონყმობის გაუქმების დროიდან იწყება. ისევ კაპიტალიზმის განვითარების, პროლეტარიატის წარმოქმნის პროცესს გავდივართ, ისევ „ახალი მოთხოვნები და

გამოწვევები დადგა დღის წესრიგში“ (გვ. 51). 52-ე გვერდზე კვლავ უცოდინრობის რეციდივმა იჩინა თავი: პროკლამაციები საქართველოშიც ვრცელდებოდა „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეშვეობით“. გავახსენებთ ავტორს, რომ 1918 წლის 19 ნოემბრამდე, ჟორდანიასა და მისი ამხანაგების დაბალი ეროვნული იდენტობის ხარისხის წყალობით დამოუკიდებელი ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია არ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ „რსდმპ“ და მისი შემადგენელი ნაწილი – საქართველოს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

შემდეგ საუბარია: სოციალ-დემოკრატებზე, პროლეტარულ სოციალიზმზე, რევოლუციაზე, ციტირებებიც შესაბამისია. ავტორი თავისი დისერტაციანად თანდათან ეხვევა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური ტერმინებისა და დოქტრინების ქსელში, სადაც აღარც ეროვნულ-იდენტური თემატიკა ჩანს და აღარც დისერტაციის მიზანი. მის ნაცვლადაა: ტერმინ „პროლეტარის“ მარქსისტული დეფინიციები (გვ. 52-53), კერძო საკუთრების უარყოფა; სოციალიზმის გამარჯვება; ამას მოსდევს პროლეტარიატის ჰეგემონობის ლენინური ლოზუნგის ციტირება; მერე 1959 წელს გამოცემული ძველისძველი საბჭოთა ავტორის, კ. დოლიძის წიგნიდანაა ციტირება. საბოლოოდ იკვეთება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პრიორიტეტული გაშუქება, რამაც ჩვენს ავტორს სრულიად გადაავიწყა დასავლელი იდენტოლოგები და საბჭოთა მარქსისტ-ლენინელ ავტორებამდე მიიყვანა: აქვეა მეორე, უფრო მოზრდილი ციტატა კ. დოლიძის ზემოაღნიშნული წიგნიდან, შთამბეჭდავი სათაურით: „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონობის საკითხისათვის“.

ნაშრომის ეს ნაწილი აღარაფრით განსხვავდება 1950-1960-იანი წლების საბჭოთა პარტიული ლიტერატურისაგან. 56-ე გვერდზე ნაშრომში ციტირებულია ამ პერიოდის ძველნაცნობი ლენინური თეზისი: „ამ ორი რევოლუციის შუალედში ბოლშევიკების პარტიამ გასწია დიდი მუშაობა იმისათვის, რომ ფართო დემოკრატიულ მასებს აეთვისებინათ პირველი რევოლუციის გაკვეთილები“. ამ ფურცლებზე ყველაზე მეტჯერ დამოწმებულ ავტორ-ავტორიტეტად გვევლინება ზემოაღნიშნული კარლო დოლიძე, რომლის მორიგ ციტირებასაც აქ აღარ მოვიყვანთ (გვ. 57). საერთოდ, კარლო დოლიძის მივიწყებულმა პერსონამ და წიგნმა ნამდვილ უკვდავყოფას მიაღწია დისერტაციაში და მეოთხე ციტატას სახით დამკვიდრდა იმავე 57-ე გვერდზე. ასეთი პატივი დისერტაციაში იშვიათად თუ ერგო რომელიმე სხვა ავტორს.

განვაგრძოთ ჩვენი უხალისოდ ქცეული საქმე. ეროვნულ თემატიკაზე მხოლოდ რამდენიმეგან გვხვდება საუბარი, პირველად 59-ე გვერდზე, როცა საკითხი ეხება რუსეთსა და საქართველოში მუშათა შორის არსებულ ეროვნულ სხვაობას და მეორეგან 63-ე გვერდზე მოყვანილ ამონაწერებში, როცა მუშები გარკვეულ ეროვნებას აკუთვნებენ თავს. აქაც ავტორი არ განმარტავს, რომ ციტირებული გაზეთები „საქართველო" და „შრომა" – სოციალისტ-ფედერალისტებს ეკუთვნოდათ. მკითხველს ისინი სოციალ-დემოკრატებისა ეგონება, რადგან კონტექსტის მიხედვით სოციალ-დემოკრატებზეა საუბარი.

პარაგრაფის უკანასკნელ გვერდებზე იწყება საუბარი პირველი რესპუბლიკის ხანაზე, როცა „სოციალ-დემოკრატებმა შეცვალეს თავიანთი პროგრამა" ეროვნულ სფეროში. მაგრამ ამის დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს ამონაწერი 1920 წლის გაზეთ „სახალხო საქმიდან". აქაც ავტორს უნდა მიეთითებინა, რომ „სახალხო საქმე" სოციალისტ-ფედერალისტების პარტიული გაზეთი იყო და არა სოციალ-დემოკრატებისა, როგორც მკითხველს შეიძლება ეგონოს, რადგან კონტექსტის მიხედვით კვლავ სოციალ-დემოკრატებზეა საუბარი.

ყოველ შემთხვევაში, მაინც უნდა აღვნიშნოთ სასიკეთო ტენდენცია, რომ პარაგრაფის დასასრულს ნაშრომის შინაარსი ოდნავ მაინც მიუახლოვდა ეროვნულ თემატიკას, სოციალ-დემოკრატების ეროვნულ ტრანსფორმაციას და მსგავს საკითხებს. დაასკვნის კიდეც ავტორი, რომ „აქედან მოყოლებული უფრო მეტი ყურადღება ექცევა მუშების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას" (გვ. 66). აი, რისთვის უნდა მიექცია დისერტანტს ყურადღება პარაგრაფის პირველი შვიდი ფურცლის გვერდებზე. კერძოდ, მას უნდა გახსენებოდა, რომ 1900-1917 წლების პერიოდში ქართული სოციალ-დემოკრატიის რიგებში იყვნენ ეროვნული მიმართულების მოღვაწეებიც, იყო შესაბამისი პრესაც და იყო შესაბამისი ეროვნული მიმართულების ფრაქციებიც.

დავასკვნით: პარაგრაფ „პროლეტარში" უმეტესწილად საუბარია სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე, ორგანიზაციებზე, მათ სოციალურ მიზნებზე, მხოლოდ პარაგრაფის დასკვნით ნაწილში, 64-69-ე გვერდებზეა საუბარი ეროვნულ თემატიკაზე (ფრაგმენტულად 59-ე გვერდზეც), რომელიც 1918-1921 წლების პერიოდს ეხება. თემატიკის ამგვარი განაწილება და ბალანსი აშკარად არაა საკმარისი, რომ აღნიშნული პარაგრაფი ეროვნული იდენტობისადმი მიძღვნილი დისერტაციის ნაწილად მივიჩნიოთ. პარაგრაფში საერთოდ არაა ნახსენები და ნაჩვენები თვით ქართველი მუშა-პროლეტარის ეროვნული ღირებულებები, აღქმები, მრავალრიცხოვანი ციტატებიდან ერთიც

არ ეხება ქართველი მუშის ეროვნულ შეხედულებებს, რაც დისერტაციის მთავარ მიზანსა და დანიშნულებას წარმოადგენს. ეს პარაგრაფი მხოლოდ ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა და შემდეგ ხელისუფლების ისტორიის ეპიზოდებს ეხება.

დისერტანტს უნდა შეესწავლა ქართველი მუშა-პროლეტარის ეროვნული შეხედულებები, ღირებულებები – ეს იქნებოდა მართლაც სიახლე და ნაშრომიც საინტერესო სახეს მიიღებდა. ამ სახით აღნიშნული პარაგრაფი, ისევე როგორც წინამდებარე ნაწილები, რამდენიმე თემატიკის ფრაგმენტების უწესრიგო კრებულს წარმოადგენს, სერიოზული, მრავალრიცხოვანი შეცდომების, ფორმულირებების, მარქსისტულ-ლენინური დოგმების რეციდივების თანხლებით, რომელთა შორის ოაზისებივით გვხვდება საინტერესო ამონაწერები იმდროინდელი უმდიდრესი ქართული პრესიდან, რომელნიც დისერტაციის კვლევით ნაწილს კი არ წარმოადგენს, არამედ სხვადასხვა თემატიკის სადისერტაციო მასალებს.

8 ფურცლიანი **„§3. ჯარისკაცი“** უნიკალურია დისერტაციის წინაგანხილული ნაწილებისაგან განსხვავებით – ის დისერტაბელურია, ე.ი. დისერტაციის თემატიკას პასუხობს. საუბარია პირველი რესპუბლიკის პერიოდის ქართველი ჯარისკაცის ეროვნული ცნობიერების, განწყობის შესახებ. ამონაწერებიც შესაბამისია, მაგ., გენერალ გიორგი კვინიტაძის შეფასებები ქართველი ჯარისკაცების ფსიქოლოგიური განწყობის, ბრძოლისუნარიანობის შესახებ (გვ. 73) და სხვ. დისერტაციაში საუბარია ჯარისკაცებში გავრცელებული დეზერტირული ფსიქოლოგიის, სხვა მანკიერებების შესახებ, საიდანაც გამომდინარეობდა ხელისუფლების ამოცანა – ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება არმიაში, „თითოეულ მხედარში სამშობლოსადმი სიყვარულის“ ჩანერგვა (გვ. 76).

პარაგრაფში მოძიებულია საინტერესო და ადეკვატური მასალები, მაგ., დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება ორი სამხედრო სკოლის შექმნის შესახებ; ინსტრუქტორების ინსტიტუტის ორგანიზება, მასწავლებლების მიმაგრება ჯარისკაცებთან, ბიბლიოთეკების გახსნა, საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის სწავლება და სხვ. ყოველივე ამის შესახებ მოძიებულია საარქივო და პრესის მასალები. სხვა ნაწილებისაგან სრულიად განსხვავებულ ამ პარაგრაფში განხილული საკითხები პირდაპირ პასუხობენ დისერტაციის დანიშნულებას: ჯარისკაცთა სწავლება, წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე, პატრიოტული აღზრდა, დასკვნაც ავტორისა ადეკვატურია: ხელისუფლება ცდი-

ლობდა შეექმნა ბრძოლისუნარიანი არმია, ჯარისკაცში აემაღლებინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, მაგრამ საამისოდ სამი წელი არასაკმარისი აღმოჩნდა (გვ. 84).

შენიშვნები ამ პარაგრაფის მიმართაც გვაქვს, მაგ., აქაც გვხვდება არარსებული „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია (გვ. 71); აქაცაა ბუნდოვანი წინადადებები; აქაცაა ბევრი საუბარი სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე. ერთ მთავარს მაინც აღვნიშნავთ: ამ პარაგრაფში, ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების გარდა, ბევრად მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა თვით ჯარისკაცთა განწყობის გამომხატველ შეხედულებებს, მათ ეროვნულ ღირებულებებს, მათ დამოკიდებულებას ეროვნული საკითხის, სახელმწიფოს, დამოუკიდებლობის მიმართ. გაუგებარია, რატომ არიდებს თავს დისერტანტი იმას, რაც დისერტაციის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ხომ მას „ჯარისკაცის ცნობიერება“ უნდა შეესწავლა. ამის შესახებ პარაგრაფში ერთი ამონაწერიც არ არის.

არ გვინდა დადებითი განწყობა ამ პარაგრაფის მიმართ დავარღვიოთ და უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომის ეს ნაწილი მაინც პასუხობს დისერტაციის თემატიკას. მხოლოდ ისაა დასადგენი, თუ რამ გამოიწვია, რომ ამ ნაწილში დისერტანტმა ნაწილობრივ მაინც შეძლო ადეკვატური კვლევის განხორციელება, რასაც ის ვერ ახერხებდა დისერტაციის წინა ნაწილებში.

„**§4. სამღვდელოება**“ მორიგი დაპირებით იწყება: „მაგრამ არსად არ გვხვდება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამდა საკუთარ თავს სამღვდელოება 1900-1921 წლებში და რა განაპირობებდა იმ ცვალებად და არაერთგვაროვან დამოკიდებულებას საზოგადოების მხრიდან მათი მისამართით“ (გვ. 85).

ამის ნაცვლად პარაგრაფში შემდეგ თემებზეა საუბარი: დედაენაზე სწავლების საჭიროება; სამღვდელოების ორგანოს გაზეთ „სიტყვის“ გამოსვლა-პროგრამა; ქართული სამღვდელოების მძიმე მდგომარეობა; ავტოკეფალისტური მოძრაობა; ანტონ II; ნაციონალური სიმბოლოების რუსიფიკაცია... მხოლოდ 89-ე გვერდიდან იცვლება ვითარება, პარაგრაფი „თავის თავს“ უბრუნდება და ენისა და ეროვნული ცნობიერების დაცვის შესახებ იწყებს საუბარს. პარაგრაფში მოყვანილი 16 ციტატიდან ექვსი დისერტაციის თემატიკას ეხება: ქართველი მღვდელმსახურების ცდები, ებრძოლათ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ქართული ენის სწავლების გაძლიერებისათვის, მშობლიურ ენაზე საეკლესიო ლიტერატურის შექმნისათვის და სხვ.

ახლა დავსვათ კითხვა: რას გვაძლევს წინამდებარე პარაგრაფი? ესაა კარგად ცნობილი მოვლენების ფრაგმენტული ჩამოთვლა-კონსტატაცია. ერთადერთი სიახლე ეს არის პრესაში მოძიებული ახალი ამონაწერები, რომლებითაც ძველი დებულებებია ხელახლა დასაბუთებული. იქნებ ესაა ავტორისეული ე.წ. „კომპლექსური ანალიზი"? ამ ნაშრომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კომპლექსური ანალიზი არის სხვადასხვა კარგად შესწავლილი საკითხის, თემის შესახებ 15-დან 20-მდე ფრაგმენტის ციტირება 1900-იანი წლების უმდიდრესი პრესიდან, რომელიც ნებისმიერი თემის შესახებ მასალას უხვად მოგაწვდით, მაგალითად, იმის შესახებაც, თუ როგორ მიმდინარეობდა აფრიკაში მარტორქებზე ნადირობა.

დისერტაციის 94-ე გვერდზე სიტყვებით: – „ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თავადაზნაურთა ცნობიერების და ფუნქციების ცვლილებების შეფასება და გათვალისწინება", – იწყება **„§5. თავადაზნაურობა"**. მართალს ბრძანებს ავტორი, რომ სპეციალური ნაშრომი ამ საკითხზე არ არსებობს, ე.ი. საბჭოთა ისტორიკოსები არ დაინტერესებულან, რომ შეექმნათ ასეთი მონოგრაფია: „ქართველი თავადაზნაურობა ამა და ამ წლებში". მაგრამ მონაცემები ბლომადაა სპეციალურ ლიტერატურაში. ამიტომ ის, რაზედაც წინამდებარე პარაგრაფშია საუბარი – ქართველ თავადაზნაურობაზე, ესეც კარგად ცნობილი ინფორმაციის ჩვეული კონსპექტირებაა: რუსეთის გაბატონების შემდეგ ქართველი თავადაზნაურობის როლის დაკარგვა; უფლებების დაკარგვა; საკრებულოს შექმნა (გვ. 96-97); ამ პროცესების რამდენიმეჯერ გამეორება; ანტირუსული გამოსვლები; ბატონყმობის გაუქმება და თავადაზნაურობა „ახალი გამოწვევის" წინაშე...

უკვე 99-ე გვერდზე ვართ და ძლივს მოვაღწიეთ XX საუკუნის დასაწყისამდე, ხუთი ფურცელი ისე დაიკარგა, რომ ნაშრომი მთავარ თემას არ შეხებია. 1900-იანი წლები თავადაზნაურობის ეკონომიკური მდგომარეობის განხილვით იწყება, ხოლო ვრცელი ამონაწერი „ცისკრიდან" ისევ XIX საუკუნის თავადაზნაურულ „ნაციონალურ მოძრაობას" განმარტავს სოციალ-დემოკრატიული პოზიციიდან, რადგან „ცისკარი" სოციალ-დემოკრატიული ორგანოა, თუმცა ნაშრომში ეს არაა მითითებული.

შეცდომაა განცხადება იმისა, რომ „1900 წლიდან ბეჭდურ მედიაში თავადაზნაურობის აშკარა კრიტიკა იწყება" (გვ. 100). თავადაზნაურობის, როგორც წოდების, კრიტიკა ჯერ კიდევ ქართველმა ხალხოსნებმა დაიწყეს XIX საუკუნის 80-იან წლებში, ხოლო ქართველმა სოციალ-დემოკრატმა „მე-

სამე დასელებმა“ 1894-1895 წლებიდან გაზეთ „კვალის“ ფურცლებიდან გააფთრებით შეუტიეს თავადაზნაურობასაც, ბურჟუაზიასაც და მათ ინტელიგენციაც მიაყოლეს. ესეც ქრესტომათიული ანაბანაა, რასაც მაგისტრატურის წლებში სწავლობენ მომავალი ისტორიკოსები.

შემდეგი ამონაწერებიც თავადაზნაურობის საზოგადოებრივ მდგომარეობას, როლს და ადგილს არკვევს და არა მის ეროვნულ ღირებულებებს. არ ვიცით, რას გულისხმობს ავტორი „საზოგადოებრივ აღქმებში“, მაგრამ ეს ამონაწერები უმეტესწილად პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნით: „ცნობის ფურცელი“ და „სახალხო გაზეთი“ ფედერალისტებისაა, „კვალი“ სოციალ-დემოკრატებისა (100-102 გვერდები). თუ პოლიტიკური პარტიების „აღქმები“ ნიშნავს საზოგადოებრივ აღქმებს, განა ეს პრობლემა, ე.ი. პოლიტიკური პარტიების პოზიციები საქართველოს სოციალური ფენების შესახებ, არაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, ვ. გურულის, ო. ჯანელიძის, დ. შველიძის ნაშრომებში? წინამდებარე დისერტაციაში კი ციტირებათა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ პოლიტიკური პარტიების პრესიდანაა ამოწერილი ისე, რომ ავტორი თითქმის არასოდეს უთითებს გაზეთების პარტიულ კუთვნილებას.

გაუგებარია, რაზე დაყრდნობით აკეთებს ავტორი საკვლევი პერიოდის რეალობის სრულიად საწინააღმდეგო არაადეკვატურ დებულებებს: „1900-1917 წლებში, – წერს ის, – მიმდინარეობდა ბრძოლა არა მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რაც პირველ რიგში კულტურით, განათლებით ბრძოლას გულისხმობდა...“ (გვ. 102). არ არის სწორი: ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდა და ამ რეალობის დასადასტურებლად ფაქტების მოყვანა მგონი საჭირო არაა, ალბათ, ავტორს უკვე გაახსენდა 1905-1907 წლების რევოლუცია და არა მარტო ის. გარდა ამისა, რევოლუციური ბრძოლა, გარდა შეიარაღებული ბრძოლისა, გულისხმობს გაფიცვებს, დემონსტრაციებს, ბოიკოტს და ათას სხვა საშუალებას, რაც სცილდება მხოლოდ „კულტურით, განათლებით ბრძოლის“ ჩარჩოებს.

ასევე სრული აბსურდია განცხადება, თითქოს ქართველ თავადაზნაურობას „ძველი დროის დაბრუნება მხოლოდ იმიტომ სურდა, რომ აღედგინა ის გავლენა და პრივილეგიები, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა“ (გვ. 102). დისერტანტს მივმართავთ: არა, 1900-იანი წლების ჩვენებური თავადაზნაურობა ისეთი ბრიყვიც არ უნდა გვეგონოს, თითქოს მას უნდოდა ერეკლე

მეორისდროინდელი პატივი, სათავადოებისა და ბატონყმობის დაბრუნება. მაშინდელი თავადაზნაურობა ბევრად უფრო რეალისტური იყო, ვიდრე წინამდებარე დისერტაციის აღნიშნული წინადადება გულისხმობს (გვ. 102).

დაბოლოს, პარაგრაფის ბოლო გვერდზე ავტორს ახსენდება, რომ დამოუკიდებელი საქართველოსდროინდელ თავადაზნაურობაზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა მაინც და ერთადერთი ამონაწერით გაზ. „ერთობიდან" ამ ხანასაც ეხდება ხარკი. პარაგრაფის ბოლოს კიდევ ერთხელაა გამეორებული თეზისი, რომ განსახილველ პერიოდში თავადაზნაურობა აღარ წარმოადგენდა ძველებური სიძლიერის მქონე წოდებას და რომ „წარმოდგენილმა მასალამ საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა" (გვ. 103).

ჩვენც გავაკეთოთ დასკვნა: ავტორმა უნებურად მართალი თქვა, რომ პარაგრაფს „წარმოდგენილი მასალის" სტატუსი მიანიჭა. მართლაც, აქაა მხოლოდ ამონარიდები, ამონაწერები, ციტირებები, რომელნიც „მასალებია". წინამდებარე პარაგრაფშიც და წინა პარაგრაფებშიც მხოლოდ ეს ამონაწერებია ღირებული, რომლებიც დისერტაციის დანიშნულებას არ პასუხობს, მაგრამ სხვადასხვა თემისათვის „მასალის" მნიშვნელობა შეუძლიათ გასწიონ.

რაც შეეხება პარაგრაფს, მისი შინაარსი საერთოდ არ პასუხობს დისერტაციის მთავარ მიზნებს: მასში არაა ნაჩვენები ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა შეხედულებები, პოზიციები, მსოფლმხედველობა, მათი ეროვნული იდენტობა, ეროვნული ღირებულებები და ა.შ. ამონაწერები ეხება პოლიტიკური პარტიების ორგანოების მიერ გამოთქმულ პოზიციებს, შეხედულებებს. პარაგრაფში საერთოდ არ ჩანს ქართველი თავადაზნაურობის დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებისადმი, ეროვნული მოძრაობისადმი, სახელმწიფოებრიობისადმი, ეროვნული მახასიათებლებისადმი და ა.შ. ტექსტი შეიცავს მრავალრიცხოვან ფაქტობრივ და აზრობრივ შეცდომას და დებულებას.

„§6. ბურჟუაზია". რადგან გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს კრიტიკულ გამოხმაურებას გარკვეულწილად მეთოდოლოგიური დანიშნულებაც მივანიჭოთ, დეტალურად განვიხილოთ წინამდებარე პარაგრაფიც. პასუხი გავცეთ კითხვას: რა უნდა იყოს განხილული და რის შესახებაა საუბარი მასში. დისერტაციის სახელწოდებიდან და შესავლიდან გამომდინარე, ნაშრომში, კერძოდ კი ამ პარაგრაფში, შესწავლილი უნდა იყოს: როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ბურჟუაზიას ეროვნული ღირებულებების, იდენტობრივი მახასიათებლების მიმართ (ენა, სამშობლო, ტერიტორია, ქრისტიანობა, ტრადიციები, ავტონომია, დამოუკიდებლობა...) ამ თემებს უნდა დასტრიალებდეს ბეჭდურ მედიაში

მოძიებული მასალა. სხვა ყველაფერი, რაც ამ თემატიკას არ ეხება, დისერტაციას არ მიეკუთვნება. ის ცრუმასალაა, რომელიც სპეკულატურად ავსებს ცარიელ ფურცლებს. ახლა ვნახოთ, რის შესახებაა საუბარი წინამდებარე პარაგრაფში.

მსჯელობა იწყება ბატონყმობის გაუქმებით. ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებით და, როგორც ჩანს, ევროპაში კაპიტალიზმის დამკვიდრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამჯერად საქართველოში, რომელსაც „უპრობლემოდ" არ ჩაუვლია. აქ გვხვდება გვარიანად ბუნდოვანი წინადადება, რომელიც არაფრით არ უკავშირდება კონტექსტს. უნდა მთლიანად მოვიყვანოთ, რათა მკითხველმაც გაიაროს ის ინტელექტუალური ტანჯვის გზა, რაც ჩვენ გავიარეთ და რაც წინ გველოდება.

„გარდა იმისა, რომ XIX საუკუნის დასაწყისს საქართველო რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად მის დაქვემდებარებაში შესვლით შეხვდა და ჯერ კიდევ ვერ გამოსულიყო ქართველობა საიმპერატორო კარის რუსიფიკატორული ქმედებების უკიდურესი ფორმების გააზრებიდან, რაც ეროვნული სიმბოლოების: საკუთარი ტერიტორიის, ქართული ენის, ქრისტიანობის დაკარგვა-გაუქმებაში გამოიხატებოდა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეცვლას იწყებს ფეოდალურ სისტემაზე აგებული მოდელი და საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დგება" (გვ. 104). წინადადებიდან ვიგებთ, რომ „ქრისტიანობის დაკარგვა-გაუქმებასთან" ერთად ნაშრომში ბატონყმობის გაუქმება და ფეოდალიზმის გადაშენება უარყოფით მოვლენებადაა აღქმული, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ, სადაც კაპიტალიზმის ათვალწუნება უფრო მკვეთრადაა დაფიქსირებული.

პირველი ამონაწერები (გვ. 105-106) ფედერალისტური „საქართველოდან", ფილიპე მახარაძის რედაქტორობით გამომავალი „მოგზაურიდან", სოციალ-დემოკრატიული „კვალიდან" და „ახალი კვალიდან", ანარქისტული „მუშიდან" ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის არც თუ ტკბილ ურთიერთობას ეხება. ჩვენ სპეციალურად ვუთითებთ გაზეთების პარტიულ კუთვნილებას, რადგან დისერტაციაში ისინი ყოველთვის ანონიმურნი არიან და არც გამოყენებული ციტირებების ავტორები არსად სახელდებიან, გარდა მცირე გამონაკლისისა. რატომ?

108-ე გვერდზე სოციალისტ-ფედერალისტები ჩნდებიან დისერტაციაში და ბურჟუაზიას უკავშირებენ ეროვნული თავისუფლების იდეას, რითაც მკრთალად მაინც ეხმაურებიან ეროვნულ თემატიკას, მაგრამ ეს ფრაგმენტია.

შემდეგი ამონაწერების უმრავლესობაც ბურჟუაზიის როლისა და ადგილის შესახებ სოციალ-დემოკრატიულ პოზიციას აფიქსირებს, რომელთა მიხედვითაც ამ კლასს სურს „საკუთარი სახელმწიფო" თავისივე ინტერესების გამო, რათა მოიპოვოს ბაზარი ან დაუპირისპირდეს უცხოურ ბურჟუაზიას. ეს ხომ ცნობილი მარქსისტული მიდგომებია.

აღნიშნული მარქსისტული პოზიციებიდან გამონაკლისია ციტირება ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „კლდიდან" (გვ. 111) და „სახალხო საქმიდან", რომლებშიც ქართული ბურჟუაზიის ეროვნულ ინტერესებზეა საუბარი. აღარ გავიმეორებთ ტრადიციულ ბრალდებას, რომ პარაგრაფში სხვა ოპონენტური პოლიტიკური ჯგუფების, უმთავრესად სოციალ-დემოკრატებისა და ნაწილობრივ სოციალისტ-ფედერალისტების პოზიციებია ამოწერილი ბურჟუაზიის შესახებ, გარდა რამდენიმე გამონაკლისა 111-112-ე გვერდებზე. რაც მთავარია, ჩვენთვის უცნობი დარჩა მთავარი საკითხი: ვინ იყვნენ ქართული ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რას ფიქრობდნენ ისინი ეროვნული ღირებულებების შესახებ და რა პოზიციები გააჩნდათ მის მიმართ; რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ მიმდინარე ეროვნული მოძრაობისადმი, როგორ უყურებდნენ ისინი ისტორიულ წარსულს, ტრადიციებს, რელიგიას, ეკონომიკას, უცხო ბურჟუაზიას და ა.შ. იმ ერთი ამონაწერით კი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო დისერტანტი ჟურნალ „კლდიდან", არამედ მას სწორედ ეს ჟურნალი და გაზეთი „საქართველო" უნდა შეესწავლა და იქიდან ამოეკრიფა ქართული ბურჟუაზიის მსოფლმხედველობრივი ავლა-დიდება. ერთი სიტყვით, დისერტანტმა ამ პარაგრაფშიც საკმაოდ გამრჯედ იმუშავა, ამოიწერა მრავლად ციტატები, მაგრამ არა საკუთარ, არამედ სხვის ყანაში. ამონაწერები სხვა თემატიკას ეკუთვნის და მას აქაც საკუთარი დისერტაციისათვის არაფერი შეუმატებია.

რაც შეეხება პირველი რესპუბლიკის ხანას, მას ნაშრომში უმცირესი ადგილი, ერთი-ორი ციტატა ეძღვნება ხოლმე. ამ პარაგრაფში კი მას 11 ციტირებიდან ერთიც არ ერგო, თითქოს ქართულ ბურჟუაზიას დამოუკიდებელ საქართველოში არსებობა შეეწყვიტოს. სამაგიეროდ. პარაგრაფი მთავრდება საბჭოთა ისტორიკოს ე. ახობაძის 1965 წელს გამოცემული წიგნიდან ციტატით და ამით ასრულებს დისერტანტი გადამწერლობას აღნიშნულ პარაგრაფში.

III თავის უკანასკნელი – მეშვიდე პარაგრაფი **„ინტელიგენციას"** ეძღვნება და 4 ფურცელს მოიცავს. თავდაპირველად ა. ჯორჯაძის, ნ. ჟორდანიასა და ა. სურგულაძის შეფასებებით ფასდება ინტელიგენციის ფუნქციები და და-

ნიშნულება. განსახილველი პერიოდის სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფი ინტელიგენციის განხვავებულ შეფასებებს იძლევა. 1912 წლის „ბათუმის გაზეთი“ გმობს „ხალხისაგან მოწყვეტილ“ ინტელიგენციას; 1911 წლის „მნათობი“ მას არ ჩამორჩება; გაზეთი „ივერია“ სკეპტიკურადაა განწყობილი საკუთარი ქვეყნის ინტელიგენციის მიმართ; უარყოფითი პოზიციისაა აგრეთვე 1919 წლის „ახალი საქართველო“, მაგრამ იგივე გაზეთი და იგივე სტატია ცოტა ქვემოთ ახლა ქებას ასხამს ინტელიგენციის ეროვნულ თავდადებას. ასეა თუ ისე უარყოფითი პათოსის შემცველი ამონაწერები უფრო მეტია და რა აზრისაა თვით ავტორი ინტელიგენციის შესახებ, ძნელი სათქმელია. ამ ამონაწერებით საპირისპირო აზრებს ოპონენტური ჯგუფები და გაზეთები გამოთქვამენ. სულ ეს არის. სხვების აზრის გადმოცემა-შეფასებას ემსახურება პარაგრაფში მოყვანილი 13 ციტატაც. რაც შეეხება თვით ინტელიგენციის წარმომადგენლების ეროვნულ შეხედულებებს, მათ დამოკიდებულებას ეროვნული სიმბოლოებისადმი, მახასიათებლებისადმი და ა.შ. პარაგარაფში ამის შესახებ არაფერია არც ამოწერილი და არც გაანალიზებული. მივიღეთ პარაგრაფი ინტელიგენციის შესახებ ფაქტებით, რომლებიც ისედაც კარგადაა ცნობილი.

ავტორი განმარტავს, რომ „თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი კულტურული და პოლიტიკური ელიტა“. სავსებით შესაძლებელია, დავეთანხმებით ჩვენც, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ ორი ჯგუფის იგივეობას. 1900-იან წლებში ინტელიგენცია აღნიშნავდა საზოგადოების კულტურულ-ინტელექტუალურ ნაწილს, ხოლო მისგან მკვეთრად იყო გამიჯნული პოლიტიკური ელიტა. დისერტაციაში ეს ორი ჯგუფი ხშირად ერთად და ერთი მნიშვნელობით მოიხსენიება, რაც მაშინდელ რეალობას არ შეესაბამება. ნ. ჟორდანია, გ. ლასხიშვილი, ს. კედია თუ გ. გოგელია ან ა. ჩხენკელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები იყვნენ და არა ინტელიგენციისა. თუ ჩვენ გვინდა მეცნიერულ სისტემაში მოვაქციოთ მოვლენები, მაშინ მოღვაწეთა აღნიშნული ჯგუფებიც უნდა გავმიჯნოთ, ხოლო თუ მათ შევაერთებთ, მაშინ ვაჟა-ფშაველაც და ფილიპე მახარაძეც ინტელიგენციის წარმომადგენლებად მოგვევლინებიან.

არც პოლიტიკური ელიტა იყო მაშინ ჩვენში ერთიანი კატეგორია. ეს მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური რეალობის სამწუხარო თავისებურება გახლდათ. პოლიტიკური ელიტა ორ დაპირისპირებულ ბანაკად იყო გაყოფილი – რევოლუციურ და ეროვნულ ჯგუფებად. ეს თავისებურება, შესაძლოა,

იდენტობის დასავლელმა თეორეტიკოსებმა არ უწყოდნენ, მაგრამ „ეპოქის“ სპეციალისტებმა კი უნდა იცოდნენ. ამიტომ არ არის სწორი, როცა ავტორი გვიწერს: „XX საუკუნის 10-იანი წლებიდან პირველი მსოფლიო ომის წინა და მიმდინარე პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა პოლიტიკური ელიტა, რომელიც საქართველოს გათავისუფლების სახელით გამოდის. საერთოდ, კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიზანი ერთი იყო: ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ამაღლება და დამოუკიდებლობის აღდგენა. თუმცა ამ მიზნამდე ირანი სხვადასხვა გზებით მიდიოდნენ“ (გვ. 117).

დისერტაციაში სხვა რომელიმე ქვეყანაზე ხომ არ არის საუბარი?! მაგ., პოლონეთზე, სადაც სოციალ-დემოკრატებიც და სოციალისტური პარტიაც, მიუხედავად დაპირისპირებისა, პოლონეთის ავტონომიას მოითხოვდნენ? არა, როცა საქართველოში, ეროვნულმა კომიტეტმა დამოუკიდებლობის ლოზუნგი წამოაყენა, ხოლო საქართველოში ფედერალისტები ავტონომიისათვის იბრძოდნენ, სოციალ-დემოკრატები ორივე მოთხოვნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ასე რომ, დისერტანტს უნდა დაეწერა, რომ საქართველოს თავისუფლებისათვის იბრძოდა ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილი ან მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამის შემდეგ კვლავ ისტორიული ფაქტების უცოდინრობის მორიგი გამოვლინებაა. მაგ., დისერტაციაში ვკითხულობთ, რომ „ამ მხრივ აღსანიშნავია, ჯერ კიდევ 1907 წელს ვარლამ ჩერქეზიშვილის ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლა და საერთაშორისო საზოგადოებასთან მიმართვა...“ (გვ. 117). არა, ჩერქეზიშვილი ჰააგის კონფერენციაზე არ გამოსულა. მის მიერ შედგენილი საქართველოს ხალხის პეტიცია ჰააგაში ჩაიტანა ინგლისელმა ჟურნალისტმა ნევინსონმა და ფოსტით გაუგზავნა კონფერენციას.

ამ პარაგრაფში ავტორმა ვერ წარმოაჩინა ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება ეროვნულ სიმბოლოებთან, მისი ეროვნული ღირებულებები და, ფაქტობრივად, გაიმეორა ის, რაც კარგად იყო ცნობილი. საერთოდ, პარაგრაფში მოყვანილ 13 ციტატაში საუბარია არა ინტელიგენციის ეროვნულ ღირებულებებზე, მის დამოკიდებულებაზე იდენტობრივი მახასიათებლების მიმართ, არამედ თვით ინტელიგენციის შესახებ სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლების მოსაზრებებსა და პოზიციაზე. ამ მიზეზის გამო ნაშრომის ეს ნაწილიც ვერ ჩაითვლება დისერტაციის შემადგენელ ნაწილად.

ამგვარი ვითარებითა და მდგომარეობით გადავდივართ დისერტაციის

მეოთხე თავზე, რომლის სათაურიცაა: **„ნაციონალური ნარატივის ფორმირება და ნაციონალური სიმბოლოები (1900-1917)**. ამ თავის ორ პარაგრაფს ერთად განვიხილავთ: **§1. ისტორიული მეხსიერება და ტრადიცია“ და „§2. მუზეუმი და თეატრი“**. დისერტაციის ამ ნაწილიდან ე.წ. კვლევისა თუ გადმოცემის პროცესი კიდევ უფრო მარტივდება. პარაგრაფებში ბლომადაა ამონაწერები, რომლებშიც საუბარია ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე; დასახელებულ-მოგონებულნი არიან ქართველი მეფეები, თავდადებული მოღვაწენი, მწერლები, წმინდანები; ან საუბარია ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობაზე, ერთიანობაზე. პირველ პარაგრაფში 26-27 ასეთი ამონაწერია მოყვანილი და არსებითად ამით მთავრდება კიდეც გადმოცემის კვლევითი ნაწილი. ავტორის კომენტარები ან ციტატების შინაარსს იმეორებს, ან სხვა თემატიკას ეხება, ან რომელიმე თეზისს იმეორებს, რაც ადრე არაერთხელ აქვთ ნათქვამი და რაც ისედაც კარგადაა ცნობილი. სულ ეს არის.

პარაგრაფის დასაწყისიდან ვიგებთ, რომ 1900-1917 წლების პერიოდში ბეჭდვით მედიაში თურმე „მთავარი აქცენტი კეთდება ისეთ იდენტობრივ მახასიათებლებზე, როგორებიც ისტორიული მახსოვრობა, ტრადიცია, თეატრი, მუზეუმი“ (122). არის თუ არა თანაზომადი ცნებები, მით უმეტეს კი „იდენტობრივი მახასიათებლები“ ისტორიული მახსოვრობა, ტრადიცია, თეატრი და მუზეუმი. პირველი ორისაგან განსხვავებით, უკანასკნელი ორი ხომ დაწესებულებებია, ორგანიზაციებია. თეატრში შეიძლება სრულიად ანტინაციონალური სპექტაკლები დაიდგას და რანაირად იქნება ის „იდენტობრივი მახასიათებელი“. თეატრის ხასიათი მის რეპერტუარზეა დამოკიდებული. მაგალითად, „სირანო დე ბერჟერაკი“ ვერაფრით ვერ მოემსახურება იდენტობრივი ცნობიერების შექმნა-ამაღლებას, ისევე როგორც ველოსიპედების მუზეუმი. რაც შეეხება ეროვნული მიმართულების თეატრებს, მუზეუმებს – ისინი იდენტობრივი მახასიათებლების პროპაგანდის საშუალებებს წარმოადგენენ და არა თვით მახასიათებლებს. იგივე შეიძლება ითქვას ბეჭდვითი მედიის შესახებაც. XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართულ ბეჭდვით მედიას ჰქონდა ერთი დამახასიათებელი თავისებურება. მაშინდელი ქართული პრესის ორგანოების ნახევარზე მეტი, მენშევიკური და ბოლშევიკური ჟურნალ-გაზეთები, წლების განმავლობაში კი არ ამყარებდა ქართულ იდენტობას, არამედ პირიქით, ებრძოდა, უგულვებელყოფდა, აკრიტიკებდა და ძირს უთხრიდა იდენტობრივ მახასიათებლებს, ხელს უშლიდა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს.

ზოგიერთი კომენტარიდან ჩანს, რომ დისერტანტმა იცის ქართველი

სოციალ-დემოკრატების ანტინაციონალისტური პოზიციის შესახებ. მაგრამ პრობლემა ხშირად ისაა, რომ იგი ვერ ახერხებს რეალობის ზუსტი, ადეკვატური ფორმულირებით გამოხატვას. როდესაც დისერტაციაში ვკითხულობთ, რომ ქართული ბეჭდვითი მედია „საერთო ნაციონალური იდეების პროპაგანდას ეწეოდა...“ (გვ. 129, 126, 130, 131, 135...). სამწუხაროდ, ასე არ იყო. სწორი ფორმულირებაა – მედიის ნაწილი, ეროვნული მიმართულების მედია და ა.შ.

მეორე სიყალბე, დამახინჯება, ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, ჩვენი ისტორიის გაპრიმიტიულება თვით წინამდებარე მეოთხე თავის სათაურშია და, აქედან გამომდინარე, მის შინაარსშიც, რადგან შინაარსი სათაურსა და დასმულ საკითხს პასუხობს. სათაური გვამცნობს: „ნაციონალური ნარატივის ფორმირება...“ რას გვეუბნება ეს სათაური? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ნაციონალური ნარატივის ფორმირება ჩვენს კურთხეულ სამშობლოში თურმე XX საუკუნის დასაწყისში მომხდარა. რადგან ასეთ პრეტენზიულ განცხადებასთან გვაქვს საქმე, ჯერ კარგად უნდა გავიგოთ, რას გულისხმობს ავტორი „ნარატივში“. ამისათვის მის შინაარსს, უფრო სწორად, ამონაწერებს უნდა მივყვეთ, რადგან, ჯერ ერთი, რომ ისინი შინაარსის უმეტესობას შეადგენენ და, მეორეც, სწორედ ისინი ქმნიან პარაგრაფის ნამდვილ შინაარსს, რადგან მათი ავტორისეული კომენტირება ან გამეორებაა, ან სხვა თემაზე გადახვევა. პარაგრაფი 19 გვერდს და 26 ციტატას მოიცავს. ციტატები შემდეგ თემებს ეხება: ისტორიულ წარსულს, მისი შესწავლის აუცილებლობას, მითოლოგიზაციას, წინაპრებს, (გვ. 122, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133); სამშობლოს სიყვარულს, (გვ. 125, 126, 132, 134), ეროვნულ ერთიანობასა და ცნობიერებას (გვ. 124, 125, 135), ერის, ენის, ტრადიციების დაცვა-შენარჩუნებას (გვ. 122, 133, 134). ამ ამონაწერებს ერთი ღირსება წინა თავებთან შედარებით ნამდვილად აქვთ: დისერტაციის 122-ე გვერდიდან ციტატები დისერტაციის საერთო თემატიკას – ზოგად-ნაციონალურ საკითხებს – ეხება.

მიუხედავად ამისა, არც ამონაწერები და არც შინაარსი სრულიადაც არ ემსახურება „ნაციონალური ნარატივის ფორმირებას“. მეტიც, ისინი არც შეიძლება, რომ ქმნიდნენ ნაციონალურ ნარატივს, რადგან 1900-1917 წლებში არც მომხდარა ნაციონალური ნარატივის „ფორმირება“. თვით საკითხის ამგვარად დასმა ნონსენსია. ნაციონალური ნარატივი გულისხმობს ნაციონალური იდეის, ბირთვი-იდეების ჩამოყალიბებას, ცალკეული ნაციონალური იდეების კონცეპტუალიზაციას.

დისერტაციის ამ პარაგრაფის სათაურის აზრს ეწინააღმდეგება აგრეთვე

ქართული იდენტობის სფეროში არსებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურაც. მაგ., მკვლევარი მარიამ ჩხარტიშვილი წერს: „ქართული ეროვნული იდეის სრული ვერსიის ავტორია დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე...“

შემდეგ: „ივერიამ“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით ქართული ეროვნული კონცეფციის შექმნის ამოცანა გადაჭრა წარმატებით; მან პრაქტიკულად სრულად ასახა ქართველი ერის კონცეპტუალიზაციის შესახებ ქართული კულტურული ელიტის წრეში მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის მიჯნაზე არსებული დისკურსი, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავდა ქართველი ერის იდეის გავრცელებას“.

დაბოლოს, იმავე ავტორის თქმით, „ივერიამ“ ქართველობა უზრუნველყო მრავალწახნაგოვანი და საოცრად დეტალური ეროვნული ნარატივით“ (მარიამ ჩხარტიშვილი. ქეთევან მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. „ივერია“ და მისი მკითხველი საქართველო. I. 2011. გვ. 539, 540). ეს ნიშნავს, რომ ნაციონალური ნარატივის შექმნა განხორციელებულა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და „XX საუკუნის მიჯნაზე“. ეს „მიჯნა“ 1906 წლის აქეთ ვეღარ გამოგრძელდება, რადგან გაზეთ „ივერიის“ გამოცემა ამ წლის 27 აგვისტოს შეწყდა. ასე რომ, „ნაციონალური ნარატივის ფორმირება“, რის დაწერასაც წინამდებარე დისერტაციის ავტორი იჩემებს, უკვე შექმნილი იყო და ის არარსებულის შესახებ წერს.

გარდა ამისა, ისიც დასაზუსტებელია, ჩვენ მიერ დამოწმებული ავტორები კონკრეტულად რომელ წელს გულისხმობენ „XX საუკუნის მიჯნად“, სადამდეც გრძელდებოდა ნაციონალური ნარატივის ჩამოყალიბება. ალბათ, ისინი გულისხმობენ არა 1906 წელს, სანამ „ივერია“ გამოდიოდა, არამედ 1901-1902 წლებს, როცა ნაციონალური ნარატივის მთავარმა შემოქმედმა, ილია ჭავჭავაძემ, ავადმყოფობისა და გადაღლის გამო თავი დაანება „ივერიის“ რედაქტორობას, გამომცემლობასა და მასში წერილების ბეჭდვას (ი. გორგაძე. ნ. გურგენიძე. ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე. თბ., 1987. გვ. 311-322).

ერთი სიტყვით, ნაციონალური ნარატივი, ნაციონალური ბირთვი-იდეები, რომელთა კონსტრუირება ილია ჭავჭავაძის მთავარი დამსახურებაა, XIX საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. ამდენად, „ნაციონალური ნარატივის ფორმირების“ პერიოდად მისი გადმოტანა და გადმომისამართება 1900-1910-იან წლებში სხვა არაფერია, თუ არა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური

ცხოვრების ხარისხის გაპრიმიტიულების განზრახ თუ უნებლიე გამოვლინება. სხვა ამბავია, რომ ამ პერიოდში გრძელდებოდა დისკურსი ნაციონალური ნარატივის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ეს კი სულ სხვა თემაა. მასში იგულისხმება პოლიტიკური პარტიების შექმნა, მათი ეროვნული იდეოლოგიების ჩამოყალიბება, პროგრამების კონსტრუირება, რაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში საკმაოდაა შესწავლილი და მას დისერტაციის ავტორი საერთოდ არ ეხება.

ჩვენი ავტორი თითქოს ცდილობს, ისტორიული მოვლენები „გააახალგაზრდაოს", ზოგიერთი მათგანის წარმოქმნის პროცესი XX საუკუნის დასაწყისში გადმოიტანოს. დისერტაციაში ვკითხულობთ, რომ თურმე „XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოში ისტორიული წარსულის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პროპაგანდასთან ერთად აქტუალური ხდება ე.წ. ნაციონალური სიმბოლოები, ნაციონალური იდეალები, რომელიც პირველად მე-17 საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა დასავლეთ ევროპაში". კარგა გვარიანად ჩამორჩენილები ვყოფილვართ – სად XVII საუკუნე და სად XX საუკუნის 10-იანი წლები. მაგრამ ეტყობა, ჩვენც გვეშველა და, აი, ჩვენი დისერტანტის თქმით, ევროპაში „განათლებამიღებულმა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებმა" ნაციონალური სიმბოლოების ამბავიც შეიტყვეს და „XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ბეჭდური მედიის საშუალებით აქტიური აგიტაცია დაიწყეს". „ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება ნაციონალური სიმბოლოების მეშვეობითაც" (გვ. 135). ამ შემთხვევაში ნაციონალურ სიმბოლოებში იგულისხმება იუბილეები, ძეგლები და სხვადასხვა ნაციონალური ცერემონიალი, რომელნიც ავტორის რწმენით და მტკიცებით, საქართველოში 1910-იანი წლებიდან შემოდის. ცხადია, ამ აღმოჩენას ავტორი პრესიდან ციტირებების მოტანით „ასაბუთებს", თუმცა იქ არავის უწერია, რომ ეს პროცესი საქართველოში XX საუკუნის 10-იან წლებში დაიწყო.

რა დასანანია, რომ ავტორმა თავისი დისერტაციის თემად XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ბეჭდვითი მედია არ აიღო. ასე რომ მოქცეულიყო დისერტანტი, მაშინდელ პრესაში აუცილებლად ნახავდა, რომ იუბილეები საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იმართებოდა. 1876 წელს ქართველმა თერგდალეულებმა აღნიშნეს გაზეთ „დროების" დაარსებიდან ათი წლისთავის იუბილე; 1895 წელს აღინიშნა რაფიელ ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილე; ახლა, როცა წინამდებარე გამოხმაურების ამ პასაჟს ვწერ, მახსენდება, რომ იმავე 1895 წელს ქართ-

ველმა საზოგადოებამ პატივი მიაგო კრწანისის ომის 100 წლისთავს და ა.შ. რაც შეეხება ძეგლებს, ეროვნული მოღვაწეების ძეგლების დადგმას რუსული ხელისუფლება უშლიდა ხელს, რის გამოც ჩაიშალა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვა მოღვაწეებისათვის ძეგლების აღმართვის პროცესი, თორემ, როგორც დისერტანტს უყვარს გამოთქმა, „რუსეთის საიმპერატორო კარს" ხელი არ შეუშლია თბილისში მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ძეგლის აღმართვისათვის. აი, ასე გახდა ნაციონალური სიმბოლოები: იუბილეები და ძეგლები აქტუალური „XX საუკუნის 10-იანი" წლებიდან.

დაბოლოს: ისიც დისერტანტის უცნაური ფანტაზიაა, თითქოს „პოლიტიკური ცენზურა" ხელს უშლიდა ქართველ ინტელიგენციას, ბეჭდური მედიის საშუალებით „ისტორიული წარსულის, ტრადიციების და ზოგადად, საქართველოს ისტორიის პროპაგანდით ყველა ქართველი თანამედროვე ეპოქაშიც კონსოლიდაციისაკენ მოეწოდებინა" (გვ. 131). მართლაც ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენი დისერტანტი დისერტაციის გარეშე დარჩებოდა და ასეულობით ციტირებას ვეღარ გააკეთებდა თავის წინამდებარე დისერტაციაში. პირიქით იყო: ოღონდ ქართველებს საკუთარი სახელმწიფო არ მოეთხოვათ; ოღონდ მათ ხელში იარაღი არ აეღოთ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად; ოღონდ მათ ავტონომიაზეც კი ხმა არ ამოეღოთ და ამისთანა მკრეხელობები თავიდან ამოეგდოთ, მეფის ცენზურა ურიგდებოდა, ქართველებს რამდენიც უნდოდათ, იმდენი ეწერათ დავით აღმაშენებელზე და ცოტნე დადიანზე, დიდგორსა და კრწანისზე, მერჩულესა და რუსთაველზე, წინაპრებსა და ტრადიციებზე.

„თავი V. ქართული გარემო და ეროვნული იდენტობა" – არ ვიცით, რა დანიშნულება აქვს ან რა სიახლეს გვპირდება ამ თავის შინაარსი, მაგრამ მისი სათაური კანონიერ კითხვას ბადებს: ადრინდელი თავები „ქართულ გარემოს" ან „ეროვნულ იდენტობას" არ ეხებოდა? ყოველ შემთხვევაში გვინდა გავიმეოროთ წინა თავში ჩვენ მიერ დაფიქსირებული რეალობა – 122-ე გვერდიდან, მართალია, ცალკეული თავები, პარაგრაფები სათაურებს ვერ პასუხობს, მაგრამ დისერტაციის თემატიკას მეტ-ნაკლებად ეხება.

ამასთანავე, ძველი შეცდომები, არასწორი, არაადეკვატური, რეალობას მოკლებული ფორმულირებები, განცხადებები, დებულებები თითქმის ყოველ გვერდზე გვხვდება, ისინი ერთი და იმავე სახით დაუსრულებლად მეორდება, მაგ., „ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბეჭდური მედიის საშუალებით ნაციონალური იდეების აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა" და ა.შ.

V თავის მიზანი, ავტორის დაპირების მიხედვით, არის ერის იმ მახასიათებლების „ერთიან კონტექსტში“ განხილვა, რომლებიც გაზეთმა „ივერიამ“ ჩამოაყალიბა 1901 წლის ერთ-ერთ ნომერში. ავტორი, როგორც აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში, აქაც არ ასახელებს სტატიის ავტორს. „ივერია“ აღნიშნულ წერილში ჩამოთვლის ერის ოთხ მახასიათებელს. თავში განხილულია ხუთი პარაგრაფი-საკითხი: „სამშობლო“; „ქართული ენა და განათლება“; „სარწმუნოება“; „ქალის, დედის საკითხი“; „ეკონომიკა“.

„§1. სამშობლო“, ანუ იგივე ტერიტორია, მოიცავს სამ ფურცელს. მასში 9 ვრცელი ციტირებაა მოყვანილი.

კვლევის ან წერის მეთოდი, რომელიც ნაშრომშია გამოყენებული, მარტივია: ავტორი ეძებს, ადვილად პოვებს და მოჰყავს მაშინდელი მრავალრიცხოვანი და მრავალთემატური გაზეთებიდან ამონაწერები, პასაჟები, ციტირებები, რომელნიც ქვეყნის ტერიტორიის საკითხს რამენაირი კუთხით მაინც ეხმაურება. ადვილადო, იმიტომ ვამბობთ, რომ 1900-იანი წლების ქართული პრესა სავსეა ეროვნული პრობლემატიკის სხვადასხვა ასპექტის განხილვით. ამ მასალებიდან ციტატების მოტანა ადვილი საქმეა, ძნელია მათი სისტემატიზაცია, ინტერპრეტაცია, ანალიზი, თემატიკის მიხედვით დალაგება, ტენდენციების გამოვლენა და დასკვნითი მსჯელობა. ეს ამონაწერები თავისთავად საინტერესოა, როგორც მასალები, მაგრამ გადაწერა უფროა, ვიდრე რამის დასაბუთება. ამ პარაგრაფშიც მხოლოდ ის ჩანს, რომ თურმე 1900-იანი წლების პრესაში სამშობლო-ტერიტორიის ერისათვის აუცილებლობაზე, როგორც მისი არსებობის ერთ-ერთ მახასიათებელზე, წერდნენ, მსჯელობდნენ. სულ ეს არის პირველი და უკანასკნელი ღირსება ამ პარაგრაფისა.

ციტატებით გადავსებულ ამ ნაშრომს და, კერძოდ, ამ პარაგრაფსაც უფრო მასალები უნდა ეწოდოს. პარაგრაფიც, შესაბამისად, ასეთ სათაურს მიიღებდა: „მასალები 1900-იანი წლების ბეჭდურ მედიაში სამშობლო-ტერიტორიის, როგორც ერის ერთ-ერთი მახასიათებლის შესახებ“. თავისთავად ეს არ გამორიცხავს, რომ ამ ამონაწერების გაკეთებით ავტორმა სასარგებლო საქმე გააკეთა: მან მოამზადა მასალები. ამგვარი მიდგომით განისაზღვრება დისერტაციის ჟანრიც, თუ ასეთ ჟანრს ითვალისწინებს სადისერტაციო წესდება. წინამდებარე ნაშრომი არის მასალების შეგროვების დონეზე შესრულებული პროდუქცია. ამ მხრივ შესრულებულია შრომატევადი სამუშაო.

იქნებ ვაჭარბებთ? რას ეხება პარაგრაფის ის მცირე ნაწილი, რომელიც ციტირებებს შორისაა გაფანტული. შევამოწმოთ. აი, მაგ., 147-ე გვერდზე

ამონაწერი ეხება თემას, რომ უტერიტორიოდ ერი იღუპება. ამის შემდეგ ავტორი აანალიზებს ციტირების არსს: ნაციონალური იდეა სხვადასხვა ეპოქაში ცვლილებას განიცდიდა; წინ წამოიწევდა ხოლმე ნაციონალური სიმბოლო, რომლის შენარჩუნებასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა; 1900-1921 წლებში საზოგადოების აღქმა „ეტაპობრივ ცვლილებას განიცდის, 1900-1917 წლების იდეოლოგია ერთგვარი წინაპირობაა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში შექმნილი მოვლენებისა“ (გვ. 147). განვმარტავთ, რომ წინადადება – „1900-1917 წლების იდეოლოგია“ – უაზრობაა, ნონსენსია. ასეთი იდეოლოგია ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არ არსებობდა, ამიტომ ვერც ასეთი არარსებული იდეოლოგია იქნებოდა ვერაფრის „წინაპირობა“. არსებობდა რამდენიმე იდეოლოგია: სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური, სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური, სოციალისტ-ფედერალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული, ესერული, ანარქისტული, ლიბერალური და ა.შ. ამ რეალობას ავტორი დროდადრო აცნობიერებს, აფიქსირებს ხოლმე, მაგრამ ასევე დროდადრო, არ ვიცით, ავიწყდება, თუ ვერ ახერხებს მაშინდელი მრავალფეროვანი რეალობა ზუსტ მეცნიერულ ფორმულირებებში მოაქციოს და ტექსტი შექმნას.

აქვეა მომდევნო და მორიგი მისტიფიკაციაც: „საზოგადოების წამყვანი ნაწილი ბრძოლის ახალ გზას ადგება, რასაც, საბოლოო ჯამში, დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა, რომლის მონაწილე უნდა ყოფილიყო ქართული ერთობის ყველა წევრი“ (გვ. 147). ავტორისეული აზროვნების ამგვარ თავისუფალ ნავარდს რომ რაიმეთი უკავშირდებოდეს ზემოაღნიშნული ციტირება ან სხვა ადრინდელი თემები, კიდევ ჰო, მაგრამ ის ციტირებები ენას, ტერიტორიას, განათლებას ეხება და არაფრითაა დაკავშირებული უცებ ამოტივტივებული დამოუკიდებლობის საკითხთან. რომელია ეს ბრძოლის ახალი გზა? აქ, 147-148-ე ფურცლებზე, არც ამაზე ადრე და არც ამის შემდეგ ამ თემატიკაზე არსადაა საუბარი ან ციტირება.

არც მომდევნო „ანალიტიკური“ აბზაცია დაკავშირებული პარაგრაფის თემატიკასთან ე.ი. სამშობლოსა და ტერიტორიის საკითხთან. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ 1900-იან წლებში „მკვიდრდება ეროვნული პრობლემის კვლევის თეორიული მიდგომა“. მართალია, მაგრამ რატომაა მისი „მთავარი ფუძემდებელი“ მიხაკო წერეთელი? ავტორს რომ ეთქვა, მიხაკო წერეთელი საკითხის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელიაო, აი, ეს იქნებოდა სწორი ფორმულირება და სხვისგან მაინც უნდა გაეზიარებინა, მაინც, მაგ.,

ედუარდ კოდუასგან. მიხაკო წერეთლის აწ უკვე განთქმული „ერისა და კაცობრიობის“ ხელახალი გამომცემელი და კომენტატორი ე. კოდუა ასე გვიწერს: „ეს იყო მიხაკო წერეთლის პირველი დიდი სოციოლოგიური შრომა და არსებითად პირველი სოციოლოგიური მონოგრაფია საქართველოში“ (მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი). რედ. ე. კოდუა. თბ., 1990 წლის გამოცემა. გვ. 4).

ავტორის შეცდომა კვლავ არასწორ ფორმულირებაშია: მ. წერეთელი ეროვნული პრობლემის მეცნიერული კვლევის პიონერია საქართველოში, მაშინ როდესაც არჩილ ჯორჯაძე „ეროვნული პრობლემის კვლევის თეორიული მიდგომის“ უპირველესი წარმომადგენელია საქართველოში. ჩვენს მეცნიერებზე ადრე ერთმა ჟანდარმერიის საქმემ შეაფასა ა. ჯორჯაძის ადგილი და როლი, როცა მას „ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგი“ უწოდა.

148-ე გვერდის დანარჩენ ნახევარზე ორი დიდი ციტატა და აქ ავტორი არაფერ შუაშია, ისევე როგორც დისერტაციის თითქმის ნახევარი მოცულობის შემთხვევაში, რომელშიც ავტორი ციტატების ამოწერითაა დაკავებული და პატიოსანი შრომისმოყვარეობით ეწევა მასალების შეგროვება-გადმოცემას. მაგრამ ისევ 148-ე გვერდს დავუბრუნდეთ. აი, ორი ციტირება დასრულდა და შემდეგი ციტატის ამოწერამდე ავტორის ერთი განცხადებაა, რა თქმა უნდა, არაზუსტი, არამეცნიერული, სრულიად არაადეკვატური. ავტორი წერს: „XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული მთელი ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის მიზანი მდგომარეობდა ილიას მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული პროგრამის განხორციელებაში...“ (გვ. 148). ამ ფრაზის უაზრობაზე უკვე ვისაუბრეთ და აღარ გავიმეორებთ, მაგრამ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ფრაზა: „კულტურული და პოლიტიკური ელიტა“, დისერტაციაში დაახლოებით იმდენჯერაა მოხსენიებული, რამდენი ფურცელიცაა მასში.

პარაგრაფის ბოლოს ავტორი დასკვნის სახით წერს, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა „ქართველი ერის მისწრაფება“ იყო, რასაც მის მიერ მოძიებული მასალები ადასტურებს. ესეც სიყალბეა: როგორც აღვნიშნეთ, პარაგრაფში 9 ციტირებაა. ყველა მათგანი ეხება მხოლოდ სამშობლოს, ტერიტორიას, არც ერთ მათგანში არ არის საუბარი დამოუკიდებლობაზე. ეს გარემოება ამ შემთხვევაში სულაც არაა ავტორის ბრალი. უბრალოდ, 1917 წლამდე ქართულ პრესაში დამოუკიდებლობაზე თავისუფლი აზრის გამოთქმას მეფის ცენზურა სასტიკად კრძალავდა და ვერც დისერტანტი შეძლებდა მის შესახებ ბლომად ამონაწერების გაკეთებას ლეგალური პრესიდან. მის მი-

ერ ამოწერილი ციტატები კი სწორედ ლეგალური პრესიდანაა ამოკრეფილი: „ზვირთიდან", „ივერიიდან", „იმერეთიდან", „ბათუმის გაზეთიდან"... ერთადერთ შემთხვევაში, ავტორს ციტირება მოჰყავს საზღვარგარეთ გამომავალ გაზეთ „თავისუფალი საქართველოდან", სადაც ბევრს წერდნენ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ავტორის მიერ ამონაწერი ამ გაზეთიდან დამოუკიდებლობას საერთოდ არ ახსენებს. მოკლედ, ავტორის სიტყვები, დამოუკიდებლობა ქართველი ერის მისწრაფება იყო და ამას ჩემ მიერ მოძიებული მასალები ადასტურებსო, მოკლეფეხებიანი ტყუილია.

„§2. ქართული ენა და განათლება". ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ და მომდევნო თავების დეტალურ გარჩევას ველარ გავაგრძელებთ. მკითხველიც უნდა დავინდოთ და დისერტანტსაც პატივი ვცეთ. იგი, როგორც ხშირად აღნიშნავს, „ურთულეს" პერიოდს შეეჭიდა და უბრალოდ, ვერ დაძლია, მან ვერ შეძლო „ეპოქის" თავისებურებების გაგება-გააზრება. წინამდებარე პარაგრაფშიც კვლევა არსებითად მაშინდელი პუბლიკაციებიდან მრავალრიცხოვანი ნაწყვეტების ამოწერით, ციტირებებით ამოიწურება. 151-180-ე გვერდებზე, ე.ი. 29 გვერდზე 41 ამონაწერია გაკეთებული. ერთი სიახლეცაა: უკვე მთელი დოკუმენტებია გადმოწერილ-მოყვანილი. სულ პარაგრაფის შემადგენელი 960 სტრიქონიდან 560 სტრიქონი, ე.ი. ტექსტის ნახევარზე მეტს ამონარიდები და ციტირებები შეადგენს.

პარაგრაფის დასაწყისში ავტორი გვაფრთხილებს: ქართული ენა და საგანმანათლებლო სისტემა არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის საგანი და „მათ შორის ბეჭდური მედიის საშუალებით". ასეთ ვითარებაში დისერტანტის მიზანი ამ თავშიც ისაა, რაც ნაშრომის სხვა ნაწილებში: „ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე თითოეული ატრიბუტი ერთიან კონტექსტში" განიხილოს. კი, მაგრამ, თუ ყველა ზემოაღნიშნული და ქვემოაღნიშნული პრობლემები შესწავლილია, განა არა სჯობდა, რომ აღნიშნულ პრობლემათა შემსწავლელი სპეციალისტების დასკვნები და მოსაზრებები დასდებოდა ერთ-ერთ საფუძვლად დისერტაციას? მიუხედავად ამისა, ავტორმა შესწავლილის ხელახლა შესწავლა გადაწყვიტა ვითომ, რაც სხვადასხვა თემატიკაზე ამონაწერების ციტირებებით ამოიწურა საბოლოოდ. „ერთიანი კონტექსტი" კი სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა იდენტური მახასიათებლების შესახებ ამონაწერების თავმოყრა ერთ ნაშრომში.

უფრო კონკრეტულად და დისერტაბელურად გამოიყურება მომდევნო, **მესამე პარაგრაფის, „სარწმუნოების",** მიზანი: „ცალკე საკითხია რა კუთხით

განიცდიდა ცვლილებას ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ქართული საზოგადოების თითოეული სოციალური ფენის თუ ჯგუფის ცნობიერება“ (გვ. 181). სულ სამი ფურცელია, შევამოწმოთ, რას წარმოადგენს მესამე პარაგრაფი. განხილულ თემებს მივყვეთ: საუბარი იწყება ქრისტიანობის როლით ძველ საუკუნეებში; შემდეგ, რომ 1900-1917 წლებში „ქართველების მთავარი მოთხოვნა“ იყო ავტოკეფალიის აღდგენა (კერძოდ, ვისი: ნოე ჟორდანიასი? ფილიპე მახარაძის? ისინიც „ქართველები“ იყვნენ – დ. შ.), შემდეგ: საქართველოს დაპყრობა, რუსიფიკაციის პოლიტიკა; ტექსტში სხვა აღარაფერია და ავტორი იწყებს ციტირებას. პირველი ციტირება ეძღვნება ქართული ეკლესიის დამსახურებას წინა საუკუნეებში, რომლის დავიწყებაც „არ არის სახეირო“ (გვ. 183).

მეორე ამონაწერიც ეკლესიის ღვაწლს ეხება ძველ საუკუნეებში, მერე კი სოციალ-დემოკრატიული კრიტიკით მთავრდება (გვ. 183). მესამე ამონაწერში სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ლორთქიფანიძე განმარტავს ქართული ეკლესიის რუსიფიკაციის პროცესს. სულ ეს არის. პარაგრაფი ცნობილ დებულებებს იმეორებს და ციტირებებით გამოხატავს სოციალ-დემოკრატიულ პოზიციას. ამდენად, ეს ოთხგვერდიანი პარაგრაფი მინიმალურადაც არ პასუხობს ავტორის მიზანდასახულობას, გაეშუქებინა სარწმუნოების მიმართ „საზოგადოების თითოეული სოციალური ფენის თუ ჯგუფის ცნობიერება“. ასე რომ, ეს პარაგრაფიც მეცნიერულად არაფრისმთქმელია და არავითარ კვლევას არ წარმოადგენს.

„§4. ქალის, დედის საკითხი“. ამ სამფურცლიანი პარაგრაფის მოცულობის უმეტესობა ციტირებებს უკავია: 148 სტრიქონიდან ტექსტია 57 სტრიქონი, ხოლო ციტირებები – 91. ის მთლიანად პრობლემის მასალებს წარმოადგენს და არა კვლევას.

გადავიდეთ მეოთხე თავის უკანასკნელ პარაგრაფზე: **„ეკონომიკა“**. თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ამ პარაგრაფის შესახებაც ბევრის არაფრის თქმა მოხერხდება, ერთი მარტივი მიზეზის გამო – იგი თითქმის ციტირებებისაგან შედგება. პარაგრაფი მოიცავს ექვს ფურცელს, აქედან სამ ფურცელზე მეტი, ე.ი. უმეტესობა მოცულობისა, ციტირებებს უკავია, რომელთა რიცხვი ოცდაოთხია. ამონარიდები ეკონომიკურ თემატიკას ეხება, მაგრამ მათი უმრავლესობა ეკონომიკისადმი მაშინდელი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების ძირითად ტენდენციებს ვერ ასახავს. ეკონომიკის განუვითარებლობის მთავარ მიზეზებად მიჩნეულია ხალხის გაუნათლებლობა, უცოდინრო-

ბა, ტექნიკის გამოუყენებლობა და სხვა მეორეხარისხოვანი მიზეზები. ასე სრულიადაც არ იყო. ცალმხრივი ციტატებია დამოწმებული. მაშინდელ პრესაში ბევრია ინფორმაცია და პუბლიკაცია, ქართულ ეკონომიკაში უცხოური, განსაკუთრებით კი, სომხური ბურჟუაზიის პრიმატობის, მის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებისა და სხვა მიზეზების შესახებ.

მაშინდელ პრესაში ბევრია სტატია, ცნობა, პოლემიკური მასალები სხვადასხვა პარტიისა თუ საზოგადო მოღვაწის დამოკიდებულების შესახებ ეკონომიკის თემატიკაზე, იმაზე, თუ როგორ განევითარებინათ და გაეძლიერებინათ ეროვნული ბურჟუაზია, შებრძოლებოდნენ სომხურ-უცხოური ბურჟუაზიის პარპაშს ქალაქთა თვითმმართველობებში და ა.შ. მაგრამ ავტორი ამ საჭირბოროტო პრობლემების შესახებ დუმს და მხოლოდ ნაწილობრივ და ფრაგმენტულ ინფორმაციას იძლევა მაშინდელი რეალობის შესახებ. მას რომ დავუჯეროთ, ქართული ეკონომიკის განუვითარებლობის მიზეზები ყოფილა გლეხობის უცოდინრობა, სწავლა-განათლების დეფიციტი, ჩამორჩენილი ტექნიკა და ქართველობის ფსიქოლოგიური შეუგუებლობა კაპიტალისტურ სისტემასთან. ეს ყველაფერი იყო, მაგრამ მხოლოდ ამ მომენტების აღნიშვნა რეალობის ცალმხრივი განმარტებაა. გარდა ამისა, პარაგრაფში არ ჩანს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის დამოკიდებულება და პოზიცია, ანუ „საზოგადოებრივი აღქმები" ეკონომიკის განვითარების პრობლემებზე. პარაგრაფსა და ნაშრომის სხვა ნაწილებში ერთი სიტყვაც არ მოიძებნება, რომელიც დაადასტურებდა ან გამოავლენდა ქართული ბურჟუაზიის თუნდაც ერთი წარმომადგენლის პოზიციას, აზრს ან შეხედულებას ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემების შესახებ. ერთი სიტყვით, წინამდებარე პარაგრაფის მთავარი ნაკლი ისაა, რაც მთლიანად დისერტაციისა: მასში არაა შესწავლილი სოციალური ფენების, კერძოდ, გლეხობის, ვაჭარ-მრეწველების, თავადაზნაურობის, მოხელე-მოსამსახურეებისა და სხვათა აღქმა, შეხედულებები და პოზიციები ქართული ეკონომიკის განვითარების შესახებ.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პარაგრაფის ციტირებების შინაარსი ეხება დისერტაციის თემატიკას და კარგი მასალაა იმ თემის დასაწერად, რაც დისერტაციის სათაურშია გაცხადებული. ხოლო ამ უამრავ ციტატას შორის ავტორისეული კომენტარები ან ამონარიდების შინაარსს იმეორებს, ან არაადეკვატურ და ციტირებასთან დაუკავშირებელ, ან გაუგებარ დასკვნებს იძლევა. 196-ე გვერდზე ერთ-ერთ ამონარიდს მოსდევს ავტორისეული კომენტარი, „საზოგადოების არც ერთი ჯგუფი სა-

სოფლო-სამეურეო მუშაობაში არ ღებულობდა მონაწილეობას". ამ წინადადების აზრის შესახებ თვით ავტორს ვთხოვოთ განმეორებითი კომენტარი. იგი აქ ამახიჯებს ჟურნალ „მოგზაურის" აზრს, რომელიც წერს, რომ ჩვენი თავადაზნაურობა სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებსო.

ეკონომიკისადმი მიძღვნილ დასკვნაში ან დასკვნის ადგილზე განთავსებულ უკანასკნელი აბზაცებში სრულიად უადგილოდაა საუბარი ეროვნული ავჯანყების მიზანშეუწონლობისა და ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული პროგრამის შესახებ. ნახევარგვერდიან პასაჟში ობლად თვლემს ფრაზა: „საქართველოს ეკონომიკური აღორძინება და გაძლიერება", რომელიც, ილიას პროგრამის მიხედვით, თურმე უნდა მომხდარიყო „რუსეთის იმპერიის ფარგლებში" (გვ. 201).

დაბოლოს, დისერტაციის **„თავი VI. ეროვნული თავისუფლების ფენომენი".** ავტორის მეთოდი, რომ ამონაწერებითა და ციტატებით იაზროვნოს, მარტოოდენ ქართულ პრესაზე და საარქივო დოკუმენტებზე არ ვრცელდება. VI თავი იწყება ჰეგელის „გონის ფილოსოფიიდან" და „ისტორიის ფილოსოფიიდან" სამი მოზრდილი ციტატით, რომლებიც გვერდ-ნახევრამდე ადგილს მოიცავს. გერმანელ ფილოსოფოსს არ ჩამორჩება ფრანგი განმანათლებელი მონტესკიე, რომლის „კანონთა გონიდან" ამონაწერი მთელ გვერდზეა განფენილი. ამას მოსდევს ამონაწერები ა. სურგულაძის, ვ. ონიანის და სხვათა და სხვათა, მერე იწყება გაუთავებელი ციტირებები პრესიდან. ამგვარი „მეთოდი" მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი თავს არიდებს დამოუკიდებელ აზროვნებას, ანალიზს, ცდილობს ტექსტის შედგენის იოლ გზებს მიმართოს, ფონს გავიდეს სხვა ავტორების დახმარებით, სხვათა აზროვნებით.

დისერტაციის VI თავიც ამ პრინციპით არის შედგენილი. მასში, 202-231-ე გვერდებზე, ე.ი. 29 გვერდზე 69 იშვიათად მცირე და უმეტეს შემთხვევაში მოზრდილი ციტატაა მოყვანილი, რაც აღნიშნულ თავში ავტორისეულ ტექსტზე უფრო მეტია. VI თავის მიზანია: 1. ნაციისა და მისი ჩამოყალიბების შესახებ სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობების გადმოცემა; 2. რას ნიშნავდა ქართველი ერის ცნობიერებაში ეროვნული თავისუფლება და როგორ „აღიქვამდა" თითოეული სოციალური ფენა თუ ჯგუფი თავისუფლებას (გვ. 205).

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მცირე თავის მიმართ ყველაზე ნაკლებად გვაქვს პრეტენზია. ნაშრომში საუბარია თავისუფლების განმარტების, ეროვნული მოძრაობის ფორმების ევოლუციის ხასიათის შესახებ. ცხა-

დია, უმეტესწილად, ეს ყველაფერი ხდება არა ავტორისეული ანალიზის, არამედ სხვა ავტორთა ნაშრომებიდან ციტირებების გზით (202-206). როგორც 208-ე გვერდიდან განგვიმარტავს ავტორი, მან უკვე ისაუბრა „ერთიანობის იდეის" შესახებ წინა თავებში და „ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ 1918-1921 წლებზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაზე" (გვ. 208). მოკლედ მიზნები და ქრონოლოგიური ჩარჩო განსაზღვრულია.

მაგრამ „დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაზე" საუბარს ავტორი კვლავ 1801 წლიდან იწყებს, იხსენებს ილიას, სამოციანელებს, მოჰყავს ვაჟას სიტყვები. ამას მოსდევს თემები: თავისუფლების უზენაესობა, ერთიანობის საჭიროება (გვ. 211), (რომლის შესახებაც „უკვე ისაუბრა" – დ. შ), შემდეგ: ავტონომია (გვ. 212), თავისუფლების სხვადასხვა და სოციალ-დემოკრატიული გაგება (გვ. 212, 213), თავისუფლების ნაციონალისტური და სოციალისტური ვერსიები (გვ. 214).

ამ კარგად ცნობილი რეალობების ამსახველი ციტირებების ამომწერი ავტორი, ერთი და იმავე ამონარიდის ციტირებასაც ახდენს. მაგ., 212-ე და 215-ე გვერდებზე ორი ზუსტად ერთი და იგივე ციტატაა მოყვანილი, თუმცა მათ წყაროდ სხვადასხვა დოკუმენტი სახელდება: ერთია ჟურნალი „განთიადი", ხოლო მეორე – გაურკვეველი ჟანრის ნაწარმოები და უთარიღო „ჩვენი მოთხოვნილებები". ამ უკანასკნელს არც გვერდი აქვს მითითებული, მაგრამ ეს ხომ წვრილმანია. ჩვენ აღარას ვამბობთ უამრავი ციტირების შინაარსობრივ იდენტურობაზე.

მაგრამ არა უშავს, რაც მთავარია, საუბარი და უფრო სწორად ციტირებები თავისუფლების საერთო თემატიკას ეხება. ეს მაინც უსაფრთხო ზონაა – ციტირებები. მათში შეცდომის დაშვების ნაკლები საშიშროება არსებობს, მთავარია გადაწერაში არ მოგივიდეს შეცდომა. ყველაზე მეტ საფრთხეს ციტატიდან მორიგ ციტატამდე არსებული შუალედი შეიცავს. სწორედ ამ საშიშ ზონებში უშვებს ჩვენი ავტორი აზრობრივ, შინაარსობრივ, გრამატიკულ-სტილისტურ, ფაქტობრივ და სხვა ხასიათის შეცდომებს. აი, როგორც ახლა, როცა წერს ორგან: „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია სოციალიზმის განხორციელებისათვის იბრძოდაო" და „ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ნოე ჟორდანია აღნიშნავდაო" (გვ. 215 და 216). ორივე შემთხვევაში ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ 1918 წლამდე ასეთი პარტია არ არსებობდა და ჩვენ უკვე აღარ ვიცით, ეს ავტორის უცოდინრობას დავაბრალოთ, გულმავიწყობას თუ აზრის გამოთ-

ქმის პრობლემას.

შემდეგი ციტირებების შუაშიც, დავარქვათ ასე – ავტორის ზონაში, კიდევ მორიგი გაუგებრობაა: „პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და ასევე მისი დასრულების შემდეგ ქართულ ბეჭდურ მედიაში გაჩნდა მოწოდებები ეროვნული ერთიანობის აუცილებლობაზე...“ (გვ. 216). დაუჯერებელია, რომ, თუ ავტორი ოდნავ მაინც დაფიქრდებოდა, ამ ფრაზაში არ დაწერდა სიტყვას: „გაჩნდა“. მან ხომ კარგად იცის, რომ 1900-იანი და მანამდელი პრესა სავსეა ეროვნული ერთიანობისაკენ მოწოდებების თემატიკით. მაშ, რაღა უნდოდა მის წინადადებაში სიტყვა „გაჩნდა“-ს, მაშინ, როცა შეიძლებოდა ჩაეწერა თუნდაც „გაძლიერდა“.

დაპირებაც დაავიწყდა ავტორს, ამ თავში „დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაზე“ ვისაუბრებო. აგერ უკვე 219-ე გვერდზე ვართ და ავტორი მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობით“ დაინტერესდა. არ ვიცით, რომელი საზოგადოებრივი ფენის აღქმას გამოხატავს ჩვენი შესანიშნავი პატრიოტ-ანარქისტი, მაგრამ მისი 1910 წელს გამოცემული თხზულებიდან დისერტაციაში სამი ციტირებაა. მხოლოდ ამის შემდეგ 219-ე გვერდზე მიაღწია დისერტაციამ დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდამდე. VI თავის ეს უკანასკნელი გვერდები უშუალოდ დისერტაციის მთავარ თემატიკას პასუხობს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც ავტორი ეხება ქართველი გლეხებისა და მუშა-მოსახლეობის დამოკიდებულებას თავისუფლების პრობლემის მიმართ. აქ ავტორი აკეთებს სწორ და იშვიათ დასკვნას, რომ „ქართული ერთობის წევრების უმრავლესობას არ ჰქონდა გაცნობიერებული თავისუფლების არსი. ბეჭდურმა მედიამ და საგანმანათლებლო სისტემამ ვერ შეძლო პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა“ (გვ. 226).

მაგრამ ეს მხოლოდ თავის მცირე ნაწილია. დიდი უმრავლესობა VI თავში მოყვანილი ციტირებებისა და ავტორის მსჯელობისა ეკუთვნის ინტელიგენციის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, ცნობილ პუბლიცისტებს. ეს მათი პოზიციებია დაფიქსირებული ნაშრომში და არა საზოგადოებრივი ფენებისა: მუშებისა, გლეხებისა, ქალაქის მოსახლეობისა, მოხელეებისა, ახალგაზრდობისა, ვაჭარ-მრეწველებისა, ბურჟუაზიისა, ხელოსნებისა და სხვათა და სხვათა, რომელთა ნაკრებს შეიძლება დაერქვას საზოგადოებრივი აღქმა. რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას, ნოე ჟორდანიას, მიხაკო წერეთელს, გიორგი გვაზავას, იაკობ მანსვეტაშვილს, არჩილ ჯორჯაძეს, გიორგი კვინიტაძეს, გრიგოლ ლორთქიფანიძესა და მსგავსთა მათთა, ისინი „კულტურულ

და პოლიტიკურ ელიტას" წარმოადგენენ და მათი ნააზრევი ისტორიოგრაფიისათვის კარგადაა ცნობილი. ასე რომ, ნაშრომის ეს ნაწილიც მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დისერტაციის დანიშნულებას.

დასკვნითი ნაწილი. დისერტაციის უჩვეულობის გამო ჩვენ მისი შეფასება დეტალურად გადავწყვიტეთ, რაც ნიშნავდა, ნაშრომის თავებისა და პარაგრაფების ცალკეულად შეფასებას. მოკლედ გავიმეორებთ ზემოთქმულს.

1. დისერტაციის პირველი თავი, **ეროვნული პრობლემის ზოგიერთი საკითხი",** აბსოლუტურად არ პასუხობს თემის დანიშნულებას, მისი შინაარსი არ შეესაბამება მიზანდასახულობას, მასში არ არის განხორციელებული პრობლემის ადეკვატური კვლევა. ავტორს არ „წარმოუდგენია, თუ როგორ მოიაზრებოდა ქართველი ერის ჩამოყალიბება XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ" (გვ. 15).

2. **მეორე თავის „§1. ქალაქი"** სამეცნიერო-კვლევითი და ანალიტიკური თვალსაზრისით არავითარ ღირებულებას და სიახლეს არ წარმოადგენს, მასში არ არის არც ერთი ახალი დებულება ან აზრი და ეს ხდება არა იმიტომ, რომ პრობლემის მართლაც სერიოზულად შესწავლა შეუძლებელია, არამედ იმიტომ, რომ ოთხი გვერდი პრობლემის წარმოსაჩენად სრულიად არაა საკმარისი.

3. აღნიშნულ პარაგრაფში, **„სოფელი",** არ არის არავითარი სიახლე, დასკვნა, მოვლენის ინტერპრეტაცია, რაც დისერტაციას უნდა განასხვავებდეს ჩვეულებრივი სამაგისტრო ნაშრომისაგან. პარაგრაფში ვერ „აღდგა" 1900-1921 წლების ვერც სოფელი და ვერც ქალაქი, რომლის მნიშვნელობაც, ავტორის თქმით, „მთლიანად სახელმწიფოს" მნიშვნელობაზედაც კი დიდია (გვ. 26).

4. III თავის პირველი პარაგრაფი, **„გლეხი",** უფრო სხვათა მიერ, ძირითადად კი სოციალ-დემოკრატების მიერ გლეხობის შესახებ მოსაზრებებით და ამონაწერებითაა გაჯერებული. არსად ჩანს თვით გლეხები როგორ აღიქვამდნენ ეროვნულ საკითხს, რა დონის, ხასიათის, ხარისხის ეროვნული იდენტობა გააჩნდათ. ამის შესახებ უამრავი ციტირება სდუმს და ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლევა სულ სხვა გზითაა წარმართული. პარაგრაფის შინაარსი და კვლევა არ პასუხობს ძირითად თემატიკას. მასში ერთი სიტყვაც არაა თქმული გლეხის ეროვნულ-იდენტობრივი ღირებულებების შესახებ: რა ადგილი ეკავა მის ცნობიერებაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული თავისუფლების პრობლემას; პარაგრაფი, ძირითადად, გადმოგვცემს ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ სოციალ-დემოკრატიულ პოზიციებს და ნაწილობრივ ინტელიგენციის შეხედულებებს გლეხობის ყოფა-

ცხოვრების შესახებ. დისერტანტმა საკმაოდ ბევრი იმუშავა, პრესაც დაამუშავა, 19 ციტირებაც მოიყვანა პრესიდან და საარქივო მასალებიდან, მაგრამ მისი მონაპოვარი, გამომზეურებული ამონაწერები, სხვა თემატიკას ეხება და არა ეროვნულ იდენტობას, გლეხკაცის ეროვნულ აღქმებს.

5. პარაგრაფ **„პროლეტარში“** უმეტესწილად საუბარია სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე, ორგანიზაციებზე, მათ სოციალურ მიზნებზე მხოლოდ პარაგრაფის დასკვნით ნაწილში, 64-69-ე გვერდებზეა საუბარი ეროვნულ თემატიკაზე (ფრაგმენტულად 59-ე გვერდზეც), ისინი მხოლოდ 1918-1921 წლების პერიოდს ეხება. თემატიკის ამგვარი განაწილება და ბალანსი აშკარად არაა საკმარისი, რომ აღნიშნული პარაგრაფი ეროვნული იდენტობისადმი მიძღვნილი დისერტაციის ნაწილად მივიჩნიოთ. პარაგრაფში საერთოდ არაა ნახსენები და ნაჩვენები თვით ქართველი მუშა-პროლეტარის ეროვნული ღირებულებები, აღქმები. მრავალრიცხოვანი ციტირებებიდან ერთიც არ ეხება ქართველი მუშის ეროვნულ შეხედულებებს, რაც დისერტაციის მთავარ მიზანს და დანიშნულებას წარმოადგენს. ეს პარაგრაფი მხოლოდ ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა და შემდეგ ხელისუფლების ისტორიის ეპიზოდებს ეხება.

ამ სახით აღნიშნული პარაგრაფი, ისევე როგორც მანამდელი ნაწილები, რამდენიმე თემატიკის ფრაგმენტების უწესრიგო კრებულს წარმოადგენს, სერიოზული, მრავალრიცხოვანი შეცდომების, ფორმულირებების, მარქსისტულ-ლენინური დოგმების რეციდივების თანხლებით. მათს შორის ოაზისებივით გვხვდება საინტერესო ამონაწერები იმდროინდელი უმდიდრესი ქართული პრესიდან, რომელნიც დისერტაციის კვლევით ნაწილს კი არ წარმოადგენენ, არამედ სხვადასხვა თემატიკის სადისერტაციო მასალებს.

6. 8 ფურცლიანი **„§3. ჯარისკაცი“** უნიკალურია, დისერტაციის წინაგანხილული ნაწილებისაგან განსხვავებით – ის დისერტაბელურია ე.ი. დისერტაციის თემატიკას პასუხობს. საუბარია პირველი რესპუბლიკის პერიოდის ქართველი ჯარისკაცის ეროვნული ცნობიერების, განწყობის შესახებ. ამონაწერებიც შესაბამისია, მაგ., გენერალ გიორგი კვინიტაძის შეფასებები ქართველი ჯარისკაცების ფსიქოლოგიური განწყობის, ბრძოლისუნარიანობის შესახებ (გვ. 73) და სხვ.

7. **§4. სამღვდელოება.** ესაა კარგად ცნობილი მოვლენების ფრაგმენტული ჩამოთვლა-კონსტატაცია. ერთადერთი სიახლე ესაა პრესაში მოძიებული ახალი ამონაწერები, რომლებითაც ძველი დებულებებია ხელახლა დასაბუთე-

ბული. იქნებ ესაა ავტორისეული ე.წ. „კომპლექსური ანალიზი“? ამ ნაშრომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კომპლექსური ანალიზი არის სხვადასხვა კარგად შესწავლილი საკითხის, თემების შესახებ 15-დან 20-მდე ფრაგმენტის ციტირება 1900-იანი წლების უმდიდრესი პრესიდან.

8. რაც შეეხება მეოთხე პარაგრაფს **თავადაზნაურობის** შესახებ, მისი შინაარსი საერთოდ არ პასუხობს დისერტაციის მთავარ მიზნებს: მასში არაა ნაჩვენები ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა შეხედულებები, პოზიციები, მსოფლმხედველობა, მათი ეროვნული იდენტობა, ეროვნული ღირებულებები და ა.შ. ამონაწერები ეხება პოლიტიკური პარტიების ორგანოების მიერ გამოთქმულ პოზიციებს, შეხედულებებს. პარაგრაფში საერთოდ არ ჩანს ქართველი თავადაზნაურობის დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებისადმი, ეროვნული მოძრაობისადმი, სახელმწიფოებრიობისადმი, ეროვნული მახასიათებლებისადმი და ა.შ. ტექსტი შეიცავს მრავალრიცხოვან ფაქტობრივ და აზრობრივ შეცდომას და დებულებას.

9. **ბურჟუაზიისადმი** მიძღვნილ პარაგრაფში, ჩვენთვის უცნობი დარჩა მთავარი საკითხი: ვინ იყვნენ ქართული ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რას ფიქრობდნენ ისინი ეროვნული ღირებულებების შესახებ და რა პოზიციები გააჩნდათ მის მიმართ; რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ მიმდინარე ეროვნული მოძრაობისადმი, როგორ უყურებდნენ ისინი ისტორიულ წარსულს, ტრადიციებს, რელიგიას, ეკონომიკას, უცხო ბურჟუაზიას და ა.შ. იმ ერთი ამონაწერით კი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო დისერტანტი ჟურნალ „კლდიდან“, არამედ მას სწორედ ეს ჟურნალი და გაზეთი „საქართველო“ უნდა შეესწავლა და იქიდან ამოეკრიფა ქართული ბურჟუაზიის მსოფლმხედველობრივი ავლადიდება. ერთი სიტყვით, დისერტანტმა ამ პარაგრაფშიც საკმაოდ გამრჯედ იმუშავა, ამოიწერა მრავლად ციტატები, რომელნიც სხვა თემატიკას ეკუთვნის და არა წინამდებარე დისერტაციას.

10. ანალოგიური მდგომარეობაა **ინტელიგენციისადმი** მიძღვნილ ქვეთავში. მსჯელობა და ამონაწერები არ ეკუთვნის ინტელიგენციის წარმომადგენლების ეროვნულ შეხედულებებს, მათ დამოკიდებულებას ეროვნული სიმბოლოებისადმი, მახასიათებლებისადმი და ა.შ. ესაა პარაგრაფი ინტელიგენციის შესახებ, რაც ისედაც კარგადაა ცნობილი. ამის გამო ნაშრომის ეს ნაწილიც ვერ ჩაითვლება დისერტაციის შემადგენელ ნაწილად.

11. IV თავში ამონაწერები და შინაარსი სრულიადაც არ ემსახურება **„ნაციონალური ნარატივის ფორმირებას“**. მეტიც, ისინი არც შეიძლება ქმნი-

დნენ ნაციონალურ ნარატივს, რადგან 1900-1917 წლებში არც მომხდარა ნაციონალური ნარატივის „ფორმირება". თვით საკითხის ამგვარად დასმა ნონსენსია. ნაციონალური ნარატივის, ნაციონალური ბირთვი-იდეების კონსტრუირება ილია ჭავჭავაძის მთავარი დამსახურებაა, რომელიც მან განახორციელა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამდენად, „ნაციონალური ნარატივის ფორმირების" პერიოდად მისი გადმოტანა და გადმომისამართება 1900-1910-იან წლებში სხვა არაფერია, თუ არა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაპრიმიტიულების განზრახ თუ უნებლიე გამოვლინება. სხვა ამბავია, რომ ამ პერიოდში გრძელდებოდა დისკურსი ნაციონალური ნარატივის შემდგომი სრულყოფის შესახებ, ეს სულ სხვა თემაა. მასში იგულისხმება პოლიტიკური პარტიების შექმნა, მათი ეროვნული იდეოლოგიების ჩამოყალიბება, პროგრამების კონსტრუირება, ეს ფაქტები ჩვენს ისტორიოგრაფიაში საკმაოდაა შესწავლილი და მას დისერტაციის ავტორი საერთოდ არ ეხება.

12. **V თავის §1 „სამშობლო".** ციტატებით გადავსებულ ამ ნაშრომს და, კერძოდ, ამ პარაგრაფსაც უფრო მასალები უნდა ეწოდოს. თავისთავად ეს არ გამორიცხავს, რომ ამ ამონაწერების გაკეთებით ავტორმა სასარგებლო საქმე გააკეთა: მან მოამზადა მასალები. ამგვარი მიდგომით განისაზღვრება დისერტაციის ჟანრიც, თუ ასეთ ჟანრს ითვალისწინებს სადისერტაციო წესდება. წინამდებარე ნაშრომი არის მასალების შეგროვების დონეზე შესრულებული პროდუქცია. ამ მხრივ შესრულებულია შრომატევადი სამუშაო.

13. დისერტანტმა ვერ დაძლია, ვერ შეძლო „ეპოქის" თავისებურებების გაგება-გააზრება. **ქართული ენისა და განათლებისადმი** მიძღვნილ პარაგრაფშიც კვლევა არსებითად მაშინდელი პუბლიკაციებიდან მრავალრიცხოვანი ნაწყვეტების ამოწერით, ციტირებებით ამოიწურება.

პარაგრაფის დასაწყისში ავტორი გვაფრთხილებს: ქართული ენა და საგანმანათლებლო სისტემა არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის საგანი და „მათ შორის მეჭდური მედიის საშუალებით". ასეთ ვითარებაში დისერტანტის მიზანი ამ თავშიც ისაა, რაც ნაშრომის სხვა ნაწილებში: „ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თითოეული ატრიბუტი ერთიან კონტექსტში" განიხილოს. კი, მაგრამ, თუ ყველა ზემოაღნიშნული და ქვემოაღნიშნული პრობლემა შესწავლილია, განა არა სჯობდა, რომ აღნიშნულ პრობლემათა შემსწავლელი სპეციალისტების დასკვნები და მოსაზრებები დასდებოდა ერთ-ერთ საფუძვლად დისერტაციას? მიუხედავად ამისა, ავტორმა შესწავლილის ხელახლა შესწავლა გადაწყვიტა ვითომ, რაც სხვადასხვა თემატიკაზე ამონა-

წერების ციტირებებით ამოიწურა საბოლოოდ. „ერთიანი კონტექსტი“ კი სხვა არაფერია თუ არა სხვადასხვა იდენტური მახასიათებლების შესახებ ამონაწერების თავმოყრა ერთ ნაშრომში.

14. **§3. „სარწმუნოება“.** ეს ოთხგვერდიანი პარაგრაფი მინიმალურადაც არ პასუხობს ავტორის მიზანდასახულობას, გაეშუქებინა სარწმუნოების მიმართ „საზოგადოების თითოეული სოციალური ფენისა თუ ჯგუფის ცნობიერება“. ასე რომ, ეს პარაგრაფიც მეცნიერულად არაფრისმთქმელია და არავითარ კვლევას არ წარმოადგენს.

15. ვერც თემატურად და ვერც შინაარსობრივად ეს მცირე მონაკვეთი-პარაგრაფი **ქალის, დედის საკითხის შესახებ** იდენტობისადმი მიძღვნილი ნაშრომის ორგანულ ნაწილად ვერ ჩაითვლება. იგი არც გენდერის პრობლემას იკვლევს. ციტირებებში მხოლოდ იმაზეა საუბარი, რომ განსახილველი პერიოდის ქართველი ქალი-დედები ან კარგად და ან ცუდად ზრდიდნენ სამშობლოს პატრიოტ შვილებს.

16. **ეკონომიკურ** პარაგრაფში არ ჩანს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დამოკიდებულება და პოზიცია, ანუ „საზოგადოებრივი აღქმები“ ეკონომიკის განვითარების პრობლემებზე. პარაგრაფში და ნაშრომის სხვა ნაწილებში ერთი სიტყვაც არ მოიძებნება, რომელიც დაადასტურებდა ან გამოავლენდა ქართული ბურჟუაზიის თუნდაც ერთი წარმომადგენლის პოზიციას, აზრს ან შეხედულებას ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემების შესახებ. მასში არაა შესწავლილი სოციალური ფენების, კერძოდ, გლეხობის, ვაჭარ-მრეწველების, თავადაზნაურობის, მოხელე-მოსამსახურეებისა და სხვათა აღქმები, შეხედულებები და პოზიციები ქართული ეკონომიკის განვითარების შესახებ.

17. დიდი უმრავლესობა **VI თავში** მოყვანილი ციტირებებისა და ავტორის მსჯელობისა ეკუთვნის ინტელიგენციის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, ცნობილ პუბლიცისტებს. ეს მათი პოზიციებია დაფიქსირებული ნაშრომში და არა საზოგადოებრივი ფენებისა: მუშებისა, გლეხებისა, ქალაქის მოსახლეობისა, მოხელეებისა, ახალგაზრდობისა, ვაჭარ-მრეწველებისა, ხელოსნებისა და სხვათა და სხვათა, რომელთა ნაკრებს შეიძლება დაერქვას საზოგადოებრივი აღქმები. VI თავში წარმოდგენილი არათანმიმდევრული მსჯელობა და ამონაწერები ეკუთვნის „კულტურული და პოლიტიკური ელიტის“ წარმოადგენლებს, რომელთა ნააზრევი ისტორიოგრაფიისათვის კარგადაა ცნობილი. ასე რომ, ნაშრომის ეს ნაწილი მხოლოდ მინიმალურად პასუხობს დისერტაციის დანიშნულებას.

ჩვენ ხშირად აღვნიშნავდით, რომ დისერტაციაში დამოწმებულ ამოწერილია უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი ციტირებები, ამონარიდები, ამონაწერები, ზოგ შემთხვევაში ორ-სამ ფურცლიანი დოკუმენტები. 230 გვერდიან დისერტაციაში მოყვანილია 350-ზე მეტი ციტირება. ფაქტობრივად, დისერტაცია ამონაწერებისაგან შედგება და თითქმის ნაშრომის ნახევარს მოიცავს. ამ მხრივ წინამდებარე ნაშრომი უნიკალურია.

რაც შეეხება დისერტაციის ე.წ. დასკვნას, მასში არ არის არც ერთი აზრი და წინადადება, რომელიც სიახლეს შეიცავს ან კიდევ ისეთი, რომელიც საეჭვო ღირებულებისა არ იყოს. მასში გამეორებულია ფაქტობრივი და აზრობრივი შეცდომები, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში „მონარქიული სისტემა აღარ არსებობდა"; უარყოფით ისტორიულ მოვლენადაა ფორმულირებული ბატონყმობის გაუქმება; თითქოს კაპიტალიზმის განვითარებამ ფუნქციები შეუზღუდა გლეხობას და ა.შ.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ და გამოვავლინეთ, რომ დისერტაცია შეიცავს მრავალრიცხოვან ფაქტობრივ და აზრობრივ შეცდომას, ცნობილი ისტორიული მოვლენების მცდარ და არაზუსტ ფორმულირებებს. ამჯერად ამ შეცდომებს, უზუსტობებს, უცოდინრობებს, ამ თავისებურ „აღმოჩენებს" „ერთიანი კონტექსტის" სახე რომ მივცეთ, ჩამოვთვლით. დისერტაციაში ვკითხულობთ, რომ:

– 1900-1921 წლების პერიოდში ხდება „სხვადასხვა სოციალური ფენების წარმოშობა" (გვ. 7);

– „დავამუშავე 1900-1921 წლებში გამომავალი ყველა ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთი" (გვ. 9);

– „ქალაქის მნიშვნელობა სახელმწიფოს მნიშვნელობაზე დიდია" (გვ. 26);

– „ქალაქები 1900-1921 წლებში სამრეწველო ცენტრები ხდებიან";

– „1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში გლეხის „მთავარი პრობლემა ისევ მიწა და პირადი თავისუფლება" იყო (გვ. 46);

– „რაც შეეხება 1918-1921 წლებს, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ დემოკრატიული ძალები, მათი მოღვაწეობის პარალელურად ბოლშევიკები ცდილობდნენ, რომ ხაზი გაესვათ ხელისუფლების არასწორ დამოკიდებულებაზე მუშებისადმი და თავის მხარეზე გადაიბირონ" (გვ. 63);

– „ქართულ სოციალ-დეოკრატიას საწყის ეტაპზე ჰქონდა ანტიქართული პოზიცია" (გვ. 39);

– 1900-იან წლებში არსებობდა „ქართული სოციალ-დემოკრატიული

პარტია“ (გვ. 52, 71, 215, 216);

– ქართველი თავად-აზნაურობის „აშკარა“ კრიტიკა იწყება 1900 წლიდან (გვ. 100);

– 1900-1917 წლებში მიმდინარეობდა ბრძოლა არა მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რაც პირველ რიგში კულტურით, განათლებით ბრძოლას გულისხმობდა...“ (გვ. 102);

– 1900-1917 წლების პერიოდში, „თავადაზნაურობა იმ წოდებას ეკუთვნოდა, რომელიც წარსულს აიდიალებდა და ძველი დროის დაბრუნება მხოლოდ იმიტომ სურდა, რომ აღედგინა ის გავლენა და პრივილეგიები, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა“ (გვ. 102);

– რუსეთის გაბატონება ქართველი ხალხისათვის ეროვნული სიმბოლოების, მათ შორის კი, „ქრისტიანობის დაკარგვა-გაუქმებაში გამოიხატებოდა...“ (გვ. 104);

– „ამ მხრივ აღსანიშნავია, ჯერ კიდევ 1907 წელს ვარლამ ჩერქეზიშვილის ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლა“ (გვ. 117). ასეთი რამ არ მომხდარა;

– 1900-1917 წლების პერიოდში მოხდა „ნაციონალური ნარატივის ფორმირება“ (გვ. 122);

– XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოში აქტუალური ხდება ნაციონალური სიმბოლოები, ნაციონალური იდეალები“ (გვ. 135);

– მეფის ცენზურა ხელს უშლიდა ქართულ მედიას, ეწერა წარსულზე, ისტორიაზე და ა.შ. (გვ. 131);

– ეროვნული პრობლემის კვლევის თეორიული მიდგომის „მთავარი ფუძემდებელი“ იყო მიხაკო წერეთელი (გვ. 147);

– „ჯერ კიდევ 1917 წლის ივლისში საქართველოს და ამიერკავკასიის პროლეტარიატი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით...“ (გვ. 163) და ა.შ. და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დავასკვნით, რომ ნატო სონღულაშვილის წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი „ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში“ ვერ აკმაყოფილებს სადოქტორო დისერტაციის მოთხოვნებს. იგი ვერ პასუხობს თემის სათაურს და დანიშნულებას. წარმოდგენილი ნაშრომი არ არის ეროვნული იდენტობის ისტორია, არამედ ეს არის ქართული ერთობისა და ეროვნული იდენტობის შესახებ ქართული პრესიდან არათანმიმდევრულად ამოწერილი ინფორმაციების, ციტირებებისა თუ ამონარიდების არათემატური და ცალმ-

ხრიეი კრებული. ფაქტობრივად, ეს უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი ციტატები, რომელნიც თავისთავად ღირებულია, როგორც საკვლევი პერიოდის ნააზრევი, შეიძლება გამოდგეს ამავე თემის ნაწილობრივ მასალად. ნაშრომის თავებისა და პარაგრაფების შინაარსი საერთოდ არ ეხება თემის დანიშნულებას, ხოლო მათი ნაწილი მხოლოდ ცალმხრივად პასუხობს სათაურებსა და მიზანდასახულობას, მასში ცოტაა იმხანად არსებული სოციალური ფენების საზოგადოებრივი აღქმები და ბევრია კულტურულ-პოლიტიკური ელიტის ნააზრევი, რაც ისედაც ცნობილია.

დისერტაცია შეიცავს მრავალ სერიოზულ ფაქტობრივ და აზრობრივ შეცდომას, ანალიზი და ავტორისეული მსჯელობა მეტად არაკვალიფიციურია; ავტორი ამჟღავნებს საკვლევი პერიოდის ისტორიის ელემენტარულ უცოდინრობას და ვერ აცნობიერებს ეპოქის ბევრ თავისებურებას; ამასთან, ნაშრომში ხშირად გვხვდება არაზუსტი, არაკვალიფიციური, წინააღმდეგობრივი, ბუნდოვანი ფორმულირებები და, რიგ შემთხვევაში, საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი პარტიულ-იდეოლოგიური დებულებები.

როგორც ჩანს, წინამდებარე ნაშრომის სისუსტის ერთ-ერთ მიზეზად უნდა მიჩნეულ იქნეს სადოქტორო დისერტაციების შესრულებისა და დაცვის მეტისმეტად გამარტივებული სისტემა, რომელიც სერიოზულ მოთხოვნებს არ უყენებს მომავალ მეცნიერ-ისტორიკოსებს. სწორედ ამ სავალალო გარემოებამ აგვაღებინა ხელში კალამი, ჩვენი ყოფილი შრომისმოყვარე სტუდენტისა და მაგისტრანტის ნაშრომზე გამოხმაურებისათვის. დისერტანტს კეთილგანწყობილად ვურჩევთ, ახლა მაინც გაითვალისწინოს ჩვენი შენიშვნები, ფუნდამენტურად გადაამუშაოს დისერტაცია და მხოლოდ ამის შემდეგ გამოსცეს წიგნად.